ვაცლავ ჰაველი

გთხოვთ, მოკლედ

ჩეხურიდან თარგმნა
სულხან მუხიგულაშვილმა

გაიერ სულაკაურის
გამომცემლობა

ვაცლავ ჰაველი

გთხოვთ, მოკლედ

© ვაცლავ ჰაველი, 2006
ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2010

მთარგმნელი: სულხან მუხიგულაშვილი
რედაქტორი: ნათია ნაფეტვარიძე
დიზაინი და დაკაბადონება: გიორგი კევლიშვილი

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ელ-ფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-118-7
www.sulakauri.ge

Prosím stručně
© Václav Havel, 2006 c\o DILIA

პუბლიკაცია მომზადებულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს” ფინანსური დახმარებით. იგი არ გამოხატავს ფონდის ოფიციალურ პოზიციებს.

მთარგმნელის წინასიტყვაობა

თქვენ წინაშეა გამოჩენილი ჩეხი მოღვაწის, ესეისტის, დრამატურგის, დისიდენტის, ჰუმანისტისა და წარსულში ორი სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტის, ვაცლავ ჰაველის, რიგით მეცხრე და დღეისათვის ბოლო, 2006 წელს გამოცემული წიგნის თარგმანი. წიგნი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, თუმცა ვერ თავსდება კლასიკური ავტობიოგრაფიული ჟანრის ფარგლებში, რაც სრულებითაც არ არის შემთხვევითი – ვ. ჰაველის მრავალმხრივი შემოქმედება ყოველთვის გამოირჩეოდა ორიგინალურობითა და არაორდინალურობით.

„ცხოვრების გზა" (როგორც თვითონ ამბობს ხოლმე) ვ. ჰაველმა დაიწყო როგორც მწერალმა და აბსურდული პიესების ავტორმა. სკოლის დამთავრების შემდეგ არ მიეცა სწავლის გაგრძელების საშუალება, რადგანაც იყო ჩეხეთში ცნობილი ბურჟუაზიული ოჯახის და ამდენად, კლასობრივი მტრის შვილი. დროთა განმავლობაში შეურიგებლობამ ყოველგვარი უსამართლობის მიმართ, აქტიურმა, მებრძოლმა ბუნებამ, დიდმა ერუდიციამ და მოვლენებისადმი ღრმა ფილოსოფიური წვდომის უნარმა აქცია ის ტოტალიტარული ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებისათვის მიუღებელ და მუდმივად დევნილ დისიდენტად, ხოლო დემოკრატიულ სამყაროში ნიჭიერი ხელოვანის, ნამდვილი ჰუმანისტის და ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ პრინციპული მებრძოლის სახელი და პოპულარობა მოუტანა. თვით ჰაველი ზუსტად ამ პოპულარობითა და დასავლური სამაყაროს ყურადღებით ხსნის იმას, რომ გადაურჩა რეჟიმისაგან ფიზიკურ განადგურებას და რომ 5 წლის მაგიერ, სულაც 10 ან 15 წელი არ გაატარა პატიმრობაში. ჩეხოსლოვაკიაში კომუნიზმის ეპოქის დასრულების შემდეგ (რაშიც მისი, როგორც დისიდენტის წვლილი უდავოა) ვ. ჰაველი მოგვევლინა ჩეხოსლოვაკიის ბოლო, ხოლო ქვეყნის ჩეხეთად და სლოვაკეთად მშვიდობიანი გაყო-

ფის შემდეგ, ჩეხეთის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად. ვ. ჰაველის მრავალმხრივი მოღვაწეობის ეს შედარებით მოკლე, მაგრამ განსაკუთრებულად საინტერესო ხანა ტოტალიტარულ რეჟიმთან მაღალი ჰუმანისტური იდეალებისათვის მებრძოლი ინტელექტუალი პატრიოტის მძიმე ცხოვრების ერთგვარ დაგვირგვინებად იქცა. თავად კი, მისთვის ჩვეული იუმორით, ასე ახასიათებს თავისი ცხოვრების ამ მართლაც უჩვეულო მონაკვეთს: *„დისიდენტი პრეზიდენტად – ტრადიციული ანგლო-საქსური კლიშე“*. ასე იყო თუ ისე, ამან ვ. ჰაველს შესაძლებლობა მისცა თავისი ერუდიცია, ნიჭი, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მოპოვებული უზარმაზარი ავტორიტეტი სრულად გამოეყენებინა პოსტკომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი არაერთი სენით შეპყრობილი სამშობლოს საკეთილდღეოდ. მის ფართო თვალსაწიერს არასდროს აკმაყოფილებდა სამოღვაწეო სარბიელად მხოლოდ ჩეხეთი (ჩეხოსლოვაკია), ყოველთვის ესწრაფოდა მსოფლიო პოლიტიკაში თავისი შეხედულებებისა და იდეალების დამკვიდრებას, აწუხებდა კაცობრიობის ბედი, ანუ როგორც ერთგან წერს, ის, თუ *„საით მიექანება კაცობრიობა“*. ამ გლობალურ პრობლემებს მიუძღვნა მსოფლიოს ყველაზე მაღალი ტრიბუნებიდან წარმოთქმული მრავალი კრიტიკული გამოსვლა (ბევრ მათგანს თვითონვე მოუყარა თავი და წიგნად გამოსცა), იყო არაერთი საერთაშორისო პოლიტიკური ინიციატივის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. რაც შეეხება პოლიტიკურ შეხედულებებსა და იდეალებს, რომლებსაც განუხრელად ემსახურებოდა, კარგი იქნება თუ ისევ და ისევ თვით ავტორს დავესესხებით: *„ვემხრობი პოლიტიკას, რომელიც მოდის გულიდან და არავითარ შემთხვევაში – რაღაც თეზისებიდან... მთავარი კი ის გახლავთ, რომ დღემდე ძველ აზრს ვემხრობი... რაოდენ მნიშვნელოვანია, დემოკრატიულ საზოგადოებაშიც კი, რომ პოლიტიკა არ იყოს უბრალოდ ძალაუფლების შენარჩუნების ტექნოლოგია, არამედ წარმოადგენდეს ხალხის სამსახურს, რამდენადაც შესაძლებელია უანგაროს, გარკვეულ იდეალებზე დაფუძნებულს, რომელიც ზრუნავს ჩვენზე მაღლა მდგომ ზნეობრივ პრინციპებზე, ხელმძღვანელობს კაცობრიობის გრძელვადიანი ინტერესებით და არა მხოლოდ საზოგადოების წუთიერი სურვილებით. მსახურებას, რომელიც უარს აცხადებს ამა თუ იმ კერძო და პრაგმატული ინტერესების სათამაშოდ გადაქცევაზე, რომელთა უკანაც საბოლოოდ იმალება*

მხოლოდ ერთი რამ: მცდელობა ნებისმიერ ფასად საჭესთან დარჩენისა.“

ახლა ცოტაოდენი თვით ამ წიგნის შესახებ: ვ. ჰაველის წიგნი „გთხოვთ მოკლედ – საუბარი კარელ ჰვიჟდალასთან, კომენტარები, დოკუმენტები“ ეხება ვ. ჰაველის მოღვაწეობას ხავერდოვანი რევოლუციიდან (1989) მეორე ვადით პრეზიდენტობის დასრულებამდე (2003), ანუ სოციალისტური ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ღია საზოგადოების მშენებლობის ხანას. ავტორი აქ საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს, მისი აზრით, პრეზიდენტის ინსტიტუტი, ურთიერთობა პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, პარტიებისა და ფართო საზოგადოების როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფოს როლი მსოფლიოში, ანუ როგორი უნდა იყოს იდეალური დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება, მსოფლიო წესრიგი, თუ როგორ იბრძოდა ამ შეხედულებების ცხოვრებაში გასატარებლად თავის სამშობლოში და მოგვიანებით – საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე და რა დაბრკოლებებს აწყდებოდა ამ რთულ გზაზე. ზუსტად ამ პოლიტიკურ პრობლემებზე საუბრისას გვაწვდის ავტორი ბიოგრაფიულ ცნობებსაც და ალბათ არც ეს არის შემთხვევითი, რადგანაც, მისი აზრით: *„მკვეთრი და ყველას მიერ აღიარებული მიჯნა პოლიტიკოსის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის არასოდეს დადგენილა.“*

წიგნი შეიცავს სამ დამოუკიდებელ ჟანრს:

- **პასუხები ჟურნალისტ კარელ ჰვიჟდალას შეკითხვებზე.**

შეკითხვები საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავს. ჟურნალისტისათვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობით, მაგრამ ტაქტიანად კარელ ჰვიჟდალა ცდილობს ნათელი მოჰფინოს კონკრეტულ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ მოვლენებს, ვ. ჰაველის შეხედულებებს პოლიტიკის, დამოკრატიის, ზოგადსაკაცობრიო პრობლემების შესახებ და პრეზიდენტის პირად ცხოვრებას.

- **ვ. ჰაველის მიერ მისი აპარატის, კანცელარიისა და სხვა პირებისადმი წერილობით გაცემული ბრძანებები, თხოვნები, დავალებები, შენიშვნები... (ქრონოლოგიურად დალაგებული და დათარიღებული).**

მასალა ნათლად ასახავს პრეზიდენტის ყოველდღიურ ცხოვრებას, გვახედებს საზოგადოების თვალისაგან, ჩვეულებრივ, და-

მალულ „პრეზიდენტის სამზარეულოში“, ამხელს საინტერესო ფაქტებს, ახასიათებს პრეზიდენტის პიროვნებას გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნის პრობლემების ფონზე.

- **ვაშინგტონში ხანგრძლივი ვიზიტისას დაწერილი „დღიური“, რომელიც მიკროესეების კრებულის სახეს ატარებს,**

მოგვითხრობს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ელიტასთან პირადი მეგობრული ურთიერთობების, ოფიციალური შეხვედრების და ზოგადად ამ ქვეყნის შესახებ. ჰაველი მსჯელობს და წარმოგვიდგენს თავის შეხედულებებს ამერიკის, მსოფლიო პოლიტიკის და ერთი შეხედვით, პოლიტიკისაგან სრულებით მოწყვეტილ საკითხებზე.

სამივე ჟანრი ენაცვლება ერთმანეთს (ერთ გვერდზე ხანდახან სამივე ერთად გვხვდება), რაც მთლიანობაში საოცარ დინამიკურობას ანიჭებს ნაწარმოებს.

ჩემი ღრმა რწმენით, წიგნი დააინტერესებს ქართველ მკითხველს. მიუხედავად გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული სხვაობისა, პოსტკომუნისტური ჩეხეთის შიდაპოლიტიკური თუ სოციალური მოვლენები, რომლებზეც საუბრობს ავტორი, ხშირად საოცრად ეხმიანება საქართველოში მიმდინარე პროცესებს. წინასწარ რომ არ ვიცოდეთ რომელ ქვეყანაზეა ლაპარაკი, ადვილად ვიფიქრებდით, თითქოს პრეზიდენტ ჰაველის ქვემოთ მოყვანილი ზოგიერთი გამონათქვამი, მსჯელობა და საზოგადოებაში დამკვიდრებული მცდარი შეხედულებების კრიტიკა ეხება პირდაპირ ქართულ რეალობას. აი ზოგიერთი მათგანიც:

...ასეთი უხეში ჩარევა ჩვენს წმინდად ჩეხურ საქმეებში! ჩვენს პატარა ჩეხურ საღორეს ჩვენითვე მოვუვლით და არ გვჭირდება ამაში გადამთიელების დახმარება!... მოისმენ თუ არა ადამიანი მსგავს აზრებს, დაგეუფლება ფარული სურვილი, რომ დემოკრატიული, განათლებული და კულტურული ევროპა კიდევ უფრო მეტს ლაპარაკობდეს ჩვენი ჩეხური საქმეების შესახებ. ცხადია, ეს ჩვენსავე ინტერესებში იქნებოდა.

პროვინციალიზმი და აბსურდული საუბრები ჩვენი ეროვნული თვითშეგნების შესახებ, რომლის წართმევაც სურს ევროკავშირს, მშვენიერი თემებია 28 ოქტომბრისთვის. განვავითარებდი იქ იმ აზრს, რომ მხოლოდ ჩვენით ვართმევთ საკუთარ თავს

ამ თვითშეგნებას მშობლიური ენის დამახინჯებით, საშინელი არქიტექტურით, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლების მიმართ უპატივცემულობით, საეჭვო ურბანიზაციით.....

აშშ-ს ნატოში ჩვენი რაც შეიძლება სწრაფი გაწევრიანების დიდი ინტერესი აქვს... ამბობენ, რომ დიდი ბრიტანეთი უპირობოდ უჭერს მათ მხარს (როგორც მეიჯორი ამბობდა თავის დროზე), საფრანგეთი – სანახევროდ, მთავარ მოწინააღმდეგედ კი მიაჩნიათ გერმანია. შევეკითხე, ხომ არ უჩნდება შთაბეჭდილება, რომ გერმანია მხარს უჭერს ჩვენს ევროკავშირში შესვლას, რადგანაც იქ თვითონ არის წამყვანი ძალა და ეწინააღმდეგება ჩვენს შესვლას ნატოში, სადაც დომინანტია აშშ და რომ გერმანელები ცენტრალური ევროპის უშიშროების საკითხებს სიამოვნებით თავად გადაწყვეტდნენ, შეიძლება რუსებთან თანამშრომლობითაც კი, ყოველ შემთხვევაში, აშშ-ს გარეშე.

ერთი გამოსვლისას განვაცხადე: სახელმწიფო ადამიანის შემოქმედებაა, ადამიანი – ღმერთის. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ადამიანის დაცვა უფრო მაღალი რანგის ვალდებულებაა, ვიდრე სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემა. თუმცა, ყოველი მსგავსი შემთხვევა საფუძვლიანად და ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი, მსგავსი ჰუმანისტური არგუმენტები მხოლოდ ლამაზი ფასადი ხომ არ არის, რომლის უკან იმალება ძალაუფლების მოხვეჭის, ეკონომიკური თუ სხვა ნაკლებად პატივსაცემი მიზანი. არ შეიძლება, რომ ხალხის გადარჩენით მოტივირებული ყოველი ინტერვენცია უცხო სახელმწიფოში მსოფლიომ დასაშვებად ცნოს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ძალიან მგრძნობიარეები ვართ...

სახელმწიფოს, რომელიც ისტორიულ გზაგასაყარზე აღმოჩნდა, უნდა ჰქონდეს წარმოდგენა საკუთარ თავზე, საკუთარ შესაძლებლობებზე, იმაზე, თუ როგორი უნდა რომ იყოს და რა როლი უნდა რომ შეასრულოს მსოფლიოში, რაზე უნდა დადოს ფსონი და რას აარიდოს თავი. მსგავსი შეხედულებები, სპეციალისტების მიერ გაანალიზებულ მრავალფეროვან ინფორმაციაზე დაყრდნობილი, მასშტაბური და საქმიანი დისკუსიების შედეგი უნდა იყოს, რომლებიც სცილდება ცალკეული პოლიტიკური პროგრამებისა და საარჩევნო პერიოდების ჰორიზონტებს.

ყოველ ქვეყანაში, რომელმაც თავიდან მოიშორა კომუნიზმი, პოსტკომუნიზმს განსხვავებული სახე აქვს, მაგრამ ცოტა ვინმე თუ დაუძვრა ამ მოვლენას სავსებით. თუმცა დრო მირბის, ახალი თაობები იზრდებიან, საზოგადოების მოთმინების ფიალაც ივსება. შემდეგ მოდის ახალი თაობის რევოლუცია ან – უფრო ზუსტად – თავდაპირველ რევოლუციონერთა საქმე სრულდება. ამჯერად ანგარიშსწორება ხდება უკვე პოსტკომუნიზმთან (რა გაგებითაც უკვე ვახსენე), და არა კომუნიზმთან.

ამ გაგებით, ეს წიგნი წარმოგვიდგენს გამოჩენილი პოლიტიკოსის, ადამიანის უფლებათა დამცველის, დემოკრატის, ღრმა მოაზროვნის, ჰუმანისტისა და მაღალი ხელოვანის შეხედულებებს ქართული საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი არაერთი პრობლემის შესახებ, რაც ამ პრობლემების ახალ და უფრო ზოგად კონტექსტში დანახვისა და გააზრების მშვენიერ საშუალებას იძლევა.

ვაცლავ ჰაველის ნაწარმოებებისა და ნაშრომების დიდი ნაწილი თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურულ ენაზე, ქართველ მკითხველს კი პირველად ეძლევა მისი მშობლიურ ენაზე გაცნობის შესაძლებლობა. ამიტომ განსაკუთრებულად მოხარული ვარ, რომ შემიძლია წარმოგიდგინოთ ეს თარგმანი, რომელიც გარკვეულად ავსებს არსებულ ხარვეზს. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სოროსის ფონდს ფინანსური დახმარებისათვის. არ შემიძლია დიდი მადლიერების გრძნობით არ ვახსენო ჩემი ჩეხი მეგობარი რობერტ ჰაკლი, რომელიც დიდი მოთმინებით მეხმარებოდა თარგმნის პროცესში, აგრეთვე ჩეხეთში მცხოვრები ქართველი მეგობრები, იურისტები ვახტანგ დარჩიაშვილი და ირაკლი სოკოლოვსკი, რომლებიც იურიდიული და პოლიტიკური ხასიათის სპეციალური ტერმინების თარგმნაში დამეხმარნენ. დასასრულს, მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვთქვა წინამდებარე თარგმანის რედაქტორის, ნათია ნაფეტვარიძის მიმართ, რომლის დიდი შრომისა და დახმარების გარეშეც ჩემი, როგორც მთარგმნელის, დებიუტი ვერ შედგებოდა.

ს. მუხიგულაშვილი

შესავალი

მიხარია, რომ ეს ჩემი უცნაური წიგნი ქართველ მკითხველსაც ჩაუვარდა ხელთ და მჯერა, აუცილებლად მოძებნის მასში რაიმეს, რაც მას დააინტერესებს. არ შემეძლო და არც სურვილი მქონდა რაიმე სრულფასოვანი მემუარების მსგავსი დამეწერა, თუმცა ვგრძნობდი, რომ მოვალე ვარ იმ ყველაფრის შესახებ, რაც თავს გადამხდა, რაიმე მოვუთხრო საზოგადოებას. ამგვარად, მივიღე გადაწყვეტილება ამ უჩვეულო კოლაჟის სასარგებლოდ, რომელიც საკმაოდ სწრაფად დავწერე და სავსებით გამიზნულად წერისას არ მიფიქრია კონკრეტულ მკითხველზე. ამიტომაც არის წიგნში მეტ-ნაკლებად გრძელი პასაჟები, რომლებიც შესაძლოა საინტერესოდ არ მოეჩვენოს ზოგიერთ ჩემს თანამემამულეს და კიდევ სხვა გრძელი პასაჟები, რომლებიც ალბათ არა მარტო ინტერესს მოკლებული, არამედ გაუგებარიც იქნება უცხოელი მკითხველისათვის. ეს ეხება, ვთქვათ, ჩემს მსჯელობებს ახალი კონსტიტუციისა თუ ჩეხურ-სლოვაკური მოლაპარაკებების შესახებ, ისევე როგორც ბევრ სხვა საკითხს, ყოველდღიური თემების ჩათვლით. ეს ამბები უკვე დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა და მაინც, წიგნიდან მათ ამოშლას არ ვაპირებ, რადგანაც მსიამოვნებს იმის შეხსენება, რომ ვიყავი ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც მოუწია დემოკრატიული ქვეყნის შენება, როგორც იტყვიან, ტრიალ მინდორში და არა უბრალო მონაწილე მთავრობის მორიგი ცვლილებისა. გარდა ამისა: იმათთვის, ვისაც მოუნდება სასწრაფოდ მოისროლოს წიგნი გვერდზე, რამეთუ მოეჩვენება, თითქოს წიგნი შეეხება არა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებს, რომლებშიც პირადად მივიღე მონაწილეობა, არამედ მხოლოდ ჩეხოსლოვაკურ ან ჩეხურ პერიპეტიებს, მაქვს შემოთავაზება: იკითხეთ გადახტომით. ეს ძალიან მარტივია, რადგან წიგნი არა მხოლოდ თავებად არის დაყოფილი, არამედ და რაც მთავარია, ერთმანეთისაგან

ჰორიზონტალური ხაზებით გამოყოფილ უფრო მცირე მონაკვეთებადაც. ამდენად, საკმარისია არ ჩავიკითხოთ ბოლომდე ის, რაც უინტერესოა, ვიპოვოთ უახლოესი ჰორიზონტალური ხაზი და ვცადოთ იმის წაკითხვა, რაც ამ ხაზს მოჰყვება. გამიხარდება, თუკი ეს წიგნი (მიუხედავად იმისა, მთლიანად წაიკითხავთ თუ გადახტომით) რაიმეს შეგმატებთ.

თქვენი
ვაცლავ ჰაველი

1.

(ვაშინგტონი 7.4.2005)

გავიქეცი. გავიქეცი ამერიკაში. სულ ორი თვით. ამასთან, მთელ ჩემს ოჯახთან, ანუ დაშასთან და ბოქსიორის ჯიშის ორ ძაღლთან, შუგრთან და მის შვილ მადლენკასთან ერთად. გავიქეცი იმ იმედით, რომ ამერიკაში მეტი დრო მექნებოდა გატაცებით წერისათვის. ორი წელია, პრეზიდენტი აღარა ვარ და სულ უფრო მაღი ზიანებს, რომ ამ დროის განმავლობაში ორი სიტყვაც არ დამიწერია. როდესაც მეკითხებიან, უკვე მერამდენედ, ვწერ თუ არა რამეს და თუ ვწერ, რას, ცოტა არ იყოს, ვბრაზდები და ვამბობ, რომ ცხოვრებაში საკმარისად მაქვს დაწერილი, უდავოდ მეტი, ვიდრე ჩემი თანამემამულეების უმეტესობას და რომ წერა სრულებითაც არ არის ვალდებულება, რომლის შესრულებაც ადამიანს უნდა გამოსძალო. კონგრესის ბიბლიოთეკის სტუმარი ვარ. აქ გამომიყვეს წყნარი და მყუდრო ოთახი, სადაც შემიძლია მივიდე ნებისმიერ დროს და ვაკეთო, რაც გამიხარდება. სამაგიეროდ არაფერი მომეთხოვება. ეს მშვენიერია. ამ მშვენიერ ატმოსფეროში სხვა საქმეების პარალელურად პან ჰვიუძალას შეკითხვებსაც სიამოვნებით ვუპასუხებ.

ბატონო პრეზიდენტო (თუ ნებას მომცემთ, ასე მოგმართავთ, როგორც მიღებულია დამსახურებული ყოფილი პრეზიდენტებისადმი მიმართვა უცხოეთში), საუბარს დავიწყებდი შეკითხვით, რომელიც შეეხება 80-იანი წლების მეორე ნახევარს, როდესაც ცენტრალური ევროპის ყველაზე გამოჩენილ დისიდენტად ანუ, როგორც ჯონ კინმა[1] გიწოდათ, „ვარსკვლავად ოპოზიციის თეატრში“ იქეცით. შეგიძლიათ თუ არა

1 ჯონ კინი (John Keane) – წარმოშობით ავსტრიელი პოლიტოლოგი, ვესტმინსტერის უნივერსიტეტისა და ბერლინის სამეცნიერო ცენტრის (Wissenschaftszentrum Berlin) პროფესორი, ჩამოაყალიბა დემოკრატიის სწავლების ცენტრი (CS). მის კალამს, სხვა მრავალ ნაშრომთან ერთად, ეკუთვნის ფრიად კრიტიკული წიგნი ვ. ჰაველის შესახებ „პოლიტიკური ტრაგედია ექვს მოქმედებად“. ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ ვ. ჰაველმა ყოველგვარი ურთიერთობა განყვიტა მასთან.

გაიხსენოთ ის მომენტი, როცა პირველად მოგივიდათ აზრად, რომ პოლიტიკაში უნდა შეგებიჯებინათ და არ უნდა დაკმაყოფილებულიყავით მხოლოდ დრამატურგის, ესეისტისა და მოაზროვნის როლებით?

პირველ რიგში, ოდნავ მაინც შევეწინააღმდეგებოდი ტიტულის, „ვარსკვლავი ოპოზიციის თეატრში", მონიჭებას. მაშინ ყველაფერს ვაკეთებდით, რათა არ დავეყავით „ვარსკვლავებად" და დანარჩენებად. რაც უფრო გამოჩენილი იყო რომელიმე ჩვენგანი და ამდენად უფრო დაცულიც, მით უფრო ცდილობდა ნაკლებად ცნობილები და შესაბამისად, მეტ ხიფათში მყოფნი დაეცვა. რეჟიმი კი მოქმედებდა პრინციპით: „დაყავი და იბატონე". ერთს ეუბნებოდნენ: „როგორ შეგიძლიათ თქვენ, ყველას მიერ აღიარებულ ინტელექტუალს, საქმე დაიჭიროთ იმ არარაობებთან?!", ხოლო მეორეს – „იმათთან საქმეს ნუ დაიჭერ, მფარველები ჰყავთ, ყველაფრიდან ყოველთვის გამოძვრებიან და თუ დასჭირდათ, მათ მაგივრადაც თქვენ დაისჯებით". გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდით ოპოზიციონერებს შორის თანასწორობის პრინციპს. მეორეც, კარგად იცით, ნაკლებად თავდაჯერებული ვარ. გამუდმებით, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ვსაყვედურობ და ვაკრიტიკებ საკუთარ თავს. ასეთი ადამიანი ძნელად თუ დათანხმდება მტკიცებას იყოს „ვარსკვლავი". თუმცა უნდა დავუშვა, რომ ხალხის გაერთიანების გარკვეული ნიჭი მაქვს, რადგანაც ვარ ადამიანი, რომელიც პირდაპირ ფიზიკურად ვერ იტანს კონფლიქტებს, დაძაბულობასა და დაპირისპირებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს. მეტიც, არ მიყვარს გაუთავებელი ლაპარაკი თვალსაჩინო შედეგების გარეშე. მუდამ ვცდილობდი ხალხის გაერთიანებას, ვეხმარებოდი მათი აზრების თანხვედრას და ვეძებდი საერთო შეხედულებების საქმედ გადაქცევის გზებს. შესაძლოა, ზუსტად ეს იყო ის თვისებები, რომლებსაც საბოლოოდ (თუმცა ისე, რომ არც მიზრუნია და არც მინდოდა), ჩემგან დამოუკიდებლად, ყოველთვის გამოვყავდი წინა პლანზე, რის გამოც შემდგომში ვინმეს, შესაძლოა, „ვარსკვლავადაც" მოვჩვენებოდი. ახლა

კი, ბოლოს და ბოლოს, თქვენი შეკითხვის არსს მივუბრუნდები. არ მგონია, შეიძლებოდეს ჩემს ცხოვრებაში მკვეთრი ზღვრის გავლება იმ ეპოქებს შორის, როდესაც ვიყავი ან არ ვიყავი ჩართული პოლიტიკაში. პოლიტიკასა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ყოველთვის ვიყავი რამდენადმე ჩაბმული და გარკვეულწილად, ყოველთვის ვიყავი პოლიტიკური მოვლენა. ის, რომ ტოტალიტარიზმისას ყველაფერი პოლიტიკაა, როკ-მუსიკის კონცერტის ჩათვლით, ჩვეულებრივი ამბავია. განსხვავება, ცხადია, იყო ჩემი საქმიანობის თვალსაჩინოებასა და გავლენაში, ანუ რამდენად დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო მას ამა თუ იმ პერიოდში: სხვა იყო სამოციან წლებში და სულ სხვა – ოთხმოციანებში. ამ გადასახედიდან, ერთადერთი, მართლაც რომ გარდამტეხი მომენტი ჩემს ცხოვრებაში დადგა 1989 წლის ნოემბერში, როდესაც გადავწყვიტე პრეზიდენტობის კანდიდატი გავმხდარიყავი. მაშინ დამთავრდა ლაპარაკი ჩემი საქმიანობის პოლიტიკურ გავლენაზე – საქმე უკვე ეხებოდა პოლიტიკურ ფუნქციას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ბოლო წუთამდე ვორჭოფობდი.

ეს თქვენ უფრო გაშინებდათ თუ გიზიდავდათ?

უფრო მაშინებდა. ეს სრულიად ახალი რამ იყო. ამერიკელი პრეზიდენტების მსგავსად, ბავშვობიდან არ ვემზადებოდი საპრეზიდენტოდ. გადაწყვეტილება ცხოვრების ასეთი ღრმა გარდატეხის შესახებ სულ რამდენიმე საათში უნდა მიმეღო. საბოლოოდ, ალბათ გაიმარჯვა ჩემ გარშემო მყოფთა მოწოდებამ პასუხისმგებლობისაკენ. მეუბნებოდნენ ზუსტად იმას, რაც მოგვიანებით არაერთგზის გამიმეორებია სხვებისათვის, როდესაც მათ პოლიტიკაში ვეპატიჟებოდი – არ შემიძლია მთელი ცხოვრება რაიმე ვაკრიტიკო და როდესაც შესაძლებლობა მაქვს პირადად ვაჩვენო, რომ ეს უკეთაც შეიძლება გაკეთდეს, მოულოდნელად ხელები დავიბანო. ამასთან, მიმტკიცებდნენ, თითქოს რევოლუციურ ვითარებაში ეს იყო ერთადერთი მართებული გადაწყვეტილება. ყველაფერს თავდაყირა დავაყენებდი და ყველა დანარჩენს სახეში შევაფურთხებდი, თუ მოულოდნელად (მოვლენების

ცენტრალური ფიგურა) განზე გავდგებოდი და საკუთარ წარსულ ქმედებებზე პასუხისმგებლობას ავირიდებდი.

რა აზრის იყო ამის შესახებ თქვენი მაშინდელი მეუღლე ოლგა, რომელიც ცნობილი იყო თავისი მძაფრი კრიტიკით?

იგი ჩემს დისიდენტურ საქმიანობას უპირობოდ უჭერდა მხარს; მაგრამ პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენაზე ჩემსავით ორჭოფობდა, შესაძლოა ჩემზე მეტადაც, თუმცა ბოლოს მაინც მომცა დასტური.

ზოგიერთმა თქვენმა კოლეგამ 1986 წელს გამოსული ჩვენი წიგნის („დაკითხვა შორიდან"), წაკითხვისთანავე იგრძნო, რომ შეაბიჯებდით პოლიტიკაში. რამდენადაც მახსოვს, ეს აზრი მაშინ მილან კუნდერამაც[2] გაუზიარა ვაცლავ ბელოჰრადსკის[3]. პრეზიდენტი რომ უნდა გამხდარიყავით, მე პირველად 1989 წლის იანვრის დასაწყისში გავიგე პაველ ტიგრიდისაგან[4], რომელიც შემეკითხა თუ რა აზრისა ვარ ამის შესახებ. თავად როდის გაიგეთ ამ მოარული აზრების არსებობა და რას ფიქრობდით ამასთან დაკავშირებით?

არ მიკვირს, რომ ეს თქვა მილან კუნდერამ. ვფიქრობ, მას ყოველთვის უფრო პოლიტიზებულ ადამიანად მივაჩნდი, ვიდრე მე მეგონა საკუთარი თავი. როდესაც მოგვიანებით პაველ ტიგრიდმა ემიგრანტულ ჟურნალში „ექსილოვეე სვედეცტვი" დაწერა, რომ მომავალი პრეზიდენტი ვარ, ხუმრობად ჩავთვალე და მხოლოდ გამეღიმა. მსგავსი რეაქცია მქონდა, როდესაც ზაფხულში იგივე მითხრა ადამ მიხნიკმა.

2 მილან კუნდერა (Milan Kundera) – სახელგანთქმული ჩეხი (ფრანგი) მწერალი, დაიბადა 1929 წელს ქ. ბრნოში, 1975 წლიდან ცხოვრობს საფრანგეთში, 1980 წლიდან წერს მხოლოდ ფრანგულად.

3 ვაცლავ ბელოჰრადსკი (Václav Bělohradský) – ცნობილი ჩეხი ფილოსოფოსი, სოციოლოგი და პუბლიცისტი. დაიბადა 1944 წელს, 1969 წლიდან იმყოფება ემიგრაციაში იტალიაში; ეწეოდა დისიდენტურ მოღვაწეობას.

4 პაველ ტიგრიდი (Pavel Tigrid) – ჩეხი ესეისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. 1939 წელს გაიქცა უცხოეთში, მოღვაწეობდა რადიო „თავისუფლებაში", ჩამოაყალიბა დისიდენტური ჟურნალი „სვედეცტვი" (რომელსაც ფარულად ავრცელებდა უცხოეთიდან კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში), 1994-1996 წლებში, კომუნიზმის დაცემის შემდეგ, გახდა ჩეხეთის კულტურის მინისტრი (ნამდვილი გვარი: შონფელდი (Schonfeld), ტიგრიდი შეარქვეს სკოლაში, როდესაც გაკვეთილზე მდინარე ტიგროსი შეცდომით ტიგრიდად მოიხსენია).

ისე კი, თუ არ მეშლება, პრეზიდენტად ჩემი კანდიდატურის წამოყენების აუცილებლობაზე სერიოზული საუბარი დაიწყო ჩემმა მეგობარმა, როკერმა მიხაელ კოცაბმა. რაც უფრო ვშორდები იმ მოვლენებს, სულ უფრო მეტად მეჩვენება, რომ უკანასკნელი ვიყავი მათ შორის, ვინც იდეას ჩემი პრეზიდენტობის შესახებ სერიოზულად მოეკიდა.

(ვაშინგტონი 8. 4. 2005)

ვიხსენებ ჩემს წინა ვიზიტებს ამერიკაში. პირველად აქ ვიყავი 1968 წლის გაზაფხულზე ექვსი კვირით. პრაღაში „პრაღის გაზაფხულის“[5] პიკი იყო, გამომიჩნდა მოგზაურობის საშუალება და მეც მყისვე გამოვიყენე ჯო პაპის[6] მიპატიჟება ნიუ-იორკის პაბლიკ თეატრში, ჩემი პიესის, „შეტყობინების“ (Vyrozumění) პრემიერაზე. მაშინ დამოუკიდებელ მწერალთა წრის თავმჯდომარე ვიყავი, რომელიც სულ ახალი დაარსებული გვქონდა, მწერალთა კავშირის, მაშინ ჯერ კიდევ ყოვლისშემძლე ორგანიზაციისა და პარტიული უჯრედის საპირისპიროდ. თვითმფრინავში ვწერდი ჩვენს პროგრამას (ღირს მოსაძებნად და გადასაკითხად, გავბედავდი და ვიტყოდი, რომ დღესაც აქტუალური იქნებოდა) და ვწრუპავდი ვისკის. ჩემთან ერთად მგზავრობდნენ სოფლის მცხოვრებლები, ძირითადად სლოვაკები. მათი უმეტესობა პირველად იჯდა თვითმფრინავში. ცხადია, პოლიტიკური ლოიალობის პერიოდი გამოიყენეს ამერიკაში თავიანთი მდიდარი ნათესავების მოსანახულებლად. მზის ჩასვლისას კენედის აეროპორტში დაშვება საოცრად ლამაზი იყო, არასდროს დამავიწყდება ეს შეგრძნება. აეროდრომზე მელო-

---

5 **პრაღის გაზაფხული (Pražské jaro)** – ეწოდება პერიოდს 1967 წლის ბოლოდან 1968 წლის ივლისამდე. ამ დროს ჩეხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლად დანიშნული პირველი მდივნის ა. დუბჩეკის ხელმძღვანელობით ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაიწყო დემოკრატიული რეფორმები. ეს გარკვეულწილად წააგავდა გორბაჩოვისეულ „პერესტროიკას“. ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა, საბჭოთა კავშირის მეთაურობით, 1968 წლის 21 ივლისს, „ანტირევოლუციის ჩასახშობად“ ჩეხოსლოვაკიას „ინტერნაციონალური ძმური დახმარება“ აღმოუჩინეს ელვისებური ოკუპაციის გზით, რითაც დასრულდა „პრაღის გაზაფხული“. ოკუპაციაში მონაწილეობდა ნახევარ მილიონზე მეტი სამხედრო მოსამსახურე (ზოგიერთი ცნობით, ოდნავ ნაკლები). მოკლულ იქნა 72 ადამიანი – დაახლოებით სამასი ათასი ადამიანი (ძირითადად, ინტელიგენციის წარმომადგენლები), აქედან სამოცდაათი ათასი სასწრაფოდ, დეპორტირებულ იქნა.

6 **ჯოზეფ პაპი (Joseph Papp)** – სახელგანთქმული თეატრალური პროდიუსერი. პროდიუსერი, დირექტორი და დამაარსებელი შექსპირის ფესტივალისა ნიუ-იორკის პაბლიკ თეატრში.

დებოდა უცნობი, რომელმაც პირდაპირ ჩემი პიესის გენერალურ რეპეტიციაზე მიმიყვანა. მე კი თვალებს არ ვუჯერებდი. ვიყავი სამყაროს საპირისპირო მხარეს და ვუყურებდი საკუთარ ნაწარმოებს, დადგმულს ზუსტად ისე, როგორც მე წარმომედგინა და როგორც ჩვენ წარმოვუდგინეთ იგი მაყურებელს პრაღის თეატრში „ნა ზაბრადლი" (Na zábradlí). ხალხი ზუსტად საჭირო ადგილას იცინოდა და უკრავდა ტაშს, რაც განსაკუთრებით მაკვირვებდა, რადგანაც დიდი ვერაფერი თარგმანი იყო, მით უმეტეს, რომ ბევრი ჩემი ნაწარმოები უბრალოდ ვერ ითარგმნება. შემდეგ წამიყვანეს სასტუმროში. მკვდარივით დამეძინა. მეორე დღეს მოვძებნე ჩემი ძველი მეგობარი და თანაკლასელი მილოშ ფორმანი და გადავედი საცხოვრებლად ირჟი ვოსკოვეცთან, არაჩვეულებრივ ადამიანთან, რომელთანაც დავრჩი მთელი იქ ყოფნის მანძილზე. ეს იყო ჰიპიების მოძრაობის გაფურჩქნის ხანა, ხანა „ბი-ინს"-ებისა ცენტრალ პარკში, სადაც ჯინჯილებასხმული ახალგაზრდები დასეირნობდნენ. ეს იყო ხანა ჰეარისა (Hair) (რომელიც ჯომ ჩემი წარმოდგენის წინ დადგა პაბლიკ თეატრში, შემდეგ მეტი წარმატებისათვის ბროდვეის მიჰყიდა და ზუსტად იქ ვუყურე პრემიერას), ხანა მარტინ ლუთერ კინგის გარდაცვალებისა და გრანდიოზული ანტიმილიტარისტული დემონსტრაციებისა; აღმაფრთოვანებდა მათი შინაგანი ეთოსი – ძლიერი, მაგრამ არა ფანატიკური; ეს იყო ხანა ფსიქოდელიური ხელოვნებისა და სხვა ბევრი საინტერესო მოვლენისა (მაშინ არაერთი პლაკატი წამოვიღე და დღემდე მიკიდია ჰრადეჩეკში[7]. გარდა სხვა ყველაფრისა, ჩამოვიტანე ლოუ რიდის პირველი ფირფიტა ველვეტ ანდეგრაუნდთან (Velvet underground). ვფიქრობ, ამ ვიზიტმა ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. დაბრუნების შემდეგ ძალიან მხიარული და ამავე დროს, მოუსვენარი ზაფხული გავატარე მეგობრებთან ერთად, რაც არ შეიძლებოდა კარგად დასრულებულიყო: შემოვიდა საბჭოთა ჯარი. განსაკუთრებული შეგრძნება მეუფლებოდა, როდესაც ვხედავდი გრძელთმიან და ჯინჯილებასხმულ ჩეხ ახალგაზრდობას, რომელიც საბჭოთა ტანკების წინ ეროვნულ დროშებს აფრიალებდა და მღეროდა იმ დროისათვის ჰიპიების ძალზე პოპულარულ სიმღერას, „მასაჩუსეტსს". იმ ვითარებაში ეს სიმღერა ცოტა სხვაგვარად ჟღერდა, განსხვავებით ცენტრალ პარკისგან, თუმცა იგივე ეთოსი გააჩნდა – ლტოლვა თავისუფალი, მრავალფეროვანი და პოეტური მსოფლიოსაკენ, რომელშიც ადგილი არა აქვს ძალადობას. მეორედ ამერიკას ხან-

7 ჰრადეჩეკი – ასე უწოდებს ხოლმე ვ. ჰაველი თავის პირად აგარაკს.

გრძლივი და მძიმე ოცდაორი წლის შემდეგ, უკვე რესპუბლიკის პრეზიდენტის რანგში, ვესტუმრე. მაშინდელი ჰიპიები, ცხადია, დღეს უკვე პატივცემული სენატორები და საერთაშორისო კორპორაციების შეფები იყვნენ. მას შემდეგ აქ ათჯერ მაინც ვიყავი. დავუახლოვდი ამერიკის სამ პრეზიდენტს, ბევრ ამერიკელ პოლიტიკოსს (განსაკუთრებული ადგილი მათ შორის ეკავა ჩემს თანამემამულესა და არაჩვეულებრივ ქალბატონს მადლენ ოლბრაიტს), სხვა მნიშვნელოვან მოღვაწეებსა თუ სახელგანთქმულ ვარსკვლავებს. ეს ვიზიტები, სახელმწიფო, ოფიციალური თუ სამუშაო, ყოველთვის მოკლე და გადატვირთული იყო. ამიტომ ამერიკას მხოლოდ გაქანებული ლიმუზინებიდან ვხედავდი. ძნელად, მაგრამ მაინც ვახერხებდი ხოლმე დროის გამოძებნას გასეირნებისთვის ან როკ-კლუბში შესასვლელად. ამდენად, მეორე ხანგრძლივ სტუმრობას პირველისაგან აშორებდა თითქმის ორმოცი წელი. ამ დროის მანძილზე ბევრი რამ გამოვიარე, ალბათ ზუსტად ამიტომ – რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს – მენატრება ის თავისუფლება, ოცდაათი წლის ასაკში რომ მქონდა, როცა აქ დავსეირნობდი.

რატომ მოხდა, რომ პიესა „განახლების“ (Asanace) შემდეგ, რომელიც 1987 წელს შეიქმნა, გადატრიალებამდე არაფერი დაგიწერიათ, თუ არ ჩავთლით პიესას „ხვალიდან ამას შევუდგებით“ (Zítra to spustíme), რომელიც „თეატრს თოკზე“ (Divadlo Na provázku) შეკვეთა იყო და ცხადია, სხვა სახელით სრულდებოდა? მანამდე ორ წელიწადში ერთ ნაწარმოებს მაინც წერდით. ეს მაფიქრებინებს, რომ უკვე იმ პერიოდში შინაგანად საკმარისად იყავით ჩათრეული პოლიტიკაში.

შესაძლოა, საწერად სულ უფრო ნაკლები დრო მრჩებოდა. ოთხმოციანი წლების ბოლოს ხომ ერთგვარ საზოგადოებრივ ინსტიტუციად ვიქეცი, უფრო მეტიც, იძულებული ვიყავი სრულ განაკვეთზე მყოლოდა საკუთარი მდივანი. ეს ფუნქცია იტვირთა ჩემმა მეგობარმა ვლადიმერ ჰანზელმა. დამიჯერეთ, ეს ოპოზიციონერისათვის არ იყო ჩვეულებრივი ამბავი. მიუხედავად ამისა, არ მგონია, რომ მაშინ პიესების წერაში განსაკუთრებული შესვენება მქონდა. მეორეს მხრივ კი გადატრიალებამ იმ მომენტში მომისწრო, როდესაც ახალი

პიესა ნახევრად მქონდა დაწერილი, ისიც მხოლოდ პირველი, შავი ვერსია.

(4. 10. 1993)

(...)

5) დილით უნდა დავაფიქსირო ჩემი პოზიცია რუსეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. მოვიდნენ პან ს. და პან შ. და რაიმეს დავწერთ. პრემიერმა დამირეკა, შეხედულებების შეთანხმება უნდა. დავწერთ თუ არა, შევეხმიანებით. თუმცა, შესაძლოა, მანამდეც დარეკოს მან ან ზიელენიეცმა[8]. ასეთ შემთხვევაში გთხოვთ, დამაკავშიროთ. (...)

9) ლანიდან ჩემთვის მორთმეული ქარიყლაპია კი პანი მ.-მ ან ე.-მ გემრიელად მოამზადონ, ისე შეკმაზონ, რომ საპარლამენტო ხუთეულს დიდხანს არ დაავიწყდეს. (...)

(17. 10. 1993)

(...)

2) გთხოვთ, ვინმემ მომიმზადოს კოლთან საუბრის სრული ამონაწერი აუდიო ჩანაწერებიდან და პანი ბ.-ს მონიშვნებიდან. ვახშმის დროსაც ინიშნავდით რაღაცებს (იქ მნიშვნელოვანი აზრებიც გამოითქვა, მაგალითად, პოლონეთის შესახებ). ეს იქნება ზესაიდუმლო ამონაწერი მხოლოდ ჩვენთვის, რომელსაც გარეშე პირებს სერიოზული აწონ-დაწონის შემდეგ თუ გავაცნობთ.

3) უფრო მნიშვნელოვანია დაიწეროს ცენტრალური ევროპის პრეზიდენტების მოსაწვევი წერილების პირველი ვერსია. ამას ვითხოვ ივლისიდან, ახლა უკვე ბოლო ვადაა. შემდეგ კვირას უკვე მაგიდაზე უნდა მედოს გასასწორებლად. ასევე შემდეგ კვირას, ზიელენიეცისთვის განკუთვნილ წერილთან დაკავშირებული მასალებიც უნდა მედოს მაგიდაზე, წერილს შაბათ-კვირას დავწერდი (ვხვდები, როგორ უნდა დავწერო, ოღონდ მასალები მჭირდება, ვთქვათ ყოველ ლონისძიებასთან დაკავშირებით. ორიოდე სიტყვა მისი წარმოშობის, პოლიტიკური არსის, კავშირების შესახებ და ა.შ.).

4) ხვალ, ანუ კვირას, ვეცდები, დავწერო ვლადისლავის დარ-

8 იოზეფ ზიელენიეცი (Josef Zieleniec) – ჩეხეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1992-1997 წლებში.

ბაზში[9] 28 ოქტომბერს[10] და ფიცის დადების ცერემონიაზე წარმოსათქმელი სიტყვები. თუკი მოვასწარი, მყისვე გავუგზავნი კონსულტანტებს. (...)

(24.10.1993)

(...)

2) თან ვურთავ 28.10-ში ფიცის დადებისას სამხედროების მიმართ წარმოსათქმელ სიტყვას. (...) გთხოვთ, გადახედოს ლ.-მ, პან მ.-მ და გენერალმა ტ.-მ. მზად ვარ ჩემით შევასწორო ან შევათანხმო (ტელეფონით) მცირეოდენი შესწორებები. უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებს, თუ შეიძლება, ნუ შეიტანთ. როგორც კი მოწონებულ იქნება, ვთხოვ ვ.-ს, როგორც ყოველთვის, ამომიბეჭდოს დიდი ასოებით პატარა ბარათებზე და ნაშუადღევს გადმომცეს.

3) ვთხოვ ვ.-ს ჰკითხოს პან დ.-ს, არის თუ არა ვლადისლავის დარბაზში რაიმე პატარა პულტი, თუ არადა, უფრო შესაფერისი ხომ არ იქნება წარმოსათქმელი სიტყვა დიდ ფურცლებზე მქონდეს ან იქნებ ჯობია, რომ ამავდროულად ბარათებზეც იყოს. ასეთ შემთხვევაში, ვთხოვდი, ბარათებზეც ამობეჭდოს და ნაშუადღევს გადმომცეს. (...)

(14.11.1993)

(...)

3) თუ შესაძლებელია, შემოწმდეს, სათანადო წესის დაცვით გადაიცა თუ არა ლიტომიშლში მოსაწვევი წერილები და არის თუ არა მათზე პასუხი? არის თუ არა რაიმე ახალი კლინტონის ვიზიტთან დაკავშირებით? აქტივობა მომეთხოვება თუ უბრალოდ ველოდო? თავის დროზე საგარეო საქმეთა მინისტრმა მთხოვა მისთვის მეცნობებინა თუ რა უნდა იყოს საგარეო პოლიტიკის თერთმეტეულის პირველი შეხვედრის თემა. ვფიქრობ, ერთ-ერთი შემდეგი ორიდან:

---

9 ვლადისლავის დარბაზი – პრაღის სამეფო სასახლის მთავარი დარბაზი, აგებული არქიტექტორ ბენეშ ლონელის მიერ 1492-1502 წლებში. ყველაზე დიდი დარბაზია ცენტრალურ ევროპაში (62x16x13m). წარმოადგენს გვიანი გოთიკისა და რენესანსის სტილების შერწყმას. თავიდან იყო სატახტო დარბაზი. მოგვიანებით იცვალა ფუნქცია, ტარდებოდა საპარლამენტო სხდომები, სამეფო ინაუგურაციები და სხვა ცერემონიები. დღესდღეობით გამოიყენება მაღალი რანგის ცერემონიების ჩასატარებლად.

10 28 ოქტომბერი – 1918 წლის 28 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა კრებამ, რომლის თავმჯდომარეც იყო ა. რაშინი, ჩეხოსლოვაკია გამოაცხადა ავსტრო-უნგრეთის იმპერიისაგან დამოუკიდებელ რესპუბლიკად (იმპერატორ კარლოს I-ის, ჰაბსბურგის დროს).

ზარალის ანაზღაურება, დიალოგი სუდეტებთან[11] და საერთოდ, ურთიერთობა გერმანიასთან ან ჩვენი დამოკიდებულება ევროკავშირის, ნატოსა და ევროპის ინტეგრაციის საკითხების მიმართ. კარგი იქნებოდა მოეძებნათ ყველასათვის მისაღები ფორმულირება. აგრეთვე სასურველი იქნებოდა მინისტრისათვის და ზუსტებულად მიგვეწოდებინა ჩემი საგარეო პოლიტიკური საქმიანობის სამომავლო გეგმა (სლოვაკეთი უკვე იყო, მიუნხენი არ იქნება, პრეზიდენტები ლიტომიშლში მოპატიჟებული არიან, და ზუსტდეს უცხო ქვეყნების ხელმძღვანელების ჩამოსვლის, აგრეთვე ჩემი მგ ზავრობის თარიღები და ა.შ.). (...)

(12.12.1993)

(...)

3) კლინტონი. დაწერილი დოკუმენტი მშვენიერია. ვთხოვ პან ს.-ს და პან ვ.-ს, რაც შეიძლება სწრაფად – ანუ საორგანიზაციო ჯგუფის ჩამოსვლამდე – შეხვდნენ სსს[12]-ის წარმომადგენელს, ისაუბრონ მასთან ცნობილ საკითხზე, ბოლომდე განუმარტონ და შემდგომ შეიმუშავონ საერთო სტრატეგია საორგანიზაციო ჯგუფთან მოსალაპარაკებლად. მირჩევნია, თუ საჭირო არ იქნება, აღარ მქონდეს ურთიერთობა უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებთან, რადგან მათ საქმეში მხოლოდ არეულობა შემოაქვთ. ამასთან დაკავშირებით ვთხოვ პან ვ.-ს, დაუკავშირდეს ლადია კანტორს ან მიხაილ პროკოპს. თუ კლინტონმა ჯაზ-კლუბში საქსოფონზე დაკვრა მოისურვა, ისინი დაიკავებენ რედუტას[13], იპოვიან ვიკლიცკის, სტივინს, ჰამერსა და სხვა საუკეთესო ჯაზმენებს, რომლებთან დაკვრაც ერთი სიამოვნებაა (კანტორი საქმეში ლიტომიშლის ფილარმონიის ჩართვასაც გვპირდება). (...)

---

11 სუდეტი – ეწოდება ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის სასაზღვრო ზოლს (პოლიტიკური ტერმინია. გეოგრაფიულად სუდეტი საზღვრის მცირე მონაკვეთს ეწოდება), სადაც ოდითგანვე ცხოვრობდნენ გერმანელები და ჩეხები. 1938 წელს სუდეტი მიიერთა გერმანიამ და იქიდან ჩეხები გააძევა. 1945 წელს ჩეხეთმა დაიბრუნა ეს ტერიტორია და დაიწყო გერმანელების დეპორტაცია. საბჭოთა კავშირმა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, კანონიერად ცნო ეს პროცესი პოტსდამის მოლაპარაკებით. დეპორტაცია, ზოგიერთი შეფასების მიხედვით, ატარებდა გენოციდის ნიშნებს. საკონცენტრაციო ბანაკების მსგავსი თავშეყრის პუნქტებიც კი შეიქმნა. სულ გასახლდა 3 მილიონი (ქონება დაატოვებინეს) გერმანელი, დარჩენილებს უფლებები შეეკვეცათ (აეკრძალათ გერმანულად ხმამაღლა ლაპარაკი, ტროტუარებზე სიარული...). ამ პროცესებს ემსხვერპლა 18 816 სუდეტელი გერმანელი.

12 სსს – საგარეო საქმეთა სამინისტრო, ჩეხურად: MZV – Ministerstvo Zahraničních Věcí.

13 რედუტა – ცნობილი ჯაზ-კლუბი პრაღაში, მოქმედებს 1958 წლიდან.

12) ცუდი წინათგრძნობა მაქვს, რომ პრემიერს ენდომება საგარეო პოლიტიკისადმი მიძღვნილ თათბირზე, ტელეფონით ან რაიმე სხვა გზით, გავაცნო ჩემი საახალწლო გამოსვლა. არ მინდა წავაკითხო და თან ვერც იმას ვიტყვი, რომ ჯერ არ არის მზად. გთხოვთ, მოიფიქროთ ამ სიტუაციიდან თავის დასაღწევად შესაფერი ისეთი ხერხი, რომელიც არ იქნება ზედმეტად გამომწვევი.

13) დაგროვებული შენიშვნების გათვალისწინებით, საახალწლო სიტყვის საბოლოო ტექსტიც მზად არის. ბოლო ვერსიას თან ვურთავ. (...)

(18. 12. 1993)

(...)

7) დღეს (შაბათს) ჩემთან იყვნენ პან ლუქსი[14] და კალვოდა[15]. ვატყობ, დაძაბულობა კოალიციათაშორის მოლაპარაკებებზე მომავალ სამშაბათს შედარებით სუსტი იქნება. დავპირდი, თუ ძალიან გაჭირდა, მათ განკარგულებაში ვიქნები. ამიტომ, თუ მოინდომეს, გთხოვთ მისცეთ ჩემთან დაკავშირების საშუალება. გარდა ამისა, კარგი იქნებოდა მათგან რაიმე ხერხით გაგეგოთ ყველაფერი ის, რაც სამშაბათის კოალიციათაშორის და ოთხშაბათის სამთავრობო მოლაპარაკებების კულუარებს მიღმა ხდებოდა და გეცნობებინათ. ეს იმისთვის მჭირდება, რომ ჩემი საახალწლო გამოსვლა კარგად მოერგოს სიტუაციას. არ გამოიყურებოდეს უკვე ნათქვამის გამეორებად, რეაქციად ამწუთიერ ვითარებაზე და არც მეხის გავარდნად, არამედ იყოს საჭირო მომენტში გაჟღერებული „სახელმწიფო პროგრამა“ და შეძლებისდაგვარად იყოს დამოუკიდებელი მიმდინარე პარტიული ჭიდილებისაგან. (...)

9) პან დ.-ს კიდევ ერთხელ დაბეჯითებით ვთხოვ თვითონ გაემართოს ლიტომიშლში, ან ვინმე გააგზავნოს. უკვე ყველა პრეზიდენტი შეგვითანხმდა მონაწილეობის შესახებ, მეტიც, ფილარმონიაც გვთავაზობს თავის სამსახურს, სულ უფრო ცოტა დრო რჩება ამ საქმეების მოსაგვარებლად. (...)

---

14 იოსებ ლუქსი (Josef Lux) — ჩეხი პოლიტიკოსი, 1992-1998 წლებში იყო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და მინისტრთმოქმედების მინისტრი.

15 იან კალვოდა (Jan Kalvoda) — 1996-1997 წლებში მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და იუსტიციის მინისტრი (1997). მოგვიანებით სამართალმცოდნეობის დოქტორის ტიტულის (JuDr) უკანონო მითვისებით გამოწვეულ სკანდალთან დაკავშირებით მოუხდა ყველა დაკავებული თანამდებობის დატოვება.

(25. 12. 1993)

(...)

რომ შეიძლებოდეს, სიამოვნებით დავწერდი მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმეს თქმის გადაულახავ სურვილს ვიგრძნობ. ამ მდგომარეობას კი ძნელად თუ მივაღწევთ ხოლმე. მაგალითისათვის, ახლა დიდი სიამოვნებით დავწერდი ერთ საკითხთან დაკავშირებით, რომ არაფერი ვთქვა ინდოეთისა და ტაილანდის საკითხებზე, საკმარისად რთული თემაა. ეს გახლავთ, მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენს პოლიტიკაში „ჩეხუკელობის" მოვლენის (როგორც პოსტკომუნიზმის ჩეხური ვერსიის) ხელახალი გამოჩენის თემა. „ჩეხუკელობას" წარმოვაჩენდი არაერთი მაგალითით ჩვენი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკიდან. (...)

2) (...) ერთხელ შეცდომით კოლის ორი წლის წინანდელი თუ რაღაც ამის მსგავსი საახალწლო მიმართვა გადასცეს ეთერით. ეს ჩვენ ნამდვილად არ გვემუქრება, თუმცა, თუკი შესაძლებელია, გულწრფელად მივესალმებოდი, პან შ.-ს, ყოველი შემთხვევისათვის, ეთერში გაშვებამდე მაინც გადაევლო თვალი საბოლოო ვერსიისათვის. (...)

5) თუ არაფრით არ მოხერხდა კლინტონის ჩამოსვლასთან დაკავშირებით კომპრომისის მიღწევა ჩვენსა და სსს-ს შეხედულებებს შორის, საუკეთესო გადაწყვეტილებად მივიჩნევდი მიმეწერა მინისტრისათვის პრინციპული და შთამაგონებელი წერილი, რომელსაც ფაქსით გადმოგიგზავნიდით. ტელეფონით საუბარს ასე ჯობია და თანაც ერთადერთი საშუალებაა მათ ასამოძრავებლად. (...)

საინტერესო დამთხვევა: ეს-ესაა, ვენიდან დამირეკა თავადმა, ინფორმაციით მიხაელ ჟ.-სგან. (...) მიხაელი, ცოტა არ იყოს, შეწუხებული ჩანს სსს-ს პოზიციითა და ქმედებებით კლინტონის სტუმრობასთან დაკავშირებით და საერთოდ, ამის ირგვლივ შექმნილი სიტუაციით. ეს მხოლოდ მცირედი მინიშნებიდან ვიგრძენი. საბოლოოდ კი სხვა რამ არის მნიშვნელოვანი, მადლენი ინკოგნიტოდ ჩამოვა ამერიკის დელეგაციამდე ერთი დღით ადრე და უნდა, რომ ისადილოს (საიდუმლოდ) „ექვს თვალში" ჩემი და მიხაელ ჟ.-ს საზოგადოებაში. ვფიქრობ, ეს ფრიად მნიშვნელოვანია არა მარტო მთელი ვიზიტის შინაარსობრივი რეჟისურის მხრივ, არამედ იმიტომაც, რომ უეჭველად მივიღებ უახლეს ინფორმაციას ნატოს სამიტის მიმდინარეობის და აშშ-ს ცხადი თუ ფარული ჩანაფიქრების შესახებ. (...)

ოთხმოციან წლებში ამტკიცებდით (მომყავს ციტატა): „ვემხრობი პოლიტიკას, რომელიც მოდის გულიდან და არავითარ შემთხვევაში – რაღაც თეზისებიდან... ერთ ელექტრიკოსს მგზნებარე გულით შეუძლია იქონიოს გავლენა მთელი კაცობრიობის ისტორიაზე". გრძნობდით თუ არა უკვე მაშინ, რომ მთელი თქვენი გამონათქვამები გულის შესახებ ეწინააღმდეგება რეალურ პოლიტიკას, რომელიც პირიქით, პრაგმატული უნდა იყოს?

აზრის ყოველი გამოხატულება – სიტყვა, წინადადება თუ ცნება – ძირითადად, განპირობებულია სიტუაციით და საჭიროა მივიღოთ იმ კონტექსტთან კავშირში, რომელშიც გამოითქვა. თქვენ მიერ ციტირებული სიტყვები დავწერე ესეში, რომელიც შეეხებოდა ზნეობრივი პრინციპების პოლიტიკურ მნიშვნელობას ტოტალიტალურ საზოგადოებაში. და მართლაც, იქ სოლჟენიცინის მხოლოდ ერთ გაბედულ სიტყვას შეიძლება მეტი პოლიტიკური ძალა გააჩნდეს, ვიდრე მილიონობით ამომრჩევლის ხმას დემოკრატიულ საზოგადოებაში. ეს ისე, გაკვრით. მთავარი კი ის გახლავთ, რომ დღემდე ძველ აზრს ვემხრობი. სახელდობრ, ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე არაერთგზის მქონია საშუალება დავრწმუნებულიყავი რაოდენ მნიშვნელოვანია, დემოკრატიულ საზოგადოებაშიც კი, რომ პოლიტიკა არ იყოს უბრალოდ ძალაუფლების შენარჩუნების ტექნოლოგია, არამედ წარმოადგენდეს ხალხის სამსახურს, რამდენადაც შესაძლებელია უანგაროს, გარკვეულ იდეალებზე დაფუძნებულს, რომელიც ზრუნავს ჩვენზე მაღლა მდგომ ზნეობრივ პრინციპებზე, ხელმძღვანელობს კაცობრიობის გრძელვადიანი ინტერესებით და არა მხოლოდ საზოგადოების წუთიერი სურვილებით. მსახურებას, რომელიც უარს აცხადებს ამა თუ იმ კერძო და პრაგმატული ინტერესების სათამაშოდ გადაქცევაზე, რომელთა უკანაც საბოლოოდ იმალება მხოლოდ ერთი რამ: მცდელობა ნებისმიერ ფასად საჭესთან დარჩენისა. ცხადია, ერთია განყენებული მსჯელობა და მეორე – პოლიტიკაში რაიმე კონკრეტული შედეგის მიღწევა. ამას ვაღიარებ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკა

უნდა შეელიოს ყოველგვარ იდეალებს, უარი თქვას „გულზე" და იქცეს საკუთარ ინტერესებზე დამიზნებულ რაღაც ტექნოკრატიულ მოძრაობად.

სხვათა შორის: თუ გავიხსენებთ ლეხ ვაუენსასა[16] და მიხეილ გორბაჩოვს, რომლებმაც თქვენთან ერთად, ალბათ ყველაზე აშკარა კვალი დააჩნიეს მოვლენებს მე-20 საუკუნის ბოლოს, შევამჩნევთ, რომ მათ თანამოქალაქეების დიდი მადლიერება არ ხვდათ წილად. თქვენი აზრით, რატომ არის მადლიერება ფასეულობა, რომელიც პოლიტიკას არ ახასიათებს? რატომ ახასიათებს პოლიტიკას სწრაფად დავიწყების ფენომენი?

არ ვიცი, არის თუ არა ეს კანონზომიერება. ჩვენ ხომ საწინააღმდეგო შემთხვევებიც გვაქვს. მოღვაწე, რომელსაც მთელი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში მკაცრად აკრიტიკებენ, წლების – განსაკუთრებით გარდაცვალების – შემდეგ, შესაძლოა, თითქმის გააღმერთონ და მის მიმართ ერთი კრიტიკული სიტყვის დაცდენაც კი დაუშვებელი გახდეს. ასეა თუ ისე, დავიწყების, მეტიც, უმადურობის ფენომენი პოლიტიკაში მართლაც გვხვდება და გააჩნია ან შეიძლება გააჩნდეს არაერთი მიზეზი. მაგალითისთვის: თანამედროვე მედია ცოცხლობს დღევანდელი დღით, ერთი მიმზიდველი სათაურიდან მეორემდე და რა გასაკვირია, თუ დღევანდელობამ ისე გააბრუა, რომ გუშინდელი დაავიწყა, მიუხედავად იმისა, როგორი იყო ეს გუშინდელი. მეტიც, ვიტყოდი, რომ ხანდახან გაუსაძლისად, ჭირვეულ გოგონასავით იქცევა. ახლა, ვამბობ რა ამას, ჩეხეთის რესპუბლიკას ჰყავს მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც მედიამ უკვე კარგა ხანია ყველაზე პოპულარულ კაცად აქცია მხოლოდ იმისთვის, რომ ცოტა ხნის წინ, სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ყველაზე აუტანელ ადამიანად დაენახვებინა ჩვენთვის და ეს მაშინ, როდესაც არც ერთი და არც მეორე დიდად არ შეე-

16 იმის გათვალისწინებით, რომ პოლონური ასოები ł და ę შესაბამისად იკითხება როგორც „ოუ" და ცხვირისმიერი „ნ", პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის გვარის Wałęnsa სწორი წაკითხვა იქნება ვაუენსა და არა ჩვენში შეცდომით დამკვიდრებული ვალენსა.

საბამება მის რეალურ ღირსებებსა და ნაკლებს. შემდეგ: ზოგიერთი პოლიტიკოსი – მოვლენათა ხელსაყრელი განვითარების პირობებში – საკვანძო როლს შეასრულებს ხოლმე გარკვეულ ხანმოკლე პერიოდში, როდესაც, როგორც ამბობენ, ზენიტშია. ხოლო ის, რასაც მანამდე ან მერე აკეთებდა, შესაძლოა, სულაც არ იყოს გამორჩეულად საინტერესო. და განა გასაკვირია, რომ ზოგჯერ ხანგრძლივმა და არცთუ ისე საინტერესო ცხოვრებამ მეხსიერებიდან ამოშალოს ერთი ხანმოკლე პერიოდის დამსახურება? არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ ბევრი პოლიტიკოსი – ცხადია, თავისდა უნებლიეთ – ყველაფერს აკეთებს, რათა ხალხს თავი შეაზიზღოს, მაგალითად, უაზროდ იბღინძება. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ვინმეს ნამოღვაწარი, ვისაც დღეს უკვე აღარ აქვს ფუნქცია, შეუმჩნევლად ამოშლილია ისტორიიდან მისი შთამომავლების ან იმათ მიერ, ვინც ძველი ხელისუფლების სიმპათიას მოქმედი ხელისუფლების კეთილგანწყობას არჩევს. თავის როლს ისიც ასრულებს, რომ პოლიტიკა მოღვაწეობის, ცოტა არ იყოს, თავისებური სფეროა: იშვიათად ხდება, რომ პოლიტიკოსმა მიაღწიოს ადვილად დასანახ და მართლაც ცალსახად მნიშვნელოვან მიზანს, რაც ერთხელ და სამუდამოდ შეუძლია მიითვალოს უეჭველ დამსახურებად. სინამდვილეში კი ვითარება ალბათ უფრო საპირისპიროა და უსასრულოდ წელვად ცომს წააგავს. ადამიანს თითქმის არასოდეს არ ეძლევა საშუალება, რომ თქვას: „მიზანი მიღწეულია, შემიძლია ამოვშალო სიიდან და გადავერთო სხვა საქმეებზე“. გარდა ამისა, არ არის მოულოდნელი, რომ უფრო იმათ ივიწყებენ, ვინც სიმშვიდის, სტაბილურობისა და წესრიგის ხანაში მოღვაწეობდა, ვიდრე იმათ, ვინც, გარკვეული აზრით – გარდატეხის პერიოდში. ამავდროულად, მეორეხარისხოვანია რა (დადებით თუ უარყოფით) როლს ასრულებდნენ ისინი მოღვაწეობისას. მაგრამ თქვენ ახსენეთ გორბაჩოვი. ეს განსაკუთრებული და თავისებურად ტრაგიკული შემთხვევაა. შეეცადა წამოეწია სახურავი, რათა ქოთნიდან ცოტაოდენი ორთქლი გამოეშვა. ცხადია, აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ერთგზის წამოწეული სახ-

ურავი შეიძლება სამუდამოდ გადავარდეს გადამეტებული წნევის გამო და კიდეც უნდა გადავარდეს. მისი ისტორიული დამსახურება უზარმაზარია, თუმცა კომუნიზმი მის გარეშეც დაინგრეოდა, მაგრამ, შესაძლოა, ათი წლით გვიან და ღმერთმა იცის, რა მხეცური ან სისხლიანი გზით. მიუხედავად ამისა, გასაგები მიზეზების გამო არ არის და არც შეიძლება, რომ მისი ეს ღვაწლი საუკეთესო საგზური იყოს პოლიტიკური მოღვაწეობისათვის სავსებით ახალ (მეტიც, თავიდან მისთვისვე სრულებით არასასურველ) ვითარებაში.

(16. 1. 1994)

(...)

1) ვაგ ზავნი ინდოეთში წარმოსათქმელი სიტყვის ახალ ვერსიას. დიდი თხოვნა მექნებოდა პან შ.-სთან, იქნებ გაასწოროს მოსალოდნელი გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომები (ინდური სახელები). (...)

2) ჩემს პროგრამაში ვკითხულობ, რომ რექტორის დანიშვნის ცერემონია მელოდება. უნდა წარმოვთქვა ამასთან დაკავშირებით სიტყვა? დაწერილი თუ იმპროვიზებული? მადლობელი ვიქნები დროულად მოწოდებული ცნობებისათვის, რომ მერე დაწერა მოვასწრო. თუკი ამასთან დაკავშირებით ვინმეს რაიმე ინფორმაცია ან მოსაზრება გააჩნია, მომწეროს.

3) მთავრობაში უკვე ამ კვირას უნდა იყოს ცნობა ჩემი ევროპარლამენტში გამგზავრების შესახებ. იქ, ცხადია, მექნება საფუძვლიანი გამოსვლა, რომელიც ასევე დროულად უნდა მოვამზადო. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მინდა მქონდეს სსს-საგან, გარდა სტანდარტული სიტყვისა, დროულად (!) ქაღალდზე (!) სამინისტროს შეხედულება იმის შესახებ, რაც იქ უნდა წარმოვთქვა. სსს-მ ხომ თვითონ მოიგონა და შემომთავაზა ეს ვიზიტი. (...)

6) ტაილანდში წარმოსათქმელი სიტყვა უკვე დავწერე, ძირითადად სლამნიკზე გამართული საღამოს შემდეგ ცუდი ფსიქოფიზიკური მდგომარეობით გამოწვეული დროის უკმარისობაში. სხვა მხრივ საღამო მშვენიერი იყო და ჩემთვის განსაკუთრებულ შინაარსს ატარებდა. (...)

(23. 1. 1994)

(...)

1) მოვახერხე (რაც ძალიან მიკვირს) სამი პატარა ტექსტის დაწერა: რექტორის დანიშვნაზე წარმოსათქმელი, ტაილანდში წარმოსათქმელი და მიმართვა თეატრის დღესთან დაკავშირებით. საერთო მათ ის აქვთ, რომ სამივე საჩქაროა. ამიტომ ჰრადის თანამშრომლებს ვთხოვდი ორშაბათისთვის გამოითავისუფლონ დრო, რათა ამ ტექსტებს კარგად გაეცნონ და ჩაურთონ შენიშვნები, რომლებსაც უკვე სამშაბათს ჩემით დავამუშავებ. (...)

(5. 2. 1994)

(...)

3) ჰრადეჩეკში, ძირითადად, მინდა ვწერო სიტყვა ევროპარლამენტისათვის. არ გამოვრიცხავ, რომ ინგლისურად წავიკითხო, ცხადია, თუკი დროულად ითარგმნა და პანი მ.-მ მის წარმოთქმაში წამავარჯიშა. (...)

4) მეორე თემა, რომლის დამუშავებაც უკვე დავიწყე და რომელსაც რაიმე დასრულებულ სახეს (სტატია?) სიამოვნებით შევძენდი, არის საარჩევნო სისტემა თვითმმართველობის ერთეულებისთვის. ამისთვის მჭირდებოდა, რომ დოქტორმა ხ.-მ დოქტორ კ.-ს გამოსტყუოს ოდესღაც შეპირებული ექსპერტიზა. დავალება დაახლოებით ასეთია: სამხარეო მუნიციპალიტეტს უნდა ჰყავდეს თხუთმეტიდან ოცდაათამდე წევრი (შესაბამის მხარეში, მოსახლეობის რიცხვის მიხედვით). კარგი იქნებოდა ვიცოდე შესაძლებელია თუ არა, რომ მუნიციპალიტეტი არჩეულ იქნას კომბინირებული სისტემით, რომელიც თავის დროზე დოქტორ კ.-ს მიერ საპარლამენტო არჩევნებისათვის იყო შემოთავაზებული. წესით, შესაძლებელი უნდა იყოს, ოღონდ ყოველი მხარე უნდა დაიყოს შესატყვისი რაოდენობის ერთმანდატიან უბნებად, რომლებიც – თუ სწორად ვანგარიშობ – სამჯერ უფრო პატარა იქნება, ვიდრე სენატის საარჩევნო უბნები. ეს კი უნდა ნიშნავდეს ამომრჩევლებსა და მათ წარმომადგენლებს შორის კარგი ურთიერთკავშირის შესაძლებლობას.

(17. 2. 1994)

(...)

1) ვიზიტის კონცეპტუალური, პოლიტიკური და ორგანიზაციული მომზადებით, ისევე როგორც მისი მსვლელობით, უზომოდ

კმაყოფილი ვარ. ვიზიტს გააჩნდა ყველაფერი ის, რასაც გამუდმებით მოვითხოვდი ანუ იდეა, ეთიკა, არქიტექტურა, სტილი... გასაგებია, რომ მათ სამზარეულოსა და შინაურ საქმეებში კარგად ჩახედული არ ვიყავი, მიუხედავად ამისა, ვიზიტს ვუყურებ როგორც მშვენივრად ორგანიზებულსა და კარგად ჩატარებულს, რომელმაც გადააჭარბა თავისი მიმდინარეობითა და მნიშვნელობით ჩემს ყოველგვარ მოლოდინს. ამდენად, კიდევ ერთხელ გამოვთქვამ კმაყოფილებას და მადლიერებას რპკ[17]-ს ყველა იმ თანამშრომლის მიმართ, რომელმაც ეს დაიმსახურა. აღარ გავაგრძელებ და პირდაპირ გადავერთვები ზოგიერთ წვრილმანზე, რომლებთან დაკავშირებითაც მაქვს კრიტიკული შენიშვნები ან შინაგანი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა.

2) გასაგებია, რომ ყოველი ზედმეტი მონაწილე ვიზიტს ართულებს. ამიტომ ვკითხულობ, ბევრნი ხომ არ ვიყავით? ამავდროულად, თითქოს ვერ ვიხსენებ ვერავის, ვინც ზედმეტი იყო. პან ს. და პან შ. პოლიტიკურ თანხლებას მიწევდნენ, ყველგან დამყვებოდნენ, ყველაფერს იწერდნენ, ყველაფრის მოწმობა გააჩნიათ. სტაშეკი ჩვენი ექსპედიციის სული იყო, როგორც ალბათ ერთადერთი მცოდნე იმ სამყაროსი, რომელსაც ვეწვიეთ. პან შ. მშობელივით ზრუნავდა პრესაზე, რაც ყველამ დააფასა. ს. ჩემზე ზრუნავდა. პროტოკოლიდან სამნი იყვნენ. ვილაცამ თქვა, რომ ზუსტად სამი იყო საჭირო, ვილაცა ფიქრობდა, თითქოს ორიც გვეყოფოდა. ამაზე მსჯელობა არ შემიძლია. ივა ოლგაზე ზრუნავდა, ორი თარჯიმანი აუცილებელი იყო, ორი ექიმიცო, ამბობენ (მაშინ, როდესაც ისევ იმ აზრზე ვარ, რომ ერთიც საკმარისი იქნებოდა).

3) მინისტრებთან და მათ ამალასთან თანამშრომლობის საკითხი, უმჯობესია სიტყვიერი გარჩევისათვის შემოვინახო. კოჩარნიკმა და სებალამ ბევრი საქმე გააკეთეს და სირთულეები არ შეუქმნიათ, უპრობლემოები იყვნენ. მათი თანაშემწეები რას აკეთებდნენ არ ვიცი, თუმცა შესაძლოა რაიმე მნიშვნელოვანს აკეთებდნენ კიდეც, სიამოვნებით დავიჯერებდი ამას. ზიელენიეცთან დაკავშირებით საქმე უფრო რთულად იყო. პოლიტიკური თანამშრომლობა მასთან კარგად გამომდიოდა, მცირედი უთანხმოებაც კი არ გვქონია, პირიქით, კარგად ვავსებდით ერთმანეთს. სხვა მხრივ კი საკმაოდ ორაზროვან როლს ასრულებდა (ზურგს უკან ყველა გაჭორა რპკ-ში. პატარ-პატარა მახის დაგება, მის თანმხლებთა გაუგებარი როლი,

17 რპკ – რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარია, ჩეხურად KPR – Kancelář Prezidenta Republiky.

მისი დროგამოშვებითი უხასიათობა იმ მიზეზით, რომ ჩემს ჩრდილში იმყოფება, არასაკმარისი კომუნიკაბელურობა, მცდელობები გამხდარიყო უფრო თვალშისაცემი და მისთ.). მეტიც, კულისებს მიღმა ცდილობდა კოჩარნიკსა და საბელაზე უარყოფითი გავლენის მოხდენას (რომ მასავით ჩემს ჯინზე ემოქმედათ ხოლმე და რპკ-ს წინააღმდეგ ყოფილიყვნენ განწყობილი).

4) ტაილანდის მთავრობის თავმჯდომარესთან მიღებაზე მთელი მთავრობა იყო მისული, საპარლამენტო ლიდერები, მთელი დიპლომატიური კორპუსი, არმიის ხელმძღვანელობა, უმაღლესი სასამართლო, ბანკირები, ბიზნესმენები და ა.შ., ერთი სიტყვით, ყველა, ვინც ამ ქვეყანაში რაიმეს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, შევამჩნიე, რომ ჩეხები იდგნენ და საუბრობდნენ ძირითადად ისევ ჩეხებთან. ეს ძალიან უხერხულად, მეტიც, შეიძლება ითქვას, გოიმურად გამოიყურებოდა.

რპკ-დან ზოგიერთი თავს განაწყენებულად იგრძნობს, რადგანაც მასპინძლებსაც ესაუბრებოდა. ნუ განაწყენდება, გამონაკლისი კანონზომიერებას ადასტურებს. ცხადია, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ მე გადავიტანე ის კოშმარი, რომ საითაც არ გავიხედე, ვხედავდი ათობით ტაილანდელს შორის მდგარ და ერთმანეთში მოსაუბრე ჩეხებს, ან სულაც განმარტოებულებს. (...)

5) როგორც ყველას მოგეხსენებათ, მიყვარს რესტორნები, ვარ ცნობისმოყვარე და ვერაფრით გამაკვირვებს კაცი. ამიტომაც, როდესაც მივაბიჯებდი ბანგკოკის განთქმულ ავენიუზე, რომელიც თქვენც ყველამ კარგად იცით, გული მეწვოდა, ეროტიკული გართობის ქუჩებს რომ ჩავუვლიდი ხოლმე. ერთხელ ცხოვრებაში რა სიამოვნებით დავხედავდი იქაურობას! მაგრამ ვიცოდი, რომ მეფის სტუმარი ვარ, რომ მეფე ინფორმირებულია ჩემი ყოველი ნაბიჯის შესახებ, რომ თავს ამის უფლებას, უბრალოდ, ვერ მივცემ და მორჩა. და აი, რატომ ვლაპარაკობ ამაზე: არ მიმაჩნია მისაღებად ის, რომ მთელმა ჩემმა დელეგაციამ, ფინანსთა მინისტრის თაოსნობით, მოინახულა ხსენებული ადგილები. (...) მეტიც, ფოტოებიც გადაიღეს. (...) რას ფიქრობს ამაზე ტაილანდის მეფე, არ ვიცი. (...)

(21. 2. 1994)

(...)

5) ფსიქო-ფიზიკურმა მდგომარეობამ არ მომცა საშუალება დამეწერა ევროპარლამენტში გამოსასვლელი სიტყვა. მიუხედავად

ამისა, ყურადღებით წავიკითხე ამასთან დაკავშირებით მიღებული მთელი მასალა. სხვადასხვა რჩევიდან და შემოთავაზებული სიუჟეტიდან საკმაოდ ნათელი წარმოდგენა შემექმნა იმის თაობაზე, თუ რა უნდა ითქვას: ევროპა, როგორც პოლიტიკური რეალობა, რომელიც ეძებს თავისი არსებობის ახალ (ძალადობის გარეშე) გზებს. დასავლეთი და აღმოსავლეთი. ინტეგრაციის სულიერი (არა ტექნოკრატიული) მხარე. პრობლემა კი მხოლოდ ისაა, რომ ამის თაობაზე უკვე არაერთგზის დამიწერია და მილაპარაკია. არა უშავს? შემდეგ მაქვს შეკითხვა: თუ შემიძლია იქ წარვადგინო ზოგიერთი ჩემი წინადადება? ევროგაერთიანებისა და ევროკავშირის დოკუმენტების კითხვისას დავრწმუნდი, ეს უზარმაზარი და ურთულესი პაკეტია, ცარიელი ადმინისტრაციული ხლართები, ამის გაგებას პროფესიონალი თუ შეძლებს და ვერასოდეს – ჩვეულებრივი მოქალაქეები. ეს პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ უნდა შეიქმნას ევროკავშირის ქარტია, თავისი მარტივი და გასაგები კონსტიტუციით, რომელიც ამ დოკუმენტებს მისცემდა ერთიან სახეს და გარკვეულობას (და არ შეცვლიდა). აგრეთვე ვფიქრობ, რომ ევროკავშირს ევროპის ძველი დიდი იმპერიებისაგან განსხვავებით, დღესდღეობით არ გააჩნია ერთიანი და გამოკვეთილი ხელმძღვანელი, რის გამოც გვევლინება უწესრიგოდ გადახლართული ინსტიტუტებისა და ორგანოებისგან შემდგარ გაურკვეველ და ამორფულ არსებად. ცხადია, ეს ალბათ მოითხოვს პრეზიდენტის ფუნქციას (რაკი უკვე ველარ იქნება იმპერატორი), შესაძლოა, წმინდად რეპრეზენტატული სახის, რომელიც, მიუხედავად ამისა, იქნებოდა მთელი ამ სტრუქტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. პრეზიდენტის შემოთავაზება შეუძლია ევროპის საბჭოს, არჩევა კი – პარლამენტს. ევროკავშირი ალბათ უფრო კონფედერაციული სახის იქნება და ასეთ შემთხვევაშიც ესაჭიროება გამოკვეთილი ხელმძღვანელი ორგანო, მისი უმაღლესი წერტილი. ევროკავშირს გააჩნია მხოლოდ კოლექტიური ორგანოები და გარდამავალი ფუნქციები, ეს ტიპური მოვლენაა დაშლის პირას მდგომი ქვეყნისათვის (იუგოსლავია). შეიძლებ ასეთი იდეების იქ გამოთქმა არც ღირდეს, ახლა მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ ეს-ეს არის აზრად მომივიდა. ასეა თუ ისე, შემდეგ უიკენდამდე, როდესაც წერას უნდა შევუდგე, მინდა მივიღო რჩევები. (...)

(27. 2. 1994)

1) თან ვურთავ ევროპარლამენტში წარმოსათქმელ სიტყვას. (...) შენიშვნების მონოდების საბოლოო ვადაა ორშაბათის ნაშუადღევი, რათა საჭიროების შემთხვევაში ორშაბათ სალამოს შევასწორო და ტექსტის საბოლოო ვარიანტი სამშაბათ დილას გავუგ ზავნო ჰრადს[18]. (...)

5) და კიდევ, რაც შეეხება მგ ზავრობას რომსა და სტრასბურგ-ში: თავიდან წარმომედგინა პატარა სამუშაო და არა უ ზარმა ზარი სახელმწიფო ვი ზიტი, რომ ყველანი და პლუს რამდენიმე ჟურნა-ლისტი ჩავეტეოდით ჩელენჯერში. ცოტა არ იყოს, განვცვიფრდი, როდესაც გავარკვიე თუ რამდენნი ვართ და რომ ისევ იმ დიდი გველეშაპით უნდა ვიფრინოთ. თავი დავაქნიე, რაღა უნდა მექნა მაშინ, როდესაც ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო და მეტიც, როდესაც განმიმარტეს თუ რაოდენ აუცილებელია ყველა მათგანის მონაწილეობა. ახლა ამის შეცვლა ალბათ უკვე შეუძლებელია, თუმ-ცა ღიად ვაცხადებ, რომ მე ეს უფრო და უფრო მაწუხებს. ბოლოს და ბოლოს, უნდა ვისწავლოთ მცირერიცხოვანი დელეგაციებით ფრე-ნაც! მაგალითად D-დღე ზე, აუცილებლად ჩელენჯერით და თანაც მინიმალური დელეგაციით, მინდა გაფრენა. ჩემს თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ რამდენიმე ფუნქციის შეთავსება, ერთიმეორის შეცვლა, უნდა იცვლებოდნენ და ის, ვინც ვი ზიტში მონაწილეობ-და, ამომწურავ ანგარიშს უნდა ადგენდეს, რათა თავისი პირადი გამოცდილების გა ზიარებით სხვებსაც შეეწიოს. რაც უფრო დიდია დელეგაცია, მით მეტი უნდა ი ზრუნოს საკუთარ თავ ზე და მეტი დამ-ატებითი წევრი ესაჭიროება – და იმდენადვე უფრო ძვირი ჯდება ვი ზიტიც. ველოდები, რომ მთავრობა, რომელსაც, როგორც კარ-გადაა ცნობილი, დიდად არ ვუყვარვარ, ადრე თუ გვიან ყურადღე-ბას მიაქცევს ჩემი დელეგაციების მრავალრიცხოვნებას. (...)

(ვაშინგტონი 9. 4. 2005)

გუშინ ტელევი ზიით თვალყურს ვადევნებდი პაპის დაკრძალვას. ეს გრანდიო ზული და სულისშემძვრელი სანახაობა იყო. პაპს ვიცნობ-

18 პრაღის ჰრადი (კრემლი) – ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც ისტორიულად წარმოადგენდა სამეფო პირებისა და პრაღის ეპისკოპოსის ადგილსამყოფელს. კომპლექსს საფუძველი ჩაეყარა დაახლოებით 880 წელს, თანამედროვე სახე მიიღო მე-18 საუკუნის ბოლოს, უკანასკნელი დიდი რეკონსტრუქციის შემდეგ. დღეს-დღეობით წარმოადგენს ისტორიულ ღირსშესანიშნაობას, რომლის გარკვეული ნაწილიც უჭირავს ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიას.

დი. მეტიც, გავბედავდი და ვიტყოდი, რომ მეგობრებიც კი ვიყავით, ზუსტად ამიტომ არ შემეძლო რაღაც განსაკუთრებულად მეგლოვა. პირდაპირ ფიზიკურად ვგრძნობდი, რომ დიდი სიმშვიდით სული გარდადის იქით, საითაც – როგორც იცოდა – მიემართებოდა: უკეთეს სამყაროში. ამერიკა მართლაც, ცოტა არ იყოს, განსაკუთრებული ქვეყანაა. ძალიან ღვთისმოსავია და ამავდროულად შეუძლია აიტანოს პაპის გასვენების ტრანსლაციის გაწყვეტა რეკლამით, რომელიც განსახიერებაა ყოველივე იმისა, რასაც პაპი მთელი ცხოვრება აკრიტიკებდა. ეს ძნელი გასაგები იყო ჩემთვის, სულ უფრო მეტად ვწუხდი, სანამ, ბოლოს და ბოლოს, არ გამოვრთე ტელევიზორი.

ვისთან და როგორ საუბრობდით ხოლმე პოლიტიკაზე 1989 წლამდე და ვინ იყო თქვენი ყველაზე დიდი ოპონენტი? არსებითად რის შესახებ კამათობდით?

ჩეხოსლოვაკიის ანტიტოტალიტალურ ოპოზიციაში, ანუ პირველ რიგში, ქარტია 77-ში, ურთიერთგანსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის ხალხი გვხვდებოდა: ტროცკისტებიდან დაწყებული, რეფორმატორი კომუნისტებით დამთავრებული, სხვადასხვა შეხედულების მქონე სოციალისტები, ისინი, ვინც ლიბერალიზმს, ქრისტიან-დემოკრატიას ან კონსერვატიზმს ემხრობოდნენ და ვინც საერთოდ უარს აცხადებდა ყოველგვარ მზა პოლიტიკურ შაბლონში მოქცევაზე. ცხადია, ვკამათობდით, ზოგჯერ გაცხარებითაც კი, მაგრამ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, საერთო მტრისა და ადამიანის უფლებების იდეაზე დაფუძნებული საერთო ანტიტოტალიტალური პროგრამის არსებობამ მოგვცა ის, რომ გარკვეულ ძირეულ საკითხებთან დაკავშირებით, ყველანი ერთ მხარეს ვექაჩებოდით ბაწარს. ამდენად, ეს პოლიტიკური დებატები არასოდეს იწვევდა მონაწილეებს შორის ანტიპათიას, მტრობასა და ერთმანეთთან ჩხუბის სურვილს. მაგალითისთვის, კარგად მახსოვს დაუსრულებელი პოლიტიკური კამათი ორ ყველაზე აქტიურ ქარტიისტს, კათოლიკე კონსერვატორ ვაცლავ ბენდასა და დიდ მემარცხენეს, პეტრ უჰლას შორის: ისინი ჩვენს დისიდენტურ შეხვედრებს ინტერესსა და ინტრიგას სძენდნენ დაზოგჯერ

დიდი დაძაბულობის შემომტან დეკორაციას წარმოადგენდნენ. მე კი ჩვევად მქონდა ერთგვარი ეშმაკის ადვოკატობა, ანუ არგუმენტები მომყავდა უფრო იმის საწინააღმდეგოდ, ვინც შედარებით მყარად იდგა, იშვიათად პირიქით.

(ვაშინგტონი 9. 4. 2005)

ორი დღის წინ სამუშაო ვიზიტით აქ იმყოფებოდა უკრაინის ახალი პრეზიდენტი, იუშჩენკო. მივიღე ძალიან თბილი მიპატიჟება ერთ-ერთ დიდ შეხვედრაზე, სადაც საპატიო სიტყვა უნდა წარმომეთქვა. მოკლედ ვთქვი ის, რასაც უკვე დიდი ხანია ვფიქრობ: კომუნიზმის, ან სხვაგვარად, კომუნისტური ტიპის ტოტალიტალური სისტემის დაცემის შემდეგ, საბჭოთა ბლოკის ქვეყნების უმეტესობაში დადგა გარკვეული გარდამავალი ფაზა, რომელსაც, როგორც სამუშაო ვერსია, შეიძლება ვუწოდოთ პოსტკომუნიზმი. ეს არის უპრეცედენტოდ სწრაფი და მასშტაბური პრივატიზაციის ხანა, რომელიც არ იყო შეზღუდული ძლიერი და ქმედითი საკანონმდებლო ჩარჩოებით და რომლის მიმდინარეობაზეც, ცხადია, უზარმაზარ გავლენას ახდენს ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა თუ ძველი კომუნისტური წარმოების ხელმძღვანელობა. მათ გააჩნიათ შესაბამისი კონტაქტები და ინფორმაცია (ბუნებრივია, რომ ადამიანი, რომელიც ამ წრეებს არ ეკუთვნოდა, მოკლებულია მსგავს ინფორმაციასა და კონტაქტებს), რაც მათ ბიზნესმენთა ახალი ფენის ბირთვად ან, ყოველ შემთხვევაში, გავლენიან ნაწილად აქცევს. ლაპარაკია ადამიანებზე, რომლებმაც კარგად იციან, რომ დემოკრატია სიტყვისა და პოლიტიკური შეხედულებების თავისუფლებას ნიშნავს და მიუხედავად ამისა, ძალიან მოხერხებულად შეუძლიათ ეს თავისუფლება მოაქციონ გარკვეულ ჩარჩოებში. სისტემა, რომლისკენაც მიისწრაფვიან, არ არის ლია, პირიქით, აქვს ტენდენცია თავის თავში ჩაიკეტოს. შეუმჩნეველად ერთიანდებიან პოლიტიკური, ეკონომიკური ძალები და პრესა. იბადება წარმონაქმნი, რომელსაც დიდი ხნის წინ შევარქვი მაფიოზური კაპიტალიზმი და წარმატებით შეიძლება ვუწოდოთ მაფიოზური დემოკრატიაც (ვიმოწმებ ზაკარიას[19] მიხედვით დემოკრატიისა და

19 ფარიდ ზაკარია (Fareed Zakaria) – ამერიკელი მწერალი და ჟურნალისტი, წარმოშობით ინდოელი, რომელიც ძირითადად საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მოღვაწეობს. მის კალამს ეკუთვნის 2003 წელს გამოსული წიგნი „თავისუფლების მომავალი" (The Future of Freedom), რომელიც გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცა.

თავისუფლების კლასიფიკაციას ან პოპერის[20] ღია და ჩაკეტილი პოლიტიკური სისტემების ანალიზს). ყოველ ქვეყანაში, რომელმაც თავიდან მოიშორა კომუნიზმი, პოსტკომუნიზმს განსხვავებული სახე აქვს, მაგრამ ცოტა ვინმე თუ დაუძვრა ამ მოვლენას სავსებით. თუმცა დრო მირბის, ახალი თაობები იზრდებიან, საზოგადოების მოთმინების ფიალაც ივსება. შემდეგ მოდის ახალი თაობის რევოლუცია ანუ – უფრო ზუსტად – თავდაპირველ რევოლუციონერთა საქმე სრულდება. ამჯერად ანგარიშსწორება ხდება უკვე პოსტკომუნიზმთან (რა გაგებითაც უკვე ვახსენე), და არა კომუნიზმთან. და რადგანაც ყოველ ქვეყანაში პოსტკომუნიზმს, ცოტა არ იყოს, განსხვავებული სახე აქვს, მათ წინააღმდეგ პროტესტის ფორმებიც საკმაოდ განსხვავდება ხოლმე: ერთგან ამან შეიძლება ამომრჩეველთა ხმების საოცარი გადახრა გამოიწვიოს (სლოვაკური ანგარიშსწორება მეჩიარიზმთან[21]), სხვაგან კი – საყოველთაო მშვიდობიანი დემონსტრაციების გზით ზეწოლისა (საქართველო, უკრაინა). უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის განსაკუთრებული როლი მხოლოდ ის არაა, რომ განხორციელდა საბჭოთა იმპერიის ასეთ დიდსა და მნიშვნელოვან ქვეყანაში და რომ აუცილებლად იქნება შთამაგონებელი მაგალითი ჯერ კიდევ აქამდე პოსტკომუნიზმით წამებული სხვა მრავალი ქვეყნისათვის, არამედ სხვა, შეიძლება უფრო მნიშვნელოვან საკითხშიც კი: ამ რევოლუციამ უპასუხა აქამდე ღიად დარჩენილ შეკითხვას, სად მთავრდება დღევანდელი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი დიდი არეალი (ე.წ. დასავლეთი) და სად იწყება მეორე არეალი (ე.წ. აღმოსავლეთი, ანუ ევრაზია). მაგონდება, იუშჩენკოსთან შეხვედრისას მოვყევი კიდეც, როგორ შემეკითხა ერთი ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი, რომელ არეალს ეკუთვნის უკრაინა. შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ეკუთვნოდა იმ არეალს, რომელსაც ჩვენ დასავლეთს ვეძახით. თუმცა

20 კარლ რაიმუნდ პოპერი (Karl Raimund Popper) – ავსტრიელი, წარმოშობით ებრაელი, ფილოსოფოსი (1902-1994). მისი მეცნიერული შემოქმედების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ტოტალიტარიზმის საფუძვლიანი ანალიზი, რომელსაც უპირისპირებს ღია და პლურალიზმზე დაფუძნებულ (როგორც წინსვლის საშუალების მქონე ერთადერთ) საზოგადოებას. ამ თეორიით შთაგონებული მისი ერთ-ერთი მოწაფე არის ჯ. სოროსი, რომელიც ფინანსურად ეხმარება ღია საზოგადოების შენებას მთელ რიგ ქვეყნებში.

21 ვლადიმერ მეჩიარი (Vladimír Mečiar) — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის აქტიური ნევრი, რომელიც პარტიის რიგებიდან გაირიცხა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მიერ ჩეხოსლოვაკიაში ჯარების შეყვანის წინააღმდეგ გამოსვლისათვის. 1992 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ გახდა, ჩეხეთთან ფედერაციის ფარგლებში, ხოლო 1993-დან 1998-მდე დამოუკიდებელი სლოვაკეთის მთავრობის თავმჯდომარე.

ასე არ მიპასუხია. ვთქვი, რომ ეს თვით უკრაინის გადასაწყვეტია. ეს ყველაფერი მოითხოვს პატარა განმარტებას: დღეს თუ ითქვა, რომ ვინმე ეკუთვნის დასავლეთს, ეს ჟღერს ერთგვარ შექებად, ხოლო თუ საპირისპირო ითქმის, მსუბუქ გაკიცხვად ჟღერს. ეს ყველაფერი კი დასავლური ქედმაღლობის ტიპური გამოვლინებაა. ეკუთვნოდე აღმოსავლეთს, სირცხვილი არაა, ისევე როგორც ევროპელობა არ ნიშნავს ავტომატურ პრივილეგიას. თანამედროვე მსოფლიოს კარგი და მშვიდობიანი ცხოვრების იმედი, გარდა სხვა ყველაფრისა, შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაფუძნებული იქნება ცივილიზაციური, ისტორიული, კულტურული და გეოგრაფიული ფაქტორებით განპირობებული სხვადასხვა დიდი ზეეროვნული ან რეგიონული ერთეულის სრულებით თანასწორუფლებიან თანამშრომლობაზე. ასეთი თანამშრომლობისთვის აუცილებელ წინაპირობად გვევლინება მკაფიო შეთანხმება იმის შესახებ, თუ სად იწყება და სად მთავრდება ესა თუ ის არეალი; მოკლედ რომ ვთქვათ, მკაფიო შეთანხმება მათი საზღვრების შესახებ. მხოლოდ ზუსტად განსაზღვრულ და შემოფარგლულ ერთეულებს შეუძლიათ მართლაც პარტნიორული და შემოქმედებითი თანამშრომლობა; ნებისმიერი არამკვეთრი, დაუზუსტებელი თუ საკამათო საზღვრები მომავალში შეიძლება გადაიქცეს – მსგავსად ეროვნული სახელმწიფოებისა წარსულში – მხოლოდ არასტაბილურობის, დაძაბულობისა და ბოლოს, სამხედრო კონფლიქტების წყაროდ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება მოითხოვს ყურადღების გამახვილებას თითოეული ცივილიზაციური არეალის საზღვრების პრობლემაზე, ანუ პრობლემაზე, რომელიც შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთნი, ამ მომენტისათვის უფრო მდიდარნი, სხვების, ამ მომენტისათვის უფრო ღარიბების მიმართ, შეიცვლიან ქედმაღლურ დამოკიდებულებას. ამით ვუბრუნდები უკრაინას. რკინის ფარდის დაცემის შემდეგ მთელი ცენტრალური ევროპა და ბალკანეთი შევიდა დასავლეთში. ეს უდავოდ სწორი გადაწყვეტილება იყო, წამოსული საკუთარი ისტორიისა და კულტურის სწორი გაგებიდან. და მაინც, ფასეულობებით, მაგრამ აგრეთვე გეოგრაფიით განსაზღვრული დასავლეთი, აღმოსავლეთის რომელ ნაწილში მთავრდება? როგორ შეძლებს სხვასთან შინაარსიანად თანამშრომლობას, როდესაც საკუთარ საზღვრებზე ანუ თავის რაობაზე არ გააჩნია ნათელი წარმოდგენა? ცხადია, იმ შეკითხვის უკან, რომელიც ხსენებულმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა დამისვა, იდგა სამართლიანი შეგრძნება იმისა, რომ აუცილებელია მკაფიო

შეთანხმება შექმნის პროცესში მყოფი ზეეროვნული პოლიტიკური ერთეულების საზღვრებისა და ამდენად, მათი სტრუქტურებისა და ორგანიზაციების შესაძლო გაფართოების საზღვრების შესახებაც. რუკისა და უკრაინის ისტორიისათვის თვალის ერთი გადავლება საკმარისია იმის სათქმელად, თუ ვის ეკუთვნის, მაგრამ მჯეროდა, რომ გადამწყვეტი სიტყვა თვითონ უნდა ეთქვა. და როგორც იქნა, ჩემდა სასიხარულოდ, ეს სიტყვა წარმოითქვა. ძველი მსოფლიო წესრიგის მსხვრევიდან, თხუთმეტი წლის შემდეგ.

ციხიდან გამოსვლის, ანუ 1983 წლის შემდეგ, ერთიმეორის მიყოლებით ღებულობდით პრესტიჟულ ჯილდოებს. შეერთებულ შტატებში – ობის ჯილდო, წარმოდგენისათვის „ბროდვეის ფარგლებს გარეთ", 1986 წელს – ერაზმუს როტერდამელის ჯილდო, 1989 წელს – გერმანელ წიგნით მოვაჭრეთა მსოფლიო ჯილდო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე და ა.შ. არ გაგიჩნდათ მაშინ იმის შიში, რომ თქვენ, მწერალი, ხდებით პოლიტიკური ხატი? რომ დასავლეთი თავისი წახალისებებით ხელოვნებიდან პოლიტიკაში გაგდებთ?

სიზუსტისათვის: ობის პრემია ჯერ კიდევ სამოციან წლებში მივიღე ორჯერ, ანუ იმ ხანაში, როდესაც ნამდვილად ვერ ვიქნებოდი ვერავითარი „ხატი". შესაძლოა, მოგვიანებით, ანუ ციხეში ყოფნის ან იქიდან გამოსვლის შემდეგ მონიჭებული პრემიები და წოდებები, ჩემი ნაღვაწით აღფრთოვანების გამოხატულებაზე მეტად წარმოადგენდა პატივისცემას იმის მიმართ, რასაც ვუწოდებდი ჩემი ცხოვრების გზას: აღმიქვამდნენ ადამიანად, რომელმაც არ გადაუხვია სიმართლის თავისეული გზიდან, რომლის გამოც მზად იყო ციხეში ჩამჯდარიყო, იქ შესთავაზეს ემიგრაცია, მაგრამ მან უარი განაცხადა, შემდეგ დაბრუნდა და თავისი ძველი საქმიანობა ჯიუტად გააგრძელა – ეს ხომ ლამაზი და კარგად გასაგები ამბავია. შემიძლია ყოველივე ამას ღიმილით ვუყურო და დავუშვა, რომ არ ვარ ისეთი ლამაზი, როგორიც ჩემი ცხოვრების ეს გზაა, თითქოს ამ ჯილდოებს ბოლომდე დამსახურებულად არ ვღებულობდი, მაგრამ ამავე დროს უნდა ვაღიარო – მშვენიერია, რომ ცხოვრების ასეთი გზა საერთოდ შეამჩნიეს, დააფასეს და დააჯილდოვეს! თუმ-

ცა, ერთის მხრივ, ეს ყველასათვის სასარგებლოა – როგორც გარკვეული ფასეულობების, საზომების ან საქმიანობის მნიშვნელობის დასტური, მეორეს მხრივ, ეს ნიშნავს ამ საქმიანობის კონკრეტულ მხარდაჭერას, რაც მის უფრო სერიოზულად აღქმას უწყობს ხელს. ვინ იცის, საერთოდ გადავურჩებოდი კი პატიმრობას საერთაშორისო საზოგადოებრიობის ინტერესის გარეშე, ანდა შეიძლება ხუთის მაგიერ სულაც თხუთმეტი ნელი გამეტარებინა ციხეში. სხვა იყო ამ ყველაფრის გაგრძელება: ყველაზე მეტი წოდება და ჯილდო ჩემი პრეზიდენტობისას მივიღე. ზუსტად მაშინ დაგვირგვინდა ცხოვრების ეს გზა, ვიტყოდი, თითქმის ზღაპრული სიუჟეტით, თუმცა შესაძლოა ცოტა უგემოვნოდაც კი: ჩეხმა ჰონზამ[22] – მიუხედავად იმისა, რომ ყველა აფრთხილებდა, ამას არანაირი აზრი არ აქვსო – იმდენი უბრახუნა თავი კედელს, სანამ კედელი არ დაეცა, მერე გამეფდა და მეფობდა მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში. ცხადია, ამ „ზღაპრულობას“ შეიძლებოდა გამოეწვია შეგრძნება, თითქოს დამსახურებულზე მეტი ყურადღებით ვსარგებლობდი და ვსარგებლობ, თუმცა არც ეს არის დასაძრახი. რატომ არ უნდა იყოს გამორჩეულად აღნიშნული ზუსტადაც რომ ასეთი „ჰეფი ენდი“? განა არ შეიძლება ეს ამბავი იმედის წყაროდ იქცეს იმათთვის, ვინც კედლის დაცემას ჯერ ვერ მოესწრო? ჩემი პირადი დამოკიდებულება ამასთან დაკავშირებით კი, ალბათ, არ არის მნიშვნელოვანი. და კიდევ ერთი: ამ ჯილდოებს, გარდა სხვა ყველაფრისა, აღვიქვამდი ერთგვარ თავზე ხელის გადასმად, რაც აწონასწორებდა სხვისთვის შეუმჩნეველ, მაგრამ ამავდროულად უსაზღვრო და გამომფიტავ წვალებას, ჩემი ცხოვრების გზის იმ ნაწილის უკან რომ იმალებოდა, რომელსაც პრეზიდენტობა ეწოდება.

არაერთხელ იყავით წარდგენილი ნობელის პრემიაზე მშვიდობისათვის. ხომ არ განაწყენდით იმის გამო, რომ საბოლოოდ ეს პრემია არ მოგენიჭათ?

22 ჰონზა (Honza) – ჩეხური ვარიანტი სახელისა ივანე. რუსული ზღაპრების „ივანუშკა დურაჩოკის“ მსგავსად, ჩეხური ხალხური ზღაპრების ერთ-ერთი ძირითადი გმირია „ჰლოუპი (სულელი) ჰონზა“.

ყოველი ნამდვილი მამაკაცი ოდნავ მაინც არის პატივმოყვარე. ალბათ მოვიტყუები თუ ვიტყვი, რომ ჩემთვის ეს სულერთი იყო. ცხადია, მესიამოვნებოდა. გულგრილობა ან უგულებელყოფა ასეთი პრემიისა მხოლოდ გადამეტებული სიამაყის მაჩვენებელი იქნებოდა. მახსენდება როგორ გავლიზიანდი, როდესაც ჟან-პოლ სარტრმა უარი განაცხადა ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიაზე. შეიძლება უსამართლო ვარ მის მიმართ, მაგრამ მაშინ ეს ვარიეტეს დონეზე გათამაშებულ მეამბოხედ წარმოჩენის მცდელობად აღვიქვი. ერთი კი ცხადია, კომუნიზმის ეპოქაში ეს ჯილდო ჩვენს ბრძოლას მნიშვნელოვნად წაადგებოდა. პრეზიდენტობის ხანაში კი, ალბათ, ეს გარკვეულ ორჭოფობას გამოიწვევდა ჩემში. ვფიქრობ, პოლიტიკოსები მოვალენი არიან იზრუნონ მშვიდობიანი და უფრო სამართლიანი მსოფლიოსათვის, ამისთვის უხდიან მათ ფულს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკეთესია, როდესაც ამ ჯილდოებს ღებულობს ადამიანი, რომელიც ცდილობს გააკეთოს რაიმე სასარგებლო, თუნდაც ამის გამო სერიოზულ ხიფათში ჩაიგდოს თავი და რაც მთავარია მაშინ, როდესაც ეს სრულებითაც არ შედის მის პირდაპირ მოვალეობებში. ასეთ ადამიანებსა და მათ გუნდს მსგავსი წახალისება მხოლოდ გააძლიერებს სამომავლოდ და ეს არ იქნება მხოლოდ წარსული მოვლენების დაფასება.

(ვაშინგტონი 11. 4. 2005)

ჯორჯტაუნში მშვენიერი პატარა სახლი დავიქირავეთ. თითქმის ყოველ საღამოს ვვახშმობთ რომელიმე მყუდრო რესტორანში. გუშინ ერთ-ერთ ასეთ რესტორანს მადლენთან ერთად ვესტუმრეთ, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობს. ამას წინათ კი ვიყავით ნაცნობებთან, რომლებსაც არაჩვეულებრივი სახლი უდგათ ვაშინგტონის მახლობლად, ველური ბუნებით გარშემორტყმულ ადგილას. მანამდე ჩემს ძველ მეგობართან, ახლა კი ამერიკაში ჩეხეთის ელჩთან, მარტინ პალოუშეკთან ერთად, არაჩვეულებრივ საკვირაო რელიგიურ შეხვედრას დავესწარი. იქ მხოლოდ შავკანიანები იყვნენ. მშვენიერი საძმო აქვთ, ზღაპრულად მღეროდნენ და ექსტა ზურ მდგომარეობა-

ში ურთიერთობდნენ არამარტო ქრისტიანულ ღმერთთან, არამედ, ალბათ ყველა იმ ღვთაებასთან, რომელიც კი ოდესმე ჰყოლია კაცობრიობას. მეგობრობის, ერთობის, ურთიერთპატივისცემისა და სოლიდარობის გამაოგნებელი ატმოსფერო სუფევდა. ვაშინგტონში რამდენიმე დღის შემდეგ გამიჩნდა შეგრძნება, რომ აქ ხალხი ერთმანეთის მიმართ ბევრად უფრო კეთილგანწყობილია, ვიდრე ჩვენთან. აქვთ მოთმინების უნარი (პიკის საათებში ხმისამოუღებლად საათობით უსხედან მანქანის საჭეს, რათა სულ რამდენიმე მეტრით წაიწიონ წინ), ყურადღებიანები არიან (საზოგადოების ზნეს ადვილად გაარკვევ მძღოლების ფეხით მოსიარულეების მიმართ დამოკიდებულების მიხედვით; მახსოვს, მოსკოვში ფეხით მოსიარულეებს ისე უყურებდნენ, როგორც ჭიანჭველებს – ან მოასწრებს და გაგეცლება ან გადაუვლი), მოლიმარნი, თბილები, გამგებიანები, აქვთ ხავერდოვანი სახის კანი, ლამაზი ვარცხნილობა. ამჩნევ, რომ იცლიან საკუთარი თავისთვის, ყველა ერთმანეთს ესალმება და რაც მთავარია – არიან მშრომელები, მთელი დღე მუშაობენ. 11 სექტემბრის შემდეგ ყველაფერი უკიდურესად გამკაცრდა, ყოველ ნაბიჯზე ბიუროკრატია, ფორმულარები, პოლიციური კონტროლი, ბარგის ჩხრეკა და ა.შ., თუმცა ყველაზე საინტერესო ისაა, რომ არავინ ბუზღუნებს, როგორც ეს ჩვენთან იქნებოდა, ამას ყველა არამარტო გაგებით ეკიდება, არამედ ღებულობენ (ყოველ შემთხვევაში მე ასე მეჩვენება), როგორც მათივე უსაფრთხოებისათვის გამიზნულ ზომებს. ჩვენთან პოლიციელი, კომუნიზმისა და პოლიციური რეჟიმის დაცემიდან თხუთმეტი წლის შემდეგ, ქვეცნობიერად ჯერ კიდევ აღიქმება მოქალაქის მტრად. აქ კი მათ უფრო როგორც ხალხის დამცველებს, ისე უყურებენ.

დისიდენტობის პერიოდში წერდით, თუ რა უნდობლობას იწვევს საბჭოთა ბლოკის მოსახლეობაში თვით სიტყვა „მშვიდობა", რომ არაფერი ვთქვათ ორი სიტყვის ისეთ შეკავშირებაზე, როგორიცაა „ ბრძოლა მშვიდობისათვის". დასავლეთისათვის ეს საკმაოდ პროვოკაციული შეხედულება იყო და მიუხედავად ამისა, მოგენიჭათ ოლაფ პალმეს სახელობის მეტად პრესტიჟული პრემია. არც ეს მოგეჩვენათ საეჭვოდ?

პირიქით. მოხარული ვიყავი, რომ ჩემი მაშინდელი მოსაზრებები აბსოლუტურად სწორად გაიგეს. სიტყვა „მშვიდობის"

ბოროტად გამოყენებისა და მისი უტიფრად ყველგან ჩაჩრის კრიტიკა არ ნიშნავს მშვიდობის მოწინააღმდეგეობას, ეს მხოლოდ სიყალბისა და ტყუილის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატულება იყო.

(ვაშინგტონი 11. 4. 2005)

ამ ქალაქის ცენტრი რაღაცით მაგონებს ძველ ეგვიპტეს. აქაც, მსგავსად ეგვიპტელებისა, რომლებიც ფარაონებისათვის აშენებდნენ უშველებელ პირამიდებს, ყველაზე გამორჩეულ პრეზიდენტებს უგებენ უზარმაზარ ძეგლებს. ცენტრალური ევროპელისთვის, რომლისთვისაც უცხოა ასეთი პათეტიკა (ან შეიძლება სულაც ამის წინააღმდეგიც აღმოჩნდეს), ალბათ სასაცილოდ გამოიყურება ეს ყველაფერი, თუმცა პრინციპში ეს ლამაზია. საზოგადოება ამით გამოხატავს, რომ გააჩნია ისტორია, რომელსაც კარგად იცნობს, პატივს მიაგებს და არ ივიწყებს მის შემოქმედებს. ტრადიციულ ამერიკულ დემოკრატიას (ოდესღაც აქ ყველანი ერთნაირი ზომის ფუთებით ჩამოვიდნენ და ამდენად, განსაკუთრებული პრივილეგიების გარეშეც) ახასიათებს გარკვეული თაყვანისცემა პოლიტიკური ავტორიტეტისა (ეს შეიძლება უბრალოდ თანამდებობა იყოს ან კონკრეტული პიროვნება). როგორც კარგადაა ცნობილი, ეს მათ სრულებითაც არ უშლის ხელს შეავიწროვონ პოლიტიკოსები თვით პრეზიდენტების ჩათვლით. ნაკლებ ყურადღებას იპყრობს აქაური სამთავრობო დაწესებულებების შენობები, ეს გახლავთ ყოველგვარ ფანტაზიას მოკლებული ანტიკური ეპოქის რეპლიკები, ოღონდ უფრო მასშტაბური ზომების (მაგონებს ფელინის ფილმიდან თვალს, რომელიც დიდდება) და უსულო. თანამედროვე არქიტექტურა აქ ძალიან ჭრელია. შეხვდებით როგორც მართლაც ლამაზ შენობებს, ისე ბეტონის აბსოლუტურ უგემოვნობას.

(15. 3. 1994)

1) პირველ რიგში, პატარა ცნობა ჩემი ჯანმრთელობის შესახებ. მთელი შაბათის, კვირისა და ორშაბათის განმავლობაში კითხვაც კი არ შემეძლო. მხოლოდ მეძინა, ვიდენდი ოფლს, ან სულაც ლოგინში მოუსვენრად ვწრიალებდი და მივშტერებოდი ჭერს. მქონდა სიცხიანი კოშმარული ზმანებები. აი, ერთი მათგანი: დამიძახა ს.-მ და მაცნობა, რომ სასწრაფოდ უნდა გადავდგე თანამდებობიდან,

რადგანაც შეურაცხყოფა მივაყენე მე ზობელ ექვს სახელმწიფოს. დღეს, ანუ სამშაბათს, როგორც იქნა, მთლიანობაში უკეთ ვგრძნობ თავს და ნელ-ნელა ვუბრუნდები მოვალეობების შესრულებას. ჯერ მხოლოდ პან ს.-თან მქონდა ვრცელი საუბარი და გარკვეულ საკითხებზე შევთანხმდით კიდეც. გარდა ამისა, დავურეკე ჰონზა რუმლს, რათა გამეგო რას მოიმოქმედებენ ჟირინოვსკისთან დაკავშირებით. პასუხმა დამაკმაყოფილა. თუ ჟურნალისტები დაინტერესდნენ პრეზიდენტის შეხედულებით, გთხოვთ ჩემთან კონსულტაციის გარეშე ნუ გაახმოვანებთ ჩემს პოზიციას.

2) ავადმყოფობისას, არც კითხვა და არც რაიმე სხვის კეთება რომ არ შემეძლო, ხანდახან გარკვეულ კონკრეტულ საქმეებზე ვიწყებდი ფიქრს (როცა შედარებით უკეთ ვიყავი). განსაკუთრებით მაფიქრებდა ის, რასაც შეიძლება ვუწოდო ჩემი პრეზიდენტობის კონცეფცია უახლოესი თვეებისათვის ან სულაც მთელი ამ წლისათვის. გადავწყვიტე, ჩემი მრავალმხრივი მოღვაწეობიდან, სხვადასხვა სახით, მაგრამ რეგულარულად უნდა გამოსჭვიოდეს გარკვეული პრიორიტეტები, ასე ვთქვათ, „პრეზიდენტის ძირითადი თემები“. მეჩვენება, თითქოს ჩემს მოღვაწეობას, თუ ასე შეიძლება ითქვას, „თემატურობა“ აკლდა. უმეტესწილად მოვლენების ობიქტი ვარ, რომელიც ასე თუ ისე რეაგირებს ამ მოვლენებზე და იშვიათად არის მათი სუბიექტი. (...) უბრალოდ, ვგრძნობ მოთხოვნილებას შევიძინო კონკრეტული პოლიტიკური მიმართულება, კონკრეტული სახე მივანიჭო პრეზიდენტობის ჩემეულ სტილსა და მუშაობის მეთოდებს. პირველი წლით კმაყოფილი ვარ, ოლონდ ერთი დაზუსტებით – ეს იყო მოსამზადებელი და არა შემდგომისათვის სამაგალითო პერიოდი. შევეგუე ახალ სახელმწიფოში ცხოვრებას, პრეზიდენტის პოსტს, ახალ პოლიტიკურ სიტუაციას, ვეძებდი ჩემს ადგილს მზისქვეშეთში, ვცდილობდი მომენიშნა ჩემი ტერიტორია და ჩამომერეცხა ლაფი, რომელიც სამთავრობო პრესამ გაპრეზიდენტებამდე თავს გადამავლო. (...)

3) (...) ბ) ამიტომაც მაქვს მოთხოვნილება გამოვყო ეს ძირითადი თემები და რეგულარულად, ყოველთვის ახალი თვალთახედვით მივუბრუნდე ხოლმე მათ. აი, ერთი, შესაძლოა სწორედ „ ძირითადი საპრეზიდენტო თემა“ საშინაო პოლიტიკიდან: ენერგეტიკა. ეს საკითხი აბსურდულად მეჩვენება: ვაშენებთ ტემელინს[23], რათა მეტი ენერგია გვქონდეს და ამავე დროს ვცდილობთ შევამციროთ

23 ტემელინი – ჩეხეთის რესპუბლიკაში მოქმედი ორი ატომური ელექტროსადგურიდან ერთ-ერთი.

ენერგოტევადი წარმოება. ვაშენებთ ტემელინს, რათა შეიკვეცოს მურა ნახშირის მოპოვება და შეწყდეს თბოელექტროსადგურების მუშაობა, პარალელურად კი ნახშირის მოპოვება გრძელდება დიდი შემართებით, არავინ არაფერს კვეცს, შეკვეცის გეგმები მინიმალურია და თბოელექტროსადგურებს არ აჩერებენ. ეს ყველაფერი მოითხოვს ობიექტურ გაანალიზებას არა მარტო მინისტრ დლოუჰის, არამედ მწვანეების ინიციატივების პოზიციებიდანაც. გვინდა ნატოში შესვლა, გამუდმებით ვსაუბრობთ იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანია შევთავაზოთ მსოფლიოს ქმედითუნარიანი არმია. ჯარი კი ამ დროს ფსიქოლოგიურად ცხოვრების პერიფერიაზეა გარიყული, დებს ფიცს, რომ განლაგდება მხოლოდ ქალაქგარეთ მინდვრებში, თითქოს მათი გვრცხვენოდეს ანუ კმარა ვიზიტები მხოლოდ გენერალურ შტაბში, მოეწყოს ხოლმე ცალკეული დანაყოფების შემოწმებებიც. ახლა ერთი დანაყოფი დგას სარაევოს შორიახლოს, განა ეს არ არის გამოწვევა იმისათვის, რომ სანამ ზიელენიეცი და ბაუდიში[24] გამოფხიზლებულან, ნახევარი დღით მაინც ვესტუმროთ? ცხადია, „საპრეზიდენტო ძირითადი თემები" საგარეო პოლიტიკაშიც მოიძებნება. აი, ძირითადი პუნქტების მოკლე ჩამონათვალი: 1989 წლიდან მოყოლებული ვმუშაობ იმაზე, რასაც უწოდებენ ევროპის არქიტექტურას ან ახალ ევროპულ წყობილებას. ამ თემასთან დაკავშირებით ათობით მნიშნელოვანი გამოსვლა მქონდა, უკანასკნელად ევროპარლამენტში. უმეტესწილად ეს შემთხვევითობის ამბავი იყო, ერთხელ მიმიპატიჟეს ნატოს ხელმძღვანელობაში, მეორედ – ამერიკის კონგრესში, შემდეგ – ევროპის საბჭოს საპარლამენტო სესიაზე თუ სამიტზე, კიდევ ორჯერ ვიყავი ეუთკ-ის[25] სამიტზე, ვილაპარაკე ეუთკ-ის მინისტრთა საბჭოს პრაღის შეხვედრაზე, ევროპის კონფედერაციისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე და ა.შ. ყველა ამ შემთხვევაში ერთ თემაზე ვსაუბრობდი. ინიციატივა ჩემგან არასოდეს მოდიოდა თვითონ ეს ორგანიზაციები მპატიჟებდნენ ან სახელმწიფო მაგზავნიდა (ევროპარლამეტში ჩემი გამოსვლაც სსს-ის იდეა იყო). ხომ არ აჯობებდა ჩვენითვე აგვეყვანა განსაკუთრებულ სიმაღლეზე ეს „საპრეზიდენტო თემა" და ჩემთვის მოგვეფიქრებინა პროგრამა, რომელიც სისტემატურად განავითარებდა ამ მიმართულებას, ჩვენივე ჩანაფიქრის მიხედვით და არა შემთხვევიდან შემთხ-

24 ანტონინ ბაუდიში (Antonín Baudyš) — ჩეხეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი 1992-1994 წლებში.

25 ეუთკ – ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენცია, რომლის ტრანსფორმაციითაც 1995 წელს შეიქმნა ეუთო – ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია.

ვევამდე, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით? (...)

4) რაც თავი მახსოვს, ვლაპარაკობ სამოქალაქო საზოგადოებაზე, არასამთავრობო სექტორსა და დეცენტრალიზაციაზე. სერბთა პოზიციების დაბომბვის შესაძლებლობის შესახებ ვლაპარაკობ უკვე წელიწადზე მეტია, მაშინ ყველა წინააღმდეგი იყო, ახლა ყველა მომხრეა, მეტიც, გაცხადდა, რომ ამ თავდასხმის შედეგი მათი რეალური მორიგება იქნება, მაგრამ არავის ახსოვს, რომ არსებობს ადამიანი, რომელიც ამას წინასწარმეტყველებდა. (...)

(17. 4. 1994)

(...)

4) ახლო მომავალში (ჯერ კიდევ ერცჰერცოგის ვიზიტამდე) სიამოვნებით დავეკითხებოდი რჩევას პან დ.-ს (შესაბამისად, ყველა სხვა დაინტერესებულ პირს, ვთქვათ, ოლგას) ჰრადზე გამასპინძლებასთან დაკავშირებით – საჭმლის, სერვიზების, დანა-ჩანგლის და მთლიანობაში სუფრის გაწყობის შესახებ. ბოლო წლებში შინ და უცხოეთში მიღებული გამოცდილების საფუძველზე გამიჩნდა საკუთარი მოსაზრებები ამის თაობაზე. აი, ვთქვათ: რაც უფრო უჩვეულო და იშვიათი კერძებით უნდათ ჩვენი პატივისცემა, მით უფრო უგემურად გვიმასპინძლდებიან, იმდენად, რომ ვერც კი მიხვდები რას მიირთმევ. ან კიდევ: ამბობენ, რომ ვიღაც ბებია ჰრადის ერთ-ერთ კარადაში ინახავს დიდძალ ვერცხლის ულამაზეს ჭურჭელს და უარს ამბობს გადმოგვცეს საჭიროების შემთხვევებში, რის გამოც სამთავრობო მიღებებზე მივირთმევთ იმით, რასაც გვიკარნახებს ამა თუ იმ მოხელის გემოვნება თუ უგემოვნობა და ა.შ. (...)

(9. 5. 1994)

(...)

6) ჩემი კომპიუტერი ყოველ ჯერზე განსხვავებულად აშორებს სტრიქონებს, რატომ? (...) ზოგიერთი ტექსტი ისე შეუყვარდება ხოლმე, გაუთავებლად ბეჭდავს და ბეჭდავს და მისი გაჩერება ყოვლად შეუძლებელია, რატომ? (...)

8) დელეგაციებისა და თანმხლებ პირთა საბოლოო სიების დადგენა (რუმინეთში, ბრატისლავაში, D-დღეზე, აშშ-ში ივლისსა და სექტემბერში ვიზიტებისათვის) მინდა დავასრულოთ უახლოეს დაგეგმილ შეხვედრაზე, რათა ყველამ დროულად გაიგოს სად მიემგზავრება და სად არა. ამ მიმართებით მაქვს შეკითხვები. (...)

(7. 6. 1994)

(...)

1) (...) სპგ-ს ვთხოვ მისწეროს მადლობის წერილი ინგლისის დედოფალსა და საფრანგეთის პრეზიდენტს. დედოფალს, ხოლო ცალკე წერილში მეიჯორსაც, შეიძლება შევახსენოთ მათი დაპირება, რომ ყველაფერს ილონებენ, რათა შემდეგ წელიწადს დედოფალი გვეწვიოს, რომ ამას კიდევ ერთხელ ამ ფორმით ვახსენებ და მოუთმენლად ველი მათი დაპირების კეთილად დაგვირგვინებას. (...)

(...)

5) პან რეხტაჩეკს ვთხოვდი, შეაკეთოს ჩემი სანთებელა, დატენოს და უკან გამომიგზავნოს. (...)

(11. 9. 1994)

(...)

8)კალვოდა დამპირდა, რომ მისი სამსახური მომიმზადებს სხვადასხვა მასალას (არგუმენტები) პარლამენტში წარმოსათქმელი სიტყვისათვის, რომელიც შეეხება სახელმწიფო მმართველობის რეფორმას, მის შინაარსსა და აუცილებლობას. კალვოდა ყოველთვის სანდო არ არის, ამიტომ საჭიროა ტაქტიანად შეახსენოთ და დააჩქაროთ. (...)

9) კიდევ ერთხელ აშშ-ში ჩემი თანხლების შესახებ: ა) ოდესღაც ტ.-შემპირდა, მართალია, უკმაყოფილებით, მაგრამ მაინც, რომ დასაშვებად მიაჩნია ჩემთვის მხოლოდ ერთი მცველის გამოყოლება. ახლა ამბობს, რომ არანაკლებ ორისა. კეთილი, იყოს ორი. ნამდვილად მივესალმები, ერთ-ერთი მათგანი თვითონ თუ იქნება. ოლონდაც არაფრით სამი, ეს ეწინააღმდეგებოდა თანხლების შეკვეცის მთელს ჩემს კონცეფციას.

(23. 10. 1994)

1) კვირადღის თორმეტი საათია, ძალებს ვიკრებ 17 ნოემბრის[26] *გამოსვლისათვის სიტყვის დასაწერად. ვეცნობი წერილობით მიღე-*

26 1939 წლის 17 ნოემბერს ფაშისტებმა იან ოპლეტალის დასაფლავებასთან დაკავშირებით გამართული დემონსტრაციები (15.11.39) გამოიყენეს ჩეხ სტუდენტებთან და ინტელიგენციასთან ანგარიშსწორებისათვის. 17 ნოემბრის ღამეს მოვლენების მოთავე 9 სტუდენტი დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს, მთელს რესპუბლიკაში დახურეს უმაღლესი სასწავლებლები, მთელი მათი ქონება მიითვისეს, 1200 სტუდენტი გაიგზავნა საკონცენტრაციო ბანაკებში. ყოველივე ამას მოჰყვა მსოფლიოს მწვავე პროტესტი. ლონდონში 1941 წლის 17 ნოემბერს, ეს დღე გამოცხადდა ჩეხი სტუდენტების სოლიდარობის და საერთოდ, სტუდენტთა მსოფლიო დღედ.

ბულ რჩევებს, მაფიქრებს თუ როგორ აღიქვამს ჩემს გამოსვლას აუდიტორია. სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ეს უნდა იყოს საუბარი კონკრეტულად სტუდენტებთან და არა ზოგადად ახალგაზრდობასთან. არა მარტო იმიტომ, რომ წინაალმდეგ შემთხვევაში კომუნისტური ეპოქის კლიშეს დაემსგავსება (ჩვენი ახალგაზრდები, ჩვენი ახალგაზრდობა, ხალხის მომავალი, ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობა, ახალგაზრდული კავშირი, ახალგაზრდობა წინ მიუძღვება ბრნოს და ა.შ.), არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ასე ვერ მივმართავ საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფს, ვერ ვილაპარაკებ განათლების მნიშვნელობაზე, სტუდენტურ აჯანყებებზე, 17 ნოემბრის ტრადიციაზე და მისთ. არაერთხელ უნდა შევხებოდი „ჩვენს მომავალ მუშათა კლასს" და საბოლოოდ ეს ყველაფერი მიიღებდა ბანალურ სახეს. ჩვენს მომავალ მუშათა კლასს კი სხვა დროს მივმართავ. იმიტომ ვეხები ამ საკითხს ახლა, რომ ცხადია, უკვე იწყებენ სტუმრების მოპატიჟებას. არაფერია, თუ იქ იქნება ერთი-ორი სკაუტი, ერთი-ორიც – სოკოლი[27], იქნებ რამდენიმე 1939 წლის დროინდელი სტუდენტიც იყოს, მაგრამ დამსწრეთა ძირითად ნაწილს უნდა შეადგენდნენ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები (შესაძლოა, საშუალო სკოლის მოსწავლეთა გარკვეული პატარა ჯგუფიც). არ მინდა, ეს დღე ვაქციოთ ახალგაზრდობის დღედ. ანდა როგორ უნდა მოვიპატიჟოთ ახალგაზრდობა როგორც ერთი მთლიანი და საერთოდ, რატომ მოვაწყოთ 17 ნოემბერს ახალგაზრდობის დღე, თუკი ეს სტუდენტთა დღეა?

2) შაბათ-კვირას ზოგიერთ თქვენგანს გადმოეცა 28 ოქტომბერს მერების მიმართ და ფენ კლუბში[28] წარმოსათქმელი სიტყვების ახალი ვერსიები. ორშაბათის შუადღე ბოლო ვადაა, რათა შემომთავაზოთ ან პირდაპირ შეიტანოთ მცირედი სტილისტური თუ სხვა სახის შესწორებები. 12 საათზე სამივე დოკუმენტი მზად უნდა იყოს, მეტი დრო არ გვაქვს. აუცილებლად გამოჩნდება რამე შესასწორებელი, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ერთ სიტყვას იქიდან ამოვშლიდი (28 ოქტომბერს) და რომ ორი წინადადების აზრი ბოლომდე ნათელი არ არის. გთხოვთ ამაზე გაამახვილოთ ყურადღება. (...)

---

27 ჩეხი სოკოლები – მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული და დღემდე არსებული ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების, კერძოდ ახალგაზრდობის, ფიზიკურ და სულიერ სრულყოფაზე ზრუნვას, აერთიანებდა მათ სპორტულ თუ კულტურულ წრეებში. გარკვეულ ეპოქებში ნაციონალისტური დაჯგუფების სახეს ღებულობდა ხოლმე.

28 ფენ კლუბი (Pen Klab) — მწერალთა საერთაშორისო თანამეგობრობა.

(30. 10. 1994)

1) ვაგ ზავნი 17 ნოემბერს წარმოსათქმელ სიტყვას. ვიცი, ცოტა არ იყოს, არეულადაა დაწერილი და მსმენელის მიმართ მოწოდებაც არ იგრძნობა (...) საბოლოო შენიშვნები პარასკევს შუადღეს, თუ შეიძლება. შაბათ საღამოს საბოლოო სახე უნდა მივცე. (...)

(27. 11. 1994)

1) შეასრულებს რა დოქტორ კალვოდა დანაპირებს, ორშაბათს კურიერი მომიტანს მის წერილს, ინფორმაციით მინისტრ ზიელენიეცის იმ შემოთავაზების შესახებ, რომ მთავრობას ერთხელ და სამუდამოდ მივანიჭო უფლება ანარმოოს საერთაშორისო შეთანხმებები და მოითხოვს ჩემს შეხედულებას ამ საკითხზე. უკვე მოლაპარაკებულები ვართ, რომ კურიერს უკან გავატან ჩემს უარყოფით პასუხს (ის თანახმაა). ეს კონსტიტუციასთან დაკავშირებულ პრობლემას შექმნიდა, რადგანაც პრეზიდენტის კომპეტენციის მთავრობისათვის სამუდამოდ დელეგირებით წამოიჭრებოდა შეკითხვა, თუ რატომ არ მიანიჭა კონსტიტუციამ ეს კომპეტენცია პირდაპირ მთავრობას. გთხოვთ, სასწრაფოდ შეუდგეს ვინმე ამ წერილის მომზადებას. საკმარისია გაგ ზავნის წინ ტელეფონოთ შემითანხმოთ წერილის ტექსტი, შემდეგ პირდაპირ ამობეჭდეთ უკვე ხელმოწერილ ფურცელზე, რომელსაც თან გირთავთ და კურიერის საშუალებით გაუგ ზავნეთ კალვოდას.

2) (...) ე) 9-დან 13-მდე, ანუ პარასკევიდან სამშაბათამდე მინდა ჩავჯდე ლანში[29] ისე, რომ არავინ შემაწუხოს და მთელი ჩემი ყურადღება გადავიტანო საახალწლო გამოსვლის წერაზე. სხვა დროს ამის საშუალება ვერ გამოვნახე. კარგი იქნება, ამ პერიოდში პრაღაში რომელიმე თანამშრომელთან დაკავშირებას თუ მოვახერხებ, რათა საჭიროების შემთხვევაში შევძლო მასალების გადაგ ზავნა და სასწრაფო კონსულტაციის მიღება. ალბათ ჰრადის თანამშრომლების გარდა, სხვებსაც შეუძლიათ ნაწერებს გადახედონ. ეს უნდა იყოს ჩემი წინა გამოსვლების დაგვირგვინება – ამას კი სერიოზული ჩაღრმავება ესაჭიროება, ამიტომაც ახლა წამითაც არ უნდა გამეფანტოს ყურადღება. (...)

3) (...) გ) ალბათ კალვოდას და ლუქსს შობამდე არაოფიციალურად უნდა შევხვდე დომეჩეკში, რახანია არ შევხვედრივართ. კალვოდას ველაპარაკე ამაზე და სიამოვნებით დამეთანხმა." შარშანდელი

29 ლანის სასახლე – ჩეხეთის პრეზიდენტების ტრადიციული საზაფხულო, ქალაქგარე რეზიდენცია.

შეხვედრის ანალოგიური იქნება (ზუსტად საახალწლო გამოსვლის წინ შევხვდით, მახსოვს როგორ ვემზადებოდი გულთბილი მილებისათვის). მეჩვენება, რომ კლაუსს[30] სულ უფრო ხშირად ვხვდები ამ ბოლო დროს, ამით მასა და მის კოალიციურ პარტნიორებთან შეხვედრებს შორის წონასწორობა ირღვევა. დ) მილოშ ზემანმა[31] კიდევ ერთხელ დამპატიჟა ლუდზე. ადრე თუ გვიან მომიხდება დავყვე. ვფიქრობ იანვარში, არაუადრეს. (...)

(11. 12. 1994)

ვაგ ზავნი საახალწლო გამოსვლის პირველ მონახაზს, წვალებასა და სამშობიარო ტკივილებში მოევლინა ქვეყანას. (...) მივესალმები ტექსტში პირდაპირ ჩარევას, ჩაამატეთ, გადაშალეთ, შეცვალეთ ფორმულირებები. აჯობებს თუ დამატებითი ესეებითა და შენიშვნების დასაბუთებით არ გამაწვალებენ მრჩევლები. კარგი იქნებოდა, შენიშვნები ერთმანეთში შეგეთანხმებინათ, ყველასი თუ არა, ზოგიერთის მაინც, ეს ძალიან გამიადვილებდა სამუშაოს. ყველაზე რთულია შეუთავსებელი პარალელური შენიშვნების გარჩევა. ვიცი, რომ არეულად მიწერია, მივესალმებოდი თუ ენობრივადაც გამართავდნენ ტექსტს. თქვენი რედაქტირების შედეგები უნდა მქონდეს პარასკევს და შაბათს საბოლოოდ უნდა გავაშალაშინო. (...)

(25. 12. 1994)

(...)

4) მინდა შეგახსენოთ: მარტში მელოდება მნიშვნელოვანი გამოსვლა პარლამენტის წინაშე და კარგი იქნებოდა ახლავე დაეწყო თქვენს სამსახურს შესაბამისი მასალების შეგროვება. (...) ძირითადი მოთხოვნა კი ის არის, რომ მსგავსად საახალწლო გამოსვლისა, რომელიც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო 28 ოქტომბრის გამოსვლასთან შედარებით, ახლანდელიც წინ გადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს საახალწლოსთან შედარებით. (...)

---

30 ვაცლავ კლაუსი (Václav Klaus) – 1992-1998 წლებში ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, 1998-2003 წლებში პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარე, 2003 წლიდან დღემდე – ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. ვ. ჰაველისა და ვ. კლაუსის ურთიერთობა ყოველთვის ძალიან დაძაბული იყო, რაზეც ამ წიგნში ვრცლად ილაპარაკებს ავტორი.

31 მილოშ ზემანი (Miloš Zeman) – 1968 წლამდე, როდესაც საბჭოთა ინტერვენციის შემდეგ გაირიცხა პარტიიდან, კომუნისტური პარტიის წევრი, 1993-2001 წლებში ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, 1992-2002 წლებში ჩეხეთის პრემიერი.

7) (...) და კიდევ იმ კანონებთან დაკავშირებით. თუ პარლამენტმა მოიწონა საწყისი ვარიანტი, ნამდვილად არ მივიღებ ამას ჩემს დამარცხებად, რადგანაც კანონების დაბრუნების უფლებას არ ვუყურებ როგორც პინგ-პონგის თამაშს. ვიქცევი როგორც სინდისი მკარნახობს – სამართლიანად და ვცდილობ ჩემი ქმედებებით გამოვხატო ქვეყნის ხელმძღვანელის შეხედულებები. თუკი ამ კანონს დაიწუნებენ, თავს დავხრი პარლამენტის კოლექტიური აზრის წინაშე, რომელიც საზოგადოების კოლექტიური აზრის ანარეკლია. ჩემი მოვალეობაა, თუ საჭიროდ ჩავთვალე, დავუპირისპირდე ამ კოლექტიურ აზრსაც კი, ოღონდ იმ პირობით, რომ მათი გამარჯვების შემთხვევაში, როგორც ნამდვილმა დემოკრატმა, პატივი ვცე გამარჯვებულთა შეხედულებას.

(29. 12. 1994)

(...)

4) რაც შეეხება ჰოვორს (...) სიამოვნებით დავუთმობდი დროს ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ურბანიზაცია, ქალაქებისათვის სახის შენარჩუნება, კონკურსებზე მნიშვნელოვანი ნაგებობების მიმართ მეთოდოლოგიური მიდგომა და სხვ. „Four Seasons" -ის ისტორიას კი დაესვას წერტილი (მით უმეტეს, რომ კოუკალმა მთლიანად გადაასხვაფერა ჩვენი საუბრის შინაარსი). როგორც უნდათ, დღეიდან ისე ამახინჯონ ჩემი სიტყვები. (...)

(ვაშინგტონი 11. 4. 2005)

აღმოვაჩინე, რომ ჩემს პატარა კომპიუტერში, რომელთან წესიერად მოპყრობაც კი არ ვიცი, იმალება რამდენიმე ათასი გვერდი 1993 წლიდან პრეზიდენტობის ბოლომდე, ანუ 2003 წლამდე ჩემი სამსახურის მიმართ წერილობით, ძირითადად შაბათ-კვირას გაცემული განკარგულებებისა. დაუჯერებელია. შეიძლება ითქვას, პატარა დღიურივითაა. გადავწყვიტე ზოგიერთი ამ ოდინდელი განკარგულებებიდან ჩამერთო წინამდებარე წიგნში, ალბათ ჩეხეთში პრეზიდენტის ცხოვრების შესახებ ყოველგვარ ახსნა-განმარტებაზე მეტს მოგითხრობთ. აქედან რაიმეს ამორჩევა რთული საქმეა. ძნელი გადასაწყვეტია რა არის მნიშვნელოვანი და რა – არა, რა არის ჯერ კიდევ საინტერესო, რა – უსასრულოდ მოსაწყენი და გაუგებარი, თანამშრომლებისათვის გაცემული კონფიდენციალური ინსტრუქციებიდან რომელს აიტანს წიგნი ჯერ

კიდევ და რომელს – ვეღარ. ამიტომაც ამორჩევისას შემთხვევას მივენდობი და უფრო გასაგები რომ გავხადო, ცხადია, აქა-იქ ოდნავ შევასწორებ. შესაძლოა, ეს დოკუმენტები შეიცავს საინტერესო, ისტორიულად მნიშვნელოვან და დამაინტრიგებელ ცნობებს, არ ვიცი, ამაზე ვერ ვიმსჯელებ. თუმცა უნდა ვაღიარო, მხოლოდ ჩემი უახლოესი თანამშრომლებისთვის განკუთვნილი, ამ ნაჩქარევად დაწერილი ინსტრუქციებისა და განმარტებების წაკითხვის შემდეგ, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ: 1. პრაქტიკულად ყოველთვის, რასაც ვფიქრობდი (რამდენად გამომდიოდა სხვა საქმეა), იმის გაკეთებას ვცდილობდი, ეს ძალიან მახალისებს. 2. ამასთან, უკეთ ვხვდები პან ჰვიჟძალას ერთ-ერთი პირველი შეკითხვის არსს, უმადურობის შესახებ. როდესაც ვიხსენებ და ვაცნობიერებ, თუ რამდენი ათასი სხვადასხვა სახის შეხვედრა გავმართე, რამდენ შრომასა და გარჯას მოითხოვდა ყოველი მათგანი, რამდენი რამ უნდა გამეა ზრებინა, რამდენი განსხვავებული სახის პასუხისმგებლობა მეკისრა, დაწყებული ისეთი პრინციპული საკითხებით, როგორიც არის მომავალი მსოფლიო წყობილება, დამთავრებული ისეთი წვრილმანებით, როგორიც სუფრის გაწყობა და სტუმრებისათვის ადგილის შერჩევაა ოფიციალურ ვახშმებზე. ვფიქრობ, არა თუ ამას ვერავინ შეაფასებს სათანადოდ, არამედ ამის შესახებ დღეს უკვე არავინ აღარაფერი იცის. ამის საპირისპიროდ, რა მშვენიერია იყო ვთქვათ მწერალი! ერთ-ორ კვირაში რამეს დაწერ და საშვილიშვილოდ იარსებებს! რა დარჩება პრეზიდენტებისა და მთავრობის თავმჯდომარეებისაგან? გადაკრული სიტყვა სკოლის წიგნში და ისიც უეჭველად დამახინჯებით თქმული. სამწუხაროა, რომ ეს განკარგულებები არ იწყება თავიდან, ანუ 1989 წლიდან. მაშინაც ვწერდი ასეთ განკარგულებებს, ალბათ თანამშრომლებს შორის არის გაფანტული, არ მიძებნია, შეიძლება როდისმე სადღაციდან ამოყვინთონ.

პოლიტიკა პერსონიფიკაციებით ოპერირებს: დასავლეთს ტოტალიტალური საბჭოთა იმპერიის დასანგრევად უკვე ჰყავდა რომის პაპი აღმოსავლეთიდან, მუშა პოლონეთიდან და ახლა „მესამე მეფე" ესაჭიროებოდა თამაშში, ინტელექტუალი, რომელიც თავისი რწმენისთვის ხუთი წელი ეწამა ციხეში. დასავლეთისთვის, სადაც მსგავსი რამ წარმოუდგენელია, თქვენი შემთხვევა მომაჯადოებელი იყო. ამ ყოველივეს თქვენ ალბათ კარგად გრძნობდით, მეტიც, იცოდით

და მიუხედავად ამისა, შემოთავაზებული როლი, რომელიც ბევრ ხიფათს გულისხმობდა, მიიღეთ. არ გაგიჩნდათ ცდუნება, დასავლეთსაც მეამბოხესავით მოქცეოდით და უარი გეთქვათ სცენარზე, რომელსაც სხვა გიწერდათ?

ყოველთვის ისე ვიქცეოდი, როგორც ამას მე ვთვლიდი საჭიროდ და არასოდეს – სხვისი რეცეპტების მიხედვით. ისე კი არაფერი გამიგია სხვის მიერ დაწერილი სცენარების შესახებ. მხოლოდ ის ვიცი, რაც უკვე ერთგზის მოგახსენეთ: ჩემს ისტორიას გააჩნდა გარკვეული ნიშნები ზნეობის მოქადაგე ზღაპრისა, რასაც შეეძლო იმაზე მეტი ყურადღების მიპყრობა, ვიდრე მიოცნებია ან მეკუთვნოდა. რაც შეეხება დასავლეთის გაკრიტიკებას, არ მჭირდება დასავლეთის კრიტიკა გარკვეული „წონასწორობის" შენარჩუნების მიზნით ანუ ჩემი დამოუკიდებლობის დემონსტრირებისათვის. ამ საკითხში მყარად ვგრძნობ თავს და რამის დემონსტრირების საჭიროებას ვერ ვხედავ. თუმცა უკვე კარგა ხანია ვცდილობ კრიტიკულ რეფლექსიებში გავატარო დასავლეთი და საერთოდ მთელი თანამედროვე ცივილიზაცია, რისკენაც მხოლოდ სიმართლის წყურვილი მიბიძგებს და გულწრფელი წუხილი იმის შესახებ, თუ საით მივექანებით.

(ვაშინგტონი 12. 4. 2005)

ეს მე ერთ ძველ ამბავს მაგონებს. გამოსვლა მქონდა პარიზში, უმსხვილესი საერთაშორისო კორპორაციების წარმომადგენლებთან, დღევანდელი მსოფლიოს რეალურ ბატონ-პატრონებთან. დავწერე მწვავე სიტყვა, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გავატარე ამ კორპორაციების პოლიტიკა, მათი გულგრილობა, მსოფლიოს უნიფიკაციის მცდელობა, რეკლამისა და მოგების საყოველთაო დიქტატურა და ა.შ. სიტყვა ინგლისურად წარმოვთქვი. გამოსვლის წინ საშინლად ვნერვიულობდი, მეგონა, დამისტვენდნენ ან პროტესტის ნიშნად ერთხმად დატოვებდნენ დარბაზს. რეალობა სრულებით საპირისპირო აღმოჩნდა. დიდი ყურადღებით მომისმინეს და გამოსვლის დასრულებას საყოველთაო აპლოდისმენტები მოაყოლეს, ბოლოს ფეხზე დამდგარნიც კი უკრავდნენ ტაშს. ამის ახსნა სამგვარად შემიძლია: 1. აპლოდისმენტები არა გამოსვლამ, არამედ ჩემმა პიროვნებამ დაიმ-

სახურა, ან უფრო ზუსტად იმ „ხატმა“, რომელზეც პან ჰვიუძალა ლაპარაკობს, ე.ი. ჩემი ცხოვრების ზღაპრულმა სიუჟეტმა, თავისი თვალშისაცემი „ჰეფი ენდით“. 2. საკუთარ თავს უკრავდნენ ტაშს ანუ საკუთარ უსასრულო ძალაუფლებასა და დიდსულოვნებას, რომელიც მათ საშუალებას აძლევს დაიქირავონ მათივე ქმედებების ასეთი მძაფრი კრიტიკოსი და თანაც მიაგონ დიდი პატივი, რითაც წარმოუდგენელი ელეგანტურობით შეუძლიათ გააუფასურონ მისი მოსაზრებები. 3. სულაც არ არის გამორიცხული, აპლოდისმენტებით დავეჯილდოვებინე მხოლოდ იმიტომ, რომ მეთანხმებოდნენ და უხაროდათ, რომ ვიღაცამ ეს მათ მაგიერ გამოთქვა. შესაძლოა, ზოგიერთი მათგანის ქმედებები არ გამოხატავს მათ რეალურ შეხედულებებს მსოფლიოზე და იმაზე, თუ როგორ უნდა ააყვავონ იგი, უბრალოდ, გაიტაცა თანამედროვე ცივილიზაციის ვებერთელა „თვითდინებამ“, რომლის ორაზროვნებაც კარგად ესმით, მაგრამ მის წინააღმდეგ ხმის ამაღლების გამბედაობა არ ყოფნით. ცხადია, ეს მათ არსებობის ფასად შეიძლება დაუჯდეთ.

გადავინაცვლოთ ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრის ზოგიერთი კონკრეტული მოვლენისაკენ: 1969 წლის აგვისტოს შემდეგ, როდესაც მიმართეთ ოსტრაველ მუშებს, თქვენი პირველი საჯარო გამოსვლა თანამოქალაქეების წინაშე შედგა 1988 წლის 4 სექტემბერს ლიპნიცში, როდესაც იქაური ფოლკმუსიკის ფესტივალის სცენაზე, როგორც „შემთხვევითი მაყურებელი“, გამოგიძახათ წამყვანმა იან რეიჟეკმა. როგორ იხსენებთ ამ მოვლენას?

იან რეიჟეკისა და იარმილა პოლაკოვას მხრიდან ეს გაბედული იდეა იყო, მე კი გასახდელში ვარკვევდი, რომელიმე მონაწილე ხომ არ იყო ამის წინააღმდეგი. ცხადია, შეიძლებოდა ამისთვის საკმაოდ მკაცრად დასჯილიყვნენ, მაგალითად, სამუდამოდ აეკრძალათ მათთვის მაყურებლის წინაშე გამოჩენა. ყველა თანახმა იყო, რაც საზოგადოების განწყობაში მომხდარ გარკვეულ ძვრებზე მეტყველებდა. მაშინ ხალხი სახეზე ჯერ არ მიცნობდა. თუმცა ცხადია, რომ უცხოეთის რადიოგადაცემებიდან კარგად იცნობდნენ ჩემს ხმას, ისევე, როგორც ჩემს ისტორიასა და შეხედულებებს. სხვა ახსნა არ გააჩნია იმ მქუხარე აპლოდისმენტებს, რომლითაც შეეგებ-

ნენ სცენაზე ჩემს გამოჩენას. ცხადია, ამ ტაშის ნაწილი ეკუთვნოდა ფესტივალის ორგანიზატორებს, გაბედული ნაბიჯისათვის.

1988 წლის 21 ოქტომბერს ბრნოში, თეატრმა „თეატრი თოკზე", სცენური ჟურნალის „როზრაზილ №1-ის" ფარგლებში, დადგა თქვენი ერთსაათიანი პიესა „ხვალიდან ამას შევუდგებით", ცხადია, თქვენი გვარის მიუთითებლად. რას გრძნობდით მაშინ?

„როზრაზილ №1" განსაკუთრებულ პუბლიცისტურ წრეს წარმოადგენდა. „თეატრი თოკზე" ემზადებოდა ჩეხოსლოვაკიის შექმნის სამოცდაათი წლისთავისათვის. ჩემმა მეგობარმა და ამ თეატრის დრამატურგმა პეტრე ოსლზლიმ მთხოვა რამე დამეწერა „როზრაზილისთვის". გადავწყვიტე შემექმნა ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი სულისჩამდგმელის, ალოის რაშინის[32], დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა ღამის სულიერი განცდების პატარა სცენური რეკონსტრუქცია. პიესა ისე დაისწავლეს მსახიობებმა, რომ არც კი იცოდნენ ვის ეკუთვნოდა. წარმოდგენა წარმატებული აღმოჩნდა და სულ ცოტა ხანში, 28 ოქტომბერს, ანუ მრგვალი თარიღის შესრულების დღეს, წარმოადგინეს პრაღაში. წესით უნდა დავსწრებოდი, მაგრამ არ გამოვიდა, მთელი ორი დღე პოლიციაში მაყურყუტეს. ერთი კი ვიცი, რომ წარმოდგენამ წარმატებით ჩაიარა და თეატრის ფანჯრებში აღწევდა დაჯავშნილი მანქანების გრუხუნი, რომლებიც მიემართებოდნენ მოქალაქეების მიერ ამ თარიღის აღსანიშნავად გამართული მეტ-ნაკლებად სპონტანური, არაფორმალური დემონსტრაციის დასაშლელად. ერთხელაც ეს წარმოდგენა ჩვენი რევოლუციის შემდეგ ვნახე და სხვათა შორის, რევოლუციისათვის ჩვენი მზადების პროცესს – როგორც მოგვიანებით გამოჩნდა – რაღაცით, შესაძლოა, მოგვაგონებდა კიდეც. ეს დადგმაც დიდი სითამამის გამოხატულება იყო და მოასწავებდა ახლო მომავალში ყინულის ტყდომას.

---

32 იხილეთ სქოლიო 10, გვ. 21.

(22. 1. 1995)

გერმანიაში წარმოსათქმელი სიტყვის მონახაზი დაწერილი მაქვს. გთხოვთ დააჩქაროთ მისი დარიგება ექსპერტებისთვის (გრუშას ჩათვლით) და საერთოდ, ყველასთვის, ვინც ჩვეულებრივ ამოწმებს, რომ შემდეგი კვირის ბოლოს ყველა შენიშვნა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მქონდეს ხელთ. ისევე, როგორც ყოველთვის, მივესალმები, თუ ვრცელი კომენტარების, განმარტებათა განმარტებების და მინდორზე მიკროესეების მაგიერ, მომაწვდით კონკრეტულ შემოთავაზებებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დავხვეწო ტექსტი შინაარსობრივად, შევავსო, გავამდიდრო და დავხვეწო (მივესალმებოდი ხატოვანებას). ჩემი აზრით, აკლია აღმაფრენა, ძალა და სინატიფე, ანუ ის, რაც გააჩნდა ჩემს გამოსვლას პრაღაში, ვაიც ზეკერის[33] ვიზიტისას. ამჯერად მეტი ვერ შევძელი. ახლა უკვე სხვა დროა, ზოგიერთი უწიგნური ყველაფერს მიკრიტიკებს, რაც საშინლად მაღიზიანებს, ვკარგავ თავდაჯერებას და როდესაც ბევრი მაქვს საწერი, თითქოს სამელნეში მელანი მიშრება. ამდენად, ჩემს კონსულტანტებსაც მეტი შრომა უწევთ. ერთი თხოვნა მექნებოდა: თუ ბევრი ურთიერთგამომრიცხავი შენიშვნა დაგროვდა, იქნებ ვინმეს, ვთქვათ პან კ.-ს, ეცადა ამ ყველაფრის გარჩევა და საერთო მნიშვნელამდე დაყვანა. (...)

(29. 1. 1995)

1) დიდი მადლობა პან კ.-ს შენიშვნების ასე გულდასმით დამუშავებისთვის. ახალი ვერსია, რომელსაც თან ვურთავ, ერთი შეხედვით, დიდად არ განსხვავდება ძველისაგან, თუმცა ეს მოჩვენებითია. შენიშვნებზე მუშაობამ, არც მეტი, არც ნაკლები, 16 საათი მანვალა!!! საწყისი ვერსიის დაწერა არ გამჭირვებია ასე. ვცდილობდი არაფერი გამომპარვოდა. მიუხედავად ამისა, ბევრი შენიშვნა გაუთვალისწინებელი დარჩა და ბევრიც სახეშეცვლილად შევიდა ტექსტში. შემიძლია დაწვრილებით განვმარტო რატომ არ გავითვალისწინე ზოგიერთი მათგანი, მაგრამ, ალბათ, არ ღირს. ყველა შემოთავაზებული შენიშვნა მონურად რომ მიმეღო, ალბათ, სხვა თუ არაფერი, გამოვიდოდა აბსურდული ჰიბრიდი, ყოველგვარ კომპოზიციას, სტილსა და მელოდიას მოკლებული. თუმცა ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანი იყო, გათვალისწინებულია. (...)

2) წერილი ჰერცოგს: პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

33 რიხარდ ფონ ვაიცზეკერი (Richard von Weizsäcker) – გერმანიის პრეზიდენტი 1984-1994 წლებში.

როგორც შევთანხმდით, გიგზავნით ჩემი მოხსენების ტექსტს ჩეხეთ-გერმანიის ურთიერთობების თემაზე. მოხსენება შედგება 17 თებერვალს, პრაღის კარლოსის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. ეს უნივერსიტეტი ბერტელსმანის ფონდთან ერთად გვევლინება აქციის ორგანიზატორად. ამდენად, გამოსვლა უნდა ეხმიანებოდეს როგორც იმ მოხსენებების ძირითად თემას, რომლებსაც ხანგამოშვებით აწყობს უნივერსიტეტი, ისე ბერტელსმანის თემატიკას „საუბრები გერმანიაზე". გამოსვლა ჩეხეთის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გადაიცემა და მოსალოდნელია, რომ მიიპყრობს როგორც ჩეხური, ისე გერმანული პრესის დიდ ყურადღებას. ჩემი მოხსენების ძირითად მიზნად მიმაჩნია, სიტყვის ძალით ძილის მდგომარეობიდან გამოვიყვანო და ბიძგი მივცე ჩეხეთ-გერმანიის ურთიერთობების ახალ ეტაპს. ვფიქრობ, ახლა შესაფერისი მომენტია – გერმანიაში დამთავრდა არჩევნების წელიწადი და კარსმომდგარია მეორე მსოფლიო ომის ორმოცდამეათე წლისთავი. ჩვენი პოლიტიკური ურთიერთობების გამოცოცხლების მიზნით ვგეგმავ (ისევე როგორც სხვა ჩეხი უმაღლესი სახელმწიფო პირები) ფართო მოლვაწეობას (ვიზიტები, მიღებები და სხვ.). შესაძლოა, ჩემი გამოსვლის ზოგიერთი პასაჟი მკვეთრად ან მწვავედ მოგეჩვენებათ (განსაკუთრებით სუდეტელ გერმანელთა პრეტენზიების საკითხში), მაგრამ გთხოვთ ღრმად ჩასწვდეთ სიტუაციას, რომელშიც აღმოვჩნდი. პოლიტიკური ძალები და საზოგადოება მაბრალებს, თითქოს მობოდიშებით გავაღვიძე სუდეტელ გერმანელთა რევიზიონიზმი, მობოდიშებას პოლიტიკურად უხეშ შეცდომად მითვლიან. მათ პოზიციას არ ვეთანხმები, მაგრამ ვგრძნობ, გამოვთქვი რა ცალსახად ჩემი შეხედულება განდევნის ფაქტის შესახებ (ჩვენი საზოგადოების უმეტესობის აზრის საწინააღმდეგო!), მოვალე ვარ ასეთივე ხაზგასმითა და მკაცრი ტონით გამოვიდე სუდეტელ გერმანელთა პრეტენზიების წინააღმდეგაც. ამ მოვლენებს ჩვენში ყურადღებითა და ნერვიულად ადევნებენ თვალყურს. მეტიც, პოლიტიკური პარტიები სუდეტელ გერმანელთა მიმართ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულებით ცდილობდნენ საარჩევნო ხმების მოპოვებას. გარდა ამისა, ვგონებ უკვე მოგახსენეთ, რომ 1991 წელს გამოვედი ფრიად გაბედული ინიციატივით, რომელიც მიმართული იყო განდევნისას მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისაკენ და რომ გერმანიის მთავრობის მხრიდან ამას არ მოჰყვა არანაირი რეაქცია. დღეს მსგავსი ინიციატივა უკვე წარმოუდგენლად მიმაჩნია. საგრძნობლად შეიცვალა

სიტუაცია. პირველ რიგში, სუდეტელ გერმანელთა სამხარეო ასოციაციის ზრდადი და სულ უფრო ხმამაღალი მოთხოვნების, აგრეთვე სხვა მიზეზების გამო. მადლობელი ვიქნებოდი, თუ ჩემი გამოსვლის ტექსტს ყურადღებით წაიკითხავდით და რაიმე ფორმით, საჯაროდ წარმოთქმამდე შემატყობინებდით თქვენს აზრს. ცხადია, გესმით, რომ ეს უნდა დარჩეს ჩვენ ორს შორის. თუ ჩემი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, თუნდაც პოლემიკურად, მაგრამ გამოეხმაურებოდით ჩემს საჯარო გამოსვლას, მხოლოდ მივესალმებოდი ამას, რადგანაც ეს იქნებოდა საქმიანი დიალოგის დასაწყისის მანიშნებელი. მიიღეთ ჩემი გულითადი მოკითხვა და შეგახსენებთ, რომ მოუთმენლად ველი მზადების პროცესში მყოფ თქვენს მომავალ არაოფიციალურ ვიზიტს ჩეხეთში. თქვენი ვაცლავ ჰაველი.

3) პან ს.-სთან საუბრისას პან ს.-მ შეაჩეჩოს ცნობა ოსვენციმის შესახებ – როგორც ჩემი კეთილი ნების გამოხატულება სამინისტროსთან თანამშრომლობის საკითხში. ცნობის ტექსტს გპგ[34]-მ უნდა გადახედოს, ცოტა მაინც შეასწოროს და მისაღები სახე მისცეს (არ ვიცი როგორ). ინფორმაცია ოსვენციმში მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ (საიდუმლოდ!). თავისი ინიციატივით მომძღებნა ბატონმა ჰოლბრუკმა, რომელსაც მანამდე არ ვიცნობდი და წამოიწყო დაახლოებით ნახევარსაათიანი საუბარი. თავისი პატივისცემით აღსავსე დამოკიდებულებით თავდაჯერებულობა შემმატა. მითხრა, რომ იცნობს ჩემს სტატიებსა და გამოსვლების ტექსტებს, მომიბოდიშა კისინჯერთან სადილზე დაუსწრებლობის გამო. დაბოლოს, მომაწოდა შემდეგი ინფორმაცია: აშშ-ს ნატოში ჩვენი რაც შეიძლება სწრაფი გაწევრიანების დიდი ინტერესი აქვს და ამას უყურებს, როგორც სტრატეგიული აუცილებლობის საკითხს. წლის შუა პერიოდში ამაზე დაიწყება საუბარი ნატოში და წლის ბოლოს კი, შესაძლოა, უკვე ჩვენთანაც დაიწყონ მოლაპარაკება. ამბობენ, რომ დიდი ბრიტანეთი უპირობოდ უჭერს მათ მხარს (როგორც მეიჯორი ამბობდა თავის დროზე), საფრანგეთი – სანახევროდ, მთავარ მოწინააღმდეგედ კი მიაჩნიათ გერმანია. შევეკითხე, ხომ არ უჩნდება შთაბეჭდილება, რომ გერმანია მხარს უჭერს ჩვენს ევროკავშირში შესვლას, რადგანაც იქ თვითონ არის წამყვანი ძალა და ეწინააღმდეგება ჩვენს შესვლას ნატოში, სადაც დომინანტია აშშ და რომ გერმანელები ცენტრალური ევროპის უშიშროების საკითხებს სიამოვნებით თავად გადაწყვეტდნენ, შეიძლება რუსებთან თანამ-

34 გპგ – ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის საგარეო (გარე) პოლიტიკის განყოფილება. ჩეხურად: OZP – Odbor Zahraniční Politiky.

შრომლობითაც კი, ყოველ შემთხვევაში, აშშ-ს გარეშე. მითხრა, რომ მასაც ზუსტად ასე ესახებოდა საქმის ვითარება და დაინტერესდა, რაიმე მტკიცებულება ხომ არ გამაჩნდა. ვუთხარი, რომ პირდაპირ მტკიცებულებებს არ ვფლობდი, მეტიც, რომ კოლმა ევროკავშირამდე ნატოში ჩვენი შესვლის საკითხთან დაკავშირებით მხარდაჭერა დამიდასტურა და რომ ასეთი შთაბეჭდილება განპირობებულია, სხვა თუ არაფერი, ზოგიერთი მინიშნებითა და გერმანელ პოლიტიკოსთა ქცევით. მითხრა, რომ ახლა ბევრია დამოკიდებული თვით ჩვენზე და განსაკუთრებით – ჩემზე: ამ საკითხთან დაკავშირებით წნეხის ქვეშ უნდა ვიყოლიოთ გერმანელები, რადგანაც ეს მეტ-ნაკლებად მათ ზეა დამოკიდებული. ევროკავშირის წევრობას უყურებს, როგორც შორეული მომავლის საქმეს და სტრატეგიულად ნაკლებად მნიშვნელოვანს, ნატოს წევრობას კი, პირიქით, ახლანდელ უპირველეს ამოცანად აღიქვამს. (...)

(25. 2. 1995)

პატივცემულო კოლეგებო, წავიკითხე თქვენი შენიშვნები საპარლამენტო გამოსვლის ტექსტის პირველ (დაუმთავრებელ) ვერსიასთან დაკავშირებით. დიდი მადლობა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ შემდეგ კიდევ სამი დღე ვწვალობდი ტექსტზე და ყველა თქვენი შენიშვნის გათვალისწინება რომ მეცადა, კიდევ ათ დღეს ვიწვალებდი. სიამოვნებით, მაგრამ საიდან ამდენი დრო? ერთი-ორი თქვენი შემოთავაზება გავითვალისწინე, დანარჩენი, სამწუხაროდ, არა. ამის მიზეზები განსხვავებული იყო. მაგალითად, შენიშვნების ურთიერთგამომრიცხაობა. დარგობრივი მიმოხილვის ნაცვლად ყველანი მირჩევდით უფრო პირადულ და ესეისტურ ტონს, ამავდროულად თითქმის ყველანი მითითებდით იმ დარგებსა და თემებზე, რომლებზეც დამავიწყდა რამე მეთქვა, მაშინ, როდესაც თურმე ეს საჭირო იყო. თქვენი შენიშვნების გათვალისწინება მხოლოდ გაზრდიდა ტექსტის მოცულობას, თუმცა ერთხმად მის შემცირებას მირჩევთ. ბევრი მათგანიც დაა ზარალებდა ტექსტის სტილს, აზრობრივ წყობას. პირადული, ბელეტრისტიკული და ცოტა არ იყოს, პროვოკაციული პასაჟები შემიკვეცეთ, ამავდროულად მირჩევთ უფრო პირადულ, მკაცრ (პროვოკაციულ) საუბარს და ა.შ. მაშ ასე: აღნიშნული ვითარებისა და დროის უკმარისობის პირობებში რაც გავითვალისწინე, გავითვალისწინე, ტექსტი ბოლომდე დაწერილიცაა და ამ ეტაპისათვის რედაქტირებულიც, რადიკალურად უკეთესი აღარასოდეს იქნება (რომელ ჩვენგანს მოაფიქრდა, რომ უნდა

დავწერო „ანგარიში უნიის მდგომარეობის შესახებ"? ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს მე ვიყავი?). (...)

(6. 3. 1995)

(...)

3) ორშაბათისთვის დაგეგმილი მქონდა (უკვე პოლანდიაში რომ ვიქნები) გამოსვლის ტექსტი გადამეგ ზავნინებინა პრემიერისათვის. საჯაროდ რეაგირების დრო არ ექნება, სამაგიეროდ, ფსიქოლოგიურად მოამზადებდა იმისთვის, რომ ჩემი გამოსვლისას, კამერების წინ ზედმეტად აღარ დაიმანჭოს. წინასწარ ცოტა თუ შევაშინებ, ნამდვილად არ ავნებს: საჯაროდ როდესაც წავიკითხავ, ისეთ მძიმე შოკს აღარ მიიღებს. არ აქვს მნიშვნელობა მოასწრებს თუ არა ორშაბათ საღამოს ჩემი სამშაბათის გამოსვლის წინ ტექსტის გაცნობას, თვით ფაქტი, რომ დოკუმენტი წინასწარ გავუგ ზავნე, ოდნავ მაინც შეარბილებს მის რეაქციას. (...)

5) რაც შეეხება ჯილდოებს: ვთხოვ შპგ[35]-ს, ნელ-ნელა შეუდგეს 28 ოქტომბერს დასაჯილდოებელ პირთა სიების შედგენას. ვერ ვიხსენებ, ვინ მიიღო ჯილდო ჯერ კიდევ ფედერაციის არსებობისას და ვინ – არა. საკუთარი სია დროულად უნდა გვქონდეს მზად, რათა ტოლნერზე უფრო მომზადებულები ვიყოთ, რომელიც ადრე თუ გვიან მოგვაკითხავს პარლამენტის (წინასწარი) შემოთავაზებით. დაუშვებელია მეცნიერების სხვადასხვა დარგის დავიწყება, ნაცისტებისა და კომუნისტების წინააღმდეგ მებრძოლები (ჩერმინი და ა.შ.), ჟურნალისტები (ტიგრიდი!, დუხაჩეკი in memoriam, მედეკი (თუკი ჯერ არ მიულია ჯილდო) და სხვ.), ცხადია, ხელოვნების წარმომადგენლები: კუნდერა, შკვორეცკი, ჰრაბალი, ფორმანი, ხიტილოვა, ბოშტიკი, ბაუხი, პიშტეკი, შიმოტოვა, იურაჩეკი, ვოსკოვეცი და ვერიხი in memoriam? ჩეშტმირ კაფკა, მიკულაშ მედეკი, კოჰოუტი?!. აგრეთვე სპორტსმენები: ნავრატილოვა, ლენდლი და სხვ. უცხოეთში მყოფნი დროულად უნდა მოვიპატიჟოთ! სირთულეს წავაწყდებით იმათთან დაკავშირებით, ოდესღაც კომუნისტები რომ იყვნენ, თუმცა გაბატონებული პოლიტიკური აზრისათვის გარკვეული წინააღმდეგობის გასაწევად მზად ვარ. (...)

---

35 შპგ – ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის საშინაო (შიგა) პოლიტიკის განყოფილება. ჩეხურად: OVP – Odbor Vnitřní Politiky.

(16. 4. 1995)

1) დასაწყისისთვის მოკლე ცნობა ჩემ შესახებ: აღდგომის წინა ორი დღე (პარასკევი და შაბათი) ძალიან საცოდავად გავატარე: გაცოფებული ვიყავი მთელ სამყაროზე, ჯერ მარტო იმიტომ, რომ ჩემთვის არ არსებობს არანაირი აღდგომა და უნდა ვიმუშაო (მზად მყოფ სასწრაფო დახმარების მედდებთან და მძღოლთან ერთად), შეიძლება კიდევ იმიტომ, რომ ერთდროულად ამდენი გამოსვლა მაქვს დასაწერი, ან კიდევ იმიტომ, რომ ცხვირწინ მიდევს მასალების სქელი დასტები და საერთოდ, უიკენდზე უამრავი ასეთი ადმინისტრაციული ქაღალდი მაქვს წასაკითხი (თითქმის 300 გვერდი), ან კიდევ იმიტომ, რომ პრინტერი გაფუჭდა, მის გარეშე კი სიტყვას ვერ ვწერ და კიდევ იმიტომ, რომ ვერავინ მომიძებნია პრინტერის გასაკეთებლად, ყველანი სადღესასწაულოდ არიან გაკრეფილი. მარტოსულად ვგრძნობდი თავს, მეგონა მთელმა სამყარომ ჩემ წინააღმდეგ შეკრა პირი, ამკიდა დაუძლეველი ტვირთი და ერთობა იმის ყურებით, როგორ მეკეცება მუხლები. გალიაში გამომწყვდეული ლომივით დავბორიალობდი ოთახში და გაურკვეველ მსხვერპლზე ბოლმით ვიხრჩობოდი (მიუხედავად იმისა, რომ მეხამრიდად ჩემი სამსახური მესახებოდა). ბოლოს სიტუაცია ცოტა გამოსწორდა: მომიძებნეს ადამიანები, რომლებმაც პრინტერი სახელდახელოდ შემიკეთეს და კვირას დილიდან (ანუ დღეს), როგორც იქნა, დავიწყე მუშაობა. შედეგებს გიგ ზავნით: 1. 5 მაისის გამოსვლის ტექსტი გასწორებულია. საკმარისია ჩემი ჩამატებების გაშიფვრა და ლამაზად, დიდი ასოებით გადაწერა. 2. მიმართვა ქალაქის მერებს. არაფერია განსაკუთრებული და ნებისმიერ გაკეთილშობილებას მივესალმები (რატომ არ იქნებიან იქ თვით მერები? სოფლის კრება ერქვას, ხომ არ აჯობებდა?). 3. გამოსვლა ნატოში, რომელიც მთლიანობაში მომწონს. ამიტომ, თუ შეიძლება – მხოლოდ უმნიშვნელო რეტუშირება, სტილისტური და შინაარსობრივი. შენიშვნებს გადავხედავ ოთხშაბათს და სასწრაფოდ გადაიცეს სათარგმნად, შაბათ-კვირას ინგლისურად წაკითხვაში უნდა ვივარჯიშო!!! თუ 8 მაისის გამოსვლის დაწერაც მოვასწარი, თან დავურთავ ამ გ ზავნილებს, თუ არა და ვიმედოვნებ, სამშაბათს უკვე თან მექნება. ეჭვი მეპარება მოვასწრო ბარსელონის დაწერა, ძალიან სულელურად დავკარგე ორი დღე. (...)

6) ჩემი პროგრამის დაგეგმვისას ისიც გაითვალისწინეთ, რომ ხანდახან მჭირდება შეხვედრებისა და ვიზიტებისათვის მზადება (კუჩმა, შვედეთის მეფე და მისთ.). მასალები დროულად უნდა

მქონდეს და არა ბოლო წუთში, როდესაც, როგორც წესი, თვალის გადასავლებადაც კი აღარ მცალია. (...)

11) სადაცაა მედლების გადაცემაც შედგება! მაქვს სხვადასხვა მოსაზრება, პარლამენტმა უკვე დაა ზუსტა სია, მინდა გარკვეულობა შევიტანო ამ საკითხში და შევათანხმო ჩემი შეხედულებები პარლამენტთან (ვოსკოვეცი, ვერიხი, ვანჩურა, ვალენტა, იოზეფ ჩაპეკი, ბასსი, კუნდერა, ფორმანი, ზენკლი, ფეირაბენდი, ნავრატილოვა, ლენდლი, ჩასლავსკა, ტიგრიდი, მედეკი, რიპკა, სტრანსკი, კილიაანი, ჰანეკი, ბანიაჩკოვა, სუკი, ტრნკა, ჰრაბალი, შკვორეცკი, ხიტილოვა, იურაჩეკი, ბოშტიკი, კაფკა, შიმოტოვა, ბაუხი, კარდი, კოლერი და ა.შ., აღარ მახსოვს, ზოგიერთს შეიძლება უკვე მიღებული აქვს). (...)

14) პან მ-ს ვთხოვ გამოიძიოს, რატომ არ შედგა აქამდე პაპის წარგ ზავნილების ვიზიტი მთავრობაში და თუ შედგება – როდის. გამოძიების შედეგები შეატყობინოს კარდინალს. მან დამირეკა და ამ ამბავთან დაკავშირებით განმარტებებს მთხოვდა. ეშინია, რომ მთელი ხარჯების გაღება ეკლესიას მოუნევს. (...)

(23. 4. 1995)

(...)

6) პან დ-საგან შევიტყვე მოსკოვში დელეგაციის სავარაუდო შემადგენლობა. ძალიან მომწონს, რომ დელეგაცია მცირერიცხოვანია. აკლია „პოლიტიკური" თანამშრომელი, ასე ვთქვათ, მრჩეველი დელიკატური სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში, თუმცა ამ როლს ელჩიც შეასრულებს. გამიხარდებოდა, რაც შეიძლება სწრაფად მიმეღო დასამტკიცებლად მონსში, ლონდონში, უნგრეთის ლიტომიშლში და ჰარვარდში დელეგაციების შემადგენლობები, ჟურნალისტების ჩათვლით. ჩვეულებრივ, ამას მაშინ ვიგებ, როდესაც რამის შეცვლა აღარ ესწრება.

(13. 5. 1995)

(1) (...) ხუთშაბათს ჩვენი სახლი ყვავილებით ზღაპრულად მორთული დამხვდა. მიუხედავად ამისა, ერთმა სავსებით ბუნებრივმა შეკითხვამ მყისვე შემაწყვეტინა ამ მშვენიერებით ტკბობა: ჰრადის კეთილმა მებაღეებმა სახლი არაოფიციალურად მომირთეს თუ ორშაბათს პჰა[36]-საგან მომივა ფაქტურა 10000 კრონზე? ყოველ კვირას ასეთი მდიდრული მორთულობის საფასურის გადახდა რომ

36 პჰა — პრაღის ჰრადის ადმინისტრაცია, ანუ პრეზიდენტის კანცელარიის ადმინისტრაცია. ჩეხურად: SPH - Správa Pražského Hradu

მიხდებოდეს, ადრე თუ გვიან აუცილებლად გადავწყვეტდი შესაბამისი თანხა გადამეცა თავშესაფრებისთვის, მე კი ერთი-ორი ჩვეულებრივი თაიგული ჩემით მეყიდა ხოლმე ყვავილების მაღაზიაში. კიდევ: ბ. და ი. რაღაცას მელაპარაკებიან იმის თაობაზე თუ როგორ უჭირს პანი ოუშკოვას ჩემი პერანგების რეცხვა, რამდენი სამუშაო აქვს, გასამრჯელო კი დაბალი, შესაბამისად ყველა როგორ ცდილობს ამ ვეებერთელა პრობლემის გადაჭრას. ღმერთო ჩემო, იცით რას გეტყვით? რასაც ჩემი პერანგების ასე იდეალურად გაუთოებისათვის იმსახურებს, სრულად გადაუხადეთ, ჩემი ან სახელმწიფო ფულიდან, კომუნალური ანგარიშიდან, სპონსორებისაგან, საიდანაც გნებავთ, ოღონდ გამუდმებით რაღაცებს ნუ მეკითხებით და ნუ მსაყვედურობთ! და თუ ეს მართლაც ასეთი გადაუჭრელი საკითხია, მითხარით და ვიპოვი სხვა მრეცხავს, მიუხედავად იმისა, რომ გასაგებია, არავინ არის ამქვეყნად ისეთი იდეალური, როგორიც პანი ოუშკოვა. ან კიდევ: ოლგა ერთგვარ სიმბიოზში იმყოფება სათბურებთან და მებაღეებთან, აწვდის მათ ეგ ზოტიკურ ნერგებს, ისინი კი მისთვის ზრდიან რაღაც მცენარეებს და უცებ ვიგებ, რომ ეს მათი თანამშრომლობა არალეგალურია! ან თუნდაც ეს: განმიმარტეს, რომ ყოველი გადასაგდები ქაღალდი, როგორც წესი, სავსე სახელმწიფო საიდუმლოებებით, უნდა განადგურდეს და რომ საამისო მოწყობილობას ჰრადი ვერ მათხოვებს, ამდენად, ეს ქაღალდები დიდი მზრუნველობით უნდა ვაგროვო შინ, ერთ რომელიმე მკაცრად გასაიდუმლოებულ ადგილას და დროდადრო საიდუმლოდ ვატარო ჰრადზე გასანადგურებლად. იცოდეთ, მე აქ არავისი ტაკიმასხარა არა ვარ!! და ა.შ. ცხადია გესმით, რომ როდესაც მსგავს ფსევდოპრობლემებს მეტ დროს ვანდომებ, ვიდრე ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ჩეხეთ-გერმანიის ისტორიული შეთანხმება, მაქვს უფლება გავცხარდე! გადაწყვიტეთ ეს საკითხები როგორც გენებოთ, ოღონდაც გთხოვთ ჩემს ჩაურევლად! და კიდევ ერთი: კეთილი, კანონის მათივე ინტერპრეტაციის მიხედვით პჰა-ს ეკრძალება ჩემზე ზრუნვა, როდესაც არ ვცხოვრობ მათ რეზიდენციაში, მაგრამ მიჩნდება შეკითხვა, მაშინ მაინც თუ გრძნობენ რაიმე პასუხისმგებლობას, როდესაც მათ რეზიდენციაში ვიმყოფები? თუ გრძნობენ, მაშინ ვეკითხები, როდის ამინაზღაურებენ იმას, რაც მოიპარეს რეზიდენციის გარემონტებისას (90 000 ჩეხური კრონი ნაღდი ფული, ტელევიზორი, რადიო, დიქტოფონო, მაგნიტოფონი, ახალი უთო, და ა.შ.) და ამით, ამ თემას სამუდამოდ ვასრულებ. (...)

2) შეგახსენებთ იმას, რაზეც წინასწარ უკვე მოველაპარაკე ლ.-ს:

ვთხოვ, ორშაბათ დილას მიიპატიჟოს რუსეთის ელჩი იმავე დღის ნაშუადღევისათვის, შემდეგ დაურეკოს სსს-ს და შეატყობინოს, რომ ნაშუადღევს ექნება საუბარი ელჩთან, რომელსაც მოსთხოვს უკანასკნელ და დაზუსტებულ ინფორმაციას ჩემ წინაშე ჩეჩნეთის გენოციდური ომის გმირი რუსი ჯარისკაცების მოსალოდნელი დეფილეს, საპატიო აღლუმის გამართვის შესახებ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (და თუ საჭიროდ ჩათვლის, სსს-სთან კონსულტაციის შემდეგ) ჩამოაყალიბოს ჩემი პოზიცია (გაურკვევლობა? გაკვირვება? პროტესტი? შეშფოთება?), რომელსაც ტელეფონოთ შემითანხმებს, შემდეგ გადაუთარგმნოს ელჩს და სასწრაფოდ გადასცეს ჩპს[37]-ს. (...)

10) ახალი ამბებიდან, რომლებსაც ეს-ესაა ვუყურე, ჩანს, რომ რუსებმა წლისთავთან დაკავშირებული ომის შეწყვეტის შემდეგ, უმალ უმძლავრესი შეტევა მიიტანეს ჩეჩნეთზე. ეს დიდი ღორობაა და ამიტომ გთავაზობთ, რომ იმას, რასაც ლ. ეტყვის ლებედევს, დაემატოს ჩემი მკაცრი მოწოდება ელცინისადმი სასწრაფოდ შეაჩეროს სამხედრო მოქმედებები. ხომ არ აჯობებდა, რომ მოწოდებას წერილობითი სახე ჰქონდეს? ან იქნებ პირადად გადავცე?

11) ესპანეთის დედოფალ სოფიას ველაპარაკე ვიზიტის შესახებ. ორივენი დიდ მოლოდინში არიან, უნდათ ძეგლების დათვალიერება და საერთოდ მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრება, უნდათ ჩემთან ერთად რომელიმე რესტორნის მონახულება. ხუან კარლოსი არ გახლავთ ის ტრივიალური მეფე, უკანასკნელს რომ არ წევს სამეფო ტახტიდან. ამიტომაც ვემხრობი არასტანდარტულ პროგრამას: მეორე დღესვე თვითმფრინავით ან შვეულმფრენით გასეირნება ტელჩში, სასახლის დათვალიერება და გასეირნება მოედანზე, შემდეგ თვითმფრინავით ან შვეულმფრენით – კრუმლოვში, იქ სადილი (რესტორანი „რუჟე“ საზიზღრად არის მოწყობილი!), ქალაქისა და სასახლის დათვალიერება, დაბრუნება პრაღაში. ვახშამი პატარა მრგვალი მაგიდებით გავსებულ რუდოლფის გალერეაში, სანთლები, ინტიმური განათება. რაიმე მოკლე წარმოდგენა გინდათ, კონცერტი ვახშმამდე ან შემდეგ? რუდოლფში? ესპანურში? ბავშვთა სახლში? ჰრადის დათვალიერება. უპრიანი ხომ არ იქნებოდა თეთრი ლომის ჯილდო გადაგვეცა? ცხადია, ნერუდის მოედანი და კარლოსის ხიდი. ბოლოს აქ ჰუსაკის[38] დროს იყვნენ და ჟრუანტელმა დაუარათ, აინ-

37 ჩპს – ჩეხეთის პრეს-სამდივნო, ჩეხურად : ČTK - Česká Tisková Kancelář.

38 გუსტაფ ჰუსაკი (Gustáv Husák) — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ბოლო პრეზიდენტი.

ტერესებთ მომხდარი ცვლილებები. ვახშმის მერე რესტორანში, სიცოცხლე რომ ჩქეფს ისეთში, ვთქვათ იქ, სადაც ანდულკასთან ერთად ვიყავით. სავსეა წესიერი სტუმრებით! მალიორკაზე ზუსტად ასეთ, სავსე და ხმაურიან რესტორანში მპატიჟებდა ხოლმე ხუან კარლოსი! ერთი სიტყვით, ამ ვიზიტის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას გთხოვთ. ახლო მომავალში სიამოვნებით შევუერთდები მოკლე საორგანიზაციო შეკრებას. (...)

(24. 6. 1995)

(...)

8) (...) გ) ორგანიზაციული ცვლილებები გაეროსა და ევროკავშირში. შემოდგომაზე ორივე თემა აქტუალური იქნება, ამიტომაც მივესალმებოდი ახალ მასალებსა და სიუჟეტებს ამასთან დაკავშირებით (ჩემი წარმოდგენა ეუ-ს ინსტიტუტების შესახებ: პრეზიდენტი, როგორც მათი იდეების სიმბოლური განსახიერება, ყოველგვარი დიდი უფლებების გარეშე. ორპალატიანი პარლამენტი, „სახალხო პალატა" – ანუ ის, რაც დღეს არსებობს, პირდაპირი არჩევნები, რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და ა.შ. – და „ერთა პალატა" – ქვეყნების პარიტეტული წარმოდგენით, როგორც აშშ-ს სენატში, ყოველი ქვეყნიდან, პარლამენტის ორი დიდი წონის მქონე წარმომადგენელი ანუ არავითარი პირდაპირი არჩევნები. კომისია როგორც კვალიფიციური აღმასრულებელი ორგანო დიდი პოლიტიკური უფლებების გარეშე, სადაც მნიშვნელობა ენიჭება არა რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობას, არამედ მხოლოდ პიროვნების პროფესიონალიზმს. ევროპის საბჭო: კენჭისყრის სამი სახეობა: აბსოლუტური უმეტესობით პრინციპულ საკითხებში, უმეტესობით /ხმის დათვლა ქვეყნის სიდიდის მიხედვით/ საშუალო მნიშვნელობის მქონე საკითხებში /შედეგი ეხება ყველას/ და კენჭისყრა, რომლის შედეგიც ეხება მხოლოდ იმათ, ვისაც ეს უნდა ანუ გამონაკლისების დაშვების შესაძლებლობა. შემდგომ, რაიმე ევროკავშირის იდეური ქარტიის მსგავსი. აგრეთვე რაიმე მისი კონსტიტუციის მსგავსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა არსებული დოკუმენტი, დაწყებული რომის შეთანხმებით და დამთავრებული მაასტრიხ 1 და მაასტრიხ 2-ით, უნდა შეერთდეს და გადაიქცეს ერთ ახალ და ყველასთვის გასაგებ ტექსტად. ის, რაც დღესაა ძალაში, მხოლოდ ექსპერტთა მცირე ჯგუფისთვის არის გასაგები.

(24. 7. 1995)

(...)

17) ზიელენიეცმა დიდის ამბით მომახსენა, რომ მეგ ზურობას გამიწევს გაეროში ვიზიტისას. ცხადია, ეს დიდი შინაგანი ბრძოლის შედეგია, ისევე როგორც მისი გარემოცვის მხრიდან წნეხის (კარგად ვიცით, როგორ არ უყვარს ჩემთან ერთად მოგზაურობა და იქ ჩემს ჩრდილში ყოფნა). პან დ.-ს ვთხოვ დროულად მოამზადოს დიდი თვითმფრინავი, ოლონდ ის სულელური არა, კარგი. (...)

(10. 8. 1995)

(...)

1) ს.-საგან მიღებული მასალების საფუძველზე, ვცდილობ მისი პირადი საჭიროებისთვის დავწერო ჩეხეთ-გერმანიის დეკლარაციის მონახაზი. ეს მეგობრისთვის გაწეული ლიტერატურული დახმარება უფროა, ვიდრე პრეზიდენტის სერიოზული ჩართვა საქმეში. მთხოვა, რომ არავის წავაკითხო და არავის არაფერი ვუთხრა. ნელ-ნელა ვხვდები მისი სიფრთხილის მიზეზს. თხოვნა შევუსრულე და ტექსტი სპეციალური კურიერის მეშვეობით პირადად გადაეცა. (...) გთხოვთ ამაზე არ ილაპარაკოთ, ვინმე არასასურველმა თუ გაიგო, რომ ამაში ვმონაწილეობ, შეიძლება ყველაფერი ჩაიშალოს. საკმარისია შევნიშნოთ პრესის მინიშნებები იმის თაობაზე, თუ ვინ ანარმოებს მოლაპარაკებებს და ა.შ. (...)

(3. 11. 1995)

(...)

7) ვეთანხმები აზრს, რომ 28 ოქტომბერმა კარგად ჩაიარა და ყველა, ვინც ასე მშვენივრად იმუშავა, იმსახურებს შექებას. მადლობა მათ კიდევ ერთხელ. ამავდროულად, ვეთანხმები ვ.-ს და შ.-ს ყველა პატარ-პატარა შენიშვნას. განსაკუთრებით დამწყდა გული, რომ დარბაზში რიგები იყო ცარიელი (მე ეს არ შემიმჩნევია). როგორც ყოველთვის, ამჯერადაც არაერთგზის გავაფრთხილე და ვთხოვე პან დ.-ს, მოლაპარაკებოდა რპკ-ის თანამშრომლებისა და ბანკეტის ჩვენთან დამეგობრებული მონაწილეების გარკვეულ ნაწილს, რათა მზად ყოფილიყვნენ საჭიროების შემთხვევაში დარბაზში ადგილების შესავსებად. არ ვიცი რატომ არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა. (...)

(26. 11. 1995)

(...)

5) უფრო კონკრეტულად იაპონიის შესახებ. წარმოდგენა არ მაქვს რა უნდა წამოვიღო, ასი გრადუსი ნულს ზევით იქნება თუ ნულს ქვევით, არ ვიცი რა უნდა მეცვას იმპერატორთან შეხვედრისას ან თუნდაც სიტყვით გამოსვლისას, მექნება თუ არა დღის განმავლობაში ტანსაცმლის გამოცვლის საშუალება, ყველგან და ყოველთვის შავი ტანსაცმელი უნდა ვატარო თუ ნაცრისფერიც დასაშვებია, ან იქნებ სხვა ფერიც შეიძლება და რაიმე სპორტულიც მჭირდება, როგორი პალტოები – თუკი საერთოდ მჭირდება პალტო, ან იქნებ – სმოკინგი, სადაც შავი ტანსაცმლით გამოცხადება წერია (ბევრი სხვა რამ არ ვიცი კიდევ, პარლამენტის თავმჯდომარესთან ვახშმის ფორმატი, ვინ იქნება იქ და სპეციალურად ჩემს პატივსაცემად ხომ არ ტარდება, უნდა დავლიო სადღეგრძელო თუ – არავითარ შემთხვევაში და რა თემებზე იქნება ინტერვიუები, რას საქმიანობს ვაისელის ფონდი, რა უნდა ვთქვა ჯილდოს გადმოცემისას და საერთოდ, რისთვის იძლევიან ამ ჯილდოს და ა.შ. ანუ, ამ სახის ინფორმაცია ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე ის, რომელსაც მანვდიან სამინისტროები. მაგალითად, რამდენ კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული იაპონია). (...) ადგილზე არ გაირკვეს ბოლო მომენტში, რომ იმპერატორთან გამოცხადება მხოლოდ ჟაკეტით შემიძლია, რომელიც საბედნიეროდ მაქვს, თუმცა ჯერ არასოდეს მცმია. (...)

(17. 12. 1995. ა)

(...)

10) პარასკევ საღამოს ვნახე ჰრადის ახალი განათება. ვიმედოვნებ, ეს არ არის საბოლოო ვარიანტი. ორი დიდი ნაკლი შევნიშე: 1. განათებას ისევ არ ჰყოფნიდა სითბო (განსაკუთრებით წმინდა ნიკოლოზთან შედარებით), თუმცა იმ ძველ „ნეონს" ნამდვილად სჯობდა. 2. თვალშისაცემი უფრო სხვა რამ იყო. როგორც ცნობილია, მწვანე და ყვითელი იძლევა იისფერს[39]. სწორედ ამიტომ, დიდგვაროვანთა მწვანე სასახლე გადაიქცა იისფერ საძაგლობად, შაქარყინულად, სადღესასწაულოდ მორთული ტორტის ნაჭერს წააგავს. ამის ასე დატოვება წარმოუდგენელია, ყველა დაგვცინებს!

39 მწვანე და ყვითელი ფერები შერევისას არ იძლევა იასამნისფერს, სავარაუდოდ, უცაბედ შეცდომასთან გვაქვს საქმე.

(17. 12. 1995. ბ)

ჩემდა გასაკვირად, შაბათ საღამოს (ოთხ საათში) შევძელი შეუძ-ლებელი – საახალწლო გამოსვლა დავწერე! (...)

(ვაშინგტონი 12. 4. 2005)

წუხელ მოულოდნელად დამეწყო ციებ-ცხელება, ამიწია სიცხემ, ძალიან ცუდად ვიყავი. საშინელება იქნება თუ ჩამოსვლიდან ორ დღეში ავად გავხდი. ყველაზე ჩვეულებრივი გრიპიც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს, მყისვე გადაიზარდოს ფილტვების ანთე-ბაში და იმის გათვალისწინებით, რომ ფილტვის ნაწილი ამოჭრილი მაქვს და კიდევ სასუნთქი გზების პრობლემები მაწუხებს, ნების-მიერი ფინალია მოსალოდნელი. უკვე რამდენჯერმე ეკვდებოდი ასე და, უპირველეს ყოვლისა, დაშას დახმარებით გამოვედი მდგო-მარეობიდან. ვირუსის, გრიპის ან ანგინის დაწყების წინ ყოველთვის საშინელი შეგრძნება მკლავს, ძალაგამოცლილი ვარ, შეიძლება ითქვას, ცხოვრების სურვილიც კი მეკარგება. გაღვიძებისას ყოველ-თვის ასე ვგრძნობ თავს, მაგრამ როდესაც ამას ავადმყოფობაც ერთვის, ეს სრულებით აუტანელი ხდება. ლოგინში წოლა მინდოდა, ასადგომად მთელი ნებისყოფის მოკრება დამჭირდა. ჩემს საერ-თო მდგომარეობაზე ბევრს ვფიქრობ და ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებამდე მივდივარ ხოლმე. ერთის მხრივ, ვიცი, გადაღლი-ლი მოხუცებული ვარ, რომელსაც უფლება აქვს დაისვენოს და არაფერზე იზრუნოს. მეორეს მხრივ, ხშირად მავიწყდება ხოლმე ეს და ისე ვიქცევი, ვითომც აქ არაფერიო და ახალ-ახალ საქმეებს ვეჭიდები. დღეს დაგეგმილი მაქვს ვახშამი საელჩოში, პრაღაში ამერიკის ყოფილ ელჩებთან, რომლებიც მაშინაც ბევრ კარგ საქმეს აკეთებდნენ და ახლაც მზად არიან კეთილი წამოწყებებში ჩვენს დასახმარებლად.

1989 წლის 21 თებერვალს თქვენ კიდევ ერთხელ დაგაპა-ტიმრეს და შეგეფარდათ 9 თვიანი უპირობო პატიმრობა. საინტერესოა, ამჯერად თუ განსხვავდებოდა გამოძიების მსვლელობა, სასამართლო პროცესი და თვით პატიმრობა, კომუნისტური ხელისუფლების რეპრესიულ აპარატთან ურთიერთობის თქვენი წინა გამოცდილებებისაგან?

ვფიქრობ, ჩემი პატიმრობა განსაკუთრებულ ყურადღებას

იმსახურებს, რადგან ბევრს მოგვითხრობს რევოლუციის წინამორბედი მოვლენების შესახებ. 1989 წელს 20 ნელინადი შესრულდა იმ დღიდან, რაც იან პალახმა[40] თავი დაიწვა. ქარტია 77-ის მაშინდელ სპიკერებს წმინდა ვაცლავის ქანდაკებასთან, ამ ტრაგედიის ადგილთან ახლოს, უნდა დაედოთ თაიგულები. გადავწყვიტე ცოტა მოშორებით დავმდგარიყავი ტროტუარზე და იქიდან მედევნებინა თვალყური, რათა პოლიციის ჩარევის შემთხვევაში სასწრაფოდ მეცნობებინა ეს ამბავი მეგობრებისა და უცხოეთის პრესისათვის. პოლიცია მართლაც ჩაერია და თანაც იმდენად მოუქნელად, რომ მიიქციეს გამვლელთა ყურადღება, რაც შემდეგ სპონტანურ მანიფესტაციად გადაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ადრე თუ გვიან მეც დამიჭერდნენ, მონუსხული ვუყურებდი ამ ყველაფერს, თუმცა მალევე გავეცალე იქურობას, რათა ინფორმაცია გამევრცელებინა. ჩამავლეს, როდესაც უკვე სახლისაკენ მივდიოდი და შემდეგ ყალბი ბრალდებების საფუძველზე გამასამართლეს, რითიც მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ვითარების ცვლილებას ჩვენში. ეს საბოტაჟს წააგავდა. დაუყოვნებლად წამოიწყო საპროტესტო აქციების ტალღა და რაც მთავარია, არა მარტო უცხოეთიდან. პეტიციებს ჩემი გათავისუფლების მოთხოვნით მასიურად აწერდნენ ხელს რეჟიმის მიერ „დაშვებული" ხელოვნების აქაური წარმომადგენლებიც კი, პირველ რიგში, თეატრალურ წრეებში. ბუნებრივია, რეჟიმი ამას არ მოელოდა, მოუმზადებელი იყო მოვლენების ასეთი განვითარებისთვის და არ იცოდა როგორ ემოქმედა. გასაგებია, ცალკეული დისიდენტების დაჭერა არ იყო პრობლემა, მაგრამ ყველა ცნობილი მსახიობის დაპატიმრება? ამდენს ველარ გაბედავდნენ. გარდა ამისა, ასეთი დიდი მხარდაჭერის იმედი, ალბათ, არ მექნებოდა, „ფუნდამენტალისტი" დისიდენტი რომ ვყოფილიყავი, რომელიც ამრეზით უყურებს ყველას, ვინც ასე თუ ისე ეგუება რეჟიმს ან ახერხებს მასთან თანაარსებობას. მაგრამ ასე არ ვიქცეოდი,

40 იან პალახი (Jan Palach) – კარლოსის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელმაც 1969 წლის 19 იანვარს, საბჭოთა კავშირის მეთაურობით ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მიერ 1968 წელს ჩეხეთის ოკუპაციისადმი პროტესტის ნიშნად, თავი დაიწვა პრაღის შუაგულში, წმინდა ვაცლავის მოედანზე.

თეატრის „დაშვებულ“ მოღვაწეებთანაც მქონდა გარკვეული ურთიერთობები, ისეთი, რომელიც მათთვის არ იქნებოდა სახიფათო, ამიტომაც ჩემი გასამართლება და დაპატიმრება იმ აბსურდული მიზეზით, რომ თვალს ვადევნებდი ვიღაც როგორ დებდა იების თაიგულებს სადღაც, ვერ დატოვებდა მათ გულგრილს. ციხეში, ცოტა არ იყოს, განსაკუთრებული პატიმარი ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით ჩუმად მისმენდნენ და მკაცრად იზოლირებული ვიყავი, მექცეოდნენ დიდი სიფრთხილით, რაც ძალიან მსიამოვნებდა. წინა პატიმრობებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, ვისვენებდი. სხვათა შორის, საკანში საგულდაგულოდ შერჩეულ, ეკონომიკური დანაშაულისათვის ხანგრძლივ პატიმრობამისჯილ ორ კომუნისტთან ერთად ვიმყოფებოდი, ჩემთან ლაპარაკისაც კი ეშინოდათ, ვაითუ მდგომარეობა კიდევ უფრო დაგვიმძიმდესო. საბოლოოდ, როდესაც პრეზიდენტი გავხდი და ამნისტიის წყალობით სახლებს დაუბრუნდნენ, კმაყოფილები დარჩნენ.

თქვენი პატიმრობა დასრულდა 17 მაისს. რით განსხვავდებოდა სიტუაცია პატიმრობამდე პატიმრობის შემდეგდროინდელი ვითარებისგან? როგორ შეიცვალა ჩეხოსლოვაკიის საზოგადოება ამ პერიოდში?

ვფიქრობ, იმ ოთხი თვის შემდეგ მეტი ცვლილება დამხვდა, ვიდრე წარსული, ბევრად უფრო ხანგრძლივი პატიმრობების შემთხვევაში. არა მარტო იმიტომ, რომ ბევრი რამ შეიცვალა მეზობელ ქვეყნებში – სოლიდარობას უკვე დიდი გავლენა ჰქონდა პოლონეთის ხელისუფლებაზე, საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა პერესტროიკა – არამედ, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება იწყებდა გამოღვიძებას ნარკოზული ძილის მდგომარეობიდან, რომელშიც 1968 წლის საბჭოთა ოკუპაციამ ჩააგდო. ისევე, როგორც თავის დროზე მუსიკალური ჯგუფი The lastic people-ისთვის სოლიდარობის გამოცხადების აქტს მოვაყოლეთ ქარტია 77-ის ჩამოყალიბება, მეჩვენებოდა, რომ ახლაც, საზოგადოების ახლანდელი სოლიდარობა, მთელი ჩემი რთული ცხოვრები-

სეული გზის ეს დიდი ოცნება, უფრო შორს გამიზნულ და მასშტაბურ ქმედებაში უნდა გადაგვეზარდა. ამდენად, ქარტიელ მეგობრებსა და თეატრის „დაშვებულ" კოლეგებთან კონსულტაციების შემდეგ, საშა ვონდრასთან და ირჟი კრჟიჟანთან ერთად, შევადგინეთ პეტიცია სათაურით „რამდენიმე წინადადება"[41]. პეტიციას ათი ათასობით ადამიანმა მოაწერა ხელი, „თავისუფალი ევროპისა" და „ამერიკის ხმის" ჩეხური სადგურები კვირაში ორჯერ მაინც გადმოსცემდნენ ხელისმომწერთა სიებს. მაშინ ამ გადაცემებს ყველაზე მრავალრიცხოვანი მსმენელი ჰყავდა. ერთადერთი, რაც საპასუხოდ მოახერხა ხელისუფლებამ, იყო ის, რომ ოფიციალურ პრესაში გამოაქვეყნა ხელოვანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ვრცელი წერილი, რომელშიც პეტიციას მკაცრად გმობდნენ. ეს სწრაფადვე ინანეს, რადგანაც საზოგადოებისგან, ანტიქარტიის[42] პერიოდისგან განსხვავებით, ამჯერად მხოლოდ დაცინვა მიიღეს. „რამდენიმე წინადადება" ძალიან მოკლედ აყალიბებდა მოქალაქის თავისუფლების საფუძვლების აღდგენის მოთხოვნას. ეს იყო აბსოლუტურად ბუნებრივი მოთხოვნები, რომლებსაც ეთანხმება ყოველი ცივილიზებული ადამიანი, მაგრამ ამავდროულად, მათი შესრულება ნიშნავდა რეჟიმის ცვლილებას.

---

41 რამდენიმე წინადადება – ასე იწოდებოდა 1989 წელს, ქარტია 77-ის მიერ შემუშავებული, შვიდი პუნქტისგან შემდგარი პეტიცია. მთავრობისგან მოითხოვდნენ მოქალაქის ძირითადი თავისუფლებების აღდგენას (პოლიტპატიმრების გათავისუფლება, მშვიდობიანი დემონსტრაციების უფლება და ა.შ.), ანუ პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციას.

42 ანტიქარტია ეწოდებოდა ოფიციალური ხელისუფლების რეაქციას ქარტია 77-ის მიერ შემუშავებულ რამდენიმე წინადადებაზე. გაზეთ „წითელი სამართალში" დაინერა საპასუხო წერილი სათაურით „განწირული თვითმარქვიები", რომელიც წაიკითხეს ეროვნულ თეატრში, სადაც თავი მოუყარეს ჩოხოსლოვაკეთის მოწინავე საზოგადოებას. შემდეგ ზენოლის ან მაცდური შეპირებების გზით (აკრძალულ მწერლებს დაპირდნენ ნაწარმოებების გამოცემას და ა.შ.) ბევრ მათგანს ხელი მოაწერინეს წაკითხულ დოკუმენტზე. მოგვიანებით გაირკვა, რომ ხელმომწერთა სიებში ჩართეს ისინიც, ვისაც სინამდვილეში არ მოუწერია ხელი, ან მოატყუეს, თითქოს ხელს აწერინებენ მხოლოდ ღონისძიებაზე დამსწრეთა სიას და არა ანტიქარტიულ დოკუმენტს.

(ვაშინგტონი 13. 4. 2005)

თანამიმდევრული რომ ვიყო. ბატონი ელჩები მზად არიან გააგრძელონ ჩვენთვის მუშაობა, საღამო მშვენიერი გამოვიდა. მაგრამ დავუბრუნდები თხრობას. ვპასუხობ რა პან ჰვიუძალას შეკითხვებს, ვაცნობიერებ რამდენი ფრიად მნიშვნელოვანი რამის თქმა დამავიწყდა. ხანდახან კარგად მახსოვს წარსული მოვლენების ატმოსფერო, სუნი, სხვა უმნიშვნელო დეტალები და მავიწყდება ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენები, როგორიც არის საუბარი მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკურ მოღვაწეებთან მომავალი მსოფლიო არქიტექტურის შესახებ. არსებული წყაროების გულდასმით შესწავლის შემთხვევაში, ალბათ, ჯერ კიდევ შევძლებდი ბევრი მოვლენის მეხსიერებაში აღდგენას და შემდეგ ნელ-ნელა დაწერას. მაგრამ ასე რატომ მეჩქარება? სად მეჩქარება? შესაძლოა, ეს უბრალოდ თავის გამართლება იყოს, შესაძლოა არა, უბრალოდ ვერ ვიშორებ განცდას, რომ დრო არ მეყოფა.

1989 წლის ნოემბრის დღეები უკვე მოასწავებდა ცვლილებებს. სახლში მოგიპატიჟათ ევჟენ ერბანმა, რეჟიმის მაღალჩინოსანმა. მუსიკოსმა მიხაელ კოცაბმა და პუბლიცისტმა მიხალ ჰორაჩეკმა დააარსეს ინიციატივა „მოსტი“ და ცდილობდნენ ეშუამავლათ ოპოზიციასა და პრემიერ ადამეცს შორის, თქვენ კი 10 დეკემბერს, როდესაც ადამიანის უფლებების დღე აღინიშნება, გეგმავდით დემონსტრაციას. გინდოდათ „რამდენიმე წინადადების“ ხელისმომწერთა თავმოყრა პალაცკის მოედანზე, პრაღაში. მოვლენების განვითარების არსებული სცენარი „წითელ სამართალშიც“ კი დაიბეჭდა. 9 ნოემბერს, როდესაც დაეცა ბერლინის კედელი, თქვენ იმყოფებოდით ჰრადეჩეკში, თქვენს სახლში. მიუხედავად ყოველივე ამისა, არ გაწუხებდათ შეგრძნება, რომ ჩეხები ისევ და ისევ ელოდებიან იმას, თუ როგორ განვითარდება მოვლენები სხვაგან? შესაძლოა, გვერდიდან მოვლენები მართლაც ისე გამოიყურებოდა, როგორც ამას International Herald Tribune წერდა, რომ პრაღის ოპოზიცია „ჭაობშია ჩაფლული“.

მაშინ ჩვენს ქვეყანაში ბევრი იყო „ჭაობში ჩაფლული“, მაგრამ ვიტყოდი, რომ მათ შორის ყველაზე ნაკლებად – ოპოზიცია. ჩვენი ოცნება ნელ-ნელა ასრულებას იწყებდა,

ოპოზიციის რიგები ყოველწამს იზრდებოდა, სულ უფრო სერიოზულად გვიყურებდნენ. მე იმ დროს არ ვიხსენებ როგორც „ცუდი შეგრძნებების“ ან „ჭაობში ჩაფლულობის“ პერიოდს, პირიქით, მახსენდება რიგორც გაცხარებული მუშაობის ხანა. ეს ჩვენი რევოლუციის უვერტიურას წააგავდა, პერიოდს, როდესაც დაიწყო იმ ყველაფრის ხორცშესხმა, რისთვისაც ოცი წელი, მეტი თუ არა, ვიღვწოდით და წარმატებაშიც სრულებით არ ვიყავით დარწმუნებული. მართალია, პან ერბანთან მიპატიჟება ერთი უმნიშვნელო და კურიოზული მოვლენა იყო, მაგრამ ესეც ხომ იმაზე მეტყველებდა, რომ ყველაფერი მოძრაობაშია მოსული. სხვათა შორის, ერთი წლით ადრე, ნახსენები ინიციატივა „მოსტიც“ წმინდა წყლის სიგიჟე იქნებოდა. ვგონებ, 9 ნოემბერს მართლაც ჰრადეჩეკზე ვიყავი, კარგად არ მახსოვს, მაშინ ბევრს ვმოძრაობდი ჰრადეჩეკსა და პრაღას შორის. პრაღაში მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი, ჰრადეჩეკში ვწერდი ან ისევ მოლაპარაკებები მქონდა, ოღონდ უფრო ვიწრო წრეში და უფრო დაძაბული. ერთი კი ცხადია, მაშინ, ისევე როგორც არასდროს, ჰრადეჩეკზე არ ვიმალებოდი, ცხადია, ის შესაძლო სამალავებს შორის ყველაზე ცუდი იქნებოდა. როდესაც დამალვა მინდოდა ხოლმე, გინდ პოლიციისაგან, გინდ მთელი მსოფლიოსგან, პირველ რიგში, ჰრადეჩეკიდან გავრბოდი, რომელიც საზოგადოების ცნობიერებაში ჩემთან ბევრად უფრო იყო ასოცირებული, ვიდრე პრაღის ბინა. თუმცა ის, რომ სიტუაცია ჩეხოსლოვაკიაში უფრო ნელა იცვლებოდა, ვიდრე საბჭოთა ბლოკის სხვა ქვეყნებში, ეს ფაქტია. ამას არაერთი მიზეზი გააჩნდა. პირველ რიგში, ვარშავის ხელშეკრულების მიერ 1968 წელს ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას მოჰყვა ერთ-ერთი ყველაზე უფრო რეპრესიული და კონსერვატიული კომუნისტური რეჟიმის ჩამოყალიბება და მაშინ, როდესაც სხვაგან უკვე დიდი ხანია მიმდინარეობდა სხვადასხვა რეფორმა და თავისუფლების ნიავი იგრძნობოდა, ჩვენთან უძრაობა მეფობდა. საზოგადოება დემორალიზებული იყო, არავის არაფრის სჯეროდა, ყველას ეშინოდა. ამ ფონზე რაც ხდებოდა 1989 წლის განმავლობაში და რაზეც უკვე ვილაპარაკეთ, უნდა მივიღოთ,

როგორც საზოგადოების დიდი გამოფხიზლება. მაგრამ ეს არ ყოფილა ერთადერთი მიზეზი. ყოველ ქვეყანას, ერსა თუ საზოგადოებას გააჩნია, ისტორიულად განპირობებული ქცევის საკუთარი ტრადიციული მოდელი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ჩეხურ „ეროვნულ აღჭურვილობას" უკვე ტრადიციულად მიეკუთვნება გაძლიერებული სიფრთხილე, სკეპსისი ცვლილებების მიმართ, სიზანტე, მსხვერპლის გაღების შიში, თავდაცვითი პოზიცია. შესაძლოა, ეს უკავშირდება ჩეხური თავადობის განადგურებასა და დევნას მე-17 საუკუნეში, იმ „პლებეურ" ფონს, რომელზეც მიმდინარეობდა თანამედროვე ჩეხი ხალხის ფორმირება. ჩეხები, უბრალოდ, დიდხანს ორჭოფობენ, ელიან შესაფერის მომენტს, მაგრამ ის, რასაც შემდგომ, შეძლებისდაგვარად უმსხვერპლოდ მოიმოქმედებენ, ღირს ამად. გარკვეულწილად ეს ეხება იმ დროებასაც, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ. მართალია, ჩვენი რევოლუცია ყველაზე უფრო დაგვიანებული იყო, სამაგიეროდ მოვლენები უსწრაფესად განვითარდა და გარკვეული თვალსაზრისით ყველაზე უფრო რადიკალურიც კი იყო. ჩვენ აღარ გვქონია „პერესტროიკისა" და კომუნისტური რეფორმების ტიპის შუალედური თამაშები. რამდენიმე რევოლუციური დღის შემდეგ პირდაპირ შევუდექით ნამდვილი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას. აგრეთვე, ჩეხოსლოვაკია იყო პირველი ქვეყანა, სადაც სახელმწიფოს ხელმძღვანელი გახდა მთელი თავისი ცხოვრების მიხედვით ნამდვილი არაკომუნისტი, მეტიც, ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ უპირველესი დისიდენტი, „ვარსკვლავი ოპოზიციის თეატრში".

2.

(ვაშინგტონი 13. 4. 2005)

ეს წელი არ დაწყებულა კარგად არც მსოფლიოსათვის და არც ჩემთვის. მისი მაუწყებლები ცუნამის ტალღები იყვნენ. წესით ადამიანს უნდა დაებადოს შეკითხვა: ამით რაიმეს შეტყობინება ხომ არ უნდა ჩვენს პლანეტას, ხომ არ გვაფრთხილებს, ხომ არ მოგვიწოდებს რაიმეს? სხვა სიტყვებით: ეს ერთ-ერთი რიგითი მოვლენაა სამყაროში მიმდინარე მილიარდობით პროცესიდან, რომლებიც ქმნიან მის ისტორიას, თუ კიდევ რაიმე სხვა ზეა ლაპარაკი? მოვლენები ისე განვითარდა, რომ მე და დაშას ამ მოვლენებამდე სულ ცოტახნით ადრე მოგვიწია იქ ყოფნა, „ა ზიური მოგ ზაურობის" პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაწყებისთანავე შევწყვიტეთ ჩემი დაცემის გამო. მოგ ზაურობის პირველივე დღეს ისე სულელურად დავეცი, რომ მოვიტეხე მენჯი, ბარძაყის ძვლის სახსართან შემაერთებელი ყელი და მხოლოდ ეტლით შემეძლო გადაადგილება. ეს ტაივანზე შემემთხვა. ამიტომაც იქ მხოლოდ ორი დღე დავყავით. პროგრამის ოფიციალური ნაწილის დასრულებისთანავე სასწრაფოდ შინ დავბრუნდით, თუმცა წესით რამდენიმე ქვეყანას უნდა ეწვეოდით, რადგან გათვალისწინებული იყო დასვენება და შემეცნებითი პროგრამები. ამ ბოლო დროს ხშირად ვეცემი (სხვათა შორის, დღესაც დავეცი ჩვენს ჯორჯთაუნის სახლში. საბედნიეროდ, არ დავშავებულვარ). მეჩვენება, რომ ყველა ზე ხშირად ა ზიაში ვეცემი ხოლმე: ბანგკოკში, სამეფო სასახლეში (სამი ნეკნი გავიტეხე), სეულის ერთ ძვირიან სასტუმროში და ერთი წლით ადრე დელის სასტუმროში (სამი მოტეხილი ნეკნი). ინდოეთის ტრავმამ ჩაშალა „დიდი ა ზიური მოგ ზაურობის" ჩვენი პირველი მცდელობა. მეორე ცდა ჩააგდო ტაივანის დაცემამ. საინტერესოა, გვექნება კი როდისმე მესამე მცდელობა? არ ვიცი. ჩემი ა ზიური დაცემები ერთი სცენარის მიხედვით მიდის: მშვიდობით გადავიტან ნახევარი დედამიწის ირგვლივ მრავალსაათიან ფრენას, დავბინავდები, ამოვალაგებ ბარგს, წავიკითხავ საჭირო საბუთებს, მოვემზადები

მეორე დღისათვის. შემდეგ – გემრიელი ვახშამი კარგი ღვინით, ლოგინი და ხანგრძლივი ღრმა ძილი, რომელიც მპირდება, რომ ხვალინდელ დღეს ძალ-ღონით აღსავსე შევუდგები. ცხადია, წინასწარ ვსვამ რაიმე დამაძინებელს. დროის სხვაობა, ჰავის გამოცვლა, ღვინო, საძილე საშუალება და მოდუნება შეგრძნებისაგან, რომ უკან მოვიტოვე დამქანცველი გზა, ერწყმიან ერთმანეთს ერთგვარ გაბრუებაში და შემდეგ, როდესაც ღამე (გასაგებია რის ძებნაში) გზადაბნეული დავბორიალობ ჩემთვის სრულიად უცხო და როგორც წესი, ვრცლად გადაჭიმულ საპრეზიდენტო აპარტამენტებში, რომ რაიმეს შევასკდები ხოლმე. უმეტესწილად ეს დაცემები, რომლებიც უამრავ ხალხს ურთულებს ცხოვრებას, განსაკუთრებით კი დაშას, მე მადევს ბრალად. ყველაფერს მეტისმეტი პასუხისმგებლობით ვეკიდები, ყველაფერს ზედმეტად განვიცდი და ბოლოს ტვინის გამორეცხვის მცდელობაში, მომეტებულ თავსატკივარს გადამეტებული გულმოდგინებით (შეუთავსებელი საშუალებების გამოყენებით) ვებრძვი. ამდენად, 2005 წელი ჩემთვის დაიწყო მენჯბარძაყის მოტეხილობით, ეტლზე მიჯაჭვითა და საავადმყოფოებით. წლის დასაწყისმა, პირველ რიგში, ჩემი საშინელი საერთო განწყობის, სერიოზულ სამუშაოზე კონცენტრირების უუნარობის, მეხსიერების საგანგაშო დაქვეითების, უძლურების შეგრძნების გამძაფრებითა და ჩემი საქმიანობის აზრიანობისა თუ მუშაობის მეთოდების ვარგისიანობის შესახებ ეჭვების ნიშნის ქვეშ ჩაიარა.

იყო დისიდენტი ნიშნავს გააკრიტიკო, მიუთითო წინააღმდეგობაზე საქმესა და სიტყვას შორის, ამხილო ტყუილი, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დარღვევა, მოაწყო საპროტესტო აქციები. ერთი სიტყვით, ძირითადად, ეს არის დესტრუქციული საქმიანობა. მართალია, პრეზიდენტი პერმანენტულად რაღაცას უნდა ანგრევდეს, მაგრამ მეტი ძალისხმევითა და ენერგიით რაღაც ახალს უნდა აშენებდეს, გააჩნდეს მიზანი და წარმოდგენა იმაზე, თუ საით მიუძღვება საზოგადოებას. ყოველივე ეს როდის გაიაზრეთ პირველად?

არ მგონია, ჩემი პრეზიდენტობამდელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა მხოლოდ დესტრუქციული იყო. პირიქით, ისეთი განცდა მაქვს, ვაკრიტიკებდი და თავს მხოლოდ იმიტომ ვაძლევდი ამის უფლებას, რომ ვიცოდი, რაოდენ არის დაშორებული ირგვლივ არსებული სამყარო იმას, რაც, ჩემი წარმოდგენების მიხედვით, უნდა ხდებოდეს სინამდვილე-

ში. ჩემი წარმოდგენები, განსაკუთრებით კი ბავშვობისა და ახალგაზრდობის, უეჭველად ძალიან გულუბრყვილო იყო, რაც, ცხადია, სრულებითაც არ ნიშნავს მათ არქონას. ბუნებით კონსტრუქციული ადამიანი ვარ და რაღაცის უმიზეზოდ დანგრევას, ისე, რომ არ მცოდნოდა რატომ, ვერ შევძლებდი. ამდენად, როდესაც მოულოდნელად აღმოვჩნდი პოლიტიკურ თანამდებობაზე, სრულებით აღარ მჭირდებოდა რაიმე მიზნებისა და პოლიტიკური იდეალების გამოგონება. საკმარისი იყო იმის რეალიზება, რასაც ვფიქრობდი მთელი ცხოვრება. ცხადია, სხვა საკითხია თუ რა გზით უნდა მივისწრაფოდეთ და როგორ უნდა მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს ამა თუ იმ ვითარებაში. გარდა სხვა ყველაფრისა, ცხოვრება იმიტომ არის ასე მშვენიერი, რომ სავსეა მოულოდნელობებით და არავინ არასდროს არის და ვერც იქნება სრულად მომზადებული მომავლისთვის. მეცინება, როდესაც აქა-იქ მესმის საყვედურები, თითქოს ჩვენი რევოლუციისათვის არ ვიყავით მომზადებული, რომ არ გვქონდა დაწერილი ახალი დემოკრატიული კონსტიტუცია, ყველა დანარჩენი აუცილებელი კანონის ჩათვლით. მეტიც, რომ არ ვიცოდით ვინ რისი მინისტრი იქნებოდა და ა.შ. ისტორიის ნებისმიერი განვითარებისთვის კარგად მომზადებული ადამიანები ჩემში ეჭვს ბადებენ. ასეთები ჰგვანან კომუნისტებს. იმათაც ამაყად ჰგონიათ, რომ ესმით სამყაროსი, თითქმის ზუსტად იციან როგორ და რა გზით განვითარდება მომავალი. შემდეგ კი, როდესაც ირკვევა, რომ ყველაფერი, ცოტა არ იყოს, სხვაგვარადაა, ცდილობენ ძალით მოათავსონ სამყარო თავიანთი შეხედულებების ჩარჩოებში.

როდესაც მიიღეთ პოლიტიკური თანამდებობა, ცხადია, უნდა დაფიქრებულიყავით ვისთვის იღვწით. უწევდით კი ანგარიშს პირველივე წამიდან იმას, რომ ჩვენმა ხალხმა ბოლო ოცი წლის განმავლობაში ინტერესი დაკარგა და ზურგი შეაქცია პოლიტიკას და რომ რევოლუციური ეიფორიის მიწყნარებისთანავე სიტუაცია მეტ-ნაკლებად დაუბრუნდება საწყის მდგომარეობას?

ვფიქრობ, დიდი ილუზიები არასოდეს მქონია. ჩვენი საზოგადოება ბოლო ოცი წლის განმავლობაში ზნეობრივად მართლაც პარალიზებული იყო. ზუსტად აქ იღებს სათავეს ეს დემონსტრაციული ზურგშექცევა ყოველივე საზოგადოებრივის მიმართ. თუმცა, ეგოიზმი და სხვების მიმართ გულგრილობა, რამაც მაშინ მასიური სახე მიიღო, არცთუ ისეთი ახალი და გასაკვირი რამ იყო. გავიხსენოთ, რა ოპორტუნისტულად იქცეოდა ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ორმოცდაათიან წლებში, როდესაც სხვადასხვა დაწესებულებაში ჩვეულებრივ ამბად იქცა „სოციალიზმის მტრების" სიკვდილით დასჯის მოთხოვნებზე ხელის მოწერა, ან თუნდაც ის გაიხსენეთ, როგორ აკლდათ ხოლმე ფართო საზოგადოების მხარდაჭერა ჩვენს პარტიზან მეომრებს. გულუბრყვილო უნდა იყო კაცი, რომ იფიქრო, თითქოს ერთ დღეში შეიცვლება ერი ან კაცობრიობა, ერთბაშად გახდებიან შორსმჭვრეტელები და შეელევიან თავიანთ ეგოიზმს, გაიღვიძებს მათში ალტრუიზმი და ყოველი მეორე მზად იქნება ემსხვერპლოს კეთილ საქმეს და ა.შ. მსგავსი რამ ჩვენი „ხავერდოვანი რევოლუციის"[43] პერიოდშიც კი არ მომსვლია აზრად. თუმცა, მეორე მხრივ, კარგად ვიცი, რომ დროგამოშვებით ივსება მოთმინების ფიალა, ხალხი ფხიზლდება და ხდება ის, რაც ცოტა ხნით ადრე წარმოუდგენელი ჩანდა. ასეთი აღმაფრენები (ჩვენთან ასე, ოც წელიწადში ერთხელ რომ ხდება) გასაგებია, ხანგრძლივი ვერ იქნება და არაბუნებრივიც იქნებოდა, უწყვეტად რომ გრძელდებოდეს. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ მოვასწროთ და ეს მდგომარეობა რაც შეიძლება სრულად გამოვიყენოთ სისტემაში და არა მხოლოდ სისტემაში, გარკვეული შეუქცევადი ცვლილებების მოსახდენად, რომლებიც უზრუნველყოფს იმას, რომ წინანდელთან შედარებით ყველაფერი ოდნავ მაინც უკეთ იქნება. საბოლოოდ კი მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენი რევოლუციის დროსაც მივეკუთვნებოდი ფხიზელი, ობიექტური

43 ხავერდოვანი რევოლუცია ეწოდება საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესით გამონვეული დაჩქარებული პოლიტიკური ცვლილებების პერიოდს 1989 წლის 17 ნოემბრიდან 29 დეკემბრამდე, როდესაც ჩეხოსლოვაკიაში დაეცა კომუნისტური რეჟიმი.

და ფრთხილი ადამიანების რიცხვს, რომლებიც შეუძლებელს არ ეჭიდებიან. ეს არ ნიშნავს, რომ არასოდეს მოვქცეულვარ დროების გავლენის ქვეშ, თუმცა, საბედნიეროდ, ეს არ შეხებია ჩემს ძირეულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ამან უფრო დიდი კვალი დააჩნია ჩემს გამოსვლებსა და პრეზიდენტისათვის არასტანდარტულ ქცევას. ერთი სიტყვით, ზოგჯერ ისეთი რამეებიც გამიკეთებია, ერთი წლის შემდეგ რომ აღარ გავაკეთებდი, მეტიც, მოგვიანებით რომ აღარც გამომივიდოდა. მთავარი კი მაინც შემდეგია: მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც დღესაც ასე საშინლად გვაღიზიანებს, კომუნისტურ ეპოქასთან შედარებით გრანდიოზული წინსვლა გვაქვს. მეტიც, დღესდღეობით ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებისა და ხელშეკრულებების იმდენად მყარი სისტემის ნაწილია, რომ გარედან მომავალი ნებისმიერი სახის ძალადობა, პრაქტიკულად, გამორიცხულია. ვფიქრობ, უსაფრთხოების ასეთი მყარი გარანტიები მთელი ჩვენი დრამატული ისტორიის განმავლობაში ჯერ არასოდეს გვქონია.

როგორ ებრძოდით იმ მუდმივად მზარდ თაყვანისცემას, რომელიც, ჩვეულებრივ, გონებას უბინდავს ხოლმე ადამიანს? გვახსოვს როგორ მოგმართათ პროფესორმა მილან მახოვეცმა რეალისტური თეატრის კულისებში: თქვენ ღმერთზე მეტი ხართ!

არ მახსოვს, რაიმე მსგავსი ეთქვას, მაგრამ თუ თქვა, ეს ნამდვილად ნახევრად ხუმრობა და ნახევრად მეტაფორა უნდა ყოფილიყო. ალბათ ამით იმის თქმა უნდოდა, რომ მაქვს (ყოველ შემთხვევაში იმ დღეებში მქონდა) დაუჯერებლად დიდი და, რაც მთავარია, ყველასათვის ადვილად დასანახი გავლენა მოვლენებზე. ცხადია, ღმერთს, თუკი არსებობს, განუზომლად მეტი გავლენა აქვს, ვიდრე ნებისმიერ მოკვდავს, მაგრამ რას იზამ, მისი გავლენა არ არის ასე ადვილად დასანახი, მით უმეტეს, რომ მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ჩვენი ნების თავისუფლებასთან, რაც უდავოდ ღმერთის ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლო ქმნილებაა. და

საერთოდ, არა მგონია, მახოვეცის მხრიდან ეს წმინდა თაყვანისცემის გამოვლინება იყო. თუმცა უნდა ვაღიარო, გარკვეული დროის განმავლობაში მართლაც ვიყავი თაყვანისცემის ობიექტი და ეს ალბათ, ასე იქნებოდა ჩემს ადგილას მყოფი ნებისმიერი სხვა ადამიანის შემთხვევაშიც. მე მიყურებდნენ როგორც ადამიანს, რომელმაც საზოგადოება მიიყვანა უსაზღვროდ ძლევამოსილი ხელისუფლების აპარატზე წარმატებულ და მთლიანობაში უმტკივნეულო გამარჯვებამდე, მიყურებდნენ როგორც ადამიანს, გამოსულს მათივე წიაღიდან და არა საძულველი ხელისუფლების რიგებიდან. სხვათა შორის, ეს თაყვანისცემა მოგვიანებით საკმაოდ ძვირად დამიჯდა. ყოველგვარ კრიტიკას მოკლებული ბრმა პატივისცემა ისჯება, ისჯება ობიექტი ამ პატივისცემისა და არასდროს – სუბიექტი. მსგავს სიტუაციას ხომ ხშირად ვხვდებით. ერთხელ უკვე ვახსენე: დღევანდელი ჩეხეთის პრემიერი, ჯერ იყო და უსაფუძვლოდ საუკეთესო ჩეხ პოლიტიკოსად მონათლეს, შემდეგ კი საკუთარი სისულელისათვის სამაგიერო გადაუხადეს იმით, რომ რამდენიმე დღეში ყველაზე ცუდი პოლიტიკოსების რიცხვს მიაკუთვნეს. ამ მოვლენის ფსიქოლოგიური საფუძველი ანუ ბრაზი წინანდელ მონურ დამოკიდებულებაზე არ იყო შემდგომი უსამართლო კრიტიკის ერთადერთი მიზეზი. არანაკლებ მნიშვნელოვანი, თუ უფრო მნიშვნელოვანი არა, იყო ის, რომ ხშირად ვემხრობოდი უმცირესობის აზრს და ამით ვემიჯნებოდი საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებას, თითქოს პოლიტიკოსი უნდა იყოს უმეტესობის განწყობის, შეხედულების, მიმართებისა თუ მენტალიტეტის ამსახველი სარკე. ცხადია, ეს ჩემი მიზანი არ იყო, მაგრამ ბევრი, როგორც დისიდენტობის, ასევე პრეზიდენტობის ხანაში, ხედავდა ჩემში თავის მივიწყებულ სინდისს. ჩვეულებრივ კი ამას არ პატიობენ. თუმცა, თქვენ, ძირითადად, გაინტერესებდათ, თავბრუ ხომ არ დამახვია ამ ყველაფერმა. ეს, ალბათ, სხვამ უნდა განსაჯოს. თავბრუ რომ დამხვეოდა, ამის დანახვას და თქვენთვის ანგარიშის ჩაბარებას ნამდვილად ვერ შევძლებდი.

სახალხო ფორუმი[44], როგორც კრიტიკულად განწყობილი ადამიანების ზეპარტიული დაჯგუფება, თავიდან ძალაუფლებაში მოსვლაზე უარს აცხადებდა. ისტორიკოსი ირჟი სუკი[45] წერს, რომ პირველად ისტორიაში სათავეში მოექცნენ ადამიანები, რომლებიც პოლიტიკას არ თვლიდნენ თავიანთ საქმედ. მაშინ ამტკიცებდით, რომ ჩკპ[46] დამნაშავეა ქვეყანაში არსებულ მარაზმში და ამისათვის პასუხი უნდა აგოს, თუმცა არ გულისხმობდით მათ სასამართლოსათვის გადაცემას. როგორ წარმოგედგინათ ეს მაშინ?

სახალხო ფორუმი არა ხელისუფლებაში მოსვლის, არამედ საზოგადოების ნების, მისი ცვლილებისაკენ მისწრაფების გამოხატვის მიზნით შეიქმნა. არც ერთი ჩვენგანი არ იყო პროფესიონალი პოლიტიკოსი. საინტერესოა, საიდან გაჩნდებოდნენ ტოტალიტარულ სისტემაში დემოკრატი პოლიტიკოსები? არ გვეგონა და ვერც წარმოვიდგენდით, რომ სისტემა ასე სწრაფად დაიწყებდა ნგრევას და რეჟიმი ძალაუფლებას, შეიძლება ითქვას, ლანგრით მოგვართმევდა. თუნდაც გვცოდნოდა, იმის ხმამაღლა გამოცხადება, რომ ვაპირებთ ხელისუფლებაში მოსვლას, გამოიწვევდა საყოველთაო დაცინვასა და საზოგადოება გვერდში კი არ ამოგვიდგებოდა, ზურგს შეგვაქცევდა. ხალხს უნდოდა გაეგონა „მეფე შიშველია" და არა „მე მინდა ვიმეფო". და არა მხოლოდ ის, რომ არ ვიყავით ხელისუფლებაში მოსასვლელად მზად, უბრალოდ, სიტუაციაც არ იყო ამისათვის მომწიფებული. სულ რამდენიმე დღეში კი ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურებოდა ანუ შეიძლება ითქვას, მოვლენები ისეთი სიჩქარით ცვლიდა ერთმანეთს, რომ ძლივს

44 სახალხო ფორუმი – პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ჩამოყალიბდა ჩეხეთში ხავერდოვანი რევოლუციის მეორე დღეს და პარალელურად სლოვაკეთში ჩამოყალიბებულ მოძრაობასთან „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ" ერთად წარმოადგენდა იმ პერიოდის ძირითად ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას ჩეხოსლოვაკიაში.

45 ირჟი სუკი (Jiří Suk) – ჩეხი ისტორიკოსი, რომლის კალამსაც ეკუთვნის წიგნი „რევოლუციის ლაბირინთით", სადაც მოცემულია 1989 წლის 17 ნოემბრის რევოლუციის და მისი მომდევნო მოვლენების (1990 წლის ჩათვლით) ღრმა ისტორიულ-პოლიტიკური ანალიზი.

46 ჩკპ – ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია. ჩეხურად: KSČ – Komunistická Strana Československa.

ვუწყობდით ნაბიჯს. აი, ერთი მაგალითი მაშინდელი ჩვენი ქმედებების იმპროვიზაციულობისა და ნაჩქარევობის საილუსტრაციოდ: მახსენდება, როგორ მივემართებოდი მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაზე, სადაც მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის საკითხი უნდა გადაეწყვიტათ და გზად როგორ ვცდილობდი ამ თანამდებობაზე დამეთანხმებინა პროფესორი კომარეკი; მანამდე ამ საუბარზე, ცხადია, წამიც ვერ გამოიძებნა. ასეთი იყო მაშინ საქმის ვითარება. არ მგონია, გამონაკლისი ვიყოთ მათ შორის, ვინც ძალაუფლებაში ისე მოვიდა, რომ წინასწარ არც კი უფიქრია ამაზე. მაშინ მრავალ კომუნისტურ ქვეყანაში ძალაუფლების სათავეში მოექცნენ მეცნიერები, ხელოვნები ან ჟურნალისტები. არსად არ არსებობდა საფუძვლიანად მომზადებული და ჩამოყალიბებული ალტერნატიული პოლიტიკური გუნდი. რაც შეეხება კომუნისტურ პარტიას: ყოველთვის ვამბობდი, რომ დანაშაულებრივი ქმედებები უნდა დაისაჯოს, იგივე გავიმეორე პრეზიდენტად არჩევიდან ორი დღის შემდეგ ჩემს პირველ საახალწლო გამოსვლაში. მაშინ როგორც პარტიამ, კომუნისტებმა მიიღეს რეფორმირების შანსი და არა იმიტომ, რომ ასე ჩქარა და უბრძოლველად დათმეს ძალაუფლება, არამედ რადგანაც ეს ლოგიკური იყო. კომუნისტებმა ევროპის ბევრ ქვეყანაში წარმატებით შეიცვალეს სახე და მოგვევლინენ როგორც სხვადასხვა ყაიდის სოციალ-დემოკრატიული პარტიები, მოახერხეს უარი ეთქვათ წარსულზე და ამ წარსულის ძირითად მატარებლებზე. როგორც წესი, ეს სარგებლის მომტანიც იყო. რატომ არ უნდა ჰქონოდათ მსგავსი შანსი ჩვენს კომუნისტებს? სხვა ამბავია, რომ ეს შესაძლებლობა არ გამოიყენეს და პარტიულმა კონსერვატორებმა ამის ყოველგვარი მცდელობა ჩაახშეს. შეცდომა იყო, კომუნისტებს რომ ეპატიათ, მაგრამ უდავოდ – არა ჩემი. საზოგადოებასა და ახლად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ წრეებში კომუნისტების მიმართ განწყობა უფრო რადიკალური რომ ყოფილიყო, დამიჯერეთ, ეს საქმითაც გამოჩნდებოდა. ნამდვილად არ ვიყავი დიქტატორი, რომელიც წყვეტდა რომელი პარტია უნდა აკრძალულიყო

და რომელი – არა. შეიძლება კაცმა მისაყვედუროს, რომ ამ აზრს მაშინ ხშირად და ხმამაღლა არ ვიმეორებდი. მართალი გითხრათ, არ მგონია, თითქოს ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში სიტუაცია ხელს უწყობდა მსგავს ქმედებებს. უბრალოდ, წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი იყო ძველად კომუნისტურ პარტიაში, შემდგომში ცნობილი ანტიკომუნისტი პოლიტიკოსების ჩათვლით და ამდენად, რამდენს შეიძლებოდა შეშინებოდა ამ აკრძალვის უარყოფითი შედეგებისა. სრულებით სხვა რამ იყო პრივატიზაციის კომუნისტურ-მაფიოზური და ბოროტი გამოყენება, ამის წინააღმდეგ თავიდანვე მკაცრად ვილაშქრებდი. მაგალითისთვის გაიხსენეთ ვაცლავის მოედანზე 1990 წლის აგვისტოში ჩემი გამოსვლა გადამჭრელი ზომების მოთხოვნით, მაგრამ ჩემი ხმა მაშინ ხმად მღაღადებლისა ისმოდა. მთავრობა იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ როცა ტყეს ჩეხენ, ნაფოტები ცვივა. ბევრს ვლაპარაკობდი ერთგვარი „სინდისის ტრიბუნალის" დაარსების შესახებ, რომელიც იმსჯელებდა წარსულში ჩადენილისთვის მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე. მაგრამ არც ამას მოეკიდნენ საკმარისი ენერგიითა და ხალისით. ყველაზე სამწუხარო კი არის ჩვენი უბადრუკი შედეგები დანაშაულებრივი ქმედებების დასჯის მხრივ. ამაზე, ცხადია, ჩვენი იუსტიციის მდგომარეობამაც მოახდინა გავლენა. არ დაგავიწყდეთ, რომ ვარშავის ხელშეკრულების მიერ ჩვენი ოკუპაციის შემდეგ, კადრები ბევრად უფრო მკაცრ გადარჩევას გადიოდნენ, ვიდრე სხვა კომუნისტურ ქვეყნებში და ამიტომ საკადრო ცვლილებები უფრო მძიმედ და ნელა მიმდინარეობდა. შეუძლებელია რამდენიმე დღეში იპოვო ათასობით ახალთახალი მოსამართლე.

(ვაშინგტონი 15. 4. 2005)

ამერიკელები სულ უფრო და უფრო მესიმპათიურებიან. ყოველ შემთხვევაში, ისინი, ვისთანაც კავშირი მაქვს. სულ უფრო ნაკლებად მაწუხებს ის, რასაც ძველად მძიმედ ვეგუებოდი ან სულაც სასაცილოდ მეჩვენებოდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ასეთ მაგალითს მაინც მოვიყვან. უყვართ კევის ღეჭვა, რის გამოც

მცოხნელებს ჰგვანან. განსაკუთრებით ქალებზე მხვდებოდა ეს თვალში. უყვართ (უმეტესად კაცებს) ფეხების მაგიდაზე შემოწყობა. ჭამენ წარმოუდგენლად სქელ ფუნთუშებს, გამოტენილს რითაც გაგიხარდება, სალათის ჩათვლით, რომლის შეჭმაც, ცხადია, განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს. მეშინია ასეთი ფუნთუშის შეჭმისა (არასოდეს მიჭამია). პირს გავიხევდი ფუნთუშის ზომაზე ან ფუნთუშას მოვჭყლეტდი პირის ზომაზე, და ყველაფერს, რაც შიგ არის ჩამალული, ძირს გადმოვაფრქვევდი. ყოველივე ამას, უკეთეს შემთხვევაში, აყოლებენ წყალს, უარეს შემთხვევაში კი – კოკა-კოლას ან რძეს, თანაც პირდაპირ ბოთლიდან, კონსერვიდან ან პლასტმასის ჭიქებიდან თუ ფიალებიდან. მგონი, ლოთი არ ვარ, მაგრამ ჭამა ლუდის ან ღვინის მიუყოლებლად წარმოუდგენლად მიმაჩნია. საჭმელზე წყლის დაყოლება ციხეში გატარებულ წლებს მაგონებს. რაც შეეხება პლასტმასის ჭიქებს, როგორც ცენტრალური ევროპის მცხოვრებს, ამერიკა მეჩვენება შესაფუთებისა და სხვა ნარჩენების ქვეყნად. არ ვიცი რითია ეს გამოწვეული, თითქოს ჩვენთანაც საკმარისად არის მსგავსი შესაფუთები და ნარჩენები. ამ საკითხის კვლევას კიდევ გავაგრძელებ. ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ კბილების სითეთრეს, რაც ძალიან მომწონს. ათობით მეთოდი აქვთ, თუ როგორ მიაღწიონ კბილების სრულყოფილ სიქათქათეს და არც ისე იშვიათია, რომ საკუთარ მეტ-ნაკლებად ჯანმრთელ კბილებს ამჯობინებენ ხელოვნურს, სამაგიეროდ უფრო ლამაზს. წარსულთან შედარებით დიდ ცვლილებას ვხედავ ევროპული და იაპონური მანქანების მოჭარბების მხრივ. უფრო პატარები და ეკონომიურებია, ვიდრე ამერიკულები, რომლებსაც, გაუგებარია რატომ, მაგრამ მაინც, რამდენიმე და თანაც სავსებით ზედმეტი ცხენების რემა აქვთ ჩამალული ძრავაში და შეუძლიათ დაშვებულზე ბევრად მეტი სიჩქარის განვითარება.

---

26 ნოემბერს ლეტნაში[47] პრემიერ ლადისლავ ადამეცის გადადგომა არ მოითხოვეთ და მიეცით მას მთავრობის რეკონსტრუქციის საშუალება. რატომ?

როგორც უკვე ითქვა, ჩეხოსლოვაკიის რევოლუცია მრავალმოქმედებიანი იყო. გარდა ამისა, სიტუაცია თითქმის ყოველ წამს იცვლებოდა და ვითარდებოდა. თავიდან

47 ლეტნა – პრაღის ერთ-ერთი უბანი.

სახალხო ფორუმი სრულებითაც არ მოითხოვდა მთავრობის გადადგომას, მათი და სტუდენტების მოთხოვნები ემთხვეოდა: სახელმწიფოს სათავიდან ყველაზე კომპრომეტირებული პირების გადადგომა, 17 ნოემბრის ჟლეტის[48] სამართლიანი გამოძიება, პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება, სიტყვის თავისუფლება. ეს მოთხოვნები სიტუაციის განვითარებასა და საზოგადოების მობილიზებასთან ერთად გადაიზარდა პარლამენტისა და სამივე ხელისუფლების პრინციპული გარდაქმნის, კომუნისტური პარტიისათვის წამყვანი როლის ჩამორთმევის და სხვა მრავალ მოთხოვნაში. ცხადია, ამდენი ხნის შემდეგ, ყოველი ცალკეული მოლაპარაკების პერიპეტიები თავისი ნვრილმანებით აღარ მახსოვს, თუმცა ყოველივე ამის ირგვლივ არსებობს სოლიდური სამეცნიერო ლიტერატურა, გავიხსენოთ თუნდაც ერთხელ უკვე ნახსენები სუკის წიგნი. თუ არ მეშლება, პრემიერ ადამეცის გადადგომა არც იმ დღეს, რომელზეც მეკითხებით და არც სხვა დროს, არ მოგვითხოვია. სამაგიეროდ, ჩვენი მოთხოვნები, ბუნებრივია, განუწყვეტლივ იზრდებოდა და ბოლოს მიაღწია ადამეცისათვის მიუღებელ ზღვარს, რის გამოც თვითონვე განაცხადა უარი პრემიერობაზე. ამავე დროს, მეჩვენება, რომ სიამოვნებით გახდებოდა პრეზიდენტი და პრაღის ჰრადზე, შედარებით სიწყნარეში, დაელოდებოდა ქარიშხლის გადავლას და ამ გზით განახლებულ ვითარებაშიც შეინარჩუნებდა ძალაუფლებას. მაგრამ რამდენიმე დღეში, რომც ყოფილიყო ამაზე მსჯელობა, ესეც მიუღებელი გახდა, როგორც ზოგადად ხალხის მზარდი რადიკალიზმის გამო, ისე სახალხო ფორუმისა და მოძრაობისათვის „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ", რომლებიც ძირითადად ხალხში გავრცელებულ შეხედულებებს ახმოვანებდნენ. შესაძლოა, ბატონ ადამეცს სჯეროდა პოლონური ტიპის კომპრომისისა, სადაც შემდეგი სქემა განხორციელდა: „თქვენ გყავთ პრეზიდენტი (იერუზელსკი), ჩვენ – მთავრობის თავმჯდომარე (მაზოვიეცკი)".

48 ლაპარაკია 1989 წლის 17 ნოემბრის (სტუდენტთა საერთაშორისო დღე) მოვლენების გამოძიებაზე, როდესაც ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ დაუნდობლად დაარბია სტუდენტური მიტინგი.

ადამეცის განსაკუთრებული მდგომარეობა და ყურადღება მისი პიროვნების მიმართ, გარდა სხვა ყველაფრისა, მომდინარეობდა იქიდან, რომ მთელ კომუნისტურ მთავრობაში ის იყო პირველი, ვინც თავისი ნებით, პოლიტბიუროს ნებართვის გარეშე, აწარმოებდა მოლაპარაკებებს ოპოზიციასთან. ეს მისთვის სარისკო იყო, რადგანაც კარგად იცოდა, რომ სუ[49]-ს თავისუფლად შეეძლო მისი განადგურება. რიგითი მოქალაქეებისაგან განსხვავებით, ზევით მშვენივრად ესმოდათ თუ რას რა შეიძლება მოჰყვეს შედეგად. მაგრამ როდესაც მის წინააღმდეგ არავინ გაილაშქრა, ეს გარკვეული იმუნიტეტი გახლდათ ოპოზიციისათვის: ძნელი დასაჭერი იქნებოდა ის, ვინც ოფიციალურ მოლაპარაკებებს აწარმოებს მთავრობის თავმჯდომარესთან. ლეტნას მანიფესტაცია, რომელზეც მეკითხებით, ადამეცთან ჩატარებული ოთხი მოლაპარაკებიდან ერთ-ერთს მოჰყვა, იქ კი მე მივიპატიჟე. მისი გამოსვლა, ცოტა არ იყოს, ესტრადულად გამოვაცხადე („და ახლა გამოვა სახელმწიფოს ის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც საქმეს იჭერს ჩვენთან – ლადისლავ ადამეცი!"). მას დიდი აპლოდისმენტებით შეეგება საზოგადოება და შესაძლოა, სწორედ მაშინ გაუჩნდა შანსი, რომ მიიღებდა საზოგადოება და დარჩებოდა პოლიტიკაში. მაგრამ იგი გამოვიდა პერესტროიკისეული მოსაწყენი და საჭირბოროტო პრობლემებს მოწყვეტილი სიტყვით, რომლის შემდეგაც მას ლამის სტვენა დაუწყეს. ამდენად, არა მარტო „დროის დაჩქარებულმა რბენამ" გაუშვა იგი პენსიაზე, არამედ ეს მან თვითონვე დაიწია თავს.

(ვაშინგტონი 19. 4. 2005)

გუშინ სადილად ზბიგნევ ბჟეზინსკისთან ვიყავი. მადლენიც იქ იყო და დაახლოებით კიდევ ათიოდე ცნობილი პიროვნება – პოლიტიკოსები და ჟურნალისტები. მიმდინარეობდა ინტენსიური და ხანგრძლივი პოლიტიკური დისკუსია, რომელსაც მეც აქტიურად შევუერთდი. ყველა მიქებდა ინგლისურს, რამაც ძალიან გამაკვირ-

49 სუ – ჩეხოსლოვაკიაში სახელმწიფო უშიშროების სამსახური. ჩეხურად: StB – Státní Bezpečnost.

ვა. ეს მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხასიათზე, სულისა და სხეულის ამწამიერ გუნება-განწყობაზე და კიდევ სხვა ათას წვრილმანზე. ზოგჯერ ერთ წინადადებასაც ვერ წარმოვთქვამ ხოლმე რიგიანად, სხვა დროს სიტყვით გამოსვლასაც კი ვახერხებ. ვეკუთვნი იმ თაობას, ენების სწავლის დიდი სტიმული რომ არ გააჩნდა. საამისოდ არც დრო მქონდა და არც შესაბამისი შანსი ჩამვარდნია ხელთ. მართალია, ზოგიერთ ენას მთელი ცხოვრებაა ვსწავლობ, მაგრამ პრინციპში რიგიანად არც ერთი არ ვიცი. მეტიც, ეტყობა ენების სწავლის „ანტინიჭი" მაქვს. როდესაც არ მახსოვს ვინ როდის გვეწვია ოფიციალური ვიზიტით და რომელ ქვეყნებში ვარ ნამყოფი, რანაირად უნდა მახსოვდეს როგორ არის ინგლისურად პირშუშხა? ბატონი ჰვიჟდალა ხანდახან უცნაურ შეკითხვებს მისვამს, რაც მაღიზიანებს ხოლმე, თუნდაც იმის გამო, რომ მისი შეკითხვები ხშირად მეორეხარისხოვან მოვლენებს ეხება და ეყრდნობა მრავალგზის ნამხილებ მასმედიის ჭორებს, თუმცა შეიძლება ასე უკეთესიცაა: იმედი ჩნდება, რომ ეს ჩემს მძაფრ რეაქციას გამოიწვევს და საუბარი უფრო გასართობი გამოვა. ყოველ შემთხვევაში, ეს ასე იყო, როდესაც ოციოდე წლის წინ ერთად ვწერდით წიგნს „დაკითხვა შორიდან".

ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით ისე ჩანს, თითქოს პასუხისმგებლობისა და სიძლიერის შეგრძნება გაგიჩნდათ 8 ნოემბერს, ეგრეთ წოდებული გადამწყვეტი პოლიტიკური ძალების პირველი მოლაპარაკებისას და ისიც – მოედნებსა და ქარხნებში მოზღვავებული ხალხის წყალობით. იბადება აზრი, თითქოს კომუნისტებმა თქვენზე ადრე გააცნობიერეს, რომ მათი ხანა იწურება და ძალაუფლება ნელ-ნელა თქვენს ხელთ გადმოდის. საინტერესოა, ეს მართლა ასეა?

რაღაც რომ იცვლებოდა, პირველივე შეხედვით ჩანდა. მახსენდება, რომ იმპროვიზებულ შეხვედრაზე დრამატულ კლუბში, სადაც დაარსდა „სახალხო ფორუმი", რამდენიმე საათით ადრე გავემართე, რათა ამით ქუჩაში ჩემი დაკავების ალბათობა შემემცირებინა, რაც სრულიად ზედმეტი სიფრთხილე აღმოჩნდა. პოლიცია არც მე და არც რომელიმე სხვა ჩვენგანს დემონსტრაციულად არ გვამჩნევდა, მაშინ, როდესაც ძველად თითქმის უმიზეზოდაც კი გვიჭერდნენ. ეს შეიძლებოდა

ყოფილიყო იმის მანიშნებელი, რომ უეცარი დამაგვირგვინებელი დარტყმის წინ ძალებს იკრებენ და ჩვენი ყურადღების მოდუნება უნდათ, ან იმის, რომ ბრძოლის ველზე მარტონი დავრჩით. ცხადია, არ ვიცოდით ამ ორი შესაძლებლობიდან რომელთან გვქონდა საქმე და მეტიც, ვფიქრობ, თვით რეჟიმმაც არ იცოდა რას მოიმოქმედებდა. თანდათანობით გამოიკვეთა მეორე ალტერნატივა – ბრძოლის ველზე ჩვენი მარტოდ დარჩენის ფაქტი, რაც მთავრობის მაღალ ეშელონებში მიმდინარე დიდი კონფლიქტების შედეგი იყო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიცი. ანუ მთავრობას ხელისუფლების დათმობის შესახებ გადაწყვეტილება გამოუმუშავდა ეტაპობრივად და შესაბამისად, ჩვენც ნაბიჯ-ნაბიჯ ვაცნობიერებდით ამას. არ ვფიქრობ, თითქოს თქვენ მიერ ნახსენები 8 ნოემბრის მოლაპარაკებები ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო. წააგავდა ყველა დანარჩენ მოლაპარაკებას იმ ერთი განსხვავებით, რომ იყო მთავრობასთან ურთიერთობის გარკვეული ფაზის დაგვირგვინება და ამიტომ ფორმალური თუ სხვა მიზეზების გამო იქ თავი მოიყარა ჩეხეთისა და სლოვაკეთის არაერთი მარიონეტული პარტიის წარმომადგენელმა და სახალხო ფრონტის სხვადასხვა ორგანიზაციამ.

(29. 1. 1996)

1) ჯერჯერობით არ შემიძლია საპარლამენტო გამოსვლის წერა. აქ გასაგებ მიზეზებს ერწყმის ის, რომ არ მსიამოვნებს ერთი და იმავეს ათასჯერ გამეორება. შეეცდები შემდეგ კვირას დავწერო (დასაფლავების მერე ალბათ უფრო გამომივა). ამ მომენტისათვის კი მოზღვავებული მასალები მთლიანად მაქვს ნაკითხული და მივედი დასკვნამდე, რომ სიტყვა უნდა იყოს მოკლე, მაგრამ მკაცრი და ენერგიული, არავითარი ყბედობა, ერთი სიტყვა – ერთი მარგალიტი (მშვენიერი მიზანი ყოველთვის რთული მისაღწევია) და უმჯობესია გამოსვლა სამ ნაწილად დავყო: (...)

3) (...) შემდეგ კი კითხვების მიმდევრობა: როგორ ხედავს სენატი საკუთარ თავს? როგორ წარმოუდგენია პოლიტიკური ცხოვრების გარკვეული „განპარტიულების" პროცესი? და კონსტიტუცია? ხომ არ დაგვეგეგმა უახლოესი ათი წლის განმავლობაში ახლის მიღე-

ბა, სადაც ისიც იქნება, რაც დღევანდელს საგრძნობლად აკლია, ქვეყნის უსაფრთხოების მდგომარეობა და მისი დაცვა, სამხარეო დაყოფა და ა.შ., მაგრამ პირველ რიგში ის, რომ ყველა ნაკლი (კონსტიტუციის შექმნისას დროის ნაკლებობით გამოწვეული) უნდა გამოსწორდეს შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით, და ზუსტდეს ურთიერთობები უზენაეს სახელმწიფო ორგანოებს შორის, კონსტიტუციურ ინსტიტუციებს შორის, დაიხვეწოს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაცია[50], რომელიც კონსტიტუციის განუყრელი ნაწილი უნდა იყოს, გავარკვიოთ გვინდა თუ არა ომბუცმენის ინსტიტუტი, სახელმწიფო სუვერენიტეტის გარკვეული ელემენტების ევროკავშირისათვის დელეგირების საკითხი და ა.შ. და აი კიდევ: თავდაცვის კანონი, ცენტრალური მმართველობის რეფორმა, მისი დახვეწა, შესაბამისი კანონები, არასამთავრობო სექტორის ჩამოყალიბება, ბიუჯეტის რეფორმა და დახმარებების სფერო და ა.შ. ბიუჯეტისაგან გამოყოფილი სოციალური ფონდები. მთლიანობაში კანონმდებლობის გამარტივება. სტრატეგია ეკონომიკაში. ბაზარი მართლაც ყველაფერს თვითონ გადაწყვეტს? სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. რამდენად გონივრულად და დამარწმუნებლად გასცემენ პოლიტიკოსები ამ შეკითხვებს პასუხს, ამაზე იქნება დამოკიდებული არჩევნების შედეგები და ქვეყნის განვითარების სამომავლო ბედი.

4) მესამე ნაწილი უფრო ფილოსოფიური მინდა იყოს და ძირითადად, ვისაუბრებ იმაზე, რომ დემოკრატია არ წარმოადგენს მხოლოდ გარკვეულ სისტემებს, დაწესებულებებსა და მათ შორის კავშირს ანუ დემოკრატიის ტექნოლოგიას, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, არის დამოკიდებულება მსოფლიოსა და საზოგადოების მიმართ, აზროვნების წესი, საზოგადოებრივი ცხოვრების სული. არ გეგონოთ, თითქოს ხალხი ამას ვერ გრძნობს, მას სჭირდება ადვილად აღსაქმელი სიტყვები და მოქმედებები, უნდა გაიგოს, როგორი იქნება ქვეყანა, მისი მდგომარეობა და პროგრამა. დემოკრატიის ტექნოლოგია წარმოუდგენელია დემოკრატიული კულტურის გარეშე. აუცილებელია მოწოდება, ეს უნდა ახსოვდეთ მოახლოებულ არჩევნებზეც.

---

50 ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაცია (Listina základních práv a svobod) – ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერალური საბჭოს მიერ, ერთდროულად კონსტიტუციურ კანონთან კენჭისყრით მიღებული დოკუმენტი, რომლის სტატუსიც (ანუ კონსტიტუციური კანონის ნაწილია თუ განსაკუთრებული სტატუსის მქონე ცალკე კონსტიტუციური კანონი), გაურკვეველი იყო 1998 წლამდე, როდესაც კონსტიტუციური კანონის ძალა შეიძინა.

(4. 2. 1996)

(...)

7) ვაგ ზავნი პერანგების პარტიას პანი ოუშკოვასათვის. (...)

(10. 3. 1996)

(...)

6) ვაგ ზავნი საპარლამენტო გამოსვლის სიტყვას გასამრავლებლად. გასული წლის მსგავსად, გადაეცეს ყველა დეპუტატსა და ჟურნალისტს, ლამაზად გაფორმებული და სახელმწიფო ნიშნებიან კონვერტში ჩადებული. ყველას ენდომება ხელმოწერები ამ დოკუმენტზე, ისევე როგორც გასულ წელს, ამჯერად კი განსაკუთრებულად, რადგანაც წინასაარჩევნო პერიოდია და ბევრი მათგანი დაემშვიდობება დეპუტატის კარიერას. წინანდლისაგან იმ ერთი, პარლამენტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული განსხვავებით, რომ ეს კონვერტები დეპუტატებს დაურიგდებათ შესვენების დასაწყისში. შესვენება გამოცხადდება ერთი მოკლე და არასაკამათო პუნქტის შემდეგ, რომელიც ჩემი გამოსვლისთანავე და ჩემს იქ ყოფნაშივე იქნება განხილული. და აი რატომ. მიზეზი ორია: პირველ რიგში, რომ დეპუტატებმა მე მისმინონ და არა იკითხონ დარიგებული ფურცლები და მეორეც, რათა შარშანდელივით „ავტოგრაფობანას თამაშით" არ დაარღვიონ ჩემი გამოსვლის შემდგომი მსჯელობის მიმდინარეობა.

7) ვაგ ზავნი კანადელი გუბერნატორის სადღეგრძელოს, სტილისტურად ოდნავ შესწორებული ფორმით. ზედმეტად ჩვეულებრივად და „სტანდარტულად" ჟღერს, ამჯერად არა უშავს, მაგრამ დაუშვებელი იქნება ინგლისის დედოფლის სადღეგრძელოსათვის! (...)

(17. 3. 1996)

(...)

3) იმავე წყაროს ინფორმაციით, კლესტილი ძალიან განიცდის და მემგონი გაბრაზებულიც არის, რომ სარაევოში უმისოდ წავედი. ამბობენ, თავზე ხელის გადასმა საქმეს უშველისო, თუ შეიძლება მოიფიქრეთ რა ფორმით ჯობია ამის გაკეთება. (...)

(31. 3. 1996)

(...)

ხომ არ შეუძლია პან მ.-ს, კათედრალის საკითხთან დაკავშირებით პან ხ.-სა და კარდინალის იურისტებს შორის შეხვედრისათვის იშუამდგომლოს? მიუხედავად დაპირებისა, კარდინალი არ შეგვხმიანებია. ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მომავალმა პარლამენტმა (ეს იქნება სდპ[51]-სა და ოპოზიციის აზრების თანხვედრის იშვიათი შემთხვევა) მოახდინოს კათედრალის მთლიანი ნაციონალიზება. მზად ვარ წავიდე ნებისმიერ კომპრომისზე, ის კი, ცხადია, არც ერთზე. ეს იმიტომ გამახსენდა, რომ გაუგებარი მიზეზების გამო წუხელ დამესიზმრა, თითქოს ზდენეკ მალერმა[52] მაიძულა, მის ლოგინში დამეძინა. (...)

იმის მაგიერ, რომ ძველი სახელმწიფო სტრუქტურები დაენგრიათ, აქციეს ახალი ხელისუფლების ნაწილად. საინტერესოა ვისი იდეა იყო ეს – დემოკრატების ანუ დისიდენტების თუ ყოფილი კომუნისტებისა და გაკომუნისტების გზაზე მდგომი იმ ძალების, რომლებიც ამ „კონსტიტუციურ" გადაწყვეტილებაში ძალაუფლების ნაწილობრივი შენარჩუნების ერთადერთ შესაძლებლობას ხედავდნენ?

სახალხო ფორუმისა და მოძრაობის „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ" წევრების აბსოლუტური უმრავლესობა ერთმანეთს ეთანხმებოდა იმაში, რომ არ შეიძლება გააუქმო ქვეყანა მთელი თავისი საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ორგანოებით და ტრიალ მინდორში დაიწყო ახალი ქვეყნის მშენებლობა. ეს სრული უაზრობა იქნებოდა. ვცდილობდით უკვე არსებულ სამსახურებში მიგვეყვანა ახალი არაკომპრომეტირებული ადამიანები, რაც შეიძლება სწრაფად და დემოკრატიული გზით, საკონსტიტუციო და ჩვეულებრივი კანონების შემუშავებით გაგვეტარებინა ის სისტემური ცვლილებები, რომლებზეც ვახერხებდით შეთანხმებას, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანსა და

51 სდპ – სამოქალაქო დემოკრატიული პარტია. ჩეხურად: ODS – Občanská Demokratická Strana.

52 ზდენეკ მალერი (Zdeněk Mahler)- ჩეხი პროზაიკოსი, დრამატურგი, ტელესცენარისტი.

აუცილებელზე. კადრების საგანგაშო უკმარისობა იყო, გვიხდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობაზე როკ-მუსიკოსების, მთარგმნელების, ტელეწამყვანების, მეცნიერების, მწერლების, მეტიც, ლუდხანის მეგობრების დაყოლიება. სახელმწიფოს ათობით ათასი მოსამსახურე ესაჭიროებოდა და მერწმუნეთ, ამდენი ყოფილი დისიდენტი ნამდვილად არ მოგვეძებნებოდა. რომც გვყოლოდა, არ ვიცი, ერთი-ორი დღის განმავლობაში როგორ გადაიბარებდნენ ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მართვას ისე, რომ ამას არ მოჰყოლოდა არაერთი კატასტროფა. და ასეთი გრანდიოზული საკადრო ძვრების კომბინირება დაწესებულებების ძირეულ სტრუქტურულ ცვლილებასთან? ვერ წარმომიდგენია იმაზე უფრო დიდი არეულობა, რაც ამას მოჰყვებოდა და ამდენად, ჩვენს გასანადგურებლად უკეთესი შესაძლებლობის მიცემა დისციპლინებული კომუნისტური მანქანისათვის! წესრიგი ერის გადარჩენაა – ეს ხომ ძირითადი იდეაა ყველა პუტჩისა. და არც ის ქვეყნები, რომლებიც იქმნებოდა მსოფლიო ომების შემდეგ, არ იწყებდნენ ყოველივე იმის ნგრევით, რაც წინამორბედ სახელმწიფოებს ეკუთვნოდათ, პირიქით, ეყრდნობოდნენ ძველ სტრუქტურებსა და მოსამსახურეებს. არსებული სტრუქტურების შენარჩუნების მოწოდება ხომ ჩეხოსლოვაკიის რაშინისეული კონსტიტუციის მეორე წინადადებაშივე ისმოდა, კონსტიტუციაში, რომელსაც იმ ღამეს წერდა, ჩემს პიესაში რომ არის ასახული! ამ ყველაფერს უკავშირდება კიდევ ერთი რამ: საყოველთაოდ იყო გამჯდარი მლიქვნელობა. ასე და ამგვარად, სახალხო ფორუმსა და დემოკრატიულ სისტემას უერთდებოდა უამრავი კომუნისტი, პოლიციელი, სამხედრო პირი, სახელმწიფო მოხელე და ა.შ. ეს მეტად საჭირო ხალხი იყო, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვი, არ გამოდიოდა ყველგან დისიდენტებისა და იატაკქვეშეთში შეძენილი მეგობრების დასაქმება. და კიდევ, როგორ გაარჩევ ვინ არის გულწრფელი და მთელი გულით სურს ემსახუროს ჩვენს ახალგაზრდა დემოკრატიას და ვინ არის თაღლითი, რომელსაც მხოლოდ ერთი მიზანი აქვს – სწრაფად მიაღწიოს რაიმე მნიშვნელოვან

თანამდებობას? ერთი პატარა მაგალითი: როდესაც პრეზიდენტის რანგში პირველად მივედი პრაღის ჰრადზე, მოსალოცად თაიგულებით ხელში მოვიდნენ სახალხო ფორუმის წარმომადგენლები პრეზიდენტ ჰუსაკის კანცელარიიდან. მე და ჩემს მეგობრებს კი გარკვეული დრო დაგვჭირდა იმის გამოსაცნობად, თუ ვის შეუძლია მუშაობის გაგრძელება და ვინ უნდა მოვიშოროთ.

მაშ, ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე ამდენი კომუნისტი შემორჩა?

ბოლოს და ბოლოს, ვინ არის კომუნისტი? ვინც ოდესღაც კომუნისტურ პარტიაში იყო? იქ პრაქტიკულად ყველა იყო, მხოლოდ ბოლო ათი წლის განმავლობაში პარტიაში გაიარა შვიდმა მილიონმა[53] ადამიანმა. ცხადია, ყველანი ერთგული კომუნისტები და რეჟიმის ყურმოჭრილი მსახურები არ იყვნენ, მაგრამ დამიჯერეთ, ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით მათი ერთმანეთისგან გამორჩევა შეუძლებელი იყო. ეს უნდა ყოფილიყო რთული და გრძელი გზა, განსაკუთრებით როდესაც ცდილობ იყო არა მარტო სამართლიანი, არამედ პრაქტიკულიც. გთხოვთ გააცნობიეროთ რა მოხდებოდა, რომ ყველასათვის, ვინც ოდესმე კომუნისტური პარტიის წევრი იყო, ჩამოგვერთმია თანამდებობა და ფუნქციები. უნდა დაგვეშალა მთელი მეცნიერებათა აკადემია, უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობიდან მოგვეშორებინა პროფესორ-მასწავლებლები, არ გვეყოლებოდა არც ერთი მაღალი რანგის ოფიცერი, კრიმინალისტი, ბიზნესმენი, დიპლომატი და ნამდვილად არც ერთი დისპეტჩერი აეროდრომებზე!

რატომ დაინიშნა პირველ პრემიერად ადამეცის გამოზრდილი მარიან ჩალფა, რომლის სახელიც კი ვერ დაიმახსოვრეთ დიდხანს და ხან შალფას, ხანაც შტოლფას ან შტალფას ეძახდით? რატომ უნდა ყოფილიყო პრემიერად მართვის კომუნისტურ ტექნოლოგიაში კარგად გათვითცნობიერებული

53 1999 წლის აღწერის მიხედვით ჩეხეთის მოსახლეობა შეადგენდა 10,3 მილიონს.

ადამიანი? უკეთესი ხომ არ იქნებოდა წინა ხელისუფლებისაგან სრული გამიჯვნა და არჩევნებამდე ქვეყნის რევოლუციური პარლამენტის მიერ მხარდაჭერილი დეკრეტების საშუალებით მართვა?

განა ჩალფას სახელს ასე ვამახინჯებდი? რაკი ამბობთ, ალბათ გარკვეული წყაროებიდან გაქვთ ინფორმაცია. როდესაც ადამეცმა უარი განაცხადა ახალი მთავრობის შედგენაზე (პრინციპში მან ერთი მთავრობა შეადგინა, რომელსაც მანამდე დაუსტვინეს, ვიდრე საქმის კეთებას შეუდგებოდა), ჩვენს მთავარ პარტნიორად იქცა ჩალფა. ეს იყო ახალგაზრდა სლოვაკი სამართალმცოდნე, რომელმაც დიდხანს იცხოვრა პრაღაში, მთავრობის სამსახურში ყოფნისას ებარა კანონმდებლობა, ხოლო მოგვიანებით მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე იყო. არ ვიცნობდით მას და არც არაფერი ვიცოდით მის შესახებ, შესაძლოა ამიტომაც ვამახინჯებდი მის სახელს. როგორც კი შევუდექით მასთან მოლაპარაკებებს, ყველაფერი ერთბაშად გამარტივდა და დაჩქარდა. არავითარი ფანდები, ინტრიგები და ბურუსით მოცული საქმეები. იყო საოცრად საქმიანი და წვრილმანებს არ ეკიდებოდა. პირდაპირ მითხრა, რომ კომუნისტურმა პარტიამ დაკარგა ძალაუფლება, რომ ფასი აღარ აქვს მასთან საუბარს და რომ ძალაუფლების გადმოცემის ტექნიკურ მხარეზე შეთანხმებებს ამიერიდან თვითონ აწარმოებს ჩვენთან, ანუ სახალხო ფორუმისა და მოძრაობის „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ“ წარმომადგენლებთან, როგორც უმაღლესი მოთათბირე სახელმწიფოს მხრიდან და ყველაფერი მართლაც ასე წარიმართა. მან მოიფიქრა როგორ მოგვეშორებინა თავიდან ყველაზე უვარგისი პარლამენტარები და მოგვეყვანა ახლები, მასთან შევთანხმდით „საზოგადოებრივი თანადგომის მთავრობის“ შემადგენლობაზე, მოგვიანებით ფედერალურ საბჭოს განუმარტა რატომ უნდა ავერჩიე პრეზიდენტად მაინცდამაინც მე და არჩევნების ვადა ისე შეარჩია, რომ მომესწრო საახალწლო სიტყვით გამოსვლა. მსგავსი ტექნიკური ნიუანსების მოგვარებას, იმ შემთხვევაშიც კი, მათი მნიშვნელოვანება რომ გვცოდნოდა, ვერ შევძლებდით.

უნდა ითქვას, რომ სწორედ ჩალფამ ასწავლა ახალ მთავრობას „ხელისუფლობა“. ის, რასაც უწოდებთ ხელისუფლების ტექნოლოგიას, არ არის კომუნისტური მოვლენა, თუკი არ ემსახურება კომუნისტური პარტიის ძირითად მიზნებს და არ მოდის პარტიული ორგანოებიდან. უბრალოდ, მთავრობა გარკვეულ დღეებში უნდა აწყობდეს სხდომებს, მის საქმის წარმოებას აქვს გარკვეული წესი, არსებობს საკანონმდებლო განხილვის პროცედურა, მინისტრებს დროულად უნდა ეცნობოთ ის, რაზეც შემდეგ უნდა იმსჯელონ და ა.შ. ეს არის ასობით „ტექნიკური“ თუ „ტექნოლოგიური“ დეტალი, რაც არ ვიცოდით და არც შეიძლებოდა გვცოდნოდა. თუმცა არ იყო საუბარი მხოლოდ ადმინისტრაციულ მხარეზე. ჩალფამ გადამწყვეტი როლი ითამაშა გარდამავალი პერიოდის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი კანონების შექმნაში. სხვათა შორის, ვერც ერთმა შემდგომმა პრემიერმა ვერ მოახერხა მთავრობაში ასეთი საქმიანი და კონსტრუქციული ატმოსფეროს შექმნა და აპრიორულად ერთმანეთთან დაპირისპირებული ადამიანების ასეთი სწრაფი გაერთიანება. ხდება ხოლმე, რომ მსაყვედურობენ თავისუფალი არჩევნების შემდეგ ჩალფას პრემიერად დასახელებას, ანუ იმას, რომ წარმოადგენდა „მემკვიდრეობას“, რომელიც გვერგო გარდამავალ პერიოდში ახალ არჩევნებამდე. მსგავსი საყვედურის გამოთქმა შეუძლია მხოლოდ დემოკრატიის დიდ მოწინააღმდეგეს. პირველ რიგში: სლოვაკეთში თავის საარჩევნო რეგიონში ჩალფამ დიდი უპირატესობით მოიგო არჩევნები და გამოჩნდა, რომ თავის მხარეში ყველაზე დიდი სიყვარულით სარგებლობდა. მეორეც, როდესაც პრეზიდენტი იყო ჩეხი, მაშინდელი ჩვეულებების მიხედვით, პრემიერი უნდა ყოფილიყო სლოვაკი. დაბოლოს, „სახალხოს“ მმართველობამ, რომელმაც თავისუფალ არჩევნებში მიიღო ორმოცდაათ პროცენტზე მეტი ხმა და მოძრაობის „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ“ ხელმძღვანელობამ ყოველგვარი ორჭოფობისა და ყოყმანის გარეშე მომიწოდა, რომ პრემიერად ისევ ჩალფა დამესახელებინა. ამ კანდიდატურის წინააღმდეგი რომც ვყოფილიყავი, წარმოგიდგენიათ, ასეთ ვითარებაში

ვინმე სხვა დამესახელებინა და უგულებელმეყო არჩევნებში გამარჯვებულთა ნება?

პრეზიდენტობაზე თქვენი კანდიდატურის ოფიციალური წარდგენის შემდეგ პირადად შეხვდით მას და მაშინ, როგორც ამბობენ, შემოგთავაზათ გარკვეული სამსახური. რას შეჰპირდით ერთმანეთს? ამბობენ, რომ თქვენი პრეზიდენტად არჩევის სანაცვლოდ, აღუთქვით რომ არ დასჯიდით კომუნისტებს. ეს მართალია?

ცოტა ხნის წინ პეტრე პიტჰარტმა, რომელიც ამის თვითმხილველი გახლდათ, შემახსენა ერთი სრულებით დავიწყებული გარემოება: როგორც შემეძლო ვეწინააღმდეგებოდი ამ შეხვედრის ჩატარებას. ჩვენ უზარმაზარ მნიშვნელობას ვანიჭებდით და ვამაყობდით იმით, რომ ყველაფერს გამჭვირვალედ ვაკეთებდით (ჩვენი რევოლუცია ალბათ იყო პირველი და უკანასკნელი, რომელიც მთლიანად, ძალიან შინაური საუბრების ჩათვლით, ჩაწერილ იქნა მაგნიტურ ფირებზე) და ამდენად, ეს მოპატიჟება პირად შეხვედრაზე, ეწინააღმდეგებოდა ჩვენი წარსული ქმედებების სულისკვეთებას. მიუხედავად ამისა, მეგობრების რჩევით გავემართე იქ. შეხვედრა ჩატარდა მთავრობის კანცელარიის ერთ-ერთ ოთახში, რომელზეც ჩალფა დარწმუნებული იყო, რომ არ ისმინება. ზუსტად იქ, პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მითხრა, რომ მისი აზრით, ჩვენთან კომუნიზმის ხანა საბოლოოდ დასრულდა და საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ ძალაუფლების დემოკრატებისათვის გართულებების გარეშე გადასაცემად და საბაზრო ეკონომიკის აღსადგენად. სისტემის შეცვლის მსვლელობაში დახმარების გარდა არაფერი შემოუთავაზებია და არაფერი უნდოდა სამაგიეროდ, უმცირესი მოთხოვნაც კი არ წამოუყენებია. შემდგომ მართლაც მხოლოდ „ტექნიკურ“ დეტალებზე ვისაუბრეთ. შემოვიდა ჩემთვის დიდი გარდატეხის მაუწყებელი შემოთავაზებით, რომ პრეზიდენტად უნდა ავერჩიე უკვე 29 ნოემბერს. ყველაფერი კარგად ჰქონდა გაანგარიშებული და მოგვიანებით მივხვდი, რატომ უნდოდა პირისპირ საუბარი. არა მხოლოდ იმიტომ,

რომ სახალხო ფორუმი ერთი დიდი სალაყბო იყო, რომელსაც შეეძლო მისი სცენარის არევ-დარევა, არა, ძირითადი მიზეზი სხვა გახლდათ, არ უნდოდა ჩვენი გაუფრთხილებლობის გამო ხმები მისულიყო მეორე ბანაკის, პირველ რიგში, დეპუტატების ყურამდე. მათ შეეძლოთ კონტრქმედებების წამოწყება. მშვენივრად ჰქონდა გათვლილი როგორ დაეყენებინა თავისი კარგად გაანგარიშებული გეგმების წინაშე პარლამენტი ისე, რომ მათ რეაგირება ვერ მოესწროთ. ვგონებ ჩემზე გაცილებით მეტი იცოდა ჩვენ შორის დანერგილი უშიშროების თანამშრომლების შესახებ და არ უნდოდა, მათგან ესა თუ ის ინფორმაცია მისულიყო იმათ ყურამდე, ვისაც მე „ძველი რეჟიმის მეგობრებს" ვუწოდებდი. სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ ფაქტია, მაშინ ზუსტადაც რომ ჩალფა იქცეოდა ნამდვილი რევოლუციონერივით და არა მე. ცხადია, არაფერს ისეთს, რასაც თქვენ ფიქრობთ, არ შევპირებივარ პრინციპებიდან გამომდინარე, თანაც არ გამაჩნდა საამისო მანდატი და არ გვყავდა მოწმეები. კარგად მესმის ამ შეხვედრის მიმართ (რომლის არსებობასაც დიდი ხნის შემდეგ ახლა პირველად ვაღიარებ ხმამაღლა) გაზრდილი ინტერესის მიზეზი: შეხედულება, რომ ისტორია არის ერთი პერმანენტული შეთქმულება, საიდუმლო მოლაპარაკებებისა და გარიგებების უწყვეტი ჯაჭვი, გამოიყურება როგორც ძალიან „sexy".

(ვაშინგტონი 19. 4. 2005)

არ ვარ დარწმუნებული, რომ პან ჰვიჟდალას შეკითხვები მეტისმეტად სწრაფად არ გადაეშვება რევოლუციურ მოვლენებში და რომ არაფერი მაქვს დასამატებელი იმის შესახებ, რაც უშუალოდ წინ უძღოდა რევოლუციას. კარგად ვიცოდი რას აპირებდნენ სტუდენტები 1989 წლის 17 ნოემბერს ანუ სტუდენტთა საერთაშორისო დღესა და ფაშისტების მიერ ჩეხი სტუდენტების გაჟლეტის ორმოცდამეათე წლისთავზე. პრაღის ვიშეჰრად ზე[54] გეგმავდნენ დიდ თავისუფალ აქციას, ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი

54 პრაღის ვიშეჰრადი – მეათე საუკუნის მეორე ნახევარში, პრაღაში, ვლტავის მარჯვენა ნაპირზე აგებული სიმაგრე. მეთერთმეტე საუკუნეში წარმოადგენდა ერთიანი ჩეხეთის პიველი მეფის ვრატისლავ პირველის სასახლეს. პრაღის ჰრადთან ერთად წარმოადგენს ქალაქის უმნიშვნელოვანეს კულტურულ-ისტორიულ ძეგლს.

მანიპულაციების დაუშვებლად. ორგანიზატორი კი იყო ლეგალური სტუდენტური ორგანიზაცია და არა დისიდენტთა წრე. იმხანად მე უკვე იმდენად ცნობილი დისიდენტი ვიყავი, რომ ჩემი იქ გამოჩენით გამოვიწვევდი როგორც პოლიციის, ისე მოქალაქეებისა და დასავლეთის დიდ ყურადღებას. მეშინოდა, რომ სტუდენტებს არ დარჩენოდათ შთაბეჭდილება, თითქოს მათ მიერ ჩაფიქრებული და ორგანიზებული აქცია მინდოდა მიმესაკუთრებინა, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითქოს მათ ხარჯზე მინდოდა ფონს გასვლა. ცხადია, ჩემს პიროვნებაზე ყურადღების გადმოტანით, უნებლიეთ ყველას ვაფიქრებინებდი, რომ აქცია დაგეგმა ქარტია 77-მა, სტუდენტები კი მხოლოდ მორთულობაა. სტუდენტების არაერთ თაობასთან მქონია საქმე და კარგად ვიცი როგორი მგრძნობიარეები არიან მსგავს საკითხებში. თავყრილობაზე წავიდნენ ჩემი ცოლი და ძმა, მე კი ჰრადეჩეკზე განვმარტოვდი და მოვლენების განვითარების შესახებ რადიო „თავისუფალი ევროპის“ საშუალებით ვიგებდი. როდესაც მოვისმინე რა მოხდა, ანუ კარგად ცნობილი დაუნდობელი პოლიციური დარბევის შესახებ, იმწამსვე მივხვდი, რეჟიმისათვის ეს აღარ ჩაივლიდა უშედეგოდ. ჰაერი თითქოს დამუხტული იყო, ვგრძნობდი, უკვე თოვლის პატარა გუნდასაც კი შეეძლო ზვავის აგორება. გარდა ამისა, სრულ ვაკუუმშიც ხომ არ ვიმყოფებოდით, კარგად ვიცოდით, პოლონეთის ხელისუფლებაში „სოლიდარობაა“ მოსული ნახევრად, ვიყავით აღმოსავლეთ გერმანიის ექსოდუსის მოწმენი, ვიცოდით უნგრეთის რეფორმებისა და რასაკვირველია, გორბაჩოვის „პერესტროიკის“ შესახებაც. აფეთქება წამიდან წამზე უნდა მომხდარიყო, მხოლოდ ნაპერწკალი იყო საჭირო. მეორე დღესვე სასწრაფოდ დავბრუნდი პრაღაში, შევხვდი მეგობრებს და ორ დღეში დავაარსეთ „სახალხო ფორუმი“. პარალელურად, შეიძლება რამდენიმე წუთით ადრეც კი, ბრატისლავაში შეიქმნა მოძრაობა „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ“. ვწერდი „სახალხო ფორუმის“ პირველ დეკლარაციას. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, დაწესებულებებში, ქარხნებში, ქალაქებსა და პატარა დასახლებულ პუნქტებში მყისვე გაჩნდა „სახალხო ფორუმები“, როგორც დამოუკიდებელი ანტიტოტალიტარული გაერთიანებები. საჭირო იყო სტუდენტებთან კოორდინირება და ამავე დროს, მათი სუვერენიტეტის მოფრთხილება, რათა არ გასჩენოდათ „მოპარული რევოლუციის“ შეგრძნება. ასეთი შეგრძნებები აქა-იქ ისედაც უკვე არსებობდა. მეორე მხრივ, დიდი უპასუხისმგებლობა იქნებოდა ყველაფრის სტუდენტებისათვის მინდობა, მაშინ როდესაც

აქ უკვე არსებობდა იმ ხალხისგან შემდგარი გარკვეულად სტრუქტურირებული ოპოზიცია, რომლებსაც იცნობდნენ როგორც შინ, ისე უცხოეთში, რომლებიც იმედოვნებდნენ უფრო მნიშვნელოვან ძვრებს და იმას, რომ ვითარება არ ჩაცხრებოდა სტუდენტების აუდიტორიებში დაბრუნებისთანავე. დისიდენტების მხრიდან საკუთარი თავის და მრავალწლიანი ჯაფის ღალატი იქნებოდა, რომ ზუსტად მაშინ, როდესაც მათ წვალებას პირველი ნაყოფი უნდა გამოეღო და როდესაც მათი ძალები უფრო საჭირო იყო, ვიდრე ოდესმე, განდგომოდნენ საქმეს და ეთქვათ, ეს სტუდენტების პრობლემაა, რაც უნდათ ის აკეთონ. მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თეატრალებმაც, რომლებმაც გამოაცხადეს გაფიცვა, ჩამოიარეს მთელი რესპუბლიკა და დებატებში საზოგადოებას უხსნიდნენ რა ხდებოდა ქვეყანაში. როგორც მახსოვს, სახალხო ფორუმთან და მოძრაობასთან „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ", მათი თანამშრომლობა უპრობლემოდ მიმდინარეობდა. ვფიქრობ, თეატრალების მაშინდელი ფასდაუდებელი ღვაწლი მჭიდრო კავშირში იყო იმ სოლიდარობასთან, რომელიც პირადად მე გამომიცხადეს, პირველად ასეთი მასშტაბებით, ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე, უკანასკნელი დაპატიმრებისას. ამდენად, დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, თითქოს იანვარში ჩემ წინააღმდეგ გალაშქრება მძიმედ შემოუბრუნდა რეჟიმს. შესაძლოა, ზოგიერთნი თეატრალური საზოგადოებიდან, თუნდაც ქვეცნობიერად, ამ გზით ცდილობდნენ 1977 წელს ანტიქარტიაზე ხელმოწერებთან დაკავშირებული უსიამოვნო მოგონებების გაქარწყლებას.

ოპონენტები ხშირად გსაყვედურობენ, რომ 10 დეკემბრის შემდეგ მოსწყდით სახალხო ფორუმს, ჩაიკეტეთ იოსკა სკალნიკის სახელოსნოში და მთელი ყურადღება გადაიტანეთ მომავალ პრეზიდენტობაზე, ძალაუფლებისათვის ბრძოლაზე და პრობლემატური, გაურკვეველი და ბურუსით მოცული მემკვიდრეობა შეატოვეთ თქვენს შემცვლელებს, პეტრე პიტჰარტსა და იან ურბანს. რას უპასუხებდით მათ?

ეს იყო ჩემი დრამატული გადაწყვეტილება. მინდოდა 10 დეკემბრისთვის, ადამიანის უფლებების დაცვის დღისათვის, მნიშვნელოვანი ცვლილებების მისადაგება. ამ დღის სიმბოლიკა ძლიერ მიზიდავდა. და აი, იმ დღის შედეგებიც:

შევქმენით ახალი ფედერალური მთავრობა ანუ ჩალფას „საზოგადოებრივი თანადგომის მთავრობა“ და გადადგა პრეზიდენტი ჰუსაკი, ბნელი დროების, ეგრეთ წოდებული ნორმალიზაციის ხანის ცოცხალი სიმბოლო. გრანდიოზული მანიფესტაციების, საყოველთაო გაფიცვებისა და უკანასკნელი ძირეული პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, მოგვეცა ერთგვარი ამოსუნთქვის საშუალება. ეს ერთი კვირა გამოვიყენე ჩემი მეგობრის, მხატვარ იოსკა სკალნიკის სახელოსნოში განმარტოებისთვის, რადგან ჩემი გადაღლილობის გამო შეიძლებოდა გამოუსწორებელი შეცდომები დამეშვა. ბოლო პერიოდში ყოველი მხრიდან რაღაცას მიჩიჩინებდნენ და ამისგან უკვე მართლაც ცუდად ვიყავი. მნიშვნელოვანი შეხვედრები და მოლაპარაკებები, ცხადია, იქაც ჩავატარე, მაგრამ ბუნებრივია, ჩემს სახლთან შედარებით მეტი სიმყუდროვე მქონდა, რომ არაფერი ვთქვა სახალხო ფორუმის შენობაზე. ერთი სიტყვით, მჭირდებოდა გამოძინება, აზრების თავმოყრა და ჩემი პირველი სატელევიზიო გამოსვლის დაწერა, გამოსვლისა, რომელზეც ბევრად იყო დამოკიდებული სიტუაციის შემდგომი განვითარება ქვეყანაში. არავითარ ძალაუფლებისათვის ბრძოლას ეს არ უკავშირდებოდა. არ ვიცი ზუსტად, იმ სახელოსნოში ვის წინააღმდეგ უნდა მებრძოლა ძალაუფლებისათვის და რაც მთავარია, არ მესმის რომელი ძალაუფლებისათვის. საპრეზიდენტო კამპანია ჩემს ჩაურევლად მიმდინარეობდა, ძალაუფლება უკვე ჩვენს ხელთ იყო. არ მესმის რისი თქმა უნდათ ამით. ხანდახან იმ სახელოსნოდანაც მიწევდა გამოსვლა. ერთი ასეთი გასეირნება ნამდვილად ღირს მოსაყოლად. მკაცრად კონსპირაციულად, თვით გორბაჩოვის მაღალი ემისრები შემეხმიანნენ. არ ვიცი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წარმოადგენდნენ თუ საგარეო საქმეთა სამინისტროს, თუმცა მოსალოდნელია, რომ КГБ-ს პოლკოვნიკები იყვნენ. უცნობ ბინაში, სადაც ეს შეხვედრა უნდა შემდგარიყო, პატარა ამალით გავემართე. მთლიანობაში შეხვედრა ჩვეულებრივი გამოდგა, უბრალოდ, იმ ბატონებს აინტერესებდათ ჩემი, როგორც ეგზოტიკური

ეგზემპლარის შეთვალიერება, უნდოდათ დაედგინათ, საბჭოთა კავშირის მტერი ვარ თუ მოყვარე და სახიფათო შეშლილი თუ მხოლოდ მიამიტი პოეტი. მაგრამ ამაზე უფრო საინტერესოდ შემდეგი ამბავი მეჩვენება: კინოოპერატორ სტანისლავ მილოტას[55], ჩემს მეგობარს, რევოლუციურ თანამზრახველს, მდივანსა და მცველს ერთდროულად, პიჯაკში შენახული ჰქონდა თანამედროვე პატარა მაგნიტოფონი, რომელიც ზდენეკ მლინარჟმა ჩამოგვიტანა ვენიდან. მლინარჟმა არ გაგვაფრთხილა, რომ მოწყობილობას ერთი განსაკუთრებული თვისება ჰქონდა – ფირის დამთავრებისთანავე გადარეულივით წიოდა. ასე მოხდა ხსენებული საუბრის დროსაც. ბატონი პოლკოვნიკები წამოხტნენ, ცოტაც და, ხმლებს იშიშვლებდნენ, მერე კი, როდესაც დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ ჩვენს სისულელესთან აქვთ საქმე, დაწყნარდნენ. ცხადია, თვითონაც ექნებოდათ ჩამწერი მოწყობილობები, ოღონდ უეჭველად ჩუმი. სკალნიკის სახელოსნოში ყოფნას კი საერთოდ არ დავუკავშირებდი სახალხო ფორუმთან ჩემს გაუცხოებას. თუ არ მეშლება, ეს ბევრად უფრო გვიან მოხდა, უკვე ჩემი პ̆რეზიდენტობისას. მაშინ გულუბრყვილო ილუზია მქონდა, რომ როგორც აქამდე, სვიტრით ვიჯდებოდი სახალხო ფორუმში, მონაწილეობას მივიღებდი დებატებსა თუ საუბრებში და დროგამოშვებით გარკვეულ გადაწყვეტილებებს მივიღებდი. ერთი სიტყვით, რომ ყველაფერი გაგრძელდებოდა ისე, როგორც რევოლუციისას იყო. უბრალოდ, დამატებით, კვირაში ერთხელ ჰალსტუხით დამშვენებული პროტოკოლით გათვალისწინებული მოვალეობების მოსახდელად შევირბენდი ხოლმე პრაღის ჰრადზე. ცხადია, ეს სრული უაზრობა იყო. ჰრადმა მთლიანად ჩამყლაპა. მოკლე ვიზიტები ყველა არსებულ ქვეყანაში დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის წარსადგენად, სხვა ქვეყნების წარმომადგენლების მიღება, სხდომები პარლამენტში, გაუთავებელი მოგზაურობა რესპუბლიკის ფარგლებში და ათასობით მოლაპარაკების წარმოება. სახალხო ფორუმის-

55 სტანისლავ მილოტა (Stanislav Milota) – ცნობილი ჩეხი კინორეჟისორი. მისი ნამუშევარი „გვამების დამწველი„ ჩეხური კინოს ოქროს ფონდს მიეკუთვნება.

ათვის დრო აღარ მრჩებოდა, რასაც უარყოფითი შედეგები მოჰყვებოდა. მეტიც, ჩვენ შორის გაჩნდა წინააღმდეგობები, ან უფრო ზუსტად, დროებით ურთიერთობა იძაბებოდა ხოლმე; სხვაგვარად ვერც იქნებოდა: სახალხო ფრონტის რამდენიმე ცენტრალური ფიგურა გადმომყვა ჰრადზე და თითქმის ავტომატურად წარმოიქმნა ძალაუფლების ორი ცენტრი: სახელმწიფო და „პარტიული". ყველანი ანგელოზები რომ ვყოფილიყავით, ამას კარგი მაინც ვერაფერი მოჰყვებოდა. რაც შეეხება ჩემს დანატოვარს – სახალხო ფორუმი შექმნილი იყო ერთი ამოცანის შესასრულებლად: მშვიდობიანად მოეშორებინა წინა რეჟიმი და ხელი შეეწყო დემოკრატიაზე გადასვლის პროცესისათვის. უნდა ეარსება კიდევ ერთი-ორი კვირა და დაშლილიყო ჩვეულებრივ პოლიტიკურ პარტიებად. ამისთვის ბევრს ვიბრძოდი და იანვრის ყრილობაზე ვთქვი კიდეც. ვგრძნობდი, ერთი დღით მეტ ხანსაც თუ გასტანდა, წამოიჭრებოდა მისი იდენტობის საკითხი. წამოიჭრებოდა კითხვა – რას წარმოადგენს? პარტიას? პროფკავშირს? საბჭოს? სხვადასხვა დამოუკიდებელ გაერთიანებათა ფედერაციას? შეუძლია კი აზრიანი არსებობა ისეთ უკიდეგანო წარმონაქმნს, რომელიც ასრულებს იმავე როლს, რასაც ნორმალურ ვითარებაში – სამოქალაქო საზოგადოების ათასობით გაერთიანება ერთდროულად? მაგრამ ამ ჩემი შეხედულებებით ბევრს ვერაფერს გავხდი. ყველას უნდოდა დაუშლელად მიგვეღწია და მიგვეღო მონაწილეობა 1990 წლის ივნისის არჩევნებში. ვაღიარებ, რომ ასე სწრაფად ძველი პარტიები რეფორმირებას, ახლები კი ჩამოყალიბებას ვერ მოახერხებდნენ და სახალხო ფორუმისა და მოძრაობის „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ" არჩევნებში ცალსახა და სავსებით მოსალოდნელმა გამარჯვებამ ბევრი მოვლენა, ყოველ შემთხვევაში გარკვეული დროის მანძილზე, ძალიან დააჩქარა. ამავე დროს, სახალხო ფორუმის სახელით არჩეულებს არ შეეძლოთ მისი ერთი ხელის მოსმით დაშლა, ეს ამომრჩევლების ღალატი იქნებოდა. ამდენად, რაკი არ განხორციელდა სასწრაფო თვითდაშლა, ცხადია, მისჯილი ჰქონდა მოგვიანებით არაორგანიზებული და არანებაყოფ-

ლობითი დაშლა. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა. და კიდევ, რაც შეეხება ჩემს „ბურუსით მოცულ დანატოვარს" დამიჯერეთ, ვარ თითქმის პედანტი, ვერ ვიტან უწესრიგობას და თუკი ვინმე ვერ იტანდა ფორუმში გამეფებულ იმ ავადსახსენებელ არეულობას, პირველ რიგში, ეს მე ვიყავი და თუკი ვინმე აქა-იქ ცდილობდა რაიმეს გარკვევასა და მოწესრიგებას, ისიც მე გახლდით. სახალხო ფორუმში არსებული ქაოსის მიზეზი არც მე ვიყავი და არც ვინმე სხვა, არამედ თვით ვითარების არსი. სახალხო ფორუმი საყოველთაო სახალხო მოძრაობა გახლდათ, რომელიც ორ-სამ დღეში, სპონტანურად შეიქმნა და თავისი მიზნის შესრულების შემდეგ ასევე სწრაფად უნდა დაშლილიყო. არ იქნებოდა გადაჭარბებული თუ ვიტყოდი, რომ სიტუაცია ყველაზე უფრო ქუჩის მანიფესტაციას ან დიდ საზოგადოებრივ თავყრილობას მოგვაგონებდა. მსგავს ორგანიზაციას შეუძლია მნიშვნელოვანი ისტორიული გადატრიალებების მოხდენა, მაგრამ ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების მუდმივ შემადგენლად ვერ გამოდგება. სხვათა შორის, სხვა ქვეყნებშიც მსგავს მოძრაობებს იდენტიფიკაციის ანალოგიური პრობლემები გაუჩნდათ: ვერ მოძებნეს თავიანთი ზუსტი ადგილი ახალ სიტუაციაში და ამავე დროს, თვითდაშლისათვის არ ყოფნიდათ ძალა.

(ვაშინგტონი 19. 4. 2005)

არც ისე ადვილია ამერიკაში ცხოვრების აწყობა, დღეში რამდენჯერმე ბუნებაში ძაღლების გასეირნება, მოწვევების მიღება ან მათზე უარის თქმა, ამერიკულის სწავლა (დაშა), სახლზე ზრუნვა და რაიმეს საწერად ყოველდღე სამსახურში სიარული. დღეს პირველად, ბევრი ფიქრისა და სატელეფონო დაკითხვების გარეშე შემიშვეს კონგრესის ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე ჩემი მანქანისთვის დაჯავშნილ ადგილას. იქ შესასვლელად ყოველთვის ხანგრძლივი მოლაპარაკებები მჭირდება, რაც, როგორც წესი, მთავრდება ზარით ვინმე სასწაულმოქმედ ბატონ ედლერთან, რომელიც ამ სასახლის უმაღლესი მცველია თუ რაღაც ამდაგვარი, ბარნაბი, რომელიც არასოდეს გვინახავს, მაგრამ რომლის სახელსაც სასწაულმოქმედი ძალა აქვს. საკმარისია სადგომის დარა-

ჯებთან, პოლიციელებთან და კარისკაცებთან უშედეგო კამათისა და მოლაპარაკებების შემდეგ ახსენო მისი სახელი და გამშვები პუნქტიდან ერთი საკონტროლო ზარის შემდეგ ყველაფერი გვარდება. არ ვიცი რა მეშველება, ბატონი ედლერი ავად თუ გახდა ან სხვაგან გადაიყვანეს სამუშაოდ. სხვა მხრივ, უკვე შევსებული მაქვს უამრავი ფორმულარი, გავიარე არაერთი პროცედურა და როგორც წესი, ბოლოს მეუფლებოდა სიხარული, რომ ყველაფერი რიგ ზეა, ოღონდ წუხილნარევი სიხარული, რადგანაც ყველაფერი უფრო ძვირი გვიჯდებოდა ხოლმე, ვიდრე თავიდან გვეუბნებოდნენ. მაკვირვებს, რომ აქ არ ჭრის მარჯვენა ხელის წესი[56] *და ჯორჯთაუნის ასობით გ ზაჯვარედინზე მანქანები ჩერდება, რათა ზრდილობიანად დაუთმონ ერთმანეთს გ ზა. ჩეხეთში მსგავს ვითარებაში ყოველ გ ზაჯვარედინზე ერთი-ორი მანქანა აუცილებლად შეასკდებოდა ერთმანეთს. ანუ იქ, სადაც ურთიერთობის მაღალი კულტურაა, არ არის საჭირო ბევრი წესი. ჯერჯერობით აქ არ მინახავს ნაავარიები მანქანა (დავიჯერო, ასე სწრაფად არემონტებენ?).*

(6. 4 1996)

1) დღეს (შაბათს) სასწრაფოდ დავწერე ლიტვაში წასაკითხი სიტყვის პირველი ვერსია. ვიმეორებ უკვე არაერთხელ ნათქვამს, მაგრამ სხვაგვარად არ გამოვა. ყველა ჩვეულ „შემხსენებელს" გთხოვთ დროულ შეხსენებებს. (...) თუკი სამშაბათ საღამოს უკვე უნდა გადავამოწმო და ოთხშაბათს უნდა გადაითარგმნოს, გამრავლდეს, დაიბეჭდოს და ა.შ, მაშინ ჯობია შენიშვნები სამშაბათს 15:00 საათისათვის მქონდეს ხელთ. (...)

3)(...) ძეგლთა დაცვის კანონებთან დაკავშირებულ შენიშვნებში, ძეგლთა დაცვისა და ჰრადის სხვა საქმიანობას შორის კავშირის აუცილებლობის შესახებ საუბრისას ხატოვნება მაკლია. მომხრე ვარ, პირდაპირ ჩაიწეროს იქ რაიმე იმის მსგავსი, რომ ყოველდღიური და ოცდაოთხსაათიანი თანამშრომლობა ძეგლთა განყოფილებისა ადმინისტრაციის მართვისა და განვითარების განყოფილებებთან, პროტოკოლთან, რპკ-ს დანარჩენ განყოფილებებთან და პირადად პრეზიდენტთან არის ჰრადის ექსპლუატაციის, მუშაობისა და განვითარების აუცილებელი პირობა. ამის გარეშე წარმოუდგენელია ჰრადზე სახელმწიფო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, წარმომად-

56 მარჯვენა ხელის წესის თანახმად, თუ გზაჯვარედინზე საგზაო ნიშნები არ მიუთითებენ სანინააღმდეგოს, უპირატესობა ავტომატურად ენიჭება მძღოლს რომელიც უხვევს მარჯვნივ.

გენლობითი, კულტურული, ტურისტული და სხვა საქმიანობის წარმოება. ეს ყველაფერი ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ესთეტიკურ მხარესთან და ამდენად, ძეგლებზე ზრუნვასთან, რომ ჰრადი ვერ შეძლებს ფუნქციონირებას ძეგლებზე მზრუნავი, რპკ-ისთვის დაქვემდებარებული საკუთარი სამსახურის გარეშე. მეტიც, საზოგადოების წინაშე ტრადიციულად პრეზიდენტია პასუხისმგებელი იმ ყველაფერზე, რაც ხდება ჰრადზე, სახელმწიფო ვიზიტებითა და ტურიზმით დაწყებული, განვითარების პროექტებით დასრულებული. თუ პრეზიდენტმა დაკარგა რპკ-ის ძეგლებზე ზრუნვის განყოფილება, როგორც დამაკავშირებელი რგოლი ესთეტიკურ მხარესა და ჰრადზე მიმდინარე სხვა საქმიანობას შორის, ველარ მოერევა დაკისრებულ მოვალეობას. (...) სახელმწიფო დღესასწაულები, მეფეებისა და დედოფლების სტუმრობა, დათვალიერებები დიპლომატებისთვის, სხვადასხვა საპრეზენტაციო აქციები და ა.შ. ყველაფერი ეს მოითხოვს გამუდმებულ ზედამხედველობას იმათგან, ვინც ჰრადს ათობით წელია იცნობს და ამით საზრდოობს. ჰრადის შემთხვევაში პოლიტიკა და ესთეტიკა ერთი მოვლენის ორი განზომილებაა, რასაც სხვაგან არ გააჩნია ანალოგი, ამიტომაც სისტემაში ამ ანომალიის შეტანა ძალიან სისტემურად მეჩვენება. (...)

(28. 4. 1996)

(...)

2) პან ს.-მ შეასრულა ჩემი თხოვნა და ჩამოგდებული ებრაელი მფრინავის შესახებ საიდუმლოდ ესაუბრა თავის მაღალჩინოსან ირანელ მეგობრებს. ასევე საიდუმლოდ მოახსენეს, რომ მფრინავი ცოცხალია, ირანი არავის ეტყვის სად ჰყავთ დამალული და რომ საჭიროების შემთხვევაში კოზირად გამოიყენებენ. გთხოვთ საიდუმლოდ აცნობოთ ეს პრეზიდენტ ვაიცმანს. (...)

5) სადილი რკინის ლედისთვის. სახლის მაგიდა ექვს ადამიანს იტევს: თვითონ, საშა ბრაბცოვა, რუდ ლუბბერსი, ჰანიჩკა სუხოცკაა, მე და ერთიც – ყოველი შემთხვევისათვის, შესაძლოა, ზუსტადაც ჰენრისათვის, რომელიც მოულოდნელად ჩამოვიდა. მსუბუქი სადილი? (...)

10) გადავათვალიერე შენიშვნები აახენის გამოსვლასთან დაკავშირებით. ადრინდელთან შედარებით ნაკლებია, უფრო მოკლეა და ვიტყოდი – პედანტურიც. ზოგიერთი მეტი სიზუსტისაკენ მომიწოდებს და თან მთელ ჩემს კონცეფციას არღვევს, პირველ რიგში, სხვადასხვა კულტურაში დროსა და ისტორიულობაზე საუბრი-

სას. მიმაჩნია, რომ ძირითად და უმნიშვნელოვანეს განსხვავებას ევროპულ ტრადიციასა და დანარჩენ კულტურებს შორის დროის განსხვავებული გაგება იწვევს და რომ ეს არის ევროპული განვითარებისა და წინსვლის იდეის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი. სხვა კულტურები უფრო ესწრაფვოდნენ status quo-ს, სიმშვიდეს, ყველაფრის თავის ადგილზე, ძველებურად დატოვებას.

(23. 6. 1996)

1) ორშაბათ საღამოს გაგრძელდება კოალიციური დებატები. შესაძლოა მოლაპარაკებითა და კოალიციური შეთანხმების ხელმოწერით დასრულდეს ეს ყველაფერი, შესაძლოა – არაფრით. ასეა თუ ისე, სამშაბათს, 10:00 საათისათვის, გთხოვთ კოალიციის სამივე თავმჯდომარე მოიპატიჟოთ ჰრად ზე. ნაშუადღევს დაიწყება ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი ყრილობა და ეს საუკეთესო მომენტია, რათა მომახსენონ თუ რამდენად წაინიეს წინ, გამაცნონ კოალიციური შეთანხმება, მთავრობის სავარაუდო შემადგენლობა, საკუთარი სტრატეგია ამ ყრილობაზე, გადაუწყვეტელი პრობლემების ნუსხა და გეგმა, თუ როგორ აპირებენ ურთიერთობას სოციალ-დემოკრატებთან. კანცელარიას ოფიციალურად სთხოვეთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, არ დაუშვან დისკუსიები თემაზე: უხერხულია ეს თუ არა. (...)

2) შემთხვევით ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში თუ გავაღწიეთ, რაზეც დიდ იმედებს არ ვამყარებ, ირლანდიიდან დაბრუნებისას თამაშის სანახავად ინგლისში უნდა გავჩერდეთ. იქ დედოფალი და კოლი იქნებიან. დროში მშვენივრად თანხმდება ყველაფერი. როგორც ერთ-ერთი ალტერნატივა, შეატყობინეთ ეს კლაუსს, მასაც ნამდვილად ენდომება იქ წამოსვლა და საკითხავია, ღირს თუ არა ერთდროულად ჩვენი, ორივეს იქ დასწრება. (...)

4) შიპეკის შაბათის აქციასთან დაკავშირებით ჰრადზე გარკვეული წინააღმდეგობები გამოიკვეთა და ვფიქრობ – სავსებით უადგილო. ხელოვანებისთვის დამახასიათებელი არასტანდარტული ქცევა მეც მახასიათებს ხოლმე (გავიხსენოთ, პირველად პრეზიდენტად ჩემი არჩევისას, ეზოებში გამართული როკ-კონცერტები და მხიარულობები). დაბოლოს, ბახტინის არ იყოს, ბატონის სახლს ტაკიმასხარები, კომედიანტები და სულელები ესაჭიროება, ერთი სიტყვით, პათეტიკის დამრღვევები. შიპეკის აქციაზე ჩვენმა საუკეთესო ხელოვნებმა მოიყარეს თავი და სიტუაციის მთელი მარილი, სხვა რომ არაფერი, მსგავსი აქციების მიმდინარეობის გოიმურ ჩეხურ

იერსახე ზე ძალიან სიმპათიურ თავდასხმაში მდგომარეობდა: მჭამელები შეცვივდებიან ხოლმე დარბაზში, შეესევიან მრავალფეროვანი ნუგბარის სიმძიმით ჩაზნექილ მაგიდებს, ყველაფერს ჩახეთქენ და სახლებისაკენ გარბიან. საჭმლის თანამიმდევრული, ნელი, რიტუალური და რაც მთავარია, მცირე ულუფებად მოწოდება, მშვენიერი ფანდი იყო. (...)

9) ახლა კი ისევ ჰილარის დავუბრუნდეთ. ვიგებ, რომ მისი პროგრამა თანდათან იცვლება, კონკრეტულ სახეს იძენს, ამაზე უკვე ყველა ლაპარაკობს, საელჩოდან დაწყებული, საგარეო საქმეთა სამინისტროთი დამთავრებული, თეთრი სახლისა და პანი რ.-ს ჩათვლით, მიუხედავად ამისა, ჩემს პროგრამაში არაფერია თქმული იმის შესახებ თუ როდის და რა მექნება მასთან პირადად მე. თუნდაც იმიტომ უნდა ვიცოდე დროულად ეს ყველაფერი, რომ ყოველწუთს მოსალოდნელია მთავრობის გადადგომა და ახლის დასახელება, პოლიტიკური დებატები და სხვ. ამდენად, გთხოვთ ყველაფერი შეძლებისდაგვარად ზუსტად გაარკვიოთ და ისე შეადგინოთ პროგრამა. პანი ე.-ს ვთხოვ, შეუდგეს ვაცშმისა და შემდეგ გერმანელებთან ერთად სადილის ორგანიზებას ჩემს სახლში. (...)

(ვაშინგტონი 20. 4. 2005)

დღეს არ ვარ ბევრის დამწერი, ჩვენს მასპინძელთან – კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორ ბატონ ბილინგტონთან ვსადილობ, სავახშმოდ კი თეთრ სახლში ვართ მიწვეული. დღეში ორჯერ ჭამა ჩემთვის მძიმეა, ერთხელ ძალისძალად ვჭამ ხოლმე, მაგრამ რა გაეწყობა, ორივე მოპატიჟება მნიშვნელოვანია. ახლა ის საზიზღარი პერიოდი დგება, როდესაც ოფლში ვიწურები და ვშიშობ, რაიმე ვირუსი მომერევა და მთელი ჩემი ავადმყოფობები ერთ დიდ საერთო აღლუმს გამართავენ, ან air condition დამიბერავს, რასაც ზუსტად იგივე შედეგი მოჰყვება, ოღონდ შესაძლოა უარესი ფორმით. ამას პერიოდულად ერთვის გულის პრობლემები და, რაც მთავარია, გამუდმებული დაღლილობის შეგრძნება. საინტერესოა, როგორ დაგვირგვინდება ეს ყველაფერი. ცოტა ხნის წინ დავბრუნდი სადილიდან. ეს არ იყო ბატონ ბილინგტონთან ვიწრო წრეში სადილი, დაახლოებით ასიდან ას ორმოცდაათამდე სტუმარი იყო. ყველა საოცრად სიმპათიური. ბევრთან სასიამოვნოდ საუბარიც მოვახერხე. მთავარი უბედურება კი ის იყო, რომ ისედაც ყოველგვარ გემოს მოკლებული ამერიკული საჭმელი უმარილო იყო. ვიხვეწებოდი მარილს. ბოლოს ქალბატონი

კლუგე, იმ ფონდის დამაარსებლის მეუღლე, ჩემს აქ ვიზიტს რომ აფინანსებს, პირადად გაეშურა მარილის საძიებლად, თუმცა მისი მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა. ვიტანჯებოდი და საკუთარ ტყავზე გამოვცადე ერთი ძველისძველი ზღაპრის ჭეშმარიტება, რომელშიც მარილი ოქროზე ძვირად ფასობდა.

იან ურბანთან ურთიერთობა რატომ გაგიფუჭდადთ ასე საფუძვლიანად?

არა მგონია, ჩვენი ურთიერთობები საფუძვლიანად იყოს გაფუჭებული. ჩვენ შორის არსებობდა გარკვეული დაძაბულობა ზუსტად მაშინ, როდესაც იგი მიუძღვოდა სახალხო ფორუმის საარჩევნო გამარჯვებებს, მე კი ჩემს პირველ თვეებს ვითვლიდი ჰრადზე. იმ სიტუაციაში ჩვენ შორის პრობლემები რომ არ წარმოქმნილიყო, მართლა საოცარი იქნებოდა. სახალხო ფორუმმა გამაგზავნა ჰრადზე და იანს გაუჩნდა შეგრძნება, რომ მათ სურვილებს მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდო, მე კი საწინააღმდეგო შეგრძნება მქონდა, რომ უნდა ვაკეთო ის, რაც თვითონ მიმაჩნია მიზანშეწონილად. ჩემი გავლენა მაშინ უზარმაზარი იყო, ლამის ერის გადამრჩენლად აღმიქვამდნენ (ამ საკითხს ხომ თქვენს შეკითხვებში უკვე შეეხეთ), მაგრამ არც სახალხო ფორუმის გავლენა გახლდათ უმნიშვნელო. მე ჩემს ჭკუასა და ხედვაზე ვერ ვიტყოდი უარს, ისევე როგორც სახალხო ფორუმის მოთავეები ვერ იზამდნენ ამას. ეს არაა გასაკვირი. ჩამოყალიბებული დემოკრატიის მქონე ქვეყნებშიც კი, რომელთა რიცხვსაც მაშინ ჩვენ ნამდვილად არ მივეკუთვნებოდით, ხშირად იჩენს ხოლმე თავს წინააღმდეგობები სახელმწიფოსა და პარტიის მიმართ ლოიალობის საკითხებში. კონკრეტულად რაზე ვდავობდით, აღარ მახსოვს. ალბათ, უფრო შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ. დიდი განხეთქილება ეს ვერ იქნებოდა, რადგანაც, ისევე როგორც სხვები, ჩაბმული ვიყავი სახალხო ფორუმის საარჩევნო კამპანიაში, სადაც მე და იანს უნდა გვემოქმედა ერთად და შეთანხმებულად. ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი უკვე რახანია მიეცა დავიწყებას. მე და ურბანი დროგამოშვებით ვხვდებით ხოლმე და ასეთი

ძველი ისტორიების გვერდის ავლით ბევრ სხვა თემაზე საინტერესოდ ვსაუბრობთ.

შესაძლებელია, პოლიტიკაში წარმატებული იყო და ამავდროულად არ გაგაჩნდეს ძალაუფლების წყურვილი? ჩეხეთში ხალხს ჰგონია, რომ პოლიტიკოსი შეიძლება ისე, სხვათა შორის გახდე. ვფიქრობ, ეს ასე არ არის. თქვენი წიგნის – „ზაფხულის ფიქრების" ბოლოს დასძენთ, რომ ძალაუფლებისათვის არასოდეს გიბრძოლიათ. თქვენი თანამშრომლები საპირისპიროს ამტკიცებენ, თითქოს გარკვეული მომენტიდან დაწყებული პრეზიდენტობისთვის დიდი ძალისხმევით იბრძოდით. როგორ უყურებთ ამ ყველაფერს დღევანდელი გადასახედიდან?

ქვეყნებში, სადაც დემოკრატიის საკუთარი უწყვეტი ტრადიცია და კულტურა გააჩნიათ, ცხადია, თუ ვინმე ეძებს პოლიტიკაში წარმატებას, ესაჭიროება საამისო ძალისხმევა ანუ უნდა ჰქონდეს პროგრამა, საკუთარი ხედვა და რწმენა, პოლიტიკური მიზნები და სჯეროდეს, რომ ეს მიზნები საყოველთაო კეთილდღეობისკენ არის მიმართული. ამავდროულად, უნდა მიიღოს გამოწვევა და ეცადოს გაიმარჯვოს, როგორც ამ პროგრამის მატარებელმა, ე.ი. იბრძოლოს ძალაუფლებისთვის, როგორც თქვენ ამბობთ. ამავე დროს, პოლიტიკოსობა სულაც არ არის სამარცხვინო და ბრძოლა პოლიტიკური თანამდებობისთვის – უზნეობა. აქ მნიშვნელოვანია, რომ თანამდებობა არ წარმოადგენდეს ეგოისტურ თვითმიზანს ანუ თანამდებობისაკენ ლტოლვა იყოს გამოხატულება არა მაღალი მდგომარეობით ან აქედან მომდინარე გამორჩენით ტკბობის სურვილისა, არამედ სწრაფვისა ემსახურო სიკეთეს. სირთულე კი მხოლოდ ისაა, რომ ერის სამსახურზე ყველა ლაპარაკობს და ყოველივე ამომრჩევლის ინსტინქტზე ხდება დამოკიდებული, უნდა მიხვდეს ვინ ლაპარაკობს გულწრფელად და ვინ – მხოლოდ თანამდებობაზე გასაძრომად. თუ ჩემზეა ლაპარაკი, ვიყავი სავსებით განსხვავებული და თავიდან ბოლომდე ატიპური მოვლენა, ასე მხოლოდ რევოლუციისას შეიძლება მოხდეს. პრეზი-

დენტობა მართლა არ მინდოდა და საყოველთაო ზეწოლას დიდხანს ვუძალიანდებოდი. მაგრამ როდესაც ამ ზეწოლას დავყევი და მივხვდი, რომ სხვა არა დამრჩენია რა, დავიწყე თანამდებობისთვის ბრძოლა. საარჩევნო კამპანიით სხვები იყვნენ დაკავებული და ჩემი პრეზიდენტობა მალე სახალხო ნებად იქცა, რაც მაშინ გასაკვირი იყო: ხალხი დიდად არ მიცნობდა და თუ მიცნობდა, არა როგორც ადამიანს, რომელიც იღვწის თანამდებობისთვის ან საჭიროა ამა თუ იმ თანამდებობაზე. თუმცა ისიც მართალია, რომ თუ რაიმეს ვაკეთებ, ვცდილობ გავაკეთო რიგიანად. ამდენად, ვითავე ყველა იმ ამოცანის შესრულება, რომლებიც მევალებოდა, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს. განა აბსურდული არ იქნებოდა, ჯერ დავთანხმებოდი კანდიდატობას, შემდეგ კი მეფიქრა ამ გადაწყვეტილების მართებულობაზე, დაბნეული და მორცხვი ღიმილით ყოყმანი დამეწყო. ასეთ შემთხვევაში ვინმეს ნამდვილად დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ვიბრძვი თანამდებობისთვის. უაზრობაა, არაფრისთვის არ მიბრძოლია. მაგრამ ვიმედოვნებ, ბოლო ამგვარი შემთხვევა ვიყავი. ნორმალურ ვითარებაში ისეთი პოლიტიკოსების ყოლა, რომლებიც თანამდებობებზე გამოუვალი მდგომარეობის გამო ან უცაბედად აღმოჩნდნენ, თუ საერთოდ ზრდილობის ხათრით და ვინმეს წყენინების შიშით არა, ნამდვილად მიუღებელია.

(ვაშინგტონი 21. 4. 2005)

თეთრ სახლში გუშინდელი ვახშამი, რომელსაც დაახლოებით სამოცდაათი სტუმარი ესწრებოდა, შექსპირს ეძღვნებოდა. შემდეგ მოკლე წარმოდგენა გაიმართა. ბევრი მნიშვნელოვანი სტუმარი იყო. ბუშების წყვილი ძალიან მომხიბვლელად გამოიყურებოდა, წარგვადგინეს როგორც მთავარი სტუმრები. ბევრი მათგანი ხაზგასმით მიმეორებდა, რომ მათი გმირი ვარ და რომ წაკითხული აქვთ ჩემი ესეები, გამოსვლები, უნახავთ ჩემი წარმოდგენები. არასოდეს ვიცი როგორ უნდა მოვიქცე ამგვარ სიტუაციაში. გუშინ ვცადე ზოგიერთი მათგანისთვის განმემარტა, რომ მაშინაც კი, თუ მართლა ვარ გმირი, ეს ჩემი სურვილი არ ყოფილა. ეს იყო გარემოებათა, მოვლენათა და დილემათა გრძელი ჯაჭვი, რომელიც მაიძულებდა ამა თუ იმ გადაწ-

ყვეტილების მიღებას და უნებლიეთ, გარკვეული ფასეულობების ერთგულების პირობებში, ყოველი მიღებული გადაწყვეტილება გარკვეულწილად განსაზღვრავდა შემდგომ გადაწყვეტილებას, ისე, რომ წინასწარ არც კი იცოდა ადამიანმა, რისი გადაწყვეტა მოუწევდა ამის შედეგად. ამგვარი განმარტებებით ვცდილობდი ჩემი მორიდების დაფარვას. ამერიკას უყვარს ისტორიები happy end-ითა და გმირების მონაწილეობით. ეს სიმპათიურიცაა და მშვენიერიც. ალბათ პან ჰვიჟდალა სამართლიანად აღნიშნავს, რომ მე გარკვეული ზეწოლა მიბიძგებდა ამ პოზიტიური როლისკენ. მაგრამ ვინ არ განიცდის ხოლმე აქა-იქ ზეწოლას გარკვეული როლისკენ? აქ მნიშვნელოვანია შეგეძლოს საკუთარი თავის, შენი როლის და ამ როლის მიმართ დამოკიდებულება ზე რეფლექსია. და კიდევ ერთი: თეთრ სახლში მარილი ედოთ მაგიდა ზე, მეტიც, საჭმელიც მშვენიერი იყო. სრულებით არ წააგავდა იმ უგემურ ამერიკულ სამზარეულოს, რომელიც აქ ყოველ ნაბიჯ ზე გხვდებათ. მშვენიერი საღამო იყო, მაგრამ უკვე მოგვიანებით, სახლში რომ მივედი, დამეწყო გულის ფიბრილაცია თუ არითმია, მძიმე იყო, დაშა თავგამოდებით მმკურნალობდა. დღეს უკეთ ვარ, თუმცა გამოფიტულად ვგრძნობ თავს. საღამოს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის ჯილდოების გადაცემას უნდა დავესწრო საელჩოში.

ჩეხოსლოვაკიის საპრეზიდენტო არჩევნებზე თქვენი ძირითადი მეტოქე მთელ მსოფლიოში კომუნისტური ქვეყნების გარდაქმნის სიმბოლოდ აღიარებული ალექსანდრე დუბჩეკი[57]

57 ალექსანდრე დუბჩეკი (Alexander Dubček 1921-1992) — წარმოშობით სლოვაკი პოლიტიკოსი. 1968 წლიდან ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რეფორმატორი კომუნისტი, „პრაღის გაზაფხულის" ძირითადი ფიგურა. საბჭოთა კავშირის მიერ ჩეხეთის ოკუპაციის შემდეგ დააპატიმრეს, გადაიყვანეს მოსკოვში, სადაც ვერ გაუძლო ზეწოლას და ხელი მოაწერა ე.წ. მოსკოვის პროტოკოლს, მომავალში „ანტისოციალიზმთან" დაუნდობელი ბრძოლის შესახებ (მასთან ერთად დაპატიმრებულმა ფრანტიშეკ კრიეგელმა, ერთადერთმა არ მოაწერა ხელი დოკუმენტს). ამ მოვლენების შემდეგ გადაიყვანეს ჩეხოსლოვაკიის ელჩად თურქეთში. დასავლეთმა არაერთხელ შესთავაზა თავშესაფარი. მან უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ეს იქნებოდა ერის, რომელსაც მისი სჯერა, განბილება.
1970 წელს გაირიცხა პარტიიდან, იმყოფებოდა უშიშროების სამსახურის მეთვალყურეობის ქვეშ.
1989 წელს დაუბრუნდა პოლიტიკას, მოღვაწეობდა სლოვაკურ მოძრაობაში „საზოგადოება ძალადობის ნინაალმდეგ", გახდა ჩეხოსლოვაკიის ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე. დაილუპა 1992 წლის პირველ სექტემბერს მომხდარ ავტოკატასტროფაში. 3 დღის შემდეგ სასამართლოზე მოსკოვში ჩვენება უნდა მიეცა სუკ-ის ბორტმოქმედებების შესახებ (იმავე სასამართლოზე ჩვენება უნდა მიეცა

იყო. რა შთაბეჭდილებას ტოვებდა ის მაშინ თქვენზე?

თუ მეხსიერება არ მღალატობს, მაშინ მე ერთადერთი ოფიციალური კანდიდატი ვიყავი, ალექსანდრე დუბჩეკი არც ერთმა მოძრაობამ და პარტიამ თავის ოფიციალურ კანდიდატად არ დაასახელა. მიუხედავად ამისა, მის პრეზიდენტობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით კი რეფორმატორ კომუნისტებს შორის და სლოვაკეთში. ვფიქრობ, მასაც ძალიან უნდოდა პრეზიდენტობა, თუმცა ამას პირდაპირ არ აღიარებდა[58]. „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ" და სახალხო ფორუმი მის კანდიდატურას კატეგორიულად უარყოფდნენ. ის, ერთის მხრივ, მათთვის მეტისმეტად ახლოს იყო რეფორმატორ კომუნისტებთან, რომლებიც საზოგადოებას სულაც არ ეპიტნავებოდა, მეორე მხრივ, კომუნისტური ოკუპაციის შემდეგ ორაზროვან ქმედებებში ადანაშაულებდნენ. მახსენდება, ბევრმა ვერ გაბედა ან ვერ მოახერხა მისი დარწმუნება თავის ამბიციებზე – პრეზიდენტობის კანდიდატობაზე ხელი აეღო და საბოლოოდ ეს საქმე მე დამეკისრა. ეს ერთ-ერთი ყველაზე აბსურდული ამოცანა იყო, რომლის წინაშეც კი ვმდგარვარ: მე ჩემით ვარ პრეზიდენტობის კანდიდატი, თანაც, ცოტა არ იყოს, დაძალებით და ამ დროს დავალებული მაქვს სხვას ავუხსნა, რომ უნდა შეეშვას თავის მცდელობებს. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე პირადი საუბარი მქონდა დუბჩეკთან. უნდა ვაღიარო, ყოველთვის ძალიან მეცოდებოდა და ჩემზე დაკისრებული როლი საშინლად მეთაკილებოდა. მეორეს მხრივ, სულ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ არ იყო საკმარისად ძლიერი ადამიანი და აღმოჩნდებოდა რა რაიმე საბედისწერო პრობლემის წინაშე, რაც პრეზიდენტების ცხოვრებაში ხშირად ხდება ხოლმე ჩვენში, შეიძლება ისევ ემტყუნა საქმისთვის. ვფიქრობ, უკიდურესად წესიერი, სასიამოვნო, კარგი და მორიდებული ადამიანი იყო, მაგრამ იკარგებოდა კომუნისტურ იდეოლოგიასა

1970-1980 წლებში პოლონეთის მთავრობის თავმჯდომარეს პიოტრ იაროზევიჩს, რომელიც, აგრეთვე პირველ სექტემბერს, ცოლთან ერთად მოკლული იპოვეს საკუთარ ბინაში).

58 თვითმხილველების ცნობით, როდესაც ვ. ჰაველი გახდა პრეზიდენტი, დუბჩეკს სიმწრის ცრემლები წასკდა.

და ფრაზეოლოგიაში; ყოველთვის ბევრს ლაპარაკობდა და ძნელი გასაგები ხდებოდა რისი თქმა უნდოდა.

მართალი ხომ არ იყო ივან დეიმალი[59], როდესაც ჯერ კიდევ 1989 წლის 19 დეკემბერს მოგწერათ, რომ ალექსანდრე დუბჩეკის, ამ ცარიელი სიმბოლოს მხარდაჭერითა და დემოკრატიული გზით არჩეული სტანისლავ კუკრალის თამაშიდან გაძევებით – პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან მოშორების გზით, უღალატეთ საკუთარ თავს, თქვენს დევიზს „ცხოვრება სიმართლეში" და რომ იმ მომენტში ზოგიერთმა ადამიანმა ნაწილობრივ დაკარგა თქვენი რწმენა და პატივისცემა?

ცხადი იყო, რაკი დუბჩეკი პრეზიდენტი ვერ იქნებოდა, სახელმწიფოს მეორე პირი მაინც უნდა გამხდარიყო; პოლიტიკიდან მისი სრულად გაძევების შემთხვევაში, ალბათ სლოვაკები, მისი მოწინააღმდეგეებიც კი, აჯანყდებოდნენ და ღრმა კრიზისში აღმოვჩნდებოდით. პან კუკრალი, ალოის ინდრას[60], სამშობლოს მოღალატის ცოცხალი მაგალითის გადადგომის შემდეგ, სწრაფად გახდა ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე და ალბათ თვითონ ყველაზე უკეთ იცოდა, რომ ეს მხოლოდ დროებითია. კარგად ესმოდა დუბჩეკის პრეტენზიები, შეგნებულად გადადგა და დაკმაყოფილდა თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობით. მაშინ ეს ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ: იყო ხალხი, რომელიც თავის ფუნქციას მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში ასრულებდა. თუმცა, მინდა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, მიუხედავად ჩემი დიდი გავლენისა, დიქტატორი არ ვყოფილვარ. პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე დუბჩეკის კანდი-

59 ივან დეიმალი (Ivan Dejmal) — ჩეხი პოლიტიკოსი, პროფესიით ეკოლოგი. არასანქცირებულ სტუდენტურ ორგანიზაციაში მოღვაწეობისთვის დააპატიმრეს. გათავისუფლების შემდეგ, 1970 წელს, გარიცხეს სამინათმოქმედო ინსტიტუტიდან. არის ქარტია 77-ის ერთ-ერთი შემქმნელი; ქარტია 77-ის და შემდგომ სახალხო ფორუმის ეკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე. 1991-1992 წლებში გარემოს დაცვის მინისტრი.

60 ალოის ინდრა (Alois Indra) – ვ. ბილაკ და დ. კოლდერთან ერთად ე.წ. მოსაპატიჟებელი წერილის ერთ-ერთი ხელისმომწერი. 1968 წელს ამ წერილის ხელისმომწერნი, ვარშავის ხელშეკრულების ჯარებს „ძმური დახმარების" აღმოსაჩენად და „პრაღის გაზაფხულის" ჩასახშობად ეპატიჟებოდნენ.

დატურის წამოყენება იყო მაშინდელი ორი მთავარი პოლიტიკური ძალის, სახალხო ფორუმისა და მოძრაობის „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ“, მოლაპარაკების შედეგი. ვგრძნობდი, რომ ასეც უნდა ყოფილიყო, ის უნდა დაბრუნებოდა მართალია მაღალ, მაგრამ მაინც უფრო სარეპრეზენტაციო თანამდებობას, რომელიც ოკუპანტებმა დაატოვებინეს თავის დროზე და რომ ეს ჩვენი ხალხის თანაცხოვრების ინტერესებში იყო. მაშინ ვერც კი წარმომედგინა როგორ შევძლებდი ქვეყნის მეთაურის ფუნქციების შესრულებას ისე, რომ სადმე ჩემ გვერდით არ ყოფილიყო დუბჩეკი. ეს ყველაფერი სიმართლეა, განსხვავებით იმისგან, რომ ეს ჩემი გადაწყვეტილება იყო. პოლიტიკურმა ძალებმა მისი კანდიდატურა წამოაყენეს, პარლამენტმა აირჩია. ეს არ იყო პან კუკრალის არჩევნებზე არც მეტად და არც ნაკლებად დემოკრატიული.

რას გრძნობდით, როდესაც კომუნისტურმა პარლამენტმა აგირჩიათ პრეზიდენტად? ამას უყურებდით, როგორც თქვენს თუ როგორც მათ დამცირებას?

ვერ ვიტყოდი, რომ ეს ვინმეს ამცირებდა, თუმცა შეგრძნება უდავოდ განსაკუთრებული მქონდა. მახსოვს, როგორი აბსურდის შეგრძნებით ვუყურებდი ტელევიზორში საპრეზიდენტო არჩევნების დებატებს, სადაც ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელში მყოფი ყველა არსებული ორგანიზაციის სახელით, ამომრჩეველს ჩემი არჩევისაკენ მოუწოდებდნენ, დაწყებული ქალთა კავშირით და დამთავრებული ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიით. წარმოიდგინეთ, იგივე ხალხი სულ რამდენიმე დღის წინ ხმამაღლა უჭერდა მხარს ჩემს დევნასა და დაჭერას! ეს ყოველივე მართლაც წაგავდა სცენას „მეფე უბუდან“[61]. მაგრამ უსამართლო ვიქნებოდი, ამ ყველაფრისთვის მხოლოდ დაცინვით რომ მეყურებინა; ეს ტოლფასი იქნებოდა პოლიციის დაცინვისა, რომ ყველა ერთად არ დაგვიჭირა, ან ჯარის დაცინვისა, რაიმე

61 „მეფე უბუ“ – ფრანგი პოეტის, მწერლისა და დრამატურგის, ალფრედ იარის (1873-1907), ყველაზე ცნობილი პიესა. ითვლება აბსურდული დრამის წინამორბედად, დადაიზმისა და სურეალიზმის ინსპირატორად.

პუტჩი რომ არ მოაწყო. ცხადია, პარლამენტის ასეთი ქცევის უკან მნიშვნელოვანწილად იდგა შიში, მაგრამ ამ შიშს, შესაძლოა მკრთალ ზოლად, მაგრამ მაინც, სახელმწიფოს წინაშე გარკვეული პასუხისმგებლობის გრძნობაც გასდევდა. ყველგან ჩემი სახელი ეწერა და გაკრული იყო ჩემი პორტრეტები – ამას ვერავითარი ცენტრიდან მართული თუ ძვირადღირებული საარჩევნო კამპანია ვერ შეძლებდა – პარლამენტი გარშემორტყმული იყო სტუდენტებით, რომლებიც დეპუტატებს სთავაზობდნენ პურსა და მარილს იმის ნიშნად, რომ სურთ ძალაუფლების ახალი ძალებისთვის გადაცემა მხოლოდ მშვიდობიანი გზით, ჩემი არჩევა კი იქცა რევოლუციის ერთგვარ დაგვირგვინებად, ბოლო გამოცდად. დეპუტატებმა გადაავლეს თვალი საქმის რეალურ ვითარებას და, შესაძლოა უხალისოდ, მაგრამ ცნეს საყოველთაო ნება. არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა რა მოხდებოდა, რომ არ ვყოფილიყავი არჩეული. მათ კი ოდნავი განსჯის უნარი მაინც თუ გააჩნდათ, უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ სხვა არა დარჩენოდათ რა.

რას პოულობს და რას კარგავს ადამიანი „ჰრადის ზღურბლის“ გადაბიჯებისას?

მე მხოლოდ საკუთარ თავზე შემიძლია ვილაპარაკო. შევეჭიდე იმას, რაც მოითხოვდა მთელ ჩემს არსებას, რამაც მთლიანად ჩამითრია და თითქმის სრულად მოვწყდი სხვა საქმეებს. შეველიე თავისუფლებას, მევალებოდა ვყოფილიყავი უფრო დიპლომატიური, ვიდრე მინდოდა, უფრო სხვაგვარად უნდა მოვქცეულიყავი, ვიდრე ამას ვიზამდი, პრეზიდენტი რომ არ ვყოფილიყავი, სხვაგვარად ვიცვამდი... ამასთან, გამოვტოვე ცივილიზაციის განვითარების მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რასაც მხოლოდ ფუნქციის შეწყვეტის შემდეგ მივხვდი, როდესაც პირისპირ შევეჯახე არა მარტო მობილურების, მანქანების, კომპიუტერებისა და სხვა მოწყობილობების ახალ თაობას, რასაც მაშინ დიდად ვერ ვადევნებდი თვალყურს, არამედ ცხოვრების სრულებით ახალ წესს, განსხვავებულს იმისგან, რომლიდანაც ოდესღაც გამოვა-

ბიჯე. მიუხედავად იმისა, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში ვცდილობდი შეძლებისდაგვარად ჩვეულებრივი ცხოვრებით მეცხოვრა, მევლო საყიდლებზე, ქუჩებში მესეირნა, ირგვლივ მიმომეხედა, რათა არ მოვტყუებულიყავი. თუმცა, ეს მაინც არ იყო ნორმალური ცხოვრება. ჩვენს ქვეყანაში ეს არ გამოდიოდა. და რა მოვიპოვე? პრინციპში ერთადერთი: ვიყავი მსოფლიოში მიმდინარე დიდი ცვლილებების უშუალო მონაწილე და შემეძლო ამ ცვლილებებზე უშუალოდ მომეხდინა გავლენა. ეს ბედის დიდ საჩუქრად მიმაჩნია.

(ვაშინგტონი 22. 4. 2005)

მართალი გითხრათ, არა მარტო ამერიკელები და საერთოდ, უცხოელები აღმიქვამენ ხოლმე ზღაპრულ პრინცად, ან ერთი ზღაპრული ისტორიის მთავარ გმირად, არამედ ზოგჯერ მეც ჩემი ბედი აბსოლუტურად დაუჯერებელი, აბსურდული მგონია. ხანდახან არც კი მესმის ჩემი ბედისა, მეჩვენება, თითქოს ისტორიის ერთგვარი პატარა შეცდომა ვიყო. სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას, რომ მე (და არა ვინმე სხვა) აღმოვჩნდი იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენების ცენტრში, რომლებიც აისახა მრავალი ერისა და მილიონობით ადამიანის ბედზე? რატომ მოხდა ისე, რომ მე, ავტორი აბსურდული სპექტაკლებისა, გავხდი ისეთი აბსურდული სიტუაციების მონაწილე, როგორიც იყო მაგალითად, ჩემი პირველი ვიზიტი კრემლში (ამ ვიზიტს შესაფერის ადგილას აუცილებლად მივუბრუნდები)? ხანდახან ვფიქრობ, ჩემი ცხოვრება მხოლოდ სიზმარია და სადაცაა 1958 წელს, ჩესკაა ბუდიოვიცეს ყაზარმაში გავიღვიძებ როგორც მეომარი, ატყდება განგაში და მე, დილის გადაჭედილ ქუჩებში, უსაბურავებო ველოსიპედით – როგორც ადამიანი, რომელმაც არ იცის წონასწორობის დაცვა – ჩაფხუტით, სავსე საველე ჩანთით, ავტომატით, აირწინაღითა და საბრძოლო ვაზნებიანი ქაღალდის ყუთით, სახლში უნდა მივადგე ერთ-ერთ ოფიცერს გასაღვიძებლად და გამნაღმველთა ბატალიონთან ერთად გავემართო დასავლეთის საზღვრებისკენ, კომუნისტური სამყაროს ნატოსგან დაცვის საწვრთნელად (იმ ნატოს ძალებისაგან დასაცავად, რომლის სამიტსაც ორმოცდაოთხი წლის შემდეგ გახსნილად გამოვაცხადებ შუაგულ პრაღაში!). ისევე როგორც ბევრი სხვა მოვლენა ჩემი ცხოვრებიდან, ჯარში ორი წლით გაწვევა და კიდევ

უფრო ხუთწლიანი პატიმრობა სიზმრად მეჩვენება ხოლმე, თუმცა ამ ორ შემთხვევას მაინც უფრო ბნელ კოშმარს შევადარებდი.

დაბოლოს, მინდება საკუთარ თავს შევეკითხო, ეს ყოველივე – სიწყნარის ასეთმა მოყვარულმა, მსგავსი თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება რომ განვლე – იმით ხომ არ აიხსნება, რომ ყველაზე უფრო ბანალური და შეუმჩნეველი გამოვლინების შემთხვევაშიც კი სიცოცხლე დაუჯერებელი სასწაულია? ზოგჯერ მშვენიერი, ზოგჯერ დაძაბული და ზოგჯერაც დამთრგუნველი ზღაპარი.

(7. 7. 1996)

(...)

4) სადილი გერმანელებისთვის. საზოგადოდ, საჭმელი ინტერნაციონალური იყო, ისე როგორც ნებისმიერ ოტელში. სადილით უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ არც რაიმე განსაკუთრებული ყოფილა. ნამცხვარი, მართლაც, მშვენიერი ჰქონდათ, თუმცა უზარმაზარი ნაჭრები მოჰქონდათ, ასეთი რამ ახლა ალბათ მხოლოდ ჩეხეთში ხდება. სტუმრები მეათედის შეჭმას თუ ახერხებდნენ. არც ის იყო კარგი, რომ ოფიციანტები იქვე იდგნენ და თვალყურს გვადევნებდნენ. ცხადია, ელოდებოდნენ, ვინმეს ჭიქის შევსება ხომ არ სჭირდებოდა. ამ დროს ვსაუბრობდით ძალიან დელიკატურ თემებზე, მათ კი დუმილის აღთქმა არ აქვთ დადებული. (...)

(23. 8. 1996)

(...)

4) ლათინური ამერიკა ჩემთვის ერთი დიდი ტრავმაა. ს.-მ, შეიძლება ითქვას, სრულყოფილად აღმჭურვა, მაქვს საჭირო საბუთებითა და შესაბამისი წიგნებით გამოტენილი მთელი ჩემოდანი. ამან მთლად გამომაცალა ძალ-ღონე. აქამდე მთელი მასალის დაახლოებით 3 პროცენტის შესწავლა თუ მოვახერხე. მიზეზი ამ ჩემოდნის შიში იყო და არა შიგთავსის უინტერესობა. პირიქით, თვალის ერთი გადავლება მეყო იმის მისახვედრად, თუ რაოდენ ცოტა ვიცი ამ საკითხების შესახებ და რომ საფუძვლიან ცოდნას ვერც ვერასოდეს შევიძენ. სიმართლე გითხრათ, ამ ჩემოდანს შორიდან ვუვლიდი ხოლმე, ისეთ შიშს მგვრიდა. არაფერია, ეს დაძლევადია. ვიზიტის მოახლოებასთან ერთად, მეც უფრო ჩავულრმავდები ამ მონაცემებს, მნიშვნელოვანსა და ადვილად დასამახსოვრებელს გამოვყოფ უმნიშვნელოსა და ძნე-

ლად დასამახსოვრებლისგან. საგულისხმო სხვა რამაა: ამ ყველაფ-
რით ტრავმირებული ველარ ვწერ ბრაზილიის უმნიშვნელოვანეს
გამოსვლას და რაც უფრო ხშირად მაგონდება ამ საპასუხისმგებლო
ვიზიტის მოახლოება, უფრო ვიჭედები. ჯერ პწკარიც კი არ დამიწე-
რია. დღეს პარასკევია, თეორიულად შაბათ-კვირას შეიძლება რაიმე
დავწერო კიდეც, თუმცა ძალიან მეპარება ეჭვი. (...)

(1. 9. 1996)

1) მიუხედავად ყველაფრისა, შაბათს მოვახერხე ბრაზილიის
გამოსვლის დაწერა. (...)

(3. 11. 1996)

1) კვირა დილაა, ძალას ვიკრებ უკრაინაში გამოსვლის ტექს-
ტის დასაწერად. როგორც ყოველთვის, ესეც კოშმარად მექცა. თუ
მოვახერხე დაწერა, კარგი იქნებოდა, დროულად შეემოწმებინათ,
რათა საბოლოო სახე დროულად მიმეცა. თუ არა და საქმე ცუდადაა,
რადგან დასაწერად დამრჩება მხოლოდ ორშაბათი, როდესაც
ყველაზე უფრო მიჭირს წერა.

2) ეს პუნქტი საიდუმლოა. (...) ლაპარაკია კარდინალთან მოლა-
პარაკებაზე გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. ა)რამდენიმე
დღეში კარდინალის მდივანი მოვა და პირადად გადმომცემს წე-
რილს, რომლითაც კარდინალი შემატყობინებს, რომ ეკლესია უარს
აცხადებს თავის უფლებებზე კათედრალის მიმართ და სთავაზობს
მას სახელმწიფოს. სანაცვლოდ კათედრალის ცხოვრებაზე ეკლე-
სიის სამომავლო გავლენასთან დაკავშირებულ (ადვილად შესას-
რულებელ) გარკვეულ პირობებს გვიყენებს. ლაპარაკი შემდეგ ზეა:
ეს უნდა გავიგოთ როგორც ეკლესიის დიდსულოვანი ჟესტი და არა
როგორც პრეცედენტი, რომლითაც იგი ცნობს ნაციონალიზაციის
აქტების სამართლიანობას და რომ სახელმწიფოს, ჯერჯერობით
მის განკარგულებაში მყოფი ნებისმიერი ობიექტი, მსჯელობის
გარეშე შეუძლია დაიტოვოს. (...) ბ) ეკლესიის ამ ჟესტის გარკვეული
უარყოფითი მხარე კი შემდეგია: ეკლესიას სურს გადაეცეს ჰრადის
ყველა დანარჩენი რელიგიური დანიშნულების ობიექტი. ამაზე ვესა-
უბრე ლუქსს; ამბობს, თითქოს ამ ყველაფრის, გასაცემი უძრავი
ქონების სიაში შეტანისა და ამაზე მთავრობისათვის თანხმობის
გამოტყუების მხრივ, მთავრობაში გათრევის მხრივ, პრობლემას
ვერ ხედავს. (...) გ) რაღაც მომენტში, როდესაც ორივე ეს საკითხი

თავის კეთილ დასასრულს მიუახლოვდება, (ჩვენ და ეკლესია) ჩვენს სარჩელებს გამოვიტანთ სასამართლოდან. (...)

3) ჩეხურ-გერმანული საქმეებისა და შემდგომი ქმედებების სწორი გრაფიკის ირგვლივ ზიელენიეცთან და ვოლმეროვასთან საკმაოდ სერიოზული საუბარი მქონდა. დაინტერესებულ თანამშრომლებს ინფორმაციას საუბრისას მივაწვდი, შესაძლოა, სადილზე რომ დამპატიჟეს, იქ. ალბათ შ.-ც იქნება მიპატიჟებული. ამასთანავე ეს ბერლინში ვიზიტისათვის მომზადებაც იქნება. (...)

როგორ გახსენდებათ ჰრადზე გატარებული თქვენი პირველი წუთები?

ცხადია, ქვეყანაში არსებული ატმოსფეროს კვალი იმ პირველ წუთებსაც აჩნდა. მახსოვს, ბევრს ვიცინოდით, თუმცა დღეს უკვე მიჭირს დაზუსტებით ვთქვა რაზე და რისთვის. ჩვენი გუნდი შედგებოდა ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებისაგან. მოულოდნელად ეს გუნდი თვითონ აღმოჩნდა სამყაროში, რომელსაც მხოლოდ შორიდან იცნობდა და რომელიც აქამდე მხოლოდ კრიტიკისა თუ დაცინვის ობიექტი იყო მისთვის. სწორედ ჩვენ უნდა გადაგვეწყვიტა სასწრაფოდ ამ სამყაროს სამომავლო ბედი. მაშინდელი ჩემი თანამშრომლები უეჭველად გაიხსენებდნენ ათობით დაუჯერებელ, აბსურდულ და სასაცილო შემთხვევას იმ ეპოქიდან. მე კი სიამოვნებით მახსენდება ერთი ასეთი მოვლენა, ცოტა არ იყოს სიმბოლურიც კი: მეჩვენებოდა, რომ ჩემი კანცელარიის სართულზე ნაკლები ოთახი იყო, ვიდრე ეს შეესაბამებოდა ჰრადის ამ ნაწილს. ამიტომაც მოვიპოვეთ მკაცრად გასაიდუმლოებული არქიტექტურული გეგმები, გავერკვიეთ ვითარებაში და დაბეჯითებით მოვითხოვეთ იმ აქამდე თითქოსდა არარსებულ ოთახებში ჩვენი შეშვება. და რა წარმოგვიდგა თვალწინ? უზარმაზარი, პირქუში, უმკაცრესად გასაიდუმლოებული ვარშავის ხელშეკრულების სატელეგრაფო მოწყობილობა, რომლითაც მხოლოდ იმ ყველაზე ზემდგომებს შეეძლოთ მიმოწერა. ვიპოვეთ შესაბამისი შიფრის მცოდნე პირი და პირდაპირ ამ ოთახიდან მისასალმებელი ტელეგრამა გავუგზავნე გორბაჩოვს. როგორც მოგვიანებით შევიტყვე,

საბჭოელებს შესატყვისად დაუფასებიათ ამ მოწყობილობის ასე სწრაფი აღმოჩენის ფაქტი. შესაძლოა, ტელეგრაფი – ისევე როგორც ბევრი სხვა რამ – ჩვენგან დაფარული უნდა დარჩენილიყო. თითქოს ვიღაც სადღაც ასე მსჯელობდა: ჯერ არ ვიცით რა და როგორ იქნება, იქნებ ზოგი რამ კიდევ დაგვჭირდესო. ან იქნებ ვინმემ ბოროტად თქვა: ეძებონ! ან სულაც დაავიწყდათ და ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩეხური მოუწესრიგებლობის კიდევ ერთი დასტური. თუმცა ფრთხილად, მეხსიერებას ვერ დაენდობი, მიდრეკილება აქვს შემოინახოს უპირველესად ის, რაც საუკეთესო იყო. ცხადია, როგორც რევოლუციისას, ისე პრეზიდენტობის პირველ თვეებში გადავიტანე არაერთი მძიმე წუთი. ვინც უშუალოდ არ აგებდა პასუხს გარკვეულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე, ადვილად იტყვის, რომ კომუნისტებთან ასე არ უნდა გველოლიავა. მაგრამ როდესაც უპირისპირდები მოწინააღმდეგეს, რომელსაც ხელთ უპყრია მართვის ყველა სადავე და არ გინდა, დაღვრილი სისხლისთვის ცხოვრების ბოლომდე სინდისმა გქენჯნოს, შენი ყოველი ნაბიჯი საფუძვლიანად უნდა აწონ-დაწონო. თუნდაც მილიონიანი მანიფესტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, გგონიათ, ადვილი საქმეა? უბრალო მიზეზი იყო საკმარისი ფსიქოზისა და ჭყლეტის წარმოსაქმნელად, საკმარისი იმისთვის, რომ ვინმე აჰყოლოდა პროვოკაციებს; სამხედრო გამანადგურებლის ერთ უბრალო გადაფრენას შეეძლო გამოეწვია ის, რომ ხალხს ერთმანეთი გადაეთელა. უნდა ვაღიარო – ეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არაა. მოგვიანებით თავდაცვის მინისტრმა მითხრა, რომ არ იქნებოდა ეს ძნელი განსახორციელებელი ანუ გენერალურ შტაბში ვიღაცამ ასეთი გეგმა ხმამაღლა წამოაყენა კიდეც. გარდა ამისა, ამბობენ, რომ ბევრად უფრო სახიფათო გეგმებზეც მსჯელობდნენ, ვთქვათ პრაღის აღებაზე სატანკო ძალების გამოყენებით. ერთი სიტყვით, ფრთხილად უნდა გვემოქმედა. თუმცა როგორც ზოგიერთი ფიქრობს, ყოვლისშემძლე რეჟიმთან ასეთი პრინციპული დაპირისპირებისას სიფრთხილე არ ნიშნავდა მათთან სამომავლოდ შეკვრას.

თქვენ ხშირად გსაყვედურობენ 1990 წლის პირველი იანვრის დიდსულოვანი ამნისტიის და საერთოდ, თქვენ მიერ გაცემული შეწყალებების გამო. როგორ აფასებთ დღეს თქვენს ამ ქმედებებს?

უკვე თხუთმეტი წელია, დაუსაბუთებლად მსაყვედურობენ 1990 წლის იანვრის ამნისტიას. კრიმინალური სიტუაცია გააუარესა? ეს სხვა მოვლენებმა გამოიწვია. 1990 წელს გათავისუფლებული პატიმრების წილი საერთო კრიმინალურ დარღვევებში ჩეხეთში წარმოადგენდა ცხრა, ხოლო სლოვაკეთში – შვიდ პროცენტს, რაც ოდნავ თუ აღემატება ყოველწლიურად გათავისუფლებულთა წილს. გარდა ამისა, ერთ-ორ წელიწადში ბევრი მათგანი ისედაც გამოვიდოდა ციხიდან, რადგანაც ამნისტიის ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა მძიმე ბრალდებებით გასამართლებულთათვის ვადის მხოლოდ ერთი წლით შემცირებას. ცხადია, ამნისტია პროფესიონალებმა მოამზადეს, მათ შორის ბევრი ცნობილი სპეციალისტიც იყო, თუნდაც, დღევანდელი ომბუცმენი ოტაკარ მოტეილი, მაშინდელი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე პაველ რიხეტსკი, იუსტიციის მინისტრი დაგმარ ბურეშოვა და სხვები. მოგვიანებით წავიკითხე ამ ამნისტიის სტატისტიკური და პენოლოგიური ანალიზები, რომლებიც გამოთქმულ საყვედურებს დიდად არ ემთხვეოდა. გეთანხმებით, მართლაც დიდსულოვანი ამნისტია იყო, მაგრამ საჭირო იყო იმის ხაზგასმა, რომ ვითარება ძირეულად იცვლება და რომ გვინდა გავემიჯნოთ ყოველგვარ უზნეობას, რითიც გამოირჩეოდა კომუნისტური სასამართლო. თუ ლაპარაკია შეწყალებებზე, ესეც მხოლოდ კლიშეა და ხალხური მითები, რომლის სათავეც ნახსენებ ამნისტიაში ძევს. ჩემ მიერ ჩატარებულ შეწყალებებზე პრეზიდენტის კანცელარიის შესაბამისი სამსახურის მაშინდელი ჩემი ერთი თანამშრომელი დღეს წიგნს წერს. იქ ყველა შემთხვევა დაწვრილებით არის გარჩეული და დასაბუთებული. წლიურად სამოცდაათიდან ასამდე შეწყალებას ვაწერდი ხელს. იშვიათად სასამართლოს შეცდომების გამოსწორებაზეც იყო ხოლმე ლაპარაკი, თუმცა უმეტესად ეს მართლაც შეწყალებები გახლდათ. ყოველი შეწ-

ყალება თავისი შინაარსით საკამათო და ადვილი გასაკრიტიკებელია, რადგანაც დამნაშავეს ეხება. უპირატესობა, ცხადია, ენიჭებოდათ მოხუცებს, ავადმყოფებს და მარტოხელა მშობლებს. ისინი, ვინც მიმზადებდნენ შესაბამის სიებს, ყოველ ცალკეულ შემთხვევას, როგორც განსაკუთრებულსა და ერთადერთს, ისე სწავლობდნენ, ეცნობოდნენ მსჯავრდებულების პირად საქმეებს, ოჯახურ სიტუაციას, აკითხავდნენ მათ ციხეში და მის კედლებს გარეთ... ცხადია, უფრო მარტივი იქნებოდა საერთოდ არ გაგვეცა შეწყალებები და ახლა შეუდარებლად უფრო პოპულარულიც ვიქნებოდი, მაგრამ ეს არ იყო ჩემი მიზანი. პარადოქსულია, ზოგჯერ შეწყალებას თვით მოსამართლეები მთხოვდნენ ხოლმე. კანონი უნდა დაეცვათ, მეორეს მხრივ კი იცოდნენ, რომ ეს კონკრეტული ადამიანი ციხეში გასაშვები არ იყო.

როგორ მიმდინარეობდა პრეზიდენტობის პირველ თვეებში თქვენი თანამშრომლობა ყოფილ თუ რეფორმატორ კომუნისტებთან, რომლებიც თქვენთან ერთად ძალაუფლებას იყოფდნენ? მახსოვს, ზდენეკ იჩინსკისთან[62] დაკავშირებით, ერთხელ უკმაყოფილებით შემომჩივლეთ.

ზოგიერთთან მართლაც დიდი პრობლემები გვექმნებოდა, მაგრამ არა ყველასთან. არ შემიძლია ყველა მათგანის ერთი კრიტერიუმით შეფასება. თუმცა ბევრ მათგანს უკვე სისხლში ჰქონდა გამჯდარი „კოლექტიურ-კაბინეტური" პოლიტიკისადმი მიდრეკილება. ჩვენს საერთო შეკრებებს ყველა და ყოველთვის ესწრებოდა. ამდენად, ყველაფერი იცოდნენ და ყველაფერზე ახდენდნენ გავლენას, მაშინ როდესაც ჩვენ მათი შეხვედრებისა და თათბირების (ადრინდელი „პარტიული შეკრებების" მსგავსი) შესახებ ბევრი არა ვიცოდით რა, ისევე როგორც ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელთან მათი სეპარატული მოლაპარაკებების შესახებ. ცხადია, ყველა არ იყო ბოროტად განწყობილი,

62 ზდენეკ იჩინსკი (Zdeněk Jičínský) — ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის წევრი ტოტალიტარიზმის ეპოქაში 1969-1971, 1986-1990 წლებში. 1990-1992 წლებში დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის ფედერალური პარლამენტის, ხოლო 1996 წლიდან დღემდე – ჩეხეთის პარლამენტის წევრი.

უბრალოდ, ასე იყვნენ გაზრდილები და ვერც პოლიტიკისა თუ პარტიის გარეთ გატარებულმა ოცმა წელიწადმა ან დისიდენტურ ოპოზიციაში გატარებულმა ცხოვრებამ ვერ მოარჩინა ამ ავადმყოფობისგან. ზოგჯერ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, რომ ერთმანეთის უკეთ ესმოდათ, ვიდრე ჩვენი, არაკომუნისტების და ეს ალბათ იმიტომ, რომ ერთ ენაზე საუბრობდნენ. ბევრ მათგანს ჯერ კიდევ ჰქონდა „ადამიანური სახით სოციალიზმის"[63] ან „პერესტროიკისეული" ტიპის კომუნიზმის წყურვილი, რასაც ახდენა არ ეწერა, რადგანაც საზოგადოების უმეტესობას ეს არ უნდოდა. ხალხი უკვე ალერგიულად რეაგირებდა მსგავს საუბრებზე. მაშინ ყველაზე დიდ პრობლემებს მიქმნიდა ზდენეკ იჩინსკი, დაუღალავი იურისტი, ქარტიის წევრი და რეფორმატორ კომუნისტთა შორის ძირითადი ფიგურა. ორ შემთხვევას გავიხსენებ. სამთავრობო დელეგაციასთან ვთათბირობდით კონსტიტუციიდან კომუნისტური პარტიის წამყვანი როლის შესახებ მუხლის ამოღებაზე. ჩალფა და მისი დელეგაციის წევრები დაგვეთანხმნენ. ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. მოულოდნელად სიტყვით გამოვიდა ზდენეკი – სახალხო ფორუმის დელეგატი და თქვა, რომ არსებული მუხლის მაგიერ კონსტიტუციაში შეიძლებოდა ჩაგვედო მუხლი მუშათა კლასის ან მშრომელი ხალხის წამყვანი როლის შესახებ. ეს იყო საფუძველშივე უაზრო იდეა, მხოლოდ კომუნისტური იდეოლოგიის ენის მიმართ ნოსტალგიის გამოვლინება. მაგიდის ქვეშ ფეხებს ვურტყამდით. ამ საკითხს შემდგომში აღარ მიბრუნებია. სხვათა შორის, ამის უაზრობა თვით ჩალფამაც აღნიშნა და დაახლოებით ასე თქვა: „თუ მოვრჩით, მაშ მართლა მოვრჩეთ, უნდა წესიერად ვიმუშაოთ და ფრაზეოლოგიურ კომპრომისებს შევეშვათ, მით უმეტეს, რომ ამას აღარავინ გვთხოვსო". უფრო სერიოზული შეხლა-შემოხლა 1990 წელს გვქონდა, როდესაც მზადდებოდა კანონი თავისუფალი არჩევნების შესახებ. პეტრე პიტჰარტთან[64] ერთად

63 „სოციალიზმი ადამიანური სახით" – პრაღის გაზაფხულის არაოფიციალური დევიზი.

64 პეტრე პიტჰარტი (Petr Pithart) – ჩეხი პოლიტიკოსი, სამოციან წლებში ჩეხეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. 1968 წელს, საბჭოთა ოკუპაციის წინააღმ-

ვიბრძოდით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემისათვის, რაც იმედს იძლეოდა, რომ მომავალ პარლამენტში თავს მოიყრიდა სანდო ხალხი და არა მარტო სხვადასხვა პარტიული აპარატის მონური პროდუქტი. ზდენეკ იჩინსკი გაცხარებით იბრძოდა პროპორციული სისტემისთვის და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც. მაშინ არ მესმოდა ასე რატომ ეწინააღმდეგებოდა სახალხო ფორუმის თვითდაშლასა და მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას. მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ მივხვდი, რეფორმისტი კომუნისტები დამოუკიდებლად რომ წარმდგარიყვნენ ამომრჩევლების წინაშე, პარლამენტში მოხვედრის დიდი შანსი არ ექნებოდათ. ამის იმედი მხოლოდ როგორც სახალხო ფორუმის წარმომადგენლებს თუ შეიძლებოდა ჰქონოდათ. მაგრამ საამისოდ საჭირო იყო სახალხო ფორუმის შენარჩუნება და პროპორციული საარჩევნო სისტემა. მაჟორიტარული სისტემის შემთხვევაში, მათ მიმართ საზოგადოების თავდაჭერილი დამოკიდებულების გამო, რეფორმისტი კომუნისტები ადვილი შესაძლებელია თამაშგარეთ დარჩენილიყვნენ. პროპორციულის შემთხვევაში კი, როგორც სახალხო ფორუმის წარმომადგენლებს, პარლამენტში ადგილები განაღდებული ჰქონდათ. გარდა ამისა, მოგვიანებით, როდესაც ჩამოყალიბდა ძირითადი პარტიები, ვცადე ახალი საარჩევნო სისტემის შემოღება, მაგრამ შევეჯახე სდპ-ს ხელმძღვანელების თავგამოდებულ წინააღმდეგობას. ცხადია, ისევე როგორც თავის დროზე იჩინსკის, მათაც ეშინოდათ, რომ მაჟორიტარული არჩევნები მოპოვებულ პოზიციებს დააკარგვინებდათ. დღეს კი პირიქით არის, სდპ დაუღალავად იბრძვის მაჟორიტარული, მეტიც, ერთტურიანი საარჩევნო სისტემისათვის, რადგანაც ამაში მანდატების აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვების შესაძლებლობას ხედავს. სამწუხაროა, პარტიები იმის მაგიერ, რომ ზრუნავდნენ იმაზე, თუ რა არის საუკეთესო ქვეყნისათვის, საკუთარ გამორჩენაზე ზრუნავენ. ერთი სიტყვით, მათი შეხედულებები რეფერენდუმის, პრეზიდენ-

---

დეგ პროტესტის ნიშნად დატოვა კომუნისტური პარტიის რიგები. 1989 წელს შევიდა სახალხო ფორუმში, 1990-1992 წლებში იყო ჩეხეთის მთავრობის თავმჯდომარე.

ტის პირდაპირი არჩევის, საარჩევნო სისტემისა და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ ყოველ წუთს იცვლება, მეტიც, ვიტყოდი, რომ ცვლილებებთან დაკავშირებულ ბევრ შემოთავაზებას, თავიდან მოშორების მიზნით, ცხელი კარტოფილივით ხელიდან ხელში უგდებდნენ ერთმანეთს და ამას ბოლო არ უჩანს.

თქვენ დაუშვით, რომ ასე წარმატებულად გათამაშებულიყო მაშინ ნაციონალური კარტი სლოვაკეთში. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეს იყო იმ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა?

არ გეწყინოთ, მაგრამ ჩვენ მაშინ მართლა ვცდილობდით გადავსულიყავით, ცხადია კოჭლობით, ტოტალიტარული სისტემიდან დემოკრატიაზე და არა ახალი სახის დიქტატურაზე. ყველა ჩემს პრინციპს ვუღალატებდი, სლოვაკი ხალხისათვის რჩევა-დარიგებები რომ მეძლია იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მათი ეროვნული გრძნობა. მიუხედავად იმისა, რომ ფიცი დავდე ფედერალურ კონსტიტუციაზე და ქვეყნის ერთობა უნდა დამეცვა, რასაც, ცხადია, ვაკეთებდი კიდეც, არ შემეძლო თვალი დამეხუჭა სლოვაკების ეროვნულ ემანსიპაციაზე ან რამენაირად დამეთრგუნა იგი. ხალხებს უფლება აქვთ (თუკი ეს მათი უმრავლესობის სურვილია) გაიარონ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ფაზა. ჩეხოსლოვაკი ხალხის იდეაზე გაზრდილი ჩეხების უმეტესობა სლოვაკურ დამოუკიდებლობას ავტომატურად უკავშირებდა ფაშიზმს და ნაკლებად ესმოდა მათი ეროვნული გრძნობებისა თუ ამბიციებისა. ვფიქრობ, მე ბევრ სხვაზე უკეთ მესმოდა მათი, თუმცა ალბათ, არც მე ვიყავი ბოლომდე მოკლებული გარკვეულ ისტორიულად მცდარ შეხედულებებსა და სუბიექტურობას. მართალია, სლოვაკი ნაციონალისტები, ცოტა არ იყოს, აუტანლად და სასაცილოდ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ჩვენი ხალხის ურთიერთობებში საფუძვლიანი ცვლილებები არ უნდა მომხდარიყო. მაშინ ვემხრობოდი „ავთენტიკურ ფედერაციას“ ანუ არა ფედერალიზებულ ტოტალიტარიზმს, ისეთს,

კომუნისტებისას რომ იყო, არამედ ორივე შემადგენელი მხარის სრული თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებულ ფედერაციას. ამ პუნქტში ჩემი და ჩემი მეგობრების მოძრაობიდან „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ", შეხედულებები თითქმის ემთხვეოდა ერთმანეთს. 1990-1991 წლებში სხვადასხვა პოლიტიკურ შეხვედრაზე წარმოუდგენლად დიდი დრო დავუთმეთ ჩვენი ხალხის საერთო სახელმწიფოში თანაარსებობის საკითხთან დაკავშირებით ოპტიმალური გადაწყვეტილების ძიებას, რაც ვერ მოიძებნა და ალბათ ვერც მოიძებნებოდა. არამარტო ჩეხები, არამედ სლოვაკების უმეტესობასაც კი ვერ ჩასწვდა ღრმად სლოვაკური საზოგადოების სწრაფვებს. თუ მათ მართლა სურდათ ჩეხებთან ერთ სახელმწიფოში ცხოვრება, რამენაირად უნდა ებრძოლათ ქვეყნის გაყოფის წინააღმდეგ, არ უნდა დაეშვათ ეს. თუმცა ისიც მართალია, რომ არსებობდა პეტიცია ერთიანი ქვეყნის შენარჩუნების მოთხოვნით, რომელსაც ათობით ათასმა სლოვაკმა მოაწერა ხელი. ამ პეტიციას არავინ აქცევდა ყურადღებას და არც არავის უნდოდა მასზე ყურადღების გამახვილება, რაც, ჩემი აზრით, ყველაფერს ნათლად გვიხსნის. არ მგონია, რომ მოლაპარაკებებში დრო ტყუილად დავხარჯეთ. პირიქით, უეჭველად საინტერესო და ჭკუის სასწავლებელი იყო. იმ საუბრების გარეშე ვერასოდეს მივხვდებოდით რა მოხდა და რატომ. „ორგანიზაციული" კუთხით მქონდა მხოლოდ ორი დიდი პრეტენზია. პირველი, რომ სახელმწიფოს გაყოფის საკითხი არ გადაწყდა რეფერენდუმის გზით. ეს ჩემი, სავსებით კანონიერი ინიციატივა, იდო პარლამენტში, მაგრამ მხარი არ დაუჭირეს. ეტყობა ყველას ეშინოდა, რომ სლოვაკები ერთიან სახელმწიფოს დაუჭერდნენ მხარს. დღეს უკვე აღარ ვარ დარწმუნებული, რომ ეს არ იყო კარგი. სლოვაკებს ერთიანი სახელწიფოსათვის რომც დაეჭირათ მხარი, ყველაფერი დაიწყებოდა თავიდან და დასასრული ალბათ, მაინც იგივე იქნებოდა. უბრალოდ, კიდევ უფრო მეტი დრო დაიკარგებოდა. დროის გადასახედიდან მაინც მეჩვენება, თითქოს სლოვაკების უმეტესობას ცნობიერად არ უნდოდა გაყოფა, მაგრამ ქვეცნობიერად მაინც იზიდავდა ეს იდეა.

უეჭველია, ქვეყანა გაყო არა სახელმწიფო ორგანოებმა, არამედ პოლიტიკურმა პარტიებმა. ყოველღამე მიკროფონთან იდგნენ სდპ-ს და სლოვაკეთის მდს[65]-ს, რაღაცით ერთმანეთის მსგავსი პარტიების წარმომადგენლები და თავიანთ ხალხს უპატაკებდნენ თუ როგორ გაიყოფოდა ქვეყანა. ამას სისტემურად შეუფერებელ ქცევად და პარტიის წამყვანი როლის შესახებ ძველი იდეის ახლებურ გადმომღერებად აღვიქვამდი. პარტიები – სახელმწიფოს სახელით ლაპარაკის უფლებას მოკლებული საზოგადოებრივი დაჯგუფებები, რაღაცაზე მოითათბირებენ, ხმამაღლა განაცხადებენ და სახელმწიფო, უკვე მიკროფონის გარეშე, გაატარებს ცხოვრებაში. თანამდებობაზე უარის გაცხადება კი, ჩემი მხრიდან, უფრო სიმბოლური მოვლენა იყო, ვიდრე საქმიანი ნაბიჯი, ჩემი მანდატი ხომ სამ თვეში ისედაც იწურებოდა. მინდოდა მეჩვენებინა, რომ ადამიანს, რომელმაც ფიცი დადო ქვეყნის კონსტიტუციაზე, არ შეუძლია ასე უბრალოდ აიღოს და ხელი აწეროს ამ ქვეყნის დამშლელ კანონებს. ეს, უბრალოდ, არ შეიძლება და თანაც ჩვენში არ იწვევს კარგ ასოციაციებს. ბუნებრივია, გვახსენდება ჩვენი მოტირალი პრეზიდენტები ან პრეზიდენტები შეპყრობილნი სურვილით, ყველას განუმარტონ თავისი კაპიტულანტური ქმედებების არსი.

განვაგრძოთ სლოვაკეთის თემა. სლოვაკები გსაყვედურობდნენ, რომ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ სლოვაკეთში არ გაემგზავრეთ პირველ რიგში, არ ადევნებდით თვალყურს სლოვაკურ პრესას და არ შეასრულეთ დანაპირები, დაგესახელებინათ მილან კნიაჟკო ვიცეპრეზიდენტად. მიგაჩნიათ თუ არა ყოველივე ეს თქვენს სერიოზულ შეცდომებად?

სლოვაკეთში ვიყავი პრეზიდენტად არჩევამდე ერთიორი დღით ადრე და გრანდიოზული მიტინგები გავმართე ქუჩებში, ვეწვიე საწარმოებს... ვფიქრობდი, არ იყო საჭირო ჩემი იქ სასწრაფო მიბრუნება. შესაძლოა, შევცდი კიდეც, ეტყობა მართლაც არ ვიყავი საკმარისად ყურადღებიანი

65 მდს – მოძრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისათვის, ჩეხურად: HZDS – Hnutí Za Demokratické Slovensko.

სლოვაკების ფაქიზი ეროვნული გრძნობების მიმართ. უფრო მნიშვნელოვნად მესახებოდა მყისვე მეუწყებინა ევროპისათვის, მეზობელი გერმანიისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის რა მოხდა ჩვენთან რეალურად და დამეწყო ჩვენი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, საერთაშორისო მდგომარეობის გამყარება. პრეზიდენტად არჩევისთანავე გავეშურე გერმანიისაკენ. სწორედ ამ ვიზიტმა წამოჭრა საკითხი იმის შესახებ, რატომ სლოვაკეთში არ გავემგზავრე პირველ რიგში. უბრალოდ, სლოვაკეთს არ აღვიქვამდი უცხოეთად, გერმანიაში ორივე ხალხის ინტერესებს ვიცავდი. რაც შეეხება პრესას. ეს ასეა, ჩეხი უფრო ჩეხურ პრესას კითხულობს, სლოვაკი კი – სლოვაკურს. არასოდეს ვიბრალებდი სლოვაკობას, ეს ხომ საზარელი მლიქვნელობა იქნებოდა. თუ რამე მნიშვნელოვანი გამოჩნდებოდა სლოვაკურ პრესაში, ცხადია, ვკითხულობდი. მილან კნიაჟკო კი ვერაფრით გახდებოდა ვიცეპრეზიდენტი, რადგან ახალი კონსტიტუციით მსგავსი თანამდებობა, უბრალოდ, აღარ არსებობდა. ამ თანამდებობის წინააღმდეგი არ ვიყავი, მეტიც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომელიც წარვუდგინე ფედერალურ საბჭოს, ეს თანამდებობა შეთავაზებული მქონდა. კნიაჟკო ჩემი მეგობარი იყო და თან მრჩეველიც; მახსოვს, ერთხელ ფართო აუდიტორიის წინაშე ხუმრობით ვიცეპრეზიდენტიც კი ვუწოდე. დროთა განმავლობაში სახალხოდ ხუმრობებს გადავეჩვიე, რადგანაც ამასთან დაკავშირებით მწარე გამოცდილება დამიგროვდა.

(ვაშინგტონი 25. 4. 2005)

წინა კვირაში კიდევ ერთ „პოლიტიკურ ვახშამზე" ვიყავი, ამჯერად მადლენთან. მშვენიერი საზოგადოება შეიკრიბა. დამსწრე გამოჩენილი მოღვაწეები (ვთქვათ ჯიმ ლერერი პბს[66]-დან

66 პბს – (PBS – Public Broadcasting Sistem) 1500 ტელეკომპანიისა და კოლეჯისგან შემდგარი ამერიკული კონსორციუმი, რომლის საქმიანობასაც წარმოადგენს დისტანციური სწავლება. მოიცავს რამდენიმე სასწავლო ტელეპროგრამას სხვადასხვა დარგში, რომლებიც ოთხი განსხვავებული არხით გადაიცემა. შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს დანესებულებათა და კერძო პირთა შემოწირულობები.

ან ნატოს ერთ დროს უმაღლესი სარდალი გენერალი რალსონი) ძალიან სიმპათიურები იყვნენ, მადლენი კი მართლაც მოხერხებულად და იუმორით უძღვებოდა საღამოს. მიუხედავად ამისა, მრავალ პოლიტიკური ხასიათის შეკითხვაზე მომიხდა ამერიკულად პასუხის გაცემა, რამაც საგრძნობლად დამქანცა. რაც უფრო მეტ დებატში ვმონაწილეობ (მათი რიცხვი საგანგაშოდ იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ უმეტესად თავს ვარიდებ), მით უფრო კარგად ვხედავ ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას ამერიკასა, შესაბამისად ვაშინგტონსა და ჩეხეთის რესპუბლიკას, შესაბამისად პრაღას შორის. აქ ხალხს პოლიტიკა უყვარს, ჩვენთან – არა; ამდენად, აქ პოლიტიკაზე სიამოვნებით საუბრობენ, ჩვენთან კი ლანძღავენ; აქ პოლიტიკოსები, მეცნიერები, ჟურნალისტები და სხვა მოღვაწეები მთელ დღეს შემართულები ატარებენ, ყველაზე ჭკვიანური აზრები კი, ალბათ, საღამოობით მოსდით თავში. ჩვენთან ასეთი ადამიანები სასოწარკვეთილები დაგროვილი საქმეების მომთავრებას ცდილობენ, გადაღლილები ან მთვრალები არიან, ან სულაც უხარიათ, რომ სახლში არიან, ტელევიზორს მისჩერებიან და დღეს უკვე აღარავის უნდა ელაპარაკონ. ალბათ არც მთლად ასეა, მაგრამ ჯერ-ჯერობით შთაბეჭდილება მრჩება, რომ პოლიტიკურ ვაშინგტონს წარმოადგენენ ბატონები, რომლებიც მთელი დღე ჰალსტუხით დაიარებიან, შუადღემდე – პოლიტიკური სამუშაო, შემდეგ – პოლიტიკური სადილი და საღამომდე ისევ პოლიტიკური სამუშაო, რათა სამსახურიდან პირდაპირ პოლიტიკურ ვახშამზე გაემართონ. მიუხედავად ყოველივე ამისა, მუდამ მხიარულად, წყნარად, ლამაზად და მომხიბლავად გამოიყურებიან. აღარაფერს ვიტყვი მათი ცოლებისა და პოლიტიკოსი ქალბატონების შესახებ. რატომ ვართ ყოველთვის ასე გაწამებულები? მუდამ გაღიზიანებულები? რატომ არის, რომ ყველაფრის გამო გულიანად ვილანძღებით იმის მაგიერ, რომ გულიანად ვმუშაობდეთ?

(13. 4. 1997)

(...)

7) შევამჩნიე, რომ ჩეხური პრესა გადავსებულია ცნობებითა და სპეკულაციით სახელმწიფო მუშაკების პროტოკოლური სუბორდინაციის შესახებ და რომ ზოგი ოპერირებს ჩემი სახელით, რომელმაც ესა თუ ის საკითხი ასე თუ ისე გადავწყვიტე. თავს უფლებას მივცემ გამოვააშკარავო ჭეშმარიტება, რათა თქვენი მოსალოდნელი

მომავალი გამოსვლებისას ეს „გამოაშკარავებული ჭეშმარიტება" კარგად გახსოვდეთ. არც ერთი კანონი არავითარი სუბორდინაციის შესახებ არ ლაპარაკობს. საქმე მხოლოდ კანონის (ჩვენს შემთხვევაში კონსტიტუციის) ინტერპრეტაციაა. მიუხედავად იმისა, რომ ქვედა პალატის, სენატისა და რპკ-ს პროტოკოლები და საკანონმდებლო კომიტეტები, რომლებიც ცდილობდნენ კონსტიტუციის ინტერპრეტაციას, ვერ შეთანხმდნენ ქვედა პალატისა და სენატის თავმჯდომარეებს შორის გარკვეულ სუბორდინაციაზე. შეთანხმდნენ, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები მთავრობის თავმჯდომარეზე მაღლა დგანან. მე ასეთი ინტერპრეტაცია მივიღე და სულ ესაა. გთხოვთ, ამაში სხვა დროს ნუღარ ჩამრევეთ. რაც შეეხება შირაკთან ერთად ვახშამს, ეს მართლაც ასეა. როდესაც წვნიანს მივირთმევდით, პან ს.-მ ახსენა, რომ პიტჰარტს კლაუსზე მაღალი თანამდებობა ექნება და ასეთივე სიმართლეა, რომ მე ამას დავეთანხმე. მაგრამ ის, რომ კლაუსსა და პიტჰარტს შორის აღმოჩნდებოდა კიდევ პანი მუხოვა, აღარ მომსვლია აზრად, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, რომლებმაც შემდეგ იმდენი მითქმა-მოთქმა გამოწვია, რომ ამ საკითხებზე მთავრობაშიც კი მსჯელობდნენ. მართალია, ვგმობ მსგავსი პრობლემებით გართული ადამიანების მეწვრილმანეობას, მაგრამ არც იმაზე მეტი პასუხისმგებლობა მინდა ვიტვირთო, ვიდრე მომეთხოვება და სამართლიანია. (...)

(20. 7. 1997)

(...)

3)(...) დ) გეკითხებით, რა აზრი აქვს დეკემბერში ინგლისში ჩემს ვიზიტს. უმჯობესი ხომ არ იქნებოდა მოგვიანებით გამგზავრება, როგორც ახლად არჩეული პრეზიდენტისა, ცხადია, თუ ამირჩიეს? 1990 წლის მიმართ, როდესაც ჩეხოსლოვაკიის ახლადარჩეული პრეზიდენტის რანგში ვეწვიე ინგლისს, მშვენიერი სიმეტრია იქნებოდა. რატომ ჩავიდე იქ გამოსამშვიდობებლად? ჯობია, თავი შევახსენო როგორც ნატოსა და ევროკავშირის მომავალი წევრი ქვეყნის წარმომადგენელმა ანუ როგორც მოქმედმა პარტნიორმა და არა როგორც კომუნიზმის დაცემის სენტიმენტალურმა სიმბოლომ და ცხადად ქცეულმა ზღაპრულმა პრინცმა (დისიდენტი პრეზიდენტად – ტრადიციული ანგლო-საქსური კლიშე). მეტიც, შობისა და ახალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჩემს აქ ყოფნას საზოგადოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებს, საშო-

ბაოდ რომელიმე საბავშვო ან შიდაპოლიტიკურ გადაცემაში ენდომებათ ჩემი ხილვა. მოისურვებენ, რომ მათთან ვიყო და არა სადღაც გადაკარგული. (...)

(2. 8. 1997)

(...)

4) ვუბრუნდები გპგ-სთან საუბრისა და მიმონერის მსვლელობაში წამოჭრილ ზოგიერთ საკითხს. ა) 21. 8. ჰრადეჩეკზე ველოდები იაპონელ მინისტრს. ბ) ლუქსემბურგის მთავრობის თავმჯდომარეს მივიღებ (დილას 26. 8.). გ) ჩარლზთან ერთად ვერნისაჟზე (მე და დაშა) და შემდეგ ვახშამი ლამაზსა და მყუდრო რესტორანში (ნებოზიზეკში?), დაშა ბოტანიკურ ბაღში გაჰყვება. დ) ფილიპინების პრეზიდენტი არ დამვიწყებია. ე) ახლო აღმოსავლეთში მგ ზავრობა ჩაიშალა. ვ) პირველ სექტემბერს, დილას, დაშასთან ერთად მივფრინავ პარიზში. ეს დღე მკაცრად პირადული იქნება (...). 2 სექტემბერს ჯილდოს გადმომცემენ და სხვა მოსალოდნელი ოფიციალური ღონისძიებებიც გაიმართება, სამში მივფრინავთ ნიუ-იორკში ამერიკის ჯილდოს მისაღებად, შემდეგ ორ-სამდღიანი დასვენება ფორმანთან ან ნიუ-იორკში, შემდეგ დაბრუნება. ორიოდე დღე სახლში და შემდეგ სტრასბურგისაკენ. (...) ზ) გერმანიის ჯილდოსთან დაკავშირებით ველოდებით მანდელას. თ) ესპანეთის ჯილდოსთვის გავაკეთებ ვიდეოკლიპს. ი) ლანგის ჯილდოც, ცხადია, უნდა მივიღო. მაგრამ შობამდე იტალიაში გამგზავრება შეუძლებლად მიმაჩნია. კ) რა ვითარებაა დიდ ბრიტანეთთან დაკავშირებით? არ შეიძლება ამ ვიზიტის გადავადება?

(17. 8. 1997)

(...)

2) ერთი ასეთი აზრი გამიჩნდა წყალდიდობებთან დაკავშირებით. არსებითად განადგურდა უხარისხოდ, მახინჯურად, ძვირად და უადგილო ადგილას აშენებული შენობები. ეს პირდაპირი მოწოდებაა, რათა ჩვენს ქვეყანას აქა-იქ მაინც მივცეთ უკეთესი სახე და შევალამაზოთ. თუმცა გვემუქრება საწინააღმდეგო, ხალხს ეჩქარება და ამიტომ წინანდელზე უარეს საძაგლობას ააშენებს. აქედან გამომდინარე, ფრიად სასარგებლოდ მიმაჩნია, ოლომოუცში ან კრომერჟიჟში მოეწყოს სამდღიანი სიმპოზიუმი, სადაც თავს მოიყრიდა ევროპის ოციოდე საუკეთესო არქიტექტორი, რომლებსაც

გააჩნიათ (სოციალური ასპექტის გათვალისწინებით) როგორც ქალაქური სტრუქტურების, ისევე დაბების მშენებლობის გამოცდილება და ათიოდე საუკეთესო ჩეხი არქიტექტორი, რომლებიც სამხარეო სამსახურების ხელმძღვანელებსა და ქალაქის მერებს ფოტოების და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებით აუხსნიდნენ როგორ შეიძლება დღეს იაფი, ხარისხიანი და ლამაზი მშენებლობების წარმოება. შესაძლოა, ჯობდეს სამშენებლო ფირმების ხელმძღვანელებიც მოვიპატიჟოთ. ბორის შიპეკი იყო აქ, ეს იდეა სიხარულით მიიღო და უცხოელების მოპატიჟების საქმეში (ალბათ პ. კოხის მეშვეობით) დახმარებაც აღგვითქვა. დარწმუნებული ვარ, სამხარეო სამსახურების ხელმძღვანელები და ქალაქის მერები სიამოვნებით დაგვეხმარებიან და მიიღებენ მონაწილეობას ამ ღონისძიებაში. საკითხავი ისღაა, ვინ ითავებს ორგანიზებას და ვინ გადაიხდის ფულს. შესაძლოა, ეუ-მ (ევროკავშირმა) დაგვაფინანსოს, არ ვიცი. ასეა თუ ისე, თითქოს უმნიშვნელო ნაბიჯია, მაგრამ თავის როლს მაინც შეასრულებს: ზოგიერთს მაინც აჩვენებს თუ რა შესაძლებლობები არსებობს და რის კეთებას აქვს დღესდღეობით აზრი. სხვაგვარად როგორ უნდა მივიდეს ინფორმაცია ხალხის ყურამდე? სიამოვნებით გავუწევდი პროტექციას ამ ჩანაფიქრს, შესაძლებლობის შემთხვევაში გახსნის ცერემონიაშიც მივიღებდი მონაწილეობას. ამდენად, გადაეცით ეს საქმე შპგ-ს, რათა კარგად გაიაზრონ პროექტის ყოველი წვრილმანი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ხალხს დაუკავშირდნენ. (...)

4) რაც შეეხება ჩემს კოშმარს ანუ დასაწერ გამოსვლას. ვგრძნობ, ფორუმ 2000-ს ნამდვილად დავწერ. იორდანიიდან საორგანიზაციო ჯგუფის დაბრუნებამდე, რომელიც ინფორმაციას ჩამომიტანს, გამოსვლის წერას აზრი არ აქვს. ს.-ს ევალება იბრძოლოს იმისათვის, რომ ეს იყოს მოკლე იმპროვიზებული გამოსვლა, სამადლობელი სიტყვა. ყველაზე რთული ალბათ აშშ-ში გამოსვლა იქნება. გთხოვთ, ყურადღებით აკოწიწოთ აზრები და მასალები. შესაძლო მონახაზი: ხელისუფლების ქედმაღლობა, (ფულბრაიტის წიგნი) ვერსუს ამერიკის პასუხისმგებლობა მსოფლიოს წინაშე. ცხადია, ევროპის საბჭოს სამიტზე გამოსვლა ჩვეულებრივი და მოკლე იქნება. 28 ოქტომბერს წარმოსათქმელი სიტყვა. გთხოვთ მომაწოდოთ შესაძლო თემები. წლევანდელი წყალდიდობა თავს გვახვევს ერთიანობის თემას და სახელმწიფოს არსს, როგორც ამ ერთიანობის მიღწევის საშუალებას. ორივე პალატის მიმართ წარმოსათქმელი სიტყვა, შემაჯამებელი და პროგრამული. პრინციპული უნდა იყოს და ჩემი ძველი

აზრები ახლებით უნდა გავამდიდრო. ამ გამოსვლის წინ ერთი-ორი თავისუფალი დღე არ მაწყენდა, დრო მჭირდება საწერად. ამის შემდეგ კი საახალწლო გამოსვლა შეიძლებოდა ყოფილიყო მოკლე და უფრო პირადული, გასულ წელს ამან გაამართლა (მიუხედავად იმისა, რომ იმავეს გამეორება არ შეიძლება). (...)

(25. 10. 1997)

(...)

4) ესპანეთის მეფე მე და დაშას უკვე მერამდენედ და თანაც ძალიან გულწრფელად გვეპატიჟება თავის აგარაკზე კანარის კუნძულებზე. (...) როგორც არ უნდა იყოს, ჩემი აზრით, სამკურნალოდ გამგზავრება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჩემ წინააღმდეგ მომართული კამპანიები თავის მწვერვალს მიაღწევენ, ძალიან სასარგებლო იქნება, განსაკუთრებით თუ არ მომაწვდით ხოლმე (...) მოკლე ინფორმაციას. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს დასაშვებად მიგაჩნიათ? იქნებ იგულისხმება, რომ თუკი მიწერია პრეზიდენტობა, მაშინ სიმწრის ფიალა ძირამდე უნდა შევსვა? და საერთოდ, მჭირდება კი ეს? სინამდვილეში ხომ მე ვემსახურები სამშობლოს და არა პირიქით, მაშ რატომ უნდა დავისაჯო ამისათვის? ამ საკითხზე ფიქრისას ვითვალისწინებ, რომ გადაწყვეტილებისთვის მაქვს არაუმეტეს ერთი კვირისა! (...)

8) გთხოვთ ვინმემ სასწრაფოდ დაწეროს მოკლე სააპელაციო წერილი ვაცლავ კლაუსის მისამართით, რომელშიც ბრძანების ტონი იგრძნობა, უკიდურეს შემთხვევაში გამოსაქვეყნებლადაც რომ გამოდგება და ისეთი, რომელიც მისგან გადაჭრით მოითხოვს, ბოლოს და ბოლოს მთავრობის ოთხშაბათის შეკრებაზე შეისწავლონ ბრატინკას მასალები ბოშების შესახებ და საერთოდ, მთლიანობაში განიხილონ არსებული სიტუაცია (სანამ კურიერის მეშვეობით გაგზავნიდეთ წერილს, სერიოზულად მოეთათბირეთ თვით ბრატინკას!) სსს-მ მთავრობის ამ შეხვედრისათვის სპეციალურად მოამზადოს ცნობა ინგლისთან დაკავშირებული ვითარების შესახებ. აწონ-დაწონეთ მთავრობის სხდომაზე ჩემი დემონსტრაციული ხანმოკლე დასწრების საკითხიც. ბრატინკას საბუთების წაკითხვა არ შემიძლია. სამსახურში მაგიდაზე მიდევს, მაგრამ დრო არ მაქვს (თითქმის მთელი წიგნია), ასე რომ გთხოვთ ვინმემ ერთგვერდიანი ამონაკრები მომიმზადოს. აგრეთვე მაინტერესებს კიდევ სხვა რომელი ინიციატივებით შემიძლია გამოვიდე. ყველა სხვადასხვას მირჩევს და რაც ყველაზე ცუდია, ისეთი შთაბეჭდილება მრჩე-

ბა, თითქოს მთავრობისა და პარლამენტისათვის ეს ყველაფერი სულერთია. რაიმე უნდა მოვიმოქმედო, ოღონდ უნდა ვიცოდე რა. მსგავსად, რაკი ბლერთან მაქვს დასარეკი, უნდა ვიცოდე რა მინდა მას ვუთხრა. ჯერჯერობით არ ვიცი. ვამჩნევ, თვითონ გაურბის საუბარს, რადგანაც საბოლოოდ, ეტყობა, მაინც აპირებს სავიზო რეჟიმის შემოღებას. (...)

(ვაშინგტონი 25. 4. 2005)

და კიდევ ერთი რამ, რაც აქ აღმაფრთოვანებს: ამ ხალხს უყვარს თავისი ქვეყანა. არა იმიტომ, რომ ყოველი მესამე სახლის წინ ეროვნული დროშა ფრიალებს, არა, ამაზე ბევრი სხვა, თვალში ნაკლებად საცემი, ფაქტიც მეტყველებს. გუშინ ვუყურე გადაცემას, სადაც ვიღაც ბორტმოქმედის და საუბრობდა. მე მგონი, სიკვდილმისჯილი პედოფილი მკვლელის და იყო. ეკითხებოდნენ თუ რას აპირებს, ხომ არ უნდა ძმის დანაშაული რაიმე გ ზით აანაზღაუროს. წყნარად, ღიმილით, თითქოს ეს თავისთავად იგულისხმება, განაცხადა, რომ სურს ემსახუროს შეერთებულ შტატებს რაიმე რთული ამოცანების შესრულების გ ზით, ვთქვათ, ომში წასვლით. ეს დამარწმუნებლად და გულის ამაჩუყებელად ჟღერდა. ჩვენში ხომ ეს წარმოუდგენელია. ხალხი, ერთი მხრივ, ამ ადამიანს, მეორე მხრივ კი ტელევიზიას დაუპირებდა ჩაქოლვას.

მორიგი დიდი პრობლემა: სახელმწიფო უშიშროება. რატომ დასჭირდა მთელი თვე მის გაუქმებას? მყისვე რატომ არ დაიკავეთ და არ გაანეიტრალეთ – როგორც შეშვენის რევოლუციურ დროებას – ეს სახიფათო ორგანიზაცია და მიეცით საშუალება გაეენადგურებინა უმნიშვნელოვანესი თანამშრომლებისა და შემტყობინებლების სიები?

იმ ორგანიზაციას მთელი რესპუბლიკის ფარგლებში გააჩნდა უამრავი ჩვენთვის ცნობილი თუ უცნობი შენობა. მიზეზი ყველაზე უფრო ალბათ იმაში უნდა ვეძებოთ, რომ არ გვყავდა ერთგული და კარგად ინფორმირებული ჯარი ან პოლიციური დანაყოფები. რაც შეეხება სიებს, მათი დაწვის უფლება არავისთვის მიგვიცია, უბრალოდ, არ ვიცოდით სად ინახებოდა ან სად ნადგურდებოდა. ეჭვი მეპარება, მართლა

რამე განსაკუთრებულად საინტერესო დაეწვათ. რამდენადაც ვიცი, სუ-ს უმნიშვნელოვანესი გარეთანამშრომლების სიები არ არსებობდა და არსად არ იყვნენ აღრიცხულნი. ამბობენ, თითქოს ძირითადად დისიდენტების შესახებ ინფორმაციის მომცველი საბუთები დაიწვა, თუმცა არ მესმის რატომ. პირიქით, მოველოდი, რომ საჭირო მომენტისთვის, გამოძალვის ან სკანდალის ატეხის მიზნით შემოინახავდნენ ამ საბუთებს. სხვათა შორის, ერთი ასეთი რამ მიტივტივდება გონებაში: ვცდილობდი – და არამარტო მე – ყველა არქივის სასწრაფო დალუქვას. მაგრამ წარმოიდგინეთ, არც ამაზე გვეყო ძალები – ისინი ხომ ერთმანეთსაც კი უმალავდნენ ყველაფერს, ხოლო დალუქვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც იცი სად და რა უნდა დალუქო. თუმცა, შესაძლოა, ყველაფერი სხვაგვარადაც იყო. იმ ჩემი მეგობრებისათვის უნდა მეკითხა, რომლებმაც ეს საქმეები ითავეს.

1990 წლის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გახმაურდა ინფორმაცია, რომ იოზეფ ბარტონჩიკი, ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატი, სუ-სთან ხანგრძლივად თანამშრომლობდა. ეს ამბავი ოფიციალურად გაახმაურა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ იან რუმლმა. ამას კანონი მაშინ უკვე კრძალავდა. ხომ არ გეფიქრებათ, რომ მაშინდელ თქვენს შეცდომებს შორის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო?

ქდუ-ჩსპ[67]-ს თავმჯდომარის და ფედერალური თავყრილობის მაშინდელი (უკვე ხელახალი!) თავმჯდომარის მოადგილის, პან ბარტონჩიკის სუ-სთან ხანგრძლივი და ანაზღაურებული თანამშრომლობის შესახებ არჩევნებამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე შევიტყვე. სასწრაფოდ გამოვიძახე და პირისპირ საუბარში შევთავაზე, ჯანმრთელობის მიზეზით ყველა ფუნქციაზე და მათ შორის კანდიდატობაზეც უარი განეცხადებინა. დამეთანხმა, არც მას უნდოდა სკანდალი. სასწრაფოდ დანვა საავადმყოფოში და დანაპირების შესრულების დასადასტურებლად დამირეკა კიდეც იქიდან. მე კი

67 ქდუ-ჩსპ – ქრისტიანულ-დემოკრატიული უნია – ჩეხოსლოვაკიის სახალხო პარტია. ჩეხურად: KDU-ČSL – Křesťanská a Demokratická Unie – Československá Strana Lidová.

დაწყნარებულად გავემგზავრე მოსკოვს, მე მგონი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეხვედრა იყო, აღარ მახსოვს ზუსტად, მაგრამ ნამდვილად იქ შევიტყვე, რომ ბარტონ-ჩიკმა არც თანამდებობები დატოვა და არც თავისი კანდი-დატურა მოხსნა. რუმლი, რომელიც შემპირდა, რომ ჩემს დაბრუნებამდე არაფერს მოიმოქმედებდა, მელოდებოდა აეროპორტში და იქვე მაუწყა კრიჟანთან ერთად მიღებული გადაწყვეტილება – ბარტონჩიკის შესახებ საჯაროდ სიმარ-თლე ეთქვათ. დიდად არ მომწონებია ეს იდეა, არ მიყვარს საჯარო დასჯა, მაგრამ არც ხელის შეშლა შემეძლო მათთვის. ამ ყველაფერს თავიდან ავიცილებდით, ჩვენი დიდსულოვ-ნების იმედით ბარტონჩიკს პირობა რომ არ დაერღვია. ჩემი აზრით, აქ არავითარი კანონის დარღვევა არ იყო. მართალია, არჩევნებამდე უკვე ორი დღით ადრე აკრძალული იყო პარ-ტიებისა და კანდიდატების აგიტირება და რეკლამა, მაგრამ სიმართლის თქმა არ ყოფილა აკრძალული, ასეთ შემთხვევა-ში იმ დღეებში უნდა შეწყვეტილიყო გაზეთების გამოცემა და ტელე-რადიო მაუწყებლობა. უფრო მნიშვნელოვნად კი სხვა რამ მიმაჩნია: პატიმრობის ათასობით წელი, სიკვდილით დასჯა, ათობით ათასი გაუბედურებული ცხოვრება – აი სუ-ს შემოქმედება. მე კარგად მესმის ჰონზა რუმლისა და ირჟი კრჟიჟანის, რომელსაც მამა დაუხვრიტეს. უნდოდათ ხალხ-ისთვის ეთქვათ, თუ ვის ყოფნის პირველ თავისუფალ არჩევ-ნებში მათი კეთილგანწყობისათვის ბრძოლის თავხედობა. ერთის მხრივ, გიკვირთ, რომ რევოლუციურ პერიოდში ავტო-რიტარული მეთოდებით არ გავუსწორდით კომუნისტებს და ამავე დროს აპირებდით საზოგადოებისთვის დაგემალათ, რომ არჩეულ უნდა იქნეს გამცემი? გარდა ამისა, ვფიქრობ, რეფორმატორ კომუნისტებს ყველაფერი რომ ეთქვათ, ეს სირთულეები არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე გადაიჭრე-ბოდა. ცხადია, დუბჩეკმა ეს იცოდა, რადგანაც ბარტონჩიკის თაობაზე რამდენჯერმე გამაფრთხილა კიდეც.

(2. 3. 1998)

1) ამ შაბათ-კვირას ბოლო დროის ყველაზე საშინელი დეპრესია მქონდა. ეს ალბათ ჩვენს უკანასკნელ კრებასაც დაეტყო – ჩემს შესავალ სიტყვას. თუ ვინმეს გუნება-განწყობა გავუფუჭე, ვუბოდიშებ. მეორეს მხრივ, ვფიქრობ ხოლმე, რომ ჩემს თანამშრომლებს სრულებითაც არ აწყენდათ ხანდახან თავისი შეფის ჩაბნელებულ სულში ჩაეხედათ-მეთქი.

2) დეპრესიაში მყოფმა, ცხადია, ვერაფერი დავწერე. მხოლოდ დღეს (ორშაბათს) ნაშუადღევს, ნებისყოფის უსასრულო დაძაბვით ვძლიე თავს და დავწერე პოლონეთის გამოსვლა. გიგ ზავნით შესაფასებლად. როგორც კი გამომიჩნდება დრო და უკეთესი განწყობა, ჟენევის გამოსვლასაც გადავხედავ. დღეს აღარ მოესწრება.

3) (...) ვ) არ ვიცი როგორ, მაგრამ ვხვდები, რომ უნდა გამოიყოს დრო ცალკე გამოსვლების საწერად და ცალკე – დასვენებისათვის. უკვე წლებია, უიკენდი ჩემთვის გამოსვლების წერის ტოლფასია. ეს დამთრგუნველია. კაცს გასეირნების გეშინია და საერთოდ, სხვა ყველაფრისაც, რადგანაც გაუკეთებელი სამუშაო გაწევს და ასე „დაზაფრული" ატარებ მთელ უიკენდს, იმისთვის, რომ მერე იმედგაცრუებულმა კვირა საღამოს ან ორშაბათს დაწერო. ეს მძიმეა. გამოსვლების წერაც მუშაობაა და, ყველა სხვა საქმიანობის მსგავსად, უნდა დამიგეგმოთ ისე, რომ გამომითავისუფლდეს უიკენდები და სხვა დასვენების დღეები. ვილაცამ ესე დაწერა გაზეთში „მლადა ფრონტა დნეს[68]" იმის შესახებ, რომ ვემსგავსები ორდინალურ პოლიტიკოსს. არ ვიცი, მაგრამ თუკი ეს მართლაც ასეა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი გამოსვლები აღარ არის მთელი გულით ნაწერი და ენამახვილური. (...)

(30. 5. 1998)

(...)

10) დაჯილდოება. ამჯერადაც, ჩვეულებისამებრ, წინ ერთი შეთითხნილი სია მიდევს: ბევრი ისეთი მოხვდა სიაში, ვინც გამორჩენილებზე ნაკლებად იმსახურებს ამას. გარდაცვლილები ჭარბობენ ცოცხლებს. იგრძნობა, რომ წამოყენებულია სხვადასხვა ნაცნობების, მეგობრების და შემდგენელის პოლიტიკური მეგ ზურების კანდიდატურები... ერთი სიტყვით, სათქმელი ბევრია. მიუხედავად ამისა, ვლებულობ და ვეთანხმები ამ სიას, არაფერს მოვიმოქ-

68 მლადა ფრონტა დნეს (Mladá Fronta DNES – ახალგაზრდა ფრონტი დღეს) – ყოველდღიური ჩეხური გაზეთი.

მედებ, ეს ასე ვთქვათ „მეგობრული კომპრომისია“. მიუხედავად ამისა, არა როგორც შემოთავაზებას, არამედ როგორც საბოლოო გადაწყვეტილებას, ამ სიას ვურთავ ჯილდოს „დამსახურებისათვის“ შემდეგ დამატებით ლაურეატებს: ირჟი კუბენა, ბრნოელი პოეტი, ლიტერატურული მემკვიდრეობისა და შეუდრეკელი მოქალაქეობრივი პოზიციისათვის, ვერა ხიტილოვა შემოქმედებითი მემკვიდრეობისათვის ხელოვნებაში, ვაცლავ ბენდა და პეტრე უჰლი ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. თუ აქამდე არ მიულია, ახლა მაინც აუცილებლად უნდა დავაჯილდოოთ ოტომარ კრეიჩა, მთელი მისი შემოქმედებისათვის. სრული სერიოზულობით ვასახელებ მარტა კუბიშკოვასა და იან კუჩერას. სამსჯელოდ გთავაზობთ იოზეფ სუკს (მევიოლინე), დომინიკ ჰაშეკს (მეკარე), მძიმედ ავადმყოფ ირჟი პელიკანს და ღრმად მოხუცებულ იაროსლავ ფოგლას (ვიმედოვნებ, იოსეფ შაფარიკი, ირჟი კოლარი და ინდრიხ ხალუპეცკი უკვე არიან დაჯილდოებული, თუ არა და კარგი იქნებოდა სამივეს მიეღო ორდენი ტგმ[69]). (...)

18) უკვე რამდენიმე კვირაა, პოლიტიკოსები და ჟურნალისტები საზოგადოებას თავს აბეზრებენ საეჭვო გასართობით ანუ ვარაუდებით იმის თაობაზე, თუ ვის მივანდობ მთავრობის შედგენას, ვინ იქნება მთავრობის თავმჯდომარე, ილტვის თუ არა ამისათვის უმსხვილესი პარტია... ეს ხომ სულელური, არაკვალიფიციური, ისტერიული და ჩემთვის დამამცირებელი ქცევაა, რადგან ყოველივე ამის უკან იმალება ეჭვები, თითქოს შემიძლია არჩევნების შედეგების უგულებელყოფა. მთავრობის შედგენას კი ჩვენს აქაურ მებაღეს მივანდობ. ვთხოვდი პანებს ს.-ს, პ.-ს და ყველა სხვასაც, ამ თამაშში აღარ გაერიონ. (...)

(დაუთარიღებელი 1998)

(...)

ძალიან ვწუხვარ მომხდარის თაობაზე „ნოვამ“[70] ჩემი ამოოხვრა რომ გადასცა და რპკ ჩემს არყოფნაში ასე რომ გაზარმაცდა. ყველას დიდ ბოდიშს გიხდით ამისათვის – განსაკუთრებით კი იმათ, ვინც ჩემს არყოფნაშიც ინტენსიურად მუშაობთ და თანაც პატარა

69 ტგმ (TGM) – ჩეხოსლოვაკიის პირველი პრეზიდენტის, ტომაშ გარიგ მასარიკის (Tomáš Garrigue Masaryk) სახელობის ორდენი. წარმოადგენს ჩეხეთის რესპუბლიკის უმაღლეს ჯილდოს, რომელსაც დემოკრატიის განვითარების, ჰუმანიზმისა და ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში განსაკუთრებული დამსახურებისთვის პირადად პრეზიდენტი ანიჭებს, სამუდამოდ ან დროებით.

70 ნოვა (NOVA) – ჩეხეთის ერთ-ერთი კერძო ტელეკომპანია.

გასამრჯელოსთვის, მხოლოდ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე და ძალიან გთხოვთ, მომხდარს ნუ გააფუჭებინებთ ხასიათს. გიხსნით:

1) ეს გადაიღეს მოტყუებით, ზუსტად მაშინ, როდესაც მიკროფონები უნდა გამოერთოთ. მაშინღა შევამჩნიე, რომ დამატებით „ნოვას" ანუ იმ ტელეკომპანიის კამერა მომჩერებოდა, რომელიც არავითარ შეთანხმებებს არ იცავს, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

2) ჩემი ამოოხვრაც გამოწვეული იყო ცოტა ხნით ადრე მომხდარი მოვლენებით. რამდენიმე გამაღიზიანებელი სატელეფონო საუბარი მქონდა რპკ-სთან ჩემს პროგრამაში შეუთავსებლობების შესახებ, ცოტა არ იყოს, გავბრაზდი და ის ამოოხვრაც ჩემი ბრაზის გამოძახილი იყო.

3) მთლიანობაში ძალიან გაღიზიანებულად ვგრძნობ თავს, ხშირად ვბრაზდები ხოლმე და მერე უნებლიეთ შეიძლება ვინმეს უსამართლოდაც მოვექცე. ეს არაერთი მოვლენის თანხვედრით არის გამოწვეული, ჯანმრთელობის მდგომარეობით დაწყებული და სიგარეტის მოწევა რომ აღარ შემიძლია, იმით დამთავრებული. თქვენი შეფები უკვე გავაფრთხილე, გულთან ზედმეტად ახლოს არ მიიტანონ, როდესაც, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებული ვლაპარაკობ ან რაღაცას ვაჭარბებ.

4) ამ ჩემთვის ინკრიმინირებულ გამოთქმას მთლიანობაში არავითარი სკანდალი არ მოჰყვებოდა (მე ხომ ყოველწამს პირში გეუბნებით ხოლმე უარესს), ფართო საზოგადოებაში რომ არ გაეჟონა. ვაღიარებ, ცუდად გამოვიდა და თუ ეს საერთოდ შესაძლებელია, პან შ.-ს მივანდობდი ამის გამოსწორებას. მაგრამ შეგვიძლია თავი დავიწყნაროთ ერთი აღიარებული ფაქტით – ზეგ ყველა ზეგინდელი სენსაციებით იქნება გართული და დღევანდელი აღარავის ემახსოვრება. დაბოლოს, ერთი შექება: რპკ-ს თანამშრომლების ძალისხმევით მოიძებნა დოკუმენტი, რომლის საბოლოო დაკარგვაც მთელი ჩემი პრეზიდენტობის ხანის უდიდესი ჩავარდნა იქნებოდა.

(4. 7. 1998)

(...)

3) ბოლოს, როგორც იქნა, იმ კრიზისის შესახებ: ხანგრძლივი და ღია სატელეფონო საუბარი მქონდა ჰონზა რუმლთან, ისევე როგორც ჩსსდ-ს ერთ-ერთ წარმომადგენელთან. მგონია, რომ ნაწილობრივ ჩემი მცდელობების გამო და ნაწილობრივ საკუთრივ

საქმის ვითარების მიზეზით, ჩსდპ[71]-სა და ქდუ-ჩსპ-სგან კოალიციის ჩამოყალიბების შესაძლებლობა ჯერ საბოლოოდ არ არის დასამარებული. დიდი ოპტიმისტი არა ვარ, მაგრამ იმედი ჯერ-ჯერობით მაინც მიღვივის. რამდენად რეალურია ეს, გზადაგზა დავინახავთ. რაც არ უნდა მოხდეს, კვირის ბოლოს მთავრობის თავმჯდომარე უნდა დავასახელო. უკეთეს შემთხვევაში, თუმცაღა ნაკლებად სავარაუდოა, ეს იქნება ლუქსი, უარეს, მაგრამ უფრო მოსალოდნელ შემთხვევაში კი ზემანი, რომელიც ეყრდნობა კლაუსთან შეთანხმებებს. (...)

(12. 7 1998)

(...)

3) ბ) (...) პარასკევს, 17-ში, (...) 14 საათზე უნდა მოვიდეს ტოშოვსკი. ჩემს კაბინეტში ან სადმე სხვაგან ნახევარი საათი ვისაუბრებთ და შემდეგ – მთავრობის დემისიის სადღესასწაულო აქტი. გთხოვთ, მოამზადოთ შესაბამისი ქაღალდები. ძველ მთავრობას ვთხოვ ახლის ჩამოყალიბებამდე დროებით შეასრულოს თავისი ფუნქცია. ტოშოვსკის მთავრობას სიტყვიერად მადლობასაც ვეტყოდი. 15 საათზე ზემანი მოვიდოდა, ნახევარი საათი მასთანაც ვისაუბრებდი და შემდეგ გაიმართებოდა მისი მთავრობის თავმჯდომარედ დასახელების სადღესასწაულო ცერემონია. ისევ ზეპირი სიტყვით გამოსვლა. შესაძლო შეკითხვები. ვიმედოვნებ, საიდუმლოდ გამაცნობენ მთავრობის შემადგენლობის გეგმას. თუ არადა შევინარჩუნებ გულგრილობას და მოვაჩვენებ, თითქოს წარმოდგენაც არა მაქვს როდის დასახელდება მთავრობა. გ) რეალურად კი ვანგარიშობ, რომ დასახელებულ იქნება 22-ში, 14 საათზე. სავარაუდო გამოსვლა ისევ ზეპირად. ყველაფერი, რაც შეესაბამება სადღესასწაულო განწყობას, ფანფარები, დროშები. საღამოს ლანში ძველ მთავრობასთან გამომშვიდობება მაქვს, ღამე ვბრუნდები პრაღაში, მეორე დღეს ვწვები საავადმყოფოში და მივენდობი ღვთის ნებას. (...)

(29. 8. 1998)

(...)

2) ჩემი მდგომარეობა: ლანში გადასვლის წუთიდან ჯანმრთელობა სწრაფად მიუმჯობესდება. საავადმყოფოს გარემოს მოცილება დადებითად მოქმედებს.

71 ჩსდპ (ČSSD) – ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია. ჩეხურად: Česká Strana Sociálně Demokratická.

3) მადლობა რპკ-ს ჩემი ხანგრძლივი არყოფნისას გაწეული შრომისათვის. თითქოს ყველაფერი საჭიროებისამებრ მიდიოდა. (...)

8) (...) მინდა პირადი სახის რჩევები ვიზიტის აქცენტებთან დაკავშირებით (სად რა ვთქვა ან რისი ხსენება საერთოდ არ ღირს), ლევინსკის შესახებ მოსალოდნელ შეკითხვაზე წინასწარ მომზადებულ პასუხთან და მსგავს პრობლემებთან დაკავშირებით მესაჭიროება კონსულტაცია (სკანდალის შემდეგ ეს პირველი სახელმწიფო ვიზიტია და პირველი პრესკონფერენცია, მთავარი გმირი მონიკა იქნება) და კიდევ აშშ-სთან დაკავშირებით: ველოდები, თეთრი სახლის ბაღში წარმოსათქმელი სიტყვის დროულ და უნაკლო თარგმანს. (...) როგორც წინა ვიზიტისას დავრწმუნდი (1991), ეს იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსვლა (ჩემი პირადი ინტერესებისთვის: თუ შეიძლება გამირკვიეთ სად არის დაკრძალული მ. ლ. კინგი და თუ არის საშუალება პატივი მივაგო მის ხსოვნას. შეიძლება, რომ ლოუმ თეთრ სახლში დაუკრას? სენსაცია იქნებოდა! მე მგონი ლოუს ჰგონია, რომ დაუკრავს და ვშიშობ, ფუჭი ოცნება არ გამოდგეს). (...)

(20. 9. 1998)

1) გატყობინებთ, რომ აშშ-დან უკვე დავბრუნდი. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც შინაურ ფრონტზე იბრძოდა. მადლობა ჩვენც, ვინც გარე ფრონტზე ვიბრძოდით.

2) მე მგონი, ვიზიტმა წარმატებით ჩაიარა. სხვა რომ არაფერი, მშვენიერი მოგონებები დამრჩება. ყველაზე რთული ბოლო საღამო იყო, როდესაც უკანასკნელ წამს შევიტყვე, რომ ყველაზე პოპულარულ ტელეარხზე ინგლისურად უნდა მესაუბრა ჯაზის შესახებ. ასეც მოხდა და შემდეგ თეთრ სახლში ყველამ მაგრძნობინა, რომ ჩემი ესმოდათ. (...)

(დაუთარიღებელი 1998)

(...) სულამომხდარი ვბრუნდები აშშ-დან. დაძინებამდე რამდენიმე კაცი ასწრებს მახაროს, რომ სხვადასხვა ტელეარხით მილიარდობით ადამიანი მადევნებდა თვალ-ყურს და რომ თითქოს „ზღაპრული" ვიყავი. მადლობას ვუხდი, მივდივარ დასაძინებლად და ამ დროს პანი ჰავრანკოვა მეკითხება როდის მირჩევნია, რომ ჩვენთან სახლში არ მოდიოდეს წყალი. ვპასუხობ, რომ ჯერჯერობით არ

მაქვს ამაზე ნათელი წარმოდგენა, ვფიქრობ, მერე ვურეკავ ჩემი გადაწყვეტილების შესატყობინებლად და ირკვევა, რომ ტელეფონი არ მუშაობს. მოდის პან სიმენსი, ათვალიერებს ტელეფონს და ასკვნის, რომ ტელეფონი მწყობრშია. ხელმეორედ ვცდილობ დარეკვას და რას ვხედავ – ტელეფონი ისევ არ მუშაობს. (...)

დღემდე გსაყვედურობენ, რომ თქვენი პირველი ვიზიტი უცხოეთში, 1990 წლის 2 იანვარს, შედგა მაინცდამაინც გერმანიაში ანუ ორივე გერმანიაში, რაც მიღებულ იქნა, როგორც წარმოუდგენელი და გადამეტებული კეთილგანწყობის ჟესტი ბოლოსწინა ოკუპანტის მიმართ. რატომ არ ეწვიეთ, ვთქვათ, შეერთებულ შტატებს, რაც მომხდარი ცვლილებების შესახებ ყველასათვის გასაგები გზავნილი იქნებოდა?

აშშ-ში ვიზიტი, ცხადია, 3 დღეში ვერ მომზადდებოდა. ექვსი კვირა სჭირდებოდა. მეტიც, ეს საკმაოდ უხერხული იქნებოდა. წინა პრეზიდენტები, პირველ რიგში, მოსკოვის წინაშე წარდგებოდნენ ხოლმე, მე კი ჩემი განსხვავებულობის საჩვენებლად ვაშინგტონს უნდა ვწვეოდი? გრძნობთ ალბათ, ცოტა არ იყოს, სასაცილო ვიქნებოდი. თუმცა სხვა მიზეზების გამოც, პირველი ვიზიტით მინდოდა მეზობელ ქვეყანას ვწვეოდი. პოლონეთში იარუზელსკი იყო. ამით დაწყება, გასაგებია, არ მინდოდა, უნგრეთშიც კომუნისტი პრეზიდენტი ასრულებდა თავის უკანასკნელ ვადას, ავსტრიაში – ვალდჰეიმი, ამდენად, გერმანია რომც არ ყოფილიყო ყველაზე დიდი და ვრცელსაზღვრიანი მეზობელი, სხვა წასასვლელი მაინც არ მექნებოდა. არ ვწვევივარ არც ბოლოსწინა და არც ბოლო ოკუპანტს ანუ გდრ-ს, არამედ დემოკრატიულ დასავლეთ გერმანიას, გათავისუფლებულ აღმოსავლეთ გერმანიას, გაერთიანების პროცესში მყოფ ორ გერმანიას. ამ გაერთიანებას, რომელსაც უკვე დიდი ხანი ვუჭერდი მხარს, აღვიქვამდი როგორც სრულიად ევროპის ინტეგრაციის აუცილებელ პირობას, რომელიც რკინის ფარდის დაცემას უნდა მოჰყოლოდა. ამდენად, ეს იყო სტუმრობა

უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ მეზობელთან, რომელსაც ჰყავდა არაჩვეულებრივი პრეზიდენტი, ვიზიტი დრამატული ცვლილებების პროცესში მყოფ გერმანიაში, ჩაფიქრებული როგორც მხარდაჭერა იქაური მრგვალი მაგიდებისა და სიმბოლურად – მოგზაურობა გაერთიანების გზაზე დამდგარ ევროპაში. ძირითადად საყვედურები კომუნისტებისაგან ისმოდა, ძალისმიერი ანტისუდეტიზმით შემაგრებული ანტიგერმანიზმი მათი პროგრამის ძირითადი ნაწილი იყო. და რაც შეეხება საზოგადოებას, ცხადია, გავლენა იქონია კომუნისტების დაუცხრომელმა მრავალწლიანმა პროპაგანდამ. მე კი, გარდა სხვა ყველაფრისა, პირველივე წამებიდან მინდოდა მცდარი შეხედულებების წინააღმდეგ მებრძოლა.

როდის მოიშორეთ უტოპიური ზმანებები „ახალი“ პოლიტიკის შესახებ? ამბობენ, გერმანიაში თქვენი ვიზიტისას კანცლერ კოლს შესთავაზეთ ყველა პოლიტიკური პარტიის გაუქმება და ერთიანი ევროპული პარტიის შექმნა. როგორ წარმოგედგინათ ეს მაშინ?

თუ „ახალი პოლიტიკის უტოპიურ ზმანებას“ უწოდებთ ასეთ სისულელეს, მაშინ, ცხადია, ეს ზმანება არასოდეს მომიშორებია, რამეთუ არც არასდროს მქონია. ღმერთო ჩემო, მე, ადამიანს, რომელიც მთელი ცხოვრება პოლიტიკური პლურალიზმისათვის ვიბრძოდი, რატომ უნდა მდომებოდა ყველა პარტიის გაუქმება?

მოგვიანებით თქვენგან წამოვიდა ვარშავის ხელშეკრულებასთან ერთად ნატოს გაუქმების ინიციატივა.

ჩვენი ოპოზიციის შიგნით, ისევე, როგორც დასავლელ მემარცხენე თუ მემარჯვენე პოლიტიკოსებსა და პოლიტოლოგებს შორის, ბევრს დავობდნენ იმის შესახებ, რომ კომუნიზმის დასასრულის, რკინის ფარდის დაცემისა და ვარშავის ხელშეკრულების დაშლის შემდეგ ნატო, ალბათ, დაკარგავს თავის ფუნქციას. ლაპარაკი იყო ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ახალ ერთიანობაზე, რომელიც შეიერთებდა მთელ ევროპას და არა მხოლოდ მის ნახევარს

და რომელსაც კომუნიზმის გაფართოებისა თუ საბჭოთა რაკეტებისაგან თავდაცვისაგან სავსებით განსხვავებული მოწოდება ექნებოდა. მაგრამ დროულად გაიმარჯვა ძალიან კეთილგონივრულმა აზრმა, რომ ტრიალ მინდორში ახლის შენებას სჯობს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ტრანსფორმირება. ნატო უკვე თხუთმეტი წელია ამ მიმართულებით მოძრაობს და მხოლოდ დღეს, ბოლო გაფართოების შემდეგ, მთელი თავისი დოქტრინის ძირფესვიანი შეცვლითა და რაც მთავარია, თავისი ქმედებებით, ახორციელებს ტრანსფორმაციის მაშინდელ გეგმებს. ამისთვის ჩვენ ბევრი ვიღვაწეთ და ამიტომაც ძალიან კარგი იყო, რომ ამ მხრივ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნატოს სამიტი – 2002 წლის – გაიმართა მაინცდამაინც პრაღაში ანუ იქ, სადაც ცოტა ხნით ადრე გაუქმდა ვარშავის ხელშეკრულება. როდესაც 1990 წლის თებერვალში აშშ-ში ვიყავი, ამ თემის ირგვლივ ბევრი ვისაუბრე პრეზიდენტ ბუშთან და სხვა პოლიტიკოსებთან, კონგრესში გამოსვლისასაც კი შევეხე. ამდენად, ადვილი დასასაბუთებელია, რომ დაახლოებით იმავეს ვლაპარაკობდი მაშინ, რასაც ახლა გეუბნებით თქვენ.

(ვაშინგტონი 26. 4. 2005)

ჩეხეთში უკვე თხუთმეტი წელია ლაპარაკობენ, რომ ნატოს გაუქმება მინდოდა. რა არის ამ ხმების მიზეზი არ ვიცი, შესაძლოა ეგრეთ წოდებული პრაღის მოწოდება (1985 წლის) ან ჩემ მიერ ხელმოწერილი რომელიმე სხვა დისიდენტური დოკუმენტი, რომელიც შეიცავდა იდეას ორი ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართული პაქტის ერთიანი და დემოკრატიული უსაფრთხოების სისტემით შეცვლის შესახებ. სხვათა შორის, ამ იდეაში სამარცხვინოს ვერაფერს ვხედავ. ამ ხმების წარმოშობაზე ბევრად უფრო საინტერესოდ მეჩვენება მათი ცხოვრებისუნარიანობის ფაქტი და მათი უფრო ფართო კონტექსტში გაა ზრება, რაც კარგად მოგვითხრობდა ჩეხეთში არსებული დღევანდელი სიტუაციის შესახებ. რევოლუციის შემდეგ, თავისუფლების დამყარებისთანავე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩამოყალიბდა ანტიკომუნისტური ისტერიის განსაკუთრებული სახეობა. თითქოს ზოგიერთებმა, რომლებიც წლების განმავლობაში ჩუმად იყვნენ, დამჯერად დადიოდნენ არჩევნებზე, ზრუნავდნენ

მხოლოდ საკუთარ თავზე და იმაზე, რომ უცაბედად რაიმე არ შემთხვეოდათ, უეცრად იგრძნეს გადაულახავი სურვილი ძალისმიერი საშუალებებით გაეწონასწორებინათ წარსულში საკუთარი დამცირებული მდგომარეობა. შესაბამისად, შეგრძნება ან სულაც ეჭვი იმისა, რომ ზნეობრივად დაეცნენ და მიზანში ამოიღეს ისინი, ვინც მათ ყველაზე ნაკლებად ადანაშაულებდა ამაში, ანუ დისიდენტები, რომლებსაც ქვეცნობიერად ღებულობდნენ ხორცშესხმულ სინდისის ქენჯნად, როგორც მტკიცებას იმისა, რომ თუ არ გსურდა შეგეძლო სრულ მორჩილებაში არ ყოფილიყავი. საინტერესო კი ისაა, რომ ეპოქაში, როდესაც დისიდენტები, როგორც შეშლილი დონ კიხოტების ჯგუფი, პირველად გამოჩნდნენ სარბიელზე, მათ მიმართ ზიზღი არ იყო ისე დიდი, როგორც მოგვიანებით, როდესაც ისინი მიიღო ისტორიამ. ეს მეტისმეტი იყო, ამას აღარ პატიობენ. და რაც უფრო აშკარა ხდებოდა, დისიდენტები არამცთუ არავის საყვედურობენ, მეტიც, არც არავის არაფერში ადანაშაულებენ, რომ აღარაფერი ვთქვათ საკუთარი თავის მაგალითად დაყენებაზე, მით უფრო იზრდებოდა (რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს) მათ მიმართ ზიზღი. ამდენად, ბევრი მათზე უფრო ბრაზობდა, ვიდრე ძველი რეჟიმის წარმომადგენლებზე. აი, სად იღებს სათავეს გაუგონარი მითი, დისიდენტების მემარცხენეობის და „ელიტარულობის" (როგორ შეიძლება, რომ ელიტარული ეწოდოს ადამიანს, რომელიც საქვაბეებსა[72] თუ ციხეებში ატარებდა ცხოვრებას და არავის არასოდეს უყურებდა ზევიდან?) შესახებ, მითი, რომ თითქოს არ სცემენ პატივს საქმეში შემოწმებულ დასავლურ ინსტიტუტებს და ა.შ. ამავე ფსიქოლოგიურ-იდეოლოგიური რანგის ჭორია, თითქოს ახალგაზრდობიდან მოყოლებული ცუდი თვალით ვუყურებ ნატოს. სხვათა შორის, ამ იდეოლოგიამ კარგად გასცა თავი ერთ ამასწინდელ სტატიაში, რომლის მიხედვითაც დისიდენტებს კომუნიზმის დამხობაში არავითარი დიდი ღვაწლი არ მიუძღვით, რადგანაც იგი დაამხეს „ჩვეულებრივმა" მოქალაქეებმა იმით, რომ ზრუნავდნენ მხოლოდ საკუთარ თავზე ანუ, რომ აქა-იქ მშენებლობიდან აგურებს შინისაკენ მიათრევდნენ. ასეთი აზრები, ცხადია, გამოხმაურებას პოულობს საზოგადოების დიდ ნაწილშიც, როგორც მისი ცხოვრებისეული არჩევნის სისწორის საუკეთესო მტკიცებულება: დღეს, როდესაც ნებადართულია, ვაქებთ კაპიტალიზმს და ვკიცხავთ ყველას,

72 სოციალიზმის ეპოქაში, არასანდო პირებს (არა მარტო დისიდენტებს) არ ეძლეოდათ მათი კვალიფიკაციის შესაბამის სამსახურში მუშაობის საშუალება. ამიტომ ხშირად შავ, არაკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებდნენ. განსაკუთრებით გავრცელებული იყო მათი მექვაბეებად მუშაობა.

ვინც მას ზე კრიტიკულად ფიქრობდა. ადრე, როდესაც ეს არ შეიძლებოდა, მორჩილად მივიჩქაროდით არჩევნებზე კომუნისტების ასარჩევად, რათა შემდეგ წყნარად გვეზრუნა საკუთარ თავზე. და ვინ იყო, სიწყნარეს რომ გვირღვევდა? მემარცხენე დისიდენტი! კარგია, რომ თავისი შეკითხვით პან ჰვიჟძალა უნებლიეთ შეეხო საკითხს, რომლის შესახებაც დიდი ხანია მინდა გამოვთქვა აზრი. ცოტა არ იყოს მაკვირვებს, რომ მაშინ, როდესაც საუბარია პაქტის გაუქმებაზე, არაფერს მეკითხება იმაზე თუ როგორ ვანგრევდით ვარშავის ხელშეკრულებას. არ იყო ეს მარტივი საქმე. ამ საკითხს ალბათ კიდევ მივუბრუნდები.

ამბობენ, თითქოს არაბებსა და ებრაელებს სთავაზობდით შუამავლობას. ირჟი სუკი წერს, რომ მაშინდელი თქვენი აზროვნება იყო არა იდეოლოგიური, არამედ უტოპიური. ბოროტი ენები კი ამტკიცებენ, რომ თქვენმა წარმოდგენამ საკუთარ თავზე არაჯანსაღ ნიშნულს მიაღწია. როგორ უყურებთ მაშინდელ მცდელობებს დღეს, თითქმის თხუთმეტწლიანი გადასახედიდან?

1990 წელს, ვითარება პალესტინისა და ისრაელის წარმომადგენლებს შორის შერიგებისა და მშვიდობის თაობაზე გულახდილი მოლაპარაკებებისკენ იხრებოდა. მე პირადად არ შემითავაზებია თავი შუამავლად, უბრალოდ, ორივე მხარესთან პირადი საუბრისას შევაჯამე არგუმენტები იმ იდეის სასარგებლოდ, რომ პრაღა სავსებით გამოდგება ამ მოლაპარაკებების ადგილად. თუ არ მღალატობს მეხსიერება, ორივე მხარე სრულად მიემხრო ამ შეთავაზებას. შემდგომ ეს მოლაპარაკებები ჩატარდა ოსლოში, ჩეხურ პოლიტიკას ნორვეგიულისაგან განსხვავებით არ სურდა ზედმეტი თავსატკივარი უცხო სამყაროს გამო. ამბობდნენ, რომ ამაში არ უნდა ჩავრეულიყავით და რომ ეს დიდ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული (სასტუმროების ხარჯები?). ვგონებ, ეს მხოლოდ სამწუხაროა. თუ მაშინ მართლაც უფრო დიდი წარმოდგენა მქონდა საკუთარ თავზე ვიდრე დღეს, ძალიანაც კარგი, შევძელი ასობით ისეთი საქმის გაკეთება, რომლებზეც დღეს გაფიქრებასაც ვერ გავბედავდი. ცხადია, ბევრი რამ არ

გამომივიდა, მაგრამ ვერ ვიხსენებ ვერც ერთ ისეთ შემთხვევას, როდესაც, როგორც ვარაუდობენ, საკუთარ თავზე უზომოდ დიდი წარმოდგენის გამო რაიმე გავაფუჭე. მიხარია იმის გაგონება, რომ ჩემი პოლიტიკა არ იყო იდეოლოგიური. არც კი ვიცი რა ვიფიქრო მისი უტოპიურობის შესახებ. თუ სამშვიდობო მოლაპარაკებებისათვის ადგილის შეთავაზება უტოპია არის, მაშინ სიამოვნებით ვაღიარებ ჩემს უტოპისტობას.

(ვაშინგტონი 26. 4. 2005)

ისევ იქ ვარ: „ჩეხუკელობა". იზრუნე მხოლოდ საკუთარ თავზე, სხვის საქმეებში ნუ ეკვეხები, მოიკუნტე და მოიკუზე. ჩვენ მაღალი მთებით ვართ გარშემორტყმული, მსოფლიო ქარტეხილები თავს გადაგვიქროლებენ და გავაგრძელებთ საკუთარ კარ-მიდამოში ქოთქოთს. რამდენი ბრძნული ნაშრომი თუ არა მთელი წიგნი, დაეთმო ამ ჩვენს შინაურ ეგოიზმს. ჩემს აწ უკვე გარდაცვლილ მეგობარს, ლიტერატურულ კრიტიკოსს იან ლოპატას, ერთხელ ნაშუადღევს, გამვლელებით გადავსებული პრაღის ერთ-ერთი მოედნის შუაგულში შეუტია მისმა დაავადებამ და ძირს გაერთხა. ამბობენ, რომ მთელი ორი საათი გავიდა, სანამ ვიღაც მიეშველა და სასწრაფო გამოიძახა. სხვის მიმართ გულგრილობას, ხშირად, როგორც ეროვნულ პროგრამას, ისე გვაწვდიან და ბევრი ამას ეთანხმება. ცხადია, არა ყველა და არა ყოველთვის. იმ უბნელეს დროებაშიც კი გამოჩნდებოდა ხოლმე გულისხმიერების სათაყვანებელი მაგალითები. მაგრამ ეს არაფერს ცვლის, „ჩეხუკელობა", როგორც პროფესორმა ვაცლავ ჩერნიმ უწოდა ამ მოვლენას, დღესაც არსებობს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების თვალშისაცემი ფენომენი და ისევ და ისევ რაიმე ახალი სახით ამოყოფს ხოლმე თავს ჩვენს პოლიტიკაში. გეუბნებით, არ არის ეს გენეტიკურად მოცემული ეროვნული ხასიათი, არამედ ისტორიულად ფორმირებული ქცევის თავისებურება. არ ვიცი ეს როდინდელი ფენომენია, ალბათ უფრო ბილაა ჰორას[73] ან მარია ტერეზას[74] დროინდელი, როდესაც

---

73 ევროპაში მიმდინარე ოცდაათწლიანი ომის (რელიგიური ხასიათის ომი კათოლიციზმის მომხრეებისა ლუთერანიზმისა და კელვინიზმის წინააღმდეგ, რომლის უკანაც ევროპაში ძალაუფლების ჩაგდების მცდელობა იდგა) ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ბილაა ჰორაზე (Bílá hora – თეთრი მთა, დღეს პრაღის ნაწილია) 1620 წლის 8 ნოემბერს, როდესაც ჩეხი რეფორმატორები დამარცხდნენ და ქვეყანა სამასი წლით მოექცა ჰაბსბურგების გავლენის ქვეშ.

74 მარია ტერეზა ჰაბსბურგი (13.05.1717 - 29.10.1780) რომის საღვთო იმპერიის იმპე-

იმპერიის ცენტრმა ნელ-ნელა პრაღიდან ვენაში გადაინაცვლა და პრაღა ევროპის მნიშვნელოვანი მეტროპოლიიდან ერთ პროვინციულ ქალაქად გადაიქცა. ალბათ, თავისი როლი შეასრულა უკვე ნახსენებმა, ჩვენი ეროვნული გამოღვიძების „პლებეურმა" ხასიათმაც. გაიხსენეთ, ჩვენი ეროვნული ბიბლიის, ბოჟენა ნემცოვას რომანის, „ბებიას„, მთავარი გმირი. მისთვის ხომ ცხოვრების უნმიშვნელოვანესი მოვლენა იყო ის ერთი წამი, როდესაც მინდორში შეხვდა იმპერატორს[75], „გარე ძალის მმართველობის" განსახიერებას, რომელმაც მას ერთი ტალერი აჩუქა! ჩვენს თანამედროვე ისტორიაში მეორდება ხოლმე სიტუაცია, როდესაც საზოგადოება აგულიანდება და მზად არის სამოქმედოდ, რასაც წინამძღოლების მოულოდნელი უკანდახევითი მანევრი მოჰყვება ხოლმე, ან მათი განზე გადგომა, კომპრომისი, ზოგჯერ სულაც კაპიტულაცია, რაიმეს დათმობა და გაწირვა. ცხადია, ეს ყველაფერი ეროვნული გადარჩენის ინტერესებიდან გამომდინარე კეთდება, ხოლო საზოგადოება ჯერ ტრავმას ღებულობს, შემდგომ სწრაფად თმობს პოზიციებს. ასე ვთქვათ, გაგებით ეკიდება თავკაცების ქმედებებს, შემდეგ კი მას ეუფლება აპათია ან სულაც, დამბლა ეცემა. საზოგადოებრივი ცხოვრება ეფლობა ტალახში, მედიას ეუფლებიან გარეწრები და თავისუფლების სულისა და ადამიანის ღირსების შენარჩუნებას ცდილობენ მხოლოდ ვიღაც დისიდენტები თუ მეამბოხეები, რომლებსაც საზოგადოების უმეტესობა უყურებს როგორ პროვოკატორებს, რომლებსაც დანარჩენებისთვის მხოლოდ ხიფათი მოაქვთ. ასე იყო მიუნხენის შემდგომ ეპოქაში, პროტექტორატისას, ორმოცდაათიან წლებსა და 1968 წლის საბჭოთა ოკუპაციის დროსაც. დასაწყისში ისმის „გვიღალატეს", „გაგვყიდეს", „ყველა ჩვენ წინააღმდეგ შეთქმულა", რასაც მოჰყვება ხოლმე დაახლოებით შემდეგი „არაფერს აქვს ფასი" და ფარდა ეშვება ეროვნული სულის ყვირილით, საუბრებით „ეროვნული ინტერესების" შესახებ და ჩუმი თანხმობით რომელიმე უმცირესობის დევნაზე. იმარჯვებს „ჩეხუკელობა", ამ სიტყვის ყველაზე უარესი გაგებით. სამწუხაროდ,

---

რატორ ფრანც I ლოტარინგელის მეუღლე, იოზეფ II ჰაბსბურგ-ლოტარინგელის დედა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ (1765) ცხოვრების ბოლომდე შეინარჩუნა მართვის სადავეები.

75 ლაპარაკია რომის საღვთო იმპერიის იმპერატორ იოზეფ II ჰაბსბურგ-ლოტარინგელზე (12.03.1741 ვენა-20.02.1780 ვენა), ჰაბსბურგ-ლოტარინგელთა დინასტიის პირველი წარმომადგენელი, რომელიც იყო მეფე გერმანიის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, უნგრეთის, ჩეხეთის, ხორვატიის, ჰოლანდიის.

მსგავსი ნიავის დაბერვის მოწმე თავად გავხდი სახელმწიფოს ორად გაყოფის შემდეგ. მეჩვენება, რომ ამ პროვინციალური ღვარძლის, სხვების მიმართ გულგრილობისა და განსხვავებული აზრის მიმართ შეურიგებლობის ამოფრქვევებს წინ უძღვის ხოლმე სახელმწიფო საზღვრების შემცირება. მიუნხენის შემდეგ წაგვართვეს სუდეტის ოლქი, სახელმწიფოს გაყოფის შემდეგ დავკარგეთ სლოვაკეთი. მსგავსი შემთხვევების შემდეგ კი ისმის ხოლმე კანონზომიერი მოწოდებები საზოგადოების შემდგომი გაერთგვაროვნებისკენ: თავიდან მოვიშოროთ ებრაელები, შემდეგ გერმანელები, შემდეგ ბურჟუაზია, შემდეგ დისიდენტები, შემდეგ სლოვაკები – და ვინ იქნება სიაში შემდგომი? ბოშები? ჰომოსექსუალისტები? იქნებ საერთოდ ყველა უცხოელი? და ვინღა იცხოვრებს აქ? წმინდა სისხლის „ჩეხუკელები" თავიანთ ეზუკებში? არაა ლაპარაკი მხოლოდ იმაზე, რომ ასეთი შეხედულებები და მით უმეტეს ასეთი პოლიტიკა ამორალურია, ეს, უბრალოდ, თვითმკვლელობის ტოლფასია! დღეს, სრულებით ახალ და უფრო დახვეწილ იდეოლოგიურ კოქტეილში, მსგავსი შეხედულებები ისევ ვლინდება, რისი უთვალსაჩინოესი გამოვლინებაცაა ანტიევროპული განწყობა. ისევ ის ძველი მიდგომაა გარესამყაროს მიმართ: რატომ ვკითხო რჩევა და დავუჯერო სხვას, რატომ გავუყო ძალაუფლება ან რატომ დავეხმარო ვიღაც უცხოს, რაში მენაღვლება მათი ტექნიკური ნორმები[76] (ამის უკან, ცხადია, იმალება „იმ სხვების" ეთიკური ნორმების მიუღებლობა)? „ჩვენ ხომ ჩვენითაც შევძლებთ ყველაფერს"– ეს ხომ „ჩეხუკელობის", კარგად ცნობილი ძველი მენტალიტეტის ახალი სახეა. მაგრამ გთხოვთ ყურადღებას: „ჩეხუკელა" ბრჭყალუკების ჩვენებასა და საბრძოლო კიჟინის დაცემას მხოლოდ მაშინ ბედავს, როდესაც არაფერი ემუქრება; ხოლო თუ ძლიერი და დაუნდობელი მტრის წინაშე აღმოჩნდა, ერთბაშად მოიკუნტება და მონურადაც კი მოიქცევა, მსგავსად უშიშროების საბჭოს ერთი წარმომადგენლისა, რომელსაც მოსკოვის პუტჩისას არ უნდოდა ელცინისათვის მხარის დაჭერა, აბა რა ვიცით, როგორ დასრულდებაო პუტჩი.

დღემდე ისევ ისე უნდობლად უყურებთ პოლიტიკური პარტიების როლს თანამედროვე დემოკრატიაში?

76 ევროკავშირში განევრიანებისათვის მზადებისას ჩეხეთს, წარმოების პრაქტიკულად ყველა დარგში მოუხდა ევროკავშირში არსებულ ნორმებსა და ტექნიკურ სტანდარტებზე გადასვლა, რაც საზოგადოების ნანილის მიერ მტკივნეულად იქნა აღქმული.

ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად ისევ ისე ვუყურებ, როგორც ყოველთვის. ერთადერთი, წლების განმავლობაში, განსაკუთრებით კი პრეზიდენტობის პერიოდში ჩემი შეხედულებები უფრო დაზუსტდა და დაიხვეწა. მიმაჩნია, რომ პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია და არაფრით მისი არსი ან უმაღლესი წერტილი. პარტია უნდა იყოს გარემო, სადაც ხალხი ახლოვდება, ხვეწს საკუთარ შეხედულებებს, ეცნობა სპეციალისტთა თვალსაზრისს, რომელიც აყალიბებს პოლიტიკოსთა პიროვნებას და შემდგომ მათ პირად პოლიტიკურ ნებას. მაგრამ არ შეიძლება, რომ თავისი მნიშვნელობით უსწრებდნენ სახელმწიფოს ისეთ ოფიციალურ ინსტიტუტებს, როგორიც არის პარლემენტი ან მთავრობა, უნდა ემსახურონ მათ და არა დაიქვემდებარონ. პარტია არ უნდა იყოს ის გარემო, სადაც ძალაუფლების დასაუფლებლად გამიზნული საძმოები იბადება, ნახევრად არალეგალური სახელმწიფო მეგასტრუქტურა. პარტია უნდა იყოს ერთგვარი დამაგვირგვინებელი მორთულობა იმ ნამცხვრისა, რომელსაც მრავალსახად სტრუქტურირებული სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს, სივრცე, რომელიც საზოგადოებიდან იწოვს საზრდოს, რათა შემდეგ მას პოლიტიკური შეჯიბრებისათვის გამოსაყენებელი სახე მისცეს. მხოლოდ მრავალფეროვნად წარმოჩენილი საზოგადოების მოთხოვნებისა და ძალების ისეთ ცოცხალ ქარბორბალას, როგორსაც წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრება, შეუძლია იყოს პოლიტიკური პარტიების შთამაგონებელი და ნოყიერი მასაზრდოებელი ნიადაგი. იქ, სადაც ჩაჩანაკდება სამოქალაქო საზოგადოება და საზოგადოებრივი ცხოვრება დაცემის გზაზეა, ადრე თუ გვიან დაჩაჩანაკდებიან პოლიტიკური პარტიებიც და გადაიქცევიან მყრალ გეტოდ ერთადერთი დანიშნულებით, გააძვრინონ თავისი წევრები რაც შეიძლება მაღლა, ძალაუფლებისაკენ. დაუშვებელია, რომ საზოგადოებრივ ინტერესებზე მნიშვნელოვანი იყოს პარტიული ინტერესები, რომლებიც პირიქით, უნდა ემსახურებოდნენ მას. ლოიალობა სახელმწიფოს, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, საზოგა-

დოებრივი ინტერესებისა თუ პიროვნების სინდისის მიმართ უფრო მნიშვმნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე ლოიალობა რომელიმე პარტიის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიები შობენ უსახურ ადამიანებს, რომლებიც ერთგვარი თავიანთი „ანტი ენით" საუბრობენ და ხალხში ზიზღს იწვევენ. პარტოკრატიას, პარტიული სამდივნოებისა და პოლიტბიუროების მთავრობებს ჩვენში დიდი ტრადიცია აქვთ მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული და დღესაც გვემუქრება ეს მოვლენა. ჩვენ ხომ ვუახლოვდებით სიტუაციას, როდესაც ხალხს შერცხვება რომელიმე პარტიისათვის ხმის მიცემა, რომ არაფერი ვთქვათ წევრობაზე, რაც პირდაპირი გზაა დემოკრატიის დაცემისაკენ. სხვათა შორის, შენიშნეთ, რაც უფრო ფანატიკური მიმდევარია ვინმე რომელიმე პარტიისა, მით უფრო ეეჭვება, რომ არ ვარ პარტიების კეთილმოსურნე ან სულაც მათ მოწინააღმდეგეობაში მადანაშაულებს. ჩემით კი სხვა არაფერი მინდა გარდა იმისა, რომ საპარლამენტო დემოკრატიის ფარგლებში პარტიების როლი იყოს შემოქმედებითი, მაგრამ მოკრძალებული ანუ შეასრულონ როლი, რომელსაც უნდა ასრულებდნენ და ამით საზოგადოების დაცინვის მაგიერ პატივისცემა დაიმსახურონ.

3.

(ვაშინგტონი 29.4.2005)

მადლენთან კიდევ ორი „პოლიტიკური ვახშამი" მქონდა, რომლებზეც მრავალი მნიშვნელოვანი პირი იმყოფებოდა. მაგალითად, ყოფილი თავდაცვის მინისტრი კოენი, პბს-ს დირექტორი პანი მიტჩელი, სენატორი მიკულსკი, დემოკრატების ლიდერი წარმომადგენლობით პალატაში პანი პელოსი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პან ბარნსი და კიდევ მრავალი სხვა. ბევრ მათგანს კარგა ხანია ვიცნობ, ზოგი კი უბრალოდ ვერ გავიხსენე, მიუხედავად იმისა, რომ ვიცნობდი. მადლენი, როგორც ყოველთვის, მშვენივრად უძღვებოდა საღამოს, უშუალობის ატმოსფერო სუფევდა, თუმცა ჩემთვის – დამქანცველი. ვერ ვიშორებდი შეგრძნებას, რომ ვსაუბრობ საკითხებზე, რომლებიც მათ ჩემზე უკეთ ესმით და თანაც ენაზე, რომელიც წესიერად არ ვიცი. ახლა როდესაც ყველაფერმა ჩაიარა, თანაც, ჩემდა სასიხარულოდ, წარმატებით, მადლობელი ვარ მადლენის. პარადოქსულია, ყოველდღე ვხვდებოდი აქაურ ყველაზე გავლენიან ადამიანებს და ამავე დროს, ყოველ მეორე დღეს სიგიჟემდე მივყავდი ამერიკული სამსახურების ბიუროკრატიას. მაგალითად, გუშინ მომიხდა ნაქირავები მანქანის დაბრუნება და მყისვე ხელახლა დაქირავება და ეს მაშინ, როდესაც ქირა ერთი თვით წინ მაქვს გადახდილი. გასაგებია, ეს კონტროლს ემსახურება, მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა წაერთმია ამ საქმეს მთელი ერთი ძვირფასი ამერიკული დღე. რთული იყო არ გავბრაზებულიყავი გამქირავებელი პუნქტის მთავარ სალაროსთან, საიდანაც ყოველ წამს ახალ-ახალი გართულებები მეყრებოდა თავს. ხანდახან ჩემი ჩეხი მცველი ამხელდა ხოლმე ჩემს ვინაობას (თუ მანამდე თვითონ ვერ მცნობდნენ), რაც ძალიან არასასიამოვნო იყო – ამ დემოკრატიულ ქვეყანაში არ უყვართ პროტექცია. სიტუაცია ყოველთვის ერთნაირია: დიდი სიხარული, რომ შემხვდნენ; დიდი გაკვირვება, რომ ზუსტად მე და ზუსტად ამა თუ იმ ადგილას აღმოვჩნდი და ისევ თავისას უბრუნდებიან სასწრაფოდ. პროცედურებს ეს

წამითაც კი არ მიმოკლებს. ასე იყო გუშინაც. ძლივს მოვასწარი გადაცმა და მადლენთან ვახშამზე გამოცხადება. მაგრამ ამით არ დამთავრებულა, დღეს დილით კიდევ ორი უსიამოვნო რამ შემემთხვა: პირველი, ის, რასაც მოველოდი – ბარნაბი ვერ მოიძებნა და ავტოსადგომზე არ შეგვიშვეს (მოგვიანებით ამ საკითხის მოგვარება მოუხდა პირადად კლუგეს ცენტრის დირექტორს), მეორე კი ის, რასაც არ ველოდი და მეტყველებს ჩემი მეხსიერების მდგომარეობაზე: ბიბლიოთეკის შესასვლელში ჩანთაში სამზარეულოს რკინის დანა მიპოვეს შემოწმებისას, რაც, ცხადია, დაუშვებელია. მე კი ამას გაკვირვებით უარვყოფდი, რადგანაც სრულებით ამომიფრინდა თავიდან, რომ ფუნთუშაზე ჯემის წასასმელად დილას მართლაც ჩავიდე დანა ჩანთაში. თუმცა ჩანთის გაჩხრეკით სასწრაფოდ აღმიდგინეს მეხსიერება. სხვა რა დამრჩენოდა, დანას სასწრაფოდ გადავუძახე გარეთ გადგმულ სანაგვეში და ვიმედოვნებდი, რომ არ დამიჭერდნენ (საბედნიეროდ, არ იყო ვერცხლის). ვფიქრობ, ძალიან სულელურად გამოვიყურებოდი. ამერიკელების, განსაკუთრებით კი ზანგების, ცუდად მესმის, რასაც მოჰყვება ხოლმე უამრავი გაუგებრობა. მაგალითად, გუშინ ჩემი ავტოგრაფი უნდოდა ერთ ახალგაზრდა ზანგს, რომელთან ერთადაც ლიფტით ვეშვებოდი და რომელიც გზად მიხსნიდა, თუ როგორ მცემს პატივს. შემდეგ მან ჩემთვის სრულებით გაუგებრად რაღაც ჩაილულლულა, რაც ყველაზე უფრო შეკითხვას წაგავდა. სიმარტივისათვის ვუპასუხე „დიახ“ და მხოლოდ მერე გავიაზრე, რომ თურმე უკითხავს: თქვენ დაწერეთ „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე[77] “? პასუხის შეცვლა, ისევე როგორც გაქცევა, აღარ გამოდიოდა, ამიტომ დარცხვენით ველოდებოდი გათავისუფლების წუთს – ლიფტის კარების გაღებას. ნამდვილი კუნდერასეული სიტუაცია.

დავუბრუნდეთ თქვენი „ფედერალური“ პრეზიდენტობის დროინდელ ზოგიერთ, შეიძლება დღესდღეობით მივიწყებულ, ამბავს. რას იტყოდით, დღევანდელი გადასახედიდან, ეგრეთ წოდებული „დეფისის ომის“ შესახებ?

სხვათა შორის, ძალიან ზუსტად მახსოვს ამ დავის წარმოშობის ისტორია. თეთრ სახლში გახლდით და იქ ხელი მოვაწერე გარკვეულ შეთანხმებას. ჩემი ხელმოწერის ქვეშ ეწერა „ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის

77 „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“ – მილან კუნდერას რომანი.

პრეზიდენტი", ოფიციალურ კონვერტზე კი ეხატა ჩეხური ლომი[78] თავზე ისეთი ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავით, კომუნისტური საკონცენტრაციო ბანაკების შესასვლელებს რომ ამშვენებდა. დოკუმენტს სირცხვილისაგან განითლებულმა მოვაწერე ხელი და მაშინვე მივიღე გადაწყვეტილება გამეკეთებინა ის, რაც დიდი ხნის წინ მქონდა ჩაფიქრებული: ქვეყნისათვის სახელის შესაცვლელად კანონპროექტი პარლამენტში წარმედგინა განსახილველად, რადგან თავის დროზე ამით არავინ დაინტერესებულა. ამასთან, მეჩვენებოდა, რომ ეს ინიციატივა პრეზიდენტისაგან უნდა წამოსულიყო. მაშინ კონსტიტუციით მონიჭებული მქონდა საკანონმდებლო ინიციატივით გამოსვლის უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ შემეძლო ფედერალური საბჭოსათვის შემეთავაზებინა კანონები და საბჭო ვალდებული იყო ისინი განეხილა. ამრიგად, აშშ-დან დაბრუნებისთანავე ფედერალურ საბჭოს შევთავაზე კანონპროექტი ქვეყნის სახელწოდებიდან სიტყვა „სოციალისტურის" ამოღების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტი მეტწილად კომუნისტური იყო, არ მინდოდა მტკივნეულად შევხებოდი იმათ, ვისთვისაც სიტყვა „სოციალიზმი" წმინდათაწმინდა იყო, ძირითად არგუმენტად მომყავდა ის გარემოება, რომ ქვეყნის ეკონომიკური ფორმაცია არ უნდა მოიხსენიებოდეს მის სახელწოდებაში. და რომ ეს სახელწოდება ისეთივე უაზრობაა, როგორიც იქნებოდა ვთქვათ: ჩეხოსლოვაკიის კაპიტალისტური რესპუბლიკა. ერთდროულად გამოვედი ინიციატივით შეგვეცვალა სახელწოდება „ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმია", რამეთუ ეს უაზრობაა, თითქოს რამდენიმე არმია გვყავდეს, სახალხო და კიდევ რომელიმე სხვა, არასახალხო. დაბოლოს, შევთავაზე ახალი სახელმწიფო სიმბოლიკა, საიდანაც, პირველ რიგში, ამოღებული იყო კომუნისტური წითელი ვარსკვლავი და უფრო უახლოვდებოდა თავის ისტორიულ ფესვებს. ამავდროულად, ღერბზე მეტად გამოიკვეთა სლოვაკეთის სიმბოლიკა და მორავიისა და სილეზიის ნიშნები. ცხადია,

78 ჩეხეთის ტრადიციულ ღერბზე გამოხატულია ლომი სამეფო გვირგვინით თავზე.

წინასწარ ვეთათბირე ჩვენს გამოჩენილ ჰერალდიკოსს პან ლოუდას, ხოლო ღერბის ესკიზი, ისევე როგორც რესპუბ-ლიკის პრეზიდენტის დროშისა, შეასრულა იოშკა სკალნიკმა. მსგავსი ცვლილებები მეზობელი ქვეყნების პარლამენტებმა დემონსტრაციულად და დაჩქარებული წესით, ერთი საათის განმავლობაში მოახდინეს. ვიმედოვნებდი, რომ ეს პროცესი ჩვენთანაც მსგავსად ჩაივლიდა. კინაღამ ასეც მოხდა, ჩემი გამოსვლა, ესკიზების ჩვენების ჩათვლით, გადაიცემოდა ტელევიზიით. გამოხმაურება დადებითი იყო, ერთმა პარლა-მენტარმა ამაზე სასწრაფო მსჯელობაც კი მოითხოვა. მაგრამ საბოლოოდ ასე არ მოხდა. ამაში ლომის წილი ისევ ზდენეკ იჩინსკის მიუძღვის, რომელმაც გაიტანა თავისი შეხედულე-ბა, რომ ეს საკითხი უნდა განიხილონ ეროვნულმა საბჭოებმა, მათმა კომიტეტებმა, მთავრობებმა, ფედერალურმა საპარ-ლამენტო კომიტეტებმა, სპეციალისტთა კომისიებმა და ა.შ. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ყველაფერს აზრი ჰქონდა სახელმწიფო სიმბოლიკის შემთხვევაში, მაგრამ არაფრით მესმოდა რა საჭირო იყო მსგავსი გადავადება ისეთი მარტივი საკითხის გადასაწყვეტად, როგორიც იყო სახელმწიფოსა და არმიის სახელწოდებაში ერთი სიტყვის გამოტოვება. ზუსტად ამით დაიწყო ყველაფერი. სლოვაკებში გაიღვიძა აზრმა, რომ რაკი იცვლება ქვეყნის სახელი, როგორც დამოუკიდებელი ერი უფრო თვალსაჩინოდ უნდა იყვნენ წარმოდგენილები სახელმწიფოს სახელწოდებაში; სიტყვა „ჩეხოსლოვაკია“ ახსენებდა მათ მასარიკის დიდი ხნის წინ დავიწყებულ იდეას ერთიანი ჩეხოსლოვაკი ერის შესახებ. გაახსენდათ, რომ უკვე პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ეგრეთ წოდე-ბულ პიტსბურგის მოლაპარაკებაში ჩვენი ორი ერის ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრების ნების შესახებ, ამ სახელმწიფოს სახელწოდებაში იყო ტირე, ორივე სიტყვა დიდი ასოთი იწყებოდა და რომ ეს მივიწყებული ტრადიცია მიუნხენის მოლაპარაკების შემდეგ რამდენიმე თვით აღდგა. ჩეხებს კი პირიქით, სხვა ყველაფრის გარდა, არ მოსწონდათ, რომ ნაცვლად ტრადიციული სახელწოდებისა „ჩეხური გვირ-გვინის ქვეყანა“, გამოგონებული სახელწოდება „ჩეხეთი“

უნდა დარქმეოდა. ერთბაშად ყველა პარლამენტარი გადაიქცა ენათმეცნიერად, ისტორიკოსად და ჰერალდიკოსად. მიმდინარეობდა უმაღლესი სახელმწიფო მოხელეების საყოველთაო და დაუსრულებელი მოლაპარაკებები. ერთ-ერთი მოლაპარაკება (როგორც აღმოჩნდა დამაგვირგვინებელი) გაიმართა ლანის სასახლეში და კონკლავის მსგავსად, ხუმრობით, სხდომათა დარბაზი გარედან ჩავაკეტინე, რათა გაღებულიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას სახელი მოეძებნებოდა. მანამდე, ცოტა ხნით ადრე ვიწექი საავადმყოფოში, სადაც თიაქრის ოპერაცია გავიკეთე, ველარ გავუძელი საპარლამენტო დებატების პირდაპირი ტელეგადაცემის ყურებას, ექიმებს არ დავუჯერე, სასწრაფოდ ჩავიცვი, გავემართე პარლამენტის სხდომაზე და დუბჩეკს შევაჩეჩე წერილი ჩემი გადადგომის შესახებ. მან გონების ხმას მოუხმო და ეს წერილი არ წაიკითხა ხმამაღლა. საბოლოოდ, საყოველთაო შვებისათვის მიიღეს სახელწოდება: „ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკა", რაც როგორც სემანტიკურად, ისე ორთოგრაფიულად არამართებული იყო. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საუბარია ორ ფედერაციულ ქვეყნაზე და არა ჩეხებისა და სლოვაკების ერთობლივ სახელმწიფოზე. მთელი ეს რამდენიმეკვირიანი, თავიდან ბოლომდე აბსურდული და უცხოეთისთვის სავსებით გაუგებარი ინცინდენტი, ნამდვილად საინტერესოა ერთი თვალსაზრისით, გვიჩვენებს რაოდენ მგრძნობიარენი იყვნენ სლოვაკები მათი ეროვნული თვითმყოფადობის საკითხებში და რაოდენ ცუდად ესმოდათ ჩეხებს ამ ეროვნული გრძნობისა (რომელიც, ერთი შეხედვით, სავსებით გარეგნულ საკითხებს ეხებოდა ხანდახან).

ეს ყველაფერი რევოლუციიდან სამი თვის შემდეგ გათამაშდა. ამჩნევდით კი მანამდე რაიმე გამაფრთხილებელ ნიშნებს იმის შესახებ, რომ ჩვენს ხალხებს შორის რაღაც არ არის წესრიგში?

მართალი გითხრათ, ამაზე უკვე ახალგაზრდობაში ვფიქრობდი, გარკვეულად გამძაფრებული მქონდა თანა-

გრძნობა მათ მიმართ, ვინც სხვის ჩრდილშია, უმცირესობაში იმყოფება ან გარიყულია. ჩემი ამ თავისებურების და მისი წარმოშობის შესახებ უკვე იყო საუბარი წიგნში „დაკითხვა შორიდან". ვგრძნობდი, რომ სლოვაკეთი ოდნავ განსხვავებული ქვეყანაა და რომ მათ სწყინთ, როდესაც ჩეხები უყურებენ მხოლოდ როგორც საკუთარი თავის ჩამორჩენილ სახეობას. მაგალითისათვის გავიხსენოთ, რომ უკვე სამოციანი წლების შუაში, როგორც მწერალთა კავშირის მეამბოხის სახელის მქონე ახლად მიღებული წევრი, გამოვედი ამ ორგანიზაციის ფედერალიზაციის წინადადებით. ვამბობთ რა, რომ ენა და ლიტერატურა ერის მთავარი ატრიბუტებია, თუ არა მწერალთა კავშირს, მაშ სხვა რომელ დაწესებულებას უნდა ჰქონოდა ფედერალური მოწყობა? ისიც ისევე, როგორც ყველა სხვა იმდროინდელი დაწესებულება, მოწყობილი იყო ეგრეთ წოდებული ასიმეტრიული მოდელის მიხედვით. ცხადია, კავშირის ყველა წევრმა დამცინა, სხვათა შორის, იმ სლოვაკების ჩათვლით, მოგვიანებით (მაშინ, როდესაც აღარაფერი ემუქრებოდათ) სლოვაკეთის დამოუკიდებლობისთვის თავგამოდებით რომ იბრძოდნენ. გასაგებია, 1968 წელს, რეჟიმის პირველი მნიშვნელოვანი ლიბერალიზაციის პერიოდში, ფედერალიზაციის საკითხის ირგვლივ უამრავს მსჯელობდნენ, ოღონდ შემდეგ მოვიდნენ უცხოეთის ჯარები და ის, რაც მოჰყვა ამ საუბრებს, იყო ფედერალიზებული ტოტალიტარიზმი. ჩვენი რევულუციის მსვლელობაში კარგად მესმოდა, რომ ცვლილებები ამ საკითხსაც აუცილებლად უნდა შეხებოდა, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა თუ რა გველოდა კონკრეტულად. ეს განსაკუთრებით კარგად გავაცნობიერე, როდესაც მოძრაობის „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ" ხელმძღვანელები სახალხო ფორუმთან მოსალაპარაკებლად გვეწვივნენ. ჩვენ ყველანი დიდი ხნის მეგობრები ვიყავით და მეგონა, რომ ეს იქნებოდა ჩვეულებრივი მორიგი საუბარი ყველასი ყველასთან. თუმცა, შეხვედრის დაწყებისთანავე გამიჩნდა შეგრძნება, რომ ეს არის ორი დელეგაციის ბილატერალური მოლაპარაკებები, რომ თითქოს ჩვენმა მხიარულმა ძველმა მეგობრებმა ჩამოი-

ფარეს ნიღბები სერიოზული გამომეტყველებით და წინასწარ დათქვეს თუ ვინ ვის შემდეგ გამოვა სიტყვით. რეალურად მაშინ ჩვენ შორის არანაირი უთანხმოება და კამათი არ წარმოქმნილა, მაგრამ მე გავოგნდი. საუბედუროდ, ჩეხები მაშინ ასეთ „წვრილმანებს" არ აქცევდნენ ყურადღებას, თუმცა შეეძლოთ თავი აერიდებინათ არაერთი იმედგაცრუებისა და ტრავმისათვის.

სახელმწიფოს გაყოფა გარკვეულ ტრავმას ნიშნავდა?

ვფიქრობ კი, განსაკუთრებით – ჩეხებისთვის. რამეთუ მათში ფესვგადგმული იყო შეხედულება, რომ ჩვენ ორი ტოტი ვართ ერთი ხისა, რომ ჩვენი ერთობა ბუნებრივი რამაა და თუ სლოვაკეთში ვინმე სხვაგვარად ფიქრობს, გიჟია ან ფაშისტი. ზოგი საეჭვო სლოვაკი ნაციონალისტი კი კიდევ ერთხელ უდასტურებდა ჩეხებს ამ შეხედულებების მართებულებას. ალბათ, დიდი იყო ჩეხებს შორის ქედმაღლობა, ბრატისლავას დაუფიქრებლად პრაღის პატარა „ფილიალად" ვთვლიდით. არ მიყვარს ხოლმე ჩვენი გაყოფის მომდევნო პერიოდის გახსენება. რამხელა ღვარძლმა აავსო მაშინ ჩვენი პრესა! „მოგვშორდნენ!" იყო დღის მთავარი მოწოდება. „აღარ ვარჩენთ", „არ შევანელებინებთ ჩვენს წინსვლას", „ვიყავით მანამდე და ვიქნებით მათ შემდეგაც", „დაე მოგვწყდეს ტვირთი" და ა.შ, ასეთი იყო განწყობა საზოგადოებისა და პრესის. უმადურ სლოვაკებზე უფრო თავს ესხმოდნენ იმათ, რომლებიც სახელმწიფოს ერთობის შენარჩუნებას ცდილობდნენ და წააგეს ბრძოლა. ესენი იყვნენ „მემარცხენე ფანატიკოსი ინტელექტუალები". წილად მხვდა პატივი და მეც ამ კატეგორიას მიმაკუთვნეს. ძალიან წააგავდა ეს მასარიკის, ბენეშისა და ჩაპეკის დევნას მიუნხენის შემდეგ. მაგრამ მთავარი და უმნიშვნელოვანესი შემდეგი რამ არის: მაშინდელი ტრავმები ძალიან სწრაფად მოშუშდა და შესაძლოა, რომ დღეს ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობა ბევრად უკეთესია, ვიდრე ოდესმე.

(ვაშინგტონი 4. 5. 2005)

ანერვიულებული ვარ, რადგანაც უკვე რამდენიმე დღეა ერთი სიტყვაც კი არ დამიწერია. მაგრამ საქმეებით დატვირთული დღის განრიგი გვქონდა. მაგალითად, ვიყავით ერთ სამომხმარებლო სამოთხეში საკმარის მანძილზე ვაშინგტონიდან, ხუთჯერ უფრო დაბალი ფასებით, ვიდრე ქალაქში. პალოუშოვები მთელი გულით ზრუნავდნენ ჩვენზე, საყიდლებზეც ვიყავით. შემდეგ ვიდეოზე ჩავწერე მისალმებები რამდენიმე მნიშვნელოვანი კონფერენციისთვის, რომლებსაც, მიუხედავად მიპატიჟებისა, ვერ დავესწრები. შემდეგ პრესას გადავხედე. მოვინახულეთ ეროვნული გალერეა. ჩემი გამგზავრების წინა გამოსვლისთვის დავწერე სიტყვა. მინდა მხარი დავუჭირო ჩინელ დისიდენტებს, კუბელებს, ტიბეტელებს, ბელორუსებსა და სხვა კიდევ მრავალს, რომლებიც ებრძვიან დიქტატურას, მეპატიჟებიან თავისთან, მე კი არ მაქვს საამისო დრო. ამდენად, ჩვენ ყველა ისინი აქ მოვიპატიჟეთ, ისევე როგორც ზოგიერთი კონგრესმენი. გუშინწინ კი დიდი შეხვედრა მქონდა ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში. შეკითხვებს მადლენი და სტუდენტები მისვამდნენ, ასობით სტუდენტი იყო ჩაჭეჭყილი იმ დარბაზში. მე კი ისევ ამერიკულად ვლაპარაკობდი! ამბობენ კარგი იყოო, მე კიდევ ამ ყველაფრის შემდეგ მძიმე ნაბახუსევის შეგრძნება და უიმედობა დამეუფლა. ბოლოს დამჭირდა ბევრის და სწრაფად დალევა, რისგანაც მეორე დღეს ცუდად ვგრძნობდი თავს. ერთმა ტელეკომპანიამ მთელი ეს დებატები გადაიღო და შემდეგ რამდენიმეჯერ გადასცა ეთერში. შოკი მივიღე, ეს რომ შევიტყვე. ამის შესახებ პრალაშიც მოუკრავთ ყური. ამას იქიდან ვასკვნი, რომ სახალხო გაზეთში ჩემი მისამართით ირონიული პასკვილი დაიწერა.

ახსენეთ, რომ ჯერ კიდევ მაშინ, თვითონ დაწერეთ ახალი ფედერალური კონსტიტუციის პროექტი. ვფიქრობ, ეს ფაქტი უკვე დავიწყებას მიეცა.

ალბათ ასეა. რევოლუციის შემდეგ სასწრაფოდ მოვახერხე ის, რომ პირველი თავისუფალი არჩევნების შემდეგ, მთელ სახელმწიფო სტრუქტურებში გამოვაცხადეთ ორწლიანი გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა გარკვეულიყო ჩეხოსლოვაკიის სახე, შექმნილიყო ახალი კონსტიტუცია და ჩამოყალიბებულიყო პოლიტიკური პარ-

ტიები. შემდეგ კი, ასე თუ ისე, ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პარტიებს აირჩევდნენ არჩევით ორგანოებში, რომელთა საბოლოო სახე კი განისაზღვრებოდა ახალი ფედერალური კონსტიტუციის, შესაბამისად, რესპუბლიკური კონსტიტუციების მიხედვით, რომლებთანაც ფედერალური კონსტიტუცია შეთანხმებული იქნებოდა. ვგრძნობდი, რომ ადრე თუ გვიან დაინიშნებოდა ვადამდელი არჩევნები, რადგანაც ქვეყანა ვერ გაძლებს ოთხი წელი მსგავს არეულობაში, როდესაც გვერდიგვერდ თანაარსებობდნენ სახალხო მოძრაობა სამოქალაქო ფორუმი, კომუნიზმს გადარჩენილი არაკომუნისტური პარტიები, არარეფორმირებული კომუნისტები და ათობით დიდი თუ, ჯერ კიდევ წარმოქმნის პროცესში მყოფი, პატარა პარტია, სიტუაციაში, როდესაც კონსტიტუციაში ათობით საჩქაროდ მიღებული დამატება და ცვლილებაა შეტანილი და როდესაც მიმდინარეობს დაუსრულებელი კამათი თვით ფედერაციული სახელმწიფოს ხასიათზე. გასაგებია, პრეზიდენტის მანდატიც ორი წლით შემოიფარგლა. ასე ხდება ყველა იმ ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიზაციის გზას ადგება, ამის უკანასკნელი მაგალითია ერაყი. ნორმალურ პარლამენტს წინ უძღვის კონსტიტუციის შემქმნელი პარლამენტი. ასე იყო როგორც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის შექმნისას, ისე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამდენად, იმ დროის მთავარ ამოცანას შეადგენდა ახალი დემოკრატიული კონსტიტუციის შექმნა.

საინტერესოა, როგორ შეეჭიდეთ ამ საქმეს.

დღემდე გაუგებარი რჩება ჩემთვის თუ რატომ არ მოეკიდნენ ამ საქმეს სპეციალისტები და პოლიტიკოსები უშუალოდ რევოლუციის შემდეგ. მინიმუმ ნახევარი წელი დასჭირდებოდა პირველი ვარიანტის შედგენას და კიდევ ერთი წელი წყნარ ვითარებაში მის განხილვას. ამის მაგიერ, გაუთავებლად მსჯელობდნენ ფედერაციის ორ მხარეს შორის ურთიერთობებზე და ცხადია, ყველა ფიქრობდა, რომ რაკი ეს ურთიერთობები პოლიტიკურად ჯერ არ იყო შეთანხმებული, კონსტიტუციასთან ჯახირიც აზრს მოკლე-

ბული ჩანდა. ერთადერთი, მიიღეს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაცია, რაც თავისთავად ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ჩემი აზრით, ეს დოკუმენტი კონსტიტუციის პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო მაშინ, როდესაც ჩვენს ორივე რესპუბლიკაში დღემდე ცალკე კონსტიტუციური კანონის სახეს ატარებს. ამდენად, როდესაც ვნახე, რომ ამ საქმისათვის ვერავინ მოიცალა, გადავწყვიტე ჩემით მომეგვარებინა. სხვათა შორის, ეს კარგად მეტყველებს ჩემს ხასიათზე და იმაზე, თუ რატომ ფიქრობს ზოგიერთი, რომ ვიბრძვი ძალაუფლებისათვის, დიდი შეხედულებისა ვარ საკუთარ თავზე და ვცდილობ სულ წინა პლანზე ყოფნას: უბრალოდ, წესრიგის მოყვარული ადამიანი ვარ, რომელიც ხშირად საქმის კეთებას იწყებს მხოლოდ იმიტომ, რომ იცის თუ რაოდენ საჭიროა ეს და წყნარად ვერ უყურებს სხვების გულგრილობას. ამ მიზეზით ცხოვრებაში არაერთი საქმე წამომიწყია, განსაკუთრებით პრეზიდენტობის პირველ წლებში. დღესდღეობით უფრო გონებადამჯდარი ვარ და ზოგიერთ საქმეს თვითდინებას მივანდობ ხოლომე, მაშინაც კი, როდესაც, ჩემი აზრით, ეს არის გზა დაღუპვისაკენ, რადგანაც ვიცი, რომ ყველაფერს ვერ მოვერევი. დასახმარებლად დავუძახე ოპოზიციონერობის დროინდელ მეგობარს, პაველ რიხეტსკის. დაახლოებით ორი-სამი უიკენდი გვეყო დასაწერად. შემდეგ საათზე უფრო ხანგრძლივი პრესკონფერენცია ჩავატარე, რომელიც ტელევიზიითაც გადაიცა და სადაც მთელი კონსტიტუცია დაწვრილებით განვმარტე. ცხადია, შემდეგ ეს დოკუმენტი გადავეცი ფედერალურ საბჭოს, რომელმაც მის განსახილველად ვერ მოიცალა. მას შემდეგ აღარც მსმენია იმ კონსტიტუციის შესახებ. ვფიქრობ, ზდენეკ იჩინსკის ძლიერი გავლენის ქვეშ მყოფმა დუბჩეკმა ეს კონსტიტუცია რომელიმე საპარლამენტო კომისიაში ჩუმი სიკვდილისათვის გაწირა. ცხადია, არ მგონია, რომ ჩემს კონსტიტუციას მარტოდმარტო შეეძლო დაშლისაგან გადაერჩინა სახელმწიფო. მაგრამ ისიც ცხადია, რომ გარკვეული კონკრეტული ტექსტის არსებობის პირობებში, სახელმწიფო სამართლის საკითხებში საუბარს უფრო კონკრეტული სახე

ექნებოდა. დღეს ამაზე ვლაპარაკობ მხოლოდ წესისა და რიგისათვის და თან რევოლუციის შემდგომი გადარეული დროების საილუსტრაციოდ, როდესაც ქვეყანამ არ იცოდა თავისი სახელწოდება და არ ადარდებდა, რომ კონსტიტუცია შეკოწიწებულია იმდენი დამატებებისა და დამატებების დამატებებისაგან, რომ პაველ რიხეტსკის გარდა ვერავინ ვერ გაერკვა მასში. რიხეტსკის ჰქონდა კონსტიტუციის სპეციალურად ამობეჭდილი ნიმუში, რომლიდანაც საჭიროების მიხედვით ამოჭრიდა ან ჩააწებებდა ხოლმე ცვლილებებს. ეს ყველაფერი გავიხსენე კიდევ იმიტომ, რომ კონკრეტულ მაგალითზე მეჩვენებია ეს ჩემი წყეული მოთხოვნილება, ჩავერიო ყველა იმ საქმეში, რომელიც საჭიროებს ასეთ ჩარევას.

როგორ იყო კონსტიტუციის თქვენ მიერ შემოთავაზებულ ვარიანტში გადაწყვეტილი ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკების, როგორც ფედერაციის ორი წევრის საკითხი?

მახსენდება ერთი პრინციპი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნდა მაშინ. კომუნისტების დროინდელმა ერთა და სახალხო პალატების სისტემამ არ გაამართლა. პრაღაში წარგზავნილ სლოვაკებს, მიუხედავად მათი ფუნქციებისა (ფედერალური, სამთავრობო, საპარლამენტო თუ სხვა), სლოვაკეთში სერიოზულად არ ღებულობდნენ. თავიანთ პირდაპირ წარმომადგენლებად თვლიდნენ იმათ, ვინც შინ, ანუ ბრატისლავაში იჯდა. ის, რაც ამართლებს შეერთებულ შტატებში (შტატების ერთმანეთთან თანასწორობა გამოიხატება ვაშინგტონში წარგზავნილი სენატორების თანაბარი რიცხვით), ჩვენთან არ მუშაობდა. ბრატისლავაში მყოფი სლოვაკების სიტყვას ყოველთვის მეტი წონა გააჩნდა, ვიდრე პრაღაში წარგზავნილების აზრს. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობის მოლაპარაკებები სახელმწიფოს მოწყობის შესახებ მიმდინარეობდა არა ფედერალური ორგანოების დონეზე, არამედ ორი რესპუბლიკის პარლამენტების

ხელმძღვანელებს, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეროვნულ საბჭოებს შორის. მხოლოდ ამ ეროვნულ წარმომადგენლობებს ენიჭებოდათ მსგავს საკითხებზე მსჯელობის კომპეტენცია. ამიტომ, კონსტიტუციის ჩემ მიერ შეთავაზებულ ვარიანტში ლაპარაკი მქონდა არაპირდაპირ არჩევნებზე (ეს სისტემა ოდნავ სახეშეცვლილად გვხვდება გერმანიისა და ავსტრიის კონსტიტუციებში: ფედერალური პარლამენტის მეორე პალატაში არჩევა, სადაც ფედერაციის სუბიექტის თანასწორობოს პრინციპი უნდა მოქმედებდეს, უნდა მომხდარიყო არა პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი გზით ანუ ავტომატურად შემდგარიყო ეროვნული პარლამენტების თავმჯდომარეობებისაგან). შედეგად რესპუბლიკების წარმომადგენლები ფედერალურ დონეზე აღარ იქნებოდნენ ნაკლები სერიოზულობით აღქმულები შინ, რადგანაც ეს, პრინციპში, იგივე ხალხი იქნებოდა. ფედერაციის საბჭო, ასე უნდა წოდებულიყო მეორე პალატა, უფლებამოსილი იქნებოდა ფედერალური პარლამენტის პირველი პალატის ნებისმიერი გადაწყვეტილება მოეწონებინა, გადასახედად დაებრუნებინა ან სულაც ვეტო დაედო. ეროვნული პარლამენტების მიერ ფედერალური ნორმების განხილვის გაჭიანურებული და არაქმედითი პროცედურა შეიცვლებოდა იმით, რომ რესპუბლიკური პარლამენტები (წარმოდგენილები თავისი თავმჯდომარეებით) პირდაპირ მოახდენდნენ გავლენას ფედერალური გადაწყვეტილებების მიღებაზე. ეს გააძლიერებდა ფედერაციის სუბიექტებს და მნიშვნელოვნად გაამარტივებდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. კონსტიტუციის ეს ჩემეული მონახაზი წმინდა ფანტაზია იყო, მაგრამ გამომდინარეობდა კონკრეტული გამოცდილებიდან. ახლა ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ მოგვიანებით კიდევ ორჯერ ვცადე, სხვა საქმეებთან დაკავშირებით, მსგავსი პრინციპების შეთავაზება.

გახსენდებათ თუ არა სახელმწიფოს გაყოფასთან დაკავშირებული სხვა სიტუაცია? და რა როლს ასრულებდით თქვენ ამ ყველაფერში?

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მოხდა ის, რასაც მოველოდი და რის გამოც ასე ველტვოდი მოკლე გარდამავალ საარჩევნო პერიოდს. დაიწყო პირველ თავისუფალ არჩევნებში დიდი უპირატესობით გამარჯვებული სამოქალაქო მოძრაობების ანუ „სამოქალაქო ფორუმისა" და „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ" დაშლის პროცესი. ეს გარდაუვალი, მეტიც, აუცილებელი მოვლენა იყო და მიუხედავად ამისა, წარმოუდგენლად უმართებულოდ წარიმართა. მოძრაობამ „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ" საოცარი მოუქნელობა გამოამჟღავნა, როდესაც პირველი არჩევნების შემდეგ სლოვაკეთის მთავრობის თავმჯდომარედ დაასახელა ვლადიმერ მეჩიარი. მათი მეჩიართან ურთიერთობა უკვე იმ დროს იყო საკმაოდ დაძაბული, მაგრამ მოძრაობის მოთავე სლოვაკი ინტელექტუალებიდან არავინ არ მოინდომა ამ ფუნქციის მიღება მაშინ, როდესაც მეჩიარი ძალას არ იშურებდა ამისათვის. ამდენად, გახდა კიდეც მთავრობის თავმჯდომარე. მოგვიანებით, რამდენიმე კრიზისის შემდეგ, მოძრაობიდან გამოვიდა და მისი ერთგული და ძალაუფლებაზე მეოცნებე ხალხისაგან ჩამოაყალიბა ახალი პარტია მდს, რომელმაც 1992 წლის არჩევნებზე გაიმარჯვა კიდეც. ვფიქრობ, ამით ფედერაციის ბედს წერტილი დაესვა. მართალია, მეჩიარს არასოდეს უთქვამს, რომ სლოვაკეთის დამოუკიდებლობა სურდა, თუმცა ყველაფერს აკეთებდა საამისოდ. მაგალითად, სულ ახალ-ახალ მოთხოვნებს აყენებდა ფედერაციისაგან ეროვნული სტრუქტურებისათვის კომპეტენციების გადაცემასთან დაკავშირებით. მოთხოვნებს, რომლებიც, შესრულების შემთხვევაში, ჩვენს საერთო ქვეყანას ერთიანად დააბეჩავებდა. ყოველივე ამის გამოაშკარავებასა და მეჩიარის პოზიციის გამყარებასთან ერთად, სიტუაციის გამოუვალობას ჩეხი პოლიტიკოსებიც აცნობიერებდნენ, ბევრი მათგანი ერთადერთ გამოსავალს ქვეყნის გაყოფაში ხედავდა და ჩუმად თუ ხმამაღლა ამაზე საუბრობდა კიდეც. მსგავსი რამ მოხდა ჩეხეთშიც, თუმცა განსხვავებული სცენარით: „სამოქალაქო ფორუმის" კრებას უნდა აერჩია თავმჯდომარე. ვაცლავ კლაუსმა, განსა-

კუთრებულად შრომისუნარიანმა და პატივმოყვარე ადამიანმა, დიდი და ამავე დროს არც თუ ისე თვალში საცემი ძალისხმევა გამოავლინა ამ თანამდებობის დასაკავებლად. შემოიარა რეგიონული სახალხო ფორუმები და ყველგან საკუთარ თავს წარმოადგენდა, როგორც ერთადერთ ადამიანს, რომელმაც იცის რა უნდა გაკეთდეს და როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყანა. სერიოზულად, მაგრამ ოფიციალური განცხადებების გარეშე მუშაობდა თავის კანდიდატურაზე, ყველგან აყალიბებდა მხარდამჭერთა ჯგუფებს, აძლევდა მათ დაპირებებს და ყოველ მხრივ ემლიქვნელებოდა მაშინ, როდესაც მოძრაობის დანარჩენი მოთავეები, ძირითადად, ისხდნენ პრაღაში და კამათობდნენ ქვეყნის სახელმწიფო წყობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა კანონსა და რეფორმაზე, ეძლეოდნენ ღრმა პოლიტოლოგიურ მსჯელობს და ასრულებდნენ პირველ არჩევნებში მოპოვებულ პოლიტიკურ ფუნქციებს. თვით ფორუმის პრობლემებსა და იმაზე, თუ ვინ ჩაუდგებოდა მას სათავეში, დიდად არავინ ზრუნავდა. შემდეგ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით მოვიდა ცნობა, რომ სახალხო ფორუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვაცლავ კლაუსი. ამას არავინ ელოდა და საყოველთაო შოკი გამოიწვია. ამავდროულად პარადოქსიც იყო: ვაცლავ კლაუსი თავისი პოლიტიკური კარიერის ამ ინტერმეცოს იშვიათად ეხება, რადგანაც სახალხო ფორუმს ყოველთვის უყურებდა და დღესაც ასე უყურებს, როგორც ელიტარული მემარცხენეების ან დისიდენტების, ანუ საზოგადოების იმ ფენის გამოგონებასა და შემოქმედების ნაყოფს, რომელიც გულწრფელად არ უყვარს და რომელსაც არასოდეს ეკუთვნოდა თვითონ. თავმჯდომარეობა მხოლოდ შესავალი იყო მისი ჩანაფიქრის განხორციელების გზაზე, სურდა რაც შეიძლება სწრაფად გადაექცია სახალხო ფორუმი ნამდვილ პოლიტიკურ, ცხადია, საკუთარ პარტიად. ასე გაჩნდა სდპ ანუ სახალხო დემოკრატიული პარტია. სდპ, ყოველ შემთხვევაში მისი გამგეობა, თავისი განწყობითა და სულისკვეთებით ძალიან განსხვავდებოდა სახალხო ფორუმისაგან და კლაუსის მიმართ არაკეთილგანწყობილმა კრიტიკოსებმა

მის ქმედებას სამოქალაქო ფორუმის მითვისება უწოდეს. მე ასე შორს არ წავიდოდი და მხოლოდ ერთს ვიტყოდი, რომ ვაცლავ კლაუსმა გააკეთა ზუსტად ის, რასაც ყოველი მრავლის ნანახი და საკუთარ თავში დარწმუნებული პოლიტიკოსი გააკეთებდა მის ადგილზე: შანსი ხელიდან არ გაუშვა. უკვე არსებული მძლავრი მოძრაობის საფუძველზე ხომ უფრო ადვილია პარტიის შექმნა, ვიდრე ნულიდან დაწყება. გაყოფამ კორექტულად ჩაიარა. ვისთვისაც სდპ, თავისი იდეოლოგიით, უცხო იყო, მათ საფუძველი ჩაუყარეს ახალ პარტიას – „სამოქალაქო მოძრაობა“. ზოგიერთმა სხვა პარტია ამჯობინა, ქონება სამართლიანად გაინაწილეს, სდპ არ ესწრაფვოდა იმაზე მეტს, ვიდრე ეკუთვნოდა მოლაპარაკებების მიხედვით. ალბათ უკვე გრძნობდნენ, ან სულაც იცოდნენ, რომ მალე ბევრად უფრო მდიდარი წყაროებიც გამოუჩნდებოდათ. ამრიგად, 1992 წლის არჩევნებში, ანუ პირველი თავისუფალი არჩევნებიდან ორი წლის შემდეგ, გაიმარჯვა ორმა ახალმა და ძლიერმა პარტიამ, კლაუსის სდპ-მ ჩეხეთში და მეჩიარის მდს-მ სლოვაკეთში. ამ პარტიების ხელმძღვანელები გახდნენ თავიანთ რესპუბლიკებში მთავრობების თავმჯდომარეები, რადგანაც მათ კარგად ესმოდათ, რომ ფედერალური მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა ვერ იარსებებს დიდხანს, რადგან ის ძველი დროის ადმინისტრაციული გადმონაშთია მხოლოდ და რომ რეალური ძალაუფლება მხოლოდ რესპუბლიკურ მთავრობებს და შესაბამისად მათ ხელმძღვანელებსა და გამარჯვებულ პარტიებს ექნებოდათ. ფედერალური მთავრობის თავმჯდომარეობა კი იტვირთა წესიერმა ადამიანმა პან სტრაასკიმ, განათლებით ეკონომისტმა და მაშინდელმა სდპ-ს წევრმა. საყოველთაო რევოლუციური მოძრაობიდან ნამდვილი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პროცესი არ იყო ისე ელეგენტური, როგორც ეს მე მესახებოდა. რა გაეწყობა, პოლიტიკაში ასე ხდება ხოლმე. არჩევნებიდან მოკლე დროში ამ ორ პარტიას შორის დაიწყო მოლაპარაკებები ქვეყანის გაყოფის შესახებ. მე, მთავარი ორგანიზატორი და მასპინძელი დაუსრულებელი მოლაპარაკებებისა სახელმწიფო წყობასთან დაკავშირე-

ბულ საკითხებზე, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდი და ძალიანაც კარგი, ამ საქმეში მხოლოდ ხელის შემშლელი თუ ვიქნებოდი.

(ვაშინგტონი 9. 5. 2005)

ახლა აქ მშვენიერი ამინდია, შაბათ-კვირას მოვითავეთ სხვადასხვა ვიზიტი და გასეირნება, უამრავი საქმე გავაკეთეთ, დაშამ ჩვენს საქველმოქმედო ორგანიზაციასთან, „ვიზე 97-თან" დაკავშირებით, მე კი ჩემ საზოგადოებრივ მოვალეობებს მივხედე და თავს ცუდად ვგრძნობდი, რადგანაც წერას ვერ ვახერხებდი. გუშინ მეორე მსოფლიო ომის დასრულების სამოცდამეათე წლისთავი იყო, ამასთან დაკავშირებით ხელი მოვაწერე რამდენიმე ლია წერილს, ძირითადად კი მოვლენებს ტელევიზორით ვადევნებდი თვალყურს. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ პუტინი ამ თარიღს, ცოტა არ იყოს, საკუთარი თავისა და მმართველობის მისეული მეთოდების სარეკლამოდ იყენებს, რაც გასაგებია, რომ ზოგან წინააღმდეგობრივ გრძნობებს იწვევს. ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში საუბრისას გავაკრიტიკე. ეს პასუხი იყო ვიღაცის შეკითხვაზე, მის გამონათქვამთან დაკავშირებით იმის შესახებ, თუ რა დიდი უბედურება იყო საბჭოთა კავშირის დაშლა. ჩემს ამ გამოსვლას კეთილგანწყობილი გამოხმაურება მოჰყვა. სახლიდან მოსული ცნობებიდან ვიტყობ, რომ ჩაცხრომა ვერ მოასწრო ჩვენი პრეზიდენტისა და ამდენად, მთელი ქვეყნის განაწყენებამ ევროპარლამენტის რეაქციაზე, რომელიც გამოინვია ევროპის კონსტიტუციასთან დაკავშირებით კლაუსის გამონათქვამებმა, რომ შეურაცხყოფილ იქნა ხელმეორედ, ამჯერად იმით, რომ უცხონი ლაპარაკობენ ჩვენი ჩეხური საღორის შესახებ. დიახ, სიტყვასიტყვით ასეა: საღორის შესახებ. იმათთვის, ვინც არ იცის შესაბამისი რეალიები: ომის პერიოდში სამხრეთ ჩეხეთში, სოფელ ლეტისთან, ბოშებისთვის აიგო საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც ჩეხი ზედამხედველები მუშაობდნენ. ამ ბანაკში ბევრი ბოშა დაიღუპა (მოკვდა ან მოკლეს), ბავშვებისა და ქალების ჩათვლით. სხვა მხრივ, ისევე როგორც ტერეზინი, ეს იყო გამანაწილებელი პუნქტი ოსვენციმისა თუ სხვა სიკვდილის ცენტრებისაკენ. ბოშებისთვის ეს სამახსოვრო ადგილია და სავსებით სამართლიანად შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს იმით, რომ დღეს იქ ღორების დიდი ფერმაა წამოჭიმული. რა ხანია ჩვენში მსჯელობენ იმის შესახებ, მიზანშეწონილია თუ არა, რომ სახელმწიფომ დააფინანსოს

ცხოველთა საკონცენტრაციო ბანაკის სხვაგან გადატანა და ოდესღაც აქ არსებული ადამიანთა საკონცენტრაციო ბანაკის ადგილას დადგას სიმბოლური სასაფლაო ან სხვა სახით მიაგოს პატივი ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნას. ღორების ფერმა კი, ცხადია, თავის ძველ ადგილას დგას და დგას. ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ბოშების პრობლემების გადაჭრის შესახებ, რომელშიც ჩვენი ჩეხური საღორეცაა ნახსენები მისი სხვაგან გადატანის რჩევით. ვაცლავ კლაუსიც ზუსტად ამან გაანაწყენა. ასეთი უხეში ჩარევა ჩვენს წმინდად ჩეხურ საქმეებში! ჩვენს პატარა ჩეხურ საღორეს ჩვენითვე მოვუვლით და არ გვჭირდება ამაში გადამთიელების დახმარება! და საერთოდ – ეს ჩვენი ჩეხური საკონცენტრაციო ბანაკი არც თუ ისე ძალიან საკონცენტრაციო იყო, იქ მხოლოდ მათ მოუყარეს თავი, ვისაც მუშაობა არ სურდა. მოისმენ თუ არა ადამიანი მსგავს აზრებს, დაგეუფლება ფარული სურვილი, რომ დემოკრატიული, განათლებული და კულტურული ევროპა კიდევ უფრო მეტს ლაპარაკობდეს ჩვენი ჩეხური საქმეების შესახებ. ცხადია, ეს ჩვენსავე ინტერესებში იქნებოდა.

(6. 1. 1999)

(...)

4) გამოსვლებთან დაკავშირებით: (...) 25 თებერვალს ბერლინში საჭირო თემებზე ზეპირად ვილაპარაკებ. მარტის დასაწყისი პარიზში იმას, რაზეც მიმითითებთ, რომ უნდა ვილაპარაკო, მშვენივრად შემიძლია მხოლოდ პრესკონფერენციაზეც შევეხო; სხვა რომ არაფერი, პრესკონფერენციას ამით შინაარსს შევმატებ. ამდენად, არ არის საჭირო გამოსვლის მზადება, მით უმეტეს, რომ პარიზში ერთი გამოსვლა უმაღლესი სტატუსით უკვე მქონდა (აკადემიაში წევრად მიღებისას). პირიქით, კარგად და სისტემატურად უნდა ვიმუშაო ნატოში წარმოსათქმელ სიტყვაზე. ეს გამოსვლა ინგლისურად უნდა დაიწეროს, იქნებ მის გამოქვეყნებაზეც გვეზრუნა, ძალიან პრინციპული უნდა იყოს. საჭიროა ნატოს ახალი სამოქმედო სტრატეგიის ბეჭდვითი ვარიანტის ცოდნა! გთხოვთ კანადის, მინესოტისა და მიჩიგანის პროგრამები შეკვეცოთ! (...) ვარშავის გამოსვლასთან დაკავშირებით სასურველია ადამ მ.-სთან გასაუბრება. რაც შეეხება ბუდაპეშტს, ცხადია, ეს სოროსისთვის გარკვეული პატივის მიგება უნდა იყოს. ალბათ ურჩევნია, რომ ცნონ მოაზროვნედ და არ უყურონ როგორც სპეკულანტს. ამდენად, თავისუფლად შეიძლება,

რომ საუბრის თემა იყოს ღია საზოგადოება და პირველ ყოვლისა ის, რომ ღია საზოგადოება შეიძლება აშენო თავისუფალი ადამიანების ხელით, ანუ, რომ ბრძოლა ღია საზოგადოებისათვის არის ბრძოლა დოქტრინებსა თუ იდეოლოგიებში ადამიანის ჩაკეტვისა და მიკერძოებულობის წინააღმდეგ და ა.შ. (...)

8) გთხოვთ შეადგინოთ ჯილდოებთან დაკავშირებული და 17 ნოემბრის მეათე წლისთავზე მოსაპატიჟებელი წერილების მონახაზები (ბუში, ტეტჩერი, კოლი, ვაიც ზეკერი, გორბაჩოვი, ვაუენსა, პალმე, კრეისკი და სხვები (ინ მემორიამ) შეიძლება დავაჯილდოოთ 28 ოქტომბრის მედლებით. ზემანთან ეს უკვე შეთანხმებულია და თანაც საჩქაროა! (....)

(10. 1. 1999)

(...)

5) თუ კლაუსთან შეხვედრას პარტიების თავმჯდომარეებთან შეხვედრაც მოჰყვება, კარგი იქნება წინასწარ შეთანხმებული გეგმის ქონა, რომელშიც განხილული იქნება რა უნდა კეთდებოდეს მოცემულ სიტუაციაში (ბანკების პრივატიზაცია, ფინანსური ბაზრის მარეგულირებელი და ასევე კონკურსების შესახებ კანონების განახლება, ერთიანობა საგარეო პოლიტიკის საკითხებში, სახელმწიფო მმართველობის გარდაქმნა, საბიუჯეტო და დახმარებების სფეროები, საგადასახადო და სოციალური სისტემების რეფორმა და ა. შ.). გეგმის გარეშე ეს შეხვედრა წყლის ნაყვას დაემსგავსებოდა. (...)

6) ჩემი აქ ყოფნის მეორე ნახევარში ფიზიკური მდგომარეობის სწრაფ გაუმჯობესებას ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაც მოჰყვა. წინა ბრძანებებში გაკეთებულ კომენტარებს ჩემი პიროვნების მიმართ გამართული შინა ომების შესახებ, ალბათ გარკვეული გაღიზიანების კვალი ეტყობოდა. ვფიქრობ, რომ ამ ამბავმა ჩაიარა და იმ ორომტრიალს უკვე შორიდან ვუყურებ. სხვა სიტყვებით: ეს აღარც მაწუხებს და აღარც გულს მიჩუყებს, მეტიც, უკვე აღარც კი მაინტერესებს. (...)

(17. 1. 1999)

(...)

10) (...)გარდა ინფორმაციისა ჩვენი ჯარის შესახებ, მჭირდება ცნობები აშშ-ში ნატოს სამიტისათვის მზადების შესახებ. რაც

შეეხება ზემანის მონაწილეობას, რათა ჯერჯერობით არ მომიხდეს მასთან ამაზე ლაპარაკი, აჯობებდა, რომ პან პ. პირადად შეხვედროდა ლანსკის და განემარტა მისთვის, თუ რა სულელურ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა ასეთ შემთხვევაში ზემანი. მე ვიქნებოდი დელეგაციის შეფი, ის კი – მხოლოდ ჩემი თანმხლები. ყურადღება ჩემზე იქნებოდა გადმოტანილი და ისევე, როგორც თავის დროზე ზიელენიეცი და კავანი, ისიც დაიტანჯებოდა ჩემს ჩრდილში ყოფნით. აუცილებლად გაუცოცხლდებოდა მოგონებები იმის შესახებ, თუ როგორ ილვწოდა რეფერენდუმისთვის, არაბირთვული სტატუსისთვის და ა.შ. იქ აუცილებლად მოაწყობდა ერთ-ორ ორმხრივ შეხვედრას (თუკი ექნებოდა საამისო დრო!), სხვაგვარად ხომ, უბრალოდ, რეკვიზიტი იქნებოდა. ვფიქრობ, რომ უნგრეთისა და პოლონეთის მიბაძვა უნდათ, სადაც პრეზიდენტებსა და პრემიერებს შორის სერიოზული შეხლა-შემოხლაა და რაც ნამდვილად არ არის გადმოსაღები. ცხადია, ზემანი მიხვდა ყოველივე ამას, მაგრამ ეტყობა, რომ მოგვიანებით ლანსკიმ დაინყო ინტრიგების ხლართვა. ასეთ შემთხვევაში ორი დიდი თვითმფრინავით უნდა გავფრენილიყავით? თუ კანადასა და მინესოტაშიც გამოგვყვებოდა ზემანი? ეს იდეა (უეჭველად ლანსკის თავში წარმოშობილი) კიდევ უფრო აბსურდულია იმის ფონზე, რომ 1 მარტს ზემანი ნატოში შესასვლელად ბრიუსელში მიემართება. ცხადია, მოიმკის ყოველივე იმას, რაც სავსებითაც არ დაუმსახურებია. (...)

(11. 4. 1999)

(...)

8) მოსარწყავად, ალბათ, უფრო გრძელი შლანგია საჭირო. (...)

(6. 6. 1999)

(...)

8) თურქეთში ვიზიტის შესახებ ასეთი მყარი გადაწყვეტილება, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო ჩემთვის. (...) არ მგონია, რომ ვიღაც ინტელექტუალებთან გასაუბრება ჩემ მიერ წაყენებული პირობის შესრულებას ნიშნავდეს. პირობისა, რომელშიც მოვითხოვდი ქურთების მოქმედ (და ამდენად დევნილ) წარმომადგენლებთან ლაპარაკს მათსავე ტერიტორიაზე. გაიგეთ: უნდა მოვუფრთხილდე თავს და არ შემიძლია იმაზე დავიხარჯო, რაც შემდგომ ჩემ სანინააღმდეგოდ შემოტრიალდება. (...)

(21. 8. 1999)

(...)

6) საკუჭნაოში, სადაც მტვერსასრუტი ინახება, ისევ ის ღამურა ბუდობს. როგორ გავაგდოთ? ნათურა მოვუშვით, ტყუილად რომ არ გااალვიძოს და გააღი ზიანოს. (...)

(12. 9. 1999)

(...)

3) კონსტიტუციური ცვლილებები. ამელიემ (კლოკოჩკა) კიდევ უფრო გაამყარა ჩემი ღრმა რწმენა, რომ სდპ-სა და ჩსდპ-ს შემოთავაზებები კომისიებში ცვლილებებთან დაკავშირებით ყოველგვარ აზრსაა მოკლებული. ეს ყველაფერი აქტუალური გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩსდპ-მ მოიწონა ეს ცვლილებები. მეტიც, უკვე კამპანიაც კი წამოიწყეს ამ ცვლილებების სასარგებლოდ. რა მოვიმოქმედოთ? (...)

(26. 9. 1999)

(...)

8) შუსტერს სმოკოვის მიმართვის დაწერას შევპირდი. გთხოვთ გადახედოთ, შეაფასოთ და თუ სერიოზული შენიშვნები არ გაგიჩნდათ, როგორც მკაცრად საიდუმლო დოკუმენტი, სასწრაფოდ გადაუგზავნოთ ფაქსით. თუ თანახმა იქნება, დაიწყება პრეზიდენტ გიონცს და კვასნევსკიც კანცელარიებთან მოლაპარაკებების ანაბაზი. სსს-ს ამ მომენტისათვის საერთოდაც არ ჩავრევდი საქმეში (კავანმა[79] სულაც დამიმალა თავისი ბერძნული ინიციატივა). სსს-სა და შესაბამის ელჩებს მხოლოდ მაშინ გავაცნობდი დოკუმენტს, როდესაც ყველა შეასწორებდა და მოიწონებდა. ამავე დროს, არ მინდა, რომ კავანმა მოსკოვის შეხვედრის წინ მიისაკუთროს და მთელს ქვეყანას მოსდოს, რისი გამკეთებელიც ნამდვილად არის. თუკი ეს საბუთი ყველას მიერ მოწონებული და მიღებული იქნა იმ სახით, რა სახითაც წარვადგინე, ანუ როგორც ფართე და პრინციპული დეკლარაცია ვიშეჰრადის შესახებ, მაშინ საუკეთესო იქნებოდა, რომ 18:00 საათზე (დებატებსა და პრესკონფერენციას შორის)

79 იან კავანი (Jan Kavan) – ჩეხეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი, 1996 წლიდან პარლამენტის წევრი როგორც ჩსდპ-ს წარმომადგენელი. სამოციან წლებში რადიკალური სტუდენტური მოძრაობის მთავარი მოქმედი პირი იყო, რისთვისაც გაირიცხა უნივერსიტეტიდან და განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. 1968 წელს გაიქცა ინგლისში და ჩამოერთვა ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეობა.

ყველას ერთად, სადღესასწაულო ვითარებაში ხელი მოგვეწერა და შემდეგ კი რომელიმე ჩვენგანი ხმამაღლა წაიკითხავდა. რასაკვირველია, ტექსტს დავარიგებთ, თუმცა, როგორც ვიცით, შანსი, რომ ყველა გაეცნობა ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს, მინიმალურია. ამიტომ დამსწრეთათვის წინასწარ წაკითხვა არ გვაწყენდა. (...)

12) პროგრამის შესახებ: უკვე შეგიძლიათ ამოშალოთ 28 ოქტომბერსა და 17 ნოემბერს წარმოსათქმელი სიტყვების წერა. მხოლოდ 2 ოქტომბერს ღორის შეწვის წინ შეგიძლიათ გადმომცეთ „28 ოქტომბრისა და 17 ნოემბრის გამოსვლები რედაქტირებული სახით". ღორის შეწვაზე 13:00 საათისათვის წავიდოდი, ანუ გამოსვლებზე მუშაობის შემდეგ. (...)

13) გთხოვთ ნუნციასთან გაარკვიოთ, თუ რამხელა გამოსვლას ელიან ჩემგან ვატიკანში, რა ენაზე, როგორი უნდა იყოს სხვა დანარჩენი პარამეტრები. შემდეგ თუ შეიძლება ტომაშ ჰალიკას სთხოვეთ იგივე ერთ გვერდზე დამიწეროს ან იქნებ ზოგიერთი რამ ზოგადად მომიხაზოს. სიამოვნებით შევეხებოდი შემდეგ სამ საკითხს: ა) ეკლესიის მიერ უკვე დაგეგმილი ახლებური დამოკიდებულება ჰუსის[80] მიმართ, როგორც კონფესიებს შორის თანხმობა. ბ) ამასთან დაკავშირებით მსოფლიოს ეკუმენისტური მომავლის იდეა, როგორც ცივილიზაციის გადარჩენის გზა. გ) საშობაო დღესასწაულისა და ნაძვის ხის არსი. (...)

(30. 10. 1999)

(...)

2) მივესალმები იმ სასიამოვნო სიახლეს, რომ სტამბულის ჩვენს დელეგაციას სერბეთის ყველა ოპოზიციური პარტიის წინამძღოლი და დიუკანოვიჩი შემოუერთდებიან. ეუთო-მ უნდა გაგვიგოს და ეს საქმე რაიმე გზით მოაგვაროს. თუ შეიძლება მოითხოვეთ, ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი სიტყვის თქმის უფლება ჩემთვის. ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობის გაგრძელება აუცილებელია, არგუმენტად შეგვიძლია მოვიშველიოთ მოსალოდნელი შეხვედრები მადლენთან, ვინ იცის, იქნებ კლინტონმაც კი მოიცალოს წუთით. მართალია, უკვე ყველას შეხვედრია, მაგრამ ყველასთან

80 იან ჰუსი (Jan Hus) – 1372-1415 წ. ჩეხი მოაზროვნე, საეკლესიო რეფორმატორული მოძრაობის სულის ჩამდგმელი. 1404 წელს მიიღო თეოლოგიის ბაკალავრის ნოდება, 1409 წლიდან იყო პრაღის უნივერსიტეტის რექტორი. მკაცრად აკრიტიკებდა ფეოდალურ საზოგადოებასა და თავისი ეპოქის მაღალ სასულიერო პირებს, რის გამოც 1414 წელს მოუწყვეს სასამართლო, ე.წ. კოსტნიცეს კონსილიუმი და როგორც ერეტიკოსს, მიესაჯა კოცონზე დაწვა.

ერთად ჯერ არ უსაუბრია. ამ სამზადისის მიმდინარეობის შესახებ შევებულების განმავლობაშიც შეგიძლიათ მოკლედ მომახსენოთ ხოლმე, ისევე როგორც 17 ნოემბრის ამბებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვნად მიმაჩნია დარბაზის კარგად მომზადება, არა ისე, როგორც 28 ოქტომბერს იყო. თხუთმეტში მინდა ეს თავადვე შევამოწმო, საჭიროების შემთხვევაში რაიმე შევცვალო.

5) საახალწლო გამოსვლასთან დაკავშირებით მივესალმებოდი რჩევებსა და ახალ იდეებს, (...) პრინციპში, ვატიკანის გამოსვლასთან დაკავშირებითაც. რაღაც უკვე მაქვს, მაგრამ ეს უფრო ინფორმაციისა და ინტერესისთვის. საეკლესიო პირებისგან წამოსული შემოთავაზებები გამოუყენებელია, რამეთუ ქადაგების ენითაა დაწერილი. (...)

ვიკვლევ რა საკითხს, თუ რას გაყვედრიდნენ ყველაზე მეტად როგორც პრეზიდენტს, მივდივარ დასკვნამდე, რომ პრეზიდენტობის პირველივე ეტაპზე სუდეტელი გერმანელების გადასახლების საკითხთან დაკავშირებით თქვენს ბოდიშს ამ სიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. განა უკეთესი არ იქნებოდა მსგავსი რამ მომხდარიყო საჯარო დისკუსიის შემდეგ და რაც მთავარია მაშინ, როდესაც გვეცოდინებოდა, რომ გერმანია ამაზე ადეკვატურად გვიპასუხებდა?

ამ ამბის შესახებ ბევრი დაიწერა. პირადად ჩემთვის ძალზე საინტერესოა, რომ ერთი დეტალი ვერავინ შეამჩნია: სუდეტელი გერმანელებისათვის მობოდიშება არც ერთ ჩემს საპრეზიდენტო გამოსვლაში არ გაჟღერებულა. 1989 წლის შემოდგომაზე ჯერ კიდევ როგორც დისიდენტმა, პრეზიდენტ ვაიცზეკერისადმი მიწერილ სამადლობელ წერილში, მისი წვლილისათვის გერმანელ წიგნით მოვაჭრეთა მსოფლიო ჯილდოს მონიჭებაში, რომლის გადმოცემის ცერემონიასაც ფრანკფურტში არ დავსწრებივარ, სხვა ყველაფერთან ერთად მივწერე, რომ ჩემი ღრმა რწმენით ჩეხოსლოვაკიას, გასახლების ფაქტთან დაკავშირებით, რაიმე გზით უნდა მოებოდიშებინა, ან თუნდაც კრიტიკული თვალით გადაეხედა იმ წარსულისათვის. ზუსტად აღარც კი მახსოვს თუ

როგორ ჟღერდა ის ფრაზა. მან ეს ჩემი წერილი საშობაო გამოსვლაში მოიხსენია, ანუ ჩემს პრეზიდენტად არჩევამდე. ამ თემაზე ერთხელ კიდევ მომიხდა საუბარი, როდესაც ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში დამისვეს კითხვები. არც მაშინ არ ვიყავი პრეზიდენტი ანუ ვსაუბრობდი, როგორც კერძო პირი, თანაც არც ჩემი და არც სახელმწიფოს სახ-ელით არ მომიხდია ბოდიში, უბრალოდ გამოვთქვი აზრი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ამას ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო გააკეთებდა. ამით არ მინდა ვთქვა, რომ გერმანელების ომის შემდგომი გადასახლების შესახებ, როგორც ამას სავსებით შეუფერებლად ვეძახით, რადგან არ მოგვწონს სიტყვა გაგ-ების გამოყენება, შევიცვალე შეხედულება. პირიქით: როდე-საც გერმანელების გადასახლების საკითხი დაწვრილებით და კრიტიკულად იქნა შესწავლილი, რისი საშუალებაც, ცხადია, დემოკრატიამ მოგვცა, კიდევ უფრო განმიმტკიცდა ამ მოვ-ლენის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. გამოსვლებში კი, ცხადია, უფრო დიპლომატიურად ვსაუბრობდი და ბოდიში პირდაპირ არავისთვის მომიხდია, რადგან ამის მანდატი ჩემ-თვის არავის მოუცია. მართალი გითხრა მობოდიშების ჟესტი, როგორც გარკვეული რიტუალი, დიდად არ მომწონს. მით უმეტეს, რომ მთავარი მაინც არის საქმიანი და მიუკერძოე-ბელი ანალიზი, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში ქმედე-ბები, რომლებიც დაშვებული შეცდომების ოდნავი გამოს-წორების საშუალებას მაინც იძლევა. საპრეზიდენტო გამოსვ-ლებში კი გარკვევით ვუსვამდი ხაზს იმ ცნობილ ფაქტს, რომ ბოროტება შობს მხოლოდ ბოროტებას და რომ ეს დაავადება ჩვენც მოგვერია: ჩვენც დავიწყეთ ერების გადასახლება და ჩვენი ქვეყნის ეთნიკური წმენდა. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ჩვენ უფრო ძვირი დაგვიჯდა, ვიდრე გაგდებულ გერ-მანელებს: არა მარტო მორალური თვალსაზრისით, რომ არა მათი გაგდება, კომუნიზმი ასე ადვილად ვერ შემოგვიტევდა, არამედ სხვა მხრივაც: საკმარისია ცოტაოდენ ჩაეძიო იმას, თუ რა დაემართა ჩვენს სასაზღვრო ზოლს ამ მოვლენების შედეგად. ათასობით მეურნეობის, სახელოსნოს, ქარხნისა და მაღალკულტურული დასახლების ლიკვიდაცია, ისევე,

როგორც სოციალური დესტაბილიზაცია, იქაურობას დღესაც ატყვია შესამჩნევ იარად. ამაზე სხვადასხვა მიმართებაში და არაერთგზის მილაპარაკია, მაგალითისათვის გავიხსენოთ ჩემი გამოსვლები გერმანიის პრეზიდენტის სტუმრობისას ვლადისლავის დარბაზში ან მოგვიანებით კაროლინში, რომლებსაც, ჩემდა გასაკვირად, არანაირი პროტესტის ტალღა არ მოჰყოლია. პროტესტი და უკმაყოფილება კი მოჰყვა იმას, რაც არასოდეს მომხდარა, ანუ პრეზიდენტის მობოდიშებას. სხვათა შორის: მაშინ ჩვენ გადასახლების შედეგების გარკვეული ანაზღაურების დიდსულოვანი გეგმა გაგვაჩნდა, რაც არავის აწყენდა და მხოლოდ სასარგებლო იქნებოდა, თუმცა ამაზე გერმანულმა მხარემ, სამწუხაროდ, უარი განაცხადა. სავარაუდოა, რომ ეს ჩანაფიქრი ძალიან თამამად გამოიყურებოდა და თან ოდნავი ეჭვი მიჩნდება, რომ კოლის კანცელარიამ ეს ამბავი სპეციალურად მიჩქმალა, რათა ამით სუდეტის საკითხი ერთხელ და სამუდამოდ არ მოხსნილიყო დღის წესრიგიდან. ხანდახან სჯობს ზოგიერთი პრობლემა გაურკვეველი დროით გადადო, რადგანაც არ იცი როდის და როგორ შეიძლება გამოგადგეს, ან ვის რაში შეიძლება დასჭირდეს. და საერთოდ, როგორც არ უნდა იყოს ეს ყველაფერი, ჩვენში დემოკრატიზაციის პირველივე დღეებიდან დაწყებული, გერმანიასთან კარგი ურთიერთობების დამყარებით, რომლის მსგავსიც ისტორიულად ჯერ არასდროს გვქონია, ნამდვილად ვამაყობ. და თუ ვინმეს გერმანიის ან სხვა რომელიმე ქვეყნის, კოლონიად ვეჩვენებით, ეს მხოლოდ ჩვენი ბრალია: ვანადგურებთ ჩვენს ქვეყანას, რათა მოვაწყოთ თვალუწვდენელი საწარმოო ზონები, იმ იმედით, რომ ჩაივლის ვიღაც მდიდარი უცხოელი და იქ ააშენებს უზარმაზარ ქარხანას, რომელიც ხუთ წელიწადში, ცხადია, პაკისტანში გადაინაცვლებს, მაგრამ ეს ხომ მთელი ხუთი წლის შემდეგ მოხდება. ეს, ცოტა არ იყოს, მაგონებს EE-55 ტრასაზე მდგომ და გერმანელების მომლოდინე გოგონებს.

მივუბრუნდები ამერიკაში თქვენს მოგზაურობებს. პრეზიდენტად არჩევიდან სულ რამდენიმე კვირაში გაემგზავრეთ

ამერიკაში. თანაც ამბობენ, რომ არნახულად დიდი დელეგაცია გყავდათ, რომელიც ერთის მაგიერ ორ თვითმფრინავს საჭიროებდა. მართლა ასე იყო? რამ გამოიწვია ეს?

წარმოუდგენელია, რამდენი რამის გაკეთება მოვასწარი მაშინ. განუწყვეტლივ ვმოგზაურობდი რესპუბლიკის ფარგლებში და კვირაში ერთხელ მაინც უცხოეთში მივემგზავრებოდი. ამას კიდევ დაამატეთ სახელმწიფო ვიზიტები ჩვენთან. ამავე დროს აუარება საზრუნავისა, ახალი პოლიტიკური გარემოსა და საკონსტიტუცო სისტემის შექმნასთან, ეკონომიკურ გარდაქმნებთან, პრაღის ჰრადთან, ჩემი კანცელარიის ჩამოყალიბებასა და სხვა მრავალ პრობლემასთან დაკავშირებით. დღეს ამის მეათედსაც ველარ შევძლებდი. გასაგებია, უფრო ახალგაზრდა და ჯანმრთელი ვიყავი, რაც მთავარია, რაღაც შინაგანი ძალა მეწეოდა, ეს არ იყო განპირობებული მხოლოდ იმ ეპოქის ატმოსფეროთი, პირველ რიგში, მამოძრავებდა ქვეცნობიერი შეგრძნება იმისა, რომ წამით აღმოვჩნდი ჩვენს ქვეყანასა და მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე დიდი ცვლილებების ცენტრში. ვგრძნობდი დიდი დანაშაული იქნებოდა, რომ მთელი ჩემი არსება არ მიმეძღვნა ამ ყველაფრისათვის და ასეთი შესაძლებლობები ხელიდან გამეშვა. პასუხისმგებლობის ეს შეგრძნება, სრულ გამოუცდელობასთან ერთად, მაძლევდა იმ თავხედობას, რომ ყოველგვარი მორიდების, მერყეობისა და ორჭოფობის გარეშე ვსაუბრობდი პლანეტის უგავლენიანეს ადამიანებთან, ვუზიარებდი მათ ჩემს თამამ აზრებსა და გეგმებს, სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებში პრინციპული გამოსვლებით გამოვდიოდი და ა.შ. ყოველივე ამის მიუხედავად, ვინარჩუნებდი მხიარულ გამომეტყველებასა და გარკვეულ ხალისიან სიმსუბუქეს. ერთი კი ვიცი, სახელმწიფოსათვის ეს კარგი იყო, თუმცა დღეს უკვე აღარ მესმის, თუ როგორ ვახერხებდი ყველაფერს. ამერიკაში მოგზაურობა თავიდან ბოლომდე იმპროვიზაცია იყო, ასეთ ვიზიტებს პროფესიონალები თვეების მანძილზე გეგმავენ ხოლმე. ჩვენ, მოყვარულებს კი, საამისოდ სულ ორი კვირა გვქონდა, თუმცა საბოლოოდ ვიზიტმა მაინც გადააჭარბა მოლოდინს. პრეზიდენტ

ბუშთან მნიშვნელოვანი საუბარი მქონდა, დაგვპატიჟა სადილად, მოგვატარა თეთრი სახლი და ბოლოს თავისი ბინაც დამათვალიერებინა. კონგრესის ორივე პალატის საერთო სხდომის წინ ჩემს გამოსვლას წარმოუდგენელი წარმატება მოჰყვა, აქ დღემდე ახსოვთ იგი და ზოგიერთი იმასაც კი ამბობს, რომ საუკეთესო იყო მათ შორის, რაც კი ოდესმე მოუსმენიათ კონგრესში. ამ ქებას გარკვეული სიფრთხილით ვღებულობ. ვიცი, რომ ეს წარმატება ჩემზე და ჩემს ნანერებზე უფრო სხვა რამის დამსახურებაა. თავისთავად უჩვეულო სიტუაცია იყო, მე კი მთავარი მოქმედი პირი აღმოვჩნდი. კომუნისტური ბლოკის ის პირველი უმაღლესი წარმომადგენელი ვიყავი, რომელმაც კონგრესს აუწყა, რომ დაინგრა კომუნიზმი, დაეცა რკინის ფარდა, მოვიდა ბიპოლარული მსოფლიოსა და ცივი ომის აღსასრული და რომ საჭიროა ზრუნვა ჩვენი პლანეტის ახლებურ პოლიტიკურ წყობაზე მსგავსი მნიშვნელობის განცხადებები, ცხადია, ყოველდღე არ გაისმის. ალბათ, ჩემთვის გაუგებარი დიდი წარმატების მიზეზიც ეს იყო. მოგვიანებით ამ გამოსვლას ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიით ვუყურე და ყველაზე უფრო იმან ამიჩუყა გული, რომ სხვებთან ერთად აივანზე მარტინა ნავრატილოვაც იდგა, ალბათ შედარებით ძლიერი ბუნების ქალი, რომელიც ჩემი გამოსვლისას ტიროდა. ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ის სიტყვა ერთი ნაშუადღევის განმავლობაში დავწერე, მაშინ უბრალოდ მეტი დრო არ მქონდა. შესაძლოა, ჩემმა უახლოესმა თანამშრომლებმა გადაიკითხეს. თუმცა, დავწერე ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე. გამოსვლა შედგა ჩეხურად, რადგანაც დროულად გადათარგმნა ვერ მოესწრო და კითხვაში ვარჯიშის დრო აღარ მრჩებოდა; ამის გარეშე კი არ შეიძლება, საკმარისია არასწორი ფრაზირება, ცუდი გამოთქმა, უმართებულო ინტონაცია და გამოსვლის აზრიც თავდაყირა დადგება. გავფრინდით ისლანდიის გავლით, სადაც ეროვნულ თეატრში დავესწარი ასანაცეს დადგმას. პირველად ვიხილე ეს პიესა პროფესიულ სცენაზე ჩემი ბოლო პიესის ნახვის დღიდან ოცდაერთი წლის შემდეგ. შემდგომ ვეწვიეთ კანადას, არ ვიცოდით დროის გადაწევას

რა მოჰყვება ხოლმე შედეგად და ოფიციალურ ვახშამზე ყველანი ვყვინთავდით. დაბოლოს, ამერიკისაკენ ავიღეთ გეზი. მართლაც საკმარისად ვიყავით, ჩვეულებრივ სიტუაციაში ეს მიუღებელი იქნებოდა, მაგრამ მე მინდოდა ქვეყნის ახალი მმართველობის ერთიანობის ჩვენება და ამიტომ თან წავიყვანე ჩალფა. გარდა ამისა, თან გვახლდა კიდევ სამი მინისტრი, სამივეს ძალიან მნიშვნელოვანი დავალება ჰქონდა. ეს ხომ სხვადასხვა ემბარგოს გაუქმებისა და ახალი ხელშეკრულებების ხელმოწერის პერიოდი იყო. ცხადია, დელეგაციის ეროვნულ შემადგენლობაზეც უნდა გვეზრუნა. სხვათა შორის, ვფიქრობ, რომ არც თუ ისე ბევრნი ვიყავით, ყველანი დავეტიეთ და ყველას ჰყავდა თავისი ამერიკელი პირისპირ. ბევრი იყო ისეთიც, უბრალოდ რომ დაგვემგზავრა, რათა თავის ამერიკელ პარტნიორებს შეხვედროდა. არ შეიძლებოდა თან არ წაგვეყვანა ზოგიერთი გამორჩეული სტუდენტი, აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლები და უმსხვილესი საწარმოების ხელმძღვანელები. არ მგონია, რომ ორი თვითმფრინავით ვიფრინეთ. იმ უზარმაზარ საბჭოთა თვითმფრინავებში, რომლებიც სამთავრობო ავიაციას გააჩნდა, ოთხმოცამდე ადამიანი ეტეოდა და ამდენი, ალბათ, ჟურნალისტების ჩათვლითაც კი არ ვიყავით. მიუხედავად ამისა, თუ მართლაც ორი თვითმფრინავით ვიფრინეთ, შესაძლოა იმიტომ, რომ მაშინ ძალაში იყო მოგვიანებით გაუქმებული კანონი, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტსა და მთავრობის თავმჯდომარეს ერთი თვითმფრინავით ფრენა ეკრძალებოდათ. ბუნებრივია, კომუნისტებს საკუთარი წარმოების თვითმფრინავებისა და უმთავრობოდ დარჩენის დიდი შიში ჰქონდათ.

ეს ვიზიტი ამერიკაში, თებერვლის ბოლოს შედგა. ცოტა ხნის შემდეგ იყო თქვენი ვიზიტი მოსკოვში, რომლის შესახებ დღეს ცოტა რამ თუ არის ცნობილი. თუმცა გვინახავს ფოტო, სადაც, მხურვალე საბრძოლო მოწოდების წარმოთქმისას, ლენინის უზარმაზარი ძეგლის ქვეშ დგახართ. როგორ გრძნობდით თავს? ალბათ აპლოდისმენტებით აფეთქებული

შეერთებული შტატების კონგრესისგან ოდნავ განსხვავებულად.

შეერთებული შტატებიდან დაბრუნება დაემთხვა 1948 წლის პუტჩის წლისთავს, რომელიც კომუნიზმის დაცემის შემდეგ პირველად უნდა აღგვენიშნა. ხალხით სავსე სტარომნესტსკეე ნამნესტიზე ხანგრძლივი გამოსვლა მქონდა. არ მახსოვს როდის დავწერე, შესაძლოა თვითმფრინავში, შტატებიდან რომ მოვფრინავდი. როგორც აღვნიშნე, გრძელი სიტყვა მქონდა, წარმატებულიც, ხანდახან ვხუმრობდი კიდეც, რაც ნამდვილად შეცდომა იყო. ვფიქრობ, ზუსტად იქ ვუწოდე წინდაუხედავად მილან კნიაჟკოს ვიცეპრეზიდენტი, თუმცა შესაძლოა, რომ გამოსვლის წინ პრესკონფერენციაზე წამომცდა. გარდა ამისა, იმ დღიდან მეხსიერებაში ჩამრჩა ერთგვარი უკმაყოფილო გუგუნი, მთლიანობაში კეთილგანწყობილი აუდიტორიისა, როდესაც ვთქვი, რომ ვაუქმებთ სიკვდილით დასჯას. გაუგებარი მიზეზების გამო ხალხს ძალიან უყვარს სიკვდილით დასჯა. სტარომნესტსკეე ნამნესტი. ამ მოვლენების შემდეგ სასწრაფოდ გავფრინდით მოსკოვში. დღევანდელი გადასახედიდან თვითმკვლელობის ტოლფასი იყო მაშინდელი პროგრამა. თვითმფრინავში ვმსჯელობდით, როგორ აგვეცილებინა თავიდან, ტრადიციული და დამაკაბალებელი მეგობრობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ახალი ვადით. ამას საბჭოეთი ავტომატურად თვლიდა ვიზიტის განუყოფელ ნაწილად და არც კი გვკითხეს გვინდა თუ არა ამ მოლაპარაკების გაგრძელება, ისე დაგვახვედრეს კრემლის ეკატერინეს დარბაზი სადღესასწაულოდ გაბრდღვიალებული და ხელმოწერის აქტისთვის შემზადებული. მომაფიქრდა, რომ უბრალოდ შეგვეძლო გვეთქვა, თითქოს ფორმალურ ხელშეკრულებაზე, რომელსაც მაინც არავინ კითხულობს, უფრო მნიშვნელოვანია ერთობლივი განცხადების გაკეთება ჩვენი ურთიერთობების ხარისხობრივი განახლების შესახებ, რომელიც რაიმე ხერხით ბათილად გამოაცხადებს ბრეჟნევისეულ დოქტრინას ჩვენი შეზღუდული სუვერენიტეტის შესახებ, დაგმობს 1968 წლის ოკუპაციას და ცნობს, რომ ვართ ორი თანასწორუფლე-

ბიანი სახელმწიფო. ირჟი დიენსტბიერი, ოდესღაც ჩემთან ერთად გასამართლებული და დაპატიმრებული, დღეისათვის საგარეო საქმეთა მინისტრი, დაეთანხმა ჩემს ამ იდეას და მის პრესმდივანს ლუბოშ დობროცსკის ვთხოვეთ სასწრაფოდ გადაეტანა ქაღალდზე. შემდეგ ოდნავ შევასწორე და დავთქვით, რომ ვცდიდი კრემლში ამ ჩანაფიქრის განხორციელებას. ნორმალურ პოლიტიკურ ვითარებაში დიპლომატიის თვალსაზრისით მსგავსი ქმედებები წარმოუდგენელია. მაგრამ სიტუაცია მაშინ ნამდვილად არ იყო ნორმალური. კრემლი გადავსებული იყო საიდუმლო პოლიციით. ბოლოს აღმოვჩნდით უზარმაზარ პირქუშ ოთახში, რომლის ერთ-ერთ კუთხეშიც იდგა ტყავგადაკრული სავარძლები. პირველი, რამაც თავში გაგვიელვა იყო: ნუთუ იგივე გველის, რაც დუბჩეკს 1968 წელს, ანუ ვაი თუ აქაურმა კუნთმაგარმა ბიჭებმა აგვიხვიონ თვალები, გაგვკოჭონ და სადღაც დაგვამწყვდიონ. ჩვენი ბოჰემური კომპანია იმ სიტუაციაში უკიდურესად აბსურდულად გამოიყურეოდა. შემდეგ გორბაჩოვიც გამოჩნდა, ვიღაც მოაცილებდა და მომხიბლავად იღიმებოდა, ყველანი დავსხედით. ეტყობოდა ცნობისმოყვარეობა, აინტერესებდა თუ როგორ გამოიყურება დისიდენტი, ჩემამდე ცოცხალი დისიდენტი არ ენახა, მით უმეტეს, რომელიც საბჭოეთის ერთ-ერთი ფარდობითად მნიშვნელოვანი, ეკონომიკისა და სტრატეგიის თვალსაზარისით, სატელიტი ქვეყნის შეფი გახდა. ცხადია, რომ მისთვის ძალიან ეგზოტიკური მოვლენა გახლდით. ნიადაგის მოსინჯვა დიდხანს გრძელდებოდა. საბოლოოდ, ვახშმის ჩათვლით, კრემლში დაახლოებით ცხრა საათი დავყავით. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ გორბაჩოვი მართალია ნელა, სამაგიეროდ გულწრფელად მოლბა, ნელ-ნელა მიხვდა, რომ ისეთივე ადამიანი ვარ, როგორიც ყველა სხვა და საბჭოთა კავშირთან არა ომი, არამედ მეგობრობა მინდა, თუმცა ამჯერად უკვე თანასწორუფლებიანი მეგობრობა და ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს, ისე გავუგეთ ერთმანეთს, რომ დღეს, გავბედავდი და ვიტყოდი, კარგი მეგობრები ვართ. ყველაზე გამაოცებელი კი ის იყო, რომ ამოვიღე თუ არა ჯიბიდან ქვეყანას თვითმფრინავში მოვ-

ლენილი და ნაჩქარევად რუსულად გადათარგმნილი ჩვენი დეკლარაცია, ყოველგვარი კომენტარის გარეშე დაეთანხმა, მყისვე გასცა ბრძანება, რომ სასწრაფოდ დაებეჭდათ, რათა იქვე, ეკატერინეს დარბაზში, რომელიც სულ სხვა რამისათვის იყო მომზადებული, ხელი მოგვეწერა. მისი აპარატი ალბათ გაცხარდა, მაგრამ ჩვენ ეს შევაფასეთ, როგორც გონივრული ქმედება ადამიანისა, რომელსაც ესმის, რომ მსოფლიო – ნაწილობრივ მისივე დამსახურებით – იცვლება, ბევრად უფრო სწრაფად და ოდნავ სხვა მიმართულებით, ვიდრე ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მას წარმოედგინა. კრემლში მოწევა აკრძალული იყო და როდესაც ორი საათის შემდეგ გავბედე და ვკითხე შემიძლია თუ არა მოწევა, უკმაყოფილოდ დამიქნია თავი. სხვათა შორის: თეთრ სახლშიც შემოვიღე წესად მოწევა, თუმცა ახლა უკვე რამდენიმე წელია აღარ ვეწევი და ამდენად, ძლიერებს ამა ქვეყნისა შეუძლიათ ჩემი აღარ ეშინოდეთ. დამიქნია თუ არა გორბაჩოვმა თავი, ყოველი მხრიდან საფერფლეები მოჰქონდათ. საინტერესო იყო გორბაჩოვის რეაქცია, როდესაც ვთქვი, რომ აწი სატელიტი კი არა, პარტნიორი ქვეყანა ვიქნებით: მითხრა, რომ სატელიტი ძალიან ძლიერი და თან არაზუსტი გამონათქვამია და რომ მე, როგორც ლიტერატორს, ასე მხატვრულად საუბარს მპატიობს. მე კი გავიფიქრე, შეხედეთ ერთი როგორ კეთდება ისტორია! მას შემდეგ ყოველგვარი თეორიები, ოფიციალურ ისტორიას ამოფარებული საიდუმლო შეთქმულებების შესახებ, კიდევ უფრო სასაცილოდ მეჩვენება. აშშ-ში ერთმა მეგობარმა ინდიელების ნამდვილი მშვიდობის ჩიბუხი მაჩუქა. გავიფიქრე, რაკი უმნიშვნელო შეყოვნების შემდეგ ამერიკიდან პირდაპირ საბჭოთა კავშირში მივემართები, სახალისო იქნებოდა, რომ მშვიდობის დესპანი განმესახიერებინა და ეს ჩიბუხი გორბაჩოვისთვის მიმერთმია-მეთქი. ათასგვარი შემოწმების გამო წარმოუდგენლად რთული იყო ჩიბუხის ჩვენამდე მოტანა, მაგრამ ჩემმა მცველებმა მაინც მოახერხეს. ბოლოს და ბოლოს, საჩუქარი გადავეცი გორბაჩოვს, რომლის საპასუხო რეაქციაც ასე ულერდა: არ ვარ მწეველი. არ ვიცი, ეს მიუხვედრელობის გამოვლინება იყო თუ იუმორი, თუმცა

ამ მეორეს უფრო დიდი სიამოვნებით ვირწმუნებდი.

თქვენს პირველ საახალწლო გამოსვლაში, პრეზიდენტად არჩევიდან ორი დღის შემდეგ, სხვა ყველაფერთან ერთად, ისაუბრეთ თქვენს თამამ ჩანაფიქრებზე, მათ შორის იმაზეც, რომ გსურთ აღადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობები ვატიკანსა და ისრაელთან, მოიწვიოთ რომის პაპი და დალაილამა. ამ იდეებთან დაკავშირებით რაიმე კონსულტაციები გქონდათ თუ მოულოდნელად ჯიბეებიდან აძვრენდით?

თუ სიმართლე გნებავთ, მეორე უფრო ახლოსაა სიმართლესთან. დიდი კონსულტაციების დრო არ მქონდა, ერთიორმა მეგობარმა წინასწარ გადაიკითხა, ეს იყო და ეს. ყველა კონკრეტული დაპირება შესრულდა. პაპი სამიოდე თვეში გვეწვია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ვიზიტები წლობით იგეგმება. ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პაპის პირველი ვიზიტი იყო და ჩაიარა დიდებულად. ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით პირველ თავისუფალ არჩევნებს. საარჩევნო კამპანია ცოტა თეატრალიზებულად, ხანდახან უბადრუკად გამოიყურებოდა, პაპმა კი შეძლო, რომ თუნდაც ცოტა ხნით, საზოგადოების ყურადღება ცისკენ აეპყრო და ხალხი მნიშვნელოვან საკითხებზე დაეფიქრებინა. საზოგადოების ცნობიერებაში კი დარჩა წინადადება, რომლითაც აეროპორტში მივესალმე პაპს: „არ ვიცი, თუ საერთოდ ვიცი რა არის სასწაული, მიუხედავად ამისა, გავბედავ და ვიტყვი, რომ ახლა სასწაულის მონაწილე ვარ“. შემდეგ მონაზვნები, სადაც კი დამინახავდნენ, მეძახდნენ: „ეს სასწაულია“. პრაღის ჰრადზე ხელოვანებთან და ინტელექტუალებთან პაპის შეხვედრა დავასრულე წინადადებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენთან, ცოდვილებთან“. ეს ის დრო იყო, როდესაც ძალიან მართობდა გამოსვლების წერა და ორიგინალური მოწოდებების შეთხზვა, ართობდა ეს ჩვენს ახლად გათავისუფლებულ საზოგადოებასაც. პაპთან ყოველ საუბარს, თემისგან განურჩევლად, როგორც აღსარებას ისე განვიცდიდი და ყოველთვის ამ „აღსარებების“ და ასე ვთქვათ, ცოდვებისაგან არაპირდაპირი გათავისუფლების

შემდეგ თავს ხელმეორედ შობილად ვგრძნობდი ხოლმე. დალაი-ლამას პირველი ვიზიტიც დიდებული იყო. ვიყავი პირველი ქვეყნის ხელმძღვანელი, რომელმაც დალაი-ლამა ოფიციალურად მიიპატიჟა. ჩვენი პოლიტიკოსები აღშფოთდნენ, ყველაზე დიდ პროტესტს გამოთქვამდაზდენეკ იჩინსკი (სხვა ვინ იზამდა ამას?). თუმცა სულ ტყუილად ნერვიულობდა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ კულისებს მიღმა შეგვატყობინა, რომ მიუხედავად ოფიციალური პროტესტისა, ჩვენი ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობებზე ეს არ იქონიებდა გავლენას. დიპლომატიური ურთიერთობები ვატიკანსა და ისრაელთან სწრაფად დავამყარეთ, ისრაელში ჩემი პირველი მოგზაურობა, 1990 წლის აპრილში, დღემდე მშვენივრად მახსოვს. მაშინ ერთმანეთის მიყოლებით არა მარტო მეზობელი ქვეყნები მოვინახულე, არამედ ევროპის ქვეყნების უმეტესობაც შემოვიარე. მამოძრავებდა შეგრძნება, რომ ჩვენი რესპუბლიკა რაც შეიძლება სწრაფად უნდა წარმოვადგინო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. ბევრი პოლიტიკოსისთვის და ზოგადად ხალხისთვისაც მთელს მსოფლიოში, კომუნისტური ბლოკის სხვა ქვეყნებთან ერთად, წარმოვადგენდით ერთფეროვან ან სულაც უფერულ გროვას. დიდი სიამოვნებით ვიხსენებ ხოლმე მღელვარებითა და სიხარულით გაჯერებულ იმ პირველ ვიზიტებს. მაგალითისთვის გავიხსენებ ვიზიტს პოლონეთში, სადაც შემეგებნენ ძველი დისიდენტი მეგობრები, დღეისთვის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები და სეიმში გულის ამაჩუყებელი ოვაციები მომიწყვეს. განსაკუთრებულ გრძნობას ბადებდა სახელმწიფო ვახშამზე ზბიშეკ ბუიაკის, ვარშავის სოლიდარობის ლეგენდარული წინამძღოლის, იაჩეკ კურონეს, ადამ მიხნიკის, ბრონისლავ გერემკას და სხვა მრავალი მოღვაწის ყურება გენერალ იარუზელსკისა და მისი პუტჩისტური მთავრობის გვერდით. იქვე იყო შინაგან საქმეთა მინისტრი კისცაკი, რომელიც ბუიაკს ახსენებდა ხოლმე, რომ სახელმწიფო პოლიცია ჯერ კიდევ მის ფორმაშია გამოწყობილი. საინტერესოა, რომ თვით იარუზელსკიმ რამდენჯერმე და ნამდვილად გულწრფელად მომიბოდიშა 1968 წლის ოკუპა-

ციისათვის, როდესაც პოლონეთის თავდაცვის მინისტრი იყო და მიხსნიდა თუ როგორ გამოიძახეს შვებულებიდან, ზუსტად მაშინ, როდესაც ყველაფერი უკვე დაწყებული იყო, თუმცა სოლიდარობის წინააღმდეგ თავის პუტჩს არანაირად არ ნანობდა, ცხადია, დარწმუნებული იყო, რომ ქვეყანა გადაარჩინა სისხლისმღვრელ საბჭოთა ოკუპაციას.

(ვაშინგტონი 11. 5. 2005)

გუშინ არქივის მთავარ შენობაში თან გვახლდა შეერთებული შტატების არქივების მთავარი მმართველი, რომელსაც პრეზიდენტის ყველა ბიბლიოთეკაც ექვემდებარება ასე თუ ისე, და შემდეგ გემრიელ სადილზეც მიგვიწვია. უკვე დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს და ამჯერად ახლად ჩაფიქრებულ ვაცლავ ჰაველის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით შემოგვთავაზა დახმარება და თანამშრომლობა. სადილის შემდეგ მე და არქივარიუსმა ბევრი ვერაფერი დავწერეთ. ეს სადილები მომკლავს. საღამოს ვეღარ გავაღწიე ბიბლიოთეკიდან, ჩარაზული იყო. შემდეგ მეგობრებთან ერთად შევიარე ჯორჯთაუნის პატარ-პატარა რესტორნებში, ღამე ცუდად ვიყავი, სუნთქვა არ შემეძლო და ჟანგბადს ვსუნთქავდი, ბევრი დასაძინებელი წამალი დავლიე, მაგრამ ტყუილად. დღეს ნაშუადღევს აქ განგაში იყო, ასობით ადამიანს სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა ბიბლიოთეკა. ამბობდნენ საწვრთნელი განგაში იყოო. მაგრამ, როგორც მალე გაირკვა, მსგავსად ევაკუირებულ იქნა თეთრი სახლი და კონგრესი. მიზეზი აღმოჩნდა მოყვარული მფრინავი, რომელსაც გზა აებნა, დაეხეტებოდა იქ, სადაც არ შეიძლება და თანაც რადიოსიგნალებზე არ რეაგირებდა. მნიშვნელოვანი რამ: მოვიმზადე მარილი და სულ ჯიბით ვატარებ, აწი ყველაფერი რიგზე იქნება.

(6. 2. 2000)

(...)

2) სამეფო ბალის პროგრამა სავალუტო ფონდთან დაკავშირებით. გირჩევთ მიმართოთ ირჟი სტივინსს, ძმებ ფორმანებს და აგრეთვე სხვა ჩვენს სანდო პარტნიორებს, ისეთებს, როგორებიც არიან „სპირიტუალ კვინტეტი“, ივა ბიტნეროვა და სხვა ჯაზმენები (კოუბკოვა). როკერებთან დაკავშირებით უფრო რთულადაა საქმე,

უზარმაზარი აპარატურა ესაჭიროებათ. ზოგიერთს კი უბრალოდ დრო არ აქვს. ისინი, რომლებიც მოახერხებენ მოსვლას, ბაღის სხვადასხვა ნაწილში გამოვიდნენ ან იქნებ ჯობდეს, რომ ყველანი ერთსა და იმავე ადგილას შეენაცვლონ ერთმანეთს. სჯობს პეტრე ოსლზილს მოვეთათბიროთ ამის თაობაზე. ეს ყველაფერი რეჟისორს თხოულობს, იქნებ ანდრეი კრობს ვკითხოთ, ჩემზე უკეთ არის გათვითცნობიერებული და ვინმეს გვირჩევდა. კარგი იქნებოდა, რომ შემეძლოს ამ მზადებისთვის შორიდან თვალყურის დევნება. ჩემს კანცელარიას რთული ამოცანა აქვს დასმული, სტუმრების სიის შედგენა. მე საქმის ესთეტიკურ მხარეზე ზრუნვა მირჩევნია.

(12. 3. 2000)

1) შაბათს პარტიული პრესკონფერენციის ტელეგადაცემას ვუყურე, სადაც ზემანმა გამოაცხადა პოლიციის იმ ქვედანაყოფების ხელმძღვანელობაში რადიკალური ცვლილებების საჭიროება, რომლებსაც მე ვეწვიე ამ ცოტა ხნის წინ და შევაქე, რაც სასაცილოდ – ჭკვიანურად! – იყო კომბინირებული ამ დანაყოფებში ჩემი ვიზიტების კადრებთან და ერთ-ერთი ამ სამსახურის შეფისთვის მედლის გადაცემის ინფორმაციასთან. ერთის მხრივ, შესაძლოა, ამას არც არაფერი მოჰყვეს, მეორეს მხრივ კი ყველაზე სერიოზული კრიზისია მოსალოდნელი ჩემსა და პოლიტიკურ ელიტას შორის. რატომ თქვა ეს ზემანმა? ნაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი: საქმეში რომ ჩაესვარა ჩემთვის და ეჩვენებინა თუ ვინ არის ქვეყნის ბატონ-პატრონი. ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი: ერთ-ერთი სამსახური პირდაპირ მიიყვანა კვალმა შლოუფთან, რომელიც ამის გამო უკვე დიდი ხანია აწვება ზემანს (თუკი საერთოდ შანტაჟს არ უწყობს რაიმესთან დაკავშირებით), რომ აღნიშნული სამსახურის უფროსი მოიხსნას. ცხადია, საბჭოთა კავშირის ამ მეგობარს, მეორე დანაყოფის შეფის შესაძულებლად პირადი მიზეზებიც გააჩნია. გრულიხი უნდა განთავისუფლდეს, რადგან ამ ცვლილებებს ეწინააღმდეგებოდა, ეს უტყუარი წყაროებიდან ვიცი. აღნიშნულ ხელმძღვანელებს ასახელებს მინისტრი, პოლიციის პრეზიდენტის რჩევით და არა მთავრობის თავმჯდომარე. იფიქრეთ რა ვიღონოთ. ჯერჯერობით მე მხოლოდ ერთი ასეთი აზრი მაქვს: გრულიხის გადადგომამდე (ეს უკვე ამ კვირას შეიძლება მოხდეს!) და მისი შემცვლელის დასახელებამდე თავს მოვიკატუნებ, თითქოს არაფერი ვიცი. შემდეგ სასწრაფოდ გამოვიძახებ იმ შემცვლელს და გასაგებად ვეტყვი, რომ თანამდებობაზე დასახელებამდე, ოფიციალუ-

რად უნდა განაცხადოს, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ვინც არ უნდა მოითხოვოს ეს, პოლიციის წამყვან პოსტებზე არ მოახდენს არავითარ მნიშვნელოვან და ნაჩქარებ ცვლილებას, რადგან პირველ რიგში კარგად უნდა გაეცნოს ვითარებას და გაერკვეს შექმნილ სიტუაციაში. თუ მსგავსი განცხადების გაკეთებაზე უარს განაცხადებს, არ დავასახელებ თანამდებობაზე და ეს წარმოქმნის ნამდვილ კრიზისს. (...) ზემანმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიგოს, რომ მაქვს მის წინააღმდეგ იარაღი და რომ მზად ვარ მის გამოსაყენებლად. ღმერთო ჩემო, როგორ მაგონებს ეს ყველაფერი გამარჯვების თებერვალს[81]*! (...)*

3) უშიშროების საბჭო. ორი შესაძლებლობა არსებობს. პირველი: ავადმყოფობა. ეს ყველაზე მარტივია, მაგრამ ალბათ უმართებულო. მეორე შესაძლებლობა – მივიდე იქ – ასეთ შემთხვევაში საფუძვლიანად უნდა მოვემზადო. არა მარტო მოლაპარაკებებისთვის და პრესის წინაშე გამოსასვლელად, არამედ ზემანთან, კლაუსთან, კავანთან, ბაშტასთან, გრულიხთან და სხვებთან შესახვედრად და ეს მაშინ, როდესაც, ერთის მხრივ, მათ ერთმანეთთან და მეორეს მხრივ, მე ყოველ მათგანთან, უზომოდ დაძაბული ურთიერთობები გვაქვს (ახლა ყველაზე ნაკლებად მე და გრულიხს). (...) მასალები კიდევ ერთხელ დიდი ყურადღებით წავიკითხე და მაინც ზოგიერთი რამ არ მესმის. პირველი: მჭირდება გავიხსენო (რუქისა და დიაგრამის საშუალებით) დანაყოფების დღევანდელი სტრუქტურა და დისლოკაციის პუნქტები. მეორე: უნდა გავიხსენო თუ რა არის დაგეგმილი მათი ტრანსფორმირების მიზნით და რა წერია შესაბამის მოსაწყენ კონცეპტუალურ სამხედრო დოკუმენტებში, აშშ-ს სამიტზე ჩემ მიერ მოწონებული ნატოს დოკუმენტების ჩათვლით. და მესამე: რა არის უმნიშვნელოვანესი ჩემ მიერ ხელმოწერილ სამხედრო კანონებში (ეს

---

81 ჩეხი კომუნისტები გამარჯვების თებერვალს უწოდებენ ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური გადატრიალების ხანას, რომელიც განხორციელდა 1948 წლის 17.02-25.02 პერიოდში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გაჭირვებაში მყოფი მოსახლეობისათვის „ნათელი მომავლის" დაპირებებით, სსრკ-დან მართულმა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ (ჩსკპ) მოიხვეჭა საგრძნობი პოპულარობა. პარალელურად პოლიტიკური მკვლელობებისა და სხვა მაქინაციების მეშვეობით, ჩსკპ-მ მოიპოვა გავლენა ქვეყნის პარლამენტშიც, გამოიწვია პოლიტიკური კრიზისი და 17.02-25.02 პერიოდში არაკომუნისტი მინისტრების გადადგომის შემდეგ მთლიანად დაეპატრონა მთავრობას, პირველ რიგში ძალოვან სამინისტროებს. ამიერიდან ჩეხოსლოვაკიის „კომუნისტური" ბედი გადაწყვეტილი იყო, რჩებოდა ფორმალობები, ქვეყნისთვის „სოციალიტური რესპუბლიკის" დარქმევა და დაძაბუნებული, ძალაუფლება დაკარგული პრეზიდენტ ბენეშის შეცვლა (მალე თვითონვე გადადგა), რაც განხორციელდა ამავე წლის ივნისში ძალადობრივი არჩევნების ჩატარების შემდეგ, როდესაც პრეზიდენტი გახდა ჩსკპ-ს ლიდერი კლემენტ გოტვალდი.

ასობით გვერდს მოიცავს). (...) 2) ფართო საზოგადოებისა და პოლიტიკოსთა ყურადღება მიეპყროს ნატოს 2000 წლის სამიტის პრაღაში ჩატარების შესაძლებლობას, წარმოჩნდეს ამ მოვლენის მთელი მნიშვნელობა არამარტო ჩვენთვის, არამედ მთელი ევროპისთვის: ეს ყოველ ეჭვის თვალით მაყურებელს დაანახებს, რომ დღევანდელი ნატო ძლიერ განსხვავდება იმისგან, რაც რკინის ფარდის დაცემამდე იყო. (...) 4) ხანგრძლივი დაბნეულობის შემდეგ, რის გამოც საზოგადოების თვალში სულ უფრო სასაცილოდ გამოვიყურებით, დროა გამანადგურებელ თვითმფრინავებზე გამოვაცხადოთ ტენდერის დასასრულისა და შედეგების წარდგენის საბოლოო ვადები. 5) მოვიძიოთ სახსრები ტაბორში ნატოს ხელმძღვანელობის შენობის ასაშენებლად (სხვათა შორის, ეს ჩემი რამდენიმე წლის წინანდელი ინიციატივაა.) იქ ვიქნები არაკეთილმოსურნეთა გარემოცვაში და ყველას მათი უზარმაზარი სამსახურების მიერ მომზადებული კონკრეტული ინფორმაციით სავსე გამოსვლა ექნება. წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ რაიმეს უცოდინრობით თავი შევირცხვინო, ვთქვათ, არ ვიცოდე პრაპორშჩიკისა და სერჟანტის წოდებების დღევანდელი რიგი, სულმოუთქმელად ელოდებიან ჩემი დაცინვის შესაძლებლობას. (...)

(26. 3. 2000)

(...)

15) ყველას, ვისაც კი ველაპარაკე, რაღაც მაინც წამოსცდა. მაგალითად, მიულერს ან პანი პროკურორს. ჩემი პირადი წარმოდგენისთვის მჭირდება მათ შორის კავშირების ამსახველი დიაგრამა დავხაზო. მაგალითისთვის: ფინანსური დაჯგუფება პპფ – სადაზღვევო კომპანია – ერსტე (შლოუფას განცხადება ქრთამთან დაკავშირებით) – შემნახველი ბანკი – საინვესტიციო და საფოსტო ბანკები – „მოტოინვესტი" – მოტოინვესტის მიერ მითვისებული ბანკები – შესაბამისი სასამართლო სარჩელები და მათი „მიჩქმალვები" – „აგრობანკი", „მორავია ბანკი" – რუსულენოვანი მაფიის გათეთრებული ფული, რომელიც, ჩვენი ცნობების მიხედვით მთელი ამ მაფიოზური კვანძისთვის საწყის კაპიტალს წარმოადგენდა. სდპ-ს ანგარიშების შესწავლა. „პრიმასა"[82] და „ნოვას" მფლობელები, მილეევკა და სხვები. პან ი. და ნ. ნამდვილად მოახერხებდნენ შემოერბინათ ვილაც-ვილაცები (მახალეკი, პოლიცია, დახმარებას გვთავაზობს კოტრბა). რა უნდა ვიფიქრო ტომინო-

82 „პრიმა" (prima)- ჩეხეთის ერთ-ერთი კერძო ტელეკომპანია.

ვის ინსპექციასთან დაკავშირებით? პანი პროკურორმა მიმანიშნა, რომ ჩემი რჩეული სკოუპის თავზე ცა მოიქუფრა. საჭიროა მეტი ინფორმაცია (მორავია ბანკზე ვლაპარაკობ). ყოველივე ეს პირადად მე მჭირდება, რათა თავი უფრო მყარად ვიგრძნო. სამწუხაროდ, ამ ყველაფრიდან ვერაფერს გავახმაურებ. ძალიან გამიხარდებოდა, შემდეგი სამი რიცხვი რომ დაგვე ზუსტებინა: მითვისებულის მთლიანი ოდენობა (სოპ[83]-ის ცნობით, ლაპარაკია 600 მილიარდზე, მაგრამ ვერ ვიხსენებ, თუ რას გულისხმობს კონკრეტულად). ყველა ბანკის უიმედო კრედიტების მოცულობა და იმათი ხარჯები, რომლებიც გაკოტრდნენ. რამდენი ასეული გასცა ბანკებზე და რამდენის გაცემას განაგრძობს სახელმწიფო (კომერციულის შემთხვევაში ლაპარაკობენ 100 მილიარდზე). ბოლო ათი წლის განმავლობაში გადაუხდელი გადასახადების მთლიანი მოცულობა. საბოლოო ჯამში, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ მთლიანობაში ბილიონი კრონი ნაწილობრივ მოპარული და ნაწილობრივ გაფლანგული იყო? (...)

(26. 4. 2000)

(...)

4) გთავაზობთ, კავანს ოფიციალური წერილი მივწეროთ იმის შესახებ, რომ ვაპირებ პრაღაში ნატოს სამიტის ჩატარებისათვის ბრძოლას, რომ მასთან მოლაპარაკების შემდეგ (თვითმფრინავში სტამბულიდან) ეს ბრძოლა პრინციპში უკვე დავიწყე და რომ ზემანი თანახმაა, რომ მას ვუხმობ თანამშრომლობისათვის და რომ მისგან, პირველ რიგში, მჭირდება სავარაუდო ხარჯების წერილობითი ანგარიშები. უნდა ჩავავლოთ მის გამოგონებულ აბსურდულ ცხრა მილიარდზე, რომელზეც ზემანიც კი იცინის. ზემანმა თქვა, რომ კრონებში 300 მილიონამდე ხარჯს დაეთანხმება. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გთხოვთ ჩართოთ საქმეში მინისტრი ვეტხი, მარტინ პალოუში, კოვანდა და სხვები. საუკეთესო იქნებოდა მიგველო მთავრობის საიდუმლო დადგენილება ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს იქნებოდა მანდატი, რომელიც ბრძოლის ნებას დამრთავდა და მაშინ აუცილებლად მივაღწევდი ჩემსას. მადლენს ეს იდეა ძალიან მოსწონს, ამდენად, ალიანსის უძლიერესი ქვეყანა ჩვენს მხარეზეა და ეს მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი მინისტრი ჩეხეთის ლობისტად წარმოჩნდება. (...) ამით მოვახდენდით იმ ფაქტის დემონსტრირებას, რომ დღევანდელი ნატო ძალიან გან-

83 სოპ – სექტორული ოპერაციული პროგრამები, წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის დამფინანსებელ პროგრამებს.

სხვავდება ცივი ომის დროინდელისაგან. ეს მთავარ არგუმენტად მესახება (რომელსაც სდპ და მემარცხენეები ყურადღებას მიაპყრობენ). (...)

5) შეგახსენებთ, მიუხედავად ყველაფრისა, (...) მინდა გავაგრძელო (...) ბრძოლა მაფიოზური კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც ზემანნმა შერიგება შემოგვთავაზა პოლიციის უფროსის საკითხთან დაკავშირებით და პელტრამი თანახმაა ილაპარაკოს, სიტუაცია დამაიმედებლად გამოიყურება. (...)

(28. 5. 2000)

1) ის, რომ პარასკევს, ცოტა არ იყოს, აღგ ზნებითა და აღელვებით ვსაუბრობდი (ეს სულ უფრო ხშირად მემართება), არაფერს ცვლის პჰა-ს უსაზღვრო უგემოვნობისა და წარმოუდგენელი ქმედებების საკითხის სერიოზულობის მხრივ. ბორჟეკის ვერსია: თქვენვე მოითხოვეთ, რომ გალერეის გეგმაში კაფე ყოფილიყო იქ, სადაც არის. ბორჟეკმა დავალება შეასრულა და ისე, რომ საგამოფენო დარბაზის შესასვლელის შემდეგ განალაგა ვესტიბიული, რომელშიც მოთავსდება გამოფენის ნაწილი და შესვლა თავისუფალი იქნება, როგორც ზოგადად გალერეებშია მიღებული და ზუსტად იქიდან არის გასასვლელი კაფეში. ფასიანი კი გამოფენის დანარჩენი დარბაზების დათვალიერება იქნება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში თუ შევა ხოლმე იმ კაფეში ვინმე. პჰა-ს კი შიპეკის უკითხავად, იქვე, მთავარ შესასვლელთან დაუდგამს ხის რალაც სიმახინჯე, სადაც ფულს იღებენ და კაფეში აღარავინ შედის. გავიგე, რომ ამ ყველაფრის გამოსწორებას კაფეში ეზოს მხრიდან პირდაპირი შესასვლელის გაჭრით აპირებენ. არ ვიცი ვის მოაფიქრდა ეს, ერთი კი ცხადია, შიპეკის სტილში არ ზის (თანაც ცოტა ხნის წინ მოვილაპარაკეთ, რომ მთელი ეზო შეინარჩუნებს ერთიან ხელწერას), ამბობენ, რომ გამოიყურება როგორც ყველაზე ულიმლამო სუპერმარკეტის შესასვლელი და რომ რეკონსტრუქცია საკმაოდ ძვირი დაჯდება, რადგან საავენტილაციო სისტემა იქნება გადასაკეთებელი და ა.შ. ასეთია შიპეკის ვერსია. კ.-ს, ცხადია, საკუთარი, სრულიად საწინააღმდეგო ვერსია გააჩნია. მაგრამ სულ უფრო მჯერა შიპეკის, რადგან ეს ყველაფერი ზუსტად შეესაბამება საერთო ტენდენციებს. როგორც მებაღის ის სათავსო, საზიზღრობა უთვალსაჩინოეს ადგილას (იელენისა და ბრუსნიცეს კუთხეში), რომელიც საერთო კონტექსტიდან სრულებით ამოვარდნილია, უსაფრთხოების ზოლის ჩრდილოეთ ნაწილის კონცეფციას ეწინააღმდეგება, შენობების ზოლსაა აცილებული, სულელურად

გამოიყურება, ნეონის ნათურებით ბრდღვიალებს (პჰა.-ს საყვარელი განათება) და თან ეს ყველაფერი ისე გაკეთდა, რომ ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს? ხომ ცხადია, რომ ჰრადის არეალ ზე დადგმული ორი ახალი ობიექტიანად, ზუსტად ეს შენობა იქნება ჩემი ეპოქის სავიზიტო ბარათი! მე კი ამ შენობის მრცხვენია. მაშინ, როდესაც კარგადაა ცნობილი, თუ როგორ ვზრუნავ უსაფრთხოების ზოლის მთელ ჩრდილოეთის მხარე ზე და იელენის ქუჩა ზე. (...)

(18. 6. 2000)

(...)

7) მოუთმენლად ველი იელენის ქუჩა ზე გასეირნებასა და საბოლოო მოლაპარაკებას დაგეგმილი აქციის შესახებ. მიუხედავად ამისა: გრძელდება თუ არა ამა ზე მუშაობა? ითვალისწინებენ თუ არა ორგანიზატორები ამას ჩვენს მთლიან განრიგში? აყალიბებთ სტუმრების სიებს? ვოლფენსონმა თუ გამოგ ზავნა თავისი შემოთავა ზებები დაპირებისამებრ? შეგვიძლია მოვიპატიჟოთ ისე, რომ საცხოვრებელ ზე, მგ ზავრობასა და სხვა წვრილმანებ ზე არ ვიზრუნოთ? თუ კი, მაშინ კარგი იქნებოდა მოგვეპატიჟებინა სახსე, ის ლიბერალი ეკონომისტი, რომელიც აკრიტიკებს საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ბაუმანი, სოროსი და სხვა ის პირები, რომლებიც გლობალიზაციის საკითხით არიან დაკავებული. როგორ მოგვარდება ეს საკითხები სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებისთვის? როგორ მოვიქცეთ გუბერნატორებისა და მინისტრების შემთხვევაში? და რა სიტუაციაა კერძო ბანკირებსა თუ ბიზნესის წარმომადგენლებთან დაკავშირებით? არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის? და ჩეხი სახელმწიფო თუ სხვა რანგის მოხელეები? ჟურნალისტები? ჩეხი ინტელიგენცია? რა კრიტერიუმებით, რის საფუძველ ზე და ვინ შეადგენს სტუმრების სიას? მთელი ეს აქცია, მისი ორგანიზება, თავისი პროგრამითა და სადღესასწაულო განწყობის შექმნით, უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე მოსაპატიჟებელთა სიების შედგენა. (...)

11) ყოველ წამს შეიძლება საქმე ისე შეტრიალდეს, რომ დამჭირდეს სასწრაფო მოლაპარაკებები საარჩევნო კანონთან დაკავშირებით. ისინი კი შეიძლება მაინცდამაინც ამ დროს აღმოჩნდნენ მიუწვდომლები. ამიტომ, კიდევ ერთხელ გთხოვთ, ყველაფერი დიდი წინდახედულობით შეამზადოთ ვითარების ნებისმიერი განვითარებისთვის, შესაბამისი წერილებისა და პრესკონფერენცია ზე გასაკეთებელი განცხადებების ჩათვლით. ძირითადი შესაძლებლობები:

სენატი მოიწონებს. ასეთ შემთხვევაში იმავე დღეს, შეტყობინების მიღებისთანავე, კანონს დავაბრუნებ. ანუ არსებული ვადის გასვლას არ დაველოდები. მეორე შესაძლებლობა: სენატი მოიწონებს, ოღონდ კანდიდატის მიერ აცილების შემთხვევაში, განმეორებითი არჩევნების დანიშვნის დადგენილებაში შესწორების შეტანის შემდეგ და გადასცემს ქვედა პალატას, რომელიც აგრეთვე მოიწონებს შესწორებულ კანონს. ასეთ შემთხვევაშიც, როგორც კი მივიღებ, იმავე დღეს დავუბრუნებ პარლემენტს. სავარაუდოდ, ამ ორივე შემთხვევაში, ჩემ მიერ დოკუმენტის დაბრუნების შემდეგ, პარლამენტი სასწრაფოდ მოწვეულ საგანგებო სხდომაზე ამ კანონს დაამტკიცებს. თუკი ეს მართლაც ასე მოხდება, ჩემი კურიერი, კანონების კრებულში გამოქვეყნების დღესვე, წაიღებს ჩემს განცხადებას საკონსტიტუციო სასამართლოში. განცხადებაში მოვითხოვ არა მთელი კანონის, არამედ მხოლოდ იმ პარაგრაფების გადახედვას, რომლებიც ქვედა პალატაში არჩევნების (2002 წლის) ზოგიერთ ძირითად პრინციპს შეეხება. არ ვლაპარაკობ ყველა პრინციპზე და არჩევნების ჩატარების ტექნიკაზე. ჩემი აზრით, ეს ნიშნავს, რომ შემდგომი არჩევნები სენატში შემიძლია აუღელვებლად დავგეგმო ახალი, უკვე დღეს მოქმედი კანონის დამატების მიხედვით და რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია წყნარად შეისწავლოს ჩემ მიერ გაკრიტიკებული პარაგრაფები. ყოველ შემთხვევაში ვიმედოვნებ, რომ ეს შესაძლებელია ანუ საბოლოო მიმართულება ასეთია: იმ ვითარებას, რომ ბოლო წამს, მომავალ არჩევნებთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემები და 2002 წლის არჩევნების პრინციპული საკითხები ასე საგანგებოდ აითქვიფა ერთმანეთში, აღარ მივაქცევ ყურადღებას. ეს სდპ-სთვის დამახასიათებელი კვანტის გამოდებაა. ამავე დროს, მოწინააღმდეგეს ჩემი მიზეზით დაგვიანების ერთ დღესაც კი არ მივართმევ, რათა მერე არ გადმომაბრალონ, რომ ესა თუ ის ჩემ გამო მოხდა. ჩემი ქმედებების თანამიმდევრობიდან და რაც მთავარია მათი შინაარსიდანაც დღესავით ნათელი უნდა იყოს, რომ ამ ბოლო წამში მომავალ არჩევნებთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემებისა და 2002 წლის არჩევნების პრინციპული საკითხების კომბინირება, არის ჩემთვის და ჩვენი დემოკრატიისათვის დაგებული ხაფანგი და სხვა არაფერი. არ მაქვს ამ ხაფანგში გაბმის უფლება.

თქვენი დიდი ენთუზიაზმისა და ჰიპერაქტიურობის ხანაში, რომელიც უკვე ახსენეთ, დაიბადა ვიშეგრადის იდეა, რომელმაც მოგვიანებით მოიმკა ვაცლავ კლაუსის ხანგრძლივი და საფუძვლიანი კრიტიკა. ხომ არ გეჩვენებათ, რომ მაშინ ეს იყო ჯერ კიდევ მოუმზადებელი და დაუხვეწელი პოლიტიკური პროექტი?

დასაწყისში ეს არავითარი პროექტი არ იყო. ეს იყო შეხვედრა, რომელიც ბრატისლავის ჰრადზე 1990 წლის აპრილში მოვაწყვე. ეს იყო კომუნიზმის საყოველთაო ნგრევის ხანა, რომელიც ყოველ ქვეყანაში თავისი საკუთარი გზითა და ტემპით მიმდინარეობდა. ხელისუფლებაში მოდიოდნენ სრულებით განსხვავებული ვითარებიდან გამოსული ადამიანები, რომელთა შესახებაც ისიც კი არ ვიცოდით, თუ რა ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან. პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი გარკვეულწილად ცენტრალური ევროპის ერთიან ზოლს ქმნიან და ისტორიულ-კულტურულად ერთმანეთთან ახლოს არიან. გარდა ამისა, კარგად არის ცნობილი, რომ იშვიათად თუ იყვნენ ერთმანეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებში და რომ პირიქით, ხშირად ეომებოდნენ კიდეც ერთმანეთს. ევროპას მოსვენებას არ აძლევდა შეკითხვა, თუ როგორ მოიქცევიან ეს ახლად შობილი დემოკრატიები, ყოველი მათგანი თავის გზას შეუდგება თუ მეტ-ნაკლებად სინქრონიზებულ პოლიტიკას გაატარებენ ან ხომ არ გამოიღვიძებს არქეტიპული მტრული დამოკიდებულებები. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, აინტერესებდათ, ევროპისთვის, როგორც მთლიანისთვის, რისი მომტანი არის ეს ძირეული ცვლილებები მის ცენტრალურ ნაწილში და რა შედეგებს გამოიღებს. მე კი დაინტერესებული ვიყავი იმით, რომ მეგობრულსა და საქმიან ატმოსფეროში ერთობლივად გვესაუბრა ამ მოვლენების ირგვლივ და თან გაგვეცნო ერთმანეთი. ამიტომაც მოვიპატიჟე სამივე ჩვენი ქვეყნის არა მარტო უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები, არამედ ისინიც, ვინც ქმნის და აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს ამ ქვეყნებში. ჟურნალისტებისა და მათი თანმხლებლის ჩათვლით, ბრატისლავის ჰრადზე ასობით ადამიანმა მოიყარა თავი.

ეს ერთი დიდი იმპროვიზაცია იყო, არ დაგვიწესებია შეხვედრის ჩატარების წესები, წინასწარ არ განგვისაზღვრავს სასაუბრო თემები, არავითარი გამომსვლელთა წინასწარ დადგენილი თანამიმდევრობა, არავითარი სამეთვალყურეო დელეგაციები და სალონები ცალკეული დელეგაციებისთვის. მახსენდება, რომ ლუბოშ დობროვსკიმ, ვიზიტის სრული მოუმზადებლობის მიზეზით დაწყებამდე ერთი დღით ადრე შემომთავაზა მისი ჩაშლა. ეს იყო უჩვეული სადისკუსიო ფორუმი, სადაც მონაწილეებს უხდებოდათ თვითონ წარედგინათ საკუთარი თავი, ეს ერთადერთი საშუალება იყო გაგერკვია ვინ იდგა შენ წინაშე, მინისტრი, პარტიული ხელმძღვანელი, ისტორიკოსი თუ ჟურნალისტი. მე იქ გრძელი შესავალი სიტყვა მქონდა, რომლის წარმოთქმისას, ისევე როგორც შემდგომი დისკუსიების დროსაც, საშინლად ვიტანჯებოდი, რადგან ახალი გაკეთებული მქონდა თიაქრის ოპერაცია და კუჭ-ნაწლავის პრობლემები მაწუხებდა, საშინელი კუჭის აშლილობა მქონდა და ეს მაშინ, როდესაც ვიყავი ამ შეხვედრის ინიციატორი, ერთადერთი, ვისაც არ შეეძლო ასე უბრალოდ ადგომა და განსაზღვრული დროით გასვლა. ალბათ, აღნიშნულ პრობლემას უნდა ვუმადლოდე, რომ ასე კარგად დამამახსოვრდა მთელი ის მოვლენები. მიუხედავად ასეთი არეულობისა, გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს იყო იმ დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა. ზუსტად იქ შევთანხმდით, რომ გვინდა ვარშავის ხელშეკრულების შეწყვეტა, ჩვენი ქვეყნებიდან საბჭოთა ჯარების რაც შეიძლება სწრაფი მოშორება, კარის გაღება ისეთი დასავლური ორგანიზაციებისთვის; როგორებიცაა, ნატო, ევროპის კავშირი და რაც მთავარია, ამ მხრივ არა მარტო თანამშრომლობას და ქმედებების კოორდინირებას, არამედ გარკვეული მიზნების მიღწევის საქმეში ჩვენი ძალების შეერთებასაც ვესწრაფვით. ამავდროულად დასავლეთს ვუჩვენეთ, რომ მართალია, ჩვენს ქვეყნებში პოლიტიკური ცვლილებები სრულიად განსხვავებული გზებით განხორციელდა და უმაღლეს თანამდებობებზეც განსხვავებული პიროვნებები აღმოჩნდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დამთავრდა უთანხმოების პერიოდი და

იწყება რკინის ფარდის მსხვრევის შემდგომი ეტაპი, ახალი ევროპის მშენებლობის საქმეში შემოქმედებითი თანამშრომლობის ხანა. შემდგომშიც ხშირად ვიკრიბებოდით, ცხადია, წინასწარ დაგეგმილ და უკეთ ორგანიზებულ შეხვედრებზე და დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს იქიდან, რასაც იმ პერიოდში მივაღწიეთ ევროპაში, ვიშეგრადის თანამშრომლობის გარეშე ვერ შევძლებდით. ბალკანეთისა თუ ბალტიისპირეთის პოსტკომუნისტურ ქვეყნებსაც ჩვენი მაგალითის მიხედვით ორიენტირების და ჩვენი გზით სიარულის საშუალება მიეცათ, შეეძლოთ დაყრდნობოდნენ ჩვენს მცდელობებს და ამავდროულად დაგვხმარებოდნენ კიდეც. ვიშეგრადის ჯგუფი პირველად უნგრელმა ჟურნალისტებმა გვიწოდეს, ეს მოხდა უნგრეთის ვიშეგრადზე შეხვედრის შემდეგ, სადაც ხელი მოეწერა დოკუმენტს ჩვენი ჯგუფის იურიდიული ჩამოყალიბების შესახებ. მაშინდელი უნგრეთის პრემიერი ისტორიკოსი იყო და შეხვედრა ზუსტად იმ ადგილას მოაწყო, სადაც რამდენიმე ასეული წლის წინ ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთის, ჩეხეთისა და პოლონეთის მეფეები. ეს ისტორიული დოკუმენტი ნამდვილად საჭირო და მნიშვნელოვანი იყო, თუმცა დავუმატებ, რომ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში ჩვენი გუნდისათვის ვიშეგრადის ჯგუფი არ გვიწოდებია.

და რა ჰქონდა ამის საწინააღმდეგო ვაცლავ კლაუსს?

მის პოლიტიკაში ყოველთვის იყო ჩაქსოვილი პირადი პატივმოყვარეობა და როგორც ამაყ ჩეხს შეეფერება, უკაცრავად, მაშინ ჯერ კიდევ ჩეხოსლოვაკს, ფიქრიც კი არ შეეძლო იმაზე, რომ შესაძლოა ვინმესთან, უდავოდ ჩვენზე ნაკლებ განვითარებულთან მოუწიოს მოკავშირეობა, მასთან ერთ უღელში ყოფნა, ამით ჩვენი განვითარების დამუხრუჭება და გადახვევა რჩეულთათვის განკუთვნილი განვითარების გზიდან. იგი სახელმწიფოს მიერ წვეთი ძალაუფლების დათმობაზე უმნიშვნელო მინიშნების ამტანიც კი არ არის: ეს იყო იმის მიზეზი, რომ ბოლო წამამდე იბრძოდა სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის, არასამთავრობო სექტორისა და საერთოდ, სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ, ამი-

ტომაც არის, რომ ახლა იბრძვის ევროკავშირის წინააღმდეგ. იგივე მიზეზით ბობოქრობდა ვიშეგრადთან დაკავშირებით, რომელსაც ღებულობდა, როგორც ყალბი სოლიდარობის მემარცხენე-ინტელექტუალურ გამოხატულებას, რის გამოც შეიძლებოდა საუკეთესოთა შორის საუკეთესოს როლი დაგვეკარგა. ერთხელ, ვიშეგრადის ჯგუფის შეხვედრაზე – ისე, უბრალოდ, კერძო ლაპარაკისას – ვახსენე, რომ არ იქნებოდა ურიგო, ჩვენს სამ ქვეყანას ერთად შეეტანა განაცხადი ევროკავშირში, რომ ასეთ შემთხვევაში განაცხადებს მეტი წონა ექნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ჩვენგანის მიღების ვადებზე, ცხადია, ეს არ იქონიებდა გავლენას. მაშინდელი ჩემი პარტნიორები, მათ შორის ვაუენსაც, დამეთანხმნენ. თუმცა, ერთმა იქ დამსწრემ, ჩემმა თანამშრომელმა და მეგობარმა, რომელიც, ცოტა არ იყოს, მოჯადოებული ჰყავდა კლაუსს, ამის გაგონებაზე ბრაზისაგან ღაწვები ჩამოიხოკა. ეგონა უკეთესი იქნებოდა, არავისთვის არაფერი გვეთქვა და დასწრებაზე მოულოდნელად – რადგანაც, ცხადია პირველები ვიქნებოდით – გამოვმხტარიყავით ჩვენი განცხადებით. ეს, ასე ვთქვათ, პოლიტიკის კალათბურთის სტილში აღქმაა. ცხადია, მოგვიანებით განცხადებები ევროკავშირში თითქმის ერთდროულად შევიტანეთ და მიგვიღეს კიდეც ერთდროულად: ეს აბსოლუტურად ლოგიკური, პრაქტიკული და ბრძნული გადაწყვეტილება იყო. საბოლოო ჯამში, არ ვარ დარწმუნებული, რომ ევროკავშირისა და ნატოს გაფართოება ისე უმტკივნეულოდ ჩაივლიდა, როგორც ეს მოხდა, რომ არა ამ მოვლენების წინამორბედი ვიშეგრადის თანამშრომლობა.

როგორ გახსენდებათ დღეს ჩვენი ეკონომიკური გარდაქმნის საწყისი ეტაპი? საინტერესოა, იზიარებთ თუ არა მრავალი სპეციალისტისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილის კრიტიკულ თვალსაზრისს? თავიდან თუ განიცდიდით ეჭვებს? თუ კი, მაშინ საიტერესოა რატომ არ ამჟღავნებდით ამას?

მართალია, ოდესღაც ეკონომიკურ ფაკულტეტზე ვსწავ-

ლობდი, მაგრამ ეკონომისტად თავს არასდროს ვთვლიდი, ამიტომაც ვცდილობდი ღრმად პროფესიონალურ კამათებში არასოდეს ჩავრეულიყავი და უბრალოდ, ყურადღებიანი მსმენელი ვყოფილიყავი. ცხადია, ბოლომდე მსმენელად დარჩენაც შეუძლებელი იყო, ზოგჯერ დებატებს ეკონომიკური რეფორმის საკითხებთან დაკავშირებით ჩემით ვიწვევდი ან სულაც ვუძღვებოდი და ასე თუ ისე ვერთვებოდი კიდევაც მათ მსვლელობაში, ყოველ შემთხვევაში, უნდა ჩავრთულიყავი. გარდა ამისა, ეკონომიკური გარდაქმნების ხასიათსა და ტემპთან დაკავშირებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სათათბირო, ჩვენთან, ჰრადეჩეკზე იმართებოდა. განვლილი დიდი დროის გადასახედიდან ჩემი საბოლოო შთაბეჭდილება მოკლედ ასე შემიძლია ჩამოვაყალიბო: უფრო მეტად უნდა დავყრდნობოდი ჩემს არაპროფესიულ, მაგრამ საღ აზროვნებას და ნაკლებად – შეხედულებას, რომ სპეციალისტებმა უკეთ უწყიან, თუ რას სჩადიან. მახსენდება, ჯერ კიდევ მაშინ როგორ მაეჭვებდა ზოგიერთი რამ, მაგრამ დიდად ვერ ვუძალიანდებოდი, ვერ ვბედავდი. მაგალითად, არასწორად და საეჭვოდ მეჩვენებოდა თუნდაც ის, რომ უფასოდ დარიგებული კუპონების უკან იმალებოდა სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილის რეალური ღირებულება, ეს იყო ქონების დაფანტვისა და ანონიმიზაციის ახალი ხერხი და ამავდროულად, საპრივატიზაციო ფონდებს ფართო სამანევრო სივრცეს უქმნიდა, ბევრმა მათგანმა, პრივატიზებული ქონება, რომელიც წესით უნდა ემართა, ვითომც არაფერი, ისე მიისაკუთრა და შემდეგ ძვირად გაყიდა. მე კი ცუდ წინათგრძნობას ვებრძოდი იმ აზრით, რომ სხვაგვარად ეს ალბათ, შეუძლებელია-მეთქი. ზოგიერთი ძალას არ იშურებდა ამ აზრების სისწორეში ჩემს დასარწმუნებლად. წიგნში „ზაფხულის ფიქრები“ სხვა საკითხს ვეხები: ძალიან ვცდილობდი, რომ ეგრეთ წოდებული მცირე პრივატიზაციისას, როდესაც პანტაპუნტით იყიდებოდა მცირე საწარმოები და საერთოდ მცირე ბიზნესი, ამ ობიექტების თანამშრომლებს ჰქონოდათ შესყიდვის უფლება, რაც სავსებით ლოგიკურად და სამართლიანად მეჩვენებოდა, თანაც მეგონა, რომ ეს უზრუნ-

ველყოფდა სამომხმარებლო და მომსახურების სფეროში გარკვეულ წესრიგსა და სტაბილურობას. ჩვენი სამი მთავრობის საერთო შეხვედრაზე – ფედერალური და ორივე რესპუბლიკური – კენჭი ვყარეთ და მცირე დაწინაურებით გაიმარჯვა საპირისპირო მიდგომამ. ამგვარად, სამრეცხაოები ერთბაშად გადაკეთდნენ ბარებად, ბარები – სათამაშო დაწესებულებებად, რძის მაღაზიები კი – ბუტიკებად. მაგრამ კატასტროფული არაფერი მომხდარა, პირიქით, ბაზარმა შემდგომ თვითონვე მიუთითა სად რა იყო საჭირო, რა გვჭირდებოდა მეტად და რა – ნაკლებად. მთელი ეს ქსელი უეჭველად უკეთ პასუხობდა საერთო მოთხოვნას, ვიდრე კომუნისტების დროინდელი გაყინული, უცვლელი და ხელოვნური სისტემა. დღეისათვის ყველაფერი ისევ სხვაგვარადაა, საუბედუროდ, ამ ქსელს სამწუხაროდ, სუპერმარკეტები არღვევენ, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა. ამას ვლებულობდი, როგორც იმ შემთხვევის ილუსტრაციას, როდესაც ჩემს გამჭრიახობას ეკონომისტების ცოდნა სჯობდა. მხოლოდ ახლა, წლების შემდეგ, უკვე მეორედ, დავიწყე ჩემი შეხედულებების გადახედვა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც შევამჩნიე, რომ ყველაზე საეჭვო ახლად გამომცხვარი კაპიტალისტები, მაფიოზები და თაღლითი ბიზნესმენები, წამოიჩიტნენ მცირე პრივატიზაციისას, შესაბამისად, პატარა აუქციონებიდან, სადაც იყიდებოდა მცირე ბიზნესი. ნებისმიერს შეეძლო ფულის სესხება და რაიმეს ყიდვა ასეთ აუქციონზე, შემდეგ – ფულის მორიგი სესხება საინვესტიციოდ და, რასაკვირველია, ვალის არდაბრუნება. ამას შედეგად მოჰყვა ბანკების გაკოტრება და უზარმაზარი სახელმწიფო დოტაციები საბანკო სექტორში. ამ ფასად დაგვიჯდა ის, რომ გაუხსნეს გზა და გაუმარტივეს საქმე ათასგვარ სპეკულანტს, რაც კომუნისტების დროინდელი ცნებაა. არ ვამტკიცებ, თითქოს ქონების შესყიდვის კანონი საქმის ვითარებას რადიკალურად შეცვლიდა და მნიშვნელოვნად დაგვიცავდა. უბრალოდ, მიჩნდება შეგრძნება, რომ არჩეულმა ფუნდამენტალისტურმა მიდგომამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო ცინიკური ატმოსფეროს ჩამოყალიბებას. მაგალითად, კარგ პურის მცხობელს,

რომელსაც პატივს სცემს მთელი ქუჩა ან სულაც ქალაქის მთელი უბანი, შანსი არ გააჩნდა იმის წინააღმდეგ, ვინც მხოლოდ სხვადასხვა ფანდსა და ეშმაკობაში იყო მაგარი, მსგავსი სიტუაცია კი ნამდვილად არ უწყობდა ხელს ქვეყანაში ჯანსაღი ატმოსფეროს ჩამოყალიბებას. ყველაზე უფრო ის მაღელვებდა, რომ არა მარტო ეკონომიკური, არამედ, ზოგადად, სახელმწიფოს მოწყობის სამომავლო კონცეფცია მაკლდა. ყველაფერი უნდა მოეგვარებინა „ბაზრის უხილავ ხელს", მაშინ, როდესაც ბევრი რამის გაკეთება მას უბრალოდ არ ძალუძს. მეტიც, ვიტყოდი, რომ ამ განთქმულ „უხილავ ხელს" ზოგჯერ ადვილად შესამჩნევი ბოროტების თესვაც კი ეხერხება. სახელმწიფოს, რომელიც ისტორიულ გზაგასაყარზე აღმოჩნდა, უნდა ჰქონდეს წარმოდგენა საკუთარ თავზე, საკუთარ შესაძლებლობებზე, იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს და რა როლი უნდა რომ შეასრულოს მსოფლიოში, რაზე უნდა დადოს ფსონი და რას აარიდოს თავი. მსგავსი შეხედულებები, სპეციალიასტების მიერ გაანალიზებულ მრავაფეროვან ინფორმაციაზე დაყრდნობილი, მასშტაბური და საქმიანი დისკუსიების შედეგი უნდა იყოს, რომლებიც სცილდებიან ცალკეული პოლიტიკური პროგრამებისა და საარჩევნო პერიოდების ჰორიზონტებს. მაშინ კი, ყოველგვარი კონცეპტუალური მოსაზრებები თითქმის აკრძალული იყო, ყოველ შემთხვევაში, კარგად ორგანიზებული დაცინვის საგანი ნამდვილად ხდებოდა, რაზეც დღეს გვიწევს პასუხისგება. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით სინდისის ქენჯნა არ მაწუხებს. პირველივე წამიდან უთვალავჯერ მილაპარაკია ამ საკითხების შესახებ პარლამენტში, სახალხოდ, ტელევიზიით, ერთი სიტყვით, ყველგან და არ მაწუხებდა დამცინებდნენ თუ არა.

შეგიძლიათ უფრო კონკრეტული იყოთ? რა საკითხებთან დაკავშირებით უნდა ჰქონოდა სახელმწიფოს უფრო ნათელი წარმოდგენა და რა უნდა ეკეთებინა ამ მიმართულებით?

მოვიყვან მაგალითს, რომელიც უკვე არაერთგზის მომიშველიებია. ამერიკელებმა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყ-

ისშივე დიდსულოვნად შემოგვთავაზეს, რომ პრაღის მახლობლად, მლადეე ბოლესლავის გაპარტახებულ ტერიტორიაზე, რომელიც საბჭოთა სამხედროებს ეკავათ და საიდანაც ჯარები უკვე გადიოდნენ, აგვიშენებდნენ თანამედროვე უზარმაზარ სამგზავრო და სატვირთო ტრანსკონტინენტურ აეროპორტს, რომელიც კარსმომდგარ ახალ საუკუნეში ევროპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძი იქნებოდა. ამ პროექტს, ცხადია, შორს მიმავალი შედეგები მოჰყვებოდა, პრაღასთან დამაკავშირებელი ტრანსპორტის, სარკინიგზო ქსელისა და სამანქანო ტრასების განვითარებით დაწყებული და დამთავრებული შესაბამისი ინფრასტრუქტურის აყვავებით. ვერ ვბედავ სერიოზულად ვიმსჯელო იმაზე, კატასტროფული იქნებოდა ეს ჩვენი ქვეყნისათვის თუ სასიკეთო. სხვათა შორის, მაინც უფრო პირველ შესაძლებლობას ვემხრობი, თუმცა ამაზე არ მაქვს საუბარი. საუბარია იმაზე, რომ მსგავსი მნიშვნელობისა და შორს მიმავალი შედეგების მქონე საკითხები, რომლებიც სამუდამოდ თუ არა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქონიებენ გავლენას ქვეყნის იერსახესა და როლზე, არ შეიძლება, რომ იხილებოდნენ რიგით სამთავრობო სხდომაზე, როგორც ერთ-ერთი რიგითი პუნქტი დღის წესრიგისა, დანარჩენ ოცდაათ საკითხთან ერთად. მსგავსი საკითხების გადაწყვეტა უნდა ეყრდნობოდეს სერიოზულ განსჯასა და მკაფიო წარმოდგენას იმაზე, თუ როგორი ქვეყანა გვინდა რომ ვიყოთ. გვინდა ვიქცეთ მსოფლიო მნიშვნელობის მქონე გზაჯვარედინად, ვთქვათ, როგორც სინგაპური, რომლის ეკონომიკური განვითარება და კეთილდღეობა, ისევე როგორც სტრატეგიული მნიშვნელობა უსაფრთხოების ასპექტის ჩათვლით, დაფუძნებულია იმაზე, რომ ყველა და ყველაფერი მისი გავლით გადაადგილდება, თუ პირიქით, კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით ბუნებასა და მოსახლეობაზე გლობალიზაციის დამღუპველ გავლენას, გავლენას, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ის, რომ ათიოდე წელიწადში ჩვენი სამშობლო აღარ იქნება ჩვენი და გადაიქცევა ერთ გიგანტურ, შეუხედავ აგლომერატად, სადაც რაღაც, მართალია, ყვავის, მაგრამ პირველ რიგში – კრიმი-

ნალი. ამას, ცოტა არ იყოს, პოეტურად ვაზვიადებ, მაგრამ ამასაც გააჩნია თავისი მიზეზი. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ კონკრეტული საკითხები ბევრად უკეთ წყდება საერთო კონცეფციის ფონზე, ვიდრე მის გარეშე. სხვაგვარად მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ შემთხვევითობაა, ბრმად სიარულსა და ლობისტებისთვის თუ კორუმპირებულთათვის ფართო ასპარეზის მიცემას ნიშნავს. და მაინც, აი რაშია ამ ისტორიის არსი: მთავრობის იმ სხდომიდან, რომელზეც ამერიკის შემოთავაზებაზე მსჯელობდნენ, ერთი კვირის შემდეგ დავესწარი მომდევნო სხდომას და სპეციალურად ზოგიერთ მინისტრს გამოვკითხე რა გადაწყვიტეს ამ საკითხთან დაკავშირებით. ისინი კი ვერ იხსენებდნენ! რადგანაც ეს იყო სხდომის პროგრამის ერთ-ერთი მორიგი საკითხი და ყოველი მინისტრი ელოდა მის რამენაირად გადაწყვეტას, რათა დროზე მიმდგარიყო ჯერი მის პირად საქმეზე. შემთხვევით ნიგნში „ზაფხულის ფიქრები“ ხომ არა მაქვს ნაამბობი ეს შემთხვევა? ბოდიშს მოვიხდი, თუ ვიმეორებ. მსგავსი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ სხვა მაგალითიც მომეძებნება, ვთქვათ, ენერგეტიკა.

კომუნიზმის დაცემის შემდეგ უნდა გადაგვეწყვიტა ერთი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას ბოლომდე მივიყვანთ და მეორე ძველ სადგურს გავაფართოვებთ, განვაახლებთ და ამდენად, ავიღებთ გეზს – მსგავსად საფრანგეთისა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – ატომურ ენერგეტიკაზე, რაც საშუალებას მოგვცემდა გადაგვერჩინა ჩრდილოეთ ჩეხეთი ნახშირის ზედაპირული და მიწისქვეშა მოპოვების გამაპარტახებელი შედეგებისაგან, თუ უარს ვიტყვით ატომურ ენერგეტიკაზე და სხვა გზებს მოვძებნიდით. არანაირი პრინციპული გადაწყვეტილება არ გაკეთებულა, ეტყობა ველოდებოდით, რომ ამას ჩვენ ნაცვლად ბაზრის „უხილავი ხელი“ გადაწყვეტდა, რომელმაც ბოლოს ყველაზე ცუდი გზა აირჩია: ვავითარებთ ატომურ ენერგეტიკას, ახალი სადგურების მშენებლობაზეც კი ვფიქრობთ და ამავდროულად მხიარულად ვაგრძელებთ ჩრდილოეთ ჩეხეთის განადგურებას. ცხადია, ამდენი ენერგია ჩვენ არ გვჭირდება.

შესაბამისად, მისი დიდი ექსპორტიორები ვხდებით და ეს მაშინ, როდესაც ევროპის დიდი ენერგომწარმოებლობისთვის არანაირი წინაპირობა არ გაგვაჩნია. უბრალოდ, მოგების კანონით უტვინოდ მართულები, ვანადგურებთ ჩვენს ქვეყანას და ამ განადგურების ნაყოფს ვყიდით. ცხადია, ეს პატარა და ხანმოკლე მოგებაა და ღმერთმა იცის როგორ მოგვეზღვება. ხანგრძლივი ეფექტი კი უთუოდ სავალალო იქნება.

(ვაშინგტონი 12. 5. 2005)

დღეს, უკვე დილის ცხრის ნახევარზე, ვიყავი კლინტონებთან, რომლებიც ჩვენ ახლოს იმყოფებოდნენ. კლინტონი ოპერაციების შემდეგ ნამდვილად კარგად გამოიყურებოდა. წყნარი, არ გასუქებულა, გადატკეცილი კანი სახეზე და საოცარ გაწონასწორებულობას ასხივებდა. ყოველთვის მშურდა მისი. დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ყველა შესაძლებელ თემას შევეხეთ, ვილაპარაკეთ რუსეთზე, უკრაინაზე, ჩვენს საერთო მოგონებებზე, მის ვიზიტზე პრაღაში. ის საკითხიც გავარჩიეთ, ღირს თუ არა, რომ ჰილარიმ კენჭი იყაროს პრეზიდენტობაზე. მას მიაჩნდა, რომ ღირს. ერთხელ ჰილარიმ მკითხა, თუ ვურჩევდი სენატში მისი კანდიდატურის წამოყენებას. ვუპასუხე, რომ აუცილებლად და კიდეც გაიმარჯვა. კიდევ მომიწევს ჰილარისთან შეხვედრა და ხუმრობით შევახსენებ, რომ ჩემთვის რჩევის კითხვა სარგებლის მომტანია და რომ ბუნებრივია, ვემხრობი მის მონაწილეობას არჩევნებში. დამაინტერესა ერთმა საკითხმა, რომელსაც კლინტონი შეეხო და რომლის შესახებ სხვა მოწინავე ამერიკელი დემოკრატებისგანაც მსმენია. საქმე ეხება იმას, რომ სანამ რესპუბლიკელები საკუთარ თავს წარმოადგენენ ისეთი ძირითადი ფასეულობების მთავარ დამცველებად, როგორიც არის ოჯახი ან სიცოცხლის დაცვა, დემოკრატები წამგებიან მდგომარეობაში იმყოფებიან. არ სურთ ცხოვრება გაიმარტივონ იმით, რომ მსოფლიოს თანამედროვე მდგომარეობის გაუთვალისწინებლად დაიცვან მარტივი და ტრადიციული დოგმები, ზუსტად ამიტომ შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ არ ემხრობიან ყველასთვის ცნობილ ფასეულობებს. ვფიქრობ, ამ პარტიას დიდი ინტელექტუალური და პოლიტიკური კაპიტალი გააჩნია, ოღონდ ელოდება იმ ადამიანს, რომელიც მოახერხებს ამ პრობლემების გაერთიანებას და შემოგვთავაზებს იმ ფასეულობათა ნათელ, ყველასათვის გასაგებ და ამავე დროს თანამედროვე ინტერპრეტაციას, რომელიც

უნდა დავიცვათ და რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ცხოვრებაში. ვინ იცის, იქნებ ზუსტად ჰილარი აღმოჩნდეს ასეთი პიროვნება. ცხადია, აქაური პოლიტიკური ვითარების სიღრმეში კარგად ჩახედვა არ შემიძლია, მიუხედავად ამისა, არ მაქვს უფლება არ ვთქვა ჩემი ერთი შთაბეჭდილების შესახებ. ყველა, ვისაც აქამდე შევხვედრილვარ, გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით, საქმიანობით, არისტოკრატიზმით. ამ მიმართულებით ჩეხურ პოლიტიკას კიდევ ბევრი აქვს სასწავლი.

(14. 7. 2000)

(...)

3) კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ კონსტიტუციურ სასამართლოში სარჩელის შეტანის გადაწყვეტილება ისევ ძალაშია. გადავცემ შაბათ დილას, როდესაც შესაძლებელი იქნება მთლიანი ვერსია წარვუდგინო მასმედიას. თუ შაბათს კონსტიტუციური სასამართლო არ მუშაობს, სარჩელს მიიღებენ ორშაბათს, მიუხედავად ამისა, მე ვთვლი, რომ გადაცემულია შაბათს. (...)

(27. 8. 2000)

1) გიგ ზავნით საერთაშორისო სავალუტო ფონდში წარმოსათქმელი სიტყვის მეორე ვარიანტს. დიდი არაფერია, უბრალოდ გაუმჯობესებას და შემსუბუქებას ვცდილობდი. (...) ვიმედოვნებ, გაღიზიანებული და „ანტიკაპიტალისტური" ტონი აღარ დაჰკრავს. მაგრამ ჩემი „ანტიგლობალიზმის" ამაზე მეტად დათმობა ნამდვილად არ მინდა. (...)

9) ბევრი სამუშაო მაქვს: გამოსასვლელი სიტყვა ვიზეს[84] დაჯილდოებაზე და 28 ოქტომბერს. პროვინციალიზმი და აბსურდული საუბრები ჩვენი ეროვნული თვითშეგნების შესახებ, რომლის წართმევაც სურს ევროკავშირს, მშვენიერი თემებია 28 ოქტომბრისთვის. იქ განვავითარებდი იმ აზრს, რომ მხოლოდ ჩვენით ვართმევთ საკუთარ თავს ამ თვითშეგნებას მშობლიური ენის დამახინჯებით, საშინელი არქიტექტურით, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლების მიმართ უპატივცემულობით, საეჭვო ურბანიზაციით,

---

84 ლაპარაკია ვ. ჰაველისა და მისი პირველი მეუღლის, დაგმარ ჰაველოვას საქველმოქმედო ფონდზე „ვიზე 97" (Vize 97), რომლის ინტერესებსაც, ძირითადად, მიეკუთვნებოდა ჯანდაცვის, სოციალური, განათლების, კულტურისა და ადამიანის უფლებების სფეროები. აგრეთვე, ეს ფონდი მხარს უჭერდა გრძელვადიან, შორსგამიზნულ პროექტებს, განსაკუთრებულ შემთხვევებში – ცალკეულ პირებს.

უყურადღებობით მცირე ბიზნესისა და მისი მრავალფეროვნების მიმართ, სოფლის დაცარიელებით, კონსუმერიზმის ახალი მონუმენტების აღმართვით, ნაწარმის გაყიდვაზე თავდავიწყებული ზრუნვით მაშინ, როდესაც წარმოების არც წარმადობა და არც ეფექტურობა არ იზრდება. ვხდებით ჩვეულებრივი „გლობალიზებული" ქვეყანა. (...)

(17. 9. 2000)

(...)

5) თქვენო უდიდებულესობავ, ძვირფასო მეგობარო, (...) კიდევ ერთი რამ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ანადგურებს საბაზრო ეკონომიკა ჩვენს მხარეს, მის კულტურულ იერსახეს. საუკეთესო ჩეხი ეკოლოგების, არქიტექტორებისა და სოციოლოგების ჯგუფი, ჩემი შეგონების შედეგად, შემდეგი წლის იანვარში ემზადება სამდღიანი დიდი კონფერენციისათვის, სახელწოდებით: „ჩვენი ქვეყნის სახე", რომლის მიზანსაც წარმოადგენს ამ პრობლემის კრიტიკული გაანალიზება. გახსნის სადღესასწაულო ცერემონია მოეწყობა პრაღის ჰრადის ესპანურ დარბაზში. ორგანიზატორები უზომოდ მოხარულნი იქნებოდნენ, თუნდაც რამდენიმე საათით პრაღაში რომ ჩამოფრენილიყავით და მისალმებოდით ამ კონფერენციის გახსნას. მონაწილეები დარწმუნებული არიან, რომ ეს მათ კეთილ ჩანაფიქრებს, რომლებსაც მეც სრულებით ვუჭერ მხარს, ფრიად წაადგებოდა. (...)

(დაუთარიღებელი 2000)

რპკ-ს, პჰა-ს და ჰრადის პოლიციის თანამშრომლებს ვუთვლი მხურვალე და დიდ მადლობას, რომელიც დაიმსახურეს მიჩოვნას სარისკო აქციის წარმატებული ჩატარებისთვის, სადაც პირველად შეხვდნენ ერთმანეთს საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები ძირითად „ანტიგლობალისტებს". ყველანი ეთანხმებიან იმას, რომ ეს აქცია ძალიან წარმატებული იყო, რომ თავის მხრივ, ერთადერთია და ჯერ არსად არაფერი მსგავსი არ ჩატარებულა. ამდენად, ყველას, ვინც ამას იმსახურებს, ეკუთვნის ჩემი მადლიერება. გთხოვთ რაიმე ფორმით ეს გადასცეთ პან კრატოხვილს და ყველა სხვა მონაწილეს. (...)

ძვირფასო ი., გამაკვირვა და შემაშფოთა ცნობამ, რომ ფირმა „..." გეკუთვნით თქვენ. და აი რატომ: დიდი ხანია გიცნობთ,

როგორც თქვენი საქმის პროფესიონალს და ამდენად, მიჭირს იმის გაგება, რომ სახელდობრ თქვენი ფირმის ბრალია ის კოშმარი, რომლის არა მარტო მონაწილე და მონწმე შევიქმენი, არამედ რომელზეც პასუხისმგებელიც ვარ, ყოველ შემთხვევაში, მთელი მსოფლიო ასე თვლის. ვსაუბრობ ესპანურ დარბაზში მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის საიუბილეო სხდომის მონაწილეთათვის ვახშამზე, რომლის ფორმალური მასპინძელიც, მიუხედავად იმისა, რომ აფინანსებდა ფინანსთა სამინისტრო, ვიყავი მე. 1. მაგიდაზე არ ეწყო სამარილეები და საპილპილეები. ეს ეშმაკსაც წაუღია. 2. მორთმეულ იქნა სხვა საჭმელი, არა ის, რაც დეგუსტაციისას მოვიწონეთ: კნედლიკები[85] ცივი, შემხმარი და ფხვნილისაგან მომზადებული იყო, აკლდა სოუსი, რომელიც უბრალოდ დაწვეთებული იყო ხორცზე, თითქოს ლაპარაკია განსაკუთრებულად არომატულ, ცხარე სანელებლებით შეზავებულ სოუსზე. ხორცი ისეთივე მშრალი იყო, როგორიც კნედლიკები. ყველა ელოდებოდა, რომ სოუსს კიდევ შემოიტანდნენ, მოლოდინი, ცხადია, არ გამართლდა. ამდენად, სტუმრების უმეტესობამ საჭმელი მოიტოვა, ცხადია, იმათ, ვისაც საერთოდ ერგო ეს საჭმელი. 3. ყველაზე საშინელი კი მესამე რამაა: ოფიციანტთა რაოდენობა წარმოუდგენლად მცირე იყო, თან ძლივს დალასლასებდნენ. შუადღის შემდეგ და ვახშმის დროსაც არა ერთხელ შევაგონე, ვთხოვე მეტი მუხტი შეეტანათ საქმიანობაში. უშედეგოდ, ეს ყველაფერი დაუსრულებლად გრძელდებოდა, ზოგიერთი სტუმრისთვის ჯერ საჭმელი არ ჰქონდათ მირთმეული, მაშინ, როდესაც მე უკვე დამთავრებული მქონდა ვახშამი. ეს ადამიანები მთელი დღის მუშაობით, დაძაბული მსჯელობით იმაზე, თუ როგორ უშველონ ამ საწყალ პლანეტას, დაღლილები და გამოფიტულები არიან, რცხვენიათ ჭამონ, რათა ხალხმა არ იფიქროს, თითქოს მუცლებს იყორავენ სილარიბეზე მსჯელობის ნაცვლად. ბოლოს პრეზიდენტი ეპატიჟება მათ მდიდრულ ვახშამზე, მდიდრულ დარბაზში და რა ხვდება იქ მათ მოლოდინს? არაფერი. ეს ღონისძიება ორსაათ-ნახევარში დავასრულე და მიჭირს ვახშამი ვუწოდო. ამას რომ „ჩასვრა“ ეწოდება, დამეთანხმნენ ბატონები მერტლიკი, ზემანი, კლაუსი და ბევრი სხვაც. ჯერჯერობით ეს ყველაზე დიდი სირცხვილი იყო, რაც გადამიტანია ჰრადზე და თანაც შევრცხვით, გაუზვიადებლად ვამბობ, მთელი მსოფლიოს წინაშე. ერთი დღით

85 კნედლიკი – ჩეხური სამზარეულოს განუყოფელი ატრიბუტი, ერთგვარი მოხარშული ცომის გორგოლაჭები, რომელიც სოუსთან ერთად იდება თეფშზე და პურის როლს ასრულებს.

ადრე, იმავე დარბაზში, იმავე ფირმის მიერ მოეწყო ვახშამი კომერციული ბანკების, მილიონრებისა და მილიარდერებისათვის. ამბობენ, რომ უნაკლო იყო. თუკი ფირმას „...“ მხოლოდ მილიონრებისა და მილიარდელების მომსახურება შეუძლია წესიერად და არაფრით ფინანსთა მინისტრებისა და ეროვნული ბანკების მმართველების, მაშინ ნამდვილად არაფერი ესაქმება ჰრადზე. ნებისმიერ მეხუთე ხარისხის რესტორანშიც კი უკეთ იგრძნობდა თავს კაცი. მინდა, ეს ყველაფერი იცოდეთ და მოხარული ვიქნებოდი, რომ ნახსენები ფირმის მეპატრონე ყოფილიყო ჩემთვის უცნობი ადამიანი და არა მეგობარი. მაგრამ რას იზამ, დღესდღეობით ძალაშია (უფრო ზუსტად კარგი იქნებოდა, რომ ძალაში ყოფილიყო) დევიზი: ყველა თანასწორია.

(30. 9. 2000)

(...)

6) (...) ა) დაახლოებით ნახევარი წლის წინ მოტეილმა[86] *გადმომცა განცხადება გადადგომის შესახებ. შემდეგ გადაათქმევინეს, თუმცა განცხადება ისევ სეიფში მიდევს. ბ) დაახლოებით თოთხმეტი დღის წინ მოვიდა იმის შესატყობინებლად, რომ ამჯერად განცხადებას საბოლოოდ მაძლევს. მთხოვა, მივაწვე ზემანს, რათა შეეშვას მის გადარწმუნებას. პირდაპირ მაგრძნობინა, რომ მიიღებდა ომბუცმენის თანამდებობას. მე ამ იდეას მივესალმე არა მარტო იმიტომ, რომ კარგი ომბუცმენი იქნებოდა, არამედ იმიტომაც, რომ ჩემი და სენატის საერთო კანდიდატი იქნებოდა, რაც მშვენიერი და სიტუაციის დამაშოშმინებელი ჟესტია, იმის მაჩვენებელი, რომ სახელმწიფო მოხელეებს არა მარტო თავისი პრესტიჟის შესანარჩუნებლი გონებაჩლუნგი თამაშების თამაში შეუძლიათ, არამედ დროდადრო ურთიერთშეთანხმებაც ძალუძთ. გ) იმავე საღამოს, ზემანებთან ვახშამზე ზემანს შევატყობინე, რომ მოტეილი გადადგომას აპირებს, ვთხოვე შეეშვას მის გადარწმუნებას და შევთავაზე, რომ სოციალ-დემოკრატებსა (ანუ სენატს) და მე ერთად წარგვედგინა ომბუცმენის თანამდებობაზე მისი კანდიდატურა. მისთვის ეს*

86 ოტაკარ მოტეილი (Otakar Motejl) – ჩეხი დისიდენტების ცნობილი ადვოკატი, 1968 წელს არჩეულ იქნა ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლედ, 1970 წელს დატოვა თანამდებობა და განაგრძობდა დისიდენტების დაცვას. 1990-1992, (1993-1998) წლებში იყო ჩეხოსლოვაკიის (ჩეხეთის), უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარე, 1998-2000 წლებში – იუსტიციის მინისტრი. 2000 წელს პარლამენტმა ჩააგდო სასამართლო რეფორმის მისეული ვერსია, რის გამოც გადადგა თანამდებობიდან. დღეს უკავია ჩეხეთის ომბუცმენის თანამდებობა.

ყველაფერი სიახლე იყო, მაგრამ ყველაფერზე დამეთანხმა და დამპირდა, რომ ამ საკითხს რაც შეიძლება სწრაფად განიხილავს პარტიის მმართველობასთან ერთად (რაც, ცხადია, მხოლოდ ფორმალობა იყო). მოგვიანებით შედეგები ჩემთვის უნდა შეეტყობინებინა და მოგველაპარაკა გადადგომის ოფიციალურად გამოცხადების, ახალი მინისტრის დასახელებისა და ომბუცმენის საერთო კანდიდატურის წამოყენების თარიღებზე. დ) არ შემხმიანებია, არაფერი შეუტყობინებია და გუშინ პან ფ.-საგან და დღეს დილას გაზეთებიდან ვიგებ, რომ სოციალ-დემოკრატებმა ომბუცმენის თანამდებობაზე თავიანთ კანდიდატურად დაასახელეს მოტეილი, რომელიც თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იძულებული იქნება დატოვოს მთავრობა. ანუ კვანტის დადების ჩვეული ჯაჭვი. (...)

8) ვფიქრობ, აჯობებს საქმიანად და ბრძნულად გამოვეხმაურო მსოფლიო ბანკსა და საავალუტო ფონდთან დაკავშირებულ მოვლენებს, მთლიანობაში შევაფასო და წერტილი დავუსვა. ორი დღეც არ გასულა ამ მოვლენებიდან და პრესა გავსებულია ახალი მითებით, ზედაპირული მსჯელობებით და ამახინჯებს სიმართლეს. ყელეზნი და ზუნა (ტრანსნაციონალური კაპიტალის მხარდასაჭერად?) ჩემ წინააღმდეგ კამპანიას აწარმოებენ. ამბობენ, რომ სათანადო ყურადღება არ მივანიჭე უსაფრთხოების ზომებს (ცინიკური და გაცნობიერებული ტყუილი), ერთნი ლაპარაკობენ პოლიციურ განუკითხაობაზე, რომლის გარეშეც თურმე არსებობა არ შემიძლია, მეორენი (მაცეკი) ყველას დახვრეტას ლამობენ, თითქმის ყველანი შეთანხმდნენ იმაზე, რომ ეს სხდომა ზედმეტი იყო და არაფერში გამოგვადგა (ისევ ტყუილი), თითქმის არავის უცდია ანტიგლობალისტური განწყობების მიზეზების, იეგს[87]-ის შეცდომების, აგრესორთა აგრესიის მიზეზების და მთელს ამ ამბავში პრესის ფრიად სამწუხარო როლის გაანალიზება. (...)

(1. 10. 2000)

(...)

ჩემი წუხილის მიზეზები:

1) ეს კომპიუტერი არა მარტო ღმუის საზიზღარი ხმით, არამედ სულ ახალ-ახალ ხრიკებს იგონებს ჩემს ჯინზე (უეცრად იწყებს ინგლისურად წერას, შემდეგ სხვა ენაზე გადაერთვება, ბოლოს კი ვირივით ერთ ადგილას გაიჭედება ხოლმე და ა.შ.).

87 იეგს – ინიციატივა ეკონომიკური გლობალიზაციის საწინააღმდეგოდ.

2) ტელევიზიით („ჩტ[88]“) გადასცეს საზიზღრად შეთითხნილი ინფორმაცია, თითქოს პან შ.-მ თქვა, რომ ომბუცმენად მინდა მოტეილი, რის გამოც, არ ვაყოვნებ მისი გადადგომის მოთხოვნას და ა.შ. ამდენად რა გასაკვირია, რომ ჩემი მრისხანება პირველად პან შ.-ს დაატყდა. გავბრაზდი, რადგანაც მსგავსი მნიშვნელობის საკითხებზე ჩემთან მოულაპარაკებლად საუბრობს. (...)

5) არ მუშაობს აქ ტელეფონები და თუკი სადმე დავრეკე, ეს მხოლოდ ჩემი მცველის პან სლავიჩეკის გულისხმიერების წყალობით, რომელიც თავის მობილურს მაძლევს ხოლმე. ამავე დროს, ჰრადის ტელეფონების ხელოსანმა უარი განაცხადა შეეწყვიტა შაბათ-კვირით ტკბობა თავის აგარაკზე, სანამ ბოლოს დაშამ არ დააძალა პჰა-ს უფროსის დახმარებით, თუმცა ტელეფონი მაინც ვერ გააკეთა.

6) (...) დამაყრიან ხოლმე სამუშაოს, ჰგონიათ, რომ ჯანმრთელი ვარ და მოვერევი ამდენს, თვითონ კი იმალებიან ავტომოპასუხეების უკან ან აგარაკებზე. (...)

(ვაშინგტონი 12. 5. 2005)

ბევრის აზრით, ერაყის ომმა ამერიკა ორ ბანაკად გახლიჩა, რაც ნამდვილად არ არის კარგი. ამ ომზე აქ ბევრს მსჯელობენ. თუ პოლიტიკაზე საუბრობენ, ადრე თუ გვიან აუცილებლად ერაყის თემაზე ინაცვლებენ. მეჩვენება, რომ ამაზე ყოველთვის წყნარად და საქმიანად, ყოველგვარი ისტერიკის გარეშე ლაპარაკობენ. ხშირად მეკითხებიან ჩემს აზრს და მე ყოველთვის ერთი პასუხი მაქვს მომზადებული: წარმოუდგენელია, განსაკუთრებით კი დღევანდელ მსოფლიოში, სადაც ასეა ყველაფერი გადაჯაჭვული, რომ მასობრივ დანაშაულსა და ბოროტებას მუდამ სრული გულგრილობით ვუყურებდეთ. არ შეიძლება რეჟიმს, რომელიც ანადგურებს საკუთარ მოქალაქეებს, ყრის მათ მჟავით ავსებულ ავზებში, ისე ჩაუსეირნო გვერდით, როგორც ტროტუარზე დავარდნილ იან ლოპატკას – გამვლელები. ამიტომაცაა კარგი, რომ სადამის რეჟიმი დასრულდა. თუმცა ამის გაკეთება უკეთაც შეიძლებოდა. პირველ რიგში, თვით მიზეზი იყო საეჭვო: ძნელი დასაჯერებელია, რომ ერაყი ამერიკასა და მთელ მსოფლიოს ემუქრებოდა, უდაბნოში გადამალული შორი დამიზნების, შხამებითა და ბაქტერიებით დატენილი რაკეტებით. და არც დადასტურებულა რამე მსგავსი. რატომ არ

88 ჩტ (ČT)- ჩეხეთის სახელმწიფო ტელევიზიის ერთ-ერთი არხი.

ამჯობინეს სიმართლის თქმა ანუ, რომ მსოფლიოს წესიერ ნაწილს აღარ შეუძლია მის თვალწინ მიმდინარე გენოციდის ყურება? ცხადია, არ იქნებოდა მართებული, ყოველ ქვეყანას, სადაც კი რაიმე ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი, ამერიკა ან დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიო თავს დაესხას. ყოველი შემთხვევა ცალკე და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა განიხილებოდეს. თუმცა სწორად მიმაჩნია პრინციპი, რომლის თანახმადაც, დაშვებულია და სამართლიანიცაა უდანაშაულო ხალხის დახმარება, სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევის ფასადაც კი. ერთი გამოსვლისას განვაცხადე: სახელმწიფო ადამიანის შემოქმედებაა, ადამიანი – ღმერთის. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ადამიანის დაცვა უფრო მაღალი რანგის ვალდებულებაა, ვიდრე სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემა. თუმცა, ყოველი მსგავსი შემთხვევა საფუძვლიანად და ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი, მსგავსი ჰუმანისტური არგუმენტები მხოლოდ ლამაზი ფასადი ხომ არ არის, რომლის უკან იმალება ძალაუფლების მოხვეჭის, ეკონომიკური თუ სხვა ნაკლებად პატივსაცემი მიზანი. არ შეიძლება, რომ ხალხის გადარჩენით მოტივირებული ყოველი ინტერვენცია უცხო სახელმწიფოში მსოფლიომ დასაშვებად ცნოს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ძალიან მგრძნობიარეები ვართ. მეოცე საუკუნეში, ადამიანისა და ეგრეთ წოდებული ჰუმანისტური ფასეულობების, ასე ვთქვათ, დაცვის მიზნით, ორჯერ – ერთხელ ჰიტლერის და მეორედ ბრეჟნევის დროს – შეილახა ჩვენი სუვერენიტეტი.

ამდენად, იმ საკითხის გადაწყვეტა, დასაშვებია თუ არა ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაკუთრებულად და წარმოუდგენელი სიფრთხილით, ყველა შესაძლებელი ფაქტორის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს.

ასე რომ იყო ერაყის შემთხვევაში, არ ვარ დარწმუნებული. რატომ დაესხნენ თავს ახლა და არა ხუთი წლით ადრე ან ხუთი წლით გვიან? გაეროს რეზოლუციების ათას მეხუთეჯერ თუ ღმერთმა იცის მერამდენედ შეუსრულებლობა, სულაც არ არის ფართო საზოგადოებისთვის საკმარისი წონის მქონე არგუმენტი. ყურეში ომი მახსენდება. მაშინ ომის მიზეზი ყველასთვის კარგად გასაგები იყო: დიდი და ძლიერი თავს დაესხა მცირესა და სუსტს და მიითვისა მისი სიმდიდრე. მსგავსი რამ, რომ არ უნდა ხდებოდეს და თუ მოხდა, სასწრაფოდ რომ უნდა გაეშურო სუსტის დასახმარებლად, ეს მაშინ ყველასათვის ცხადი იყო. მიუხედავად ამისა, ამერიკის ადმინისტრაციას უზარმაზარ ძალისხმევად დაუჯდა მაშინდელი

მსოფლიოს, განსაკუთრებით კი გაეროს, დარწმუნება სამხედრო ჩარევის აუცილებლობაში. მახსოვს, როგორ მოიარა მინისტრმა ბეიკერმა უსაფრთხოების საბჭოს ყველა მუდმივი თუ დროებითი წევრი, რათა განემარტა საქმის რეალური ვითარება. ამიტომაც არ მოჰყოლია მაშინდელ ინვაზიას საზოგადოების მხრიდან დიდი საპროტესტო აქციები. შესაძლოა, მაშინ ნაკლებად გააკრიტიკებდნენ საერთაშორისო კოალიციას, იმ შემთხვევაშიც, თუკი ბაღდადს აიღებდნენ და სადამს ჩამოაგდებდნენ. აგრეთვე ცხადია, რომ ამჯერად საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად არ გამოუჩენიათ საკმარისი ძალისხმევა, რადგან სიტუაცია ახლა ბევრად უფრო დამარწმუნებელ არგუმენტებს მოითხოვდა, ვიდრე კუვეიტზე თავდასხმისას. ასევე, ვერ გამიგია რითი იყო დაკავებული ათასობით სამთავრობო თუ არასამთავრობო პოლიტიკური ანალიტიკოსი, როდესაც ვერ მოახერხეს კოალიციური მთავრობებისთვის იმის განმარტება, თუ რა შეიძლება მოხდეს. რომ გათავისუფლებული ერაყი გადაიქცევა ტერორისტების მთავარ სარბიელად და არც არაბულ სამყაროში „დემოკრატიის გატანის" ამერიკული იდეა მეჩვენება ბედნიერი მომავლის მქონედ. ალბათ, უკეთესი იქნებოდა ტანჯული ხალხის მიმართ სოლიდარობაზე საუბარი, არ ვიცი. ასეა თუ ისე, არ გაკეთებულა ეს ყველაფერი რიგიანად. მართალია, არ ვარ სამხედრო გენერალი, მაგრამ ის, რომ ერაყში ინტერვენციის დაწყებამდე ორჯერ მაინც – აშშ-ში და ერთხელაც პრაღაში – მივუთითე ამ ხიფათზე პრეზიდენტ ბუშს, ეს კარგად მახსოვს. ცხადია, მაშინ ბევრად უფრო დიპლომატიური ენით ვლაპარაკობდი, ვიდრე ახლა, ოღონდ მოსალოდნელ შედეგებზე წარმოდგენის არქონა არ ყოფილა ჩემი დიპლომატიურობის მიზეზი. პირიქით: შესაძლოა ოდნავ ბუნდოვანი, მაგრამ, ამავე დროს, საკმაოდ მწვავე შეგრძნება მქონდა იმისა, რომ ამ ყველაფერმა მსოფლიოში დიდი უკმაყოფილება შეიძლება გამოიწვიოს და ამერიკის წინააღმდეგ შეატრიალოს ბევრი მისი მეგობარი.

1992 წლის ივლისში გადადექით. ამგვარად, იყავით ჩეხოსლოვაკიის ბოლო პრეზიდენტი. მაგრამ რამდენიმე თვეში ისევ მოგვევლინეთ პრეზიდენტად, ამჯერად ჩეხეთის. რევოლუციის შემდეგ საერთოდ არ გინდოდათ თქვენი კანდიდატურის წამოყენება. შემდეგ ეს თანამდებობა თითქოს მხოლოდ გარდატეხის მოკლე პერიოდისათვის მიიღეთ, შემ-

დეგ თავიდან აგირჩიეს და შემდეგ კიდევ ორჯერ, ანუ საბოლოოდ პრაღის ჰრადზე თითქმის ცამეტი წელი დაჰყავით. განა ეს არ არის განსაცვიფრებელი?

ეს მართლაც განსაცვიფრებელია. რა დასამალია, ხშირად მიტრიალებს ხოლმე შეკითხვა, ხომ არ იყო ეს მცდარი გადაწყვეტილება, დროში გაწელილი ერთი დიდი შეცდომა. მაგრამ რა ვქნათ, რომ ასე ძნელია ადამიანმა იწინასწარმეტყველო რა დაგატყდება თავს და რა მოჰყვება ამას შედეგად. პირველი თავისუფალი არჩევნებიდან ანუ პრეზიდენტის თანამდებობის მიღებიდან, თანამდებობაზე ამირჩია ჯერ კიდევ კომუნისტურმა (შესაძლოა, ცოტა უკვე სახეშეცვლილმა) პარლამენტმა, ნახევარი წლის შემდეგ ვცდილობდი თავისუფლად არჩეული პარლამენტის კეთილგანწყობის მოპოვებას, სხვანაირად არაფერი გამოვიდოდა. უნდა დამემტკიცებინა, რომ ყველაფერი, რაც გაკეთდა და რისთვისაც აქამდე ვიღვწოდი, არის მართებული, სხვა შესაძლებლობაზე საუბარიც კი არავის სურდა. ჰრადზე გარკვეული შემოქმედება წამოვიწყე და განდგომა ამჯერად უფრო დიდ ღალატად იქნებოდა აღქმული, ვიდრე რევოლუციის შემდგომ არჩევნებზე უარის თქმა. მაშინ არჩეული ვიყავი ორწლიანი ვადით და მეგონა, რომ ამ პერიოდში შემცვლელს ვიპოვიდი ან კიდევ უკეთესი, შემცვლელებს. თუმცა ყველაფერი ისევ სხვაგვარად დატრიალდა. ქვეყნის ორად გაყოფის შემდეგ ყველა მიყიჟინებდა, რომ ჩეხეთის ასეთ სიტუაციაში დატოვების უფლება არ მაქვს, რომ საერთაშორისო თუ შინაურ ასპარეზზე მოპოვებული გარკვეული სახელი უნდა მოვახმარო ჩეხეთს, სხვაგვარად ყველას გაუჭირდება ამ ახალი ქვეყნის არსებობის ფაქტთან შეგუება და რომ კანდიდატურაზე უარის თქმით, ქვეყანას ერთგვარი დაქვეითებული ლეგიტიმურობის იარლიყს მივაკერებდი. ვლაპარაკობ რა ამაზე, ვაცნობიერებ, რომ ადამიანისთვის, რომელიც მაშინდელ მოვლენებს არ ადევნებდა თვალყურს, არ იყო ამის მოწმე ან აღარ ახსოვს, ჩემი სიტყვები არ გამოიყურება დამარწმუნებლად. მაგრამ მე ვიცი, ეს ზუსტად ასე იყო და უნდა შევეგუო იმას, რომ დღეს ეს ზოგიერთისთვის ძნელი ასახსნელია. ხუთი წლის

ვადით ახლად შექმნილი ჩეხეთის პრეზიდენტობა ნამდვილად არ წარმოადგენდა სასიამოვნო პერსპექტივას. ცხადია, მაშინ წამყვან როლს ასრულებდა ჩეხოსლოვაკიის გაყოფის თანაავტორი, ჩეხეთის არჩევნების გამარჯვებული და ჩეხეთის მთავრობის თავმჯდომარე ვაცლავ კლაუსი და მე (არ გამიგოთ ისე, რომ ახლა რამენაირად ვაფასებ მის მოღვაწეობას) მასთან ურთიერთობის, გაუთავებელი ჭიდაობისა და მისი წუნიაობის ატანის არავითარი სურვილი არ გამაჩნდა; იმდენად კარგად ვიცნობდი, რომ ვიცოდი რა და როგორ იქნებოდა. ჩემი როლი შევასრულე, ქვეყანას არავითარი კატასტროფა აღარ ემუქრება, მართოს კლაუსმა თავისი შეხედულებების მიხედვით, მე კი, ბოლოს და ბოლოს, სიწყნარე მიბოძეთ. მინდოდა მეწერა, ცოდნის ძიებაში მემოგზაურა, მეკითხა და ზურგს უკან მიმალული სახელმწიფო პოლიციის გარეშე დავმტკბარიყავი თავისუფლებით, მეცხოვრა ჩემს ნებაზე. შესაძლოა, ათასი ცუდი თვისება გამაჩნია, მაგრამ ერთი კი დანამდვილებით ვიცი: მოციმციმე შუქურა ავტომანქანის სახურავზე ვერაფრით მომაჯადოებს ისე, რომ შევეგუო მსგავს წვალებას. მიუხედავად ამისა, არჩევნებში ისევ მივიღე მონაწილეობა. მსგავსად წარსულისა და კიდევ ერთი შემთხვევისა, რომელიც მოგვიანებით უნდა მომხდარიყო, ამჯერადაც გაიმარჯვა მოწოდებამ ჩემს პირად ინტერესებზე მაღლა დავმდგარიყავი. ახლა ვფიქრობ ხოლმე, ცოტა არ იყოს, ხომ არ გამომიყენეს-მეთქი: ფასეულობათა ოდნავ სხვაგვარი, კლაუსისგან განსხვავებული კრიტერიუმები უნდოდათ, ჰოდა გადაწყვიტეს, რომ საამისოდ ჰაველი არსებობს. ამიტომაც დროგამოშვებით ნაკვერჩხლებიდან ნაბლის გამოღება მე მიწევდა ხოლმე სხვების მაგიერ.

იყავით ერთი სახელმწიფოს ბოლო, ხოლო მეორე სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი. გაგიჭირდათ ორიენტირება?

გაგიკვირდებათ, მაგრამ მთლიანობაში არა. მწამდა და დღემდე მწამს გარკვეული ფასეულობების, რომლებსაც ვემსახურებოდი როგორც ერთ ქვეყანაში, ისე მეორეში.

ამ გადასახედიდან არ იყო მნიშვნელოვანი ეს უნიტარული ქვეყანაა თუ ფედერალური.

როგორ ატარებდით იმ რამდენიმეთვიან პერიოდებს, როდესაც არ ასრულებდით პრეზიდენტის ფუნქციას?

დიდი საქმეთნარმოება მქონდა და ბევრი თანამშრომელი მყავდა; რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიამ ულაპარაკოდ დამრთო ამის ნება. ცხადია, დღეს მსგავსი რამ შეუძლებელია. მაინც უფრო როგორც თამაშში მყოფს, ისე მიყურებდნენ და არა როგორც ყოფილ მოღვაწეს, ამგვარად – ამჯერად ბევრად უფრო მეტად, ვიდრე დისიდენტობის ხანაში – წარმოვადგენდი ფრიად თავისებურ ინსტიტუტს. იმ პერიოდის ერთ-ერთი საინტერესო დაკვირვება იყო, თუ რაოდენ საჭიროებს ჩვენი ხალხი ქვეყნის მეთაურს და თუ როგორ მოუხერხებლად გრძნობს თავს როდესაც პრაღის ჰრადზე არ ფრიალებს შესაბამისი სტანდარტი. ქვეყნის გაყოფა ნამდვილად ტრავმა იყო, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს უფრო მძიმედ იტანენ უპრეზიდენტობას. ვითომ პრეზიდენტის რეზიდენციაში ვინმეს ყოფნა, გარკვეული სტაბილურობისა და თავდაჯერებულობის გარანტიას წარმოადგენს და გვიჩვენებს, რომ ყველაფერი წესრიგშია მაშინ, როდესაც მსგავსი პიროვნების არარსებობა საგანგაშოა. ეს არ უკავშირდება პრეზიდენტის კომპეტენციებსა და მის რეალურ გავლენას, ეს უფრო მისტიკას ეხება; მეჩვენება, პრეზიდენტმა საერთოდ არაფერი რომ არ აკეთოს, ხალხი მაინც უფრო დაწყნარებული იქნება, ვიდრე მისი არარსებობის შემთხვევაში. მაგრამ არა მხოლოდ ეს: თითქოს მოელოდნენ, რომ ქვეყნის მეთაური დროდადრო ზნეობრივ ნორმებს იღაღადებს, რაც სრულებითაც არ გულისხმობს, რომ ამ ნორმების დაცვაზე ვინმე დიდად იზრუნებს. ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი ასეც უნდა იყოს: პრეზიდენტის დროშამ უნდა იფრიალოს და ვინმემ მორალი იქადაგოს. ყველა იმათი ჩათვლით, ვინც თვითონ არღვევს გამუდმებით რაიმე ნორმებს, საჭიროებს მსგავსი ნორმების არსებობას, ანუ უნდა იცოდეს, რომ არსებობს ის, რისი

დარღვევაც შეიძლება. ნორმების დაკარგვა მის ქრონიკულ დამრღვევებშიც კი დიდ შფოთვას იწვევს. ეს კარგად დავინახე ციხეში: ყველაზე გამოუსწორებელი ბოროტმოქმედიც კი შეიცხადებდა, სახელმწიფოს მეთაურს ბოროტოქმედება ხმამაღლა და აშკარად კანონიერად რომ ეღიარებინა. უბრალოდ, ყველამ თავისი როლი უნდა ასრულოს: პრეზიდენტმა იძახოს, რომ მოპარვა არ შეიძლება, ქურდმა კი უნდა იპაროს. პრეზიდენტს რომ ეთქვა, მოპარვა კარგიაო, ქურდი თავს გაურკვევლობაში იგრძნობდა. ეს მის წინ იდენტობის საკითხს წამოჭრიდა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დელეგაციები მაკითხავდნენ ჰრადეჩეკზე და მთხოვდნენ ჰრადზე დაბრუნებას. იცოდნენ, ქვეყნის გაყოფისა და სხვა მრავალ მოვლენასთან დაკავშირებით ვერაფერს შევცვლიდი, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ როგორც მიღებულია, უნდა არსებობდეს ბატონი.

(ვაშინგტონი 13. 5. 2005)

ვიხსენებ რა ამ ყველაფერს, ვაცნობიერებ რაოდენ განსაკუთრებული ეპოქა იყო მაშინ. პატარა მაგალითი ფედერალური საბჭო მსჯელობდა კონსტიტუციურ კანონზე, რომლის თანახმადაც, მომავალი წლის პირველი იანვრიდან არსებობას წყვეტდა სახელმწიფო, რომლის უმაღლეს არჩევით ორგანოს თვითონვე წარმოადგენდა და რომლის მიხედვითაც ამ სახელმწიფოს ყველა ფუნქცია, ისევე როგორც ხელშეკრულებები, შთამომავლობით გადადიოდა ჯერ არარსებულ და სავარაუდოდ, ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოზე. მაშინ მე უკვე აღარ ვიყავი პრეზიდენტი, ამიტომ დებატებსა და კენჭისყრას საზოგადოებისთვის განკუთვნილი აივნიდან ვადევნებდი თვალყურს. ამ აქტის მსვლელობა თავისთავად დიდად საყურადღებო არ ყოფილა, სახელმწიფოები იქმნებიან და იშლებიან, კარგი კი ის იყო, რომ ჩვენს შემთხვევაში სახელმწიფოს დაშლა წყნარი და კანონიერი გზით განხორციელდა, ხოლო განსაკუთრებული ის გახლდათ, რომ კანონის მიღებას ყველა დეპუტატი, ჩეხი თუ სლოვაკი, უმალ ტაშისკვრით შეეგება, მღეროდნენ თავიანთ ჰიმნებს, ხარობდნენ და ეხვეოდნენ ერთმანეთს. ყველას უკვე ყელში ჰქონდა ამოსული გაუთავებელი მსჯელობები სახელმწიფოების სამართლებრივი მოწყობის შესახებ, ამავე დროს ეშინო-

დათ, რომ კანონი არ გავიდოდა, მოლაპარაკებები გაგრძელდებოდა ან, ბოლოს და ბოლოს, ვინმეს გაახსენდებოდა რეფერენდუმი და გაჩნდებოდა ჩვენი სახელმწიფოს შენარჩუნების რისკი. ცეკვით გამოხატავდნენ იმ სიხარულს, რომ მოხდება ის, რაც ჯერ კიდევ ორი წლის წინ ყოველი მათგანისათვის წარმოუდგენელი იყო. არც ისე ხშირია, რომ პარლამენტი დღესასწაულობს საკუთარი ქვეყნის და ე.ი. საკუთარი არსებობის შეწყვეტას. ვიმეორებ, ბოლოს და ბოლოს, კარგია რომ ასე მოხდა, იქეთკენ მივექანებოდით და ასეც უნდა ყოფილიყო, მიუხედავად ამისა, ამ გაყოფას გროტესკის ელფერი მაინც დაჰკრავდა. თუკი შეიძლება რაიმე დანაკარგ ზე საუბარი, პირველ რიგში, კულტურულ ზე: დღეისათვის ჩვენს ერებს ბევრად ნაკლები შესაძლებლობა აქვთ იხარონ ერთმანეთის კულტურული მიღწევებით, მეტიც, ენობრივადაც ნაკლებად ესმით ერთმანეთის. ჩვენი სამშობლო კულტურულად და სულიერად, უბრალოდ, შეიკვეცა და გაღარიბდა, ამის უარყოფა შეუძლებელია.

(13. 10. 2000)

(...)

10) ცხადია, მართალს ამბობენ პგ[89]-ის წარმომადგენლები, რომელთა აზრითაც, ჩემი გამოსვლა უფრო „გაწონასწორებული" უნდა იყოს, არ შეიძლება მხოლოდ კრიტიკა, შექებაცაა საჭირო. ზუსტად ეს არის ყველაზე რთული რამ!!! უკვე ათი წელია, იძულებული ვარ ყოველ ახალ წელთან და ბევრ სხვა ვითარებასთან დაკავშირებით, ჩვენი წარმატებებისა და ნაკლის შესახებ „გაწონასწორებულად" ვწერო, ავტორისთვის ეს წარმოუდგენლად ძნელი ამოცანაა. თუმცა შესაძლოა ეს პირადად მე მიჭირს ასე საშინლად. (...)

(22. 10. 2000)

(...)

4) დავასრულე 28 ნოემბრის გამოსვლის წერა. გთხოვთ გადახედოთ. თუმცა მხოლოდ მცირე და უფრო ტექნიკური ხასიათის შენიშვნებს თუ მივიღებ, არაუგვიანეს ორშაბათის ნაშუადღევისა ხელთ უნდა მქონდეს. ვწუხვარ, რომ პგ-ის ზოგიერთი რჩევა ამჯერად არ გავითვალისწინე, მაგრამ არ გამოდიოდა და რა ვქნა. ვცდილობ გამოსვლები პატარა ლექსებივით ვწერო, უნდა გააჩნდეს დასაწყისი, კომპოზიცია და დასასრული, თავისი მელოდია, ჰიპერ-

89 პგ – პოლიტიკური განყოფილება. ჩეხურად: PO – Politický Odbor.

ბოლა, ფერსავსეობა. სხვაგვარად უბრალოდ არ გამოდის. ცხადია, რომ ფორმულაციები პოლიტიკურად უფრო ზუსტი და იქნებ შესაფერისიც კი იყო, მაგრამ ვერ შევძელი მათი გამოყენება და ესაა. თუ შეიძლება, მიიღეთ ეს როგორც ფაქტი და მოძებნეთ მოსალოდნელი საქმიანი, ენობრივი, სტილისტური და მსგავსი შეცდომები. (...)

6) ერთი პირადული ხასიათის თხოვნა მექნებოდა ს.-სთან. უკვე ბევრმა მითხრა ის, რაზეც თავადაც არაერთხელ მიფიქრია: ჩვენს ოჯახურ სასაფლაოზე არ ჩანს წარწერები. ეტყობა შეცდომა იყო, როდესაც ავირჩიე ბრინჯაოს წარწერა (ოქროსი არ მინდოდა) და ვერ გავითვალისწინე, რომ ნაცრისფერ მარმარილოზე არ გამოჩნდებოდა, ალბათ, ვინმეს უნდა გავეფრთხილებინე, მან კი ეს არ გააკეთა. ასეა თუ ისე, გადავწყვიტე საქმის გამოსწორება. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ იპოვოთ ფირმა, რომელიც აკეთებს წარწერებს ან ნებისმიერი სხვა ფირმა, რომელიც შეძლებდა დუშიჩკებამდე[90] წარწერების შავად გადაღებვას? ამბობენ, რომ ნაცრისფერი მარმარილოს ყველა საფლავს ასე აწერენ. ჩემი ანგარიშით, ამ საქმეს ერთი ნაშუადღევი ეყოფა. თუ არადა საკმარისია გადაღებონ ძირითადი წარწერა სასაფლაოს ცენტრში და დანარჩენები გვერდებში შემდგომისათვის დატოვონ. ჩემი, საქმეში ჩაუხედავი ადამიანის, აზრით, ლაპარაკია მხოლოდ შემდეგ ზე: პატარა ფუნჯით და შესაბამისი საღებავით გადაუარონ ბრინჯაოს ასოებს ისე, რომ წარწერა გახდეს შავი. თუ დაიწყეს მტკიცება, რომ საჭიროა საფლავის ქვების მოხსნა, სახელოსნოში წაღება და ა.შ. და რომ ეს დაჯდება მილიონი, მხოლოდ გაიცინეთ. ასეთ შემთხვევაში ჩემითაც შემიძლია ნიტროლაქით გადავღებო. არ მიყვარს, ვინმე სულელად რომ მთვლის. (...)

(2. 11. 2000)

(...)

3) ძვირფასო ს., ყველა დოკუმენტი, ახალი თუ ძველი, იწერება მხოლოდ უჩვეულო ინგლისური შრიფტით. შენი ინსტრუქციები არ მშველის. ნახევარსაათიანი წვალების შემდეგ მოვემზადე ხელით საწერად და ზუსტად მაშინ გადახტა მოულოდნელად ნორმალურ შრიფტ ზე. ძალიან გთხოვთ, მეტი ნურასოდეს შემიცვლით ძველს ახალი კომპიუტერით და ნუ ჩამიტვირთავთ ახალ პროგრამებს. ამას,

90 დუშიჩკი (dušičky) – გარდაცვლილთა სულების მოხსენიების დღე ჩეხეთში, ემთხვევა 2 ნოემბერს. ამ დღეს მიემართებიან გარდაცვლილი ახლობლების სასაფლაოზე, მიაქვთ ყვავილები, სანთლები, ალაგებენ იქაურობას და ა.შ.

როგორც წესი, პრობლემების ზრდა მოჰყვება ხოლმე შედეგად და უფრო და უფრო მეტი რამის დამახსოვრება მიწევს. ნამდვილად არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებსაც მოსწონთ გაუთავებელი ლოლიავი რაღაც მოწყობილობებთან და თან უხარიათ, რომ ასეთ რთულ მოწყობილობასთან აქვთ საქმე. საბედნიეროდ, ჩემი კომპიუტერის ტექნიკური სირთულე (ტემელინის ატომური ელექტროსადგურის სირთულისგან განსხვავებით) არავისთვის წარმოადგენს პირდაპირ მუქარას. სხვათა შორის: რაც უფრო სრულყოფილია ჩემი კომპიუტერი, მით უფრო ადვილია ყველაფრის უცაბედად წაშლა. არ ვამბობ, რომ ეს დიდი უბედურება იქნებოდა, მაგრამ ძველი კომპიუტერი ცალსახად და შეუდარებლად უფრო პრაქტიკული მოწყობილობა იყო. (...)

არ გეუფლებათ ხოლმე შეგრძნება, რომ დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკიას გააჩნდა გარკვეული იდეა, რაც ჩეხეთის რესპუბლიკას არ გააჩნია და პრინციპში, ასე ვთქვათ, ნარჩენი ქვეყანაა? როგორც ამას შიშობდა თქვენი მეგობარი და კოლეგა, დრამატურგი იოზეფ ტოპოლი, ხომ არ წარმოადგენს ეს გარკვეულ მუქარას?

საზოგადოდ, დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის იდეად მიღებულია მასარიკისეული ჰუმანიზმი. მართალია, დღეს ჩვენი პოლიტიკური ელიტა ამ იდეების ერთგულებას მიიწერს, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად და რიტუალურად. არ აქვთ შესისხლხორცებული. თუმცა ვერც იმას ვიტყოდი, რომ ეს ქვეყნის ორად გაყოფის პირდაპირი შედეგია. რომც არ გავყოფილიყავით, ალბათ, მსგავსად ტექნოკრატიული, სულიერებას მოკლებული და მატერიალისტური მთავრობა გვეყოლებოდა, თუმცა საფიქრებელია (სლოვაკური რელიგიურობის გათვალისწინებით) ოდნავ სხვა სახის მქონე. მეორეს მხრივ, ფაქტია, რომ ქვეყნის გაყოფის მომდევნო ხანაში ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაძაბულობამ იჩინა თავი, რომლის ძირითადი მახასიათებელიც, გარდა სხვა ყველაფრისა, სულიერების შესამჩნევი დაცემა იყო. საზოგადოებაში გამოიკვეთა „სტანდარტულობისა" და „ნორმალურობის" ანუ საშუალოობისა და ბანალურობის იდეალები,

ერთგვარი მეშჩანური მიწიერება. თუ რაიმე გამოირჩეოდა საერთო ფონზე, სულერთია რა მხრივ, მყისვე ყიჟინის საგანი ხდებოდა. ყოფილი დისიდენტების მიმართ ზიზღმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. ეს იყო ზიზღი ყოველივე იმის მიმართ, რაც უჩვეულოდ აღიქმებოდა, გამორჩეული იყო ან უმეტესობისათვის ქცევის მისაღებ მოდელს სცდებოდა. ზრუნვა საკუთარ თავზე, მატერიალურ კეთილდღეობაზე, ეკონომიკურ ზრდაზე, რაც გარემოს უპრეცედენტო განადგურებასაც გულისხმობდა და წარმოუდგენელი ზიზღი ნებისმიერი იდეის მიმართ – ეს ყველაფერი ეკუთვნოდა იმ ეპოქას და ბადებდა უიმედო შეგრძნებას, რომ სამუდამოდ ასე დარჩებოდა.

აღიქვამთ ამას, როგორც თქვენს ერთ-ერთ მარცხს?

გააჩნია როგორ შევხედავთ. ჩემს პირველ საახალწლო გამოსვლაში სიტუაციის შესაფერისი აღმაფრენით ვსაუბრობდი იმაზე, თუ როგორ ქვეყანაზე ვოცნებობ და ისიც ვახსენე, რომ ეს სულიერებაზე დაფუძნებული ქვეყანა უნდა იყოს. თუ ამ სიტყვებს, როგორც დაპირებას, შევხედავთ, უნდა ვაღიაროთ, დანაპირები ვერ შევასრულე, რასაც ძალიან განვიცდი, როგორც ჩემს უდიდეს მარცხს და ხშირად ვუსვამ საკუთარ თავს რთულ შეკითხვას, ღირდა კი ამ ყველაფერში ჩარევა და საერთოდ, თუ იყო ეს საჩემო საქმე. სულიერ და ზნეობრივ პოტენციალს იმდენივეს (ყოველ შემთხვევაში არანაკლებს) სძინავს ჩვენში, რამდენსაც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, თუმცა ქვეყნის სახესა და ქცევაზე ეს შეუმჩნეველ გავლენას ახდენს. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენი სახელმწიფოს მთავარი იდეალია დღევანდელი თაობისათვის გაურკვეველი სამომხმარებლო სამოთხის შექმნის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის ბარბაროსული ექსპლუატაცია, უსაზღვრო დამახინჯება და სილის გაწნა ან სულაც ამოპანღურება ყველასი, ვინც ამას ეწინააღმდეგება. თუკი რაიმე მეუცხოებოდა და რაიმეს წინააღმდეგ სისტემატურად ვილაშქრებდი, პირველ რიგში, ეს იყო მსოფლიოს, გინდაც სახელმწიფოს ამგვარი ხედვა და შესაბამისად, ამ ხედვის ბანალური ჩეხური ვარიანტი.

თუმცა, რაციონალურად თუ შევხედავთ ამ საკითხს, დავრწმუნდებით, რომ უაზრობაა დემოკრატიულ ვითარებაში ერთადერთ ადამიანს – რაოდენ ხანგრძლივი და რაოდენ მაღალიც არ უნდა იყოს მისი თანამდებობა – დავაკისროთ პირადი პასუხისმგებლობა იმის თაობაზე, რომ მისი ქვეყანა ცივილიზიის იმავე სახიფათო გზას ადგას, რასაც მთელი დანარჩენი პლანეტა. საზოგადოდ კი იდეალი გახლავთ ის, რასაც ვესწრაფვით, რაც ჩვენი მცდელობების ჰორიზონტს წარმოადგენს, ანიჭებს ამ მცდელობებს მიმართულებასა და აზრს და არა გაყინული ნიშნული, რომელსაც ან მიაღწევ ან ვერა. წარმოდგენაც კი, რომ ზნეობა შეგვიძლია შემოვხაზოთ იმის ნიშნად, რომ უკვე მიღწეულია და საზრუნავი ამ მიმართულებით არა დაგვრჩენია რა, ცხადია, აბსურდულია. მსგავსი აბსურდი იქნებოდა ჩემი ან ნებისმიერი სხვა ადამიანის იმაში დადანაშაულება, რომ დასახული მიზნების სიაში ჯერ არ არის შემოხაზული საკითხი სახელწოდებით „სულიერება". ჩემი ეს მსჯელობა არ ნიშნავს, თითქოს ამა თუ იმ მომენტში, ამა თუ იმ საშუალებით, სიტუაციის ჩემს იდეალებთან უკეთ მისაახლოებლად არ შემეძლო მეტის გაკეთება. თუმცა როგორ დავადგინოთ, რომ ეს საერთოდ განხორცელებადი იყო? ან საერთოდ, სად წერია, თითქოს თავისუფალ ქვეყანაში უმცირესობის შეხედულების მატარებელს შეუძლია უმეტესობას დაანახოს მისი თვითგანადგურებისკენ მიდრეკილება? თუმცა, ასეთი შანსის არსებობა დასაშვებია, ოღონდ გარკვეული და განსაკუთრებული პირობების შემთხვევაში. გაგვაჩნდა ჩვენ მსგავსი პირობები? არსებობდა კი ჩვენთან პიროვნება, რომელიც ჩემს ადგილზე მეტს მიაღწევდა? შესაძლოა. მეტიც, ნამდვილად არსებობდა ასეთი პიროვნება. მაგრამ რა ვქნათ, რომ ბედმა მე მარგუნა ეს როლი და არა ვინმე სხვას?

4.

(ვაშინგტონი 16. 5. 2005)

გუშინ ჩეხეთის საელჩოს თანამშრომლებთან ერთად, ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს ვუყურე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო და საბოლოოდ, გაიმარჯვა კიდეც ჩეხეთის გუნდმა. მეჩვენება, რომ როგორც ყოველთვის, ამ მოვლენით ცხოვრობდა მთელი ჩვენი ერი. მეც ჩავერთე საერთო დაძაბულობაში, დავტკბი მოთამაშეების ხელოვნებით და გამარჯვების სიხარულით, მაგრამ არ შემეძლო არ მეფიქრა იმაზე, რაც დიდი ხანია მაწვალებს: ეს არაჩვეულებრივი მოთამაშეები მოძრავ სარეკლამო აბრებს ჰგვანან. ის, ვინც არ იცნობს ჩეხეთის სახელმწიფო სიმბოლოებს, მსოფლიოში კი ასეთები, ალბათ, უმეტესობაა, ვერასდროს მიხვდება, რომ ეს ბიჭები ჩეხეთის რესპუბლიკას წარმოადგენენ. გეგონებოდათ, მანქანა „შკოდისთვის" ან ფირმა „ზეპტერის" ჩაიდნისთვის ასპარეზობენ. (ისიც მინახავს, მობილური ტელეფონებისთვის ან ლუდისათვის რომ იბრძვიან, ჩვენთან ხომ ფეხბურთის უმაღლესი ლიგა, სულაც ლუდის სახელს ატარებს). წარწერა „შკოდა" თავს იწონებდა მაისურებზე, ჩაფხუტებზე, მოედნის ღობეზე, ყინულზე, ხოლო მოედნის კუთხეში ოდნავ მაღლა, ნამდვილი „შკოდოვკა"[91] იდგა და ელობებოდა მაყურებელს. ვფიქრობ, ფირმა, რომელიც „შკოდას" უკეთებს რეკლამას, გემოვნების დეფიციტს განიცდის. უნდა ესმოდეს, რომ ამგვარი რეკლამით პირიქით, თუ შეაზიზღებ ადამიანს „შკოდას", ყოველ შემთხვევაში ჩემზე ასეთ ზეგავლენას ახდენენ. ჰოკეის ყურებით მიღებულ სიხარულს მიბათილებენ სხვადასხვა ფირმები. გუშინდელი შეხვედრა პარადოქსული იყო – კანადელებსა და ჩეხებს ჩაიდნების ერთი და იგივე წარწერები ამშვენებდათ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს „ზეპტერი" „ზეპტერის" წინააღმდეგ თამაშობდა. ყველაზე საშინელი ის გახლავთ, რომ დრო იწურება. ეს-ესაა მოვეწყვეთ და ისევ უნდა შევკრათ ბარგი. მუზეუმებისა და გალერეების უმეტესობისთვის დრო არ გვეყო, უამრავი მიპატიჟება

91 ჩეხეთში „შკოდის" მარკის მანქანებს მოფერებით უწოდებენ „შკოდოვკებს".

გადავდეთ, ნიუ-იორკში გამგზავრებაზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო. ამ წიგნის დასრულებას აქ ნამდვილად ვერ ვასწრებ. საინტერესოა, როდისღა დავასრულებ? დაბრუნებისთანავე სხვა საქმეები მაქვს საკეთებელი. სამწუხაროდ, არ შემიძლია ჩემს მეგობარ და კოლეგა პაველ კოჰოუტივით შუა სადღესასწაულო საღამოდან შინ გავიქცე და სცენარის ერთი დიალოგი ან რომანის ერთი თავი დავწერო. ყველაფრისათვის ძალების და ყურადღების მოკრეფა მჭირდება, უნდა მოვუხმო კარგ ხასიათს, სხვა საქმეები არ უნდა მიშლიდეს ხელს და ა.შ. ვერ გამიგია, როგორ ვახერხებდი თხუთმეტი წლის განმავლობაში, ყოველ შაბათ-კვირას გამოსვლების წერას, რომლებიც გარკვეული დღისთვის ყოველ მიზეზს გარეშე უნდა ყოფილიყო მზად, დასაწერადაც მკაცრად მქონდა განსაზღვრული დრო და არავის აინტერესებდა მაქვს თუ არა ახალი აზრები, შთაგონება ან შესაბამისი გუნება-განწყობა. ზუსტად ეს კატორღაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ დღესდღეობით ასე მიჭირს წერა. არც დროის უკმარისობა, შემაწუხებელი შეგრძნება, რომ გვიანდება, რაიმეს ვერ მოვასწრებ ან ვერ დავასრულებ არ მიადვილებენ საქმეს. თითქოს ატანილი ვყავარ შიშს, რომ მოვა ანგარიშსწორების წამი, რომლისთვისაც, ბიუროკრატიული თვალსაზრისით, საკადრისად არ ვიქნები მომზადებული უნაკლო ადმინისტრაციული საბუთებით ხელში. ის, რომ ერთხელაც აღვესრულები, სრულებითაც არ მაწუხებს, ამაზე შეუფარავად და სიამოვნებით ვწერ, ისე, რომ უგემოვნების გამოვლინებადაც კი არ მეჩვენება, ხოლო ის, რაც საშინლად მაწუხებს, არის შიში იმისა, რომ ჩემ შემდეგ არეულობას დავტოვებ და აღარასდროს მომეცემა თუნდაც ერთი წუთით დაბრუნების საშუალება, რათა წესრიგი აღვადგინო და ყველაფერს ნათელი მოვფინო.

ჩეხოსლოვაკიის და ჩეხეთის პრეზიდენტობას შორის შესვენებისას შეიქმნა ჩეხეთის ახალი კონსტიტუცია. ამ დროს თითქოს ჩვეულებრივი, ყოველგვარ საზოგადოებრივ ფუნქციებს ჩამოშორებული მოქალაქე ბრძანდებოდით. კონსტიტუციის შექმნაში თუ მიიღეთ რაიმე მონაწილეობა? აინტერესებდათ თქვენი შეხედულებები? თქვენი ხასიათი, ალბათ, არ მოგცემდათ საშუალებას მიგეტოვებინათ ეს საქმე ბედის ანაბარა და არ ჩარეულიყავით.

მართალს ბრძანებთ. კონსტიტუციის პირველ ვერსიასთან

დაკავშირებით დავწერე ერთი თუ ორი მინიმუმ ოცდაათ-გვერდიანი კომენტარი. ზოგიერთი რამ ვაცლავ კლაუსისთვის იყო გამიზნული, ზოგიც ჩაფიქრებული მქონდა ჩეხეთის ეროვნული საბჭოს სამართლებრივ-კონსტიტუციური კომიტეტის შეხვედრებისთვის, რომელიც ლანის სასახლეში იყო დაბინავებული და სპეციალისტების მიერ მომზადებული საბუთების მიხედვით მუშაობდა კონსტიტუციის შექმნაზე. ამას ხმამაღლა არ ახსენებდნენ, მით უმეტეს მე არ ვლაპარაკობდი ამაზე, თუმცა ვიცი, რომ ჩემი შენიშვნების ირგვლივ სერიოზულად თათბირობდნენ და ჩემი კომენტარებიდან ბევრი რამ შეიტანეს კიდეც კონსტიტუციაში. პრეამბულის ტექსტიც ჩემს კალამს ეკუთვნის. უბრალოდ, მწერალმა მილან უჰდემ, რომელიც იმ დროს ჩეხეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე იყო, რაღაც წაუმატა. არ ვიცი თუ მოხვდებოდა კონსტიტუციაში ერთი მაინც „მწვანედ“ გადაკრული სიტყვა ეროვნული შთამომავლობის დაცვისა და სამოქალაქო საზოგადოების შესახებ, მე რომ არ შემეტანა ჩემს შეთავაზებაში. მაშინ მართლაც საოცარი ატმოსფერო სუფევდა. ეკოლოგია, სამოქალაქო საზოგადოება ან თუნდაც არასამთავრობო სექტორი – სამშობლოს ღალატის ტოლფასი სიტყვები იყო, ბევრს მათი წარმოთქმისაც კი ეშინოდა. არ ვიცი ამ სიტუაციაში როგორ აღმოვჩნდით, მაგრამ ერთი რამ, გარდა სხვა ყველაფრისა, ცხადია: ფედერაციის დასასრულით გამოწვეულ საკუთარ ძალებში რწმენის უკმარისობასა და ხიფათის ქვეცნობიერ შეგრძნებას მივყავდით „საბაზრო ეკონომიკის“ გამარტივებული და მოძველებული დოგმებით მოჯადოებისა და „მჟავეების“ შიშის გზით. ასე ვუწოდებ ჟურნალისტების იმ განსაკუთრებულ ჯიშს, ყველაფერზე, რაც საკმარისად კაპიტალისტური არ არის, მჟავედ რომ იმანჭებიან.

რა იყო კონსტიტუციაში ყველაზე უფრო სერიოზული კამათისა და დებატების საგანი?

ვფიქრობ, სენატი. არავის უნდოდა. ყველას ეჩვენებოდა, რომ ჩვენს შემთხვევაში ორპალატიანი პარლამენტი აშკარა

საჭიროებას და გამოკვეთილ ტრადიციებს მოკლებული ზედმეტი ფუფუნებაა. არ ვართ ფედერალური სახელმწიფო, სადაც მეორე პალატა, რომელშიც ფედერაციის წევრები – პირველისგან განსხვავებით – მანდატების ერთი და იგივე რაოდენობით არიან წარმოდგენილები, იცავს მცირერიცხოვანი წევრების ინტერესებს მრავალრიცხოვანი წევრებისგან; პირველი რესპუბლიკის დროს სენატს არავითარი გავლენა არ ჰქონია, მხოლოდ დამსახურებული პოლიტიკოსების თავშესაფარს წარმოადგენდა და ომის შემდეგ აღარც კი აღუდგენიათ. ძირითადი მიზეზი, რის გამოც საერთოდ დაიწყო სენატზე ფიქრი, ერთობ სულელური იყო: ფედერალური საბჭოს ჩეხი და სლოვაკი დეპუტატები ქვეყნის ორად გაყოფაზე თანხმობას აკავშირებდნენ პირობასთან, რომ გადაიქცევიან პარლამენტის მეორე პალატად და ქვეყნის დაშლა მათ არ დააკარგვინებს პოლიტიკურ თანამდებობებს. სამართალმცოდნე იან კალვოდამ, სდა[92]-ს მაშინდელმა თავმჯდომარემ, ამ დაგეგმილ „ტრანსფორმაციას" ერთი პარლამენტის მეორედ „გადაჯიშება" უწოდა. მიუხედავად ამისა, სდა-ში სენატის დაარსების უფრო ამაღლებული მიზეზიც გამოინახა. ეს იყო ფონ ჰაიეკის იდეა „ფუნქციების გადანაწილების" შესახებ. ერთ პალატას მეტწილად საჯარო სამართალზე უნდა ეზრუნა, მეორეს – კერძო სამართალზე. ვფიქრობ, ლამაზი აზრია, მაგრამ წმინდა თეორია და უტოპიაა. ჯერ არასოდეს მსმენია ამ პრინციპის განხორციელების შესახებ და საერთოდ, არცა ვარ დარწმუნებული მისი განხორციელების შესაძლებლობაში. კონსტიტუცია,კონსტიტუციური უმრავლესობით უნდა ყოფილიყო მიღებული და დაუსრულებელი კამათის დრო აღარ რჩებოდა. 1-ლ იანვარს უნდა დაფუძნებულიყო ახალი სახელმწიფო და დამიჯერეთ, ძალიან უსიამოვნო იქნებოდა, რომ ეს ყოფილიყო უკონსტიტუციო სახელმწიფო. ამდენად, ერთნი ცდილობდნენ მეორეებთან შეთანხმებას, პარაგრაფები ერთმანეთის მიყოლებით იცვლებოდა, ყველა მიდიოდა დათმობაზე. ასე შეიქმნა

92 სდა – სამოქალაქო დემოკრატიული ალიანსი. ჩეხურად: ODA – Obcansko Demokratická Aliance.

კონსტიტუცია და ამ კონსტიტუციაში სენატმაც ამოყო თავი. საბედნიეროდ (არ ვიცი უყურადღებობით თუ შეცდომით, ერთი კი ცხადია, გადაღლილობისას), რომელიღაც დეპუტატის თხოვნით კონსტიტუციაში სენატის მაჟორიტარული გზით არჩევის კანონი ჩაიდო. სისტემური თვალსაზრისით ეს დიდად ლოგიკურად არ გამოიყურება, მაგრამ მაღალ ღმერთს შევეცოდეთ და ეს ასე მოხდა. მხოლოდ ამიტომ აქვს სენატის არსებობას დღეს აზრი და თანაც საკმაოდ დიდი: დეპუტატები არა მათი პარტიისა და პარტიული მანდატების, არამედ ამომრჩევლების მადლიერნი არიან, რომელთა წინაშეც, როგორც კონკრეტული პიროვნებები წარდგნენ. ამდენად, სენატი უკეთ არის შედგენილი, ვიდრე ქვედა პალატა, უფრო პასუხისმგებლიანი და დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნებებისაგან შედგება და გამოიყურება, როგორც ქვედა პალატიდან მომდინარე შესაძლებელი ექსცესების წინააღმდეგ დაზღვევა. ერთადერთი, სამწუხაროა, რომ ქვედა პალატას ასე ადვილად შეუძლია აჯობოს სენატს და დაბრუნებული კანონი ბევრი წვალების გარეშე ისევ იმავე სახით მიიღოს, რა სახითაც გადაეცა სენატს.

და რაც შეეხება სენატს, როგორი იყო თქვენი პირადი შეხედულებები?

როდესაც დავინახე, რომ სენატის არსებობას წინ ვერაფერი აღუდგებოდა, ვიფიქრე, კარგი იქნებოდა ზედმეტად უნიტარულ და ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მუქარის წინაშე დაგვეცვა თავი იმით, რომ სენატი ოდნავ მიგვემსგავსებინა სხვადასხვა ტიპის ფედერაციული საბჭოებისათვის. მის შემადგენლობაში ავტომატურად შესულიყო ყველა მხარის ჰეიტმანი და ამ მხარის ერთი ან ორი წარმომადგენელი ან სამხარეო მუნიციპალიტეტის რომელიმე ორი წევრი. მხარეებად დაყოფა ჯერ არ იყო შემოღებული, მაგრამ ვგეგმავდით. მე კი მეჩვენებოდა, თითქოს სენატში არაპირდაპირი არჩევნების პრინციპი რომ განგვეხორციელებინა მსგავსად იმისა, რასაც ფედერაციის შემთხვევაში ვთავაზობდი, მოგებული დავრჩებოდით. მხარეები

პირდაპირ ინსტიტუციონალურად ჩაერთვებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებაში, რის გამოც მათი ინტერესები ცენტრის თვალთახედვის არეში შემოვლითი ან ორსაფეხურიანი გზით კი არ მოხვდებოდა, არამედ პირდაპირ, ავთენტიკურად. მართალია, არჩევნების მაჟორიტარული პრინციპი დღევანდელ სენატს რეგიონების დამცველი სტრუქტურის სახეს აძლევს, რადგანაც ყოველი სენატორი რომელიღაც კონკრეტულ მხარეში უნდა იქნას არჩეული და ზუსტად ეს არ მომწონს მე, რამეთუ ეს წამოჭრის სენატის რაობის საკითხს, „ბრძენთა სათათბიროს" (რომელიც კომპლექსურად და სულ სხვა სიმაღლიდან მსჯელობს პრობლემებზე, გვაზღვევს პოლიტიკური პარტიების შესაძლო თვითნებობების და მყისიერი ჭირვეულობებისგან) წარმოადგენს თუ რეგიონული ინტერესების ვნებათაღელვის სარბიელს? თუკი მხარეები ან რეგიონები წარმოდგენილი უნდა იქნენ ცენტრში, სჯობს, რომ ავთენტიკურმა და მათ მიერვე პირდაპირ არჩეულმა პირებმა, უშუალოდ და ოფიციალურად წარმოადგინონ ისინი. საინტერესოა, რომ სდპ, რომელიც სახელმწიფო მმართველობის რეფორმისა და სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე იყო ყოველთვის (მისი შესაძლებელი დაშლის შიშით), ცოტა ხნის წინ მიემხრო სენატის მოწყობის ამგვარ იდეას. ალბათ უფრო იმიტომ, რომ სამხარეო მუნიციპალიტეტებში ისინი აჭარბობენ და ჰეიტმანების უმეტესობაც მათი პარტიის წევრია. ჯერჯერობით ვერაფერმა დამარწმუნა, რომ მსგავსი გადაწყვეტილება არ იქნებოდა მარტივი, იაფი, პრაქტიკული და ლოგიკური. ეს ნამდვილად არ გადაგვაქცევდა სახალხო რესპუბლიკად, უბრალოდ, ჰეიტმანები ლობირების მიზნით პრაღაში სირბილის მაგიერ, ლეგალურად მიიღებდნენ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში. ცხადია, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, თუ რა ფუნქციებს მიანიჭებდნენ სენატს და რა მიმართებაში იქნებოდა ქვედა პალატასთან. უკვე აღარ მახსოვს, რა სახით და რა ფაზაში ვთავაზობდი ამ კონცეფციას, თუმცა არ მიკვირს, რომ არ იქნა მიღებული, რადგანაც გულისხმობდა სახელმწიფო მმართველობის ზუსტად ისეთ

რეფორმას, რომელსაც დეპუტატების უმეტესობა ეწინააღმდეგებოდა და რომელიც მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ იქნა მიღებული, როდესაც პოლიტიკურ ძალთა განაწილება უკვე სხვაგვარი გახლდათ.

წარმოვიდგინოთ, რომ სენატი თქვენი კონცეფციის მიხედვით მოეწყო. როგორი უნდა ყოფილიყო ასეთ შემთხვევაში არჩევნები ქვედა პალატაში?

ყოველთვის ორტურიან საარჩევნო სისტემას ვემხრობოდი და ძალიან ვნანობ, რომ რევოლუციის პირველივე დღეებიდან გაშმაგებით არ ვიბრძოლე ამისთვის. თუმცა, მაშინდელი ვითარების შესახებ უკვე ვისაუბრეთ. მოგვიანებით არაერთხელ მილაპარაკია „კომბინირებულ" საარჩევნო კანონზე, თუმცა როგორ უნდა მოგვეხდინა მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების კომბინირება, გააზრებული არ მქონდა. არა, მოიცადეთ, მქონდა! ჩემთან კამათის შემდეგ საოცრად ელეგანტური ხერხი მოიფიქრა საარჩევნო კანონმდებლობის დიდმა სპეციალისტმა პროფესორმა კლოკოჩკამ, რომელსაც ბოლომდე ვეთანხმებოდი. ერთადერთი არ ვიცი – როდის მოხდა ეს. ალბათ, უფრო მაშინ, როდესაც საარჩევნო კანონი ხელახლა გადაიქცა საზოგადოებრივი დისკუსიების თემად, რაც პერიოდულად ხდება ხოლმე. პროპორციულ არჩევნებს თავისი დადებითი მხარეც გააჩნია. პლურალიზმის, მრავალფეროვნებისა და უმცირესობების წარმოდგენის უკეთეს საშუალებას იძლევა. საჭიროების შემთხვევაში, დღეს ამ საკითხს ბევრად უფრო მარტივად გადავწყვეტდი: გვყავს ორასი დეპუტატი: ერთი ნახევარი ერთი გზით ავირჩიოთ, მეორე – მეორე გზით. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, ორივე ამ სისტემის საუკეთესო მხარე უკეთ გამოაშკარავდებოდა, ცუდი მხარეების გავლენა კი შეიზღუდებოდა. შესაძლოა, ამას შეემცირებინა როგორც პოლიტიკური და სამთავრობო კრიზისების პერმანენტული მუქარა, ისე უდიდესი უმცირესობის გაუთავებელი და უწყვეტი ყოფნა ხელისუფლებაში, რაც შეიძლებოდა გამოეწვია არჩევნების წმინდად, მით უმეტეს ერთტურიან,

მაჟორიტარულ სისტემას. უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კანონის კონკრეტულ ფორმულირებას. აქ უამრავი წყალქვეშა ქვა იმალება, ამიტომაც ეს ცალკე დისციპლინაა, რომელშიც თავის როლს მათემატიკაც ასრულებს. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს ვთხოვე ფრიად საეჭვო და ახლადმიღებული საარჩევნო კანონის გაუქმება, რომელზეც ჩსდპ და სდპ შეთანხმდნენ და რასაც იქით მივყავდით, რომ ხელისუფლებაში მხოლოდ ეს ორი პარტია იქნებოდა წარმოდგენილი სამუდამოდ. კანონისათვის თვალის ერთი გადავლებით ეს ვითარება არ ჩანდა, ამას მხოლოდ მაშინ დაინახავდით, როდესაც დაიანგარიშებდით, რომ პატარა პარტიას მანდატისთვის ესაჭიროება ასი ათასი ხმა, დიდ პარტიას კი თხუთმეტი ათასიც ეყოფოდა, ეს რიცხვები ზუსტად აღარ მახსოვს, ამაზე ნუ გამომეკიდებით. მაშინ ამ საკითხებში ჩაღრმავება მომიხდა, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელი უნდა დამეცვა უდავოდ კომპეტენტური კოლეგისა და პარტნიორის საკანონმდებლო კომიტეტის თავმჯდომარისა და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, პაველ რიხეტსკის წინაშე. კამათის მონაწილეთა შორის ერთადერთი არაპროფესიონალი ვიყავი, რის გამოც ჩემს მაშინდელ გამარჯვებას დიდი სიამაყით ვიხსენებ. მიუხედავად ამისა, არ ვიცით თუ რას მოგვიტანს ამ საკითხთან დაკავშირებით მომავალი, ამიტომაც სიფხიზლე გვმართებს.

(21. 1. 2001)(...)

4) იმხა[93]-ს გამოსვლას, გასაგებია, რომ ამ კვირაში ისევ ვერ დავწერ, მაგრამ შემდეგ შაბათ-კვირას ყოველი მიზეზის გარეშე მზად იქნება, განსაკუთრებით თუ შესასწავლად ათასობით საბუთს არ შემომატენით, თანაც ვიცი, რომ ეს ასე იქნება (პარიზი, ახლო აღმოსავლეთი და მისთ.). შეკითხვა: ჯობია დავრჩე ფილოსოფიურ-რეფლექსურ „მეტათემასთან" სურვილისა და თვითგამოხატვის შეუძლებლობის (სკამი) შესახებ, თუ აჯობებდა პრინციპული და

93 იმხა – იანაჩეკის მუსიკალური ხელოვნების აკადემია. ჩეხურად: JAMU – Janáčkova Akademie Múzických Umění.

წმინდად პოლიტიკური ხასიათის სიტყვის წარმოთქმა, რომელიც მთელ ამ ისტორიას ჩტ-ს ირგვლივ და რაც მთავარია სიტუაციას, რომელ ზეც საუბარი მექნება, უფრო ფართო კონტექსტში შეაფასებდა? კერძოდ, ტიპური პოსტკომუნისტური კონფლიქტი პოლიტიკა ზე ორ ისეთ განსხვავებულ შეხედულებას შორის, როგორიც არის ღია საზოგადოების მხარდაჭერა (პოპპერი) და ძალაუფლების შენარჩუნების ტექნოკრატიული ტექნოლოგია (საკანონმდებლო ფორმალიზმი, როგორც ცინიზმის ხელსაწყო, პოლიტიკური უსირცხვილობა, მაფიოზური კაპიტალიზმის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სამსახური). გთხოვთ იმსჯელეთ ამა ზე და შემდეგ მომაწოდეთ თქვენი საერთო რჩევა. თუ მეორე გ ზას ავირჩევ, კარგ ტრადიციას ჩავუყრიდი საფუძველს, რუდოლფინის ტიპის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამოსვლებს (ამერიკის პრე ზიდენტივით) რამდენჯერმე წავიკითხავდი, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა სახის თავყრილობებზე. (...)

5)(...) გ) სენატის შემდეგ სასწრაფოდ სახლისაკენ გავემართები, რათა ჩავუჯდე საარჩევნო კანონთან დაკავშირებული საბუთების გროვას და მოვემზადო ბრნოსთვის. (...)

(28. 1. 2001)

(...) კარგი იქნებოდა პჰა-ს ხელმძღვანელობა სასწრაფოდ შეგვეცვალა ანუ არაუგვიანეს პირველი თებერვლისა. ცხადია, იქ საშინელი დაძაბულობაა, რაც არაფერს არგია. ეს დაძაბულობა, შესაძლოა, გარკვეულწილად ჩემი გამოწვეულიცაა, როდესაც ვიზეს შეხვედრა ზე წინდაუხედავად გამოვაცხადე, რომ მაქვს მინიშნებები თითქოს პჰა გვირაბის შესახებ თავისი უარყოფითი დამოკიდებულების გადათქმას აპირებს და რომ, შესაძლოა, მშენებლობა უკვე გა ზაფხულ ზე დაიწყოს. (...)

4) (...) მით უმეტეს, პარი ზიდან ჩამოტანილი და ვი ზესთვის გადასაცემი ფულის დიდი ნაწილი შემიძლია ზუსტადაც რომ გვირაბს მოვახმარო. არ ვიცი რამდენი ჩეხური კრონია 500 000 ფრანკი, მაგრამ დავუმატებთ რა იმ ორ მილიონს, რომელიც ჩემგან აქვს პჰა-ს და ვი ზეს თხუთმეტ მილიონს, ჯამში დაახლოებით ოც მილიონს მივიღებთ, რაც წელს თითქოს უნდა გვეყოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ასეთ შემთხვევაში ასრულდებოდა ერთ-ერთი პირველი და უმთავრესი იდეა (ჰრადთან დაკავშირებული), რომელიც პირველივე წუთებიდან გვაღელვებს, ანუ რომ ჰრადის მთელი ტერიტორია, ხოტკოვის ტრასიდან დაწყებული პოჰორჟელ-

ცამდე, ხელმისაწვდომი გავხადოთ საზოგადოებისათვის (აგრეთვე შესაძლოა, რომ ჩვენი მსჯელობების საგანი იყოს ჩემი ძველისძველი სურვილი, დავაკავშიროთ ერთმანეთთან სამეფო და ხოტკოვის ბაღები, ამის თაობაზე საკუთარი შეხედულებები გამაჩნია.) (...)

7) კეთილშობილთა სასწავლებლის რეკონსტრუქციის შეწყვეტა არ შეიძლება და არც არავითარი აზრი აქვს ამას (მჯერა, რომ საჭირო იყო), არც იმ საზიზღარი ძაღლის ჯიხურის დანგრევა და მისი არქიტექტორის გაგდება შეიძლება. ერთადერთი, პჰა-მ კარგად უნდა ადევნოს თვალყური, რათა არტილერიის სასახლის მსგავსად, ფუნქციური მოსაზრებებიდან გამომდინარე (გათბობა, გაყვანილობები და ა.შ..) აქაც არ მიქაროს. მნიშვნელოვანია აგრეთვე, იქ, სადაც ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია, გავლენა მოვახდინო ესთეტიკურ მხარეზე. ვთქვათ, განათების მოწყობილობების ან ფასადის ფერის სწორად შერჩევაზე (ადრე თუ გვიან მთელი სასახლე შეიღებება გარედან და მის ფერზე არა მარტო ჰრადის, არამედ მთელი პრაღის სახე იქნება დამოკიდებული – ადვილად შენიშნავთ თუ რა საზიზღრად მოჩანს დღევანდელი მწვანე ფერი კარლოსის ხიდიდან), მსოფლიოს წინაშე ამაზე პასუხს მე ვაგებ, ამდენად გავლენის მოხდენაც უნდა შემეძლოს. (...)

(4. 2. 2001)

1) გუშინ იმხა-ს გამოსვლა დავწერე. ჯერჯერობით არ ვიცი რა ვიფიქრო, ჩანაფიქრი საინტერესო მქონდა, განხორციელების ხარისხზე ვერაფერს ვიტყვი. (...)

2) ძვირფასო ვ. არ ვიცი, იქნებ ჩემი ცნობა კომპიუტერის თაობაზე გამოგრჩა. კომპიუტერი ისევ მაბრაზებს. ძირითადად, საქმე იმას ეხება, რომ როგორც კი მოვშორდები, იმწამსვე ძილქუშს ეძლევა და შემდეგ გამოფხიზლებას უარობს, თავს იმკვდარუნებს. როგორც წესი, ათიოდე ცდის შემდეგ (ვცდილობ გადავათქმევინო, ვუბრახუნებ, ვულიტინებ და ა.შ..) უბრუნდება სიცოცხლეს. რაიმე ეშველება? არ შეიძლება, რომ ანათოს, სანამ ჩემით მიზანმიმართულად არ გამოვრთავ? ეს ჩემი კომპიუტერის გაუმჯობესების ჩვეული შედეგია, რაც ცხოვრებას უსაზღვროდ მირთულებს.

(...) ა) შოკში ვარ იმ ხრიკისგან, რომელიც ლანის სამეურნეო კორპუსისა და მიმდებარე ეზოსაკენ (ძალიან საჭირო რამ!) მიმავალ გზაზე ქვაფენილის დაგების უკან იმალება. გარკვეული, სავსებით გაუგებარი ესთეტიკურ-არქიტექტურული მიზეზების გამო (რომელთა უკანაც, ცხადია, მეგობრისა და მისი ფირმის მოგება

იმალება) გ ზის დონე ნახევარი მეტრით დაწიეს, რაც დიდი მოცულობის და ხანგრძლივ მიწის სამუშაოებს გულისხმობს, ექსკავატორით თხრას, მიწის გატანას. შედეგები: ეს შეეხება მთელ მიწისქვეშა გაყვანილობებს და მათი რეკონსტრუქციის აუცილებლობას გამოიწვევს, რაც ალბათ გაანადგურებს იმ ბებერ ცაცხვს, გ ზის შუაში რომ აღმართულა. მშენებლობას უკვე შემოავლეს ყველაფრის დამამახინჯებელი ღობე, რომელმაც მთელი წელი უნდა გვიხეთქოს გულები (!!!), ანუ ლანში ერთი წელი უნდა აკეთონ ის, რაც ჩემი და პან ს.-ს ა ზრით აბსოლუტურად ზედმეტია და თანაც არაერთი მილიონი დაგვიჯდება და ეს მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი საქმეებისთვის არ გვაქვს საკმარისი სახსრები. წითელი ასფალტი სულ ბოლოს დაიგება და პრობლემას არ წარმოადგენს, ბოლოს და ბოლოს, სხვა ფერით შევცვლით (მოსასვლელი გ ზის მხოლოდ ნახევარ ზე უნდა დაიგოს, დანარჩენი კი ნორმალური ანუ შავი (!) იქნება.) მეშინია, რომ მსგავსი ვაი ინვესტიციები ჰრად ზე ბევრად უფრო მეტი გვაქვს (მაგალითისთვის, ყველასთვის გაუგებარია თუ რატომ სჭირდება ირლანდიის მოედან ზე ქვაფენილის დაგებას სამი წელი). (...)

(7. 3. 2001)

(...)

შინაგანში და პოლიციის პრე ზიდიუმში ერთმანეთში კარგად შეკრული ბნელი ძალებია, რომლებიც მინისტრით მანიპულირებენ და სურთ ხელთ იგდონ ჯერჯერობით შედარებით თავისუფალი და მათგან დამოუკიდებელი ჰრადის პოლიცია (სადაც, სხვათა შორის, უკვე გააჩნიათ დასაყრდენი). ეს ძალები ჩემთან მჭიდრო თანამშრომლობაში, ტრაკისკენ გ ზას უნდა გავუყენოთ. (...)

ვცადე მომეფიქრებინა ჩვენი ნინას მოსალოდნელი ქორწილის ადგილი და თარიღი, რაც შემდგომ ერთადერთ ადამიანს გავანდე ამქვეყნად. აღნიშნულ დროს მითითებულ ადგილ ზე გველოდებოდა ჟურნალისტთა ჯგუფი. (...) თხა მებაღედ არ გამოდგება. (...)

(25.3.2001)

(...)

არ მესმის რატომ გვაქვს ამდენი სათბური (ირჟიჩნის ახალი სათბურის ჩათვლით) ასე გამოსაჩენ ადგილებში. ცხადია, ოდესღაც სამეფო რე ზიდენციას სამინათმოქმედო ბაღებიც უნდა ჰქონოდა, ეს მესმის, მაგრამ ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ჰრადს ჩრდილოეთი-

დან არ ეკვროდა ქალაქი. დღესდღეობით შეგვიძლია დავიქირავოთ მიწები და ავაშენოთ სათბურები ნებისმიერ ადგილას ქალაქგარეთ. მეორე მხრივ, ეს არც კი გვესაჭიროება, რადგან ჰრადზე საჭიროზე მეტი სათბურია (აბა სცადეთ გაყიდვა მაშინ, როდესაც ჰოლანდიიდან თვითმფრინავით ჩამოტანილი ტიტები ჩვენსაზე ბევრად იაფი ღირს, ხომ სასაცილო იქნება). მიუხედავად ამისა, პირველივე მასშტაბური რეკონტრუქციისას ეს სათბურიცა და მებაღის სახლიც, თუ რაც არის ისიც, საერთო ანსამბლში ისე უნდა ჩავრთოთ, როგორც დიდი ხანია ამაზე ვოცნებობ და ვსაუბრობ.

(13. 5. 2001)

(...)

4) გიგ ზავნით რამდენიმე მონახაზს ნატოს სამიტის რეჟისურასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რაც შეეხება მის პოლიტიკურ შინაარსსა და მნიშვნელობას, საკმარისად შეეწინე ჩემი ბრატისლავის გამოსვლით (მთელი მსოფლიოსგან მხოლოდ ქება მესმის, იქიდან კი ვერავითარ რეაქციას ვერ ვამჩნევ). სექტემბრამდე ამასთან დაკავშირებით შემიძლია აღარ ვილაპარაკო, ისარგებლონ იმით, რაც უკვე ვთქვი. სექტემბერში კი თეორიულად მექნება ნატოს სამიტის კონკრეტული დაგეგმვისთვის საჭირო დრო: ყველაფერი, რაც ამ მომენტისთვის ვიცი ან რაზეც ვფიქრობ, ჩავატიე ამ წერილობით მონახაზში, რომელსაც გირთავთ როგორც ამობეჭდილი, ისე დისკეტზე ჩაწერილი სახით. გთხოვთ გადაუგზავნოთ ყველა დაინტერესებულ პირს: საშა ვონდრას, პანი ჰლავსოვას, მიხაელ კოცაბს და სხვ. (...)

(15. 5. 2001)

(...)

5) მიუხედავად ყველაფრისა, მზად ვარ კავანს რეკომენდაცია გავუწიო გაეროში (თუკი ვინმე მოითხოვს ამას). პერანგი პალტოზე ახლოსაა ტანთან, რაც უფრო შორს იქნება ეს კაცი ჩვენი ქვეყნისგან, მით უკეთესია ამ ქვეყნისთვის.

(27. 5. 2001)

(...)

4) იქმნება მედლებითა და ორდენებით დასაჯილდოებელთა სიები. სულ უფრო აქტუალური ხდება ეს საკითხი. ვიმეორებ სახელებს, რომლებიც უკვე მომხვდა ყურში ან აზრად მომივიდა და

თან ახლებსაც ვუმატებ (არ მახსოვს ძველი ლაურეატები). ლიტერატურა – ჰაუკოვა (გულით გირჩევთ), ჰირშალი, სტრანსკი (ყურადღება მიაქციეთ მის გაუდაბურებულ მიწას). სპორტი – ჟელეზნი, ლოპრაისი. ადამიანთა უფლებები: შილჰანოვა, უჰლი (აქამდე არ მიულია?), მილოშ ჰაიეკი (შპიდლა მოითხოვს ამას, გირჩევთ). თეატრი – იოზეფ სომრი? ვლასტიმირ ბროდსკი? ბოლეკ პოლივკა? ბენიაჩკოვა? კინო – იან ნემეცი, სტანისლავ მილოტა. უნდათ დამითანხმონ კრატოხვილზე (ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა). ტელევიზია – შემომთავაზეს (იუსტი) ერთი ბატონი, რომელიც შუმავის მეფე[94] იყო, ამბობენ მასზე საინტერესო ფილმი გადაიღოო კ. ვლახოვამ. და შვერმას რა ვუყოთ? ალბათ არა, მაგრამ ამის ირგვლივ ისეთივე სკანდალი ატყდება, ზილეკთან დაკავშირებით რომ იყო. (...)

(10. 6.2001)

1) მადლობა ბრიუსელის საბუთებისთვის. შემდგომში მივესალმებოდი, თუ უფრო გასაგებად იქნებოდა დაწერილი. აი მომხიბვლელი მაგალითი: „არსებობს მოსაზღვრე არხები.... NEEA/PSC, NEEA/MS, აგრეთვე ახლად შემოთავაზებულია NEEA/MC. დანიშნული კონსულტაციები NEEA-ს ხელს შეუწყობს CESDP-ს დახმარებაში ისევე როგორც CFSP-ს დახმარებაში". მსგავსი წინადადებები, განსაკუთრებით კი როდესაც მრავლად მხვდება, თავზარს მცემენ და ავად გახდომა მინდება, რომ აღარსად გავემგზავრო. (...)

3) ცოტა არ იყოს, დაღონებული ვარ ჩვენი ძეგლთა დაცვის განყოფილების, ბორჟეკ შიპეკის წინააღმდეგ გამოსვლებით. რატომ ებღაუჭებიან მეორე შიგა ეზოს ხის კარიბჭეს (ისევე როგორც სარდაფს) და ამით ეწინააღმდეგებიან იმას, რომ ამ ეზოს სხვადასხვა შესასვლელს ერთი ხელწერა აჩნდეს, ეწყობოდნენ ერთმანეთს და საერთოდ, რომ ჰრადის ჩემი ეტაპის შემდეგ აქ დარჩეს რაიმე ისეთი, რასაც თავი და ბოლო ექნება და არა უბრალოდ ლამაზია? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ხის კარიბჭის მოფრთხილებაზე კი არა, შიპეკის შემოქმედებითობის მიმართ შურიან ზიზღზეა ლაპარაკი, (...) რის ერთადერთ ახსნასაც ვხედავ საბედისწერო უგემოვნობაში, ტოტალური უსულობა და მოუქნელი ფორმები ურჩევნიათ მხიარულს, მსუბუქს, დეკორატიულსა და მართლაც

94 შუმავა არის მთათა სისტემა ჩეხეთის სამხრეთ დასავლეთით, ავსტრიისა და გერმანიის სახელმწიფო საზღვრებთან. კომუნისტურ ეპოქაში ამ რეგიონში მოქმედებდნენ გამცილებლები, რომლებსაც გარკვეულ საფასურად ჩეხეთში დევნილი მოქალაქეები გადაჰყავდათ საზღვარგარეთ, მათ ეძახდნენ შუმავის მეფეებს.

შემოქმედებითს (ამიტომ აღმოჩნდა, ყოველგვარი განმარტებებისა და მობოდიშების გარეშე, კურტ გებაუერის[95] გეგმები იელენი პრიკოპის გაფორმებასთან დაკავშირებით, სანაგვეში). ცხადია, გემოვნების შესახებ არ დავობენ, მაგრამ ყოველგვარი ორნამენტის, გამომგონებლობის თუ ფანტაზიის მიმართ ზიზღი არ უნდა იმალებოდეს ძეგლთა დაცვის ამაღლებული იდეების უკან. (...)

(17. 6. 2001)

(...)

7) დიდი მადლობა საკონსტიტუციო სასამართლოს საბუთებისთვის, ბევრია და მეც გულდასმით ვუზივარ. იმედია, ყველაფერს გავარკვევ. იქ მოკლედ და შთამაგონებლად ვილაპარაკებ, საჭირო პუნქტებს ბარათებზე ჩამოვიწერ, გამოცდილი ჩვევაა. ამ ქაღალდებში ვერ მივაგენი ჩებ[96]-ს საქმესთან დაკავშირებულ ჩვენს სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოში და პარლამენტის როგორც ერთ-ერთი მონაწილის გამოხმაურებას. ცხადია, ესეც უნდა ვიცოდე.(...)

10) ამბობენ, რომ დაჯილდოებებთან დაკავშირებით თათბირი გაიმართება. პეტრე პიტჰარტს უნდოდა დავეყოლიებინე ორდენის იმ ლეჟაკელი ბატონისთვის გადაცემაზე. ლაპარაკობენ ბროდსკიზე, შეგახსენებთ სტრანსკის, რომელიც სიაშიც შევიტანე (გაუდაბურებული მიწა, ანგარიშსწორება წარსულთან, ციხეში გატარებული დრო, სამოცდაათი კისერზე) და მილოტას, ერის ერთგვარი კოლორიტული სინდის-ნამუსია და თანაც, ეს ჯილდო კინოოპერატორს ჯერ არასოდეს მიულია. რეჟისორი კრეიჩიკი. ვაჰლოვებმა მიიღეს? ორივეს ვიცნობდი, მამა ფაშისტებმა დასაჯეს სიკვდილით, შვილი – კომუნისტებმა, ლამაზი და სიმბოლური იქნებოდა ორივეს ერთდროულად რომ მიეღო, in memoriam. ორდენი თუ არა, მედალი მაინც.

(26. 7. 2001)

(...)

3) პრეზიდენტობის დამაგვირგვინებელი გამოსვლების კომპოზიციურ მხარეზე ვფიქრობდი. ვგონებ, ექვს ფუნდამენტურ გამოსვლად უნდა დაიყოს: ა) 2001 წლის 28 ოქტომბერი. წარსუ-

95 კურტ გებაუერი (Kurt Gebauer – 1941) – განთქმული ჩეხი მოქანდაკე, 1990 წლიდან პრაღის სახვითი ხელოვნების აკადემიის დოცენტი, ჩეხური გროტესკული ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი.

96 ჩებ – ჩეხეთის ეროვნული ბანკი, ჩეხურად: ČNB – Česká Národní Banka

ლისათვის თვალის გასწორება. ბ)2002 წლის პირველი იანვარი. ევროკავშირის მოახლოება, რაც 2002 წელს ხელმონერით უნდა დასრულდეს. გ) წინასაარჩევნო გამოსვლა. ჩაფიქრებული მაქვს სერიოზული წინასაარჩევნო სიტყვა, ფიქრები სახელმწიფოს მომავალ ბედზე. კარგი იქნებოდა, რომ უკვე მოვლაპარაკებოდით ტელევიზიას. დაახლოებით 15 წუთი, წავიკითხავ ჩემი კაბინეტიდან. დ) 2002 წლის 28 ოქტომბერი. ახალი მსოფლიო წყობილება, ნატოს მნიშვნელობა ჩვენთვის, მოახლოებული სამიტი. ვაჩვენო მისი გარდამტეხი მნიშვნელობა მთელი მსოფლიოსთვის. ე) 2003 წლის პირველი იანვარი. მოკლე და შემაგულიანებელი საახალწლო სიტყვა. ვ) ამის შემდეგ, დაახლოებით ერთ თვეში, პრეზიდენტობის ბოლო დღეს ან ოდნავ უფრო ადრე, გამომშვიდობება. რას ვისურვებდი ქვეყნისთვის და რისთვის ვიბრძოლებდი, ახალგაზრდა და ჯან-ღონით აღსავსე პარტიული წინამძღოლი რომ ვყოფილიყავი. მცირედი შეფასება ყოველივე იმ კარგისა და ცუდის, რაც ჩემი მოღვაწეობის ხანაში მოხდა. (...)

(ვაშინგტონი 17. 5. 2005)

ეს საშინელებაა, როგორ გამიფრინდა დრო! დილას მოვედი ჩემს „სამუშაო ადგილზე", კონგრესის ბიბლიოთეკის ციცქნა ოთახში, გავეცანი დიპლომატიურ ანგარიშებს შინ და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ, გადავიკითხე პრაღიდან მიღებული წერილები, რამდენიმეგან დავრეკე, სხვადასხვა საქმე მოვაგვარე, მოვიწონე მისალმება, დავხვენე ჩემი პროგრამა. შემდეგ ვიჯექი და პასუხს ვცემდი პან ჰვიჟძალას შეკითხვებს. და აი უკვე ექვსი საათია, წასასვლელად უნდა მოვემზადო, თუ არა ჩამკეტავენ. გუშინ ჰილარისთან ერთად მადლენთან ვიყავი სავახშმოდ. მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. კარგად გამოიყურებოდა, ყურადღებით ისმენდა ყველაფერს, რასაც პოლიტიკოსები, როგორც წესი, არ აკეთებენ. ყველაფერი აინტერესებდა, გასაგებად და მოკლედ ლაპარაკობდა, ამიტომაც კარგად მესმოდა მისი ამერიკულის, რაც მათამამებდა და ჩემითაც ვლაპარაკობდი. ვფიქრობ არაჩვეულებრივი პრეზიდენტი იქნებოდა. ამ მიმართულებით ძალიან ვაწვებოდი, ის კი პასუხად მხოლოდ იცინოდა. შემდეგი წლის შემოდგომაზე ნიუ-იორკში ისევ იყრის კენჭს სენატორად. დღევანდელი გეგმის მიხედვით იმ დროს ჩვენც ნიუ-იორკში ვიქნებით და თუ შესაძლებელი და საჭირო შეიქნა, აუცილებლად დავუჭერ მხარს. მთავარია,

რომ მისი სენატის კანდიდატობა არ იკვეთებოდეს პრეზიდენტობის კანდიდატობასთან. წესით, ეს არც მოხდება. ჩემდა გასაკვირად, ვახშმის შემდეგ მოვიდა ჯონ კერი, პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატებისგან, მეუღლითურთ, რომელმაც მეტი ხმა დააგროვა, ვიდრე ნებისმიერმა სხვა დემოკრატმა ისტორიაში და მაინც არ ეყო გასამარჯვებლად. ვფიქრობ, რომ ამას ჯერ კიდევ ვერ შეეგუა. თუმცა ფრიად სიმპათიური ადამიანია, ბევრად უფრო სიმპათიური, ვიდრე ეს ტელევიზორიდან ჩანს. ორივემ ბევრი იცოდა ჩემ შესახებ, პრალაში იყვნენ და კარგად მიცნობენ. კიდევ ერთხელ გაიხსენა და ძალიან კარგად ლაპარაკობდა კონგრესში თხუთმეტი წლის წინანდელი ჩემი გამოსვლისა (უკვე ოცი წელია, რაც სენატორია) და ამერიკის პოლიტიკაში არაპირდაპირი წვლილის შესახებ. გავწითლდი, ავღაფღაფდი და სასწრაფოდ გადავუხვიე თემას. სამწუხაროა, რომ არ ესმოდათ ეს ჩვენს „მჟავეებს“. თითქმის ყოველი აქაური პოლიტიკოსი, განსაკუთრებით სენატორები დიდი პრანჭიები არიან. უეჭველად ჰყავთ არაჩვეულებრივი დალაქები, რომლებიც ელეგანტურ ჭაღარას ლამაზად ვარცხნიან, ყოველ დილით ვარჯიშობენ და ნამდვილად მათ ვილაც უუთოვებს კანს ან კიდევ სხვა შესაძლებლობაც არსებობს – ჩვენგან განსხვავებული მატერიისაგან შესდგებიან. და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება, უბრალო პრანჭიები კი არა, სიმპატიური, კარგი მანერების მქონე, ზრდილი და განათლებული ხალხია. საშინლად უჩივიან ამერიკაში პოლიტიკური კულტურის დაცემას, თუმცა არ მესმის რა აქვთ სანუწუნო. უნდა მოვრჩე. ალბათ ხვალ გავაგრძელებ.

მთლიანობაში, რამდენად მოგწონთ ჩეხეთის კონსტიტუცია? თქვენი აზრით ამართლებს?

ვფიქრობ, პრინციპში კარგია. მნიშვნელოვნად შესაცვლელი რომ არ იყოს არჩევითი ორგანოების სტრუქტურა და ამ ორგანოებში არჩევის წესები, რაც ჩვენი წინა საუბრის თემა იყო, ჩემი აზრით, მცირედი კორექცია საკმარისი იქნებოდა. მაგალითისთვის, შეიძლებოდა უფრო მარტივი ყოფილიყო მთავრობის გადაყენების ან ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მექანიზმი; უფრო გასაგებად ყოფილიყო მოწოდებული მინისტრების გადადგომის, მათი გათავისუფლების და დასახელების პროცედურა. როგორც კი რაიმე

ხდება ამ სფეროში, იწყება გაუთავებელი კამათი იმაზე, თუ რა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და რა – არა, რას გულისხმობს ხოლმე კონსტიტუცია ან რა იმალება ამა თუ იმ ფორმულირების უკან. სამართალმცოდნეებს თავიანთი ენა აქვთ და ვფიქრობ მესმის თუ რას ამბობენ და წერენ, მაგრამ საუბარი მარტო ჩემზე ხომ არ არის. კონსტიტუცია წყაროს წყალივით გამჭვირვალე უნდა იყოს, ყოველ სტუდენტს უნდა შეეძლოს მისი სწრაფად და სრულფასოვნად გაგება. ერთი სიტყვით, მართლაც ხალხის საკუთრება უნდა იყოს ისევე, როგორც ამერიკაშია. არ ვემხრობი სამართლის გადამეტებულად ფორმალურ და პოზიტივისტურ გაგებას, რადგანაც ვიცი თუ რამდენი უსამართლობის მიზეზი შეიძლება გახდეს კანონის წმინდად ფორმალური და უგუნური ერთგულება. უფრო ვემხრობი „ბუნებრივი სამართლის" გაგებას, რომელიც კანონს უქვემდებარებს მისსავე არსს, სულისკვეთებასა და მიზანს, რომელიც სამართლიანობაში მდგომარეობს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ კონსტიტუციის ტექსტი ბუნდოვანი უნდა იყოს. რაც უფრო მკაფიო იქნება ყველაფერი, მით უკეთესი.

რას ფიქრობთ ზოგადად კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით? არაერთი სპეციალისტი თვლის, რომ ამ მხრივ მეტი თავშეკავება გვმართებს.

დროის მსვლელობაში, მისასალმებელი მიზეზების გამო ბევრი ისეთი ახალი კანონი იქნა მიღებული, რომლებიც, ძირითადად, აზუსტებენ ჩვენს კონსტიტუციას. აზუსტებენ იქ, სადაც თავის დროზე საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოესწრო ან ამას თხოულობს ახალი ვითარება. ასეთებია, ვთქვათ, სახელმწიფოს დაცვის, არსებული საშიშროებებისა და უშიშროების საბჭოს საკითხები, ევროკავშირის სამართალთან დამოკიდებულება და სხვა ბევრი მომენტი. არც ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაციას აწყენდა გარკვეული მოდერნიზება. მაგალითად, მექანიკურად არის ჩეხოსლოვაკიიდან ჩეხეთზე გადმოტანილი, ამიტომ დოკუმენტის პირველი ორი სიტყვაა „ფედერალური საბჭო".

სასარგებლოდ მიმაჩნია და მივესალმებოდი, ვინმეს სიწყნარეში რომ მოემზადებინა კონსტიტუციის ახალი ვარიანტი, რომლის მიღებაც ამ ერთი წლის განმავლობაში მოხერხდებოდა. მშვენიერი იქნებოდა, რომ მუდმივმოქმედი კონსტიტუციური კანონები, რომლებიც შეეხება თვით სახელმწიფოს რაობას – არ ვგულისხობ კანონებს რეფერენდუმების და ვადამდელი არჩევნების შესახებ – ჩართულიყო კონსტიტუციაში შესაბამის ადგილას და მის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად ქცეულიყო. გასაგებია, კონსტიტუციის ასეთივე ნაწილი უნდა იყოს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაციაც, რომელიც ამავე დროს მის დასაწყისში უნდა მოთავსდეს. შესაძლებლობის შემთხვევაში კარგი იქნებოდა ათობით ადგილას ენობრივად გამართვა, ერთიან ტერმინოლოგიაზე დაყვანა, ზოგან შეკვეცდა ადამიანი, ზოგან კი პირიქით, გაავრცობდა, რათა არ გამოიყურებოდეს გაუწონასწორებლად იმით, რომ რაღაც წვრილმანი, ზედმეტი ახსნა-განმარტებების საგანია, უმნიშვნელოვანესი კანონი კი, ვთქვათ საარჩევნო, ძალიან ზოგადად არის განხილული. ამგვარი კონსტიტუცია, შექმნილი მშვიდ და ყოველგვარ პოლიტიკურ პერიპეტიას მოშორებულ ატმოსფეროში, სავარაუდოდ, დიდხანს გასტანდა ცვლილებების გარეშე, შესაძლებელი იქნებოდა მისი პოპულარიზება აღმზრდელობითი პროცესის ფარგლებში და სახელმწიფოს შესახებ ჩვენი ზოგადი შეხედულების ბუნებრივ ნაწილად იქცეოდა.

ამდენად, პრეზიდენტის უფლებებს არ შეცვლიდით? და კანონების დაბრუნება? ჩეხეთის პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის ათი წლის განმავლობაში ოცდაშვიდ კანონს დაადეთ ვეტო.

პარლემენტისთვის კანონების დაბრუნება მართლაც კარგი რამ გახლავთ. თუმცა, ცოტა არ იყოს, უაზროდ მეჩვენება ჩვენთან არსებული ორმაგი ვეტოს კანონი. ანუ, ერთის მხრივ, ხელმეორე განხილვისთვის დაბრუნების უფლება (ამის უფლება აქვთ პრეზიდენტსა და სენატს) და მეორეს მხრივ, როგორც ერთის, ისე მეორის მიერ დადებული ვეტოს

კენჭისყრის გზით გაუქმების მარტივი პროცედურა. პრეზიდენტის ვეტოს ერთი უეჭველი პლუსი აქვს – პასუხისმგებელია ერთი კონკრეტული პირი, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საკუთარი მოსაზრებებისა და სინდისის საფუძველზე და ეს პასუხისმგებლობა არ არის ანონიმური. კოლექტიურმა და ამდენად, ნაკლებად პიროვნულმა, პარლამენტის „აზრმა", დეპუტატებსა და პარტიებს შორის ათასგვარი „ვაჭრობის", ხშირად უცაბედი და ურთიერთგამომრიცხავი შემოთავაზებების წყალობით შესაძლოა ისეთ შედეგამდე მიიყვანოს სიტუაცია, რომელსაც რეალურად არავინ ესწრაფოდა და რომელიც შემდეგ მთელს პარლამენტს დააღონებს. ზუსტად აქ ეძლევა პრეზიდენტს კიდევ ერთი საშუალება, ყოველივე დაწვრილებით შეისწავლოს და თავიდან ანონ-დაწონოს. თუმცა, მხოლოდ ასეთ შემთხვევებში არ ვაბრუნებდი კანონებს, ვაბრუნებდი მაშინაც, როდესაც, ჩემი აზრით, აშკარა უაზრობასა და უსამართლობას შეიცავდნენ ან როდესაც მეჩვენებოდა, რომ შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენს კონსტიტუციურ წყობილებას და ფასეულობებს, რომელზეც დაფუძნებულია ეს წყობილება. ხშირად არ ვაბრუნებდი კანონებს და თქვენ მიერ დასახელებული რიცხვი პრინციპში ძალიან პატარაა. ამ ათი წლის განმავლობაში ყველა ის კანონი რომ დამებრუნებინა, რომელშიც რაიმე არ მომეწონა, დამიჯერეთ, ეს ბედი ეწეოდა კანონების უმეტესობას. და ბოლოს, ადვილი დასაშვებია, რომ პრეზიდენტის თანამდებობასა და კომპეტენციებთან დაკავშირებით შესაძლებელია ზოგიერთი დეტალის დახვეწა, თუმცა არავითარ პრინციპულ ცვლილებებს არ მოვახდენდი. მგონია, რომ ჩვენში სახელმწიფოს მეთაურის მდგომარეობა შეესაბამება საპარლამენტო დემოკრატიის ჩვენეულ გაგებას.

და რას იტყოდით პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნების შესახებ?

ეს ხომ კიდევ ერთი ჩეხური გროტესკია. ამაზე უკვე 1989 წლიდან ბიბდინარეობს საუბარი, ანუ თხუთმეტ წელზე მეტია და თანაც ამ თემას წამოწევს ხოლმე ზუსტად ის პარტია,

რომლისთვისაც პირდაპირი არჩევნები უფრო ხელსაყრელია მოცემულ მომენტში, საპირისპირო მდგომარეობაში მყოფნი კი ახრჩობენ ხოლმე ამ კანონს. მე მგონი როგორც ერთ, ისე მეორე როლში არაერთხელ აღმოჩნდა ყველა ჩვენი პარტია რიგრიგობით. როგორ უნდა სცე ამის შემდეგ მათ პატივი? დავუბრუნდეთ ძირითადს. ვემხრობი პირდაპირ არჩევნებს. პირდაპირი არჩევნები არ გამოიწვევდა პრეზიდენტის კომპეტენციასა და თანამდებობაში საგრძნობ ცვლილებებს, უბრალოდ, ყველა დანარჩენი სახელმწიფო მოხელისგან განსხვავებით, სხვა სახის ლეგიტიმურობას მიანიჭებდა, რითიც წარმომადგენლობითი დემოკრატიის მთელი სისტემა გამდიდრდებოდა. რაც უფრო მეტი განსხვავებული ხერხით ხდება არჩევა სხვადასხვა თანამდებობაზე, მით უფრო მრავალსახაა დემოკრატია და ამავდროულად სტაბილურიც, მეტი გამძლეობა აქვს ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ. და თუკი მთავრობა პარლამენტიდან საპარლამენტო არჩევნების გზით ყალიბდება, მაშინ არ იქნებოდა ცუდი, რომ პრეზიდენტის მანდატი სხვა გზით იქმნებოდეს და ამდენად, ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებასთან, მთავრობისგან განსხვავებულ მიმართებაში იყოს. როგორც ვიცი, ჩემი ძველი კოლეგების – პრეზიდენტებისაგან, პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები, ყველგან, სადაც კი არსებობს ეს სისტემა, ამდიდრებს ურთიერთგამაწონასწორებელი ფაქტორების სისტემას და გარკვეულწილად იწვევს პრეზიდენტის ემანსიპაციას, ანუ გამოყოფს მას იმ პოლიტიკური სუბიექტებისაგან, საიდანაც ამოიზარდა და ვინც მხარს უჭერდა. ეს მხოლოდ სასიკეთოა. არაფორმალურ კომპეტენციაზე, არამედ რეალურ სრულუფლებიანობაზე და მანდატის მფლობელის ავტორიტეტზე მაქვს აქ ლაპარაკი.

კიდევ ერთი რამ ატარებს ჩეხური გროტესკის ნიშნებს. ეს არის მოლაპარაკებები რეფერენდუმის შესახებ. რეფერენდუმს ყოველთვის ერთ-ერთი მხარე ემხრობა: ის, რომლისთვისაც კონკრეტულ ვითარებაში უფრო ხელსაყრელია.

რეფერენდუმის შესახებ დებატებს უკვე თითქმის თხუთ-

მეტი წელია ვადევნებ თვალყურს. ვფიქრობ, რომ რეფერენ-დუმი პირდაპირ და ცალსახად უნდა იყოს დაფიქსირებული კონსტიტუციაში და არა ზოგადი ფრაზებით პირდაპირი გადაწყვეტილების შესაძლებლობის შესახებ, როგორც ეს დღეს გვაქვს. რეფერენდუმი კონსტიტუციური წყობილების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს და არ უნდა გულისხმობდეს ყოველ ჯერზე ახალ კონსტიტუციურ კანონს. შესაძლებელია, აღმოვჩნდეთ სიტუაციის წინაშე, როდესაც აუცილებელი იქნება რეფერენდუმი, პარლამენტში კი კონსტიტუციურ უმეტესობას ვერ მოვიპოვებთ. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ რეფერენდუმი ხშირად და ნებისმიერი მიზეზით უნდა იმართებოდეს. პირველი რესპუბლიკის დროსაც არსებობდა ეს შესაძლებლობა, თუმცა არც ერთი რეფერენდუმი არ ჩატა-რებულა. ეს ერთგვარი დაზღვევა უნდა იყოს, რომლის შესა-ხებაც ვიცით, რომ, უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის ხელთ გვაქვს და არ უნდა აღვიქვამდეთ როგორც ავადმყოფურ მოვლენას.

(9. 9. 2001)

(...)

1) დაპირებისამებრ, არმიის რეფორმირებასთან დაკავშირე-ბული შეხვედრისთვის განცხადების ესკიზი უკვე მზად არის. გთხოვთ, დაჩქარებულად ჩატარდეს მისი კრიტიკული გარჩევა რპკ-სა და რპსკ[97]-ში, შემდეგ კი შეხვედრის ყველა მონაწილის მიერ დისკრეტულად გაირჩეს. ვფიქრობ, ზემანი და პიტჰარტიც უნდა მოვიპატიჟოთ, რათა იქ სახელმწიფოს ყველა უმაღლესი მოხელე იყოს შეკრებილი. გთხოვთ, საქმიან შენიშვნებზე გაამახვილოთ ყურადღება, სტილისტიკაზე – ნაკლებად. მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული აღმფრენა არ დავუკარგოთ დოკუმენტს. ეს საქმის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია და იმედს ბადებს, რომ შემ-დეგ ზოგიერთი გაზეთი გამოაქვეყნებს კიდეც. ისევე, როგორც ყოველთვის, ყველაზე დიდ პრობლემას კლაუსი წარმოადგენს, იყნოსებს თუ არა ჩემს ხელწერას, ტორპედირებას დაუწყებს დოკუმენტს. როგორ მოვიქცე? ალბათ, საუკეთესო იქნება პირველ

97 რპსკ – რესპუბლიკის პრეზიდენტის სამხედრო კანცელარია (VKPR – Vojenská Kancelář Prezidenta Republiky)

ეტაპზე ნეჩასს ვესაუბრო და თუ შევთანხმდით, ვთხოვო თვითონ მოელაპარაკოს კლაუსს. (...)

(16. 12. 2001)

(...)

5) გადავხედე კანონს მოსამართლეების შესახებ. გთხოვთ, შეიმუშავოთ მოკლე კრიტიკული წერილი პარლამენტის მიმართ, რომელსაც თან დავურთავ ხელმოწერილ კანონს. წერილი შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ვფიქრობ კონსტიტუციურ სასამართლოში სარჩელის შეტანაზე. უკვე შეიძლება ამ დოკუმენტზე მუშაობის დაწყება. თუკი მინდა მოგება, უბრალოდ, სრულყოფილი უნდა იყოს და ფართო საზოგადოებისათვის შთამბეჭდავად ულერდეს.

(1. 1. 2002)

1) ვესალმები ყველა თანამშრომელს და საახალწლოდ გისურვებთ (უკანასკნელად, როგორც პრეზიდენტი) ყოველივე საუკეთესოს!

2) მე მგონი უკვე გამოვჯანმრთელდი.

3) ოთხშაბათს, ორში, პროგრამის მიხედვით, ველი კარდინალს, შემდეგ კი – ფორუმ 2000-თან დაკავშირებული შეხვედრა. (...)

12) მნიშვნელოვანი რამ: რაც უფრო მძულს პოლიტიკა, მით უფრო ვერთვები მეურნეობა-ესთეტიკის საქმეებში, რომლებიც ნლების მანძილზე უყურადღებოდ მქონდა მიტოვებული. (...) ჯერ არ შევხვედრივარ ადამიანს, რომელსაც მოსწონს, თუ როგორ გამოიყურება შიროკაას გალერეა. რაოდენ კარგიც არ უნდა ყოფილიყო მაშინდელი ჩანაფიქრი, წააგავს ნორმალიზაციის ეპოქის რაიონული კულტურის სახლს. ასეთ წარმოდგენას ხელს უწყობს დიდი აქციებისას გალერეის ყოველდღიური ცხოვრება. (...) იმათთვის, ვისაც არაფრის ხელის ხლება არ უნდა, რამეთუ ყველაფერი ისტორიული ძეგლია. ასე რომ ეფიქრათ ჩვენს წინამორბედებს, არავითარი ჭრადი არ იარსებებდა. მის ადგილას დღეს ურჯულოთა კერა გვექნებოდა. ყოველივე ახალი, ასე თუ ისე, არღვევს ძველს. შიროკაას გალერეისთვის ადამიანური სახის მიცემის შიპეკისეული გეგმა კი მხოლოდ მის ულიმლამობას არღვევდა და ისიც იმგვარად, რომ ყველაფერი შეიძლებოდა დაბრუნებოდა თავის პირვანდელ სახეს. თუმცა ვიმედოვნებ, რომ არც ერთ ჩემს მემკვიდრეს არ ექნება

მსგავსი მცდელობები. (...)

(2. 2. 2002)

(...)

9) ს.-ს ვთხოვდი გაეკითხა, ჰრადზე ხომ არ მოიძებნებოდა ჩემი ოთახისთვის თანამედროვე ლოგინი, ეგრეთ წოდებული ტახტი თუ „აეროპორტი" (ანუ უბრალოდ ლეიბი პატარა ფეხებით). არ შემიძლია წესიერად წამოვწვე და გავიჭიმო, ჟანგბადი ჩავისუნთქო და აზრები დავალაგო, ამის საშუალებას არ მაძლევს ლამაზი „სოფლის" ლოგინი თავისი საბნებით. მსგავსი ლოგინები ჩვენში ულარიბესებს ჰქონდათ ხოლმე სოფლად (მაშინ ლოგინში ან ეძინათ ან კვდებოდნენ, და ნამდვილად არ იყო გაანგარიშებული თხუთმეტწუთიანი წამოგორებისათვის). (...)

(24. 2. 2002)

1) მინისტრი ბურეში[98] განაგრძობს თავდასხმას, დიდი ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებს და ბევრი კომენტატორი გადაიბირა. გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია, შესაბამისად, დაგეგმილ შეხვედრასთან დაკავშირებული დოკუმენტები. მჭირდება რაიმე მისი გამოსვლის გარჩევისმაგვარი და ინფორმაცია იმათ შესახებ, რომლებსაც უფრო შესაფერის კანდიდატებად მიიჩნევს. (...) ვფიქრობ, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის ამბავი ჯერჯერობით საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ჯობია გაიგ ზავნოს დილით, მინისტრის მოსვლამდე, მე კი მას ინფორმაციისთვის ასლს გადავცემდი. (...) საუბარია კონსტიტუციურობის დაცვაზე, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაზე და სამართლისადმი არაფორმალისტურ მიდგომაზე. (...)

5) საუდის პრინცმა, რომელიც აქ მეწვია, წერილი მისწერა დაშას და 6 მარტს პარიზში, იქ, სადაც დაშა იქნება ამ დროს, შეხვედრის თაობაზე მოელაპარაკა. გთხოვთ პრინცისთვის შემდეგი შინაარსის წერილი მოამზადოთ, რომელსაც შემდეგ დაშა გადასცემს (ტექსტი შეიძლება განავითაროთ). თქვენო უდიდებულესობავ, სიამოვნებით მახსენდება ჩვენი ხანმოკლე შეხვედრა პრაღის ჰრადზე. მინდა გამოვთქვა მადლიერება ჩვენი საქველმოქმედო

98 იაროსლავ ბურეში (Jaroslav Bureš) – ჩეხი სამართალმცოდნე. 1995-1999 წლებში სამოქალაქო სამართლის კოლეგიის თავმჯდომარე, 2000-2001 წლებში უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, 2001-2002 წლებში ჩეხეთის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

ფონდისთვის შეპირებული დიდსულოვანი შეწირულობისათვის. ფულის გადმორიცხვისთანავე შეიკრიბება ჩვენი ფონდის მმართველობა და დაადგენს თანხის საუკეთესოდ განკარგვის გეგმას. გადაწყვეტილების მიღებისთანავე შეგეხმიანებით თქვენი თანხმობის მისაღებად. შესაძლოა, თქვენს ყურამდე უკვე მოაღწია ჩეხეთის მთავრობის თავმჯდომარის ზოგიერთმა აბსურდულმა გამონათქვამმა. თვითონ ამას ხსნის თავისი ცუდი ინგლისურით და გაუგებრობით. ასე იყო თუ ისე, მინდა დიდი სიამოვნებით, კიდევ ერთხელ, დაგარწმუნოთ ჩემს ღრმა პატივისცემაში მუსულმანური სამყაროს მიმართ, რომ ახლო აღმოსავლეთის მშვიდობიანი პროცესი და პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებები (რომელთაგან ზოგიერთმა პრაღაში, ფორუმ 2000-ის ფარგლებში ჩაიარა) ჩემი გამუდმებული ინტერესის საგანია. აგრეთვე შეგახსენებთ ჩემს დიდი ხნის სურვილს, მრავალრელიგიური მედიტაციის, თავშეყრისა და დისკუსიის ორგანიზების შესახებ, რაც ჩვენი ფონდის ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენს. ჩემი ეს აქტიურობა სრულად ეთანხმება არაერთგ ზის დეკლარირებულ და საქმით დასაბუთებულ ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკურ გეზთან. (...)

(24. 3. 2002)

(...)

2) მოსაფიქრებელია, ხომ არ ღირს გვეთხოვა უსს[99]-თვის, გამოეკვლია გრიპენების შემსყიდველი ფირმის წარმომადგენელთა ქმედებები (ამბობენ, რომ პრაღაში დარბიან და სადაც გასდით, ცდილობენ ლობირებას, სავარაუდოა, რომ ქრთამებსაც არიგებენ). (...)

(28. 4. 2002)

(...)

3) (...) კათედრალური ტაძრის შესახებ კანონის მონახაზი უკვე მზად მაქვს. გავითვალისწინე კარდინალთან მოლაპარაკებების შედეგები და მოწოდებული დოკუმენტები. გთხოვთ, რომ თქვენმა განყოფილებამ პროფესიულად შეამოწმოს ნაწერი. ჯერჯერობით კი ეს მხოლოდ მოყვარულის შემოქმედებაა. პარალელურად კარდინალსაც გავუგ ზავნი შესაფასებლად. საქმე იმას ეხება, რომ მინდა კათედრალი ამოვიღო საეკლესიო რესტიტუციიდან, რაც,

99 უსს – უშიშროების საინფორმაციო სამსახური. ჩეხურად: BIS –Bezpečnostní Informační Služba.

შესაძლოა, კიდევ თხუთმეტი წლით გაიწელოს, ცალკე განხილვის საგნად ვაქციო და თანაც ისე, რომ სამომავლო პრეცედენტი არ შევქმნა. ამას უფრო სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. (...)

(13. 5. 2002)

(...)

14) არჩევნების დღეებში, შაბათ-კვირას, ლანში წასვლას აზრი არ აქვს. კვირას დილიდან, ცხადია, არჩევნებში „გამარჯვებულებთან" საუბრები მექნება ჩასატარებელი (დომეჩეკში), უკვე ორშაბათს კი აქ ინდონეზიელი ქალბატონი იქნება.

(19. 6. 2002)

(...)

3) (...) 29-ში, შაბათს, დალაი-ლამას უნდა შევხვდე. ეს პროგრამაში არ არის შეტანილი და არც შეხვედრის ჩასატარებელი ადგილი გვაქვს მოფიქრებული. პროგრამაში წერია, რომ ვარ ლანში, რაც შეუძლებელია, რადგანაც იქ დალაი-ლამაა დაბინავებული. მე კი, ცხადია, არ მინდა დავურღვიო მყუდროება. ვფიქრობ, შაბათს ნაშუადღევს ვესტუმრო და მშვენივრად შეიკვრებოდა წრე, რადგანაც თორმეტი წლის წინ, ზუსტადაც რომ ლანში ჩავატარეთ ჩვენი პირველი ერთობლივი მედიტაცია. (...)

6) გთხოვთ, შპიდლას, ან მისი რწმუნებით აღჭურვილ პირებს, სიტყვიერად შეახსენოთ, რომ გამოჩნდა ახალი ფაქტები ცნობილი მინისტრის კანდიდატურის წინაალმდეგ, რომელიც მოულოდნელად, გარკვეული შესვენების შემდეგ, ისევ იქცა სპეკულაციების საგნად. ვგულისხმობ არა მარტო ბრნოს შედეგებს, არამედ იმასაც, რაც იმ ქალბატონებმა გვითხრეს შეწყალებებზე საუბრისას (რომ ეს არის ყველა მისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი დაქვემდებარებულის აროგანტული მწვალებელი). (...)

(6. 7. 2002)

ბატონ მ.-ს და მისსავე არჩეულ დანარჩენი განყოფილებების უფროსებს ან რპკ-ს სხვა თანამშრომლებს ვთხოვდი, რომ აგვისტოს ბოლომდე წერილობით მოემზადებინათ კოლექტიური შეხედულება იმის თაობაზე, თუ რა ექნება ხელთ. შესაბამისად, რა გადაეცემა ჩეხეთის პრეზიდენტს თანამდებობის დატოვების შემდეგ. მაგალითისთვის, ეს ნიშნავს შემდეგ შეკითხვებზე პასუხის გაცემას:

როგორ ხდება ეს სხვა მსგავს ქვეყნებში, გერმანიიდან უნგრეთამდე? 2) თუკი იარსებებს მინისამდივნო, რამდენად დიდი უნდა იყოს? ვის დაექვემდებარება? თუ აბსოლუტურად დამოუკიდებელი იქნება? 3. თუკი დამოუკიდებელი იქნება, რაც, ცხადია, უკეთესია (ორმაგი დაქვემდებარება კარგის მომტანი არაა), რა სახის იურიდიული პირი იქნება? თუ იქნებიან ყოფილი პრეზიდენტის, ფიზიკური პირის მიერ დასაქმებული ფიზიკური პირები? სად დაბინავდება კანცელარია? და რასაკვირველია, მთავარი საკითხი, რომლიდანაც გამომდინარეობს სხვა ყველაფერი – გადაიხდის თუ არა, მთლიანად თუ ნაწილობრივ, შესაბამის თანხებს სახელმწიფო? თუ პირიქით, ეს არ შედის და არც შევა სახელმწიფოს ინტერესებში და ყოფილმა პრეზიდენტმა თავის საქმისწარმოებას თვითონ უნდა მოუაროს? 4. ერთი მხრივ, როგორ წარმოუდგენიათ იდეალურ შემთხვევაში ამ პრობლემის გადაწყვეტა ჩემს თანამშრომლებს და მეორეს მხრივ, როგორია რეალობა? 5. შეიძლება თუ არა რაიმე შინაარსიანი გამოსავლის მოძებნა ახლანდელი კანონმდებლობის ფარგლებში, თუ ამისთვის საჭიროა უმაღლესი სახელმწიფო მოხელეების შესახებ კანონის განახლება ან განსაკუთრებული სამთავრობო დადგენილება? 6. ვინმე თუ ფიქრობს და ზრუნავს ამ საკითხებზე? რას იზამ, ეს საკითხები სულ უფრო აქტუალური ხდება და კარგი იქნება ვიცოდე რა ვითარებაში ვარ, რას ფიქრობენ ამის შესახებ ჩემი ახლანდელი თანამშრომლები და საჭიროების შემთხვევაში რა უნდა მოვიმოქმედო. (...)

ილაპარაკო ჩვენი ქვეყნის ბოლო თხუთმეტი წლის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და არ ახსენო ვაცლავ კლაუსი, უბრალოდ დაუშვებელია. გასაგები იქნება თუ არ გენდომებათ მისი, როგორც დღევანდელი პრეზიდენტის, ქმედებების შეფასება. მაგრამ ყოველთვის პრეზიდენტი არ იყო და არსებობს საკითხები, რომლებზეც ისე ვერ ილაპარაკებ სერიოზულად, რომ რევოლუციისშემდგომი მოვლენების ამ უდავოდ გამორჩეულ ფიგურას არ შეეხო. საიდან იცნობთ ერთმანეთს? როგორია თქვენი პირადი ურთიერთობები? როგორ აღმოჩნდა ვაცლავ კლაუსი პოლიტიკაში?

უკვე სამოცდაათიან წლებში ერთად ვიყავით ჟურნალ „ტვარჟის“ რედაქციაში. რაც შეეხება იმ ეპოქას, მას პიროვნუ-

ლად ვერ ვიხსენებ, თუმცა კარგად მახსოვს მაშინდელი მისი ეკონომიკისადმი მიძღვნილი სტატიები, რომლებიც მით იყო საინტერესო, რომ პრაქტიკულად არ ლაპარაკობდა იმდროინდელი რეფორმისტულ-კომუნისტური ეკონომიკის ენით და მაშინაც კი, როდესაც ამ ენას მიმართავდა, არსებულ კონტექსტში ეს ასეთად არ ჟღერდა. შემდგომი ოცი წლის განმავლობაში არა მსმენია რა მის შესახებ, თუმცა ბევრჯერ გამხსენებია და მიფიქრია, საინტერესოა ერთი რას შვებამეთქი. ვფიქრობდი, რომ ალბათ უკვე დიდი ხანია ემიგრაციაში იმყოფება და პროფესორია სადმე ამერიკაში. შემდეგ კი, მოულოდნელად, სახალხო ფორუმში გამოცხადდა. რიტა კლიმოვამ მოგვიყვანა, რადგანაც მაშინ ეკონომისტებს ვეძებდით, მათი დახმარება გვჭირდებოდა და რადგანაც კარგად იცნობდა მას კერძო ეკონომიკური დისკუსიებიდან, რომლებიც ოთხმოციან წლებში საკუთარ ბინებში იმართებოდა ხოლმე, მოგვიანებით კი სამეცნიერო დაწესებულებებშიც და რის შესახებაც თითქმის არაფერი ვიცოდი. მხოლოდ ფორუმში რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ ვიცანი და მივხვდი, ეს ის კლაუსია, პირადად რომ ვიცნობ. საოცრად მშრომელი იყო, ზოგჯერ ძალიან მომხიბვლელი, ზოგჯერ კი, უბრალოდ, აუტანელი. სწრაფად შევეჩვიეთ, შეეფერებოდა სახალხო ფორუმს, შეეზარდა იქაურობას, ეკონომიკური ექსპერტი იყო და ჩემთან ერთად პრესკონფერენციებზეც ეპატიჟებოდნენ. ერთ-ერთ ასეთ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს წარვუდგინე კიდეც, ცხადია, ეს შემდეგ დამავიწყდა, ხოლო ცოტა ხნის წინ, ჩემდა გასაკვირად, ეს კადრები ჩეხეთის ტელევიზიის ღამის პროგრამაში ვიხილე, რევოლუციისდროინდელ კინომასალაში. შევეჩვიეთ საზოგადოებაში კლაუსის საზიზღარ ქცევას, მის ნიჭს ასხივოს უარყოფითი ენერგია, მისთვის ჩვეულ ირონიას, ნარცისიზმს, მის, მაშინ ჯერ კიდევ კარგად შენიღბულ ზიზღს ყველა ჩვენგანისადმი, რომლებსაც გვყრიდა ერთ საერთო სანაგვეში წარწერით: „მემარცხენე ინტელექტუალები“.

ჩალფას პირველ მთავრობაში, ანუ იმ მთავრობაში, რო-

მელიც რევოლუციის დროს მრგვალ მაგიდასთან მრავალი კამათის შედეგად აღმოცენდა, ვაცლავ კლაუსი ფიგურირებდა როგორც სახალხო ფორუმის მიერ რეკომენდებული ფინანსთა მინისტრი. არ გაშინებდათ მისი ასეთ მნიშვნელოვან მინისტრად დანიშვნა, მაშინ, როდესაც ასე კარგად იცნობდით?

კარგად მახსენდება „ლატერნა მაგიკას“[100] გასახდელში ჩემი გულწრფელი საუბარი ძველ მეგობარ და თანამესაკნე ვაცლავ ვალეშთან, ეკონომისტთან და პრაქტიკოსთან; ახალგაზრდობიდან ბიზნეს მენეჯმენტის სფეროში მუშაობდა, ხოლო პრაღის გაზაფხულის პერიოდში სულაც მინისტრი გახლდათ. ვკითხე, ის აუტანელი კლაუსი თუ შეძლებდა-მეთქი ფინანსთა მინისტრობას. მან კი მიპასუხა, რომ შეძლებდა, რადგანაც სახელმწიფო ხაზინას უდარაჯებდა და პოლიტიკაში არ ჩაყოფდა ცხვირს, რომ ხაზინის სადარაჯოდ ასეთი ადამიანი ნამდვილი მონაპოვარია.

თავისუფალი არჩევნების შემდეგ ისევ ფინანსთა მინისტრად მოგვევლინა.

ამას, ვფიქრობ, რამდენიმე ასპექტი გააჩნდა. უპირველესად ის, რომ რევოლუციისშემდგომი პირველი მთავრობის ყველა წევრი, ერთი ღამის განმავლობაში ვარსკვლავად იქცა. ორმოცწლიანი პაუზის შემდეგ, ხალხმა უმაღლეს თანამდებობებზე პარტიული ბიურუკრატების მაგიერ უცებ დაინახა ნორმალური, თავისუფლად მოსაუბრე ადამიანები და საყოველთაო ეიფორიის პირობებში, გამორჩეულად შეიყვარა ისინი. ბუნებრივია, კლაუსიც მათ რიგებში აღმოჩნდა. ის, მსგავსად დიენსტბიერისა[101], მშვენივრად გრძნობდა სად უნდა დამდგარიყო, რათა კამერაში მოხვედრილიყო. გამაოგნებელი შრომის უნარის მქონე, აქტიურად იღვწოდა წინასაარჩევნო

100 ლატერნა მაგიკა (Laterna magika) – პრაღის ერთ-ერთი თეატრის სახელწოდება.

101 ირჟი დიენსტბიერი (Jiří Dienstbier) – ჩეხი პოლიტიკოსი და დიპლომატი. პრაღის გაზაფხულის აქტიური მონაწილე, 70-80-იან წლებში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ჩეხი დისიდენტი, „ქარტია 77-ის“ ერთ-ერთი პირველი სპიკერი (1979 და 1985). 1979–1982 წლებში სასჯელს იხდიდა დისიდენტობისათვის. 1989–1992 წლებში – საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო 1990–1992 წლებში – ჩეხოსლოვაკიის ფედერალური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე.

კამპანიაში და მე მგონი ერთ-ერთი სამხარეო კანდიდატი ქალბატონის ლიდერიც კი იყო. როდესაც სახალხო ფორუმ-მა ორმოცდაათ პროცენტზე მეტი ხმა მიიღო, არჩევნებში გამარჯვებულთა რიცხვს ისიც მიეკუთვნა და ბუნებრივია, თანამდებობის მიღების პრეტენზიაც გაუჩნდა. შემდეგ მუხ-ლჩაუხრელად მუშაობდა იმაზე, რომ როგორც შინ, ისე საზ-ღვარგარეთ, ჩეხური რადიკალური ეკონომიკური რეფორმის მამის სახელი დაემკვიდრებინა, რომლის პირდაპირი ავტორ-იც არ გახლდათ. ავტორები უფრო ტომაშ იეჟეკი, დუშან ტრჟისკა, ვაცლავ ვალეში და სხვები იყვნენ, თვითონ კი ამ რეფორმის ყველაზე ენერგიული დამცველი, მეტიც, ვიტყოდი ამ რეფორმისათვის აგრესიული მებრძოლიც კი იყო. და ეს უეჭველად მისი დიდი დამსახურებაა, რასაც, ჩემი აზრით, ვერანაირ ჩრდილს ვერ მიაყენებს აღნიშნული რეფორმის შეცდომები, ხარვეზი და უზუსტობები. მას ნებისმიერ საკითხ-თან დაკავშირებით შეეძლო გაეტანა თავისი. ხშირად მისი პარტნიორები მხოლოდ იმიტომ ეთანხმებოდნენ, რომ მეტი აღარ ესმინათ მისთვის. ერთი სიტყვით, „რეფორმის მამის“ რეპუტაციის მქონე ადამიანის მთავრობაში არშეყვანა ძნელი საქმე იყო. და კიდევ, „სახალხო ფორუმისა“ და მოძრაობის „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ“ ხელმძღვანელობამ, რომლებსაც ერთად უნდა დაესახელებინათ ახალი მთავრობა, გადაწყვიტეს ვაცლავ კლაუსი მთავრობაში არ შეეყვანათ. ყველამ კარგად იცოდა, რომ იგი სახალხო ფორუმს მხოლოდ თავისი მიზნების მისაღწევად იყენებდა. მეტიც, ჩეხებსა და სლოვაკებს შორის გარკვეული წონასწორობის დაცვის აუცილებლობა სლოვაკებს უფლებებს აძლევდა ამ „ძალოვან“ სამინისტროზე, რადგანაც ჩეხებს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები ეკავათ. ამგვარად, მე როგორც პრეზიდენტმა, სახალხო ფორუმისაგან მივიღე უსიამოვნო დავალება: ვაცლავ კლაუსისთვის მეუწყებინა, რომ იქნება ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ბანკის თავმჯდომარე და არა ფინანსთა მინისტრი. ამ დავალების შესრულებისას სამარ-ცხვინოდ ვუმტყუნე მათ: როდესაც კლაუსს ეს ყველაფერი ვუთხარი, მან მიპასუხა, რომ გამორიცხულია, რომ მას მთელი

მსოფლიო, როგორც ჩეხოსლოვაკიის ფინანსთა მინისტრს, ისე იცნობს, რომ სხვა ფუნქციის შესრულება არ შეუძლია და რომ მისი მთავრობიდან წასვლა მთელი ჩეხოსლოვაკიისთვის კატასტროფა იქნებოდა. მე კი იმის მაგიერ, მეთქვა, რომ ასე გადაწყვიტა არჩევნებში გამარჯვებულმა პოლიტიკურმა ძალამ, და თუ არ გინდა ბანკი, წადი და რაც გინდა ის აკეთე, ავიღე და დავუთმე. ჩემი პასუხი დაახლოებით ასე ულერდა: „მაშ კეთილი". სახალხო ფორუმი შეშფოთდა, რომ დავალება არ შევასრულე, კლაუსის ჩემ მიმართ ზიზღი კი ერთბაშად სიძულვილში გადაიზარდა. ტიპური ცუდი პოლიტიკოსივით მოვიქეცი: არ შევასრულე დანაპირები და მეტიც, ყველა გავაცოფე.

და როგორღა მიმდინარეობდა თქვენი თანამშრომლობა ფედერაციის ხანაში?

გამოგვდიოდა. მთლიანობაში კორექტულად. მას ჩემ მიმართ ზიზღი უნდა დაეძლია, რადგანაც ჩემ წინააღმდეგ სახალხოდ და მწვავედ გალაშქრება არას არგებდა, მე კი ვცდილობდი პატივისცემით მოვქცეოდი. ცხადია, აქა-იქ ნაპერწკალიც გაიელვებდა ხოლმე. მას ჩემი არც ერთი გამოსვლა არ მოსწონდა, განსაკუთრებით კი საახალწლო გამოსვლები, რის გამოც გამუდმებით მკიცხავდა. დროგამოშვებით „მჟავეებიც" გამოილაშქრებდნენ ხოლმე. მოგვიანებით კი მათ მთავარ სამიზნედ ვიქეცი და ჩემ მიმართ გამოყენებული გამოთქმა „არაპოლიტიკური პოლიტიკა" იმ დროის პოპულარულ სალანძღავ სიტყვად იქცა. სახალხო ფორუმი, როგორც უკვე აღვნიშნე, გარდაიქმნა სდპ-დ, ამაში დიდად არ ვერეოდი და არც შემეძლო ჩარევა. ეს გადაქცევა, ერთი მხრივ, კლაუსის დიდი შრომისმოყვარეობის, მოხერხებულობის, შენიღბული სკურპულოზურობის და თანამშრომლების გადაბირების თუ მხარდამჭერების მიზიდვის დიდი ნიჭის, ხოლო მეორე მხრივ, დანარჩენების ძალაუფლების სფეროში მანევრირების უუნარობის შედეგი გახლდათ.

ფიქრობთ, ვაცლავ კლაუსი რევოლუციის შემდგომი

პირველი ფინანსთა მინისტრი რომ არ ყოფილიყო, ან იგივე პოსტი პირველი არჩევნების შემდეგაც რომ არ მიეღო, პოლიტიკაში არ მოხვდებოდა და არც არასდროს ჩაერეოდა?

არა, პირიქით. ვფიქრობ, ნებისმიერ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, დაეუფლებოდა რომელიმე მაღალ პოსტს ან სულაც ქვეყნის სათავეში მოექცეოდა. იცის თავისის გატანა და ამბიციურია. რომ არა ის ელვისებური ზესვლა, პირველი ფედერალური ანუ ერთგვარი ტელევარსკვლავების მთავრობის მეშვეობით, ცხადია, ყველაფერი უფრო გაურთულდებოდა, მაგრამ ივლიდა იმავე მიმართულებით, ზევით. სწორად გამიგეთ: როდესაც ამას ვამბობ, არ ვგულისხმობ თითქოს ადამიანმა არ უნდა იბრძოლოს ძალაუფლებისთვის და ვინც იბრძვის, ის პრაქტიკულად და გათვლილად არ უნდა მოქმედებდეს. ეს ასე უნდა იყოს და ამ მხრივ ვაცლავ კლაუსი არაჩვეულებრივია. უბრალოდ, ხანდახან მისი ქმედებები მორალის ფარგლებში ძლივს ეტეოდა ხოლმე.

ეს იყო მცირე ექსკურსი ფედერაციის ეპოქაში. როგორ მიმდინარეობდა თქვენი თანამშრომლობა მოგვიანებით?

არ იყო ადვილი. მართალია, თვითონ და სდპ ჩემს კანდიდატურას მხარს უჭერდნენ, მაგრამ ეს ჩემი სიყვარულით არ იყო გამოწვეული. უბრალოდ, ამას ყველა მოელოდა. მეტიც, ალბათ, თხოულობდა კიდეც. კლაუსი ყოველთვის ცდილობდა პირველი სვლის პრივილეგია ჰქონოდა და ასე ვთქვათ, სულ ია-ვარდით მიფენდა გზას, რათა ფუნქციის მიღების მომენტისთვის რიგიანად დაქანცული და გამოფიტული ვყოფილიყავი. ეს მისი მეთოდი იყო, რომელსაც არა ერთხელ დავკვირვებივარ. მაგალითად, არ უნდოდა პარლამენტისთვის პრეზიდენტის კანცელარიის შესახებ კანონის წარდგენა, მიუხედავად იმისა, რომ კანონი უკვე მზად იყო და მის გარეშე პრეზიდენტის ფუნქციების შესრულებას პრაქტიკულად ვერ შევძლებდი. ათასგვარ მოთხოვნას აყენებდა, იმდენად, რომ მის ამ საქციელს ზრდილობიან გამოძალვასაც კი ვუწოდებდი. მე აღმიქვამდა უმთავრეს მოწინააღმდეგედ და რას არ აკეთებდა ჩემ საწინააღმდეგოდ.

ცხადია, მე ჩემი აღზრდისა და კონფლიქტების სიძულვილის მიზეზით არაერთხელ წამიგია მასთან, თუმცა საბედნიეროდ, არასდროს – პრინციპულ საკითხებში. ვთქვათ, ნატოში შესვლის თანხმობა, რომელიც ჰრადზე გამართული პოლიტიკური პარტიების საერთო თათბირზე სხვადასხვა მიზეზის გამო არ გვაღირსა, ბოლოს შეიძლება ითქვას მსუბუქი მანიპულაციების გზით გამოვტყუე. ჰრადზე ყოველთვის უკმაყოფილოდ თავს აქნევდა ნებისმიერი მიზეზით და არა იმიტომ, რომ ესა თუ ის წვრილმანი ასე მნიშვნელოვანი იყო მისთვის, არა, უბრალოდ, პრინციპიდან გამომდინარე. ყოველ წელს დიდი ორთაბრძოლა იმართებოდა ბიუჯეტთან დაკავშირებით. ჩემ მიერ ჩაფიქრებული, ცენტრალური ევროპის პრეზიდენტების შეხვედრასთან დაკავშირებითაც ბურტყუნებდა და პირველ შეხვედრაზე ლიტომიშლში საერთოდაც იუარა გამოცხადება. აკრიტიკებდა ნატოს რეფორმასთან დაკავშირებით ჩემს შეხედულებებს და კიდევ სხვა ბევრ რამეს. ალბათ, ყველაზე უფრო ის ესიამოვნებოდა, რომ მისი მოწონების გარეშე არაფერი მეკეთებინა. მწარე მოგონებად ჩამრჩა სალმან რაშდის[102] ვიზიტი პრაღაში. არ იცოდა, რომ აქ იმყოფებოდა, მე კი ჰრადზე მოვიპატიჟე. გაიგო თუ არა, იმავე ღამეს ჰრადზე მოვიდა და მსაყვედურობდა, რომ ქვეყანას ხიფათში ვაგდებდი. მის ვიზიტს მეტი წონა რომ ჰქონოდა, მეგზურობას საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრები უწევდნენ. ორივენი გაკვირვებასა და ბრაზს ასახიერებდნენ – შინაგანმა სალმანს პირადად გამოუყო დაცვა – მაგრამ იმედოვნებდა, რომ შეფის წინაშე არ ჩავუშვებდი. ცხადია, არ ჩავუშვი. ამისათვის კი დაისაჯა ჩემი პრესმდივანი ლადისლავ შპაჩეკი, მსუბუქად, მაგრამ მაინც, რაც იმაში გამოიხატა, რომ მისი ერთ-ერთი განცხადებისაგან შორს დავიჭირე თავი. მართალია, მისი კომენტარი მართლაც ოდნავ უხერხულად ჟღერდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. საქმე ის გახლდათ, რომ თუკი საერთოდ მსურდა ამ კონფრონტაციის დასრულება, მომეთხოვებოდა მცირე

102 სალმან რაშდი (Salman Rushdie) – ბრიტანელი მწერალი, წარმოშობით ინდოელი მუსულმანი, რომელსაც რომანისთვის „სატანისტური ლექსები", დაუსწრებლად სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს ირანში.

შესაწირავის გაღება. ვერ გავუძელი რა იმ ღამის დაძაბულობას, გარკვეულწილად შევწირე კიდეც შპაჩეკი. ბევრჯერ განმიცდია მსგავსი მარცხი. თუმცა, ყველაზე მძიმე მოგონებები ოთხშაბათებს უკავშირდება. კლაუსმა, ერთი შეხედვით, მშვენიერი რამ შემომთავაზა. კერძოდ, მსგავსად ინგლისის პრემიერისა, რომელიც ყოველ ოთხშაბათ ნაშუადღევს მიემართება დედოფალთან პარლამენტისა და მთლიანად ქვეყანაში სიტუაციის შესახებ ანგარიშის ჩასაბარებლად, ისიც ყოველ ოთხშაბათს ერთი საათით მეწვეოდა ჰრადზე. ამ წინადადების მიუღებლობა შეუძლებელი იყო. ოთხშაბათის ეს მონაკვეთი შიშის ზარს მცემდა და ღამის კოშმარად მექცა. სამშაბათ საღამოდან დაწყებული არაფრად ვვარგოდი. შეხვედრა ყოველთვის ერთი სქემით მიმდინარეობდა – ფრიად მეგობრული საუბრის ოც-ოცდახუთ წუთს მოჰყვებოდა თავდასხმის უმნიშვნელოვანესი მომენტი (საკუთრივ რისთვისაც ჩაფიქრებული იყო მთელი ეს წარმოდგენა) – იწყებდა ბოლო პერიოდის ჩემი რომელიმე ქმედების გაკრიტიკებას. თავიდან ბოლომდე უაზრო კრიტიკა. მაგრამ შინაარსი ხომ არაფერ შუაში იყო, მთავარი გახლდათ, ვეიძულებინე თავდაცვაზე გადავსულიყავი. თავს პირველი რომ დაგესხმება, შეგიძლია რაც გაგიხარდება უხსნა და უმარტო, მეტიც, მას შეუძლია ყველაფერზე დაგეთანხმოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველი თავდასხმის მოხდენილობას ველარ ამოშლი და ჩემს თავდაცვით პოზიციასაც ველარას უშველი. აი ტიპური შემთხვევა: რაღაც მომენტში ჩაძვრება გულის ჯიბეში და ტურტლიან საგაზეთო ამონაჭერს ამოაძვრენს, რამდენჯერმე მოიბოდიშებს, რომ საერთოდ საუბრობს ამაზე და შემდეგ ამოიკითხავს, რომ მე მწუხარება გამომითქვამს ფრენკ ძაპას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, შემდეგ კი ძალიან ზრდილობიანად მიმანიშნებს, რომ ქვეყნის მეთაურს არ შეშვენის ვიღაც უცხოელი როკ მუსიკოსის გარდაცვალებაზე ოფიციალურად საუბარი, მაშინ, როდესაც ჩვენი შინაური ბუმბერაზები იხოცებიან და გაზეთებში ჩემი ერთი სიტყვაც კი არ ჩანს. რა უნდა მექნა ასეთ აბსურდულ სიტუაციაში? ალბათ, სწორი იქნებოდა ავმდგარიყავი და მეთქვა:

მაშ ასე, ნახვამდის ვაცლავ! უბრალოდ, ასე მოქცევა საშინ-ლად მიჭირს და ორას წელიწადში ერთხელ თუ ვახერხებ. ამიტომაც ვიწყებ ბოდიალს იმის თაობაზე თუ პირველივე წამიდან როგორ აინტერესებდა ძაპას ჩვენი ქვეყნის ამბები, როგორ გვეხმარებოდა, თუ რაოდენ უმადურად ვიქცეოდით ჩვენ, რომ ფრანს-პრესმა თხოვნით მომმართა გამომეხატა წუხილი, რომ ამაზე უარის თქმა აბსურდული იქნებოდა და რომ ჩემი ბრალი არ არის, თუ ყველა გარდაცვალებასთან დაკავშირებით ყველა ჩემი მისამძიმრებიდან, რომელიღაც გაზეთმა ზუსტად ეს ამოარჩია დასაბეჭდად. ათასჯერ მარ-თალი შემეძლო ვყოფილიყავი, მაგრამ რად გინდა, ამ ჩემი ახსნა-განმარტებებით, თანდათან, მაგრამ გარდაუვლად, სულ უფრო ვემსგავსებოდი მასხარას. ყველასთვის ცხადია, რომ არ გავრისკავ, სახელმწიფოში, რომელმაც ეს-ესაა მზის გულზე თავისი ადგილის ძიება დაიწყო, პრეზიდენტსა და მთავრობის თავმჯდომარეს შორის ომის წამოწყებას, გაზე-თის ერთ ამონაჭერში განთავსებული ერთი სამძიმრის გამო. არ მგონია, რომ ამგვარი ქცევის უკან გათვლა და ღრმად ჩაფიქრებული სტრატეგია იდგა. არა, ეს უბრალოდ, ხასი-ათისა და ინსტინქტების საქმეა. მას სხვაგვარად არ ძალუძს, ვიღაცის ეშინია ან ვიღაცას ამცირებს. ერთ მშვენიერ დღეს მოთმინების ფიალა ამევსო და მთავრობას წერილობით, მიზეზის სათანადო განმარტებით, ვამცნე, რომ პრემიერთან ოთხშაბათის შეხვედრებს ვწყვეტ. პრემიერი კლაუსი იმავე დღეს საგარეო საქმეთა მინისტრ იოზეფ ზიელიენეცთან, მაშინ ჯერ კიდევ ჩვენს შემრიგებელთან ერთად, ჩაეწერა ჰრადის ვახშამზე. დაღონებული იყო, მთავარ პრობლემას კი მისთვის ის წარმოადგენდა, რომ არ უნდოდა წერილის მთავრობისთვის გადაცემა. ბოლოს და ბოლოს დავეთანხმე, მაგრამ ოთხშაბათები ამით საბოლოოდ დასრულდა. არა მგო-ნია, ჩეხეთის თანამედროვე ისტორია უნდა განვიხილოთ, როგორც ჩემი და ვაცლავ კლაუსის პირადი ურთიერთობების ისტორია. პირიქით, ეს საგაზეთო კლიშე უკვე დიდი ხანია საშინლად მაღიზიანებს. მეორე მხრივ, ვაღიარებ, რომ ამის შესახებ რაიმე უნდა მეთქვა, სხვაგვარად ამ თემაზე ჩვენი

საუბარი უპატიებელი და შეუვსებელი თეთრი ლაქების შემცველი იქნებოდა. იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, რომ ორი ადამიანი ერთმანეთს ნერვებს უშლის, გახლავთ მსოფლიოზე მათი შეხედულებები, პოლიტიკური ქმედებები, გამოსვლები და საუბრები, მათი გავლენა და დანატოვარი. ამაზე კი სხვებმა უნდა იმსჯელონ.

რატომ აკრიტიკებდით ვაცლავ კლაუსს 1997 წელს, მისი მთავრობის დაცემის შემდეგ, ეგრეთ წოდებულ რუდოლფინის გამოსვლაში? ბევრი დამკვირვებლის აზრით თქვენი კრიტიკა არ ყღერდა დამაჯერებლად და რაც მთავარია, დაგვიანებული იყო.

პირველ რიგში, წლიურად, როგორც პრეზიდენტს, ოციდან ოცდაათამდე დიდი გამოსვლა მქონდა. ყველა ამ გამოსვლაზე წარმოთქმული სიტყვა, მოგვიანებით ჩემს წიგნებსა და რჩეულ ნაწერებში მოხვდა. ვისაც თანამიმდევრობით აქვს წაკითხული, შეამჩნევდა, რომ ეს არ არის ამა თუ იმ სიტუაციითა და მოვლენით გამოწვეული უცაბედი წამოყვირებები და რომ ქმნიან ერთ მთლიანს, რომელიც ავითარებს ჩემს შეხედულებას მსოფლიოზე, პოლიტიკაზე, ჩვენი ქვეყნის ადგილზე მსოფლიოში და ა.შ. პრინციპში, ვცდილობდი ჩემი გამოსვლები შემდეგნაირად მეწერა: ხშირად აქტუალურ გამოსვლას სხვათა შეუმჩნევლად წინა გამოსვლას გადავაბამდი ხოლმე, რაც ყოველთვის თვალშისაცემი არ იყო.

უკაცრავად, მაგრამ რაკი თქვენს გამოსვლებს შევეხეთ... ხშირად გიხდებოდათ თქვენს გამოსვლებში გამეორება. როგორც ფრიად შემოქმედ ადამიანს, არ გაწუხებდათ ეს?

საშინლად მაღელვებდა. როდესაც ერთხელ უკვე გამოთქმულის ირგვლივ თავიდან მიწევდა საუბარი, წარმოუდგენლად ვწუხდი. სამწუხაროდ, სხვანაირად არ გამოდიოდა. ივან მედეკი, რომელიც ერთ დროს ჩემი სამსახურის უფროსი იყო, ცდილობდა ხოლმე ჩემს დაწყნარებას იმის შეხსენებით, რომ მასარიკი მთელი ცხოვრება ერთ რამეს გაიძახოდა. მაგრამ მოდით, რუდოლფინის გამოსვლას დავუბრუნდები. ეს ჩემი

ათობით, უფრო სწორად, ასობით გამოსვლიდან მხოლოდ ერთ-ერთია, რომელშიც რეალურად იგივე ვთქვი – შესაძლოა ოდნავ სხვა სიტყვებით ან სხვა გარემოებებთან კავშირში – რასაც ყოველთვის ვამბობდი, მანამდეც და მერეც. სრულებითაც არ მაქვს შეგრძნება, თითქოს რაიმეს ახალთახალს შეიცავდა, ისეთს, ჯერ რომ არ მითქვამს ან, რომ გამოსვლების იმ გრძელი ჯაჭვის კონტექსტს სცილდებოდა. შესაძლოა ასე იმიტომ გახმაურდა, რომ ბედის წყალობით კლაუსის მთავრობის გადადგომის ხანაში იქნა წარმოთქმული, თუმცა გადადგომასთან არაფერი ჰქონდა საერთო. ამ მოვლენებამდე ბევრად უფრო ადრე იყო დაგეგმილი და დაწერილი. უმეტესად სამომავლო მონახაზებზე ან ჩვენ წინაშე მდგომ ამოცანებზე ვსაუბრობდი, მხოლოდ შესავალი ნაწილი იყო კრიტიკული, თანაც არ გახლდათ ეს ვაცლავ კლაუსის პიროვნული კრიტიკა, არამედ მთლიანობაში – ჩეხური პოლიტიკის და ის, რომ აღნიშნული პოლიტიკა წარმოუდგენლად იყო გადაჯაჭვული ვაცლავ კლაუსთან, მის შეხედულებებსა და წამოწყებებთან, ეს სხვა საკითხია. წარმოთქმული სიტყვის ბრალი ეს ნამდვილად არ არის. კიდევ ერთი რამ იყო აქ მნიშვნელოვანი, ახლოვდებოდა ახალი საპრეზიდენტო არჩევნები და მე – ვიცოდი რა, რომ ვრჩები თამაშში – მინდოდა კარტის გახსნა და იმ ეჭვების გაფანტვა, თითქოს უგულებელვყოფ პარლამენტს და მის წინაშე ყველაფერს, რასაც ვფიქრობ, სრულად არ ვამბობ. ამიტომაც გამოსვლა მიმართული პარლამენტის ორივე პალატისადმი, შესაძლოა, ჩვეულზე მძაფრი გამოვიდა.

ამდენად, ახლა გადავინაცვლოთ ცნობილი სარაევოს ატენტატის თემაზე. როგორ გამოიყურებოდა რეალურად კლაუსის გადადგომის ამბავი? ან უფრო ზუსტად: როგორ აღიქვით და გადაიტანეთ ეს თქვენ?

ეს არ იყო განსაკუთრებულად რთული. მთავრობას გარკვეული ეკონომიკური პრობლემები შეექმნა, რეფორმები ჭიანურდებოდა, პრობლემების გადაწყვეტა სანახევროდ ხდებოდა ან სამომავლოდ გადაჰქონდათ. თვით კოალიციის

შიგნით გამძაფრდა დაძაბულობა. ამას დაემატა მმართველი სდპ-ს გაურკვეველი ფინანსური წყაროების, საიდუმლო ანგარიშებისა და საგადასახადო დავალიანებების პრობლემები. ყველას ყველაფერი მობეზრებული ჰქონდა უკვე. ამგვარად, ყოველივე დაიწყო მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, კლაუსის უახლოესი თანამშრომლისა და მისი პარტიის თანაშემოქმედის იოზეფ ზიელენიეცის გადადგომით. გაგრძელდა ორი მცირე პარტიის, ანუ ქდუ-ჩსპ-სა და სდა-ს მიერ პარლამენტის დატოვებით და დაგვირგვინდა თვით სდპ-დან მოსული კიდევ რამდენიმე მინისტრის, პირველ რიგში ქარტიის დროინდელი ჩემი ძველი მეგობრის შინაგან საქმეთა მინისტრ იან რუმლის და ფინანსთა მინისტრის ივან ფილიპის გადადგომით. თუ არ მეშლება, იმ მთავრობიდან დარჩა სუსტი ნახევარი. შექმნილ სიტუაციაში მთავრობა უნდა გადამდგარიყო, რისკენაც საჯაროდ მოვუწოდე ვაცლავ კლაუსს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გადამდგართაგან ვერც ერთმა ვერ გაბედა გადადგომის ნამდვილ ან ძირეულ მიზეზებზე ხმამაღლა საუბარი. საბოლოოდ, ისე მოჩანს, რომ ესა თუ ის წინააღმდეგობა კონკრეტულ კონცეპტუალურ ნიადაგზე ან თუნდაც სდპ-ს ფინანსური კომბინაციები, შემდგომი მცდელობები ამ ყოველივეს უარყოფის, შეტრიალებისა და ბურუსით მოცვის, არ იყო გადადგომის მთავარი მიზეზი. მიზეზი ბევრად უფრო ტრივიალური გახლდათ – მთავრობის გაძღოლის კლაუსისეული მეთოდები. იგი ახერხებდა თავისი მინისტრების ყოველმხრივ დამცირებას, მთავრობის მიერ წარმოდგენილი შემოთავაზებების აბუჩად აგდებას, მათი თანმიმდევრობის თვითნებურად შეცვლას; სამთავრობო შეხვედრებზე მისი დამსახურებით მნიშვნელოვანი დაძაბულობა მეფობდა. ერთი-ორჯერ საკუთარი თვალითაც კი ვიხილე ეს სიტუაცია, თუმცა მაშინ არ გამოიყურებოდა ისე საშინელად და ეს გასაგებიცაა, ჩემს წინაშე ხომ ოდნავ სხვაგვარად იქცეოდა. მაგრამ ბევრი მინისტრისგან გამიგია, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს სხდომები. როდესაც ამას დაემატა მრავალფეროვანი საქმიანი პრობლემები, სულერთია რითი გამოწვეული, მთავრობის

დიდ ნაწილს მობეზრდა და გაეცალა იქაურობას.

რატომ ეწოდება ამ ისტორიას სარაევოს ატენტატი?

მახსოვს ლანის სასახლეში ერთხელ დამირეკა იან რუმლმა და შემატყობინა, რომ პრესკონფერენციაზე ივან ფილიპთან ერთად განაცხადებს გადადგომის შესახებ. ზუსტად ამ დროს ვაცლავ კლაუსი სარაევოში ცენტრალური ევროპის ინიციატივის კონფერენციაზე გაემგზავრა, რის შესახებაც პრესკონფერენციის მოწვევისას, როგორც ამბობენ, არ იცოდნენ. შემდეგ კი გაიგეს, მაგრამ პრესკონფერენციის ჩაგდებით სპეკულაციების გამოწვევა არ სურდათ. ყოველ შემთხვევაში, ასე აღმინერა რუმლმა. სარაევოს ატენტატი კი კლაუსმა უწოდა და მშვენივრად მოახერხა (ისევე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში) თავისი შეხედულების პოპულარიზება ისე, რომ მალე ყველას (რაც მთავარია „მჟავეებს") შთააგონა, და მხოლოდ ცნებებით შეუმჩნეველი ჟონგლიორობის საშუალებით, მოვლენის მისეული დამახინჯებული ვერსია: დაეშალა მთავრობა, მან კი ამას მისი პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ატენტატი უწოდა.

(ვაშინგტონი 18. 5. 2005)

დასკვნები ნაადრევად არასოდეს უნდა გამოიტანო ადამიანმა. ვაშინგტონში ჩემი ამ ვიზიტის პირველი შთაბეჭდილება იყო, რომ ამერიკელებმა არ იციან მანქანის ტარება. მოხვევისას არ რთავენ მიმართულების მაჩვენებელ სინათლეებს, რაც საკმაოდ სახიფათოა. ვერ გაიგებ, როდის გადადიან ან არ გადადიან გზის ერთი ზოლიდან მეორეში. გზაჯვარედინზეც საოცრად გამოიყურება მათი საქციელი. იმის გამო, რომ მთავარი და მეორეხარისხოვანი ქუჩები დიდად არ განსხვავდება და მოხვევის მიმართულების ხელით ჩვენების წესიც არ გააჩნიათ, გზაჯვარედინს არასდროს გადიან შეუჩერებლად, ყველანი ჩერდებიან და თავს უკრავენ ერთმანეთს. მრავალზოლიანი ქუჩიდან გადახვევაც ფრიად დრამატულად მიმდინარეობს. თუკი ვინმეს მარცხნივ გახვევა უნდა, გადადის უკიდურეს მარჯვენა ზოლში და მხოლოდ შემდეგ (ცხადია, მოხვევის მაჩვენებლის აუნთებლად) იწყებს მარცხნივ მოხვევას, რითაც გზას უხერგავს ყველა დანარჩენს. ყველაფერი ეს დიდ ქაოსს

მოგაგონებთ. ოლონდაც ფრთხილად. ეს არავითარი ქაოსი არ გახლავთ, ასე მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი ადამიანი თუ იფიქრებს. სულ უფრო ვრწმუნდები, რომ მკაცრად განსაზღვრული წესისა და რიგის მიხედვით მოქმედებენ. ეს ხომ ჭიანჭველების კოლონიას წააგავს. თითქოს იქაურობა უწესრიგოდ დულს, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება მხოლოდ იმითია გამოწვეული, რომ არ გვესმის და არ ვიცით – ცხადია, თუ ბიოლოგები არ ვართ – მათი ქცევის რთული სისტემა. რეალურად კი მათ ქცევას ერთგვარი კოლექტიური გონი განაგებს, რომელმაც მშვენივრად იცის რას აკეთებს და რატომ იქცევა ყოველი ცალკეული ჭიანჭველა მაინცდამაინც ისე როგორც იქცევა და არა სხვაგვარად. ცხადია, ყველაფრის განადგურება თუ არ დაუსახავს მიზნად. ალბათ, ეს არა მხოლოდ ჭიანჭველებსა და ვაშინგტონის ქუჩებს შეეხება, არამედ მთელ სამყაროს. ნებისმიერი სახეობის არსებობას თავისი მიზეზი და რიგი ახასიათებს, რომლის გაგებაც არ შეგვიძლია და ვერც ვერასოდეს შევძლებთ. თუ რატომ, ალბათ ამასაც თავისი მიზეზი აქვს.

(24. 7. 2002)

(...)

7) მეჩვენება, რომ ლანში პრეზიდენტთა მეუღლეების სადილის საკითხი ღიადაა დარჩენილი. ვფიქრობ, სადილის იმ დიდ მახინჯ დარბაზში გამართვა, რომელიც ქარხნის სასადილოსავით გამოიყურება, დაუშვებელია. როგორმე ცისფერ სასადილოში უნდა დავეტიოთ, უკიდურეს შემთხვევაში ცისფერსა და ყვითელში. ფირმის დაქირავება კარგს არას მოგვიტანს, ჯობია ლანელებმა გააკეთონ და სადილს შინაური განწყობა შესძინონ. ამავე დროს, სამზადისი სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი უხერხულობები, როგორიცაა ნამცხვარი წვნიანთან ერთად ან შეკითხვა: „თეთრი ღვინო გნებავთ თუ შავი" და ა.შ. (...)

(31. 8. 2002)

(...)

4) პან მ.-ს. დიდი მადლობა პრეზიდენტობის შემდგომ ჩემს არსებობასთან დაკავშირებული საბუთებისათვის. მშვენიერია, შეიძლება მაქსიმალისტურიც კი და იქ ბევრი ისეთი ასპექტიცაა, მე რომ აზრადაც არ მომსვლია. ერთადერთი, ისევ ის სამართლებრივი

სტატუსი ქმნის პრობლემას. რპკ-ის დაქვებდებარებაში, ცხადია, ვერ იქნება, ასეთ შემთხვევაში მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ აღმოჩნდება, ორმაგი დაქვემდებარებით გამონწეულ გაუთავებელ წამებაში აღმოვჩნდებოდით (მსგავსი რამ უკვე გადავიტანეთ, როდესაც სანაპიროზე განლაგებული კანცელარია ნაწილობრივ მე მექვემდებარებოდა და ნაწილობრივ ჰრადს). (...) რაც შეეხება ადგილმდებარეობას, ცხადია, ჰრადი ყოვლად დაუშვებელია, შეიქმნებოდა პრეცედენტი, რომ ყველა პრეზიდენტი თავის ბოლო დღეებამდე იქ რჩება. (...)

(7. 9. 2002)

1) თეთრი სახლის გამოსვლა შევამოკლე და ისე შევცვალე, რომ შესაძლებელი იქნება მოლაპარაკებების წინ წაკითხვა. ვუშვებ, რომ ხან ზეპირად ვილაპარაკო, ხან ქაღალდში ჩავიჭყიტო. ვიზიტის პირველი დღე ანუ თეთრი სახლი და კონგრესი, აქ თითქოს ყველაფერი გასაგებია. (...)

5) ფლორიდის უნივერსიტეტის გამოსვლას ერთხელაც გადავხედავ, მაგრამ დიდი ცვლილებები ალბათ, არ იქნება. რაც შეეხება ვახშამს ფლორიდაში, მე მგონი ზოგიერთ საიდუმლოებას ფარდა ეხდება. (...)

7) მინისტრ ტვერდიკს (...) უნდა, რომ შემდეგ კვირას, აშშ-ში გამგზავრებამდე, იცოდეს თუ ვინ იქნება გენერალური შტაბის უფროსი. (...) მინდა შევასრულო დანაპირები და მინისტრს დროულად შევატყობინო ეს ინფორმაცია.

8) რიხტესკისთან მაქვს შეხვედრა. შეეხებით ისეთ ფაქიზ საკითხებს, როგორიცაა: მომავალი პრეზიდენტი, პრეზიდენტობის შემდგომი სტატუსი, რეფერენდუმი, კონსტიტუციური სასამართლო, ბურეში და სხვ. მაინტერესებს თუ რას იტყოდით ბაქსზე, როგორც უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეზე. მე ვფიქრობ, მოერეოდა საქმეს. (...)

(26. 9. 2002)

1) დაბრუნების შემდეგ რაღაც საწყლად გამოვიყურები, ვარ ჩამქრალი, გამოფიტული, დაჩიავებული, ვჭამ ან მძინავს. (...)

5) ისევ წყნარად ვარ და თვითონ ჩავირთე პავლიჩეკის მუსიკა. სულ უფრო მომწონს. როგორც მოყვარულს თუ მაქვს უფლება გამოვთქვა აზრი, გავიმეორებ ერთხელ უკვე ნათქვამს : კარგი

იქნებოდა დამაგვირგვინებელ „მიქსში“ კიდევ ერთხელ გაეჟღერა მარსელიეზას და რომ ყველა სხვა ციტაცია – ცხადია, თუკი ეს შესაძლებელია – რამდენიმე ტაქტით უფრო გრძელი იყოს, რათა ვლადისლავის დარბაზის ხმაურში, ჩემსავით შენელებული რეაქციების ადამიანმაც კი გამოიცნოს მელოდიები.

6) კიდევ ერთხელ გახსენებთ, კარგი იქნებოდა, რომ პრეზიდენტობის ვადის ბოლომდე ჩემი მიახლოებითი სამოქმედო გეგმა უკვე მქონოდა ხელთ. ვიცი, ეს გეგმა შემდეგ არაერთხელ შეიცვლება, მაგრამ ერთგვარი მიახლოებითი წარმოდგენის ქონა არ მაწყენდა. გარდა სხვა ყველაფრისა, ეს ნიშნავს: დამაგვირგვინებელი მგზავრობა ბრნოსა და ბრატისლავაში, პრეზიდენტის არჩევნები (პირველი და მეორე), პრეზიდენტის დანაპირები, დამშვიდობება პარლამენტთან, დამშვიდობება მთავრობასთან, დამშვიდობება თანამშრომლებთან, დამშვიდობება ჟურნალისტებთან (?), ლანიდან გადმობარგება, ჰრადის სამსახურის გადმობარგება, ბორჟეკის მიერ იქაურობის შეკეთება, ჰრადეჩეკში გადაბარგება და ა.შ. აგრეთვე რაღაც-რაღაც დანიშვნები მელის, ვთქვათ ფქკ[103], საკონსტიტუციო სასამართლო, უმაღლესი სასამართლო და მისთ.

8) მსგავსად მივესალმებოდი სამიტის ცოტა უფრო დაწვრილებით პროგრამას, რაოდენობა ზეპირი გამოსვლების, წასაკითხების, ჩეხურების, ინგლისურების და მისთ. შინაარსობრივი შეხსენებები. პარალელური სამიტი. სიამოვნებით შევათანხმებდი ჰრადზე პირველი ვახშმის რეჟისურას, რომელიც ჩვენი პირველი სავიზიტო ბარათი იქნება. ჯერჯერობით არაფერი ვიცი მის შესახებ, მეორე ვახშმის ჩრდილში რჩება. უკვე მოელაპარაკეთ დუო გოელანს? თუ იქნება შესაბამისი ნება და შესაძლებლობა, მეორე ვახშმის დასაწყისისთვის ჯობს მუსიკოსები ბედრჟიხ დლოუჰის პორტრეტთან განლაგდნენ. ჯორჯ ბუშის საორგანიზაციო ჯგუფს საჭიროა ავუხსნათ, რომ მხოლოდ მათი შეფის შემოსვლა უკანა შემოსასვლელიდან და არა იმ გზით, რომელსაც ყველანი გაივლიან კილიანის ბალეტის ჩათვლით, სრული უაზრობაა. აშშ-სთვის ეს სამარცხვინო იქნებოდა და თან რეალური ხიფათის მატარებელიც. ხელის ჩამორთმევების რაოდენობა ამით არ დაიკლებდა, პირიქით, უფრო დამძიმდებოდა სიტუაცია. ჩაიჭერდნენ ხოლმე მიმალულ ადგილებში და ვიწრო

103 ფქკ – ფასიანი ქაღალდების კომისია. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკაში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას ადევნებდა თვალყურს და არსებობდა 1989 წლიდან 2006 წლამდე. ჩეხურად: KCP – Komise Pro Cenné Papíry.

კორიდორებში მის ირგვლივ შეჯგუფებები და ჭყლეტა დაიწყებოდა, მისი დაცვა კი, ბოლოს სასოწარკვეთილებისგან, ჩვენ – სხვა პრეზიდენტებსა და მათ დელეგაციებს დაგვცხრილავდა. (...)

10) არის ჯილდოები კონტრასიგნაციით? თუ არა, სასწრაფოდ შპიდლას გადაურეკეთ საყვედურით.

11) მადლობა ყველას, ვინც დაიმსახურა, იმისთვის რომ ჩემმა ვიზიტმა ამერიკაში გარეშე თვალზე უკეთესი (ასე მგონია) შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე ჩემს შინაგან განწყობაზე.

(ვაშინგტონი 19. 5. 2005)

ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა რა მტკივნეულად შეეხო და დაეტყო ამერიკას 11 სექტემბერი. უეჭველად, უფრო ძლიერი კვალი დააჩნია, ვიდრე ევროპას დააჩნევდა, იქ რომ მომხდარიყო ეს ტრაგედია. ამას უამრავი მიზეზი აქვს, ერთ-ერთი მათგანი, ცხადია, ის იქნება, რომ – თუ არ ჩავთვლით პერლ ჰარბორზე თავდასხმას – ამერიკის მიწაზე არასდროს შეუბიჯებია უცხოელ მტერს და ზუსტად ამიტომ აშშ-ს არ უგრძნია თანამედროვე ომების კოშმარი საკუთარ მიწაზე, მშვიდობიანი მოსახლეობის უუჟვით, საკონცენტრაციო ბანაკებით და ყოველივე იმით, რაც თან მოაქვს ომს. ეს უზარმაზარი და ამაყი ქვეყანაა, რომელიც ცდილობს ხალხის თავისუფლებისა და საკუთარი უსაფრთხოების დაცვას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, თუმცა საკუთარ მიწაზე სამხედრო თავდასხმის ფაქტის წინაშე ჯერ არასოდეს მდგარა. ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. მსგავსი რამის წარმოდგენაც კი არ შეეძლოთ. ზუსტად ამიტომ, ცოტა არ იყოს მაშინებს ის, რაც მზადდება. ერთი რამ უნდა ვაღიარო და თან არ ვიცი შემიძლია თუ არა აქ ამის თქმა: ის ორი დიდი ცათამბჯენი სრულებითაც არ მომწონდა. ეს იყო ტიპური, ყოველგვარ იდეას მოკლებული არქიტექტურა. მეტიც, ქალაქის სახეს არღვევდნენ. მანჰეტენის ცათამბჯენების ლამაზი დრუზიდან მახინჯად იყვნენ ამოზრდილნი. მოგების კულტისადმი მიძღვნილი ორი ძეგლი:

არსებულ ფართობზე კანცელარიების მაქსიმალური რაოდენობის განთავსებით მაქსიმალური მოგების მოპოვება, მაშინ როდესაც ესთეტიკური მხარე არ არის მნიშვნელოვანი.

ერთ-ერთი ამ შენობათაგანის ბოლო სართულზე სავახშმოდაც ვიყავი და აღმოვაჩინე, რომ გამუდმებით ირწევა. ამას ვლებულობდი როგორც ნიშანს, რომ ყველაფერი რიგზე არ არის, რომ, ასე ვთქვათ,

ბუნების საწინააღმდეგოდ ხდება რაღაც. ირწეოდეს უნდა ნავი და არა სახლი. ხედიც არ არის შთამბეჭდავი. ეს აღარ მოგვაგონებს ცათამბჯენიდან ხედს, მაგრამ არც თვითმფრინავიდან ხედია ჯერ. მეშინია, რომ პრესტიჟის დევნაში, იქ რაიმეს კიდევ უფრო დიდს ააშენებენ, რაც კიდევ უფრო დაამახინჯებს ნიუ-იორკს, რომ უაზრო შეჯიბრს გამოუცხადებენ ტერორიზმს. ვინ გაიმარჯვებს, ფანატიკოსი თვითმკვლელები თუ დაუსრულებლად მზარდი ბაბილონის კოშკი? ტერორისტებს ჯარი, პოლიცია და პრესა უნდა ეომოს. იმათ, ვინც ტერორისტებს თანაუგრძნობს – პოლიტიკოსები, სოციოლოგები და ფსიქოლოგები. სახლები კი ისე უნდა შენდებოდეს, რომ არ გამოიყურებოდეს ბანალურად და ჩვენს საცხოვრებელ გარემოს ამშვენებდეს. რატომ არ შეიძლება იმ ადგილას ჩაიდგას სხვა ცათამბჯენების შესატყვისი შენობები, რომლებიც საერთო ხედს დასრულებულ იერსახეს შესძენენ? ამავე დროს არ მიმაჩნია, რომ იმ ადგილას – Ground Zero – ქედმაღლური მონუმენტი უნდა დაიდგას. მომხდარი, ცხადია, რაღაცამ უნდა მოგვაგონოს, ოღონდ მოხდენილი ფორმით, ვთქვათ როგორც ვაშინგტონშია ეს ვიეტნამისა და კორეის ომში დაღუპულთა მოსაგონრად. შეიძლება უბრალოდ დიდი დარბაზი ან ოთახი მოეწყოს, სადაც ასახული იქნება ის კატასტროფა და მასთან დაკავშირებული მოვლენები.

როგორ უყურებთ დღეს, კლაუსის მთავრობის დაცემის შემდეგ მოსულ ბანკირ იოსეფ ტოშოვსკის არაპარტიულ მთავრობას? როგორც ცნობილია, ტოშოვსკის დასახელება თქვენი იდეა იყო. რატომ? ზოგიერთი ანალიტიკოსი ამ ხანას გახრწნის ხანას უწოდებს, რადგანაც მთავრობა ხელებშეკრული იყო და არაერთგვაროვანი საპარლამენტო უმრავლესობის ჭირვეულობის ობიექტს წარმოადგენდა.

ლანში, კლაუსისგან მთავრობის ოფიციალური დემისის მიღებიდან სულ რამდენიმე წუთში, შეხვედრა ჩავატარე გადამდგარი სამთავრობო კოალიციის სამივე პარტიის თავმჯდომარეებთან ვაცლავ კლაუსთან, იოზეფ ლუქსსა და იან კალვოდასთან და შევეკითხე თუ როგორ ხედავენ მომავალს. ვაცლავ კლაუსმა მითხრა, რომ სდპ-ს ყრილობაზე გამოვა ოპოზიციაში გადასვლის წინადადებით, რაც ჩვენი საუბრიდან სულ ცოტა ხანში, პარტის წევრებისათვის ღია

წერილის მიწერის ფორმით გააკეთა კიდეც. გვირჩევდნენ ყრილობის დალოდებას. თუმცა უაზრობა იყო უმთავრობობის მდგომარეობაში, ანუ გადამდგარი მთავრობით, რამდენიმე კვირის განმავლობაში სდპ-ს ყრილობის ლოდინი, თანაც მხოლოდ იმისათვის, რომ ყრილობის ტრიბუნიდან მოგვესმინა ის, რაც უკვე კარგად ვიცოდით – სდპ გადადის ოპოზიციაში. თუმცა, გადაწყვეტილება სავსებით ლოგიკური იყო. მაშინ, კოალიციურ და სდპ-ს ჩამოშორებულ პარტიათაგან არც ერთს არ სურდა ვაცლავ კლაუსის მთავრობაში ყოფნა, ხოლო სდპ კი ვერ აიგდებდა თავს აბუჩად ვაცლავ კლაუსის შენირვითა და სხვის მთავრობაში მონაწილეობით. ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ სასწრაფოდ უნდა ჩატარებულიყო ვადამდელი არჩევნები. გადასაწყვეტი მხოლოდ ერთი რამ იყო, ვინ იქნება არჩევნებამდელ მთავრობაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კონსტიტუცია მსგავს რამეს არ იცნობს, სკალიცკი, ლუქსი და კიდევ სხვები შევთანხმდით, რომ ეს უნდა იყოს რაიმე, არაპარტიული დროებითი მთავრობისმაგვარი. ეს იყო მთავრობა, შედგენილი ნაწილობრივ ძველი კოალიციის იმ წევრებისგან, რომლებიც ამაზე თანხმობას აცხადებდნენ და ნაწილობრივ სპეციალისტებისაგან. როგორც მეორე უდიდესი კოალიციური პარტიის თავმჯდომარეს, იოზეფ ლუქსს, ვთხოვე პოლიტიკურ პარტნიორებთან ამის თაობაზე ემსჯელა. შემდეგ მთავრობის ხელმძღვანელის ყველასათვის მისაღები სამი კანდიდატის სახელით მოვიდა. ორი მათგანი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, გარკვეული მიზეზების გამო მიუღებელი აღმოჩნდა და დაგვრჩა მხოლოდ იოზეფ ტოშოვსკი, რომელიც თვითონაც თანახმა იყო თანამდებობის მიღებაზე. მთავრობა თვითონ შეადგინა, თუმცა ყოველი კანდიდატურის შესახებ ჩემთან ატარებდა კონსულტაციებს. ტოშოვსკი კარგი დიპლომატია და ნამდვილი ჯენტლემენი. ამდენად, არავითარ გართულებასთან არ გვქონია საქმე და მისმა მთავრობამ პარლამენტის უდიდესი რწმენა მოიპოვა, გაცილებით მეტი, ვიდრე აქამდე არსებულმა სხვა მთავრობებმა. ძალიან საქმიანი მთავრობა იყო, კარგი ატმოსფერო სუფევდა და, თუ არ მეშლება, უამრავი მნიშვნელოვანი

მიღწევაც გააჩნდა. შესაძლოა, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი დროებითობის შეგრძნება იყო. რა შეიძლებოდა იმ ხალხს დაეკარგა? ვისაც პოლიტიკაში დარჩენა უნდოდა, მხოლოდ მოგება შეეძლო, როგორც კრიზისულ სიტუაციაში ქვეყნის გადამრჩენელს, ხოლო ვისაც პოლიტიკური ამბიციები არ გააჩნდა არც გადამეტებული სიფრთხილის მიზეზი ჰქონდა. სხვათა შორის, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, ის მთავრობა ყველაზე უფრო პოპულარული იყო. ამდენად, როგორც ჩანს, თქვენს ანალიტიკოსებს ჩემგან აბსოლუტურად განსხვავებული მოგონებები აქვთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, 1989 წლის გაზაფხულზე ჩატარებულ ვადამდელ არჩევნებში გაიმარჯვა მანამდე ოპოზიციიურმა სოციალ-დემოკრატიამ. თუმცა თვითონ არ შეეძლო მართვა, ცხადია, ამდენი მანდატი არ გააჩნდა. რა მოლაპარაკები მიმდინარეობდა?

მილოშ ზემანი, პარლამენტისა და სოციალ-დემოკრატების მაშინდელი თავმჯდომარე, მზად იყო ჩამოეყალიბებინა კოალიცია ლუქსის ქდუ-ჩსპ-სა და ახლად წარმოქმნილ თავისუფლების უნიასთან ერთად, რომელსაც ქმნიდნენ ისინი, ვინც კრიზისის დროს გამოეყო სდპ-ს. ეს მშვენიერ, ერთადერთ გონივრულ გადაწყვეტილებად მიმაჩნდა. ლიბერალები და სოციალ-დემოკრატები ოდნავ დაამუხრუჭებდნენ ერთმანეთს და შედეგად მივიღებდით იმას, რასაც „ცენტრისტულ მთავრობას“ უწოდებენ ხოლმე. მოგვიანებით შეიქმნა კიდეც მსგავსი მთავრობა და აი, უკვე სამი წელია გვყავს. ზემანს ძალიან სულგრძელი შემოთავაზებები ჰქონდა, პარტნიორებს ბევრი მინისტრის პორტფელს სთავაზობდა და ძალიან წესიერი ადამიანისა და კარგი პოლიტიკოსის იოზეფ ლუქსის, მთავრობის თავმჯდომარეობის შესაძლებლობაზეც მსჯელობდა. ვერ განხორციელდა ეს ჩანაფიქრი. თავისუფლების უნიამ იან რუმლის მეთაურობით ჩაშალა გეგმები, რაც ვფიქრობ შეცდომა იყო. მეტიც, დღეს ალბათ, თვით იან რუმლსაც ესმის ეს. მილოშ ზემანი გააწბილეს, ის კი არ გახლავთ ადამიანი, რომელიც ივიწყებს ან პატიობს.

იმ დღიდან გულის სიღრმემდე ვერ იტანს ლიბერალებსა და განსაკუთრებით თავისუფლების უნიას, რომელმაც ასე დაამცირა. მზად იყო თვით ეშმაკს შეკვროდა, ოღონდაც ეს უმადური ქინქლები გაესრისა. ამგვარად, შეიქმნა ოპოზიციური შეთანხმება, რაც კლაუსის ცნებებით ჟონგლიორობის ნიჭის კიდევ ერთი პროდუქტი იყო: ეს სხვა არაფერს არ ნიშნავდა, გარდა იმისა, რომ სდპ და ჩსდპ, ეს ორი უდიდესი პარტია, მომავალშიაც გააგრძელებს ფუნქციების ერთმანეთში განაწილებას, შემხვედრი მიმართულებით სვლას და აქა-იქ ურთიერთდახმარებას ისე, რომ ამჯერად ჩსდპ-მ შექმნას უმცირესობის მთავრობა, სხვა დროს კი სდპ-მ. ხოლო დანარჩენ ჩია პარტიებს კი ერთად გასრესდნენ, ამის მიღწევა ხომ უკვე საარჩევნო კანონის საშუალებით უნდოდათ. ანუ რეალური საფუძველი ჩაკეტილი პოლიტიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად. უბრალოდ, კომუნისტების დროინდელი ერთი პარტიის წამყვანი როლი შეიცვლებოდა ორი პარტიის წამყვანი როლით. შესაძლოა, ეს სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებად მოგვეჩვენოს. თუმცა, ვიტყოდი, რომ ისტორიის გადასახედიდან ეს პარტია უბრალოდ მახეში გაება და მისივე საქციელი ძვირად დაუჯდა. ჩემი აზრით, მოგვიანებით, მისი შინაგანი გახრწნა ამორალობის გზაზე დადგომის დაგვიანებული ეფექტი იყო, უღალატა ძალაუფლებისა და ლუკრაციული თანამდებობებისათვის ბრძოლის თავის პრინციპებს.

ამბობენ, რომ შემდგომი მორიგი არჩევნებისას, როდესაც სამთავრობო კოალიციას პარლამენტის რწმენის მანდატის მისაღებად ორი ხმა დააკლდა, თქვენ პირველმა წამოაყენეთ მილოშ ზემანის კანდიდატურა ქვედა პალატის თავმჯდომარის პოსტზე, როგორც უდიდესი ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელისა. განა ფაქტობრივად ეს არ იყო მომავალი ოპოზიციური შეთანხმების წინაპირობა?

დიახ, ვაღიარებ, რომ დიდი ხნის გადასახედიდან ეს ასეც შეიძლება ჩანდეს. მაშინ ეს იყო ყველასათვის მისაღები და გარკვეულად სამართლიანი გადაწყვეტილება. კონსტიტუ-

ციის მიხედვით, ოთხი უმაღლესი თანამდებობიდან ერთი რატომ არ უნდა რგებოდა მეორე უდიდესი პარტიის ლიდერს? დიდად არასდროს მესმოდა თუ რატომ არის, რომ უძლიერესმა პარტიამ უნდა დაიკავოს ყველა უმაღლესი პოსტი, მაშინაც კი, როდესაც ფაქტობრივად მოქალაქეთა მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. საუბარი იყო უბრალო სიტყვიერ მოლაპარაკებაზე პარლამენტში ერთი კონკრეტული კენჭისყრის ირგვლივ და არა წერილობით შეთანხმებაზე ორი პარტიის სამუდამო თანამმართველობის შესახებ. ისე კი სიტყვიერი მოლაპარაკება, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლების მიერ საპარლამენტო თანამდებობების დაკავების შესახებ, ჩვეულებრივი ამბავია. უბრალოდ, მაშინ, ჩვეულისაგან განსხვავებით, ეს პრინციპი თავმჯდომარის თანამდებობაზეც გავრცელდა. მირჩევნია არ ვიფიქრო, თუ რა მოჰყვებოდა შედეგად იმას, რომ ზემანი და მისი პარტია თუნდაც სიმბოლურად, მაგრამ საქმეში არ გაგვეყვანა. მეორეს მხრივ, მართალს ბრძანებთ, უკვე მაშინ შეიძლებოდა ჩასახულიყო ძალაუფლების მიზნობრივი განაწილების არასასურველი მეთოდი. თითქოს ორი მძლავრი პოლიტიკოსი შეეგუა იმას, რომ ერთად უნდა მართონ ქვეყანა – მსგავსად ორი „კაპიტნისა“ სან მარინოში. ოპოზიციური შეთანხმების დროს სიტუაცია განმეორდა, თუმცა შეტრიალებით: ზემანი მთავრობის თავმჯდომარე იყო, ხოლო კლაუსი – ქვედა პალატის.

მაშინ, როდესაც ასე კარგად გესმოდათ თუ რა ხიფათის მატარებელია ოპოზიციური შეთანხმება, რატომ არ გადადექით ან, ბოლოს და ბოლოს, არ დაემუქრეთ გადადგომით?

გადადგომა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ორმა პარტიამ თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა, ცოტა სასაცილოდ მეჩვენება. გადადგომისათვის მსგავსი წონის მქონე მიზეზს ხომ ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ გამოვძებნიდი. ფედერაციის ეპოქაში ხომ გადავდექი კიდეც ერთხელ, თანაც ვიცოდი, არ არის გამორიცხული ჯანმრთელო-

ბის მიზეზით მეორედ მომიწიოს გადადგომა და ამიტომ ამ ნაბიჯს უკიდურესი შემთხვევისთვის ვინახავდი. ვთქვათ, 48 წლის თებერვალი რომ გამეორებულიყო ან რაიმე მსგავსი მომხდარიყო.

მილოშ ზემანი უდავოდ გასული წლების მეორე უგავლენიანესი პოლიტიკური ფიგურა იყო. როგორ გაიცანით და როგორი იყო თქვენი მასთან ურთიერთობა?

ჯერ კიდევ კომუნისტების დროს გამოვიდა მისი კრიტიკული სტატია ერთ ჟურნალში, რომელმაც დიდი ყურადღება მიიპყრო იმთავითვე. მას შემდეგ ვიცნობ. ერთხელ კი, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, ოდნავ კონსპირაციულად უნდა შევხვედროდით ერთ ბინაში, თუმცა მე ავად გავხდი და ვერ მივედი. ამდენად, ჩვენი პირველი შეხვედრა შედგა ლეტნაში ერთ-ერთი დიდი მანიფესტაციისას. ბევრს სურდა ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლა, ჩვენ კი გვესმოდა, რომ თუ სწრაფად არ მოვაგვარებდით საქმეებს, ფინალი სამწუხარო შეიძლებოდა ყოფილიყო. პროვოკატორები მზად იყვნენ. ხალხიდან ისეთი ლოზუნგების სროლა დაიწყეს, რომლებსაც პოლიციური დარბევა შეიძლებოდა მოჰყოლოდა შედეგად. ფსიქოზის საშიშროება იგრძნობოდა. სულაც არ გვსიამოვნებდა, მაგრამ გვიხდებოდა გამოსვლის მსურველების გადარწმუნება ან პირდაპირ სიტყვის წარმოთქმის აკრძალვა. ზემანმა ყველა მისწი-მოსწია, არავის არაფერი ჰკითხა, მიაბიჯა მიკროფონთან და წარმოთქვა, სხვათა შორის, მშვენიერი სიტყვა. მიუხედავად ამისა, იქვე გავაცნობიერე, რომ ნამდვილად „მაგარი ბიჭია“. რევოლუციის შემდეგ, ტელევიზიით გასართობ პროგრამებში ვხედავდი ხოლმე და ძალიან მართობდა ეკონომიკის თემაზე მისი მწვავე და საჭირბოროტო კომენტარები. ცოტა არ იყოს, როგორც „საესტრადო ეკონომისტს“, ისე ვუყურებდი ანუ როგორც ჩვენს ცნობილ საესტრადო ფსიქიატრებსა თუ სექსოლოგებს. საბოლოოდ, როდესაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს, თვალებს არ ვუჯერებდი, ჩემთვის ეს იგივე იყო, რაც ირჟინა

ბოჰდალოვა[104] პარლამენტის თავმჯდომარედ რომ მეხილა. სოციალ-დემოკრატები დიდხანს პატარა და სასაცილო პარტიას წარმოადგენდნენ. თითქმის სირცხვილად ითვლებოდა მათთან საქმის დაჭერა. რამდენჯერმე შევხვდი მათ მმართველობას და „მუავეების" კრიტიკის საგნადაც ვიქეცი უმალ. ზემანმა ეს არ დამივიწყა და დიდხანს წესიერად და კორექტულად იქცეოდა ჩემ მიმართ, რაც მისთვის ჩვეული რამ არ გახლავთ. ბოლოს ვეღარ გაუძლო და მეც მეუზრდელა. ამის გამო დაშა ხელს არ ართმევდა დიდხანს, რაც, ცხადია, მშვენიერი საკვები იყო პრესისათვის.

რატომ არ რეაგირებდით მის ვულგარულ ლაპარაკსა და სიტუაციის უსამართლო კრიტიკაზე?

ხშირად ვაკრიტიკებდი ხოლმე ჩვენს პოლიტიკურ კულტურას ზოგადად, მაგრამ კონკრეტულ გამოთქმებთან დაკავშირებით იშვიათად თუ ვსაუბრობდი. მეჩვენებოდა, თითქოს შეუფერებელია ამაში ჩათრეული აღმოჩნდე. მიუხედავად ამისა, ერთი-ორჯერ მაინც მომიწია ზემანთან შელაპარაკება. მაგალითად, მაშინ, როდესაც მის მაგიერ საზოგადოების წინაშე მოვუბოდიშე იოზეფ ზიელენიეცს იმ ჭორებისთვის, რომლებსაც მის შესახებ ავრცელებდა და რომლებიც ზემანს იან კავანმა შეაპარა. უფრო მძიმე კონფლიქტი ჩვენ შორის კი უკვე მოგვიანებით დაიწყო. მილოშ ზემანი არ ქმნიდა ისეთ დაძაბულ სიტუაციას, როგორსაც ვაცლავ კლაუსი, თუმცა შეეძლო ყოფილიყო საშინლად მკაცრი, ჯიუტი, ბოროტი და ბევრი ეყბედა. სხვათა შორის, არ შეიძლება, რომ აქვე ერთი რამ არ ვაღიარო: ყველა ჩეხ პოლიტიკოსს შორის საუკეთესო ორატორი იყო. ხანდახან გამოდიოდა ბანალური, ზედაპირული, და საერთოდ, სიმართლესმოკლებული სიტყვით, მაგრამ ლაპარაკობდა იუმორით, ყოველთვის ზეპირად და უზადო ჩეხურით. მას არასდროს დაემართებოდა ის, რომ წინადადებაში შემასმენელი ან ქვემდებარე დაჰკლებოდა.

---

104 ირჟინა ბოჰდალოვა (Jiřina Bohdalová) პოპულარული ჩეხი მსახიობი და ტელეწამყვანი.

(ვაშინგტონი 23. 5. 2005)

დაუჯერებელი სისწრაფით მირბის დრო. ორშაბათია და ადვილი შესაძლებელია ეს ბოლო დღე იყოს, როდესაც შემიძლია დიდხანს და შეუფერხებლად ვწერო. საუკეთესო შემთხვევაში მოვასწრებ ამ თავის აქვე დამთავრებას. ეს-ეს არის ბატონ ბილინგტონთან სადილიდან (ამჯერად არაოფიციალური სადილი გვქონდა) დავბრუნდი. ეს გახლავთ ხანში შესული მომხიბვლელი ბატონი, რუსეთის დიდი მცოდნე. თავისი წიგნი მაჩუქა და კიდევ ერთხელ მიმიპატიჟა სასწავლო ვიზიტით ბიბლიოთეკაში. მარწმუნებდა, თითქოს მშვენიერი იქნებოდა, რომ რაიმე აქ ყოფნაში დაწერილიდან აქვე წამეკითხა. სუფრაზე მარილი იდო. გუშინ მე და დაშამ პიკნიკი მოვიწყვეთ, ძაღლებთან ერთად იქვე პარკში გავისეირნეთ, სხვადასხვა სახეობის ყველს მივირთმევდით და წითელ ღვინოს ვაყოლებდით. ხუთშაბათს საელჩოში შეხვედრა გვქონდა ორგანიზაციასთან „ჩეხეთის ამერიკელი მეგობრები". მიღება ჯერ პოლიტიკურ დებატებში გადაიზარდა, შემდეგ კი პატარა ქეიფად გადაიქცა, რასაც მოგვიანებით საშინლად ვსაყვედურობდით საკუთარ თავს. ხვალ გამოსვლა მაქვს. დილის პერიოდს ვერასდროს და ვერსად ვერ ვიტანდი, აქ კი (მე თვითონაც არ ვიცი რატომ) განსაკუთრებით. ყოველდღიურად დიდი დრო მჭირდება იმის შესაგუებლად, რომ ვარსებობ, ცხოვრება კი ახალ-ახალ მოთხოვნებს მიყენებს, რომ სადღაც ნასასვლელი ვარ და ვიღაცეებს უნდა ვესაუბრო, სხვადასხვა გადაწყვეტილება მივიღო. ყველაზე უფრო დილაობით მრცხვენია ჩემი არსებობის, დღის განმავლობაში ცოტა გადამივლის ხოლმე და საღამოს შედარებით უფრო თავდაჯერებული ვარ. ზაფხულში ცოტა უფრო დიდხანს თუ მოვახერხე ჰრადეჩეკზე დარჩენა, ძირითადად, საღამოობით და ღამით ვწერ ხოლმე. ხვალინდელ გამოსვლასთან დაკავშირებით მსუბუქი პანიკა მაქვს. ცხადია, სიტყვას ინგლისურად წარმოვთქვამ და რაც მთავარია, გამოსვლას დებატები მოჰყვება. იქ გამოჩნდება, მესმის თუ არა ამერიკელების ან მათ თუ ესმით ჩემი ამერიკული. ყველაფერი მხოლოდ ჩემი შინაგანი განწყობისა და გარე მიზეზების შეუცნობელ თანხვედრაზეა დამოკიდებული. თუმცა, შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებიც უკვე ორმოცდაათი წელია აქ ცხოვრობენ, გამოთქმა კი ჩემზე უარესი აქვთ. გუშინ ტელევიზორში ჩემს მეგობარს – ქალბატონ ჯოან ბაეზოვას მოვკარი თვალი, მშვენიერი იყო და მომაგონდა სტენფორდის ამფითეატრი, სადაც დიდი გამოსვლა მქონდა, ის კი მღეროდა და სცენიდან მისი გიტარა მე გავიტანე ზუსტად ისევე, როგორც ერთხელ კომუნისტების ეპო-

ქაში, ბრატისლავაში მის კონცერტზე ყოფნისას, როცა პოლიციას ჩემთვის მონაწილეობაში ხელის შეშლა უნდოდა, ხოლო მე თავს იმით ვუშველე, რომ ჯოანას არ ვშორდებოდი და მის გიტარას დავატარებდი, ხოლო პოლიციამ მის უშუალო სიახლოვეს ჩემი დაჭერა ვერ გაბედა, რადგან ეშინოდათ, ეს ფაქტი, იქვე კონცერტზე, არ ქცეულიყო განხილვის საგნად. მიუხედავად ამისა, მე და „ქარტია 77-ს" სიმღერა მოგვიძღვნა, რისთვისაც დასჯის მიზნით დენი გამოურთეს. სტადიონზე სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა, იგი უმიკროფონოდ მღეროდა, ხმა კარგად ისმოდა, საოცრად შთამბეჭდავი იყო და ამდენად, კონცერტი ბევრად უფრო დიდ მოვლენად იქცა, ვიდრე ჩართული მიკროფონების შემთხვევაში იქნებოდა. რაკი იმ გამოსვლებზე ვლაპარაკობდი, ვიტყვი, რომ პრეზიდენტობის პერიოდში ერთი ვრცელი გამოსვლა მაინც აქ ყოველ წელს მქონდა და ყველაზე უფრო დიდი სიამაყით 1995 წლის ჰარვარდის გამოსვლა მახსენდება. სტუდენტებითა და პროფესორებით გადავსებული ამფითეატრი, დასახელდა რამდენიმე საპატიო დოქტორი, მათ შორის მეც ვიყავი და მთავარი სიტყვით უნდა გამოვსულიყავი. საკმარისად ფილოსოფიური, რთული და ვრცელი სიტყვა წარმოვთქვი. გარეთ ცრიდა, სტუდენტები სულ უფრო მხიარულად გამოიყურებოდნენ. დღე გადიოდა, მე კი თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ნაშუადღევს აღარავინ მომისმენდა წვიმის და ჩემი ბურტყუნის გამო, ან უბრალოდ, იმიტომ, რომ უკეთეს გასართობს იპოვიდნენ. თუმცა მოხდა საოცრება: ფეხი არავის მოუცვლია. გაისუსნენ, ყურადღებით მისმენდნენ და საუბრის მსვლელობაში არაერთხელ დამიკრეს ტაში, ხშირად იცინოდნენ და რაც მთავარია, ზუსტად საჭირო ადგილას. ბოლოს კი ნამდვილი ოვაციებით დამაჯილდოვეს. ვიცეპრეზიდენტი გორიც იქ იმყოფებოდა, მამის როლში. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ერთსაათიან გამოსვლას მსოფლიოს ისტორიაზე გავლენა არ მოუხდენია, მაინც ჩემი პრეზიდენტობის პერიოდის უდიდეს გამარჯვებად მახსენდება. მაგრამ სამწუხაროდ, ეს მოგონება სრულებითაც არ მმატებს სითამამესა და საკუთარი თავის რწმენას, პირიქით – კარგად მესმის, რომ ეს აღარ განმეორდება და ყოველი გამოსვლის წინ (განსაკუთრებით, თუ უცხო ენაზე მიწევს გამოსვლა) კიდევ უფრო დიდ პანიკაში ვვარდები.

(13. 10. 2002)

1) კოშმარივით მაწვალებს 28 ოქტომბრის გამოსვლა.(...) ჯერ-ჯერობით, ცოტა არ იყოს, ვზარმაცობ და წერის არანაირი სურ-ვილი არ გამაჩნია. თუ დღეს შევძელი და დავწერე რაიმე, მივუმატებ დანარჩენს, თუმცა ეჭვი მეპარება ამაში. (...)

4) მე და დაშამ შევავსეთ (...) 28 ოქტომბრის სტუმრების სია. ყოველ წამს ვინმე ახალი გვახსენდება და არ ვიცით უკვე სიაშია თუ ჯერ არა. უმეტესად უკვე შეყვანილები არიან, იშვიათად არა, მიუხედავათ იმისა, რომ მათი გამოტოვება დაუშვებელია. საუბარი მარტო იმათზე არ მაქვს, ვინც ჩვენთვის და ჰრადისთვის აკეთებს რამეს. არა, პირველ რიგში, საზოგადოების წინაშე დამსახურებული მოღვაწეები მყავს მხედველობაში. დღევანდელ ამ სიას შარშანდელი დაედო საფუძვლად? კიდევ უფრო ადრინდელი და ამდენად, საშინ-ლად დაძველებული ხომ არ არის? მოინიშნეთ შემდეგი სახელები: მიხალ პავლიჩკა, ვაცლავ მარჰოული, ირჟი კილიანი, ილონა ცსა-კოვა, ივეტა ბარტოშოვა, დანიელ ჰულკა (ფონდის სასარგებლოდ მღერიან), იანის სიდოვსკი, კამილ სტრჟიჰავკა, ბარა ბასიკოვა, ბარა შტეპანოვა, პაველ კოპოუტი, კვეტა ფიალოვა, იან ურბანი, ტომაშ ჰალიკი (და საერთოდ, ამალიედან მთელი „ძველი საძმო“), ვერა ირროუსოვა, იან ირროუსი, ტორსტი, პასეკა, პუპი, ტრეფულკა, იუნგ-მანი, ბელოჰრადსკი, ბურსიკი, ჩასლავსკა, კრჟიჟანი, საუკეთესო ახალგაზრდა მწერლები (სპეციალისტები გირჩევენ) და ა.შ. ბევრი მათგანი არ მოვა, თუმცა უკვე სულერთია ასით მეტნი იქნებიან, თუ ნაკლებნი. ყველანი ლუდის კასრის ირგვლივ ჭყლეტას თუ არ დაიწყებენ, დაეტევიან – წინა 28 ოქტომბრებიდან მახსენდება ნახ-ევრად ცარიელი საპრეზენტაციო და ესპანური დარბაზები. (...)

7) მადლობა, პრეზიდენტობის ბოლომდე ჩემი საქმიანობის გეგმის მონახაზისათვის. მომავალი მსჯელობებისათვის ძალიან სოლიდური საფუძველი იქნება. ერთი შეხედვით მეტისმეტად მასშტაბურად და მრავალფეროვნად მეჩვენება. თუნდაც 2 თებერვ-ლის გამოსამშვიდობებელი ღონისძიებებიც სერიოზული დისკუსიის თემაა. (...)

(29. 10 2002)

(...)

2) როტმაიერის დარბაზი, შიპეკის ახალი გასახდელი და ყველა-ფერი, რაც ამასთანაა დაკავშირებული, ვფიქრობ, უნაკლოდ მუშ-აობს. შენიშვნა არ მაქვს. ერთადერთი, ჩვეულებრივზე ძლიერად

ვგრძნობდი გამჭოლ ქარს. შესაძლოა, ამიტომ იყო იქ შედარებით ნაკლები ხალხი. არსაიდან ახალი სავენტილაციო გაყვანილობა ხომ არ გაჩნდა იქ უცაბედად? თუ უბრალოდ, რომელიმე კარი იყო გაღებული? თუ მომეჩვენა? მსგავსი ქარბუქი იქ არასოდეს შემიმჩნევია. (...)

4) ბორჟეკის ახალი გასასვლელი მოსიარულეთათვის. მომეჩვენა, რომ მშვენივრადაა ყველაფერი. გამიკვირდა, რამდენი ხალხი მიდიოდა იქით, საიდან იცოდნენ, რომ იმ გზით სიარული შეუძლიათ?

5) ახალი დარბაზი. ჩემი ყველაზე დიდი სატკივარი. პირველი (!!!) ადგილი იყო ჭრადზე, რომლის შეცვლაც განვიზრახე, უფრო ადამიანური სახე მინდოდა მიმეცა და ბოლოა ხელუხლებლად დარჩენილთა სიაში. ეს პჰა-ს პირდაპირ უზარმაზარი, ვიტყოდი, გიგანტური წარმატებაა! (...)

(15. 12. 2002)

1) დავწერე საახალწლო გამოსვლა. როგორც ყოველთვის, გთხოვთ, ვინრო წრეში კრიტიკული გარჩევა მოაწყოთ. თუმცა, დასაშვებია (იქნებ უკეთესიც იყოს) კონსულტირება ვინმე გარეშე პირთან, ვინმესთან, ვინც ჩვენს წყალქვეშა ნავში არ ცხოვრობს, ცხადია, თუკი სავსებით დისკრეტული პირი იქნება ამავე დროს. (...)

2) დასანერი დამრჩა საპარლამენტო გამოსვლა, სამხედროებთან წარმოსათქმელი სიტყვის მონახაზი, გერმანიისა და გამოსამშვიდობებელი გამოსვლები. გთხოვთ, ეს საქმეები ჩართოთ (ძახილის ნიშნებითა და ხაზგასმით) ყველა სადღესასწაულო თუ ეგრეთ წოდებული თავისუფალი დღეების სამუშაო გეგმაში, გარდა ოთხშაბათ საღამოსი. (...)

4) თუკი დენას 27-ში 12-ზე ეცლება, შევურბენდი კბილის გასაკეთებლად, თუ არ აწყობს, გადავდოთ განუსაზღვრელი მომავლისთვის. (...)

7) საახალწლოდ არსად წავალთ, მაგრამ ვინმეს თუ გაუჩნდა საინტერესო იდეები, შემატყობინეთ. 8) პროგრამასთან დაკავშირებით არავითარი შენიშვნები არ მაქვს. ოღონდ, გთხოვთ, ნურაფერს წამიმატებთ. ისედაც დიდი დრო დამეკარგება მიკროსამდივნოს ჩამოსაყალიბებლად, გადასაბარგებლად, პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებული მოსალოდნელი კრიზისის და სხვა საქმეების გამო. (...)

10) ბატონ პატოჩეკს ვეპატიჟები რესტორანში, როდესმე და

მხოლოდ ცოტა ხნით (სამსახურის შემდეგ). ჩემი პასუხი მის შეკითხვაზე: გასული წლის საახალწლო გამოსვლაში პოლიტიკურ პარტიებს მოვუწოდე რაც შეიძლება სწრაფად, ანუ ქვედა პალატაში არჩევნებამდე, წარმოედგინათ საპრეზიდენტო კანდიდატურები. ვიცი, რომ ეს სახელები საზოგადოებამაც უნდა გაითავისოს და რომ ეს გარკვეულ დროს მოითხოვს. მით უმეტეს, მაშინ ჯერ კიდევ საკმარისი დრო იყო დარჩენილი არჩევნებამდე და ამის ირგვლივ ამდენი სპეკულაცია, ინტრიგა, ამბიცია და ა.შ. არ ტრიალებდა. ყურიც კი არ შეიბერტყეს. ჯერ იყო და გაიძახოდნენ, ქვედა პალატაში არჩევნების შემდეგ უნდა გადაწყდესო ეს საკითხი. შემდეგ სულაც სენატში არჩევნებისთვის გადადეს. შედეგი კი უკვე აშკარაა: პრეზიდენტის ძიებას ფარსის სახე მიეცა. საშინლად მაწუხებს ეს ამბავი. მით უმეტეს, რომ ვიცი, ჩვენს ქვეყანაში ათობით ადამიანი დადის, რომელიც სავარაუდოდ, ჩემზე უკეთესი პრეზიდენტი იქნებოდა, მაგრამ ვერასოდეს ვერ აღმოჩნდება ამ თანამდებობაზე, რადგან არც ერთმა პარტიამ არ მოუხმო, პარტიის შიგნით არ გაიტანეს საკუთარი კანდიდატურა და არ უბრძოლიათ პოპულარობისთვის. ეს მეტ-ნაკლებად „უცნობი" (რაც მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ყოველდღიურად ტელევიზორიდან არ შთაგვაგონებენ საკუთარ კანდიდატურას) ასე ვთქვათ, არჩევნებში გამოუდეგარი ან ვერგამსვლელი ხალხია, რაც მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ პირადი თამაშებისათვის მათ დროულად ვერ მოიპოვეს პარტიების წარმომადგენლების, მათი პარტიული ფრთებისა და სამდივნოების ყურადღება, ან უბრალოდ, არ მიმართეს მათ. არ არის ეს სახალისო ამბავი, მაგრამ ჩვენი ქვეყანა გაუძლებს ამას.

1998 წელს ჩეხეთის პრეზიდენტის თანამდებობაზე ხელახლა იყარეთ კენჭი. ამდენად, იღვწოდით ჩეხეთის პრეზიდენტობისთვის კიდევ ერთი ხუთწლიანი ვადით, როგორც ნებადართულია კონსტიტუციით. შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენი ამ გადაწყვეტილების თანმხლები გარემოებები? კიდევ ერთხელ რატომ იყარეთ კენჭი?

იმავე შეკითხვას ხშირად ვუსვამ საკუთარ თავს და ცალსახა პასუხი დღემდე არ გამაჩნია. რაც მთავარია, დღემდე ვერ გამიცია პასუხი შეკითხვაზე, ხომ არ იყო ეს ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა. თავისი როლი, ამ შემთხვევაშიც, ჩემი

გარემოცვის ზეწოლამ შეასრულა. მახსენდება, როგორ მომაკითხა ლანში იან რუმლმა, რათა დავერწმუნებინე ამის აუცილებლობაში. მარწმუნებდა, რომ თუ უარი ვთქვი, სიტუაცია მეჩიარისა და კუჩმას ტიპის პოსტკომუნისტური ნახევრად დიქტატურის გზით წარიმართება, რომ ყველა პარტია გასვრილია კორუფციით, მე კი ერთადერთი განსხვავებული ყაიდის ადამიანი ვარ, რომელსაც ამავდროულად პრეზიდენტობის შანსი გააჩნია. გარდა ამისა, თუ ჩემივე წამოწყებები, საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებული სახელის დახმარებით არ მივიყვანე ბოლომდე, არ მიგვიღებენ ნატოში. მეტიც, შესაძლოა, ნატომ საერთოდ შეწყვიტოს გაფართოება, რაც ახალი რკინის ფარდის – ამჯერად უფრო ფსიქოლოგიურის – მომასწავებელი იქნებოდა. ჩვენ კი, უკვე სამუდამოდ, დავრჩებოდით ყოველგვარი პოპულისტებითა და ნაციონალისტებით სავსე, ნახევრად დემოკრატიული საეჭვო ქვეყნების სიაში. მეუბნებოდნენ, რომ დაწყებული ბოლომდე უნდა მიმეყვანა და ნატოში მიღებისას თუ ევროკავშირში გაწევრიანებისას ჩემს ადგილზე უნდა ვყოფილიყავი. ასე ბევრნი საუბრობდნენ ჩემ ირგვლივ. ცხადია, ეს საუბრები გადამეტებული იყო, შესაძლოა, ახლა ჩემითაც ვამეტებ, რათა უფრო ცოცხლად აღვწერო და უკეთ ავხსნა მოვლენები, თუმცა ერთი რამ უდავოა, მაშინ ჩემ ირგვლივ დაახლოებით ასეთი ატმოსფერო სუფევდა. თითქოს, თუნდაც სიმბოლურად, კიდევ უნდა დამეცვა რაიმე. იმ მომენტისათვის ქვეყნის გაყოფის ტრავმა უკვე დიდად აღარ აწუხებდა საზოგადოებას. ამ მდგომარეობიდან შედარებით სწრაფად გამოვერკვიეთ, თუმცა მომავლის გაურკვეველი შიში მაინც ბუდობდა. ქვეყანას დროებითი მთავრობა მართავდა, პრეზიდენტის საზოგადოდ მისაღები კანდიდატურა არ არსებობდა. გვყავდა ექსტრემისტები, რომლებიც ბევრს გაჰყვიროდნენ. ცხადი იყო, რომ საპარლამენტო არჩევნებს მოიგებდა ვაცლავ კლაუსი ან მილოშ ზემანი და ბევრს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო მათი გამაწონასწორებელი გარკვეული ფაქტორი. მე კი ამ დროს გულწრფელად აღარ მინდოდა კიდევ ხუთი წელი ჩემთვის არასასურველი ცხოვრების წესით ცხოვრება.

ბოლოს დავთანხმდი. ვიმეორებ, არ ვარ დარწმუნებული, რომ სწორად მოვიქეცი. თუ დავეხმარე ჩვენს ქვეყანას, რაზეც ჩემით ვერ ვიმსჯელებ, მაშინ კარგი მიქნია, თუ არა და სხვა საქმეებისთვის უნდა მიმეძღვნა თავი. საკუთარ თავს, ცხადია, ამით არა ვარგე რა.

ამ არჩევნების დროს, ერთ-ერთი რესპუბლიკელის გამოსვლის შემდეგ თქვენმა მეუღლემ პირდაპირ დარბაზში თითებით დაუსტვინა, რითიც ბევრის გული მოიგო და მტერიც არაერთი გაიჩინა. თქვენ რა რეაქცია გქონდათ?

ცხადია, ისეთი სერიოზული მოვლენის დროს, როგორიც არის პრეზიდენტის არჩევნები ესპანურ დარბაზში, სტვენა დაუშვებელია. თუმცა, ეს კანდიდატის ტემპერამენტიანი და აბსოლუტურად ლოიალური ცოლის ერთადერთი შესაძლებელი რეაქცია იყო იმ ჭორებზე, რომლებმაც მისი ქმრის მისამართით გაიჟღერა. რა უნდა მეთქვა? რომ ამ საქციელს თან ვკიცხავ და თან სიმპათიით ვუყურებ? უბრალოდ, გავურბოდი ამაზე საუბარს. დღეს ამ თემაზე შემიძლია თავისუფლად საუბარი და ამიტომ გასაგებად ვიტყვი: არა მარტო რესპუბლიკელთა ის ორატორი, არამედ უამრავი სხვა ჩეხი პოლიტიკოსი და მათი ქცევა დასტვენის გარდა სხვას არაფერს იმსახურებს. მოდით ისევ დავუბრუნდეთ ჩემს კანდიდატურას. ურთიერთსანინააღმდეგო არგუმენტებმა თითქოს ჩემში გააბათილეს ერთმანეთი, რამაც საოცარი შედეგი გამოიღო: ჩემთვის სულერთი გახდა ამირჩევდნენ თუ არა. არჩევის შემთხვევაში კიდევ უფრო მეტს გავაკეთებ სამშობლოსათვის, ახალი საინტერესო მოვლენების მონაწილე გავხდები, თუ არა და ვიქნები სიწყნარეში, რაიმეს დავწერ, წავიკითხავ ბრძნულ წიგნებს, მეგობრებთან შეხვედრები, რისი დროც სხვაგვარად არ მექნება, დასვენება, მოგზაურობა, ფიქრები, ხანდახან გავაკრიტიკებ ხოლმე ვინმეს, არ გავინადგურებ ჯანმრთელობას, დილაობით კარგად გამოვიძინებ, აღარ დამჭირდება ჰალსტუხით სიარული, გამუდმებით ღიმილის ფრქვევა, არ მექნება შიში, რომ რაიმეს გავაფუჭებ-მეთქი, ვფიქრობდი. ვიცოდი, პარტიების უმეტესობა და მათი დეპუტატები ვერ

მიტანდნენ, ფარული კენჭისყრის შემთხვევაში დამარცხების შანსი დიდი იყო. ყველა შესაძლებლობა გამოვიყენე, რომ ჩემ შესახებ ყველაფერი სცოდნოდათ. მე მგონი ეს მაშინ იყო, როცა ჩემი ქონებრივი დეკლარაცია წარვადგინე, თუმცა არ მომეთხოვებოდა. პარლამენტს გადავეცი სამედიცინო ცნობა ჩემი ჯანმრთელობის შესახებ, არ მინდოდა, რომ მოგვიანებით ვინმეს წინასაარჩევნო ტყუილებში დავედანაშაულებინე და რუდოლფინის გამოსვლაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემს ამ სტრატეგიაში ჯდებოდა. პირველ ტურში არ ამირჩიეს. შემდეგ დაშასთან ერთად გავემართე მეგობართან, რეჟისორ პეტრ ვეიგლთან დიდი ხნით ადრე დათქმულ ვახშამზე და მოსალოდნელის საწინააღმდეგოდ, არჩევნებისთვის ტელევიზორითაც კი არ გვიდევნებია თვალყური იმ იმედით, რომ ნებისმიერ შემთხვევაში შედეგებს ტელეფონით შეგვატყობინებდნენ. ალბათ ეს საქციელიც მოგვითხრობს გარკვეულად იმ აპათიის შესახებ, რომელმაც მაშინ მომიცვა. მეორე წრეში ამირჩიეს, ისიც ერთი ხმის უპირატესობით. ეს მშვენიერ შედეგად მომეჩვენა. შესაძლებელი იყო ამის შემდეგნაირი გაგება, გავხდი არასასურველი პრეზიდენტი, რაც მოცემულ ვითარებაში ჩემთვის ორმაგი პატივისცემა გახლდათ: ერთი, რომ ვარ პრეზიდენტი და მეორე, რომ არასასურველი, თუმცა არა ყველასთვის, მხოლოდ პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. ამავე დროს ან აგირჩიეს ან არა, მესამე შესაძლებლობა არ არსებობს. ამიტომაც არ ვცნობდი სხვადასხვა ლაპარაკებს იმის თაობაზე, რომ არასრულფასოვანი პრეზიდენტი ვარ და ჯობია სასწრაფოდ გადავდგე, ჩემი კანდიდატურა აღარასდროს წარვადგინო და ყველას და ყველაფერს შევეშვა, რაც უნდათ ის უკეთებიათ. მსგავსი საქციელი ხომ მხოლოდ უსირცხვილო სიამაყის გამოხატულება იქნებოდა – თითქოს ქვეყნის მეთაურობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მაწყობს, თუ იმდენი დეპუტატის ხმას მივიღებ, რამდენსაც წინასწარ შევუკვეთავ – ეს თვით დემოკრატიისათვის სახეში შეფურთხების ტოლფასი იქნებოდა. დემოკრატიაში სავსებით ჩვეულებრივი რამაა ის, რომ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის განსხვავება შეიძ-

ლება მიკროსკოპიული იყოს და მიუხედავად ამისა, გადამწყვეტი, ამავე დროს, მსგავს ვითარებაში არჩეული პირი, შესაბამისი ფუნქციის ისეთივე სრულუფლებიანი მატარებელია, როგორც ერთხმად არჩეული. ის რომ ისევ პრეზიდენტი ვარ, უნდა ვემსახურო სიკეთეს და ვებრძოლო ბოროტებას და რომ სიზმრად ქცეული თავისუფლება გადაიდო, მივიღე როგორც ფაქტი. ამ შედეგისთვის აქა-იქ დამცინოდნენ, ხოლო მილოშ ზემანმა ხუმრობაც კი მოიგონა, თითქოს ის ერთი ხმა, რომლითაც პრეზიდენტად ამირჩიეს, მისი იყო და ამდენად აწი ყველაფერში უნდა დავუჯერო ხოლმე.

და როგორ ჩაიარა თქვენთვის ამ ახალმა ხუთმა წელმა?

იცით, დღესდღეობით დიდად ვეღარც კი ვასხვავებ იმ წინა ხუთი წლისგან. დიდი სახელმწიფო მოგზაურობები ყველა შესაძლებელ ქვეყანაში, უამრავი სახელმწიფო ვიზიტი ჩვენთან, ყოველდღე რაღაც მიღებები, მოგზაურობები რესპუბლიკის შიგნით, საერთაშორისო ორგანიზაციების სამიტები, გამოსვლები, გამოსვლები, გამოსვლები. იცვლებოდა მთავრობები, ჩატარდა არჩევნები. არაერთი საინტერესო ადამიანი გავიცანი, რომლებსაც სხვა ვითარებაში ვერასოდეს გავიცნობდი, თუმცა უამრავ სულელსაც გადავეყარე. დიდ ყურადღებას ვუთმობდი პრაღის ჰრადის განვითარებას, სადაც ჩემი თავდაპირველი ჩანაფიქრის მხოლოდ მცირე ნაწილის განხორციელება მოვახერხეთ, თუმცა ესეც ბევრი იყო. თუ ლაპარაკია პოლიტიკურ სიტუაციაზე ჩვენს ქვეყანაში, აღვნიშნავდი, რომ ნელა, მაგრამ გამუდმებით ღრმავდებოდა უფსკრული პოლიტიკასა და საზოგადოებას შორის. ეს იყო პეტიციების ხანა, მაგალითისთვის გავიხსენოთ პეტიციები: დრუეკიჩის მოწოდება, მადლობა, გადადექით, ტელევიზია, საზოგადოებრივი საქმე, იმპულსი 99. გახლდათ ხანა, როდესაც მილოშ ზემანისა და ვაცლავ კლაუსის, ცოტა არ იყოს, ჩამყაყებულ მთავრობას, ეგრეთ წოდებული ოთხთა კოალიციის სახით ალტერნატივა გამოუჩნდა, რომლის უპირატესობაც ზღაპრული სისწრაფით იზრდებოდა და საბოლოოდ მხოლოდ იმისთვის, რომ ძალიან სწრაფად შინაგან წინააღმდეგობებს

დაესამარებინა. გულითა და აზრებით საზოგადოებრივ ინიციატივებსა და არსებულისგან ოდნავ მაინც განსხვავებულ პოლიტიკას ვემხრობოდი, რის გამოც პოლიტიკურ წრეებში დიდად არ ვუყვარდი. თუმცა ბოლოს შემეგუენ, როგორც აუცილებელ ბოროტებას. სხვა მხრივ, გამუდმებით უნდა მეკონტროლებინა საკუთარი თავი და ყოველი ჩემი აზრი დიდი სიფრთხილით გამომეთქვა. არ შეიძლება ქვეყანაში უმაღლეს ფუნქციას ასრულებდე და ამავდროულად გამუდმებულად მეამბოხის როლში იყო. თუმცა, ეს თანამდებობა სრულებითაც არ გიშლის ხელს აკრიტიკო რაც გაგიხარდება, დაწყებული იმით, თუ როგორ ეპყრობა კაცობრიობა ჩვენს პლანეტას და დამთავრებული საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროთი და კონკრეტული პოლიტიკოსებით. გარკვეული გაგებით, ეს პირდაპირ გამომდინარეობს პრეზიდენტის ფიციდან, შეასრულოს თავისი ფუნქცია ისე, როგორც ამას საკუთარი გონი და სინდისი კარნახობენ. მაგრამ აქ გემოვნება და მოხერხებულობა გესაჭიროება ადამიანს, საწინააღმდეგო შემთხვევაში შეიძლება სასაცილოდ გაიხადო თავი და საყოველთაო ზიზღი გამოიწვიო. არ ვამტკიცებ, რომ ამას ყოველთვის ვახერხებდი. და თუ ამ ყოველივეს ვერ მოვერიე, ცხადია, რომ ეს ჩემი შეცდომაა.

(ვაშინგტონი 26. 5. 2005)

გუშინ წინასწარ დაგეგმილი გამოსვლა მქონდა კონგრესის ბიბლიოთეკაში. დიდი, მაგრამ საოცრად მყუდრო დარბაზი გადავსებული იყო და ტელეეკრანების საშუალებით სხვაგანაც შეეძლოთ იქაურობისათვის თვალ-ყურის დევნება. ფეხზე დამდგრები ოვაციებით შემეგებნენ, მქუხარე ტაში დამიკრეს, ვფიქრობ, ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა. შემდეგ სცენაზე ბირმის, ბელორუსიის, ჩინეთისა და კუბის ემიგრანტული ოპოზიციის წარმომადგენლები გამოვიდნენ, ყველამ ძალიან კარგად ილაპარაკა ჩემზე. ჰარი ვუმ, რომელმაც ჩინეთში ცხრამეტი წელი გაატარა პატიმრობაში, თვალცრემლიანმა ჩინური ხელნაწერით შესრულებული ჩემი ტექსტების კრებული გადმომცა და მიამბო, რომ ამ წიგნისთვის ჩინეთში იჭერენ და რომ მიუხედავად ამისა, მაინც ვრცელდება. შემ-

დეგ დევნილ ოპოზიციონერთა და პუბლიკის რამდენიმე შეკითხვას ვუპასუხე, ინგლისურად ვლაპარაკობდი, თუმცა შესაძლებლობა მქონდა ნებისმიერ მომენტში დახმარებისათვის მიმემართა პოლ ვილსონისთვის, რომელიც ჩემი მეგობარი და თარჯიმანია. ყველა მარწმუნებდა, რომ შეხვედრამ მშვენივრად ჩაიარა, მე კი მაინც მქონდა ჩემი ჩვეული პახმელია. შემდეგ დიდი ვახშამი გაიმართა საელჩოში, სადაც სენატორები და ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლები ერთმანეთში ირეოდნენ. გუშინ ჩვენი გადარბენები, პრესკონფერენციით და სენატსა და ვაშინგტონის უნივერსიტეტში ვიზიტებით გავაგრძელეთ. მოგვიანებით ჩვენს იმ მეგობრებთან ვივახშმეთ, რომლებმაც თავის დროზე საკუთარი თვითმფრინავით ჩამოგვიყვანეს აქ, ძაღლებიც წამოგვაყვანინეს და რომლებთან ერთადაც ახლა უკვე უკან ვბრუნდებით. ამდენად, ჩვენი აქ ყოფნა დასასრულს მიუახლოვდა, დღეს ბოლო ამერიკული დღეა, როდესაც აქ ვახერხებ რაიმეს დაწერას.

(26. 12. 2002)

(...)

5) ისევ და ისევ არ ვარ დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში ლანში დათქმულ შეხვედრასთან დაკავშირებით. ბრნოში ვისაც ვხვდები, ისინიც უნდა იყვნენ იქ? და მათი წინამორბედებიც? ცოტა არ იყოს, ფედერაციის დროინდელი ხალხი და ჩალფა მაკლია. არ მომწონს იმ ეპოქის ისტორიიდან ამოშლის მცდელობები. ბოლოს და ბოლოს, უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური რეფორმები ხომ ზუსტად მაშინ გატარდა და არა კლაუსის მთავრობის დროს, როგორც თვითონ ამტკიცებს ამას. ზედმეტი ხომ არაა ეს გამომშვიდობებები? იმათ წისქვილზე ხომ არ დავასხამ წყალს, საკუთარი ძეგლის დადგმის მცდელობაში რომ მადანაშაულებენ? მართლა უნდა დაველაპარაკო იმ დეპუტატს, რომ გაიძახის, თითქოს ცხოვრებაში სამშობლოსათვის არაფერი გამიკეთებია, რამეთუ მხოლოდ საკუთარ თავზე ვზრუნავდი? მაშინ, როდესაც ჩემი დროის ყოველ წამს და ნერვებს უნდა ვუფრთხილდებოდე, კიდევ ერთი გამოსათხოვარი სალამოს წარმოდგენა, თავისი დაძაბულობითა და შემდგომ გავრცელებული ჭორებით (გაიხსენეთ პარლამენტთან შეხვედრა) მაგიჟებს.

და რა მოხდება, თუ ზემანი არ ჩამოვიდა იმ თავისი ვისოჩინიდან? და კლაუსიც თუ არ ჩამოვიდა? მაშინ ეს სრულ უაზრობად

გადაიქცევა. მით უმეტეს, რომ ტოშოვსკის ბაზელიდან ჩამოსვლაც ძნელი სავარაუდოა. მონაწილეები უკვე მოიპატიჟეთ? აუცილებლად უნდა ჩატარდეს? ამ გამომშვიდობებებსა და პატივისცემის გამოხატულებებს, უფრო როგორც ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნებას, ისე აღვიქვამ, ვიდრე ჩემი პიროვნების მიმართ განუწყვეტელ პატივისგებას. ამავე დროს, უამრავი პრობლემა მელის (მინისამდივნოს ჩამოყალიბება, გადაბარგება და სხვ.), მე კი ვგრძნობ, რომ უკანასკნელი ძალებით დავლასლასებ. ეტყობა, ასე იყო მომართული ჩემი ორგანიზმი, თანაც ეს ყველაფერი დიდი დაწოლა და სტრესია ჩემი ნერვებისთვის. მთავარი კი მაინც ისაა, რომ დასასრულამდე სამხედრო საავადმყოფოს დაუხმარებლად მივაღწიო.

6) თუ შეიძლება, მეტი ინფორმაცია მომაწოდეთ თანამშრომლებთან გამოსამშვიდობებელი საღამოს შესახებ. გთხოვთ, მთელი პჰა მოიპატიჟოთ. პან ს.-ს უკვე ველაპარაკე მომწოდებელი ფირმის შესახებ. მუსიკა თუ იქნება? სიტყვით გამოსვლები? სად ჩატარდება, მაშინ, როდესაც ესპანური დარბაზი ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის იქნება დათმობილი? და პირიქით, თუ ახალი პრეზიდენტი უკვე არჩეული იქნება იმ მომენტისათვის, განა არ უნდა მოვიპატიჟოთ?

(18. 1. 2003)

1) გიგ ზავნით ბოლო გამოსვლის ახალ ვერსიას. ამ გამოსვლაზე მუშაობას ბოლო შაბათს მივუბრუნდები. (...) მინდა მართლაც პირადი ხასიათის გამოსამშვიდობებელი სიტყვა მქონდეს და არა ჩვეულებრივი პოლიტიკური (უფერული) გამოსვლა. (...)

3) განყოფილებების უფროსებს ვთხოვდი ეფიქრათ იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ დამეხმარონ ცხოვრების ახალ წესზე გადასვლასთან დაკავშირებით. განსხვავებული შეხედულებებია კანცელარიის ადგილსამყოფელისა და დაქირავების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც სამუშაო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. იშვიათად თუ დაეხმარება ვინმე ვინმეს სიამოვნებით. აქ უკვე ტელეფონების მოხსნა და წაღება უნდოდათ. ეს გასაგებია, ოღონდ თავის დროზე გააკეთონ, სხვათა შორის, საინტერესოა, საკუთარი ტელეფონის შეძენაში თუ დაგვეხმარება ვინმე? 14 თავისუფალი დღე რომ მომცა, ყველაფერს მოვაგვარებდი, მაგრამ არ მაქვს. ახალი კომპიუტერი მჭირდება და ის ჩემი ძველი (სახელმწიფოსი) უნდა ჩავაბარო. ცხადია, ესეც სამართლიანია, მაგრამ

ყველაფერს უკლებლივ იმ ძველიდან ახალში ვინ გადმომიტანს? და ვინ მომცემს გარანტიას, რომ ძველი კომპიუტერის ქვეცნობიერში არ დარჩება ყველაფერი? იქ კატასტროფის გამომწვევი ინფორმაციები მაქვს! ჩემი გაზეთები მხოლოდ მარტიდან დაწყებული მინდა. ახალი პასპორტები როდის გვექნება? ვინმე თუ აჩქარებს ამ საქმეს? არ არის აუცილებელი დიპლომატიური იყოს, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ეწეროს „პრეზიდენტი" და ჩემივე ხელით იყოს გადახაზული. ლანის სალონებში (და ვლუჰუში), როგორც ირკვევა, უამრავი ჩვენი ნივთია დარჩენილი. (...) პჰა უკვე წელიწადია მახსენებს ხოლმე სახლში რომ წავიღე, იმ ოთხ სახელმწიფოს კუთვნილ სკამს, ხოლო სახელმწიფო ოთახებში დარჩენილ ჩემს ასობით ნივთს რაც შეეხება, საოცრად – ყოველ შემთხვევაში მისი უმდაბლესი თანამშრომლების დონეზე – გულგრილად ექცევიან. (...)

(26. 1. 2003)

(...)

5) პჰა-ს ვთხოვდი გამიფორმოს ხელშეკრულება დელოსტრჟელეცკაას კაბინეტში რომ მაქვს, იმ სკამების თხოვების შესახებ (თუნდაც დროებით). ახლის ყიდვის დრო არ მაქვს. ამავე დროს, მინდა შევახსენო, რომ მართებს კუნცეს დიდი პორტრეტი, რომელიც ჰრადიდან საიდუმლო ვითარებაში გაქრა (ცხადია, იმ ოთხ დაძველებულ სკამზე ძვირი ღირს). (...)

(ვაშინგტონი 26. 5. 2005)

ჩემი ამერიკაში გაქცევა დასრულდა, სახლისაკენ გული დიდად არ მიმიწევს, თუმცა კიდევ გველოდება მოგზაურობები. მოვიხელთებ თუ არა დროს, ძილს მივეცემი ხოლმე.

5.

(ჰრადეჩეკი 10. 7. 2005)

გავიქეცი. გავიქეცი ჰრადეჩეკზე. ვარ მარტო, გულს დარდი მაწევს. ყველაფერი ამ კედლებში გატარებულ ათწლეულებს მაგონებს. მიყვარს აქ ყოფნა. ეს ჩემი თავშესაფარია, ჩემი საარსებო გარემო. ისევ და ისევ ვაცნობიერებ, რომ უკან დასახევი გზა აღარ არსებობს და უკვე სხვა ვარ, აღარ ვარ ის, რაც ვიყავი, როდესაც პიესებს ვწერდი, ექსპერიმენტულ კერძებს ვამზადებდი, მხიარულ საღამოებს ვუძღვებოდი და საიდუმლო დისიდენტურ შეხვედრებს ვატარებდი. ვარ უფრო ასაკოვანი, უფრო ავადმყოფი, უფრო დაღლილი. არ ვიცი რატომ, მაგრამ თითქოს სულ უფრო მეშინია სამყაროსი და ადამიანების. უბრალოდ, ვინმეს რომ დავურეკო, ესეც კი მიჭირს. ამ ყველაფერს ცუდი ამინდიც ერთვის. უკვე ექვსი თვეა, რაც ამერიკიდან ჩამოვედით, მაგრამ ამ წიგნის წერას მხოლოდ ახლა დავუბრუნდი. პრაღაში ამაზე ფიქრის დროც კი არ მქონდა. თანაც აქ სულ ორიოდე დღით ვარ და სანამ დავუბრუნდები ამ საქმეს და დავძლევ წერისადმი ზიზღს, დასასრულიც მოვა. ვაშინგტონში ყოფნის პერიოდს ვიხსენებ, როგორც ჩვენი ცხოვრების ერთ ლამაზ მონაკვეთს. დაბრუნებისთანავე შოკში აღმოვჩნდით. დაძაბული პოლიტიკური ატმოსფერო დაგვხვდა. პრეზიდენტის ყოველკვირეული საეჭვო გამონათქვამები, რაც არავის (გარდა გარკვეული განათლებული უმცირესობისა) არ აწუხებს და რომლებიც გამოკითხვების თანახმად მისი პოპულარობის პროცენტს მხოლოდ ზრდის. ვცხოვრობთ შუამავლების, შუამავალთა შუამავლების, ლობისტების, კონსულტანტების, PR აგენტების ქვეყანაში, სადაც ყოველ ნაბიჯზე ხდება ხოლმე ის, რომ ვინმეს ფულს უხდიან, რათა მან ერთ ადამიანს გააცნოს მეორე, რომელმაც მესამეს უნდა გადაუხადოს იმისათვის, რომ ის შეახვედროს ვიღაცას, რომელიც მას ურჩევს როგორ გააკეთოს ფული იმაზე, რაც აწარმოა ვიღაც სხვამ. რატომ არის, რომ ჩვენ იმდენივე ვართ, რამდენიც ვიყავით, შუამავლების რიცხვი კი გამუდმებით იზრდება? მიკვირს როგორ

მიიღო ხალხმა შუამავლობის ეს უკიდეგანო კოსმოსი და რაც მთავარია, როგორ ვახერხებდი ამ, ჩემთვის უცხო სიტუაციაში პოლიტიკური (რომელშიც ასე ცუდად ვერკვევი) ფუნქციის შესრულებას. მნიშვნელოვანია: დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო დავაფასეთ ამერიკელი მძღოლები და მათი ჩვეები. აქ ყველანი გიჟებივით ატარებენ, ამასთან კარგად არც კი იციან ტარება. ერთი სიტყვით, მანქანის მართვა აქ ფრიად სახიფათო თავგადასავალია. თუ დაშვებულ სიჩქარეს ზუსტად იცავ, შუბლში ირტყამენ ხელს ან მუშტს გიღერებენ. ცხადია, ეს მხოლოდ საერთო დემორალიზაციის ნაკლებ მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. დიდი ხნის შემდეგ აქ ჩამოსვლისას, თავი პოსტკომუნისტური nouveau riche-ების და თაღლითების ქვეყანაში გგონია. მაგრამ სიტუაცია მთლად უიმედო არ არის. ახალი თაობები იზრდება, რომლებსაც კომუნიზმისა და პრივატიზაციის პროცესის მძიმე კვალი არ ამჩნევიათ. უამრავი საზოგადოებრივი ინიციატივა, გაერთიანება და პარლამენტს გარეთ მყოფი მცირე პარტია არსებობს, რომლებსაც ნამდვილად სურთ ამ ვითარების გამოსწორება. არა მარტო აკრიტიკებენ სიტუაციას და პოლიტიკის საზოგადოებისგან უსასრულოდ დაშორებას, არამედ ესწრაფვიან არჩევნებში, შესაბამისად, პოლიტიკაში მონაწილეობასა და საქმეზე რეალური გავლენის მოხდენას. ხანდახან ვხვდები ხოლმე მათ. ჩემგან მეტს მოითხოვენ, ვიდრე ძალმიძს. მაგალითად, ყველას რომ ერთმანეთთან შევარიგებ (ყველანი ერთმანეთთან არიან წაჩხუბებული). და მაინც, რას ვაკეთებდი დაბრუნების შემდეგ? ბერლინში ტიბეტის ჯილდო მივიღე დალაი-ლამასაგან, ავსტრიაში პრეზიდენტ ფიშერთან ერთად ჩემს ძველ ტექსტებს ვკითხულობდით (ის გერმანულად, მე კი ჩეხურად), გავხსენი და დავხურე რამდენიმე მნიშვნელოვანი კონფერენცია, ვიყავით კარლოვი ვარის ფესტივალზე, ვუმასპინძლე ჩემს მეგობარსა და მშვენიერ მსახიობს რობერტ რედფორდს, რომელიც მადლენთან ერთად იყო აქ ჩამოსული და დავტკბი აღმაფრთოვანებელი მოვლენით, რომელსაც შერონ სტოუნი ეწოდება. მთლიანობაში კი, ჩვეულებისამებრ, უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავით. გამუდმებით თან მსდევს შეგრძნება, რომ ცუდ შედეგებს ვაჩვენებ, რასაც ვერავინ ვერ მიმხელს. მეჩვენება, რომ იმპროვიზებული გამოსვლებისას ბევრს ვბორძიკობ, მაკლია თანმიმდევრულობა და იუმორი, მავიწყდება რისი თქმა მინდოდა და ვიბნევი. შესაძლოა, ეს მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში დაგროვებული დაღლილობაა. მიუხედავად ამისა, უნდა შევასრულო პრეზიდენტობის შემდგომი მოვალეობები: ვუმასპინძლო არაერთ

მნიშვნელოვან ვიზიტს; ვწერო, ყოველ შემთხვევაში გავასწორო ხოლმე, ათასგვარი განცხადება საერთაშორისო სარბიელზე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ჩემს მოღვაწეობასთან დაკავშირებით; მივიღო ასობით პატარ-პატარა გადაწყვეტილება; მონაწილეობა მივიღო საუბრებში და ეს ყველაფერი ისეთი გამომეტყველებით, თითქოს არაფერი ხდება. ჩვენს საქველმოქმედო ფონდს, „ვიზე 97-ს", ძირითადად, დაშა მეურვეობს, თუმცა მეც მიწევს ხოლმე საქმეში ჩაბმა. განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება პრაღის კრუიუოვატკას – ძველ გოთიკურ ტაძარს ქალაქის ცენტრში, რომელიც ორასი წლის განმავლობაში საწყობად გამოიყენებოდა და ახლა ჩვენმა ორგანიზაციამ ასი წლით იქირავა, უკვე დიდი ხანია აღდგენით სამუშაოებს ატარებს და ეს-ესაა საზოგადოებას წარუდგინა, როგორც ახალი სულიერი და კულტურული ცენტრი. ერთი სიტყვით, გავიქეცი ჰრადეჩეკზე იმ იმედით, რომ იქ დავისვენებდი და მოვიპოვებდი შინაგან სიმშვიდეს. თუმცა, საფუძველშივე აზრსმოკლებულმა ჩემმა იმედებმა დიდი დარტყმა განიცადა. ბუჩქები, რომლებსაც სახლის ირგვლივ უკვე თითქმის ორმოცი წელია ველოლიავები, როგორც ოჯახური სიმყუდროვის დაცვის ერთგვარ საშუალებას, ჩვენი არყოფნისას ვიღაცას გაურკვეველი მიზეზების გამო ამოუძირკვავს, რაც სერიოზული თავდასხმაა ჩემს პიროვნებაზე. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს კიდურები დამაჭრეს. პარადოქსულია, მაგრამ ზუსტად მაშინ, როდესაც ამ ფაქტით მიღებულ პირველ შოკში ვიმყოფებოდი, ტელევიზორით თვალს ვადევნებდი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ფინალს თემაზე „უდიდესი ჩეხი", რომელშიც მესამე ადგილი მომენიჭა კარლოს IV-ისა და ტ. გ. მასარიკის შემდეგ და სიის პირველ ათეულში ერთადერთი ცოცხალი მოღვაწე აღმოვჩნდი. შემდეგ კი გაუდაბურებულ ეზოს გადავხედე ფანჯრიდან და გავიფიქრე, რომ ალბათ უდიდესი სულელის წოდებას უფრო ვიმსახურებ.

საინტერესოა, პირადი ცხოვრება თუ გააჩნია პრეზიდენტს? და თუ ახერხებდით პირადისა და საზოგადოებრივის გამიჯვნას?

ვფიქრობ, მკვეთრი და ყველას მიერ აღიარებული მიჯნა პოლიტიკოსის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის არასოდეს დადგენილა. ცდებისა და შეცდომების გზით პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ამ მიჯნის ამა თუ

იმ მიმართულებით გადაწევას ცდილობენ გამუდმებით. ყოველთვის ვეთანხმებოდი აზრს, რომ მოქალაქეებს უფლება აქვთ მეტი იცოდნენ იმ ადამიანის პირად ცხოვრებაზე, რომელსაც პოლიტიკური ფუნქცია მიანდეს, ვიდრე იმის შესახებ, ვისთვისაც არაფერი მიუნდვიათ. პოლიტიკოსმა ამას ანგარიში უნდა გაუწიოს და წინასწარ შეეგუოს, რომ საზოგადო მოღვაწედ გახდომასთან ერთად იქცევა დაკვირვების ობიექტად და რომ მეტწილად ჟურნალისტებზეა დამოკიდებული რამდენის უფლებას მისცემენ თავს. ეს კი, თავის მხრივ, მოცემულ ვითარებაში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოდ, ადამიანების თანაცხოვრების კულტურის დონეზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ბულვარულობა იყო ის ძირითადი, რაშიც პირველად დავეწიეთ და საბოლოოდ, გავასწარით კიდეც დასავლეთს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს გათავისუფლება, პირველ რიგში, პოლიტიკოსების ლოგინის ქვეშ დაუსჯელად შეძრომის საშუალებას ნიშნავდა ჟურნალისტებისათვის.

ყოველთვის მკაცრად იცავდით თქვენს პირადულს, თქვენი ერთი სასიყვარულო წერილიც კი არასოდეს გამოგიქვეყნებიათ, მხოლოდ 1995 წლის შემოდგომაზე მიიღეთ გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის გემცნოთ თქვენი პირველი მეუღლის, ოლგას მძიმე ავადმყოფობისა და იმ მომენტისათვის უკვე უიმედო მდგომარეობის შესახებ. რა უძღოდა წინ ამ გადაწყვეტილებას?

საერთოდ, სასიყვარულო წერილები არ არის განკუთვნილი გამომზეურებისათვის. მე კი მათ ვერ გამოვაქვეყნებდი კიდევ ერთი მიზეზის გამო: მსგავსი რამ ცხოვრებაში არ დამიწერია. პრინციპში (ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით) საოცრად მორცხვი ადამიანი ვარ. გარდა ამისა, წერილის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის შიშით ყოველთვის ვცდილობდი წერისას მაქსიმალურად ფრთხილი ვყოფილიყავი, დისიდენტობისას საიდუმლო პოლიციას ვუფრთხოდი, პრეზიდენტობისას კი – სენსაციის მოყვარუ-

ლებს. უკვე აღარ მახსოვს როდის და სად გავაკეთე ოლგას ავადმყოფობასთან დაკავშირებული განცხადება, მაგრამ ამის გაკეთება აუცილებელი იყო. ხალხს იგი უყვარდა, ამაზე ნათლად მეტყველებდა პატივის მისაგებად მოსული მოქალაქეების დაუსრულებელი რიგები. საზოგადოებრივად აქტიური ადამიანი იყო, რომელიც საზოგადოებრივ ცნობიერებაში ოდითგანვე მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული ჩემს პიროვნებასთან. ამდენად, აუცილებელი იყო განმარტება, თუ რატომ არის, რომ გარკვეული მომენტიდან მოყოლებული ჩემ გვერდით ველარ ხედავს მას საზოგადოება. ტვინის სიმსივნე ჰქონდა, თითქმის ორი წელი ვიცოდით ეს ამბავი. საშინლად იწვალა, როგორც თვით ავადმყოფობითა და მისი თანმხლები სიმპტომებით, ისე ქიმიოთერაპიით. ბედისწერის განჩინებას ვაუკაცურად შეხვდა, თავის მდგომარეობას, როგორც პირად საქმეს, ისე უყურებდა, არ ჩიოდა და არც ტიროდა, არ სიამოვნებდა ამაზე ლაპარაკი. თითქოს (თუ არ იყო ეს თამაში ადამიანისა, რომელსაც არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი) შეგუებული იყო მოახლოებულ სიკვდილს. ამბობდა, რომ ყველას ჩვენ-ჩვენი დრო გვაქვს მოზომილი. ბოლო თვის განმავლობაში სახლიდან აღარ გამოდიოდა ან საავადმყოფოში იწვა.

როგორ გადაიტანეთ იმ უახლოესი ადამიანის გარდაცვალება, რომლის გვერდითაც ორმოც წელზე მეტი გაატარეთ?

ცხადია, ეს ჩემთვის ურთულესი დღეები იყო. ვცდილობდი ოლგას გახალისებას, აქა- იქ რაიმე კარგის თქმას, ის კი მყისვე ხვდებოდა რატომ ვიქცეოდი ასე და მთხოვდა შევშვებოდი ამას. ალერსიანი სიტყვების ერთმანეთისათვის თქმა დიდად არ გვქონია ჩვევაში. ვიცოდით, რაოდენ მტკიცედ ვიყავით ერთმანეთზე გადაჯაჭვულები და დამოკიდებულები და რომ არ არის საჭირო ამის სიტყვებით გაუფასურება. ბუნებრივია, ბევრს ვფიქრობდი ჩვენს ხანგრძლივ ერთობლივ ცხოვრებაზე. იმაზე, თუ რა მივეცით ერთმანეთს და იმაზე, თუ როგორ ვიარსებებ აქ უიმისოდ. ოლგამ მითხრა, რომ

სწრაფად ისევ მექორწინა, იცოდა, რომ მიჭირს მარტოობა. ეს მეც ვიცოდი და ვაცნობიერებდი, რომ მაქვს მხოლოდ ორი შესაძლებლობა: გავყვე მას ან ახალი ცხოვრება დავიწყო. პირადად ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო, რაც სასიკვდილო სარეცელთან მითხრა, რომ მისთვის არასოდეს მიღალატია. რა თქმა უნდა, ამით რაღაც ბევრად უფრო ღრმას გულისხმობდა, ვიდრე ჩემს „თავისუფალ შეხედულებებს", რის შესახებაც, ცხადია, ყველა სხვაზე უკეთ მან იცოდა და რაც, გასაგებია, ძალიან აწუხებდა.

ხომ არ გაიძულათ 1995 წლის მოვლენებმა, რომ საკუთარ შესაძლებელ სიკვდილზე გეფიქრათ?

თვითმკვლელობა არასოდეს მიცდია, თუმცა სიკვდილზე მთელი ცხოვრება ვფიქრობ, ასაკის მატებასთან ერთად კი – უფრო ხშირად. არა მარტო იმიტომ, რომ ვბერდები და არც მხოლოდ იმიტომ, რომ საავადმყოფოში არაერთხელ ჩამიხედავს სიკვდილისათვის თვალებში. ვფიქრობ, უფრო იმიტომ, რომ ნელ-ნელა ჩემთვის უძვირფასესი ადამიანები მტოვებენ (მშობლები, ცოლი, მეგობრები). შეუძლებელია არ იფიქრო სიკვდილზე. მე ჩემი აღსასრულისთვის, ცოტა არ იყოს, ბიუროკრატიულად ვემზადები – მინდა ჩემ შემდეგ დარჩეს წესრიგი. გარდა სხვა ყველაფრისა, ამ სამზადისის ნაწილი ისიც არის, რომ ვიზრუნე ჩემი ნაწერების კრიტიკულ გამოცემაზე. თითქოს მინდა, რომ კონტროლის ქვეშ მქონდეს ის რაც, აქ ჩემ შემდეგ დარჩება. ეს მხოლოდ ჩემი წესრიგისადმი სიყვარულის გამოვლინება არ გახლავთ. უახლოესი ადამიანების სიკვდილისა და მას შემდეგ, რაც სიკვდილი თვით მას დასტრიალებდა თავს, ვინ არ ჩაფიქრდებოდა ანდერძსა და ყოველივე იმის მოწესრიგებაზე, რაც მის შემდეგ დარჩება? ძველად ეს ბუნებრივი რამ იყო. ვერ გამოვრიცხავ, რომ ოლგას გარდაცვალების შემდგომ პერიოდში ქვეცნობიერად მინდოდა მას გავყოლოდი, შეგრძნება მქონდა, თითქოს იქიდან მეძახდა. გარდა ამისა, მაშინ პირველად, უმიზეზოდ წავიქეცი, თანაც საკუთარ სახლში და არა აზიაში. მთელი ოთახი სისხლით მოვრწყე, შემდეგ სადღაც წამიყვანეს და ამოვარდნილი

ქვედა ყბა ჩამისვეს. ვიცი, რომ იმ პროცედურების დროს უაზრობებს ვყბედობდი და ვბუტბუტებდი, რაღაც ეიფორიული იყო იმ მდგომარეობაში. საერთოდ კი ოლგას გარდაცვალების პირველ დღეებსა და კვირებში ძალიან დამეხმარა დაშა. ცდილობდა საღამოობით მარტო არ დავეტოვებინე შინ. გესმით ალბათ, რა რთული იყო ყოველდღე სამსახურში სიარული, მიღებებზე ღიმილით ჯდომა, სახელმწიფო ვიზიტები, საკუთარი ნაღვლის გულში ჩაკვლა. თუმცა მგონია, რომ საკმაოდ ძლიერი ნებისყოფა მაქვს და ვიცი თავის დაჭერა.

მართალია, რომ მაშინ, როდესაც ყველაზე უფრო ცუდად იყავით, ოლგას გარდაცვალების წინ, დაიწყეთ საკუთარ საფლავზე საიდუმლოდ ზრუნვა? რა უნდა ყოფილიყო საფლავზე დაწერილი?

ეს არავითარ შემთხვევაში არ გახლდათ გასაიდუმლოებული სამზადისი და არ შეეხებოდა ჩემს საფლავს, არამედ მთელ ჩვენს ოჯახურ სასაფლაოს. საჭირო იყო პატარა განახლება, რათა სასაფლაოს დაფაზე ყველას მოხსენიება ყოფილიყო შესაძლებელი. უკვე ჩემი მშობლების, ბიძისა და ერთ-ერთი ბაბუას სახელები ნაპირთან იყო მიჭყლეტილი. ოლგა კი არა, მე და ჩვენი ოჯახის სხვა წევრები ველარ დავეტეოდით იქ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სიკვდილისადმი ჩემს ბიუროკრატულ მიდგომას. ხომ შეიძლებოდა სულერთი ყოფილიყო ჩემთვის თუ ერთხელაც როგორ იქნება იმ დაფაზე ჩამწკრივებული ჩვენი სახელები. მაგრამ მე მინდოდა ამაშიც შემეტანა წესრიგი ქრონოლოგიისა და ნათესაური კავშირების გათვალისწინებით. არავითარი განსაკუთრებული წარწერა არ მინდა, არც ტიტულები ან პროფესია. ისევე, როგორც დანარჩენებს, მხოლოდ სახელი და დაბადება-გარდაცვალების თარიღები.

(29. 5. 1994)

1) ვაგ ზავნი ფინეთის გამოსვლას. გთხოვთ, სასწრაფოდ დაურიგოთ ჩვენს კონსულტანტებს. (...) 2) ოლგას სიმსივნე აღმოუჩინეს და გაუკეთდა ოპერაცია. დროგამოშვებით საავადმყოფოში

უნდა ვიარო, ამიტომ გთხოვთ, პროგრამას ნურაფრით ახლით ნუ დამიტვირთავთ. პირიქით, იქნებ შეამსუბუქოთ კიდეც. თავისუფალი წუთები უნდა გამოვიყენო ნორმანდიისთვის, მთავრობის შესასწავლად, რუმინეთის გამოსვლის საწერად და ა.შ.

3) მჭირდება ჩარლზის ვიზიტის განრიგი, გამოსასვლელი სიტყვა და სადღეგრძელო! ისევ გაურკვევლობის ჭაობში ვარ ჩაფლული!(...)

(8. 10. 1995)

1) სხვადასხვა გარემოების გამო (ლუსტრაციის კანონი, ოჯახური სირთულეები და სხვა.) გამოსვლების წერაში ერთკვირიანი პაუზა მაქვს. გაეროს გამოსვლა, რომელიც ჩემი ანგარიშით წინა შაბათ-კვირისთვის უნდა მქონოდა დაწერილი, მხოლოდ ახლა დავასრულე. ეს შემდგომი საქმეების კეთებისას ტემპის მომატებას მოითხოვს. (...)

4) თუ შეიძლება პან შ. სასწრაფოდ დაუკავშირდეს პანი ტ.-ს, რათა ერთად მოძებნონ პროფესორი კლენერი. საკმარისია ტელეფონით იპოვონ და შეუთანხმონ ოლგას სამკურნალოდ დაწოლის შესახებ ცნობის ტექსტი. საავადმყოფოში სამშაბათს წვება. (...)

(...) ჰერმეტულად ჩაკეტილ განყოფილებაში იქნება, ამიტომაც სრულებით არ არის საჭირო იქ მცველის ყურყუტი. უბრალოდ, საჭიროების შემთხვევაში, მცველი ტელეფონით მისაწვდომი უნდა იყოს. მე შემიშვებენ ხოლმე ოლგასთან. ამიტომ კარგი იქნებოდა თუ საავადმყოფოში გადაყვანისას ოლგას თან ახლდებოდა ერთ-ერთი მცველთაგანი, რომელიც შეისწავლიდა თუ სად არის ეს და როგორ უნდა მივაგნო და ა.შ., რათა ზედმეტი პანიკა არ შევქმნათ. აგრეთვე, გამიგოს ყველა საჭირო ტელეფონის ნომერი – ოლგას ოთახის, მედდის, პროფესორ კლენერის სახლში და სამსახურში. ამავდროულად, კარგი იქნებოდა მისთვის ყველა ჩემი ტელეფონის ნომერი გადაეცა. ღმერთმა იცის რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ ამას წინათ ორი საათი დასჭირდა ჩემთან დასაკავშირებლად. ცხადია, უნდა დავუწეროთ როგორ დარეკოს ჩვეულებრივი ხაზიდან სამთავრობოზე და იქიდან ჩემს კანცელარიაში ან ჩვენთან, სახლში. მიეცით როგორც ნორმალური ნომრები, ისე პასუხისმგებელი ოფიცრისა, ის ყოველთვის მიპოვის. კლენერის შესახებაც ინფორმირებული იქნება, რათა არ ეგონოს, რომ ახალი გულის გამწყალებელი დამეძებს. (...)

(21. 1. 1996)

(...)

ჩემი მეუღლის მოახლოებულ სიკვდილთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები. ოლგა ყოველ წამს შეიძლება აღესრულოს, თუმცა შესაძლოა ერთი კვირა ან კიდევ უფრო მეტიც გასტანოს, რაც მაიძულებს ჩამოვწერო ინსტრუქციები მისი გარდაცვალების შემთხვევისათვის. ცხადია გესმით, თუ რაოდენ რთულია ამ ინსტრუქციების წერა მაშინ, როდესაც ეს ადამიანი ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ ვფიქრობ, აუცილებელია, რადგან არ ვიცი თუ რა მდგომარეობაში ვიქნები მაშინ, როდესაც ეს მოხდება (ალბათ, ჩვენთან სახლში) და რაიმე გადაწყვეტილების მიღებას თუ შევძლებ საერთოდ. ყველაფერს, რაც, ჩემი აზრით, გასაკეთებელია, ერთად მოვუყრი თავს, ყველაზე მნიშვნელოვანით დაწყებული, წვრილმანების ჩათვლით, მაგრამ მინდა ამით დავასრულო და მოვრჩე ამას. მიიღეთ ეს როგორც ჩემი ავტოთერაპია. გარდა ამისა, თუ შეიძლება ყოველ წამს კომპიუტერსა და მის პროგრამებს ნუ მიუმჯობესებს ვ., კომპიუტერის ყოველ მორიგ დახვეწასთან ერთად, რაიმეს დაწერის უნარი მიქვეითდება. ვთქვათ, ამ ერთ აბზაცს უკვე ნახევარი საათია ვწერ, კომპიუტერის დახვეწამდე ამისთვის ნახევარი წუთიც საკმარისი იქნებოდა. ჩემი სურვილები და ინსტრუქციები, როგორც უკვე ვთქვი, ძალიან განსხვავებული სახისა და ხასიათის იქნება. ზოგიერთი ჰრადისა და სხვა თანამშრომლების ფართო წრეს ეხება (კნკ[105], ოკ[106]), ზოგიერთიც – მხოლოდ ცალკე პირებს და მეტ-ნაკლებად პირადულია. ვ.-სთვის მიმინდია რას გაამრავლებს ყველასათვის და რას გადასცემს მხოლოდ იმათ, ვისაც უშუალოდ ეხება ეს. ჩემს სურვილებსა და დავალებებს არეულად დავწერ, მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი ერთმანეთში არეული იქნება, ვიმედოვნებ ამას გაართმევთ თავს. (...)

(17. 2. 1996)

(...)

13) პან ს.-მ დედოფალთან სადილზე დასაპატიჟებელ სტუმართა „ა“ და „ბ“ სიები გადმომცა. ვერ გამიგია რა განსხვავებაა მათ შორის,

105 კნკ – კეთილი ნების კომიტეტი, (VDV – Výbor Dobré Vůle), ოლგა ჰაველოვას მიერ 1990 წელს დაარსებული საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც დახმარებას უნევდა ინვალიდებს და რომლის საქმიანობისთვისაც 1993 წელს ნორვეგიაში, მიენიჭა წლის ქალბატონის წოდება (პირველად პიროვნებას, რომელიც არ არის ნორვეგიის მოქალაქე).

106 ოკ – ოჯახის კანცელარია. ჩეხურად: RK – Rodinná kancelář.

იქნებ შეცდომით ერთი და იგივე სია მივიღე ორჯერ ან უყურადღებოდ გადავათვალიერე და განსხვავება ვერ შევნიშნე. ასეა თუ ისე, შპგ-ს წარმომადგენლებს ვთხოვდი ერთხელ კიდევ გადახედონ ამ სიებს და მოიფიქრონ თუ ვინ აკლია. (...) ვერ ვიხილე იქ ფალბრა, დიენსტბიერი და სხვები. რაც მთავარია, სიაში დამაკლდა ზოგიერთი ისეთი სტუმარი, რომლებსაც იშვიათად ვპატიჟებთ ხოლმე, მოსაპატიჟებელთა ჩვეულ სიებს რომ არ ეკუთვნიან. მხოლოდ ის, ვინც უცებ მომაგონდა: დაგმარ პეცკოვა, პაველ ბობეკი, ვერა ხიტილოვა, ფრანტიშეკ პავლიჩეკი, ვლასტა პრუხოვა, ქარტიის ყოფილი სპიკერი, მარიან ჩალფა, მიხაელ კოცაბი, პეტრ ვეიგლი, დირიჟორი ბელოჰლავეკი, დირიჟორი კულინსკი, საშა გედეონი, რექტორი იარჟაბი, იაროსლავ ადამოვი, იოსებ ტოპოლი (შექსპირის მთარგმნელი!), პაველ კოპოუტი, იახიმ ტოპოლი, ოტომარ კარეიჩა (შექსპირის რეჟისურა), ირჟი მენზელი, ლუციე ბილა, პეტრ რეზაკი, ზდენეკ ნეუბაუერი, პეტრ პიტჰარტი (და საერთოდ ძველი შემადგენლობა „ამალიედან“) და ა.შ. შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი სიაში უკვე არის, არ ვიცი არ დამიზუსტებია, შესაძლოა, ვილაცეები გარკვეული მიზეზების გამო, არ გვაგონდება უბრალოდ, ბევრს დრო არ აქვს, ან იქნებ ამდენი სულაც არ დაეტევა იქ, არ ვიცი. ასეა თუ ისე დაუშვებელია – განსაკუთრებით კი ასეთ შემთხვევებში, რომ სულ ერთი სიით ვსარგებლობდეთ და ერთი სტანდარტის მიხედვით ვიპატიჟებდეთ სტუმრებს, უნდა მოვიძიოთ ახალ-ახალი საინტერესო ადამიანები, რომლებიც ხშირად გვავიწყდება ხოლმე. (...)

14) სამძიმრებზე მადლობის წერილების საქმე როგორ არის? სახელმწიფოს მეთაურების ოფიციალურ ბანალურ სამძიმრებს ოფიციალურად უპასუხებს პროტოკოლი, მე მხოლოდ ხელს მოვაწერ. რაც შეეხება, რაიმეთი საინტერესო ან პირად მოსამძიმრებებს, ისინი იმსახურებენ ჩემი ხელით დაწერილ პირად სამადლობელ წერილს, სულერთია სახელმწიფო მეთაურებისგან იქნება თუ რჩეული მეგობრებისაგან, გთხოვთ გადაარჩიოთ და გადმომცეთ პასუხის გასაცემად. კარგი იქნებოდა ჩემი მკურნალობის პროცესშივე მომესწრო ეს. (...)

(4. 2. 1996)

1) ცუდი ცნობა: პარლამენტში გამოსასვლელი სიტყვა არ დამიწერია. კარგი ცნობა: შევუდექი მის წერას. ყოველთვის მიჭირს წერის დაწყება, ამჯერად კი განსაკუთრებით. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ყველაფერს თავიდან ვიწყებ და რომ ანბანსაც თავიდან ვსწავლობ.

წერა დავიწყე, ეს ფაქტია და ვიმედოვნებ, რომ ორშაბათს საქმეს ადგილიდან დავძრავ. ამიტომაც, გთხოვთ, ნუ მომაცდენთ ზედმეტი პრობლემებით. თუმცა, წასაკითხი ან ხელმოსაწერი მნიშვნელოვანი ქაღალდები შეგიძლიათ გამომიგზავნოთ ხოლმე, გაზეთის „ტიდენ" ჩათვლით, სადაც თითქოს რაღაც უნდა ეწეროს ოლგას შესახებ.

2) ვთხოვ ვ.-ს კომპიუტერული ქსელით მთელ ჰრადს დაუგზავნოს შემდეგი შინაარსის წერილი: უღრმესი მადლობა რპკ-ს, პრაღის ჰრადის ადმინისტრაციის, ჰრადის პოლიციისა და ჰრადის დაცვის ყველა თანამშრომელს გაწეული სამსახურისათვის, რომელიც ყოველგვარი ყოყმანისა და სრული თავდადებით მიუძღვნეს ჩემი მეუღლის უკანასკნელ გზაზე ღირსეულად გაცილების ორგანიზებას. არანაკლებ, ალბათ მეტადაც კი, ვემადლიერები იმისთვის, რომ სულიერად მედგნენ გვერდით, ამდენნი მოვიდნენ და ასეთი აშკარა გულწრფელობით მიაგეს პატივი მის ხსოვნას. ამან გული ამიჩუყა და გაამყარა ჩემი რწმენა ჩემს თანამშრომლებში, დამარწმუნა რომ შემიძლია მათი იმედი მქონდეს როგორც ბედნიერების, ისე უბედურების ჟამს. ვაცლავ ჰაველი.

3) ლ.-ს ვთხოვდი, რომ ტ.-სთან ერთად დროულად გაარკვიოს თუ როდის აპირებს დამკრძალავი სამსახური ოლგას ურნის ჩადებას ჩვენს საგვარეულო სასაფლაოში, რათა ამ პროცედურაზე დასასწრებად ჩემს გარდა (თუკი შესაძლებელია, პროგრამაში ეს ისე ჩართეთ, რომ დღის სინათლეს მოესწროს) დაუძახოს ჩემს ძმას, მოქანდაკე ოლბრამ ზოუბეკს (რის შესახებაც მასთან მოლაპარაკებული ვარ) და სავარაუდოდ, მათ მიერ შერჩეულ არქიტექტორს, რადგანაც სიამოვნებით გამოვიყენებდი ამ მომენტს (ცხადია, ფართო საზოგადოებისგან ფარულად) პატარა თათბირისთვის, რათა ადგილზევე მოგველაპარაკა საფლავის დაფების ირგვლივ, როგორ მოვახერხოთ, რომ არა მარტო ოლგა, არამედ მეც და ოჯახის სხვა წევრებიც დავეტიოთ, რამეთუ როგორც ვხვდები, ადრე თუ გვიან ყველანი მოვკვდებით და მე კი ამაზე დროულად საზრუნავად ჩემ გარდა სხვას არავის ვიცნობ. (...)

5) მომავალი კვირა ბოლო ვადაა ინგლისის დედოფლისა და კანადელი გუბერნატორის ვიზიტებთან დაკავშირებული თათბირების ჩასატარებლად, თუმცა, ალბათ, შესაძლებელია ორივე საკითხის ერთად, ერთ თათბირზე განხილვა.

(25. 2. 1996)

(...)

6) აღმოვაჩინე, რომ სამძიმრების კითხვა, თუნდაც ათასგზის გადარჩეულის და გაფილტრულის, საშინლად მიჩუყებს გულს და მიფორიაქებს სულს. კიდევ უფრო მძიმე იქნებოდა, ყოველ მათგანზე ინდივიდუალურად რომ მქონდეს პასუხი გასაცემი. ამიტომაც ვთხოვდი ი.-ს დაეწერა რამდენიმე ვარიანტი სამადლობელი წერილებისა და ჩემ მაგიერ დაეგზავნა. მაგალითად: პპ-მ[107] ყურადღებით წაიკითხა თქვენი არაჩვეულებრივი წერილი, რომელშიც გამოთქვამთ თანაგრძნობას მისი მეუღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მთხოვა, გამომეხატა მისი დიდი მადლიერება და გადმომეცა თუ რაოდენ აფასებს იმ ფაქტს, რომ ამდენი ადამიანი ღებულობს მას თავის მეგობრად, რომლებსაც მძიმე წუთებში შეუძლია დაეყრდნოს და ვისი იმედიც ყოველთვის შეუძლია იქონიოს. ალბათ შესაძლებელია, მსგავსი გზით გადაიჭრას ეს პრობლემა, არა? რაც შეეხება სახელმწიფო მოღვაწეებს, უკვე მივწერე ს.-ს, რომ ამისათვის ოდესმე ერთი საათით შევიკრიბებით ჰრადზე და სტანდარტულ წერილებს უბრალოდ, ხელს მოვაწერ ან ადგილზეევ რაიმე უფრო პირადულ ფრაზას ჩავუმატებ ინგლისურად. გთხოვთ საამისო დროც გამომიყოთ. (...)

(3. 3. 1996)

(...)

2) მაშინ, როდესაც ეს არ შეიტანეს რპკ-ის კანონში, მოიმიზეზეს, თითქოს სისტემურად უფრო გამართლებული იქნებოდა ძეგლთა შესახებ კანონში შეტანა. ახლა კი გაიძახიან, რომ თითქოს უფრო ლოგიკური იქნებოდა რპკ-ს კანონში შეტანა. ეს კოცოუროვის ხრიკებია, რომლის უკანაც სხვა არაფერი იმალება, თუ არა მცდელობა აზარალოს პრეზიდენტი და დაკოდოს იგი თავის სამსახურიანად, მაგრამ მე ამის საშუალებას არ მივცემ! საკმარისი იქნებოდა კანონში გვეთქვა, რომ პრაღის ჰრადს სახელმწიფო ძეგლთა დაცვის სფეროში, ცალკე რაიონის სტატუსი აქვს, რპკ-ს კი – რაიონული სამსახურის. (...)

3) ჟძიარში ვიზიტთან დაკავშირებული საბუთების შესასწავლად დრო ოთხშაბათს საღამოს მექნება. გთხოვთ, მაქსიმუმ ოთხშაბათის ნაშუადღევამდე მომიმზადოთ მოკლე, შინაარსიანი და ადვილად აღსაქმელი დოკუმენტაცია, რუკის ჩათვლით.

---

107 პპ – პან პრეზიდენტი.

4) ყველაზე გვიან, პარასკევის 12:00 საათისათვის, გთხოვთ, კანადის გუბერნატორთან შეხვედრის განრიგსა და სათანადო საბუთებს (სადღეგრძელოები!) (...)

6) გიბრუნებთ უკვე წაკითხულ დოკუმენტებსა და აგრეთვე, სამძიმრებისათვის სამადლობელ, უკვე ხელმოწერილ, წერილებს. (...)

(7. 6. 1994)

(...)

5) ბატონ რიხტაჩეკს ვთხოვდი ჩემი სანთებელა შეეკეთებინა, დაეტენა და უკან გამოეგ ზავნა.

დავუბრუნდეთ სიცოცხლეს. როდის და რა ვითარებაში გაიცანით თქვენი მეორე ცოლი დაგმარ ვეშკრნოვა?

1989 წლის ოქტომბერში იყო თეატრ „სემაფორის" (ჩეხ. შუქნიშანი) დაარსების ოცდაათი წლისთავი, რომლის სულიერმა მამამ და ხელმძღვანელმა ირჟი სუხიმ, ამ თარიღის აღსანიშნავად პალაც ლუცერნაში[108] დამპატიჟა, როგორც სამოციანი წლების პატარა თეატრებში მისი ყოფილი თანამშრომელი. უნდა აღინიშნოს, რომ სუხის მხრიდან ეს ძალიან თამამი საქციელი იყო. არც თუ ისე ხშირად ხდებოდა, რომ ერთ-ერთი მთავარი დისიდენტი ყველას დასანახად სახელისუფლებო წრეებში მიღებულ მსახიობებთან ერთად ატარებდეს დროს. უფრო მეტიც, მთხოვეს სიტყვა წარმომეთქვა. ცხადია მე, როგორც ადამიანმა, რომელსაც ესმის თუ რა შეიძლება ამას მოჰყვეს, უარი განვაცხადე. მომდევნო ბანკეტზე სუხიმ გამაცნო დაშა, რომელსაც მანამდე მხოლოდ თეატრალური წარმოდგენებიდან და კინოებიდან ვიცნობდი. ამ, ოფიციალური თუ ნახევრად ოფიციალური ვარსკვლავების საზოგადოებაში, ცხადია. მედიისა და საიდუმლო სამსახურების მეთვალყურეობის

108 პალაც ლუცერნა – პრაღის შუაგულში 1907-1921 წლებში აგებული რამდენიმე შენობისგან შემდგარი იუგენსტილის უზარმაზარი კომპლექსი, რომლის არქიტექტორებიც იყვნენ ვაცლავ ჰაველი (პრეზიდენტ ვ. ჰაველის ბაბუა) და სტანისლავ ბეხინი. პალაც ლუცერნა 1948 წლამდე, ანუ კომუნისტების მიერ ჩამორთმევამდე, ჰაველების ოჯახის საკუთრება იყო.

ქვეშ, თავს შებოჭილად ვგრძნობდი, რაც დაშამ სწრაფად შეამჩნია. რევოლუციის პერიოდში კიდევ უფრო დავახლოვდით. კერძოდ, საზოგადოების დებატებში მსახიობებთან, რომლებიც მაშინ წარმოდგენების ნაცვლად იმართებოდა, თეატრალური გაფიცვებისას, სადაც მსახიობები და დისიდენტები პირველად იდგნენ გვერდიგვერდ სცენაზე და კიდევ უფრო დავახლოვდით 1990 წლის დასაწყისში. ასე რომ, უკვე დიდი ხანია ერთად ვართ, მალე თექვსმეტი წელი შესრულდება.

როდის გაუგზავნეთ პირველი სასიყვარულო წერილი?

მიუხედავად იმისა, რომ თვითონ საპირისპიროს ამტკიცებს, არა მგონია ოდესმე ნამდვილი სასიყვარულო წერილი მიეღოს ჩემგან. ყველაზე დიდი, ეს იყო მკაცრი და ძნელად გასაშიფრი წერილი, დაახლოებით ასეთი შინაარსისა: „ზეგ აქა და აქ ვიღაც გელოდება ამა და ამ დროს, თუ არ შეგიძლია, შეტყობინება". თუმცა ვინ იცის, ის ყველაფერს აგროვებს და იქნებ მართლა გააჩნია უფრო გულთბილი წერილებიც. მაგალითად, ცოტა ხნის წინ აღმოვაჩინე ჯარიდან ოლგასთვის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს გამოგზავნილი წერილებით სავსე ჩემოდანი. სხვათა შორის, უფრო საინტერესო რამეების შესახებაც ვიცი, სადღაც რომ მიდევს, თუმცა ღმერთმა იცის სად.

გახსოვთ თქვენი პირველი შეხვედრა?

გააჩნია რას ვუწოდებთ შეხვედრას. ერთი კი ნამდვილად მახსოვს, 1990 წლის გაზაფხულზე გვიან საღამოს დავბრუნდი ისრაელიდან, სადაც სახელმწიფო ვიზიტით ვიმყოფებოდი (ამ ქვეყანასთან კომუნისტური ეპოქის გაყინული ურთიერთობების შემდეგ ეს გახლდათ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლის პირველი ვიზიტი, ზუსტად მაშინ აღვადგინეთ დიპლომატიური ურთიერთობებ). გადავიცვი სმოკინგი და გავემართე ლუცერნაში (ლუცერნა, ოდესღაც ჩვენი ოჯახის კუთვნილება, როგორ საბედისწეროდ ბრუნდება ჩემს ცხოვრებაში!) მეჯლისზე „პრაღა-ვენა". იქ დიდხანს ვეცეკვე დაშას,

ბოლოს კი მის სახლში ერთ ჭიქა ყავაზეც შევეტენე. დაცვას ვუბრძანე ჩამქრალი სინათლეებითა და ჩუმად ევლოთ.

(ჰრადეჩეკი 11. 7. 2005)

ეს ნამდვილად საინტერესოა, სერიოზული ჩეხური ჟურნალისტიკის მამას, პან ჰვიჟდალას, როგორ ი ზიდავს პიკანტური თემები. თუმცა, ეს დიდად არ მაკვირვებს, მეც საკმაოდ მსიამოვნებს მსგავს შეკითხვებზე პასუხის გაცემა. ახლა კი, როგორც იქნა, მომწიფდა ის, რომ ორიოდე სიტყვით მოგითხროთ როგორ მიმდინარეობს ეს ჩვენი საუბარი. პრინციპში, ეს არც არის საუბარი. მსგავსად 1996 წელს გამოსული წიგნისა „დაკითხვა შორიდან", პან ჰვიჟდალამ გარკვეული მომზადების შემდეგ დაწერა და გამომიგზავნა შეკითხვების მთელი დასტა და მეც წერილობით ვპასუხობ ამ შეკითხვებს. ვცდილობ რამდენადმე შევინარჩუნო საუბრის ტონი და მაინც, ეს წერილობით გაცემული პასუხები გახლავთ. ასე ბევრად უფრო მარტივი მეჩვენება ვიდრე ხმის ჩაწერა, შემდეგ დიდი წვალების ფასად ჩანაწერის ხელნაწერად ქცევა და კიდევ ერთხელ გადაწერა ისეთი სახის მისაცემად, ფურცელი რომ აიტანს. ეს ათჯერ უფრო დიდ დროს მოითხოვს, ყოველ შემთხვევაში ჩემს შემთხვევაში. პან ჰვიჟდალას შეკითხვებიდან მხოლოდ ზოგიერთს ვირჩევ ხოლმე, ხშირად სახეს ვუცვლი ან სულაც ახალ შეკითხვებს ვუმატებ ჩემით, ერთი სიტყვით, პან ჰვიჟდალას, ცოტა არ იყოს, ისე ვექცევი, როგორც ჩემი რომელიმე პიესის პერსონაჟს. პირველად რომ წაიკითხავს, ალბათ შემეწინააღმდეგება, შემდეგ კი ვიმედოვნებ, შეეგუება ამას.

და საერთოდ, როგორ დადის ბატონი პრაზიდენტი რანდევუებზე?

პირველ რიგში: დიდი ხანია არავითარ „რანდეებზე" აღარ დავდივარ, თუ არ ჩავთვლით „რანდეებს" საკუთარ ცოლთან.

იეჭვიანებდა თქვენი ცოლი?

ცხადია. გამორჩეული ნიჭი აქვს პირველმა გამოიცნოს ვინ შეიძლება მომეწონოს და მსგავს პიროვნებასთან შესაძლებელი კონტაქტების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები მიიღოს. მაგრამ ეს არ არის მთავარი. უბრალოდ, დღესდღეობით უფრო დადინჯებული ვარ. რაც შეეხება კერძო

ხასიათის შეხვედრებს: პრეზიდენტობის პირველ წლებში ყველაფერი ბევრად უფრო მარტივი იყო, რადგან მაშინ ჯერ არ არსებობდა ამდენი „მჟავე", რომელიც ცდილობდა ლაფში ამოვესვარე. და თუ სადმე ოდესმე მოულოდნელად ჩამიჭირა საზოგადოებამ ან პრესამ, ღებულობდნენ ან აქვეყნებდნენ ამას, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეული სიყვარულის ელფერით. ამავე დროს ვცდილობდი, რომ ჩემი გადაადგილება მზის გულზე, რაც შეიძლება მარტივად ყოფილიყო ორგანიზებული: მინიმუმანდე დავიყვანე პრეზიდენტის დაცვა და მის რიგებში მხოლოდ ახლები და მეგობრები დავტოვე, ის ხალხი, რომელიც თავისი ნებით ნოემბრის რევოლუციისას მოვიდა ჩემ დასაცავად. ისინი ფიზკულტურულის სტუდენტები იყვნენ და არა პოლიციელები, ხოლო პოლიციელებად უკვე ჰრადზე, ანუ მოგვიანებით ვაქციეთ. ზოგიერთი მათგანი დღესაც მიცავს და ზოგიერთმა მაიორის წოდებასაც კი მიაღწია. სადაც ვეტყოდი იქ მივდიოდით, არ ჭირდებოდათ წინასწარ ბევრის ცოდნა, არ აინტერესებდათ ვის და რატომ უნდა შევხვდე, მხოლოდ ჩემს უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. მუქარებით სავსე წერილებს საკმარისად ვღებულობდი. მეტიც, ერთხელ ერთი ნახევრად აღმოსავლური, გაუგებარი სექტა ცდილობდა მაგიის მეშვეობით გავეთვალე. ჩემი მეპისტოლეტეები, როგორც მათ დღემდე ვეძახი, მსგავსი პრობლემებით იყვნენ დაკავებულები და არა იმით, თუ ვისთან და რატომ მაქვს შეხვედრა ან რანდევუ.

გარეშე თვალს შთაბეჭდილება შეექმნება, რომ 1996 და 1997 წლები უმძიმესი იყო თქვენს ცხოვრებაში. ეს მართლაც ასეა?

ძნალი სათქმელია. როდესაც ადამიანი რაიმე სირთულეს განიცდის, ყოველთვის ეჩვენება, რომ ეს მისი ცხოვრების ყველაზე რთული მომენტია. ასე ვფიქრობდი, როდესაც ორმოცდაათიან წლებში გამნაღმველად გამიწვიეს ჯარში, ასე ვფიქრობდი მანამდე, ტექნიკურ ფაკულტეტზე, სადაც უთუოდ შეცდომით მოვხვდი და ორი სემესტრის განმავლობაში ვსწავლობდი, მთელ ღამეებს მიფრთხობდა მანქანათა ნაწილებად წოდებული ერთი საგანი და დიფერენციალ-

ური განტოლებები იმ პირველის განუყოფელ ნაწილს რომ წარმოადგენდნენ და მსუბუქად სადისტური პროფესორი, რომელიც ამ საგანს გვიკითხავდა. აღარას ვიტყვი კომუნისტურ ციხეში გატარებულ ხუთ წელიწადზე. სპეციალურად ვამბობ კომუნისტური-მეთქი, რადგანაც ეს ძალიან განსხვავდება დემოკრატიული ქვეყნების ციხეებისგან. მიუხედავად ამისა, წლები, რომლებზეც საუბრობთ, ისევე როგორც 1995 წელი, მართლაც მძიმე გამოდგა ჩემთვის.

იმ ჩანაწერების მიხედვით, რაც გადავათვალიერე, 1996 წლის 16 ნოემბერს მაშინდელმა თქვენმა ექიმმა განაცხადა, რომ გქონდათ ფილტვების ანთება. მდგომარეობა უფრო და უფრო მძიმდებოდა, აგინიათ სიცხემ. ამ დროს პირველად ერევა საქმეში დაგმარ ვეშკრნოვა და საიდუმლოდ გიკვლევთ პრაღის საავადმყოფოში „ნა ჰომოლცე", ანუ გადაგარჩინათ ქალის ინსტინქტმა. ეს მართლაც ასეა?

გასაგებია, რომ დეტალები აღარ მახსოვს. იმდროინდელ ჩანაწერებს დიდად სერიოზულად არ ვუყურებ, მაგრამ ის, რომ დაგმარმა გადამარჩინა და თანაც არა ერთხელ, ამას წყალი არ გაუვა. ერთადერთი ის მახსოვს, რომ ცუდად ვიყავი, ავიღე შვებულება და წავედი ჰრადეჩეკზე, სადაც მარტო ვიყავი. ჩემი მდგომარეობა კი გაუმჯობესების მაგიერ სულ უარესდებოდა. ცოტა ხნით ადრე ფილტვებზე გადაღებულმა რენტგენმა არაფერი არ აჩვენა, ამიტომაც გამომიცხადეს, რომ ეს იყო უბრალოდ, „პრეზიდენტის დაავადება", როგორც ვუწოდებდით ჩემს პერიოდულ დაღლილობებს, სიცხეებსა და სხვა მსგავს, ალბათ, უმეტესწილად ნერვული წარმოშობის სიმპტომებს. დაგმარი ამას სხვაგვარად უყურებდა, ამიტომ თავისი ნაცნობის მეშვეობით ისე მოაწყო, რომ ღამე საიდუმლოდ „ნა ჰომოლცეზე" გამიკეთეს კომპიუტერული ტომოგრამა. შედეგი კი სხვაგან წაიღეს ტომოგრამების სანდო და მცოდნე „წამკითხველებთან", რომლებმაც ფილტვებზე სიმსივნე აღმომიჩინეს. დაშამ სასწრაფოდ მოიწვია პროფესორო პაფკო, სახელგანთქმული ფილტვების ქირურგი, რომელიც კვირა დღეს აიძულა საიდანღაც სასწრაფოდ

დაბრუნებულიყო. შეხედა სურათს და განაცხადა, რომ ოპერაცია გადაუდებლად უნდა ჩატარებულიყო, რადგან ერთი კვირის შემდეგ, შესაძლოა, გვიანიც კი ყოფილიყო. როგორც ყოველთვის, უამრავი საქმე მქონდა, უკრაინაში ვიზიტის ჩათვლით. ამიტომაც ჰრადზე სასწრაფოდ მოვიწვიე ყველა უახლოესი თანამშრომელი. მართალია, მე იქ არ მივსულვარ, მაგრამ სიტუაცია დაშამ განუმარტა დამსწრეებს. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩემი ცოლი და ამიტომ ჰრადი მას სხვათა შორის, უყურებდა, ცოტა არ იყოს, როგორც თავანყვეტილ მსახიობს, რომელიც სახელმწიფო საქმეებში ეჩრება. არც ჩემი მაშინდელი ექიმი ექცეოდა მას უკეთ და ეს გასაგებიც არის. როგორც საკუთარი პიროვნების წინააღმდეგ თავდასხმას, ისე ღებულობდა იმას, რომ დაშამ პროფესორ პაფკოსაც აიძულა შეხვედრაზე დასწრება. საშინლად არ უნდოდა, კონფრონტაციას გაურბოდა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა და ყველა სწრაფად დაარწმუნა სიტუაციის სერიოზულობაში. ერთი თუ ორი დღის შემდეგ, პრაღაში ლონდონის ქუჩაზე ქირურგიულ განყოფილებაში ვიწექი და ვემზადებოდი საოპერაციოდ. ოპერაციამ მშვენივრად ჩაიარა, პაფკო თავისი საქმის მართლაც და მსოფლიოში განთქმული დიდოსტატია. ოპერაციამდელ და შემდგომ პერიოდში ჩემზე ცუდად ზრუნავდნენ, ჩემი მდგომარეობის გართულების მიზეზი იყო არა ოპერაცია, არამედ ის, რაც მას მოჰყვა და რაც არ უნდა მომხდარიყო. ასეა თუ ისე, ამაზე პაფკო არ აგებს პასუხს. ეს საშინლად მოძველებული საავადმყოფო იყო, რომელიც დღეს აღარც კი არსებობს და მკურნალობის იქაური მეთოდები და საშუალებები საავადმყოფოს მაშინდელი მდგომარეობის პირდაპირი შედეგი იყო. მოგვიანებით, უკვე დაბრუნების შემდეგ, იმ ყველაფერს, რამაც პრესაში ამდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, შევეხე ჩემს ყოველკვირეულ ლანის რადიოგამოსვლაში. წარმატებული ოპერაციისთვის დიდი მადლობა მოვახსენე ყველა ჩემს ექიმს და ისიც ვახსენე, რომ ოპერაციის შემდგომი გართულებები და მათი მიზეზები მხოლოდ დახურულ კარს მიღმა პროფესიონალებს შორის დისკუსიის თემა შეიძლება ყოფილიყო. მიუხე-

დავად იმისა, რომ ამ ჩემი გამოსვლის მიზანი სიტუაციის დაშოშმინება იყო, შედეგი მაინც სრულებით საწინააღმდეგო მივიღე. მართალია, ყველა ექიმს ესმოდა ჩემი სამართლიანობის, წარმოიშვა ქარიშხალი, გაფიცულთა შორის სოლიდარობის დიქტატურამ მაინც გადასძლია სიმართლეს და ასე და ამგვარად პრესის მეშვეობით თავს დამესხნენ. ცხადია, ძირითადად „მუავეების" დახმარებით. დასკვნა, რომელიც ამ ყველაფრიდან გამოვიტანე მარტივი იყო: ექიმების კრიტიკა სახიფათოა სიცოცხლისათვის.

როგორ გადაიტანეთ? გეშინოდათ ვთქვათ იმის, რომ ნარკოზიდან ვერ გამოხვიდოდით?

ბოლო წლების განმავლობაში ნარკოზის ქვეშ ყოფნა არა ერთხელ მომიწია. პრინციპში მომწონს კიდეც. ერთ წამში ჩავარდები ძილში და რომ გამოერკვევი, წარმოდგენაც კი არ გაქვს თუ რა ხდებოდა შენს თავს. ნარკოზული ძილის ან ალბათ, უფრო ძილიდან გამოსვლის მომენტებში, ცხოველი ჰალუცინაციებიც მქონია, რაც არც თუ ისე უსიამოვნოდ მეჩვენებოდა. თუმცა ეს ჰალუცინაციები იმდენად შთამაგონებელი და შთამბეჭდავი იყო, ყველაზე რეალისტურ სიზმარზე უფრო, რომ შეიძლებოდა უარყოფითი შედეგებიც გამოეღო, რადგან, მიუხედავად ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა, მათი მჯეროდა, სიმართლე მეგონა და არავის შეეძლო ჩემი გადარწმუნება. ერთხელ ასეთ ჰალუცინაციებს კინაღამ სახელმწიფოთაშორისი გართულებები მოჰყვა შედეგად.

უნდა მოყვეთ!

ეს ერთი წლის შემდეგ, ავსტრიაში მოხდა. ნაწლავი გამისკდა, რაც ფრიად სახიფათო იყო და უკავშირდებოდა ჩემს წინანდელ ავადმყოფობებს. მდგომარეობიდან მხოლოდ დაშას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ბოლო წუთზე ჩარევამ მიხსნა. ცხადია, აგრეთვე ავსტრიელი პროფესორის, ბოდნერის არაჩვეულებრივმა ნამუშევარმა და დაშას განუწყვეტელმა მზრუნველობამ, რაც, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ იორდანიის მეფე ჰუსეინმა დაუფასა, რომელმაც

სახელმწიფო ვიზიტისას იორდანიის მაღალი ჯილდოთი დაამშვენა დაშა. მაგრამ მივუბრუნდეთ მთავარს. პალატაში განუწყვეტლივ ვუყურებდი პაციენტებისთვის კედლებზე გაკრულ სახელმძღვანელოებს და გადავეშვი აკვიატებულ წარმოდგენებში, რომ ეს არის ავსტრიელებისთვის გამიზნული ინსტრუქციები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაა-ბრუნონ ჩეხეთი ავსტრო-უნგრეთის იმპერიის შემადგენ-ლობაში. იქ ეწერა, რომ ჩეხეთის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევა სამხედრო გზით დღეს უკვე შეუძლებელია და რომ უფრო ეფექტური და თანამედროვე გზა არის ეკონომიკური ოკუპაცია. ეწერა, აგრეთვე, ყველა იმ ჩეხური ბანკის მისა-მართი, რომლის აქციებიც მთლიანად უნდა შეისყიდონ ავს-ტრიელებმა, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი კონკრეტული რჩევები ჩეხეთის რესპუბლიკის დასაპყრობად. ეკონომი-კური ოკუპაციის შემდეგ ერთი ნაბიჯი რჩებოდა პოლიტი-კურ ოკუპაციამდე. ვერავინ მოახერხა ჩემი გადარწმუნება, რომ ეს ბოდვაა. ინსბრუკის საავადმყოფოდან უკვე გამოვეწ-ერე, მეწვია ჩემი მეგობარი, ავსტრიის პრეზიდენტი თომას კლესტილი, მე კი წინასწარ ვემზადებოდი ჩვენი მეგობრული საუბრის მსვლელობაში მკაცრი დიპლომატიური პროტესტის გამოსათქმელად, საავადმყოფოს პალატებში ჩამოკიდებული მითითებების შინაარსთან დაკავშირებით. საბედნიეროდ, ბოლოს მაინც არაფერი ვთქვი. მართალია, ავსტრიელებს რაღაც-რაღაცები უკვე ეკუთვნით ჩვენთან, მაგრამ ნამდვი-ლად არა იმიტომ, რომ საავადმყოფოებში ჩვენი დაპყრობის ინსტრუქციები უკიდიათ. გარდაცვლილი თომასი ალბათ განცვიფრდებოდა, ინსბრუკში ამაზე რომ დამეწყო ლაპარა-კი.

საბოლოო ჯამში, რამდენჯერ იყავით სიკვდილის პირას იმ წლებში და რამდენჯერ გადაგარჩინათ ქალბატონმა დაგ-მარმა?

ამის ზუსტად თქმა, ალბათ, მარტო თვითონ თუ შეუძლია. მაგალითისთვის მახსენდება, პირველი სასწრაფო ოპერაციის შემდეგ რომ ვიხრჩობოდი ინტენსიური თერაპიის განყოფილე-

ბაში, რადგან ჟანგბადის მომწოდებელი მოწყობილობის სპეციალისტი იმ დროს ქეიფობდა სადღაც რესტორანში, სასწაულებრივად ზუსტად ამ დროს ოთახში შემოვიდა დაშა და გადამარჩინა კიდეც. როგორ მაიძულა საავადმყოფოში დაწოლა ავსტრიაში, ამაზე უკვე ვილაპარაკეთ. მაშინ არ მინდოდა დაწოლა, მაგრამ როგორც მერე გაირკვა, ცოტაც და დაგვიანდებოდა. განსაკუთრებული კი ის იყო, რომ ლოგინის თავთან დისპლეიზე მოუსვენრად რხევადი გრაფიკები, დაშას საავადმყოფოს შენობაში შემოსვლისთანავე, თავის ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდებოდა ყოველთვის.

ამბობენ, რომ თქვენი უთვალავი ფილტვების ანთება და საერთოდ, განადგურებული ფილტვები სიგარეტის წევის პირდაპირი შედეგია.

ცხადია, ორმოცდაოთხწლიანი ინტენსიურ მოწევით უფრო ჯანმრთელი არ გავმხდარვარ. მიუხედავად ამისა, ჩემი ჩივილების მთავარ მიზეზს სხვა რამეში ვხედავ. კერძოდ, პანკრაცზე წინასწარი პატიმრობის ციხიდან (1980 წლის იანვარი) ჰერუმანეცში, სასჯელაღსრულების ციხეში გადაყვანისას ჰაერის ტემპერატურის ორმოცგრადუსიან ვარდნებში და ამით გამოწვეული პირველი ანთების მკურნალობის დაუსრულებლობაში. შემდეგ ციხეში კიდევ არაერთხელ გადავიტანე ფილტვების ანთება და გესმით ალბათ, რომ წესიერად არასოდეს მიმკურნალია ბოლომდე. ერთ-ერთი განსაკუთრებით მწვავე ანთებისას, 1983 წელს, გამათავისუფლეს კიდეც, არ უნდოდათ ჩემი მოწამედ გადაქცევა. სიგარეტს ექიმების თხოვნით 1996 წელს დავანებე თავი, მაგრამ არამწევლობას არ ვუწევ აგიტაციას, როგორც გარკვეულ იდეოლოგიას, მწევლების ღრმად მესმის და დიდი სიამოვნებით ვისუნთქავ ხოლმე მათ ახლოს გაფანტულ ბოლს.

პრეზიდენტობისას როცა ავადმყოფობდით, ბულვარულ პრესასთან დაკავშირებით ახალი გამოცდილებაც გაგიჩნდათ. ტელეკომპანია „ნოვამ“, თქვენი პირველი ოპერაციის წინ პალატის პირდაპირ ბინაც კი იქირავა და საიდუმ-

ლოდ ფილმს გიღებდათ, ყოველდღიურად ჩნდებოდა რაიმე თქვენ ორის წინააღმდეგ, კარგად ცნობილმა სვორამ თქვენი ავადმყოფობისა და მომავალი მეუღლის შესახებ წიგნიც კი დაწერა.

ვფიქრობ, მსგავსი წიგნი თხუთმეტი მაინც გამოიცა ჩვენ შესახებ: არც ერთი წამიკითხავს. ყველაზე მეტი ტალახი იწერებოდა სდპ-ს წინასაარჩევნო ჟურნალ „სუპერში". ერთი ხანობა ეს კამპანია წარმოუდგენლად ინტენსიური იყო და ძირითად სამიზნეს დაშა წარმოადგენდა. რაღაც განსაკუთრებული პროვოკაციის საგნად იქცა დაშა. იყო პერიოდები, როდესაც ერთი დღე არ გავიდოდა ისე, რომ „ნოვას" ეთერში ან გაზეთებში დაშაზე ბოროტი თავდასხმა არ განხორციელებულიყო. ჟურნალისტების უმეტესობა მაშინაც ისე იქცეოდა, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში ანუ როგორც გონებაარეული ბრბო. ვინმე ერთ მიმართულებას აირჩევს და ყველა ბრმად მიჰყვება კვალდაკვალ. მოდაც ასე არაა? დაშას მსგავსი არაფერი უნახავს ცხოვრებაში, ადრეული ახალგაზრდობიდანვე პოპულარული და საყვარელი მსახიობია, ვფიქრობ, ეს მისთვის საკმაოდ მძიმე ასატანი იყო. რაოდენ მოულოდნელადაც დაიწყო კამპანია, ისევე მოულოდნელად ჩაცხრა წელიწად-ნახევარში, მაგრამ გულის სიღრმეში სამუდამო იარები დატოვა. ამ მოვლენის მიზეზები არ ვიცი. ნაწილობრივ, ალბათ, „ნოვას" შეფი თავის არასრულფასოვნების კომპლექსს ებრძოდა ასე. თუმცა, ძირითადად, ალბათ, განტევების ვაცი იყო, ჩემზე იძიებდნენ შურს დაშას საშუალებით, პირველ რიგში, სდპ და ისინი, რომლებიც ამ პარტიაში საკუთარ მფარველს ხედავდნენ.

შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით, თქვენი აზრით, როგორ უნდა გადაწყდეს მომავალი პრეზიდენტებისა და სახელმწიფოს სხვა უმაღლესი პირების სამედიცინო მომსახურების საკითხი?

ვფიქრობ, მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს ნებისმიერი სხვა პაციენტის სამედიცინო მომსახურების დონეს. ცხადია, აქა-იქ შეიძლება გარკვეული უპირატესობა მიენ-

იჭოთ, ვთქვათ, მოსაცდელში რომ არ მოუხდეთ დიდხანს ლოდინი. ამავე დროს, საავადმყოფოს ერთი საწოლის ირგვლივ ბევრი სახელგანთქმული პროფესორის ერთდროული ფუსფუსიც არ გახლავთ სარგებლის მომტანი. ყველას მკურნალობის თავისი მეთოდები აქვს, ცხადია, არც ერთს არ სურს სხვის გადაწყვეტილებებზე პასუხისგება. აქა-იქ ერთმანეთზე ეჭვიანობენ, ზოგჯერ, უნებლიეთ, ერთმანეთს გადააბრალებენ რაღაცას ანუ გადამეტებული ყურადღება კონტრპროდუქტიულიც კი შეიძლება აღმოჩნდეს. ამდენ მზრუნველს შორის დიპლომატიური პირუეტების კეთებამ, შესაძლოა, ადამიანი ნერვულ გამოფიტვამდე მიიყვანოს. ამით სულაც არ მინდა ვთქვა, თითქოს, მხოლოდ ასეთი გამოცდილება მაქვს, ბევრჯერ შევხვედრივარ სხვადასხვა საავადმყოფოდან მოწვეული ექიმების მშვენიერ თანამშრომლობას, რისთვისაც ყოველთვის დიდად მადლიერი ვიყავი. ყოველმა მათგანმა ვითარების გარკველ ასპექტზე რომ გაამახვილა ყურადღება და საბოლოოდ, შინაარსიანი კომპრომისებიც რომ მოიძებნა. მაგილითად, უკვე თექვსმეტი წელია შეუფასებელ დახმარებას მიწევს ფიზიოთერაპევტი პაველ კოლარჟი, კარგი და მორიდებული ადამიანი, ბოლო წლები კი ჩემი მკურნალი ექიმია ტომაშ ბოუზეკი; მისი დამსახურებაა, რომ დღეს წარსულთან შედარებით ნაკლებს ვავადმყოფობ.

(ჰელი 21. 8. 2005)

კიდევ ექვსმა კვირამ გაიარა. რას ვაკეთებდი? რატომ არ შემეძლო წერა? რაღაც ძალიან გადატვირთული იყო ეს ბოლო პერიოდი, მათ შორის გადაბარგებებით. გავყიდეთ პორტუგალიაში ჩვენი სახლი. ბევრ საზრუნავს გვიქმნიდა, ჩვენ კი ძალიან იშვიათად ვისვენებდით იქ. ძირითადად მეგობრები იყენებდნენ. წარმოდგენა, რომ ერთხელაც, როდესაც აღარ ვიქნები თანამდებობაზე, ყოველი წლის რამდენიმე თვეს იქ გავატარებ, ვისუნთქებ ოკეანის ზღაპრული ჰაერით, რომელიც მომენტალურად მიხსნის ფილტვების ანთებასთან და სუნთქვასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას, სულელური ოცნება აღმოჩნდა. მაგრამ უარესი ის იყო,

რომ უამრავი რამ, რაც ცხოვრების განმავლობაში დაგვიგროვდა, იქ გვქონდა დაბინავებული, დაწყებული დაშას მთელი ქორწინებამდელი ქონებით და დამთავრებული აუარება საჩუქრებით. ამ ყველაფრის შესანახი ადგილი არ გვქონდა, ამიტომაც იქ წავიღეთ. ახლა ეს ყველაფერი ისევ აქ არის და ეზოში გვიწყვია, გარაჟიც სავსეა, ნაწილი მოვახერხეთ და გავაჩუქეთ, ნაწილიც ჰრადეჩეკზეა (ამ ჩამონათვალს, სხვა ყველაფრთან ერთად, მიეკუთვნება ას ოცი ყუთი წვრილ-წვრილი ნივთების, წიგნებისა და ნაწერებისა). საბოლოო ჯამში, ლაპარაკია ბევრ ძვირფას ან საინტერესო ნივთზე და აუარება სისულელეზე. თუმცა, ყველაზე მეტი კი ისეთებია, სულელურსა და იშვიათობას შორის რომ დგას. დახარისხება ვერ მოვახერხეთ, აქამდე ამის კეთებაში ვიქნებოდით. ამიტომაც ორი სატვირთოთი ეს ყველაფერი უკან წავიღეთ. დაშამ ბევრი იტირა, უყურებდა როგორც მის პიროვნებაზე თავდასხმას, რადგანაც იმ იმედით, რომ სამუდამოდ ჩვენი იქნებოდა, პორტუგალიის სახლის ამ ნივთებით მორთვას დიდი დრო შეალია. ამგვარად, პიროვნებაზე თავდასხმის თემა, ზედიზედ ორჯერ დაგვიბრუნდა, პირველად ჰრადეჩეკის ეზო რომ გაგვიკაფეს და მეორედ – პორტუგალიიდან გადმობარგებისას. გადაბარგების, დაშორებისა და კაფვის თემები ალბათ, ჩემით მივიზიდე: პიესა, რომლის დაწერასაც უკვე დიდი ხანია ვაპირებ, ზუსტად ამ თემებს ეხმიანება. კერძოდ, უკავშირდება ჩეხოვის „ალუბლის ბაღს“, ბეკეტის „წარმოდგენის დასასრულს“ და პირველ რიგში, შექსპირის „მეფე ლირს“. პიესა წარმოგვიდგენს სახელმწიფო მოღვაწეს, რომელმაც დაკარგა თანამდებობა და უწევს ბაღით გარშემორტყმული სახელმწიფო ვილიდან გადასვლა, რასაც ვერაფრით ეგუება. თანამდებობის და იმ ყველაფრის დაკარგვა, რაც ახლავს ამ თანამდებობას, მისთვის სამყაროს ნგრევის ტოლფასია. მსუბუქად გააფრენს კიდეც ამის ნიადაგზე. საინტერესო კი ისაა, რომ ამ წარმოდგენის წერა ჯერ კიდევ რევოლუციამდე, ანუ თექვსმეტი წლის წინ დავიწყე, შემდეგ ხელნაწერი მოვისროლე იმ შეგრძნებით, რომ წლების შემდეგ ეს თემა აღარ დამაინტერესებდა. მოგვიანებით კი ფიქრებში თანდათან ამ თემისაკენ მიბრუნება დავიწყე (ვხედავდი რა ჩემ ირგვლივ ბევრ პოლიტიკოსს, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ თანამდებობის დაკარგვას). შემდეგ კი ხელნაწერს, რომელიც განადგურებული მეგონა, ჩემი თანამშრომელი ანდულკა ნეიმანოვა გადაეყარა სადღაც. ერთდროულად ბევრი და განსაკუთრებული დამთხვევაა. არ ვკარგავ იმედს, რომ თუ რაიმენაირად მხოლოდ ამის საწერად ერთი თვე მაინც მოვიხელთე,

აუცილებლად მივიყვან საქმეს ბოლომდე. უფრო სავარაუდოა, რომ ვერასოდეს დავწერ და შემდეგ ვინმე სხვა, ალბათ, ჩემი მეგობარი და კოლეგა ტომ სტოპარდი, დაწერს პიესას მწერალზე, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში სურდა მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პიესის დაწერა, მაგრამ ცხადია, ვერასოდეს მოახერხა. ციბრუტივით ტრიალში სწრაფად და გართულების გარეშე გაიარა მთელმა თვემ და დღეს „ვარშავის ხელშეკრულების" მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის წლისთავზე, სტუმრად ვიმყოფები პოლონეთის პრეზიდენტის ალექსანდრე კვასნევსკის, როგორც ჩემი კარგი მეგობრის, ბალტიის რეზიდენციის შუქურას მსგავსი კოშკის ბოლო სართულზე. სხვათა შორის, მალე მასაც დაუსრულდება პრეზიდენტობის ვადა და გადასახლდება ამ მშვენიერი რეზიდენციიდან, რომელიც წლების განმავლობაში მისი საცხოვრებელია და პატარა სამოთხეს წარმოადგენს დედამიწაზე. გარდა ამისა, ის, რომ ვცდილობ გავიხსენო რას ვაკეთებდი ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში და გადაბარგებების გარდა სხვას ვერას ვიხსენებ, კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რა საგანგაშოდ მიქვეითდება მეხსიერება. ამბობენ, რომ ეს მრავალჯერადი ნარკოზის ბრალია. ისეც ხდება ხოლმე, რომ ვინმეს მთელი ორი საათი ვესაუბრები და მეორე დღეს ვერ ვიხსენებ როგორ გამოიყურებოდა და თუ შევხვდი, ამაოდ ვცდილობ ხოლმე გავიხსენო ვინ არის და საიდან ვიცნობ. ალბათ ეს ამ წიგნზეც აისახება. გამუდმებით ვიტეხ თავს, რადგანაც მავიწყდება ხოლმე, რა მაქვს უკვე დაწერილი და რა – ჯერ არა. ამავე დროს, გაუგებარი შავბნელი მიზეზების გამო – შესაძლოა მეშინია, რომ არ მომეწონება – არ შემიძლია წინა გვერდებს გადავხედო ან მთლიანად, მიყოლებით გადავიკითხო. მართალი იყო პან ჰვიუძალა, როდესაც მითხრა, რომ ყველაფერი აქ მაინც არ დაეტევა და რომ ამიტომაც ჯობია მხოლოდ რამდენიმე საკითხი ამოვირჩიო საკუთარი თავის წარმოსადგენად. ამდენად, არ ვარ დარწმუნებული, რომ ერთი საკითხით რამდენჯერმე არ წარმოვაჩენ საკუთარ თავს.

ფილტვების პირველი ოპერაციის ანუ შინ დაბრუნებიდან რვა დღის შემდეგ, 1997 წლის 4 იანვარს, ჟიჟკას რატუშაში მსახიობ დაგმარ ვეშკრნოვასთან იქორწინეთ, იქ, სადაც დიდი ხნის წინ იქორწინეთ ოლგასთან, თქვენს პირველ მეუღლესთან. რამ გადაგადგმევინათ ეს ნაჩქარევი ნაბიჯი?

ქორწინება დაშას ნახევარი წლით ადრე შევთავაზე და როდესაც შესაფერის ადგილსა და დროს ვარჩევდით, ამ თარიღზე შევჩერდით. მე საშობაო და საახალწლო შვებულება მელოდებოდა ჰრადეჩეკზე, ამიტომაც შეუღლება ყოველგვარი ხმაურის გარეშე მახლობელ დასახლებაში – მლადეე ბუკში, რომლის საპატიო მაქალაქეც გახლავართ, გადავწყვიტეთ. შემდეგ მოულოდნელად გამოხტა ეს ოპერაცია, ყველაფერი შეგვეცვალა, მაგრამ დაგეგმილ დღეს საავადმყოფოდან უკვე გამოსული ვიყავი, ასე რომ შეგვეძლო გეგმები აღარ დაგვერღვია. მხოლოდ ადგილი იყო შესაცვლელი. ჩემს მდგომარეობაში ჰრადეჩეკისკენ გამგზავრებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. შემთხვევის წყალობით, თუკი შეიძლება რაიმეს შემთხვევითობა ვუწოდოთ, პრაღაში ზუსტად ჟიჟკოვაზე ცხოვრობდა დაშა. მე კი ვიცნობდი იქაურ სტაროსტას პან მიკესკის. ერთხელაც მოვიპატიჟე და ყველაფერზე შევთანხმდით. ეს საიდუმლო იყო, ისიც პატივით მოეკიდა საქმეს, იმდენად, რომ საკუთარ ცოლსაც კი არ გაანდო. თუმცა, ბოლო მომენტში ერთმა ტელეარხმა მაინც შეიტყო ქორწინების შესახებ (სავარაუდოა, რომელიმე ჩემი მეპისტოლეტისგან) და რატუშის წინ გველოდებოდა. ჟურნალისტები საშინლად გაწბილებული იყვნენ, რადგანაც არაფერი იცოდნენ ქორწილის შესახებ. წამოვიდა მათი მხრიდან საყვედურები იმის თაობაზე, რომ ოლგას გარდაცვალების ერთი წლისთავამდე სამი დღით ადრე ვიქორწინეთ, თუმცა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ყოფილა დასაშვები. არავითარი მსგავსი ტრადიცია ან წესი არ არსებობს. ეს კარდინალმა ვლკმაც დამიდასტურა, თუმცა თუ ვინმეს ძაღლის გაჯოხვა უნდა, ჯოხი ყოველთვის მოიძებნება.

პრესა ხშირად ლაპარაკობდა კონფლიქტებსა და დაძაბულობაზე თქვენს მეუღლეებსა და თანამშრომლებს შორის. რა მსგავსება და რა განსხვავება არსებობდა თქვენი ორი მეუღლისა და თანამშრომლების ურთიერთობებში?

დიახ, ერთის მხრივ, ოლგასა და დაშას და მეორეს მხრივ, ჩემს თანამშრომლებს შორის იგრძნობოდა ხოლმე დაძაბულობა, რაც სათავეს იქ იღებდა, რომ ორივე დომინანტური

არსება იყო, თავს არც ერთი მოატყუებინებდა ვინმეს. რასაც ფიქრობდნენ, ყოველგვარი ტაქტიკის გარეშე, პირდაპირ ამბობდნენ. ზოგჯერ თავაშვებულადაც იქცეოდნენ და რაც მთავარია, ვერ ეგუებოდნენ, როდესაც ვინმე ჩემით მანიპულირებას ცდილობდა ან ჩემ გვერდით ყოფნით განპირობებულ თავის მდგომარეობას პირადი ინტერესებისათვის იყენებდა. მშვიდობისმოყვარე ადამიანი ვარ, ვერ ვიტან კონფრონტაციასა და დაძაბულობას, ბევრ რამეს ვყლაპავ ხოლმე. შესაძლოა, ამიტომ ველტვი ქალების ამგვარ ტიპს. ჩემი გადამეტებული და ხშირად კონტრპროდუქტიული ზრდილობიანობა, პირდაპირ თხოულობდა განონასწორებას ადამიანით, რომელიც დროულად და მთლიანად იტყვის სათქმელს, ვისაც ეწყინება, დაე, ეწყინოს. შესაძლოა, ასე მოგვდგამს ოჯახში. ფართო მასშტაბებში, ჩემი ძმის შემთხვევაში კი პირდაპირ კოსმიურ მასშტაბებში, უფრო ჩვენ, კაცები ვოპერირებთ, შინ და ახლო გარემოში კი, რაც არ უნდა ამტკიცონ საპირისპირო, ბატონობენ ქალები. თანამშრომლებს ჩემი ორივე ცოლის, ცოტა არ იყოს, ეშინოდათ, ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება.

და რაც შეეხება განსხვავებას?

მრავალი მიზეზის გამო დაშას მდგომარეობა ბევრად უფრო მძიმე აღმოჩნდა და არა მარტო იმიტომ, რომ რიგით მეორე იყო. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ოლგა უხსოვარი დროიდან მეკუთვნოდა და ყველა ჩემი თანამშრომელი, მეტიც, მეტაფორულად ვიტყოდი, თითქმის მთელი სახელმწიფო ჩვენს ოჯახს ჩაესიძა. დაშას შემთხვევაში ეს პირიქით იყო. ყველა ისე უყურებდა, თითქოს დაშა იქით მისთხოვდა. თითქოს რაღაც გაგებით უცხო სხეული იყო, სხვა სამყაროდან შემოსული, რომელიც ერთი ნახტომით თავს გადაევლო ყველას და ახლა მათზე მეტი გავლენა აქვს. დაშას გახსნილობა, ინდივიდუალიზმი, საქმეში საფუძვლიანობა, დროდადრო თავაშვებულობა თუ „დაძაბულობმქმნელობა", ცხადია, მსგავს დამოკიდებულებას მის მიმართ კიდევ უფრო აძლიერებდა. ჩემს თანამშრომლებს შეგრძნება ჰქონდათ,

რომ ისე, როგორც მათ არ ეკადრებათ და თან საქმის ცოდნის გარეშე ეჩრება საქმეებში, დაშას კი პირიქით, ექმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მას ანგარიშს არ უწევენ, მეტიც – ჯიბრში უდგანან. ჩემს გარემოცვას ბრალად უყენებდა, რომ ჩვენ წინააღმდეგ წამოწყებული, უკვე ხსენებული, კამპანიისას საჭირო მხარდაჭერა და რჩევა-დარიგება არ მიუღია მათგან, რის გამოც თავს უიმედოდ, ეულად და დაუცველად გრძნობდა. რა ხანია ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, არაფერი გამორჩეული და განსაკუთრებული ამით არ მომხდარა. ხსენებად კი მხოლოდ იმიტომ ღირს, რომ ეს იყო ერთი კონკრეტულ ბრძოლა პოლიტიკოსების მეუღლეების მიერ, პატრიარქალურ სამყაროში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად წარმოებული ბრძოლების უსასრულო ისტორიიდან. ეს იყო მხოლოდ ერთი კონკრეტულ ბრძოლა პოლიტიკოსების მეუღლეების მიერ, პატრიარქალურ სამყაროში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად წარმოებული ბრძოლების უსასრულო ისტორიიდან.

ქორწილის შემდეგ დაშა ღებულობდა ასობით წერილს, ნაწილობრივ, ალბათ, იმიტომ, რომ მანამდეც კარგად იცნობდა ფართო საზოგადოება და მისი მშვენიერი ხასიათისთვის ყველას უყვარდა. როდესაც პანი პრეზიდენტის მეუღლედ იქცა, ათასგვარი თხოვნით მიმართავდნენ ხოლმე. ამავე დროს, უამრავი საერთაშორისო საქმე გაუჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელ უიკენდებს, ღამეების ჩათვლით, ამ საქმეებს ანდომებდა, ყველაფერს მარტო ვეღარ აუდიოდა, ამიტომ დაიწყო დამხმარის ძებნა. არაკეთილმოსურნე ატმოსფეროში, რომელსაც „მუავეები“ ქმნიდნენ, ჩემს სამსახურს ეშინოდა მისთვის მდივნის ან მსგავსი ფუნქციების მქონე სხვა პირის მიმაგრება, რამეთუ კანონი პრეზიდენტის კანცელარიის შესახებ არ ითვალისწინებს მსგავს თანამდებობას და ამგვარი ქმედება სავარაუდოდ ჩვენს წინააღმდეგ იქნებოდა გამოყენებული. შემდეგ დაშამ სადღაც თქვა კიდეც მაშ შევცვალოთ ეს კანონიო, რითიც „მუავეების“ წისქვილზე დაასხა წყალი – პრეზიდენტის ჭირვეული მეუღლე კონსტიტუციის შეცვლას ლამობსო. საბოლოოდ დაშამ პრეზიდენტის მეუღლეე-

ბისათვის პატარა სამდივნოს ქონის უფლება მაინც მოიპოვა ბრძოლით და დღეს არავის მოუვა აზრად ამით გაკვირვება, რომ არაფერი ვთქვათ ამაში უკანონობის დანახვაზე.

განვლილი დროის გადასახედიდან როგორ უყურებთ იმას, თუ როგორ შეეჭიდა თქვენი მეუღლე თავის ახალ მდგომარეობას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ამოცანას? გგონიათ, რომ შეგეძლოთ მეტის და უკეთ გაკეთება?

ცხადია, ყველაფერი წინასწარ თუ იცი, ათას რამეს უკეთ გააკეთებ. საბედნიეროდ, ეს ასე არ ხდება, საზიზღრად მოსაწყენი იქნებოდა. მე პირველად გავხდი პრეზიდენტი. დაშა პირველად გაჰყვა ცოლად პრეზიდენტს. ჩვენს ისტორიაში პირველი პრეზიდენტი ვიყავი, რომელიც თანამდებობაზე ყოფნისას დაქორწინდა. არავითარი ტრადიცია, არავითარი მაგალითი. მაშ რა გასაკვირია, რომ სწორი გზა (ისევე, როგორც სხვა მრავალ საქმეში) საძებნელი გვქონდა და ხშირად ხელის ფათურით? დაშას განსაკუთრებით აქვს განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა და ყველაფერს საოცრად საფუძვლიანად ეკიდება. ამდენად, თავის მდგომარეობასაც სერიოზულად მოეკიდა. დაიწყო წიგნების კითხვა პირველი ქალბატონების შესახებ, იმის შესახებ თუ სად, რა და როგორ უნდა იყოს, როგორ უნდა ჩაიცვას და დაიხუროს, როგორ მოიქცეს დიპლომატიურად და ა.შ. სამწუხაროა, მაგრამ დღესდღეობით პრეზიდენტების ან პრემიერების მეუღლეების შეუსაბამო ჩაცმულობამ, შესაძლოა, ქვეყანა მეტად აზარალოს, ვიდრე მათი მეუღლეების მიერ სახელმწიფო დონეზე წარმოთქმულმა ნებისმიერმა სიტყვამ. ამდენად, ერთბაშად ასეთ თვალსაჩინო მდგომარეობაში აღმოჩენა, განსაკუთრებით კი დაშას შემთხვევაში, არ იყო მთლად მარტივი. ამავდროულად, დროებაც უკვე სხვაგვარი იყო, ვიდრე ოლგას დროს, როდესაც ჩვენ, როგორც რევოლუციის რჩეულ შვილებს, ყველაფერს გვპატიობდნენ. ახლა პატიებაზე ფიქრიც კი აღარ გვიხდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ დაშა მშვენივრად მოერია ყველაფერს. დღემდე მეგობრობს მაშინ გაცნობილ სამეფო თუ საპრეზიდენტო წყვილებთან,

რომლებმაც მართლაც შეიყვარეს ხალხთან ურთიერთობის მისეული მიდგომითა და საქველმოქმედო ფონდში მუშაობით, შინაც დიდი პატივისცემა მოიპოვა. სამწუხაროა, რომ ყოველივე ამას თეატრში მოღვაწეობა ვერ შეუთავსა. ახლა ისევ დაეწყო რეპეტიციები და დარწმუნებული ვარ, მოსალოდნელ, ხელოვნების მიღმა მდგომ საქმეებსაც აუთავდება პარალელურად.

(18. 8. 2002)

სადაც არ მოვხვდი, ყველგან მეკითხებიან, რატომ ვიუარე პორტუგალიიდან დაბრუნება, როდესაც შინ წყალდიდობა იყო. ჩ-ით და ჩტ-თი დაწყებული, რესტორანში ოფიციანტით დამთავრებული ყველა ამას მეკითხება. როდესაც ვუკვირდები თუ რატომ მეკითხებიან, ვხვდები, რომ თავი და თავი ყველაფრის პან შ.-ს ერთი რომელილაც განცხადებაა. გთხოვთ მომიძებნოთ. შემდეგ მჭირდება იმ ინფორმაციის ტექსტი, რომელიც ჩპს-მ გადასცა. დაბოლოს, გთხოვთ, რომ პან შ.-მ და სხვებმაც ამ ფაქტს თვალი გაუსწორონ, ნუ იძვრენენ თავს. კოლეგიალობისა და სოლიდარობის გამო ერთმანეთს ხელს ნუ აფარებენ. სამართლიანობის დაცვის მიზნით, კიდევ ერთხელ აღვადგენ მოვლენების თანამიმდევრობას:

1) ორშაბათ საღამოს დამირეკა პან ფ.-მ, მირჩია პრემიერთან საუბარი და შემდეგ დამაკავშირა კიდეც მასთან. სხვა ყველაფერთან ერთად დავინტერესდი მისი აზრით ჩემ დაბრუნებასთან დაკავშირებით. მითხრა, რომ არაა საჭირო.

2) სამშაბათს შუადღემდე მივიღე პან ფ.-ს დირექტივა, რომელშიც მისაბუთებდა თუ რატომ უნდა დავბრუნდე. ბოლოს პან მ.-ს ტელეფონით ვკითხე, ეს მთელი ჰრადის გადაწყვეტილებაა თუ მისიც მათ შორის. მითხრა, რომ კი. ჩემ თანმხლებთა ჯგუფთან ხუთწუთიანი თათბირის შემდეგ ვაცნობე, რომ ხვალ (ანუ ოთხშაბათს) „ფიშერ ეირით“ ვაპირებ ჩამოფრენას. შემდეგ უკვე მხოლოდ კონკრეტულ წვრილმანებზე შევთანხმდით. (...) ჩემი დაჟინებული თხოვნა, რომ სასწრაფოდ გადაიცეს ინფორმაცია ჩემი დაბრუნების შესახებ, მოგვიანებით (უხალისოდ) შეასრულეს. თუმცა, ჩეხეთის ეთერში, როგორც მთავარი სიახლე, უკვე გუგუნებდა სავარაუდოდ, პან შ.-ს ცნობა იმის შესახებ, რომ დაბრუნებაზე არც კი ვფიქრობ. უამრავმა ადამიანმა დაგვირეკა, და გვეკითხებოდნენ თუ რაშია საქმე. მაშინ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. თუმცა

ახლა თანდათან ვხედავ, რომ მთელი ჩემი ცხოვრების და საზოგადოებრივი მოღვაწის გზის ბოლოს, შუბლზე წარუშლელი დამღა დამასვეს ადამიანისა, რომელსაც უნდა მზეს მიეფიცხოს და ამიტომ მიატოვა თავისი ერი. აღიარეთ, რომ ეს უსამართლობაა და რომ ლომის წილი თქვენ გადევთ ბრალად. მეტს ჰრადისაგან არას მოვითხოვ. კიდევ ერთი რამ მაბრაზებს: მცდელობა პატარა ბავშვებივით დაგეძვრინათ თავი და ერთიმეორეს გადაფარებოდით, როდესაც ამ რამდენიმე დღის წინ წამოვიწყე ამ საკითხზე სერიოზული საუბარი.

3) ვიმეორებ ჩემს სამომავლო მოთხოვნას: ყოველი განცხადება, რომელიც ეხება ჩემს შეხედულებებსა და გეგმებს, წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული ჩემთან. მინდა, რომ მე და მხოლოდ მე ვაგებდე პასუხს ჩემს ქმედებებზე და სხვა დროს სხვის გაუაზრებელ ქმედებებზე პასუხისმგებლობას იცოდეთ აღარ გავინაწილებ.

4) ბოლო შეკითხვა: მიმტკიცებდნენ, რომ მინისტრი ტვრდიკი, ჩემი და ჩემი ჯგუფის დასაბრუნებლად ნებისმიერ წამს გადმომცემდა სამხედრო თვითმფრინავს. თქვა, რომ რპკ-ს მსგავს თხოვნას მიესალმებოდა კიდეც, რადგან სამხედრო საავიაციო პარკს არ აქვს დაგროვებული საკმარისი ფრენის საათები. ამდენად, ვსვამ შეკითხვას: მოითხოვა ვინმემ თვითმფრინავი? თუ არა, რატომ? თუ მოითხოვეთ, მაშინ ეს ნიშნავს, რომ თვითმფრინავზე უარი გვითხრეს? რა მიზეზით? ან იქნებ სპეცრეისი გამორიცხეს რპკ-ს შეხედულებებიდან გამომდინარე სხვა ვითარებებმა? ჩემი პრეზიდენტობის დასასრული, ისტერიკაში ჩავარდნილი მედია და უჩვეულო კატასტროფები საშინლად ართულებენ სიტუაციას. ამიტომ გთხოვთ, ყველაფერი თავიდან განმარტოთ და ამჯერად უკვე საფუძვლიანად.

(21. 8. 2002)

მადლობა, დიახ, ეჭვგარეშეა რომ ასე იყო, მივიღე მოვლენების მიმდინარეობის დაწვრილებითი და ნამდვილად ზუსტი აღწერილობა. თუმცა, სამწუხაროდ, არ მოიცავდა იმ ძირითადს, რისი გაგებაც ასე მსურდა ანუ ჰრადის ქმედებების კრიტიკულ ანალიზს. ხომ ცხადია, ჰრადს ერთხმად და ცალსახად რომ ეთქვა, „ჩამოდი კონკრეტულ დღეს – ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს ან პარასკევს – ამა და ამ თვითმფრინავით", ცხადია, ასეც მოვიქცეოდი. მე კი ამ დროს სიტუაციაში ვერ გავერკვიე, ჰრადიდან მომავალი ხმები კი ურთიერთგამომრიცხავი იყო. ყველაზე მძიმე პან შ.-ს განცხადება გახლდათ.

ვინ სთხოვა საერთოდ ამასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა? მით უმეტეს, თავისი უდავოდ დამსახურებული შვებულებიდან. და თუკი ასე უნდოდა აზრის გამოთქმა, რატომ მე არ შემეკითხა? ან თუნდაც ჰრადის იმ ნაწილს, რომელიც მეკონტაქტებოდა და ჩემი შესაძლებელი დაბრუნების შესახებ მეთათბირებოდა? ეს უგულოდ გაკეთებული და სავსებით ზედმეტი განცხადება იყო, რომლის შედეგებს დღემდე ყველგან ვეჯახები და ცხადია, მომავალშიც წინ დამიდგება. ვიცი, რომ ეს ბოროტი განზრახვით არ გაკეთებულა, მინიმუმ უხეში შეცდომა იყო და თუკი ვინმემ ეს საკითხი საზოგადოების წინაშე წამოჭრა, რასაც სრულებითაც არ მიველტვი, იძულებული ვიქნები მოვრჩე ბუნდოვნად ლაპარაკს და პირდაპირ ვთქვა რა და როგორ მოხდა. ისიც მეყოფა, რომ ტვირთად საკუთარი შეცდომების შედეგები მაწევს და ჩეხური პრესის ბურტყუნი მსდევს თან, მეტის აღება საკუთარ თავზე ნამდვილად არ მინდა. (...)

(11. 4. 1999)

(...)

8) მოსარწყავად ალბათ უფრო გრძელი შლანგია საჭირო..(...)

ხშირად გაკრიტიკებდნენ იმისათვის, რომ თითქოს ვერ იტანთ ცუდ ცნობებს, თქვენს სამსახურს უკრძალავდით უარყოფითი ცნობების გავრცელებას და მხოლოდ კარგის გაგონება გენებათ. ამბობენ, რომ თქვენ და ზოგიერთი თქვენი თანამშრომელი ამის გამო წაეკიდეთ კიდეც ერთმანეთს.

არ ვიცი ვინ წამეკიდა, ერთი კი ვიცი, ჩემით არავის წავკიდებივარ. თუმცა სიმართლეა, რომ ვერ ვიტანდი უგრძნობლობის ერთ განსაკუთრებულ გამოხატულებას, როდესაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოლაპარაკებებამდე ერთი წუთით ადრე, მით უმეტეს, როდესაც შედეგი დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე თუ რამდენად კონცენტრირებულად და იუმორით ვუძღვები შეხვედრას, ვიღაცა მოვა და ყურში ჩამჩურჩულებს ისეთ რაიმეს, რაც მოცემულ მოლაპარაკებებს საერთოდ არ უკავშირდება და გამოვყავარ მდგომარეობიდან. ეს მაშინ, როდესაც ამის თქმა თავისუფლად შეეძლო ერთი საათის შემდეგაც, ამ მომენტში კი წონასწორობას მაკარგვინებს და როგორც მოლაპარაკებების მთავარ ფიგ-

ურასა და დირიჟორს, თავგზას მიბნევს, რადგანაც ფიქრები სხვაგან გამირბის. იმას კი, ვინც ასეთი უგრძნობლობა გამოიჩინა, არავითარი მოლაპარაკებები და დირიჟორობა არ ელოდებოდა. უბრალოდ, ესწრებოდა მოვლენებს ან თავის საქმეებზე მიდიოდა და არ ეშინოდა, რომ ერთი უარყოფითი ცნობის გამო საქმეს უმტყუნებდა. ეს მართლაც საშინლად მაღიზიანებდა. ცუდი ამბების შეტყობინება რომ ამეკრძალა, ამის წარმოდგენაც ხომ სრული უაზრობაა. თუმცა ვუშვებ, რომ ხუმრობით მითქვამს რაიმე მსგავსი. მეტიც, ვიტყოდი, რომ როდესაც სიტუაცია მართლაც დაძაბულია, ერთბაშად განსაკუთრებული გულგრილობა და მიზანსწრაფვა იღვიძებს ჩემში და როდესაც სხვები უიმედობასა და პანიკას ეძლევიან, ვახერხებ დროული გადაწყვეტილებების მიღებას. სხვა სტყვებით: რაც უფრო მძიმეა ცნობა, მით უფრო მედგრად ვეგებები. ცხადია, არ მიყვარს (საინტერესოა, ვინმეს თუ უყვარს?) თუმცა, არც სასოებაში მაგდებენ და ამდენად, უარყოფითი ცნობების ჩემგან დასამალად არც არანაირი მიზეზი არ არსებობს.

რა გავლენა იქონია თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებამ მეგობრებთან თქვენს ურთიერთობებზე? ირგვლივ ყოველთვის უამრავი ხალხი გეხვიათ, იმყოფებოდით საკმაოდ ჭრელი საზოგადოების შუაგულში და ცდილობდით მათ გაერთიანებას, ახლა კი ბევრი თქვენი ძველი მეგობარი თუ ნაცნობი ჩივის, რომ საერთოდ ვერ გხედავთ.

მართალს ბრძანებთ. ბევრ მეგობარს სწყდება გული, რომ ველარ ვხვდებით, ზოგიერთი კი ამას ჩემს გაამაყებას აბრალებს. ცხადია, ყოველივე ეს აზრს მოკლებულია. ბევრ ჩემს ძველ მეგობარს ბევრად უფრო დიდი სიამოვნებით ვნახავდი, ვიდრე იმათ, ვისთანაც მისჯილი მაქვს ყოველდღიური შეხვედრები. მიზეზები მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა. არც იმდენი ენერგია მაქვს, რამდენიც ძველად, ჩემი პროგრამა უზომოდ გადატვირთულია, თავისუფალი საღამო ძნელად თუ მომეძებნება ხოლმე და თუკი მომეძებნა, მირჩევნია მარტო ვიყო, ვზივარ სადმე ლუდხანაში და თავს ვუყრი ფიქრებს

ან მომავლისათვის საჭირო დოკუმენტებს ვკითხულობ. ამავე მიზეზების გამოა, რომ იშვიათად ვახერხებ თეატრში, კინოში ან კონცერტზე მოხვედრას. ზოგიერთ ჩემს მეგობარს ეს მშვენივრად ესმის, ზოგი უბრალოდ ეგუება იმას, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთხელ თუ მოვახერხებ მათთან ერთად ლუდის დასალევად დაჯდომას, ზოგიც ამას ვერასოდეს გაიგებს და ახსნაც ვერ უშველის. ყოველთვის იბურტყუნებენ. ალბათ, ეს კიდევ ერთია, ჩემი გადასახდელი ხარკის ვრცელი სიიდან. სასაცილო კი ის გახლავთ, რომ ჩემი გაუცხოების გამო ყველაზე მეტს ისინი წუწუნებენ, ვინც პრეზიდენტის თანამდებობის მიღების თაობაზე ყველაზე მეტს მიჩიჩინებდა. ყოველდღე ჩემთან ერთად რესტორნებში ჯდომა თუ უნდოდათ, პოლიტიკურ თანამდებობაზე ნამდვილად არ უნდა წარვედგინე. გარდა ამისა, ეს მხოლოდ დროის ამბავი არ გახლავთ, არამედ ჩემი მდგომარეობისაც, ზოგიერთი ამას ვერ ხვდება. ჩემი ერთი კარგი მეგობარი იმით განაწყენდა, რომ ჰრადზე მიმდინარე ერთ-ერთ სამხედრო მეჯლისზე ჩემს მაგიდასთან მოსაწვევად ჩემით კი არ მივედი, თანამშრომელი ვაახლე. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ სანამ მთელი ამ დარბაზების გავლით ჩემს მეგობრამდე მივაღწევდი, მეჯლისიც დამთავრდებოდა. ყველა მიცნობს და ყველა მომმართავს, ყოველი მათგანი თითო სიტყვას გადამილაპარაკებს. მე ეს უკვე აღარ მაღელვებს, მიჩვეული ვარ, მაგრამ ვწუხვარ ხოლმე, როდესაც ვინმეს ჯიუტად არ უნდა ამის გაგება, ან უარესი, როდესაც როგორც ჩემი გაამაყებისა და ქედმაღლობის კიდევ ერთ დამამტკიცებელ საბუთს ისე უყურებს. სხვა რამაა, რომ დღემდე ვერ ვისწავლე ამის უპრობლემოდ მიღება. ვაკვირდები რა ისეთ მეგობრებს, როგორებიც არიან ალექსანდრე კვასნევსკი ან თუნდაც ორივე ჯორჯ ბუში და ზოგიერთ სხვა პრეზიდენტი, ცოტა არ იყოს, მშურს მათი. იმიტომ კი არა, რომ შეუძლიათ ყველასთან შეჩერდნენ, ხელი ჩამოართვან და მეგობრულად გაესაუბრონ. არა, ეს თავისთავად დიდი არაფერი ხელოვნებაა. შესაშური ისაა, რომ მიუხედავად ამისა, არ ეფანტებათ ყურადღება, არ ეშლებათ ნერვები და არ გაურბით ფიქრები

იმ ძირითადიდან, რაზეც ესაჭიროებათ კონცენტრირება, ვთქვათ, სასწრაფო იმპროვიზებულ გამოსვლაზე.

ვისზე გწყდებათ ყველაზე მეტად გული, რომ ვერ ხვდებით?

ძნელი სათქმელია. ბევრი მეგობარი აღარაა ცოცხალი, ბევრიც განმარტოებით ან სულაც უცხოეთში ცხოვრობს. გარდა ისეთი ძველი მეგობრებისა, როგორებიც არიან მართლაც განსაკუთრებული ადამიანი ზდენეკ ურბანეკი ან თუნდაც მსახიობები იან ტრჟისკა და პაველ ლანდოვსკი, მაკლია კონტაქტი ძველ დისიდენტებთან ანუ ქარტიისტებთან, მით უმეტეს, რომ მათთან მეტი საერთო მაქვს, ვიდრე ბევრ ახალ პოლიტიკოსთან. ასევე მაკლია მწერალი კოლეგების წრე, ვისთან ერთადაც გადავიტანე რთული სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლები, ვინც ვცდილობდით, თუნდაც იატაკქვეშეთის ბნელეთში, შეგვენარჩუნებინა თავისუფალი ლიტერატურული შემოქმედების ტრადიციის უწყვეტობა. ყოველთვის გავიძახი, ამას როგორმე გამოვასწორებ-მეთქი, მაგრამ ვერა და ვერ მოვახერხე და ესაა.

გარკვეულ გაუცხოებას თქვენი უცხოელი კოლეგებიც გსაყვედურობენ ხოლმე?

თქვენ წარმოიდგინეთ, არა. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი ამის შესახებ. არტურ მილერს, ჰაროლდ პინტერს, ტომ სტოპარდს, გიუნტერ გრასსა და სხვა არაჩვეულებრივ მწერლებს, რომლებთან მეგობრობის პატივიც მხვდა წილად, გასაკვირია, მაგრამ არასოდეს არფერი უსაყვედურიათ. პირიქით, პრეზიდენტობის ხანაშიც ვიკრიბებოდით და რაიმეს ერთად ვსაქმიანობდით ხოლმე. გავხალისდი, როდესაც 1990 წელს, ინგლისის დედოფალთან პრივატულ სადილზე ვიყავი მიწვეული ბუკინგემის სასახლეში და იქ სუფრასთან ვიხილე თვით ჰაროლდ პინტერი! ვიხუმრე კიდეც იმასთან დაკავშირებით, რომ მაინცდამაინც „სამეფო მენიუში" ვხვდები ასეთ არაკონფორმისტ კოლეგას. და აი კიდევ ვინ არ განაწყენებულა ჩემზე იშვიათი შეხვედრების გამო – ჩემი

ოდინდელი გამომცემელი და ამავე დროს მეგობარი კლაუს იუნკერი „როვოლტის" გამომცემლობიდან.

(ჰელი 27. 8. 2005)

უკვე მეცამეტე დღეა, რაც ბალტიის სანაპიროზე ვიმყოფებით. წერას მინიმალურად ვახერხებ. ერთი მხრივ, შვებულებით გამოწვეული დემორალიზაციის მიზეზით (ეჰ, სადღაა ჩემი ამერიკული დისციპლინა), მეორე მხრივ კი, ყველა იმ გასართობის გამო, რომლებსაც დიდსულოვანი პოლონური სტუმართმოყვარეობა, ეს არაჩვეულებრივი კუთხე და ამ ადგილის ფუფუნება გვთავაზობენ. მშვენიერი ამინდია, მზის მიფიცხების და აუზში ცურვის ცდუნებას რა გაუძლებს. ტკბები ზღვის ხედით, ხარობ ჩვენთვის გამართული პატარ-პატარა სტუმრობებით. საღამოობით, როგორც წესი, ტელევიზორს ვუყურებთ. აქ ჩვენი ძაღლებიც კმაყოფილი არიან ცხოვრებით, რეზიდენციის კუთვნილ ტყეში ღრმად შევდივართ და იქ ვასეირნებთ ხოლმე. გუშინწინ ჩვენი ბებერი ბოქსიორის, შუგრის ავადმყოფობამ დაგვირღვია იდილია, ეტყობა ზღვიდან რაღაც ინფექცია აიკიდა. მძიმე წუთები გადავიტანეთ, მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, დაშა გვერდიდან არ შორდებოდა, ინფუზიებს უკეთებდა და ა.შ. დღეს უკეთესი ვითარებაა. ჩვენი ზაფხულის მშვენიერმა დასასრულმა, რომელიც გდანსკში „სოლიდარობის" დაარსების ორმოცდაათი წლის აღსანიშნავად მოწყობილი დღესასწაულით დააგვირგვინდება ოთხშაბათს, ცხადია დამაბრუნა პოლონეთისათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ ატმოსფეროში, რომელსაც აღფრთოვანებაში მოვყავდი ყოველთვის და რომელიც ასე განსხვავდება ჩეხურისაგან (გარდა ამისა, 1956 წელს, ცხოვრებაში პირველმა ჩემმა მოგზაურობამ უცხოეთში, ღვთის განგებით ზუსტად ამ ადგილებში ჩაიარა. სტუდენტური გაცვლითი ტურის ფარგლებში მე და ოლგამ რამდენიმე დღე აქვე, სოფოტთან ახლოს გავატარეთ. 1956 წლის დრამატული ოქტომბრის შემდეგ, პოლონეთში დიდი პოლიტიკური დათბობის ხანა დადგა, ვკითხულობდით კრიტიკულ და თავისუფალ სტატიებს, ჩვენთან ვერაფერი მსგავსი ვერ გამოიცემოდა მაშინ, ყველგან როკ-ენ-როლი გუგუნებდა. ჩვენთან ესეც სავსებით წარმოუდგენელი იყო. მეტიც, ვიხილეთ საცეკვაო მოედნები, სადაც ყველა ერთად მღეროდა სიმღერას „დაკარგული ლვოვის შესახებ"). ვადევნებ რა თვალყურს აქაური ტელევიზიით სოლიდარობის დაარსების შესახებ მხატვრულ თუ დოკუმენტურ

ფილმებს დიდი ვაიდას „რკინის კაცის“ ჩათვლით, სხვადასხვა კონ-ცერტებსა და სატელევიზიო საუბრებს, ვაცნობიერებ, თუ რაოდენ დიდია პოლონელების პატივისცემა საკუთარი ისტორიისადმი. როგორ ახსოვთ დამპყრობელთა წინააღმდეგ გამართული მრა-ვალრიცხოვანი აჯანყებები და როგორ პატივს მიაგებენ ამ ბრძო-ლაში გაღებულ მსხვერპლს. აქ, გდანსკის რეგიონში, ვაუენსა თითქ-მის წმინდანად ჰყავთ შერაცხილი. აქაური აეროპორტიც მის სახელს ატარებს. ცხადია, აქ მართლაც რომ როგორც წმინდანს, ისე უყურე-ბენ იოანე პავლე მეორეს. ვფიქრობ, პოლონეთში პრეზიდენტიდან დაწყებული და მაღაროელით დამთავრებული, ვერავინ გაიგებდა ჩვენი პრეზიდენტის გამონათქვამებს იმის თაობაზე, თითქოს კომუ-ნიზმის ნგრევაში მის წინაალმდეგ მებრძოლებზე მეტი წვლილი მიუძ-ღვით იმ თუქსუსებს, ლოიალურობას რომ თამაშობდნენ და პარა-ლელურად სახელმწიფოს ქურდავდნენ ჩუმ-ჩუმად (მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, ინტელექტუალი დისიდენტები საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ნელ-ნელა აქაც განდევნეს ახალმა და უფრო აგრესი-ულმა ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა, თუმცა მეფიქრება, რომ მათ დამსახურებას აქ მაინც ვერავინ შეეხება უდიერად). პოლონეთი ჩეხეთისგან განსხვავებულ სიტუაციაში იმყოფება არანაკლებ სამი მიზეზის გამო: შეუდარებლად დიდია, შეიძლება ითქვას, ერთგვარი რეგიონული დერჟავაა და გეოპოლიტიკურად მეტად მნიშნელოვანი და საკვანძო ადგილი უკავია რუსეთსა და გერმანიას შორის. ზოგი-ერთს, რომელიც ამ ქვეყანას მისი ავბედითი ისტორიის განმავლობა-ში ანაწევრებდა, დღეს სინდისის ქენჯნა აქვს და ელაქუცება კიდეც. ზოგიც, რომ შეეძლოს, დღესაც სიამოვნებით წაგლეჯდა მიწებს. ამიტომაა, რომ პოლონელები ჩეხებზე უკეთ გრძნობენ, რა უზარმა-ზარ გარანტიას იძლევა ნატოსა და ევროკავშირის წევრობა – გარან-ტიას, რომ გადატანილი ბედის უკულმართობები აღარ განმეორდება. მეორეც, აქ ერის ცხოვრება ასწლეულების განმავლობაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისივე ნაღების ცხოვრებასთან (არაა გასაკ-ვირი, რომ სტალინი მათ განადგურებას ცდილობდა) და მძლავრ კათოლიკურ ეკლესიასთან, რომელიც არასოდეს თანამშრომლობდა დამპყრობელ ძალებთან და პოლონელების ღრმა რელიგიურობას ეფუძნება. და მესამეც, ალბათ ფრიად მნიშვნელოვანი იყო, რომ პოლონეთმა შეინარჩუნა თავისი შლიახტა, რომელიც პატრიოტული იყო და თანაც, არავის გაუწყვეტია, ისე როგორც ჩვენთან მოხდა ეს. ალბათ, ეს არის მიზეზი გულახდილი პატივისცემისა „ზევით მყოფთა“ მიმართ, იმისი, რომ მათი არ შურთ და იმ განსაკუთრებუ-

ლი რიდისა, პოლონური სახელმწიფოებრიობის წარმომადგენლების მიმართ რომ განიცდიან. კვასნევსკის ჰყავდა და უდავოდ დღემდე ჰყავს არაერთი მოწინააღმდეგე, მაგრამ როგორც სახელმწიფოს მეთაური, საყოველთაო პატივისცემის ობიექტია. და საერთოდ, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენგან განსხვავებით, პოლონელებს რაღაცით განსხვავებული, ბევრად უფრო მხურვალე დამოკიდებულება აქვთ საკუთარი სახელმწიფოებრიობის მიმართ. თუმცა ალბათ, ცოტაა ისეთი ერი, რომელსაც საკუთარი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ამხელა მსხვერპლი გაეღოს. ის, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ხშირად ძალიან ძვირად ფასობს, აქ, ალბათ, ყველამ კარგად იცის. ჩეხებზე კი ამას ვერ იტყვი. იდეალურად ითვლება, რამდენადაც შეიძლება უბრძოლველად, უმუშევრად და უფასოდ მოხვეჭის ნიჭი. სხვათა შორის, საკუთარი გმირული ისტორიისა და გმირებისადმი პატივისცემა პოლონელებს ერთგვარ აღმშენებლურ ძალასა და შემართებას მატებს. ხომ ცნობილია, რომ არა მარტო ვარშავის ისტორიული ცენტრი არამედ მთელი გდანსკი, ლოძის დიდი ნაწილი და სხვა მთლიანად დაბომბილი ქალაქები, ფერფლიდან იქნა აღდგენილი, თანაც ისე, რომ ყოველი აღდგენილი ქალაქის ისტორიული ცენტრი, ორიგინალის ზუსტ ასლს წარმოადგენდა. ჩვენთან ამას ცხვირაწევით შეხედავდნენ, პოლონელები კი გაგებით უყურებენ და მართლებიც არიან, ასი წლის შემდეგ სულერთი იქნება, გდანსკის რომელიღაც სახლი ორასი წლით ადრე აშენდა თუ გვიან. განა ჩვენით დღეს დიდად ვანსხვავებთ გოთიკასა და ფსევდოგოთიკას. ცხადია, აქ სოლიდარობაც ეროვნული ცნობიერების ნაწილია, ამიტომაც მოსალოდნელია, რომ დღეს ეს თარიღი დიდებულად აღინიშნება და მთელი პოლონეთის ყურადღების ცენტრში მოექცევა. ჩვენთვის ეს ნამდვილად რთული დღე იქნება. პოლონელებისაგან უზარმაზარ პატივისცემას ვგრძნობ, რაც მოცემულ სიტუაციაში ჩემთვის სირთულის მომტანი უფროა, ვიდრე სარგებლის. ვნახოთ.

მივუბრუნდეთ თქვენს თანამშრომლებს. რას იტყოდითო მათ შესახებ დღეს, როდესაც უკვე რამდენიმე წელია აღარ არიან თქვენი თანამშრომლები? როგორი იყო თქვენ შორის ურთიერთობები და როგორ ღებულობდა მათ გარესამყარო? მახსენდება, რომ პრეზიდენტობის პირველ ფაზაში ანუ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტობისას, თქვენი თანამშ-

რომლები (მათ მრჩევლებს უწოდებდნენ) ხშირად კრიტიკის სამიზნეს წარმოადგენდნენ და მათ ანტიპათიითაც კი უყურებდნენ ხოლმე.

მართალს ბრძანებთ. მოდით, თანამიმდევრულები ვიყოთ. როდესაც რევოლუციის დღეებში საბოლოოდ უნდა გადამეწყვიტა თანახმა ვარ თუ არა პრეზიდენტობაზე, დადებითი პასუხი შევაუღლე მკაცრ მოთხოვნასთან: მომყვებით თან. არ მინდოდა ჰუსაკის თანამშრომლების გარემოცვაში მარტო ყოფნა. ამდენად, „სამოქალაქო ფორუმის" რამდენიმე უახლოესი თანამებრძოლი შევიპირე, რომ გამომყვებოდნენ. იმის გამო, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის შესახებ კანონისა და განაწესის შეცვლა შეუძლებელი იყო, ისღა გვრჩებოდა, გვემოქმედა არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, რაც პრეზიდენტის მრჩევლების ვაკანტური თანამდებობების დაკავების საშუალებასღა გვიტოვებდა. ამიტომ ყველა ჩემი მეგობარი, რომელიც ჰრადზე გამომყვა, იქცა ჩემს მრჩევლად, რაც დღესდღეობით უდავოდ სასაცილოდ გამოიყურება. ბევრი რამ, განაწესის ჩათვლით, სწრაფად შევცვალეთ. ჩემი მეგობრები განყოფილებების უფროსებად დაინიშნენ და ა.შ. პრეზიდენტის კანცელარიის გარდაქმნაზე დიდი ჯაფა დაგვადგა, რადგანაც უკვე დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ პროტოკოლური საქმეები ებარა, ხოლო პოლიტიკური საკითხები კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში წყდებოდა. ამიტომ ამ ინსტიტუტის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ძირეული ცვლილებები მოვახდინეთ. ეს, რაც შეეხება ჩემი განთქმული „მრჩევლების" წარმოშობას. ახლა კი მათ როლსაც შევეხოთ. როგორც უკვე მოგახსენეთ, მაშინ უზარმაზარი გავლენა გამაჩნდა, ეს კი, როგორც დემოკრატს, არ მსიამოვნებდა. და თუკი მართლაც მომსვლია სერიოზული შეცდომები, სწორედ ამ პერიოდში. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ჩემი გავლენა საკმარისად არ გამოვიყენე მკაცრი საკადრო ცვლილებებისა და გარდაქმნებისათვის. პირიქით, გამუდმებით ვიღაცას რჩევას ვეკითხებოდი. ხდებოდა ჩემი გავლენის ჩემი მრჩევლებისთვის გადანაწილე-

ბა, რომლებსაც, როგორც ჩემს წარმომადგენლებს, უხდებოდათ სხვადასხვა სფეროში სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება, რის გამოც შიშისმომგვრელ ფიგურებად იქცნენ და შედეგად, ბუნებრივია, ზიზღიც მოიმკეს. ამდენად, ძალიან სწრაფად მოგვერგო ზღაპრებისთვის დამახასიათებელი „კეთილი მეფისა და მისი ბოროტი ვეზირების“ არქეტიპი. მე, როგორც არჩეულ და საყვარელ შეფს, მერგო მხსნელის პოპულარობა ხოლო მთელი პასუხისმგებლობა, ფრიად არაპოპულარული გადაწყვეტილებებისათვის ერგოთ ჩემს არავის მიერ არჩეულ მრჩევლებს. მგელი გამოძღა, თხა კი უვნებელი დარჩა. ჩემს მაშინდელ თანამშრომლებს რომ ასე ერთიანად ვიცავ, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ აქა-იქ ვილაცას მაღალი მდგომარეობა თავში არ ავარდნია, უნებლიეთ ბოროტად არ გამოუყენებია ან ყველაზე მცირე, არ მოქცეულა ისე, როგორც სპილო ფაიფურის გალიაში. მაგრამ იმ მომენტში მეც ასე ვიქცეოდი, ასე რომ მიჭირს სხვებს ვუსაყვედურო რაიმე.

ასეთი იყო ვითარება ფედერაციის დროს. და მოგვიანებით? სახელმწიფოს გაყოფის, დამოუკიდებელი ჩეხეთის რესპუბლიკის წარმოქმნისა და თქვენი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ?

შემდეგ უკვე სრულებით ახალი გუნდი ჩამოვაყალიბე, რომელმაც ჩემ გვერდით (ცხადია გარეული ცვლილებებით) მთელი ათი წლის განმავლობაში დაყო. ვფიქრობ, დიდი სიყვარული არც მათ ხვდომიათ წილად, განსაკუთრებით კი, როდესაც „პასუხისგების ხანა“ დადგა ანუ წარსული გალმერთებისათვის დასჯის დრო რომ მოვიდა. ცხადია, ჯოხი, რომელიც მხოლოდ ჩემს თავზე უნდა გადამტყდარიყო, მათაც მოხვდა. ზოგიერთმა ეს ვაჟკაცურად მიიღო და იმ რისკსაც შეეგუა, ჩემს პრეზიდენტობასთან ერთად მათი კარიერაც რომ დასრულდებოდა, ზოგს ამის ვაჟკაცობა არ ეყო და ამიტომ ათასგვარ ხრიკს მიმართავდა. ყოველივე ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო ერთ საკითხს, რომლის შესახებაც არაფერს მეკითხებით. პრაღის ჰრადი სახ-

ელმწიფოს მეთაურთა ერთ-ერთი უძველესი რეზიდენციაა მსოფლიოში. უკვე თითქმის ცამეტ საუკუნეს ითვლის თუ არ ჩავთვლით პატარ-პატარა რეკონსტრუქციებს. ამავდროულად, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი რეზიდენციაც გახლავთ, ქალაქია ქალაქში სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ასობით შენობისა და მრავალ ჰექტარზე გადაჭიმული ბაღებისგან შემდგარი, თანაც ეს ყველაფერი პრაღის მთავარ გორაკზეა განლაგებული. გარდა სამოქალაქო ხელისუფლებისა ანუ ჩეხი დიდგვაროვნების, მეფეების, ჰაბსბურგთა იმპერიის მმართველებისა და ჩეხოსლოვაკიის თუ ჩეხეთის პრეზიდენტების რეზიდენციისა, სასულიერო ხელისუფლების ტრადიციული ადგილსამყოფელიც გახლავთ. მისი შემადგენელი ნაწილია ჩეხეთის მთავარი კათედრალი, რომლის უშუალო სიახლოვეშიც დგას პრაღის არქიეპისკოპოსის და ჩეხეთის პრიმარუსის რეზიდენცია. და თუკი პრეზიდენტის კანცელარია განლაგებულია ამ სიმაგრეებსაა და სასახლეებს შორის, რომლებსაც ყოველ საუკუნეში ემატებოდა რაიმე ახალი და რომლებმაც ჩვენ განსაცვიფრებლად, დღემდე შედარებით შემონახული სახით მოაღწიეს, როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიის განსახიერებამ, ცხადია, ეს განსაკუთრებულად უნდა აისახოს მის მუშაობაზე. ეს სხვა არის და სხვა იქნებოდა პრეზიდენტის კანცელარია ბეტონის ბლოკებისგან აგებული შენობის მეორე სართულზე რომ ყოფილიყო დაბინავებული. ჯერ მარტო ის უგრძესი გასასვლელები რად ღირს! პირდაპირ აქეზებენ კულუარულ ცხოვრებას, სხვადასხვა ჭორის გავრცელებას და ინტრიგების ხლართვას. ვერაფერს იზამ, გინდ დემოკრატია იყოს, გინდ არა, პრაღის ჰრადი ნამდვილი სამეფო კარია, ყოველივე იმით, რასაც ეს ცნება გულისხმობს, ანუ ინტრიგებით, ჭორებითა და ქიშპით. ცხადია, ეს ასე იყო იმ პერიოდშიც, რომელზეც ახლახანს ვსაუბრობდი და ეს ასე იქნება ყოველთვის, შესაძლოა უკეთესის ან უარესისაკენ გარკვეული გადახრებით.

(9. 9. 1998)

(...) სხვა მაგალითი. ჩემმა ცოლმა (...) ლანში იშვიათი ხეების დარგვა წამოიწყო, რომლებიც მისი სურვილისამებრ ჩამოაქვთ პრეზიდენტებსა და სახელმწიფოს სხვა სტუმრებს მთელი მსოფლიოდან. დამპირდით, რომ ჩვენი მთავარი მებაღე ამ ხეებზე პროფესიულად იზრუნებს. შედეგი? ხეები მშვენივრად იზრდებიან ყოველგვარი მებაღის გარეშეც, დამთვალიერებლები აღფრთოვანებაში მოდიან, ინტერესით კითხულობენ ყოველ ცალკეულ ხეზე მიმაგრებულ ფირფიტას და როგორც ყური მოვკარი, ამ დროს ჩვენი გამოჩენილი დენდროლოგები აწყობენ სხდომებს და საგანგებო მსჯელობებს (...) იმისათვის, რომ ბოლოს გამოეტანათ ვერდიქტი: ჩვენთან ეს ხეები ვერ გაიხარებენ. ეს უკვე თავისი უაზრობით სოციალისტურ ბიუჯეტს კი არა, დადაიზმს წააგავს. აი კიდევ ერთი მაგალითი: ყოველდღიურად ერთი საათი ბაღში ვსეირნობ, ამიტომ შორიდან, ახლოდან და საერთოდ ყოველი მხრიდან, მიხდება ვუყურო სასახლესა და სალოცავს, რომლებიც ხუთ სხვადასხვა ფერად არის შეღებილი და თან არც ერთი ფერი მეორეს არ ეხამება. ამავდროულად, ყოველდღე ვხედავ თუ რა მშვენივრად და სწრაფად მიმდინარეობს ფსევდოგოთიკური კომპლექსის რეკონსტრუქცია. აღმოვაჩინე, რომ ყოველ ხუთშაბათს „საკონტროლო დღე ზე“ იკრიბება არქიტექტორების, პჰა-ს წარმომადგენლების, მშენებლებისა და კიდევ სხვებისგან შემდგარი დიდი ჯგუფი, რომელიც ყველა სხვა საკითხთან ერთად, საღებავის ფერზეც ბჭობს. იმის შიშით, რომ ესთეთიკის თვალსაზრისით კიდევ ერთხელ არ ჩავისვაროთ, ვუთვლი, რომ არ იქნებოდა მოსაწონი ამ შენობის მეექვსე, მეშვიდე და მერვე ფერებით გამდიდრება, რომ მერე კი მართლაც და ყველას დასაცინები გავხდებოდით. მარტივი შეთავაზებით წარვუდექი: მთელი კომპლექსი შეიღებოს ოხრის სხვადასხვა მინორული ტონების (სასახლის უმეტესი ნანილი ერთი მათგანით არის შეღებილი) მთელი გამის გამოყენებით (ხედის მხრივ ახლა ცხადია მხოლოდ ამ ახალ შენობაზეა ლაპარაკი). თითქოს ჩემმა წინადადებამ ორჯერ დაიმსახურა საერთო მოწონება და მხოლოდ იმისთვის, რომ საპირისპირო გადაწყვეტილება მიეღოთ ბოლოს. ამდენად, „საკონტროლო დღეს“ ჩემით დავესწარი და ამის შესახებ მეგობრულად ვისაუბრეთ. ყველაფერზე შევთანხმდით. არავისთვის არაფერი დამიძალებია. მორიდებულად გავაცანი ჩემი შეხედულება, რომელსაც ყველა დაეთანხმა. შედეგი? საბოლოო გადაწყვეტილება გახლავთ შენობის საზიზღარ ყვითლად შეღებვა, რაც მოცემულ სიტუაციაში იასამნისფერზე უარესია და თან ყავისფერი ფანჯრე-

ბი. როგორც ყოველი მეორე ტრაქტირი. ტფუ! კეთილი. ფანჯრები გადაილებება, (...) ფასადი კი უფრო ძვირადღირებული ხუმრობაა. ყველაზე საშინლად კი მოყვანილი არგუმენტი მეჩვენება, თითქოს ნეოგოთიკურ შენობებს ასე ღებავდნენ თავის დროზე. როდის აშენდა ზუსტად არ ვიცი, მაგრამ თვალის ერთი გადავლებით, როგორც არაპროფესიონალიც კი, ვხედავ, რომ ეს ვერ იქნება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ნეოგოთიკა (აშენდა სასახლის დასრულებიდან ერთ-ორ წელიწადში) და რომ ეს გახლავთ საუკუნის დასასრულის შენობა, ისევე, როგორც უმეტესობა ჩვენი ლამაზი სადგურებისა, რატუშებისა და ა.შ. ნუთუ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ეს ყველაფერი ასე საზიზღრად ყვითელი იყო? მეორეს მხრივ, მართლაც, ნეოგოთიკას რომ ეკუთვნოდეს და მაშინ მიღებული ყოფილიყო ამგვარად შეღებვა, ღმერთის ნებით, გამაგებინეთ მერე და ჩვენ რა? რატომ უნდა ვუყუროთ ამის გამო კიდევ ერთ ნათითხნს? არც ერთ მათგანს, ამ საქმით რომ იყო დაკავებული, არ მოუწევს აქ გადაბმულად სამი თვის გატარება და ყოველივე ამით ყოველდღიურად ტკბობა. იქნებ მაყურებლის თვალსაზრისს მაინც მოუსმინონ(...)

(4. 10. 1993)

(...)

9)ლანიდან მორთმეული ქარიყლაპია კი ქალბატონმა მ. ან ე.-მ გემრიელად მოამზადონ, ისე შეკმაზონ, რომ საპარლამენტო ხუთეულს ეს დიდხანს არ დაავიწყდეს. (...)

თავის დროზე დიდ ინტერესს იწვევდა თქვენი ქონებრივი მდგომარეობა. ხომ არ გნებავთ ამ საოცრად გულახდილი საუბრის ფარგლებში ამაზეც ილაპარაკოთ?

დიახ, თუმცა ყოველგვარი სიამოვნების გარეშე. დავიწყებ ქრონოლოგიის მიხედვით. როგორც მეწარმის ანუ ბურჟუაზიული ოჯახის შვილს, ბავშვობა უზრუნველყოფილი მქონდა. 1948 წლის თებერვლის პუტჩის შემდეგ ჩვენს ოჯახს ჩამოერთვა მთელი ქონება და ჩვენ წინააღმდეგ წამოიწყო კლასობრივი ბრძოლა. მაშინ მართლაც გაფხეკილი ვიყავი, მაგრამ, როდესაც სამოციან წლებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაიწყეს ჩემი პიესების დადგმა, სიტუაცია შეიცვალა. ცხადია, დღევანდელი ჩეხი ბიზნესმენების სიმდი-

დრეს ეს არ შეედრებოდა, მაგრამ იმ ეპოქასა და გარემოში, რომელშიც ვტრიალებდი, შედარებით შეძლებული ადამიანი ვიყავი. გასაკვირია, მაგრამ ასე იყო სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ვიდევნებოდი, ვიყავი აკრძალული როგორც ავტორი, მოგვიანებით დაპატიმრებულიც კი, ფული მაინც მქონდა, რადგან დასავლეთში იდგმებოდა და იბეჭდებოდა ჩემი პიესები და ნაწერები. ამის აკრძალვა კი არც დასავლეთისთვის შეეძლოთ და არც ჩემთვის. ყველაზე საინტერესო რამ კი მოგვიანებით მოხდა. არასოდეს მიფიქრია იმაზე, რომ დემოკრატია, რომლისთვისაც ვიბრძოდი და რომელიც ჰორიზონტს მიღმა იყო, დაუბრუნებდა ხალხს ჩამორთმეულ ან ნაციონალიზებულ ქონებას. მით უმეტეს, არ მიფიქრია იმაზე, რომ ოდესმე ეს პირადად მე შემეხებოდა. ერთადერთი, ვინც ამდენი ხნის შემდეგ დაკავებული იყო ამ, ჩემთვის სავსებით აბსურდული, იდეით, გახლდათ კომუნისტური პროპაგანდა, რომელიც ჩემი დევნის პერიოდში ყოველ სალანძღავ სტატიაში ამტკიცებდა, თითქოს სოციალიზმის წინააღმდეგ იმიტომ ვიბრძვი, რომ ოჯახური ქონების დაბრუნება მსურს. ამაზე, ცხადია, მხოლოდ მეცინებოდა. და აი, ის პარადოქსიც: 1989 წლის შემდეგ მართლაც დაიწყო ნაციონალიზებული ქონების დაბრუნების პროცესი. მე და ჩემს ძმას, როგორც გარდაცვლილი მშობლების ერთადერთ შთამომავლებს, დაგვიბრუნეს ჩვენი ოჯახის კუთვნილი ქონება, რითიც დაიწყო ჩემი ჯვარცმა, სხვას ვერაფერს ვუწოდებ მომხდარს. ერთი სიტყვით, ისტორიამ, ისევე როგორც უკვე მრავალჯერ, აბუჩად ამიგდო და ენა გამომიყო.

ფიქრობთ, რომ რესტიტუცია არ უნდა ჩატარებულიყო?

არა, ასე არ ვფიქრობ. რესტიტუციის წყურვილი დიდი იყო, არ მეგონა, რომ ეს ასეთი მტკივნეული თემაა და ამაყად ზევიდან ვუყურებდი ამ ამბავს. მაგრამ იმ დროს ჩვენში ათობით თუ არა, ასობით ათასი წვრილი მეწარმე და ბიზნესმენი არსებობდა და ქონების ჩამორთმევა ნამდვილი კატასტროფა იყო მათთვის. გადატანილი ტრავმა თაობი-

დან თაობას გადაეცემოდა და ის, რომ ჩვენმა პარლამენტმა, შესაბამისად, ჩვენმა პარლამენტებმა ასე სწრაფად მიიღეს რესტიტუციის დიდსულოვანი კანონი, არ გახლდათ მათი ჭირვეულობა. არა, ეს იყო გამოხატულება საყოველთაო განწყობისა გამოსწორებულიყო ოდესღაც დაშვებული ქონებრივი უსამართლობა. დიდი როლი მიუძღვის ამაში ცრუ შეხედულებებს, რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში შთაგვაგონებდნენ. ვიღაც დღემდე უკმაყოფილოდ აქნევს თავს, როდესაც ესმის, რომ სასახლე, რომელშიც სამედიცინო სასწავლებელი იყო განლაგებული, დაუბრუნდა ღმერთმა იცის საიდან ჩამოსულ გრაფს. მაგრამ ეს სამართლიანია. თუ სამართლიანობაა, მაშინ ყველასთვის. მეტიც, ჩანს, რომ დიდგვაროვნები, რომლებსაც ასწლეულების მანძილზე აქვთ შესისხლხორცებული ოჯახურ ქონებასა და მის მომავალ მფლობელებზე ზრუნვის ტრადიცია, უკეთ უვლიან და განაგებენ საგვარეულო ქონებას, ვიდრე სახელმწიფო ან რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია. იმ სკოლებსაც ტოვებენ თავის სასახლეებში და თანაც უკეთეს პირობებში, ვიდრე მანამდე იმყოფებოდნენ. ცხადია, ეს საყოველთაოდ არ ჭრის, მაგრამ კანონს არ შეუძლია ამორჩევა. ასეთ შემთხვევაში ეს კანონი კი არა ბრძანებულება იქნებოდა.

ამგვარად, თქვენც მიიღეთ რესტიტუირებული ქონება?

როგორ, არ უნდა მიმეღო? მეთქვა, რომ შემდგომშიც, მის ძირითად მეპატრონეს, კომუნისტური პარტიის კომიტეტს უნდა ეკუთვნოდეს? თუ მეთქვა, ჯობია ეროვნული ქონების ფონდმა ან პრივატიზაციის სამინისტრომ დაიტოვონ და რაც უნდათ ის უყონო? ეს ხომ ნამდვილი უაზრობა, ხოლო ჩემს შემთხვევაში, არა მარტო წინაპართა ნაოფლარის, არამედ ჩვენი ეკონომიკური გარდაქმნის ერთ-ერთი დედაბოძის – რესტიტუციის პრინციპის უარყოფაც იქნებოდა.

თქვენთვის დაბრუნებული ქონების ბირთვს ლუცერნა წარმოადგენდა, ერთ-ერთი უმშვენიერესი და მრავალფუნქციური სასახლე პრაღის ცენტრში და ბარანდოვის ტერასე-

ბი, ოდესღაც განთქმული დასასვენებელი ადგილი პრაღის გარეუბანში. ეს ყველაფერი გადმოგეცათ თქვენ და თქვენს ძმას. შემდგომ რა ბედი ეწია მთელ ამ ქონებას?

ივანმა მთელი ქონება სასწრაფოდ თავისი მეუღლის – დაგმარის სახელზე გადაიტანა ფილოსოფოსობის მოყვარული მათემატიკოსია და ამ სიბერის ჟამს ვერ წარმოედგინა ბიზნესმენობა. მის მეუღლესთან კი, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე ლუცერნის აზრიან მომავალთან დაკავშირებით მოლაპარაკება. სასახლე ავარიულ მდგომარეობაშია. მინდოდა დიდი ვადით მიმექირავებინა რომელიმე მძლავრი და სანდო დასავლური ფირმისათვის, რომელიც მის რეკონსტრუქციას მოახდენდა (კრონებში ამას დასჭირდებოდა არანაკლებ მილიარდიანი ინვესტიციისა) ან სააქციო საზოგადოება ჩამომეყალიბებინა, რომლის აქციების მნიშვნელოვანი წილის მფლობელიც ხსენებული ტიპის ფირმა იქნებოდა. დაინტერესებულთა რაოდენობა მაშინ დიდი იყო. დაგმარი არაფერ მსგავსზე არ წამომყვა და როგორც ზუსტად ნახევრის მფლობელი, ვერაფერს გავხდი. მაგრამ ლუცერნის შემდგომი ბედუკულმართობისა და მოახლოებული გაპარტახების ყურებას, ამ ყველაფრისთვის პასუხისმგებლობის ტარებას და შემდეგ, ცუდი მეურნის მაგალითად გადაქცევას, ვამჯობინე მისი გაყიდვა. ნაკლები ბოროტება ავირჩიე. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა უმსხვილესმა ფირმამ შეიძინა, რომელსაც ლუცერნის რეკონსტრუქციით იმიჯის გაუმჯობესება სწყუროდა. ეს ფირმაც ჩემს რძალს დაეჯახა და ვერაფერს გახდა, მოგვიანებით გაკოტრდა კიდეც. ამბობენ, რომ ფირმის ფული მიისაკუთრეს, ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში. რამდენადაც ვიცი, ამისთვის არავინ დასჯილა, რაც ჩვენს დღევანდელ ვითარებაში სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ არც უნდა დასჯილიყო. ბარანდოვის ჩემი წილი ცოლის სახელზე გადავიტანე, რომელიც, ცხადია, უკეთესად მართავდა ამ ქონებას, ვიდრე მე. მან მეორე წილიც გამოისყიდა და მოახერხა ამ თავის დროზე განთქმული, ახლა კი გაუბადრუკებული ობიექტის ხელსაყრელ ფასად მიყიდვა ერთი ფირმისათვის, რომელსაც, ვიმედოვნებ, უკეთ

წაუვა საქმეები, ვიდრე იმას, ლუცერნა რომ იყიდა ჩემგან. სისრულისთვის უნდა დავუმატო, რომ ჩემით თუ რესტიტუციის შედეგად მოპოვებული ფულის დიდი ნაწილი, ანუ ას მილიონზე მეტი, გავეცი საღვთო საქმეებისათვის. ნახევარი გადავეცი ჩვენს ფონდს „ვიზე 97"-ს და ნახევარიც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუმცა ამ ინფორმაციას გარკვეული ორჭოფობით და ყოველგვარი სიხარულის გარეშე გაწვდით. აღმოვაჩინე, რომ ჩეხეთში, ჩემდა გასაკვირად, ეს ზიზღს იწვევს. ეტყობა, ხალხი ასე მსჯელობს: თუკი ჰუმანიტარული მიზნებისთვის ამდენი გაიმეტა, საინტერესოა, რამდენი დარჩა თვითონ? კარგა მდიდარი უნდა იყოს. საზოგადოებრივი აზრის მიხედვით კი, მდიდრები, ეტყობა გაკიცხვასა და ზიზღს იმსახურებენ, რაც იმ ფონზე, რომ კაპიტალიზმის განახლების პერიოდში ყველაზე დიდ მხარდაჭერას ღებულობს პარტია, რომელსაც პროგრამაში უწერია „კაპიტალიზმი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე", კიდევ უფრო საოცრად გამოიყურება. ალბათ, ესეც ჩვენი პოსტკომუნისტური პარადოქსების ერთ-ერთი შემადგენელია.

თქვენი ძმა ივანი ჩივის, რომ როდესაც ციხეში იყავით, წელიწადში ოთხჯერ მაინც შეეძლო თქვენს ცოლთან ერთად მოსანახულებლად მოსვლა და რომ ახლა მთელი წელი ვერ ხვდებით ხოლმე ერთმანეთს. ეს ქონებასთან დაკავშირებული შეუთანხმებლობის ბრალია?

ივანს დიდ პატივს ვცემ. კარგად გვესმის ერთმანეთის და სიამოვნებით ვმსჯელობთ ხოლმე სხვადასხვა საქმის ირგვლივ, რომლებიც მის მეუღლესა და ოჯახურ ქონებას არ შეეხება, ვთქვათ ვინ უნდა მიიღოს ჩვენი ფონდის „ვიზე 97-ის" პრემია. შესაბამისი ჟიურის შემადგენლობაში შედის. სხვა მიზეზებით, ოჯახურით თუ პირადით, თითქმის არ ვხვდებით. ეს მართლაც ასეა. მიზეზი გასაგებია. არ ვართ ერთადერთი ოჯახი, რომელშიც რესტიტუციამ არეულობა შეიტანა. ერთ გამოკვლევას მოვკარი თვალი, სადაც ეწერა, რომ რესტიტუირებული ოჯახების ნახევარში ფინალი ასეთივე იყო.

განიცდით, რომ არ გყავთ შვილები ანუ მემკვიდრეები?

ღმერთმა არ მარგუნა წილად მამობა და ალბათ, იცოდა რატომ. არ ექნებოდათ ჩემს შვილებს მარტივი ცხოვრება. მიუხედავად ამისა, ცხადია, განვიცდი. რაც შეეხება მემკვიდრეობას, ახლა გამახსენეთ, რომ მე და დაშა დიდი ხანია ვემზადებით ანდერძის შესადგენად. ბოლოს და ბოლოს, ყოველ წამს შეიძლება ჩამოვარდეს ჩვენი თვითმფრინავი. თუმცა ვგონებ, რომ საკუთარი შვილების არყოლა, ამ მხრივ, ცოტა არ იყოს, მოტივაციას გაკარგვინებს. ყოველ შემთხვევაში, ასაკოვან ადამიანს, განსაკუთრებით ისეთს, როგორიც მე ვარ. უმცროსი რომ ვყოფილიყავი და შვილები მყოლოდა, ბარანდოვზე თანამედროვე, პატარა და ლამაზ ვილას ავაშენებდი, ზუსტად მაქვს წარმოდგენილი თუ როგორი უნდა იყოს. მერე კი საზარლად რეკონსტრუირებულ კოშმარულ სახლს, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, ალბათ, გავყიდდით. მაგრამ უშვილო, არც თუ ისე ჯანმრთელი სამოცდაათი წლის კაცი, რომელსაც პოლიტიკა და ფილოსოფია აინტერესებს, გადატვირთულია ათასგვარი საზოგადოებრივი საქმიანობით და არ შეუძლია ვინმეს რიგიანად დაუცაცხანოს, სად მოიძიებს იმდენ ენერგიას, რომ ჩეხეთში რაიმეს მშენებლობას შეეჭიდოს?

(ჰელი 28. 8. 2005)

მთელი ცხოვრება საიდუმლოდ ვოცნებობდი დამეწერა ზედმიწევნით გულახდილი და თამამი დღიური, დაახლოებით ჰენრი მილერის, ჩარლი ბუკოვსკის, ანაის ნინის ან თუნდაც ჩემი, აწგარდაცვლილი მეგობრების: იან ზაბრანისა და პაველ იურაჩეკის სტილში. დიდი ხნის მანძილზე, მართლაც, ძალიან ახლო მეგობრობა გვქონდა და თავშიც კი არ მომსვლია, რომ წლების განმავლობაში დაწვრილებით და გულახდილ დღიურს წერენ. ადვილი შესაძლებელია, ეს მათი საუკეთესო ნაწარმოებიც კი იყოს. მე მსგავსი ვერაფერი გავბედე, ყოველთვის ჩემი პიესების პერსონაჟების უკან ვიმალებოდი. საფიქრებელია, რომ ეს ჩემი მორიდებულობის ბრალია. თუმცა ეს ორიც ხომ საკმაოდ მორიდებული ადამიანი იყო. არ ვიცი. მოდით, კურსივით ნაწერი კომენტარები

ამა თუ იმ თემის და რასაკვირველია, ამ წიგნის შესახებ, მივიღოთ უკვე ნახსენები ჩემი ოდინდელი ამბიციების შორეულ ექოდ. წიგნში ამ მიმართულებამ წარმოგვიდგინოს თემა „წიგნი საკუთარი თავის შესახებ", შესაბამისად – მისი წარმოშობის შესახებ. მიყვარს ეს ჟანრი. ბევრჯერ მიფიქრია, შესაძლებელია თუ არა ისეთი პიესის დაწერა, სადაც მოქმედი პირების რეპლიკებში გამოკრთებოდა ხოლმე ავტორის ფიქრები, რომლებმაც გაუელვა თავში ამ რეპ-ლიკების წერისას, ან მისი იდეები და შეგრძნებები წერის მომენტში და მისი კომენტარები იმის შესახებ, რასაც წერს. მაგრამ ვერასოდეს მოვიფიქრე რა უნდა ვიღონო, რომ ეს ყველაფერი მაყურებლისთ-ვის გასაგები გავხადო. ერთგვარი მინიშნება ჩემს ამ მცდელობებ-ზე ჩანს პიესაში „ხვალიდან ამას შევუდგებით". ცოტა ხნის წინ ჩემს თანამშრომლებზე ვსაუბრობდი და არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს ინსტრუქციებთან ერთად ეს არ ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს გაუთავებელ უთანხმოებაში ვიყავით. არა, ეს ასე არ არის. ჩემთან ერთად ექაჩებოდნენ ამ სახიფათო ურემს, მეხმარებოდ-ნენ, მათ გარეშე ვერაფერს მოვახერხებდი. მათი წილი დამსახ-ურებაც იყო, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა სხვა დაწესებულებას შორის პრაღის ჰრადი, ყველაზე კეთილგანწყო-ბილ ადგილად ითვლებოდა და გამოირჩეოდა იქ დასადგურებული, შედარებით ჯანსაღი, ატმოსფეროთი. სამინისტროებიდან და სხვა დაწესებულებებიდან ხალხი ჩვენთან გამორბოდა სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად. ვერსად ვერ შეხვდებოდით ამდენ ახალგაზრდასა და ახალ თანამშრომელს. ვიცი, ბევრი დღესაც იმ აზრზეა, რომ ჰრადზე გატარებული პერიოდი მათი ცხოვრების საუკეთესო წლე-ბია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა, ვინც მაშინ ჩემთან მუშაობდა, დღეს ანათემასაა გადაცემული, მაინც არ ითქმის, რომ სავსებით დაიკარგნენ. თითქმის ყველა, ვინც მაშინ საგარეო პოლიტიკა-ში მუშაობდა, დღეს ჩვენი ელჩები არიან სხვადასხვა ქვეყანაში. წელიწადში ერთხელ ვხვდები ხოლმე მათ, სხვათა შორის, შემდეგი შეხვედრა ერთ კვირაში გვაქვს. ცხადია, ყოველი თანამშრომლის ცალკე დასახელებას აქ ვერ მოვახერხებ, არც უცაბედად ამორჩევა შემიძლია, ამიტომაც მხოლოდ ჩემი კანცელარიის უფროსებს მოვიხ-სენიებ, იმ თანამიმდევრობით რა თანამიმდევრობითაც, თავისუ-ფლად არჩეული პარლამენტის მიერ ჩემი პირველი ვადით არჩევის წამიდან შეენაცვლნენ ერთმანეთს: კარელ შვარცენბერგი, ლუბოშ დობროვსკი, ივან მედეკი და ივო მათე. ყოველ მათგანთან მქონია შიგადაშიგ კამათი და უთანხმოება, თუმცა ყველანი ერთგულად

აკეთებდნენ თავის საქმეს და იმსახურებენ ჩემს მადლიერებას. მათ გარეშე იმ მცირედსაც ვერ მივაღწევდი, რასაც საბოლოოდ, ალბათ, მაინც მივაღწიე.

წლების მანძილზე იწერება თქვენი შეცდომების შესახებ, ხან მეტი, ხან ნაკლები. ბოლოს და ბოლოს, რა ხდება ამ თქვენს შეცდომებთან დაკავშირებით? თავად როგორ უყურებთ ამ ამბავს დღეს?

უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ჩემი, როგორც ეროვნული გმირის, ნამებულის, რევოლუციის ბელადისა და ბოლოს პრეზიდენტ ფილოსოფოსის გაღმერთების ეპოქას მოჰყვა გარდაუვალი ნაბახუსევის მდგომარეობა, როდესაც ჟურნალისტებმა ჩემ წინააღმდეგ გალაშქრების მოთხოვნა იგრძნეს, რათა სულელებად არ გამოჩენილიყვნენ. ვთქვათ, 1993 წელს, როდესაც ჩემი კანდიდატურა პირველად წარვადგინე პრეზიდენტის თანამდებობაზე, ერთ-ერთი ტელევიზიის წამყვანი რაღაცას აცხადებდა ჩემ შესახებ და ჩემს სახელს ავტომატურად მიაყოლა, რომ უამრავი შეცდომა მაქვს დაშვებული. ეს ეპოქის კლიშე იყო, ამას ავტომატურად მოაყოლებდნენ სახელსა და გვარს, ისევე როგორც თანამდებობასა და ტიტულს. იმ წამყვანისთვის (სხვათა შორის ჩემი კარგი ნაცნობია), რომ გეკითხათ, კონკრეტულად თუ რომელ შეცდომებს გულისხმობო, დარწმუნებული ვარ დაიბნეოდა, რადგანაც მსგავსი შეკითხვისთვის არ იყო მზად და არც არავინ სვამდა მსგავს შეკითხვებს. მეც ავიღე, სახუმაროდ კომპიუტერზე ამოვბეჭდე სავიზიტო ბარათი წარწერით, მრავალი მცდარი ნაბიჯისა თუ შეცდომის ავტორი ვაცლავ ჰაველი და გავუგზავნე ხსენებულ წამყვანს. ამბობენ, კარგა მაგრად შეშინებია. მართლაც, არ მესმის, ამით რისი თქმა უნდათ ხოლმე. ალბათ, ყველა სხვადასხვა დანაშაულს მაწერს და ყველა ერთად კი – მთელი სამყაროს უბედურებებს. მეორეს მხრივ, არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ჩემი ხასიათის პატრონს ანუ ადამიანს გამუდმებული ეჭვებით საკუთარ თავთან დაკავშირებით, თითქოს მგონია, რომ ცხოვრებაში არასდროს არც ერთი შეცდომა არ დამიშ-

ვია. ეჭვს გარეშეა, ბევრჯერ შევმცდარვარ. ერთხელ ერთმა ჟურნალისტმა მთხოვა დამესახელებინა ჩემი შეცდომები, ეტყობა თვითონაც გასარკვევი ჰქონდა, თუ რა შეცდომებზეა საერთოდ ლაპარაკი. მე კი ვუპასუხე, რომ მიუხედავა იმისა, რომ ჩემი შეცდომები კარგად ვიცი, არ ჩამოვუთვლი და ამით არ გავუმარტივებ შრომას. აიღოს და თვითონ ქექოს, ბოლოს და ბოლოს ეს ხომ მისი, როგორც ჟურნალისტის ამოცანაა. ამ პასუხით, რომელიც ყველას განსაკუთრებულად ჩარჩა მეხსიერებაში, ჩემთან დაკავშირებული ჟურნალისტური კლიშე კიდევ უფრო გავამდიდრე, ბრალი დამედო, რომ ვმალავ ჩემს შეცდომებს და ამიტომ გახშირდა მოწოდებები, ვაღიარო ისინი. ერთგვარ „დაკითხვობანა-აღიარებობანის" თამაშს დაემსგავსა სიტუაცია. ერთი კი არის, უნდა ვაღიარო, არ ვარ არანაირი მოსიარულე ლეგენდა და ზღაპრული პრინცი.ერთი მიწიერი არსება ვარ, რომელიც ყველა დანარჩენივით ცხოვრების ბილიკზე შეცდომების, გაუმართლებელი მოლოდინების და მცდარი ქმედებების კვალს ტოვებს. ამგვარი აღსარების დაძალება არ მჭირდება, ამას ხომ ჩემითაც ყოველ ნაბიჯზე ვაღიარებ. მაგრამ მოდით სერიოზულად, თუკი მომსვლია შეცდომები, ამაში ლომის წილი ჩემს დაბნეულობას მიუძღვის, საკუთარ თავში დაურწმუნებლობასა და ზრდილობიანობას, რომელიც კომპრომისულობას ესაზღვრება ხოლმე (იხილეთ რაშიდის შემთხვევა). არასოდეს ვიცოდი იმ ავტორიტეტის გამოყენება, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, რომელიც გამაჩნდა. სხვათა შორის ვერც მისი შენარჩუნება შევძელი. ხშირად მოვლენას თვალყურს ვადევნებდი დაბნეულად, მაშინ, როდესაც შემეძლო სიტუაციის გადარჩენა და არა ჩემი კონსტიტუციური უფლებების გამოყენებით, არამედ ჩემი არაფორმალური, პირადი ავტორიტეტის ხარჯზე, რომლის გამოც ჩემი სიტყვები უფრო სერიოზულად იქნებოდა მიღებული. წარმოიდგინეთ, რამდენი მკაცრად კრიტიკული და იმავდროულად, კონსტრუქციული გამოსვლა მქონია, პოლიტიკოსები ზრდილობიანად ტაშს მიკრავდნენ, ზოგიერთი ფარულად მხარზე ხელსაც კი შემომკრავდა ხოლმე კმაყოფილებით, მაგრამ

საბოლოოდ, ჩემი სიტყვებიდან არავის არაფერი მიუტანია გულთან ახლოს. შეიძლება ზუსტად ეს არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჟურნალისტები ხშირად მეოცნებედ, უტოპისტად და იდეალისტად მომიხსენიებდნენ ხოლმე. მაგრამ მე არ შემიძლია არ ვიყო ის, ვინც ვარ. ცხადია, თავის დროზე თეორიულად შემეძლო ხელთ მეგდო ძალაუფლება სამოქალაქო ფორუმში, მექცია უმძლავრეს პარტიად, მომეპოვებინა მისთვის ფული, მეთამაშა უმრავლესობის ინსტიქტებზე და შემდეგ მათ დავყრდნობოდი ხელისუფლებაში. მაგრამ ასე რომ მოვქცეულიყავი, განა ეს მე ვიქნებოდი? და საერთოდ შევძლებდი კი ამას? წარმოგიდგენივართ ამ როლში?

წლების განმავლობაში თავს გესხმოდნენ როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან. მარცხნიდან გიკიჟინებდნენ, რომ მემარჯვენე ხართ და მემარჯვენეები კი მემარცხენეობას გაბრალებდნენ. ერთნი გსაყვედურობდნენ, რომ მდიდრების წინააღმდეგი ხარ, მეორენი – რომ არ თანაუგრძნობთ ღარიბებს, მესამენი და მეოთხენი – რომ არ გაქვთ საკუთარი პარტია ან რომ პატივს არ სცემთ სხვა პარტიებს და ა.შ. როგორ იტანდით ამ ყველაფერს? როგორი იყო თქვენი რეაქცია? და რაც მთავარია: როგორ რეაგირებდით თქვენი ან თქვენი ცოლის წინააღმდეგ მიმართულ მრავალრიცხოვან კამპანიებზე და დეზინფორმაციებზე?

მუდმივი დილემაა, მოახდინო რეაგირება თუ არა. ერთნი ამბობენ, რომ ყოველი თავდასხმისა თუ ტყუილისთვის, თავდამსხმელს მყისვე უნდა გადაჰკრა სახრე, რათა სხვა დროს აღარ მისცეს თავს ამის უფლება ან ხალხს რომ არ ეგონოს, რაკი პასუხს არ სცემენ ბრალმდებელს, ესე იგი მართალს ამბობსო. სხვები ფიქრობენ, რომ ჯობია საერთოდ არ გამოეხმაურო მსგავს მოვლენებს, რადგან ამით მხოლოდ პოპულარობასა და წონას შესძენ იმას, რაც ამად არ ღირს. ეს რთული გადასაწყვეტია. მაგალითისთვის, დაშას შესახებ ყვებოდნენ, რომ მხოლოდ თავის გარეგნობაზე ყოველთვიურად 150 000[109] კრონს ხარჯავს. ეს ხომ სრული უაზრობაა, დაშა

109 1996-2005 წლებში 1 ამერიკული დოლარის ფასი 40-29 კრონის ფარგლებში

საოცრად ეკონომიურია, თავის ტანსაცმელს ისე მორთავს და გადააკეთებს ხოლმე, რომ ისევ ახლად გამოიყურებოდეს. როგორც მსახიობმა, მაკიაჟის გაკეთებაც კარგად იცის. ამდენად, ყველაფერს თვითონ იკეთებს. არავითარი ვიზაჟისტი არ მინახავს ჩვენთან. მეტიც, წესიერად არც კი ვიცი თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა, ალბათ, გრიმიორს. ის ფსევდოპუბლიკაცია თავისი უშველებელი სათაურით, ჩვენი ფონდის საქმიანობისთვის რომ არ შეეშალა ხელი, მართლაც არ ღირდა ყურადღებად. იმ ცნობამ ზოგიერთი ფრიად დაამწუხრა, წერდნენ, რომ ასეთ მფლანგველ ქალბატონს, საქველმოქმედო ფონდისთვის სახსრების ძიების მორალური უფლებაც კი არ გააჩნიაო. ამიტომაც დაშამ შესაბამის გაზეთს უჩივლა. და შედეგი არ გაინტერესებთ? მოთხოვნა მისთვის მობოდიშების შესახებ არ იქნა დაკმაყოფილებული იმ მიზეზით, რომ ეს, იმ უმნიშვნელო ტყუილს შემდგომ სიცოცხლეს მიანიჭებდა! სასამართლო, რომელიც მოწოდებულია თქვას „კი“ ან „არა“, ჩაეფლო PR-თან ტაქტიკურ თამაშებში, რაც ბულვარული პრესის დიდ გამარჯვებად მიმაჩნია. სასამართლოს ჩემი ცოლის მფლანგველობის ფაქტი რომ ეცნო, მაშინაც კი ვერ იქნებოდა ეს გამარჯვება ასე დიდი ანუ მოახდინო რეაგირება თუ არა – გადაუჭრელი დილემაა, რომლის წინაშეც გამუდმებით ვიდექით ჰრადზე. ერთი მხრივ, უპირატესობა მაქვს, მე ხომ მართალი ვარ. კომუნისტები მთელი ცხოვრება ტყუილებს მაწერდნენ. მეორეს მხრივ, ძარღვებში სისხლი მიჩქეფს და არა წყალი, ვბრაზდები ხოლმე. ერთი-ორჯერ განსაკუთრებით უაზრო შემოტევებზე მაინც დავწერე პასუხი, ზოგჯერ ჩემი სამსახურის რჩევის საწინააღმდეგოდაც კი. გაზეთები სიამოვნებით აქვეყნებდნენ ამ პასუხებს, ცხადია, პირველივე გვერდზე დიდი სათაურით, რომლიდანაც მოჩანდა, რომ პრეზიდენტი კითხულობს მათ გაზეთს და მეტიც, ანგარიშსაც კი უნევს. თუმცა უმეტესად არ ვრეაგირებდი. აქ ზოგადი კანონი არ არსებობს, ყოველი შემთხვევა ცალკე უნდა იქნას განხილული. ახლა ეს ყველაფერი წარსულსაა ჩაბარებული და ამიტომ ინტერესსაც აღარ წარმოადგენს.

მერყეობდა.

საინტერესო კი სულ სხვა რამ გახლავთ, მსოფლიოს ნებისმიერ პოლიტიკოსთან პირადი საუბრისას, ადრე თუ გვიან, ეს თემა წამოიწევს ხოლმე. ყველა მონაწილეობს ამ თამაშში და ყველას აწუხებს ეს საკითხი, რაც დღევანდელობაზე მედიის უზარმაზარ გავლენას ადასტურებს. ეს ცალკე წიგნის თემაა და არა ერთი წიგნიც დაწერილა ამის თაობაზე. რამდენადაც ვიცი ეს თემა თქვენთვისაც საინტერესოა.

დიახ, საინტერესოა და ამიტომაც გეკითხებით ამის შესახებ. თუმცა, მოდით ახლა სხვაგან გადავინაცვლოთ. ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა როგორღაც მითხრა, რომ ფრანსუა მიტერანს გამსგავსებთ, პოლიტიკაში ჟესტების კეთება და ინსცენირებების მოწყობა გიყვართ. ამაზე მშვენივრად მეტყველებდა ის, თუ როგორი მზრუნველობით ადევნებდით თვალს სხვადასხვა შეხვედრისთვის მზადებას, სადღესასწაულო სუფრების გაშლას, სახელმწიფო ვახშმების მსვლელობას და ა.შ. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკაში რიტუალები?

თუ ნებას დამრთავთ, პირველ რიგში, შევეხები თემას – პოლიტიკა და დრამა. პოლიტიკა, თვით ცხოვრებისა არ იყოს, თვითონ ექაჩება საკუთარ თავს. მას, ერთი შეხედვით, აშკარა და ერთმანეთისაგან ადვილად გამოსარჩევ შემადგენლებად ვერ დაყოფთ, არ გააჩნია გამოკვეთილი დასაწყისი, ინტერმეცოები, წყვეტები, კატარზისები, პიკები და დაბოლოებები. იშვიათია, რომ ცალსახად განსაზღვრული ერთი მიზნის განხორციელებაზე იყოს მთლიანად კონცენტრირებული. დრამა კი არის მცდელობა დაუპირისპირდე ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს შეუცნობელ მომენტებს, ასე ვთქვათ, გააშიშვლო ყოფიერების ჩონჩხი, მისი შინაგანი ქსოვილები, თვალისგან დაფარული სტრუქტურა და შემადგენლები, გასაგებად წარმოაჩინო დასაწყისი, წყვეტები, პაუზები და შემდეგ დასასრული ან დედაარსი ანუ ზუსტად ის, რაც დრამის მიღმა ჩვეულებრივ ნაკლებად მოჩანს. ადამიანს სიამოვნებს გარშემო მყოფი სამყაროს შეცნობა. ის ყოველთვის ცდილობს ჩაწვდეს ყოფიერების შინაგან ლოგიკასა და არქიტექტუ-

რას. ელტვის გამოკვეთილ საწყისსა და ბოლოს. უნდა რომ იცოდეს რა იყო „მანამდე“ და რა იქნება „შემდეგ“. საიდან რა გამომდინარეობს, რა რასთან არის კავშირში და სიამოვნებს ამ ყველაფრის შთამაგონებელ და შემოკლებულ ფორმებში აღქმა. პოლიტიკა, როგორც მოღვაწეობის სფერო, რომელიც საზოდაგოებრივ მხარდაჭერას მოითხოვს, სხვა რომელიმე სფეროზე მეტად საჭიროებს, რომ ხალხს მისი ესმოდეს ანუ ხვდებოდნენ რა ხდება ამა თუ იმ მომენტში, როგორ გამომდინარეობს ძველიდან ახალი, რატომ მიმდინარეობს მოვლენები მაინცდამაინც ამ და არა სხვა ტემპით. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, პოლიტიკა ზუსტადაც რომ ეწინააღმდეგება ამას. მართალია, აქა-იქ პოლიტიკური წარმატებები თუ წარუმატებლობები თვალსაჩინო ხდება, მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისებია. როგორც წესი, ეს არის რაღაც განსაკუთრებული და დაუსრულებელი პროცესი გამოკვეთილი საზღვრების, ცალსახა და თვალშისაცემი სწრაფი შედეგების გარეშე. ამიტომაც, დრამის ელემენტარული შეგრძნება პოლიტიკოსისთვის მნიშვნელოვნად მიმაჩნია ანუ შეგრძნება იმისა, თუ სხვადასხვა ქმედებები, მოვლენები როგორ დაყონ, დაალაგონ და დაასრულონ, რა მიმდევრობა თუ სტრუქტურა მიანიჭონ მათ. ძირითადი ხიფათი, რომლის წინაშეც დგას პოლიტიკა თანამედროვე მსოფლიოში, გახლავთ ის, რომ ხალხს შესაძლოა პოლიტიკა მოეჩვენოს უსაშველოდ მოსაწყენ, დროგამოშვებითი სკანდალებითა და ფსევდოსკანდალებით გახალისებულ, რუტინულ და ნაცრისფერ ადმინისტრირებად, რომელიც ყველა შემთხვევაში დავიწყებას მიეცემა ბოლოს, როგორც უშინაარსო და ამდენად, უიდეო საქმიანობა. ამ ხიფათის თავიდან აცილება უეჭველად ყველას ინტერესებში შედის. ამას ბუნებრივად უკავშირდება თემა: პოლიტიკა და თეატრი. ცხადია, რომ პოლიტიკა ოპერირებს და უნდა ოპერირებდეს კიდეც ნიშნებით, სიმბოლოებითა და რიტუალებით, ამასთან გარკვეული თეატრალიზმიც ყოველთვის ახლავს. ეს ბუნებრივია. სიმბოლოებისა და ნიშნების ენა გვიხსნის მოვლენების არსს, ხშირად ბევრად უფრო ზუსტად და შთამაგონებლად, ვიდრე ყველაზე უფრო

საფუძვლიანი თხრობა ცნებების გამოყენებით. უბრალოდ, პოლიტიკური კონცეფციები თვალსაჩინოებას საჭიროებენ. ერთად განცდილი და ყველასთვის საერთო სიმბოლოები ადამიანთა საზოგადოებებს უდავოდ აერთიანებს, დუღაბივითაა, მათი იდენტობის ემოციურ და კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენს. სიმბოლოები აცოცხლებენ მათთვის საერთო ისტორიას, ტრადიციას, კულტურას, ქცევისა და ურთიერთობის მოდელს. ეს გახლავთ მინიშნებები წინაპართა გამარჯვებებსა და მარცხებზე, საზოგადოების მიერ გაზიარებულ იდეალებზე, იმათ ხსოვნაზე, ვინც ამ იდეალებს შესწირა თავი. სიმბოლოების ამ ენის მიმართ პატივისცემა, თუკი სიკეთეს უნდა ემსახუროს, მოითხოვს ზომიერების დიდ შეგრძნებას. ხშირად საკმარისია ერთი ნაბიჯით უფრო შორს წახვიდე, ვიდრე მოცემულ სიტუაციას, მიზანს, სოციალურ კონტექსტს შეესაბამება და შესაძლოა ძილიდან გამოერკვნენ დემონები, აღარ აქვს მნიშვნელობა ნაციონალისტური თუ როგორი, რომლებიც შემდგომ ძნელი მოსათვინიერებლები არიან. ამდენად, ეს ცეცხლთან თამაშს წააგავს. თუ პოლიტიკის გარკვეულ რიტუალურ განზომილებაზე გადამეტებული აქცენტი საზოგადოებაში ყოველივე განსხვავებულის მიმართ იწვევს ზიზღზე დაფუძნებულ სიშმაგეს, მაშინ ასეთი პოლიტიკა, ყოველ შემთხვევაში განათლებული ადამიანის თვალში, გამოიყურება სასაცილოდ და აბსურდულად. ზუსტად იმად, რასაც „სუპერდადაიზმს“ უწოდებდა კარელ ტეიგე. ახლა კი, ბოლოს და ბოლოს, რაც შეეხება თქვენი შეკითხვის არსს. მართალს ბრძანებთ, რომ პოლიტიკის, ასე ვთქვათ, ესთეტიკურ მხარეზე მართლაც ბევრს ვზრუნავდი. პრინციპში ამას სამი მიზეზი გააჩნდა: პირველი, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, იმაში რის ახსნასაც ახლა ვცდილობდი ანუ რომ პოლიტიკის ამ განზომილებას დიდი მნიშვნელოვანება აქვს. მეორე, არ გაგვაჩნდა დიდი ტრადიციები, რომლებიც ჩვენი ამოსავალი იქნებოდა, ყველაფერი თავიდან უნდა მოგვეგონებინა. ის, რაც კომუნისტებისგან გადმოგვეცა შთამომავლობით, უმეტესად სავსებით გამოუყენებელი იყო. ამიტომაც ყველაფერში ჩვენს შემოქმედებითობაზე გვიხდებოდა დაყრდნობა დაწყებული

სახელმწიფო ჯილდოების დაარსებით და დამთავრებული მათი გადაცემის ცერემონიით, ავეჯიდან – ოფიციალურ ბლანკამდე, სახელმწიფო დონეზე ვახშმების ჩასატარებელი ადგილიდან – სადღესასწაულო უნიფორმებისა და ოფიციანტის ჩაცმულობამდე, საწერი ქაღალდი, დროშები, შტანდარტები და ჭურჭელი, ქანდაკებებითა და ნახატებით დარბაზებისა და კაბინეტების მორთვის ჩათვლით, ყველაფერი მოსაფიქრებელი იყო. თავიდან ნახატები ჩემი კაბინეტის მოსართავად სახლიდანაც კი მომქონდა. მესამე მიზეზი კი ნათელია ერთი სიტყვით, მსგავსი საკითხები მიტაცებს, მათ მიმარ სხვებზე უფრო მაქვს განვითარებული მგრძნობელობა, ყოველ შემთხვევაში სხვებზე მეტად განვიცდი ხოლმე. სხვათა შორის ეს განცდა სულ უფრო მიმძაფრდება ასაკის მატებასთან ერთად. უფრო პედანტური ვხდები. იმდენად, რომ ბოლოს, ოფიციალური ვახშმებისთვის მოწყობილობებს ჩემით ვაწყობდი ჩემს გემოზე (ზოგიერთი რამის შესახებ, „ბურჟუაზიულ-რესტორნული" წარმოშობიდან მომდინარე, საკუთარი შეხედულებები მაქვს) და როდესაც იაპონიის იმპერატორთან სადილისას, ბოლომდე მოუხარშავი კარტოფილი მოგვართვეს, მეგონა რომ გავგიჟდებოდი. საბედნიეროდ, მან ეს მიიღო როგორც ჩეხური სამზარეულოს გამორჩეული თავისებურება.

(18. 5. 1997)

ჩემი ხუთთვიანი ცოლქმრული ცხოვრების გამოცდილება მიჩვენებს, რომ რპკ-ს და მთლიანობაში ჩეხეთის რესპუბლიკას დღევანდელი თავისი სამართლებრივი სტრუქტურით, არ შეუძლიათ შეგუება იმ ფაქტთან, რომ პრეზიდენტი დაქორწინდა. თითქოსდა დემოკრატიული სახელმწიფო მისჩერებია ამ ფაქტს, როგორც ხბო ახალ კარიბჭეს და არ იცის რა მოიმოქმედოს. ჩემი ცოლი არ არის სახელმწიფო მოხელე, მით უმეტეს, კონსტიტუციით გათვალისწინებული თანამდებობა არ უჭირავს. ამდენად, ამბობენ, რომ წარმოადგენს მხოლოდ კერძო პირს. ამავე დროს გულისხმობენ, რომ როგორც საშინაო, ისე საგარეო მოგზაურობებში გვერდს უნდა უმშვენებდეს პრეზიდენტს. მეტიც, რომ ზოგჯერ შეიძლება პრეზიდენ-

ტის წარმომადგენლის როლიც კი შეასრულოს სახელმწიფოსათვის, მაგრამ სახელმწიფოს დაუხმარებლად. აი პატარა მაგალითი. ყველას უნდა, რომ გაემგზავროს პარიზში ჩეხეთის ცენტრის გასახსნელად, მაგრამ ამ ვიზიტის ორგანიზება, შეთანხმება, დაფინანსება, მომზადება-მოწყობა კი არავის შეუძლია. (...) ერთი სიტყვით, „პირველ ქალბატონს" უყენებენ მრავალფეროვან პროტოკოლურ, პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, საქველმოქმედო, კულტურულ და სხვა მოთხოვნებს. უნდა აწარმოოს უზარმაზარი კორესპონდენცია, გადაწყვიტოს საქველმოქმედო საკითხები, მიიღოს ან უარყოს სხვადასხვა მიწვევა და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც არ გააჩნია სამსახური, რომელიც მის მაგიერ ან მისთვის რაიმეს გააკეთებს. ჯერჯერობით ამ ყველაფრით ყველაზე მეტად მე ვარ დაკავებული, რაც, და ამაში ყველა დამეთანხმება, სისტემური უსამართლობაა. (...) როგორც ვხედავ, რაკ სრულებით არ ეხმარება და თუ ეხმარება, ისიც დიდი-დიდი, იდეის მიწოდებით, კონკრეტულ ქმედებებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ეს სახელმწიფო, უბრალოდ, ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტს ჰყავს ცოლი და რომ ეს ცოლი საზოგადოებრივი ფენომენია, რომელიც გავლენას ახდენს არა მარტო სახელმწიფოს სახეზე მსოფლიოს თვალში, არამედ პრეზიდენტის პოლიტიკურ მდგომარეობაზეც. დაგმარმა საზოგადოებრივ თუ საქველმოქმედო საქმიანობაში, კულტურის მიმართ მის ბუნებრივ ინტერესში, უნდა მოძებნოს საკუთარი სახე. ეს არ არის ასე მარტივი. კომუნიზმის ეპოქის უსახური ქალბატონი-დედიკოების შემდეგ, რომლებსაც ყველაფერი გააჩნდათ და არაფერს აკეთებდნენ, მოვიდა ოლგა, რომელსაც კეთილი ნების კომიტეტში (კნკ) საკუთარი დასაყრდენი გააჩნდა (19 თანამშრომელი). დაშას არავითარი კნკ არ გააჩნია. ჰყავს ერთადერთი მდივანი, მშვენიერი გოგო, რომელიც დილიდან საღამომდე მუშაობს, მაგრამ ყველა ურთულესი საქმიდან, რომელიც კისერზე აწევს, ვერ ერევა ერთს, იმ უმარტივესს – დაშას სამოქმედო პროგრამის შემუშავებასა და დაბეჭდვას. რა მოვუხერხოთ ამას? (...)

(8. 2. 1998)

(...)

მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ფაქტია, რომ ჰრადზე უკვე წელიწადზე მეტია ისევ ცოლქმრული წყვილი ცხოვრობს ანუ ერთი პარლამენტის მიერ არჩეული სახელმწიფო მოღვაწე და ერთიც მისი ცოლი, რომელიც მან თვითონ აირჩია (და პირიქით). ეს ცოლი უკვე

წელინადია იბრძვის მზის გულზე თავისი ადგილისათვის და თავს ამ მხრივ უარესად გრძნობს, ვიდრე ერთი წლის წინ. მართალია, ბრძოლით მოიპოვა ორი მდივანი, მიიღო მშვენიერი სამუშაო ოთახი, მეტიც, ცოტა ხნის წინ დოქტორი შ.-ც მის განკარგულებაში გადავიდა და ამ წლის განმავლობაში უამრავი კეთილი საქმის გაკეთება მოასწრო: დააარსა მოქმედი საქველმოქმედო საზოგადოება, ქმრის გამო შეიცვალა თავისი ცხოვრების სტილი და შეელია პროფესიას, წარმატებით წარმოადგენს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში, რამდენი საკუთარ თავზე აღებული მფარველობა, საპატიო თავმჯდომარეობა, ეწვია (როგორც პრეზიდენტის მეუღლე) არაერთ სოციალურ, ჯანდაცვისა და კულტურულ დაწესებულებას, საკუთარი ხელით უპასუხა მოქალაქეებისგან მიღებულ ასობით წერილს და ა.შ ახალ ფუნქციებს მთლიანად მიუძღვნა თავი და ამავე დროს, რაც გასაკვირია, არც ერთი სერიოზული შეცდომა არ დაუშვია. შედეგს არ კითხულობთ? შედეგი ღრმად სამწუხაროა: ერთ-ერთი უსაყვარლესი მსახიობი და ქალი, რომლის ავადმყოფ პან პრეზიდენტთან ქორწინებითაც, გაზვიადების გარეშე ვიტყოდი, მოქალაქეთა ოთხმოცი პროცენტი ხარობდა, გადაიქცა დაუსრულებელი ვულგარული ხუმრობების საგნად, დამცინავი კომენტარების, ჟურნალისტების დიდი ნაწილის თავდასხმებისა და შეურაცყოფების საყვარელ სამიზნედ, კერძო ტელეკომპანია „ნოვას“ მხრიდან მთელი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღიური შემარცხვენელი გადაცემები დაბოლოს, საზოგადოების თვალში, ცოტაც და ხალხის მტრის ხატი. არ შევუდგები ახლა ამ განსაკუთრებული მოვლენის (რომელშიც, ჩემი ჩათვლით, ასე თუ ისე, ყველაა დამნაშავე), ჩახლართული სოციალური და ფსიქოლოგიური მიზეზების კვლევას და არც იმის აწონ-დაწონას, თუ ვის რა ბრალი მიუძღვის. გარკვეული პასუხისმგებლობა ამისათვის რპკ-საც უნდა დაეკისროს, რომლის არც თუ ისე უგულებელსაყოფი ნაწილი ვერაფრით შეეგუა ჩემი ხელმეორედ დაქორწინების ფაქტს, რაც, სამწუხაროდ იმაშიც მოჩანს, თუ როგორ ეხმარება დაშას ესა თუ ის თანამშრომელი, რაც ჩემს მიმართ მათ დამოკიდებულებასაც ემჩნევა ხოლმე საბოლოოდ. (...) ამიტომაც, ახლა, როდესაც იწყება ჩემი პრეზიდენტობის ახალი პერიოდი, ვთხოვ ყველა ჩემს თანამშრომელს, იმუშაონ აგრეთვე ჩემი ცოლისა და მისი კეთილი საზოგადოებრივი იმიჯისათვის. ეს დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, საკმარისია კეთილი ნება. (...)

(დაუთარიღებელი 1999)

ძალაუნებურად 1997 წელი მომაგონდა, როდესაც ვიქორწინე და

რპკ-ს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ჩემს ახალ ცოლს არც მდივანი, არც საწერი მაგიდა და არც სამუშაო ოთახი არ ესაჭიროება, რადგანაც ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ცოლია, ანუ ვიღაც, რომლის ადგილიც სამზარეულოშია. წერილების მთები, მოპატიჟებები, თხოვნები, შემოთავაზებები და ა.შ. ცხადია სანაგვეში უნდა გადაეძახა, რამეთუ რპკ-ის კანონში არაფერია ნათქვამი რაიმე სერვისის შესახებ პანი პრეზიდენტისთვის. ამას მოჰყვა დაძაბულობა და დაშას ბრძოლა, რომლის შედეგიც იყო (...) მისი სამდივნო. (...) ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სიტუაცია, ბოლოს და ბოლოს, მოგვარდა. და რას ვიგებ მოულოდნელად? ჩემი ცოლი ოფიციალური ვიზიტით (როგორც ჩემი წარმომადგენელი), არ არის ლაპარაკი პირად ან საქველმოქმედო ფონდის საქმეებზე, აბსოლუტურად მოუმზადებელი მიემგზავრება იაპონიაში, მიუხედავად იმისა, რომ რპკ-მ არანაკლებ ნახევარი წლით ადრე უკვე იცოდა ამ ვიზიტის შესახებ. დაშა იქიდან მხრებჩამოყრილი მირეკავს და მატყობინებს, რომ არ იცის თუ რამდენჯერ, რატომ და როდის ვიყავი იქ და რას ვაკეთებდი ამ ვიზიტებისას, (...) მეკითხება ბუდისტებსა და სინტოისტებს შორის ურთიერთობების შესახებ და ა.შ. (...) მაშინ როდესაც საკმარისი იყო მისთვის ერთი ციცქნა ბროშურის მომზადება. (...) რატომ არ გააკეთეთ ეს? ამდენი წლის შემდეგაც კი, თუნდაც მაშინ, როდესაც საქმე სერიოზულ საკითხებს ეხება, რატომ არ შეუძლია რპკ-ს შეიგნოს, რომ მყავს ცოლი, რომელსაც ხანდახან სახელმწიფო ფუნქციებიც ეკისრება? მსგავსი შეცდომები, შემდეგ ძნელი გამოსასწორებელია ხოლმე. დღე, რომელიც მკურნალობის დასასრულებლად და ირლანდიელი ქალბატონისათვის მზადებისათვის უნდა დამეთმო, გავატარე იაპონიასთან დაკავშირებული სტატიების ძებნასა და იაპონიაში ფაქსით გზავნაში. (...) მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს!

(21. 8. 1999)

(...)

6) საკუჭნაოში, სადაც მტვერსასრუტი ინახება, ისევ ის ღამურა ბუდობს. როგორ გავაგდოთ? ნათურა მოვუშვით, ტყუილად რომ არ გააღვიძოს და გააღი ზიანოს.(...)

კარგად არის ცნობილი როგორ ზრუნავდით ჰრადზე და რომ თქვენი იქ ყოფნის ხანგრძლივ პერიოდში არა ერთი

ცვლილება განახორციელეთ. რა ცვლილებები იყო ეს და რა ედო საფუძვლად?

როგორც უკვე გითხარით, პრაღის ჰრადი, შესაბამისად თვით სასახლე და მასთან უშუალოდ მიმდებარე ზონა, განსაკუთრებული ორგანიზმია, ქალაქია ქალაქში. ჩვენი იქ დამკვიდრების მომენტისთვის, ეს ერთი პატარა მკვდარი ქალაქი იყო. ყოველ ნაბიჯზე საიდუმლო პოლიცია იდგა, სახელმწიფო უშიშროების მთელი ერთი განყოფილება იყო იქ დაბინავებული, რომელიც რამდენიმე ასეულ ადამიანს ითვლიდა. ყოველ ნაბიჯზე კედლები, გისოსები, თუნუქი, ღობეები, აკრძალული ზონები, სათვალთვალო კამერები, მავთულები და მიკროფონები. მე და ჩემმა მეგობარმა არქიტექტორ მასაკმა, რომელიც ჩემთან ერთად მოვიდა ჰრადზე, ბევრი ვიფიქრეთ იმაზე თუ რა მოგვეხერხებინა ამ ყველაფრისთვის. საბოლოოდ, ამასთან დაკავშირებით პატარა საერთაშორისო არქიტექტურული სიმპოზიუმიც კი გავმართეთ. პირველ რიგში, ფართო საზოგადოებისთვის მისაწვდომი გავხადეთ ის, რაც შეიძლებოდა, გადავაბარგეთ სახელმწიფო უშიშროება და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები. ამავე დროს, ვცდილობდით სხვადასხვა ნაწილები (ეზოები და ბაღები) ისე შეგვეერთებინა, რომ წარმოქმნილიყო ერთიანი სასეირნო ტრასა. ვცდილობდით დიდებული კათედრალის, ბახტინოვის გაგებით დეპათეტიზაციას ანუ მინდოდა, რომ მისი მიმდებარე ტერიტორია მისაწვდომი გამეხადა ჯამბაზების, მოხეტიალე მუსიკოსებისა და წვრილ მოვაჭრეთათვის, რომლებიც გოთიკური ეკლესიების ტრადიციულ მორთულობას წარმოადგენდნენ და ცისკენ მკაცრად მიპყრობილ მზერას აწონასწორებდნენ ამქვეყნიური ცხოვრების ყველა გამოვლინების წარმოჩენით. ბევრი რამ თხოულობდა განახლებასა და რესტავრაციას. კომუნისტებს, ისევე როგორც სხვა ყველაფერში, ყურადღება გარეგნულ მხარეზე ჰქონდათ გამახვილებული, განუწყვეტლად ღებავდნენ და ღებავდნენ ფასადებს, რომელთა მიღმაც ხშირად დიდძალი სიმდიდრე სრულებით მივიწყებული და დაუცველად იყო მიგდებული. უცებ მივხვდით, რომ თუკი ჰრადს კაფკას მო-

ჯადოებული სასახლის ბედს არ ვუმზადებთ, ანუ თუ გვინდა, რომ არქიტექტურულმა თუ ურბანისტულმა სივრცემ მართლაც იცხოვროს და არ იყოს ვილაცის პროექტის მკვდარი „რეალიზაცია", ათასგვარი, ერთმანეთთან შეწყობილი, ფუნქცია უნდა დავაკისროთ. კერძოდ, სახელმწიფოს წარმოდგენა, ძირითადი პუნქტების ეზოთერული გაერთიანება, საცხოვრებელი ადგილი, მათ შორის სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტის ფაკულტეტები, გართობა, გამოფენები, სადღესასწაულო გამასპინძლებები, პატარ-პატარა მაღაზიები. ეს არც თუ იოლი იყო, მუდმივ ბრძოლაში ვიმყოფებოდით ფულის უკმარისობასა (პოლიტიკოსებს ეგონათ, რომ ამას ჩემთვის ვაკეთებდი) და ბიუროკრატიასთან. და მაინც, ჩაფიქრებულის ხუთიოდე პროცენტის განხორციელება თუ მოვახერხეთ ბოლოს და ბოლოს. ბოლო წლებში მასაკი არქიტექტორმა შიპეკმა შეცვალა, რომელმაც, უნდა ითქვას, შესამჩნევი კვალი დააჩნია ჰრადს. თუმცა, სხვა არქიტექტორებსა და ხელოვნებსაც ვიშველიებდით, ცხადია. ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რათა ჰრადს მრავალფეროვანი და მდიდარი კულტურული ცხოვრებით ეცხოვრა, გამართულიყო მნიშვნელოვანი გამოფენები, ექსპოზიციები, ლექციები, კონცერტები და წარმოდგენები. ამ ყველაფერზე ზრუნვა მართლაც და ძალიან მსიამოვნებდა. ვცდილობდი ამაში იმპერატორ რუდოლფ II-ისათვის მიმებაძა, რომლის დროსაც, მიუხედავად იმისა, რომ ფრიად უცნაური და პოლიტიკურად წარუმატებელი ხელისუფალი იყო, პრაღის ჰრადი და ცხადია, შემდეგ თვით პრაღაც, უმნიშვნელოვანეს ევროპულ და ამდენად, იმ ეპოქის გათვალისწინებით, მსოფლიო კულტურულ ცენტრად იქცა. მოაზროვნეთა, მეცნიერთა, მისტიკოსთა და ასტროლოგთა მეგობარი გახლდათ, ხელოვნების შემგროვებელი და დიდი მეცენატი, რომლისკენაც მისწრაფოდნენ ეპოქის უდიდესი მოღვაწეები, დაწყებული ტიხო ბრაგეთი და დამთავრებული არციმბოლდით. რუდოლფის გლობუსები და ჭოგრიტები პრეზიდენტის სხდომების დარბაზში დავამონტაჟებინე, რათა ხაზი გამესვა ახალი დროების სულიერი და კულტურული განზომილებისა და არსებული დიდი

ტრადიციებისათვის. მე მგონი ისევ იქ არის ეს ნივთები, არ ვიცი.

და ლანის სასახლე? ეს ხომ, პირველ რიგში, მასარიკის სახელთან დაკავშირებული პრეზიდენტების ტრადიციული ქალაქგარე რეზიდენციაა. რა მდგომარეობაში დაგხვდათ?

ერთი-ორი წლის რეკონსტრუირებული იყო ანუ კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუმცა, საძაგლად იყო მოწყობილი და მორთული. სტილი, რომელიც ყველა კომუნისტურ დაწესებულებას საერთო აქვს: ყოველ ნაბიჯზე სააბაზანოები, მაცივრები, ტელევიზორები, ტონობით შეძენილი და უმეტესად გამოუყენებული „Hi-Fi" სისტემები, ზიზღის გამომწვევი კაფელი, ყალბი და სიახლისაგან მოლაპლაპე სპარსული ხალიჩები, მეშჩანური ავეჯი. მასარიკის ყოველგვარი კვალი მოაშთეს, მის საწერ მაგიდას შეშისთვის განკუთვნილ საწყობში მივაგენით. საბედნიეროდ, მისი აღდგენა, საბოლოოდ, მაინც მოხერხდა. უფრო საფუძვლიანი ცვლილებებისთვის ფული არ იყო, თუმცა ოლგამ დიანა სტერნბერგის[110] დახმარებით შესაძლებლობის ფარგლებში რაღაცეები მაინც შეცვალა. ახალი ლამაზი ფარდები, ნამდვილი ხალიჩები, სხვადასხვა, სასახლის საწყობებში მიკვლეული, ისტორიული ავეჯი და ა.შ. შემდეგ დაშამაც გააგრძელა ლანზე ზრუნვა, თუმცა ცვლილებების უმეტესი წილი პირველ პერიოდში ჩატარდა, მაშინ, როდესაც ბევრად უფრო კეთილმოსურნე იყო ყველა და ყველაფერი უფრო მარტივად ხერხდებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ სოფელ ლანში მოულოდნელად მასარიკის კუთვნილი ან მასთან დაკავშირებული უამრავი ნივთი, რომელსაც ხალხი ათობით წლის განმავლობაში სასოებით ინახავდა, გამოიძებნა და გადმოგვეცა. ვცდილობდი ლანისთვის სიცოცხლე დამებრუნებინა, გავხსენი ფართო საზოგადოებისათვის, ვატარებდი პოლიტიკურ დისკუსიებსა

110 დიანა სტერნბერგი (Diana Sternberg) – ჩეხური არისტოკრატიული საგვარეულოს შთამომავალი, რომლის ოჯახიც 1948 წელს კომუნისტების მიერ ქონების ჩამორთმევის შემდეგ გაიქცა ამერიკაში. 1992 წელს დ. სტერნბერგს დაუბრუნდა ოჯახის კუთვნილი სასახლე ჩასტოლოვიცე და მას შემდეგ ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას ჩეხეთში.

და შეხვედრებს. ტრადიციისამებრ, პრაღაში ვიზიტებისას იქ დალაი-ლამა ცხოვრობდა ხოლმე.

ვილა ამალიაც ლანს ეკუთვნის, არა?

ნაწილობრივ ეს გახლავთ, ისევე როგორც კიდევ ორი სხვა სამონადირო პატარა ვილა, პოლესი ლანის შემადგენელი ნაწილი, რომელიც დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, თუმცა ოფიციალურად პრაღის ჰრადს ეკუთვნის. ძალიან ლამაზი ვილაა და მისი აღმოჩენისთანავე იქ ჩემს თანამშრომლებთან, ძირითადად ანდულკა ფრეიმანოვასა და მიხაელ კოცაბთან ერთად ვატარებდი მეგობრულ დებატებს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა და საკითხებს ეხებოდა და საშუალოდ სამიოდე კვირაში ერთხელ ტარდებოდა. მთლიანობაში კი წლების განმავლობაში სულ ოთხმოცამდე ასეთი შეხვედრა ჩავატარეთ. ოციდან ოცდაათამდე სტუმარს ვპატიჟებდით, დებატები ოთხი-ხუთი საათი გრძელდებოდა და შესვენებისას მოგვართმევდნენ ხოლმე ვახშამს. საერთო ჯამში, ამ შეხვედრებში ასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ყველა პატივისცემით იცავდა გარკვეული ურთიერთნდობისა და დისკრეტულობის პრინციპს. ეს მართლაც ღია და ხშირად ძალიან ცხარე დებატები იმ პირობით ტარდებოდა, რომ არავინ არსად მოყვებოდა იქ გაგონილს ანუ რომ სხვების მაგიერ არ ილაპარაკებდა. თუკი ვინმეს სწყურია მსოფლიოს რაიმე შეატყობინოს, შეატყობინოს საკუთარი აზრები, მაგრამ იმის გახმაურება, თუ რა თქვა ვიღაცამ სადღაც, ნამდვილად არ არის წესიერი. მთელი იმ წლების განმავლობაში ამგვარი ინფორმაციის გახმაურების ვერც ერთ შემთხვევას ვერ ვიხსენებ და ეს მაშინ, როდესაც, როგორც ჩეხეთის რეალობიდან არის ცნობილი, იმას, რაც ერთზე მეტმა ადამიანმა იცის, ადრე თუ გვიან მთელი ქვეყანა იგებს.

(ჰელი 28. 8. 2005)

ასეა თუ ისე, ახლა, როდესაც პოლონეთის ამ არაჩვეულებრივ

სამთავრობო რეზიდენციაში ვიმყოფები და ვწერ ჩეხეთის სახელმწიფო მეთაურის ორ რეზიდენციაზე ჩემი მზრუნველობის შესახებ, მსუბუქი ნაღველი შემომანვა. პოლონეთს რამდენიმე ამგვარი რეზიდენცია გააჩნია. ცხადია, მათ გონივრულად იყენებენ და თავის დროზე სრული განადგურების შემდეგ ან თავიდან ააშენეს ან ძირფესვიანად განაახლეს. მთლიანობაში მათ უზარმაზარი პერსონალი ესაჭიროებათ და თავის დროზე დიდი ფული იქნებოდა ინვესტირებული. ალბათ, მათი ყოველდღიური ექსპლუატაციაც საკმარისად ძვირი ჯდება. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ პატარა ჩეხეთს უნდა გააჩნდეს ან თუნდაც ესწრაფოდეს იგივეს, რაც გააჩნია დიდ პოლონეთს თავისი სრულებით განსხვავებული ისტორიული ტრადიციებით. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია არ დამეუფლოს წუხილი, როდესაც ვიხსენებ რამდენი ბრძოლა მიწევდა გოთიკური ფრესკის სარესტავრაციოდ, ეზოს მოსაკირწყლად ან სახურავის შესაკეთებლად საჭირო ყოველი კრონის მოსაპოვებლად. ყოველ ჯერზე ლანში სადილად ვიწვევდი პარლამენტის საბიუჯეტო კომისიას, ყველაფერს ვუჩვენებდი და ვრცლად ვუხსნიდი, საკუთარ თვალში მათხოვარი სტუდენტივით გამოვიყურებოდი. არაფრით ესმოდათ, რომ მათსავე სავიზიტო ბარათზეა ლაპარაკი, რომ ორასიოდე წლის შემდეგ არავის ემახსოვრება თუ ვინ იყო დეპუტატი ვოპიჩკა[111] და პრეზიდენტი ჰაველი, მაგრამ ჩვენს სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებულ შენობებზე, ზოგადად ქვეყნის სახეზე, ჩვენს მიერ დატოვებულ ნაკვალევს ყველა დაინახავს. სხვა თემაზე გადავალ: სულ ცოტა ხნის წინ ვსაუბრობდი დრამაზე, როგორც ყოფიერების, სამყაროსა და ცხოვრების სტრუქტურის კონცენტრირებულ ანასახზე. ვინმეს, შესაძლოა, გაუკვირდეს კიდეც ჩემი თხრობისას რატომ ვხტები ხოლმე ერთი ეპოქიდან მეორეში. ზუსტად იგივე მიზეზი მამოძრავებს, რაც დრამატურგს ანდა კიდევ უფრო მწერალს. რომანების წერისას ყველაფერი კავშირშია ყველაფერთან; ნებისმიერი მოვლენა ნებისმიერი ეპოქიდან, უკავშირდება რომელიღაც წინამორბედ ან შემდგომ მოვლენას. ყველაფერი ერთიმეორესთან უთვალავი ძაფითაა დაკავშირებული და ერთ-ერთი საშუალება იმისა, რომ დავინახოთ ყოფიერების ეს ფარული კავშირები გახლავთ კოლაჟი. კოლაჟი, რომელიც ერთი შეხედვით სრულებით დამოუკიდებელ მოვლენებს ისე აწყვილებს ერთმანეთთან, რომ ამ მოვლენების რეალური

111 საყურადღებოა, რომ გვარი ვოპიჩკა ჩეხურიდან ითარგმნება როგორც პატარა მაიმუნი და ამავე დროს ფუძეში მოიცავ უცენზურო სიტყვას.

არსის გამოკვეთას ბევრად უკეთ ახერხებს, ვიდრე მექანიკური ქრონოლოგია, ან უცაბედობის გამომრიცხველი სიტემატიზაციის ნებისმიერი სხვა პრინციპი. ყოველ შემთხვევაში, მე ვცდილობ ასე ვწერო. და კიდევ, რაც შეეხება ამ წიგნს. უკვე დიდი ხანია და დიდი ინტერესით, თვალ-ყურს ვადევნებ ერთ პუბლიცისტურ გადაცემას, რომლის რედაქტორიც სტუდიაში ეპატიჟება ხოლმე სტუმარს, რომელსაც შემდეგ ყოველ წამს ახსენებს: „გთხოვთ მოკლედ". მე კი ამ გადაცემის მსვლელობაში სულ ერთი რამ მაფიქრებს, რაღატომ მოიპატიჟა, თუკი არ აცლის დალაგებულად საუბარს? ეს ადამიანები შესაძლოა, პირველად და უკანასკნელად მოხვდნენ ტელევიზიაში. შესაძლოა მთელი რესპუბლიკის გადაკვეთაც კი უწევთ სტუდიაში მოსასვლელად, წონიან თავიანთი გამოსვლის ყოველ სიტყვას, რათა საზოგადოებას მთელი თავისი ცხოვრების ისტორიის ან თავისი საბედისწერო თავგადასავლის შესახებ რაღაც აუწყონ და აღმოჩნდებიან თუ არა გადაცემაზე, ვიღაც ჩაჰკივის ყურში, რომ ბევრი არ ილაპარაკონ, რადგანაც გადაცემა დროზე უნდა დასრულდეს, რათა მოესწროს სულელური რეკლამა. მოპატიჟებულებიც, ცხადია, პანიკაში ვარდებიან და ველარაფერს ამბობენ. როგორ მომეწონებოდა და ვუთანაგრძნობდი, წამყვანი იმით რომ დაესაჯათ, რომ დაეწყოთ ლაპარაკი და ელაპარაკათ, და არ გაეწყვეტინებიათ სიტყვა, სანამ ტელემიმღებები არ აფეთქდებოდნენ. გარდა ამისა: ამერიკაში რეგულარულად ვუყურებდი ლარი კინგისა და სხვა წამყვანების გადაცემებს, მაგრამ არასდროს მინახავს, რომ ვინმეს საუბრისას უსირცხვილოდ პირში უხტებოდნენ და აი, იმ უბედური ადამიანების სახელით ვსჯი ბატონ რედაქტორს და მისიანი უსაყვარლესი წინადადებით ვასათაურებ ამ წიგნს.

2003 წლის 3 თებერვალს, თორმეტის ნახევარზე, როგორც პრეზიდენტმა, საბოლოოდ დაასრულეთ კარიერა და ამდენად, დატოვეთ კიდეც ჰრადი. რას გრძნობდით ამ დროს? როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი?

ჩემს ცხოვრებაში თითქმის არაფერი მომხდარა ნორმალურად. ჰრადზე გატარებული ბოლო ორი კვირა საშინელი ატმოსფეროთი გამოირჩეოდა. ხალხს, რომელმაც წლები გაატარა ჰრადზე ჩემთან ერთად და შემეჩვია, არ შეეძლო იმის გათავისება, რომ ერთბაშად ყველაფერი შეიცვლება.

ნაწილი გრძნობდა, რომ იქ ველარ დარჩება და პოლიტი-კური შეუწყნარებლობის ატმოსფეროში, წინასწარ შეუდგა სხვა სამსახურის ძებნას, რისი ერთმანეთისთვის გამხელა ან ჩემთვის თქმაც ეშინოდათ. ნაწილიც იმედოვნებდა, რომ არჩეულ იქნება ვინმე ისეთი, რომელიც მათ დაიტოვებს. მე კი ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს სხვა ვერავინ იქნება თუ არა ის, ვინც ბოლოს მართლაც მოვიდა, თუმცა მათ ეს შეუძლებლად მიაჩნდათ და ჩემი არ სჯეროდათ. ვინც თვითონ არ წავიდა, მოგვიანებით გააგდეს. ალბათ, მაინც მოიძებნენ ისეთები, ვინც შეეგუა სიახლეებს და მოიპოვა კეთილგანწყობა, თუმცა, რამდენადაც ვიცი, ცოტა ვინმემ თუ დაჰყო იქ დიდხანს. მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდ-ნენ თუ ვინ იქნებოდა არჩეული, იმყოფებოდნენ საშინელ, ვიტყოდი გაუგებარ მღელვარებაში, რაც როგორც ჩემს პირად ცხოვრებაზე, ისე სამსახურეობრივ საქმიანობაზეც აისახა. მოულოდნელად, გარკვეული მომენტიდან დაწყე-ბული, იმის შიშით, რომ ხელისუფლების გადაცემისას ან მე ან პირადად მას არ შეგვექმნას პრობლემები, მაკითხავდნენ აზრსმოკლებული ბიუროკრატიული პრობლემებით, ვთქვათ, რომ დასაბრუნებელი მაქვს ესა თუ ის სკამი ან სახაზავი, რომელიც თითქოს ოდესღაც ვითხოვე ჰრადიდან. რამდენი ჩემი პირადი ნივთი მივეცი ჰრადს, არავის აინტერესებდა. ერთბაშად, გადასაწყვეტი გახდა უამრავი წვრილმანი, ესა თუ ის ნივთი ჩემია და შემიძლია შინ წავიღო თუ მაინც უფრო სახელმწიფოს ეკუთვნის. ჩემდამი მოძღვნილ წიგნებს, იმის გამო, რომ რაღაც ბეჭედი ერტყათ არ მატანდნენ, სამაგიეროდ ნაჩუქარ უაზროდ დიდ ქანდაკებებს და სხვა საჩუქრებს, რომლებსაც ის ბეჭედი არ ერტყათ და რომლე-ბიც არ ვიცოდი სად წამეღო, ძალით მატენიდნენ. შესაძლოა, შეცდომა იყო, დიდხანს და წყნარად რომ არ ვემზადებოდი წამოსასვლელად, რის გამოც ყველაფერი ბოლო წუთს და საშინელ ნერვიულობაში კეთდებოდა. მაგალითად, ჩემმა ერთგულმა და დიდი ხნის მდივანმა ამართვა კომპიუტერი, რადგანაც სახელმწიფო ქონება იყო და სამაგიეროდ, ბევრად უფრო თანამედროვე მიშოვა, რაც იმას ნიშნავს რომ ბევრად

უფრო რთულიც იყო ეს კომპიუტერი. ყოველ წამს რაიმეს მეკითხება, რაღაც უნდა ჩემგან, რაღაცას მსაყვედურობს, გაუთავებლად რაღაცაზე ფიქრობს და ცხოვრებას იმით მირთულებს, რომ ყოველ წამს ათასი არჩევნის წინაშე მაყენებს და თან გაუგებარ ენაზე მელაპარაკება, რომელიც ჩეხურის, ინგლისურისა და კომპიუტერულის ნარევს წარმოადგენს. უცაბედად, თითი სხვა კლავიშზე მომიხვდება თუ არა, ან პანამის ჰიმნს მიკრავს ან ცოცხალი უჯრედის აგებულების ფერად სქემას მიხატავს და სანამ დავუბრუნდებოდი საჭირო ადგილს, ახერხებს (ვახერხებ?) უკვე დაწერილის წაშლას. ცხადია, ჩემი მდივანი აქ არაფერ შუაშია, მაგრამ ბუნებრივია, მასზე და ბილ გეიტსზე რომ ვცოფდები. კომპიუტერისა არ იყოს, სხვა ათას მოვლენასთანაც სასწრაფოდ მომიხდა დამეგობრება, დაწყებული მობილური ტელეფონებით და დამთავრებული პრაღის ქუჩებში ცალმხრივი მოძრაობის სრულიად ახალი სქემით. ერთი სიტყვით, ჩემი წამოსვლის წინ ჰრადზე საშინელი დაძაბულობა სუფევდა. ზოგჯერ ჩასაძირად განწირულ „ტიტანიკს“ მაგონებდა. მოგვიანებით, როდესაც არჩეულ იქნა ჩემი შემცვლელი, ღამე, სასწრაფოდ გადმოიტანეს ჩემი უკანასკნელი დოკუმენტები – პირადი და ლიტერატურული არქივი. შემდეგ ესპანურ დარბაზში გამოსამშვიდობებელი შეხვედრა მქონდა ჰრადის თანამშრომლებთან და გული ამიჩუყდა, როდესაც ამდენი გულაჩუყებული ადამიანი ვიხილე ირგვლივ, დამლაგებლებისა და მებაღეების ჩათვლით, რომლებსაც პრაქტიკულად არც კი ვიცნობდი. ბოლო საღამო ჰრადის ახლოს რესტორანში გავატარე თეატრის მეგობრებთან და დაშას კოლეგებთან ერთად. შუაღამისათვის კი მოედანზე გამოვედით, რათა პრეზიდენტის შტანდარტის ჩამოხსნისთვის გვეყურებინა. შემდეგ მცველები მოვიდნენ და შემახსენეს, რომ ამით მათი სამსახური დასრულდა და რომ მიუხედავად ამისა, არ უნდა მეშინოდეს, რადგანაც დილამდე ჩემთან დარჩებიან. იმ ღამეს საოცრად მომეშვა გულზე და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ აღარ ვატარებ ამ ტვირთს. არ დავმალავ, რომ დაბოლოება საშინელი იყო, თუმცა თანამდებობის დატოვების შესახებ

„მეფე ლირის" სტილში ჩაფიქრებული ჩემი პიესისთვის – ნამდვილად შთამაგონებელი. ვერ ვიტყვი, რომ სამშობლოს სამსახურისთვის მადლიერება არ მხვდა წილად. პირველ რიგში, პარლამენტის გადაწყვეტილებით, კანონით დაშვებული ორივე უმაღლესი ჯილდო მომენიჭა, დიდი ხნის წინ ერთ-ერთი მათგანი ჩემით მოვიგონე და შემოვიღე. მეორეც, დაშამ ორგანიზება გაუწია დიდ გამოსამშვიდობებელ საღამოს ეროვნულ თეატრში, სადაც მომესალმა და მიმღერა ათობით ჩვენმა საუკეთესო მსახიობმა და მომღერალმა. მათი ასე ერთად შეკრება დიდ შრომას მოითხოვდა, დაშა ნახევარ წელს საიდუმლოდ მუშაობდა ამაზე, მე კი ეს წუთები დიდად ვერ შევირგე, რადგანაც საპრეზიდენტო ლოჟაში გაშეშებული ვიჯექი, რაიმე ჩავარდნისა და უხერხულობის შიშსა და მოლოდინში, ეს ხომ ერთი გრანდიოზული იმპროვიზაცია იყო. საბოლოოდ, ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა. და მესამეც, ჩეხური როკის ანდეგრაუნდი გამომემშვიდობა შესანიშნავი კონცერტით როკ კაფეში.

შესაძლებელია, რომ სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ოთხჯერ იქნა არჩეული პრეზიდენტად, ვითომც არაფერი, ისე გავიდეს პენსიაზე და მშვიდად იცხოვროს? თუ უბრალოდ, ეს პირადად თქვენ არ გამოგდით?

ვიყო გზამკვლევი, ეტყობა, ჩემი სამუდამო ხვედრია, მიუხედავად იმისა, რომ ამის წინააღმდეგ გამუდმებით ვიბრძვი. გულუბრყვილოდ მეგონა, რომ ფუნქციის დასრულებისთანავე, საბოლოოდ დასრულდება ჩემს ცხოვრებაში თავგადასავლების ხანა და როგორც უზრუნველყოფილი, მაგრამ მოვალეობებს ჩამოშორებული ადამიანი, შევძლებ ცხოვრებით ტკბობას, მოგზაურობას, დასვენებას, ფიქრს და იმ უმნიშვნელოვანესის წაკითხვას, რაც თავის დროზე გამომრჩა, ეს უტოპიური ოცნება აღმოჩნდა. ყველაფერი სხვაგვარადაა. დავიწყოთ იმით, რომ მომიწია ვყოფილიყავი ჩეხეთის პირველი ექსპრეზიდენტი. ჩვენ ხომ ჯერ არასოდეს გვყოლია პრეზიდენტი, რომელმაც ჩვეულებრივად დაასრულა თავისი მანდატი. მასარიკი, ასაკისა და შერყეული

ჯანმრთელობის მიზეზით, ვადაზე ადრე გადადგა და დარჩენილი თითებზე დასათვლელი წლები ლანში, როგორც სახალხო გმირმა და წმინდანმა ისე გაატარა. ბენეში ორჯერ გადადგა, მანდატის დასრულება არასოდეს ღირსებია. ჰახა თავიდან მოიშორეს და პატიმრობაში გარდაიცვალა (სხვათა შორის, ერთადერთი ჩვენი პრეზიდენტი იყო, რომელიც პრეზიდენტობის შემდეგ აღმოჩნდა პატიმრობაში, როგორც წესი, პირიქით ხდებოდა). გოტვალდი პრეზიდენტობის ხანაში გარდაიცვალა. ზაპოტოცკიც. ნოვოტნის ვადამდე და თანაც, სამარცხვინოდ მოუხდა თანამდებობის დატოვება. სვობოდას ავადმყოფობის მიზეზით ჩამოერთვა ფუნქცია. ჰუსაკმა ვადამდე დატოვა პოსტი, თანაც შერცხვენილმა, როგორც ადამიანმა, რომელმაც წააგო თავისი თამაში. ამდენად, არ ვართ მიჩვეული ნორმალურად ვადადასრულებულ პრეზიდენტებს და ამიტომაც არ ვიცით როგორ მოვეპყროთ მათ. გულში მეცინება ხოლმე, როდესაც ვხედავ, რომ ხალხმა არ იცის როგორ მომმართოს. ერთნი მომმართავენ „პან პრეზიდენტო“, სხვები „პან ყოფილო პრეზიდენტო“, ზოგიც „პან ჰაველ“, სულ იმის მოლოდინში ვარ, რომ ვინმე მომმართავს „პან ყოფილო ჰაველო“. ყველა სადღაც მეპატიჟება იმ ანგარიშით, რომ ბოლოს და ბოლოს, ახლა უფრო მოცლილი ვარ, ამავე დროს, ცოტა მიფრთხიან იმის შიშით, რომ ჩემთან ურთიერთობით საქმე არ გაიფუჭონ. ზოგიერთი თითქოს ქურდულადაც კი მესალმება, მსგავსად ჩემი დისიდენტობის ხანისა. ცხადია, ეს არა ჩვენში ექსპრეზიდენტის ინსტიტუტის უჩვეულობით, არამედ დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის სპეციფიკურობითა და ჩემი ოდინდელი პოლიტიკური როლითაა გამოწვეული. ხშირად მეპატიჟებიან ხოლმე უცხოეთში, სხვადასხვა ღონისძიებაზე, ლექციების წასაკითხად, ცერემონიებზე, პოლიტიკურ თუ სამუშაო ვიზიტებზე, შესაძლოა, მაშინდელზე უფრო ხშირადაც კი, ეს ბუნებრივია, უცხოელებსაც დღეს უფრო მოცლილი ვგონივარ. თუმცა, აქ სიფრთხილე მმართებს, არ მაქვს უფლება ეს ყველაფერი სხვებს დავაბრალო. საერთაშორისო ასპარეზზე იმდენ საქმეში გავერიე და თანაც საკუთარი ნებით და სიხა-

რულით, რომ გარკვეული პრობლემების საკუთარ თავზე აღება გარდაუვალია. უნდა გამოვიდე ტოტალიტარული რეჟიმებისა და დიქტატურების წინააღმდეგ კუბაში, ბელორუსეთში, ბირმასა თუ ჩრდილოეთ კორეაში. არ შემიძლია დავემალო იქაურ დისიდენტებს, რომლებიც ჩამოდიან და ჩემთან შეხვედრა სურთ, არ შემიძლია არ შევხვდე უცხოელ პოლიტიკოსებს, რომლებთან ერთადაც მნიშვნელოვანი მოვლენების მონაწილე ვიყავი და ვცდილობდი ისტორიის მსვლელობის შეცვლას. ამ ყველაფრისთვის თავის არიდება, მთელი ჩემი აქამდელი ცხოვრების გზის უარყოფა იქნებოდა. ერთი სიტყვით, გულწრფელად გეტყვით, რომ ნამდვილ და ხანგრძლივ დასვენებაზე, მოგზაურობაზე, ფიქრზე ან კითხვაზე არც კონცენტრირების საშუალება და არც საოცნებო დრო მაქვს. ამ ყველაფრისთვის, როგორც ადვილი დასანახია, ერთის მხრივ, გარკვეულწილად, პასუხს ჩემით ვაგებ, მორეს მხრივ კი (სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს) ჩემი პოსტპრეზიდენტობის თანმხლები განსაკუთრებული ვითარებები. დიდი ხნის განმავლობაში პირველი დემოკრატი პრეზიდენტი ვიყავი, ჩემს სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი რევოლუცია და რკინის ფარდის დაცემა, ერთი სიტყვით, განსაკუთრებული შემთხვევა ვარ, რითიც ბევრი რამ შეიძლება აიხსნას. ამასთანავე, და გარკვეულწილად ეს ასეც უნდა იყოს ალბათ, თანამედროვე ჩეხური პოლიტიკისა და მისი ზნეობის, პერმანენტულ და ლატენტურ ოპოზიციაში ვიმყოფები. წყნარი პენსიონერობისთვის ამაზე მეტი ხელის შემშლელი ფაქტორების წარმოდგენა, ალბათ, შეუძლებელია. თუმცა აბა სხვაგვარად როგორ? ეს ხომ ძალიან საინტერესო და მიმზიდველი გამოცდილებაა. განსაკუთრებული კი ის გახლავთ, რომ ეხმიანება ერთი პიესის დაწერის შესახებ ჩემს ძველ ჩანაფიქრს. აი პატარა მაგალითი: ყოფილი პოლიტიკოსები ყოველთვის მეჩვენებოდნენ ოდნავ ნათრევებად, დაჭმუჭვნილებად, ცუდად ჩაცმულებად, გახუნებულებად და ახლა მივხვდი, ეს იმიტომ ხდება, რომ აღარ სჭირდებათ ყოველდღიურად გაპრანჭვა და გამოწკეპა ტელევიზიისა და ფოტოგრაფების გამო, რომლებიც, თანამდებობაზე ყოფნი-

სას, განუწყვეტლივ ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ. ვინ არ აყვება ხოლმე ცდუნებას, მიაფურთხოს გარეგნობაზე ზრუნვას? გარდა ამისა, არც ირგვლივ მყოფი საზოგადოება აიძულებს ადამიანს იზრუნოს საკუთარ გარეგნობაზე, ყველამ იცის, რომ დღესდღეობით ეს არც თუ ისე მნიშვნელოვანია. ან კიდევ სხვა რამ: უცებ აღმოაჩენ, რომ არ შეგიძლია, იმაზე, ვინც შეგცვალა თანამდებობაზე, ისე ღიად ისაუბრო, როგორც გწადია. ცხადია, მყისვე დაგბრალდება განაწყენება, ეჭვიანობა ან პასუხისმგებლობით დაუმძიმებელი ადამიანისათვის დამახასიათებელი ყბედობა. მაგრამ სულ მთლად გაჩუმებაც ხომ არ შეიძლება? ასე რომ, გინდა არ გინდა, ისევ და ისევ, როგორც ყოველთვის, ორი ბოროტებიდან ნაკლების ამორჩევის დილემის წინაშე დგახარ, ისევე როგორც ეს პოლიტიკაში იყო. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტი გარკვეული ვადით ხარ, ექსპრეზიდენტი კი სიკვდილამდე. აქამდე არც ეს მესმოდა. და კიდევ: ძველად, ყოველი შეხვედრის წინ, მაწვდიდნენ მოკლე და ამომწურავ ინფორმაციას იმის შესახებ, ვისაც უნდა შევხვედროდი, თუ ვინ არის, რას საქმიანობს, რატომ ველაპარაკები, შევხვედრივარ აქამდე თუ არა და ა.შ. დღეს, როდესაც მხოლოდ პატარა სამდივნო გამაჩნია, ეს არც ისე ადვილია და რომ არა რამდენიმე ძველი თანამშრომელი და მეგობარი სხვადასხვა სამინისტროსა და დაწესებულებაში, ვინ იცის როგორ გავართმევდით თავს დღევანდელ საქმიანობას. მსგავსი პრობლემების სია შემიძლია კიდევ გავაგრძელო, მაგრამ ვიმეორებ, რომ არაფერს ვუჩივი. პირიქით, ვხარობ ცხოვრებით და ვცდილობ გულწრფელად ვუპასუხო თქვენს შეკითხვებს.

6.

(ჰრადეჩეკი 28. 11. 2005)

მთელი სექტემბერი და ოქტომბერი არ გავჩერებულვარ. რას ვაკეთებდი? ვეწვიე ევროპის მრავალ ქვეყანას, მქონდა ათასი მოლაპარაკება, ვიზიტი, დებატი, ბევრჯერ გამოვედი სიტყვით და ეს ყველაფერი წლის იმ ნაწილში, როდესაც, როგორც წესი, ვავადმყოფობ. მიკვირს, რომ ადვილად დავძლიე ეს ყველაფერი. ახლა ისევ ჰრადეჩეკზე ვარ, ყველაფერი თოვლის სქელ საბურველშია გახვეული, ხეებიც ზღაპრულადაა გადაპენტილი. მართლაც მეუდაბნოეს ვგავარ. ჰრადეჩეკი მარტოობაა. ერთადერთი მეზობელი, ახლომდებარე აგარაკის მეპატრონე – ანდრეი კრობი ახლა აქ არ არის. გუშინ, საღამოს, ტელევიზორში ტრილერს ვუყურე და შემდეგ გავაცნობიერე, რომ პირველად ცხოვრებაში მეშინია აქ ყოფნის. მხოლოდ იმის გაფიქრება, რომ უეცრად სადმე ადამიანის ჩრდილი შეიძლება დავინახო, მყოფნის რათა კანი ამეხორკლოს და გულის ფიბრილაცია დამეწყოს. რახანია პრესის კითხვას შევეშვი, სიახლეებს ტელევიზიით ვიგებ. გაზეთებს, შემთხვევით თუ ჩამივარდა ხელში, მხოლოდ მაშინ ვკითხულობ. რამდენიმე დღის წინ, ბუდაპეშტიდან რომ მოვფრინავდი, უკანასკნელად მაშინ მომხვდა ხელში და აღმოვაჩინე, რომ სკანდალში გავხვეულვარ. ჩეხური პრესა იმითაა დანაღვლიანებული, რომ, მათი ვარაუდით, მხარს ვუჭერ ჩვენს ახალ პრემიერს. ვფიქრობ, სკანდალი მაშინ წარმოიშვა, როდესაც პრემიერმა ყავაზე დამპატიჟა. გამომშვიდობებისას თავს დაგვესხა ჟურნალისტი, რომელსაც აინტერესებდა თუ როგორ მოვახერხებდი ჩვენს ახლანდელ პრემიერთან ურთიერთობას ისევ პრეზიდენტი რომ ვყოფილიყავი. მეც ვუპასუხე, რომ ჩემი აზრით, მოვრიგდებოდით. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ დღევანდელი პრეზიდენტივით, პრემიერთან კონსტიტუციის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ გაუთავებელ ღია კამათში არ ვიქნებოდი. ეტყობა, უფრო ზუსტად და კონკრეტულად უნდა გამომეთქვა ჩემი აზრი, მიუხედავად ამისა, არ მესმის რატომ აქციეს ეს ფაქტი ინტრიგებისა და სკანდალების თემად. თუმცა, ხომ არ შეიძლება

ყველაფერი მესმოდეს. ჰო, რომ არ დამავიწყდეს, გადავწყვიტე, რომ პრეზიდენტის კანცელარიისადმი ჩემი ბრძანებებიდან ამონარიდებში თანამშრომლებს მხოლოდ ინიციალებით მოვიხსენიებ. სხვადასხვა სამსახურის სახელწოდებებისთვისაც შემოკლებებს გამოვიყენებ. ეს ამ ტექსტების თავდაპირველი არაოფიციალურობის ერთგვარი გამოძახილი იქნება.

მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე და მოწმე იყავით. თქვენი, როგორც პრეზიდენტის, ცხოვრებიდან რას მიიჩნევთ ყველაზე მნიშვნელოვნად და რაში ხედავთ თქვენს პირად პოლიტიკურ წარმატებას?

დღეს, ალბათ, ბევრმა, განსაკუთრებით უმცროსმა თაობამ, აღარ იცის რას წარმოადგენდა „ვარშავის ხელშეკრულება". მათთვის ეს მორიგი პოლიტიკური მოვლენაა სხვა მრავალ მოვლენას შორის და ზოგიერთი იმ აზრს ემხრობა, რომ ეს პაქტი თავისთავად, ავტომატურად, დაიშალა ისტორიის თვითდინების მიზეზით. ეს ასე არ გახლავთ. აუცილებლად დასაშლელი იყო, თუმცა ეს არ იყო ადვილი. ჩვენს ქვეყნებში საბჭოთა ჯარები იდგა; ჩვენი გენერალური შტაბები, მეტნაკლებად, საბჭოთა მთავარსარდლობის ფილიალებს და საბჭოთა სამხედრო დაზვერვის ცალკეულ სამსახურებს წარმოადგენდა; ათწლეულების მანძილზე საზოგადოებრივ აზროვნებაში ნერგავდნენ ეჭვს გარეშე მდგომ ფუნდამენტურ დოგმას ამ ალიანსის სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ. თავისუფალი არჩევნები შეგვეძლო გვდომებოდა და გვქონოდა კიდეც, შეგვეძლო კონსტიტუციურად დაკანონებული კომუნისტური პარტიის წამყვანი როლი გაგვეუქმებინა, შეგვეძლო გვეყვირა თავისუფალი პრესისა და საბაზრო ეკონომიკის შესახებ, მაგრამ „ვარშავის ხელშეკრულების" (საბჭოთა ჰეგემონიისა და ძალმომრეობის ამ ძირითადი იარაღის) გაუქმების აზრი რადიკალებსაც კი უკიდურესად სახიფათოდ მიაჩნდათ. გორბაჩოვს, ცხადია, არც კი დაესიზმრებოდა, რომ ვინმეს მსგავსი სურვილი გაუჩნდებოდა. და როდესაც ამაზე ხმამაღალი საუბარი დაიწყო, უკიდურესად რთული სიტუაციის წინაშე აღმოჩნდა. ერთი მხრივ, უხეში

სამხედრო ძალის გამოყენება აღარ შეეძლო, ეს მთელი მისი „პერესტროიკისათვის“ თავში ჩარტყმა იქნებოდა. მეორე მხრივ, უნდა სცოდნოდა, რომ ამ პაქტის დაშლას შედეგად საბჭოთა კავშირის ნგრევა მოჰყვებოდა. დასაწყისისათვის ვსაუბრობდით სრულიად ევროპული უსაფრთხოების ახალ სტრუქტურაზე, რომელსაც ყოველგვარი სირცხვილის გარეშე შეუერთდებოდა „ვარშავის ხელშეკრულების“ ქვეყნები. მოგვიანებით, ახალი საერთაშორისო სიტუაციიდან გამომდინარე, საუბარი დაიწყო „ხელშეკრულების“ სამხედრო სტრუქტურის გაუქმებაზე, პოლიტიკური სტრუქტურის გაუუქმებლად, რაც მის ცარიელ სიმბოლოდ გადაქცევას გულისხმობდა. სრული გაუქმება კი მხოლოდ რამდენიმე თვით გვიან, თავდასხმების ამ გრძელი ჯაჭვის ბოლოს მოხერხდა. დღეს უკვე ძნელი ასახსნელია, ერთი მხრივ, რა რისკთან იყო დაკავშირებული და მეორე მხრივ, რამდენად საჭირო იყო ეს თუ მანევრები (არა მხოლოდ „ველიკოდერჟავული“ მისწრაფებების გამო, არამედ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებითაც). დაბოლოს, რაც შეეხება ჩვენს პირად აზრებს, ყველას გვესმოდა, „ვარშავის ხელშეკრულება“ უნდა დაშლილიყო, მაგრამ დასაწყისში არავინ იცოდა როგორ შეიძლებოდა ამის სისრულეში მოყვანა. მახსენდება, რომ პატარა პრობლემა უნგრელებთან შეგვექმნა. მათ არ უნდოდათ „ვარშავის ხელშეკრულების“ გაუქმება – უნდოდათ პაქტიდან ზარ-ზეიმით გამოსვლა. ეს კი პაქტის გაუქმების შემთხვევაში შეუძლებელი ხდებოდა. მათ ამ პოზიციას ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნდა. გრძნობდნენ რა უზარმაზარი სიმბოლური მნიშვნელობა ექნებოდა უნგრელი ხალხისთვის იმ ნაბიჯს, რომლის გადადგმის მცდელობისთვისაც 1956 წელს უნგრელები სისხლში ჩაახრჩვეს. მახსოვს, მოსკოვში „ვარშავის ხელშეკრულების“ ერთ-ერთ სამიტზე, ჩვენ, პოლონელებმა და აღმოსავლეთ გერმანელებმა, სასტუმროში უნგრელებს იმდენი ვუჩიჩინეთ შუაღამემდე, რომ ბოლოს გადმოვიბირეთ კიდეც. ეს არ იყო მარტივი საქმე და დიდ ძალისხმევას მოითხოვდა ჩვენგან. განსკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, თუ რაოდენ ზანტად და უხალი-

სოდ გვტოვებდნენ საბჭოთა ჯარები, მაგრამ ბოლოს მაინც მოვახერხეთ ჩვენის გატანა. 1991 წლის ზაფხულის იმ წამს, როდესაც, როგორც თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენელმა, უკანასკნელი სამიტის დახურვისას საზეიმოდ ვაუწყე მთელ მსოფლიოს, რომ „ვარშავის ხელშეკრულება" ეს-ესაა დაიშალა, ვთვლი მთელი ჩემი ცხოვრების ყველაზე გამორჩეულ მომენტად. მით უმეტეს, რომ ეს მოხდა პრაღაში – ქალაქში, რომელსაც სულ რაღაც ოცდათორმეტი წლის წინ თავს დაესხა ეს პაქტი. ცხადია, როგორც გამნაღმველთა ქვედანაყოფის, ანუ კლასობრივი მტრებისთვის განკუთვნილი ტრადიციული საბჭოური ეშაფოტის ერთ აბუჩად აგდებულ და ყოვლად სასაცილო მებრძოლს, მსოფლიოში უმძლავრესი ორი სამხედრო ალიანსიდან ერთ-ერთის ლიკვიდატორის როლში თავი საკმაოდ აბსურდულად უნდა მეგრძნო. გორბაჩოვი ამ თვითლიკვიდაციურ სამიტს არ დაესწრო, მას იანაევი ცვლიდა, დოსტოევსკის ერთგვარი დაღვრემილი ლოთი, რომელსაც ეტყობა გორბაჩოვზე უარესი ნერვები ჰქონდა და სამიტიდან სამი კვირის შემდეგ პუტჩის მოხდენა სცადა. ამით საბოლოოდ დაასამარა თვით საბჭოთა კავშირი, რომელსაც „ვარშავის ხელშეკრულების" დაშლის შემდეგ დიდი ხნის სიცოცხლე ისედაც არ ეწერა. „ვარშავის ხელშეკრულების" დაშლით, ამ თითქმის დავიწყებული ისტორიული მოვლენით, საბოლოოდ დასრულდა მსოფლიოს ბიპოლარული დაყოფა და ჩვენი ცივილიზაცია შეუდგა ახალი და უკეთესი მსოფლიო წყობის ძიების რთულ გზას. საჭიროა აღინიშნოს, ჯერ კიდევ ვერ იპოვა და ვერც იპოვის, სანამ ადმინისტრატორი პოლიტიკოსები ასე ძლიერ სჭარბობენ მეოცნებეებს.

რას გაიხსენებდით ნატოს გაფართოებასთან, ნატოში ჩვენს გაწევრიანებასთან დაკავშირებით? ეს უკვე მარტივად მიმდინარეობდა და მხოლოდ „ვარშავის ხელშეკრულების" დაშლის ლოგიკური შედეგი იყო?

სრულებითაც არა. მეტიც, ვიტყოდი, რომ კიდევ უფრო რთული იყო.

რატომ?

ბრძოლა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებისათვის, პრინციპში, ათ წელიწადს გრძელდებოდა. ამ პროცესის ასე გაწელვისთვის არაერთი მიზეზი არსებობდა, მთავარი კი მაინც დასავლეთის ქვეყნების ერთგვარი კონსერვატიზმი და სიფრთხილე გახლდათ. ეშინოდათ. ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს კარგად არ ვყავართ შესწავლილი. არ ესმოდათ, როგორ შეიძლება ამდენმა ერმა თვალის დახამხამებაში იცვალოს აზრი და მისწრაფება, როგორც ეს მაშინ ჩანდა, და მიმართოს სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით. მარტო იმის წარმოდგენაც კი აშინებდათ, რომ საკუთარ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მრავალი საიდუმლო უნდა გაანდონ გუშინდელ მოწინააღმდეგეებს, ჯერ კიდევ სრულიად გაუგებარი სახის მქონე პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, სადაც არავინ იცის თუ რა მოხდება ხვალ. რას წარმოადგენს იქ ხელისუფლებაში მოსული ხალხი, რა სირთულეებს შეუქმნიან მთელ გაერთიანებას ეს ახალი და ჯერაც შეუცნობელი პარტნიორები. ილუსტრაციისათვის: გაფართოებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ, ვაშინგტონში, ნატოს წევრი ქვეყნების პირველ პირთათვის გაიმართა სადილი, რომელზე დასწრებაც მხოლოდ პრეზიდენტებს ან მთავრობის თავმჯდომარეებს შეეძლოთ. სადილის მსვლელობისას პრეზიდენტი კლინტონი გვესაუბრებოდა მილოშევიჩის სერბეთში შეჭრის აუცილებლობაზე. ჩემი პირველი და სავსებით სპონტანური შინაგანი რეაქცია გაოგნება იყო. გაოგნება იმით, რომ ჩემ და ჩემს კოლეგა კვასნევსკის წინაშე მსგავს დელიკატურ თემებზე ასე ღიად საუბრობდნენ. ცხადია, ჩემს რეაქციაზე იმწამსვე გამეცინა. ვგრძნობდით, შეუძლებელი იყო ბოლომდე გვნდობოდნენ და ამიტომაც გვაკვირვებდა აღმოჩენილი ნდობა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კლინტონის ზეპირი, საკმაოდ გრძელი და დაწვრილებითი გამოსვლა მეტყველებდა მის გათვითცნობიერებულობაზე და ძალიან შთამბეჭდავი იყო. ვფიქრობ, ევროპული სახელმწიფოების იქ მყოფ პირველ პირთაგან ყოფილი იუგოსლავიის საქმეებში ცოტა ვინმე თუ იყო ასე ღრმად ჩახედული.

თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით გვიამბეთ, როგორ იბრძოდით ნატოს გაფართოებისათვის და რატომ მიგაჩნდათ ეს ასე მნიშვნელოვნად. მშვენივრად მოგეხსენებოდათ, რომ თქვენთვის ახლობელ დასავლელ ლიბერალ ინტელექტუალებს შორის, ნატოს მომხრეზე მეტი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მართალია, რომ ნატოს გაფართოების საკითხი საბოლოოდ გადაწყდა ვაშინგტონში, არაოფიციალურ ვახშამზე, რომელსაც ესწრებოდით თქვენ, კლინტონები და მადლენ ოლბრაიტი?

არაერთი მსგავსი ვახშამი გამართულა. ყოველი მათგანი ამ თემას უტრიალებდა, მე კი ყოველთვის გაფართოების იდეის დამცველი ვიყავი. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ არც ერთ ამ ვახშამს თავისთავად არ გადაუწყვეტია აღნიშნული საკითხი. ჩემი აქტიური აგიტაცია არაოფიციალური ვახშმებისას და რაც მთავარია საჯარო გამოსვლებისას განპირობებული იყო რწმენით, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება მომხდარი ცვლილებების შეუქცევადობისა და ევროპაში მშვიდობის გარანტია იყო. კარგად მქონდა წარმოდგენილი დემაგოგების, პოპულისტების, ნაციონალისტებისა და პოსტკომუნისტების ბრბო, რომლებსაც გაჭიანურების ყოველი წუთი მატებს არგუმენტებს იმის საღაღადებლად, რომ აროგანტული, მომხმარებლური და ეგოისტური დასავლეთი არ გვცნობს, არ გვღებულობს და ამდენად, საკუთარი გზით უნდა ვიაროთ. სწორად გამიგეთ, საუბარია ავტორიტარულ გზაზე, რომელიც დაკარგული წითელი დროშის სანაცვლოდ ნაციონალიზმის დროშას ებღაუჭება. დროშას, რომელსაც თავის მაფიოზურ ქმედებებსა და პრივატიზაციის გზით ქონების მისაკუთრებას ამოაფარებს. ახლადგაღვიძებული ნაციონალიზმი კი დაპირისპირებებისა და ხიფათის ახალ ტალღას ნიშნავდა. მართალია, ნაციონალისტები წყლის წვეთებივით ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ ამას მათ შორის ურთიერთგაგებამდე არ მივყავართ, რადგან მათი იდეოლოგია, თავისი არსიდან გამომდინარე, კონფრონტაციულია. თუმცა, ეს არ იყო ჩემი მცდელობების ერთადერთი მიზეზი. ამავდროულად,

ვფიქრობდი, რომ (ტექნიკურად საშინლად რთული, დროში გაწელილი და ვაი, რომ პოლიტიკურად ნაკლებად მომგებიანი) ევროკავშირის გაფართოებისაგან განსხვავებით, ნატოს გაფართოება ტექნიკურად შედარებით მარტივი პროცესი და ამავე დროს პოლიტიკურად ბევრად უფრო მომგებიანია. ამდენად, თვითონ მწიფდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ, პირველ რიგში, ნატოში უნდა გავწევრიანდეთ, რაც თავის მხრივ, ევროკავშირში შესასვლელად სამზადისისთვის უფრო მშვიდ და სტაბილურ ატმოსფეროს შეგვიქმნიდა. თუმცა, სხვანაირადაც შეიძლება მსჯელობა. ვინ იცის, მოინდომებდა კი საერთოდ, შედარებით უფრო ფრთხილი და ეგოისტური ევროპა გაფართოებას, რომ არა ნატოს წინასწარი ან პარალელური გაფართოება, რაც მისი უშიშროების გარანტია იქნებოდა და რასაც თვითონ ვერასოდეს მოახერხებდა? როგორც კარგად არის ცნობილი, ახალი წესრიგის მოთავე და გარანტი, პირველ რიგში, შეერთებული შტატები იყო. ამას მშვენივრად ვგრძნობდით და არც ვმალავდით. ალბათ ამიტომაა, რომ იმ დროიდან მოყოლებული ჩვენს ქვეყნებს გადამეტებულ ამერიკანიზმში ადანაშაულებენ.

დარწმუნებული ხართ, რომ აღმოსავლეთ ევროპის დანარჩენი სახელმწიფოების წარმომადგენლებსაც მსგავსი შეხედულებები გააჩნდათ მაშინ?

ვფიქრობ, კი და აი ამის ერთი პატარა მაგალითი: როდესაც პრაღაში პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის უმაღლესი წარმომადგენლების წინაშე კლინტონმა წარმოადგინა პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, ყველამ ერთხმად და ყოყმანის გარეშე აღვნიშნეთ, რომ ეს საჭირო მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, თუმცა, რომ ალიანსის სრულფასოვანი წევრობის მაგივრობას ვერ გაწევს. პირიქით, რომ ამ მოვლენას ვუყურებთ, როგორც ალიანსისკენ გადადგმულ ნაბიჯს. ზუსტად მაშინ, ეს 1994 წელი იყო, ჩვენი საერთო განცხადების პროექტს ვწერდი და მახსენდება, ვიშეჰრადის ქვეყნებმა ამ განცხადების ტექსტი ულაპარაკოდ მოიწონეს.

რას იტყოდით იმ კრიტიკოსების მისამართით, რომლებიც ნატოს უყურებენ როგორც დასავლეთის იმპერიალიზმის იარაღს, პოლიტიკოსებისა და გენერლების ალიანსს, რომელიც ემსახურება მძლავრი საერთაშორისო კორპორაციების ექსპანსიას, ყოველ შემთხვევაში, ეხმარება დღესდღეობით მათი გავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიების შენარჩუნებაში.

როგორც გლობალიზაციის მრავალი ასპექტის ტრადიციულ კრიტიკოსს, მსხვილ ბიზნესსა და კორპორაციებზე პოლიტიკის მზარდი გავლენის ჩათვლით, ცხადია, კარგად მესმის მათი უკმაყოფილებისა. მიუხედავად ამისა, უკვე რა ხანია მივხვდი, რომ ალიანსის უგულებელყოფას უკეთესი ალტერნატივის დაუსახელებლად, ჯობია კიდევ და კიდევ შევახსენოთ ხოლმე მას, მისსავე საფუძველში ჩადებული ფასეულობები და ყოველივე ვიღონოთ, რათა, პირველ რიგში, ამ ფასეულობებს ემსახუროს. კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი და ქმედებებში ავსახოთ იდეა, რომელიც ნატოს შექმნას დაედო საფუძვლად – რომ თავისუფლებას და დემოკრატიას დაცვა ესაჭიროება და თუ საჭირო შეიქმნა ძალის გამოყენებითაც კი. გულის გაწყალებამდე ვიმეორებდი, რომ ნატო არის ორგანიზაცია, რომელიც მოქალაქეებს უნდა ემსახურებოდეს და არა მხოლოდ გენერლებს.

(1. 5. 2001)

(...)

3)(...) რევოლუციის მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში ერთი აკვიატებული სურვილი მქონდა, მინდოდა პირადად შევხვედროდი წინა რეჟიმის რომელიმე უმაღლეს წარმომადგენელს და მეცადა შემეტყო როგორ ხედავდა მიმდინარე მოვლენებს ძალაუფლების ცენტრიდან, რას ფიქრობდა მაშინ და რას ფიქრობს ახლა, როგორ მუშაობდა რეჟიმის მანქანა, ვის ვისი ეშინოდა, ვინ ვის უთვალთვალებდა და ა. შ., ერთი სიტყვით, საშინლად ცნობისმოყვარე ვარ. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, პირველ რიგში, შემდეგი ორი მიზეზის გამო: 1. ამ შეხვედრის შესახებ საზოგადოებას რომ შეეტყო, შეტყობით კი აუცილებლად შეიტყობდა (კონსპირაციას

ნამდვილად არ მივმართავდი) და რაოდენ პირადული ხასიათიც არ უნდა ჰქონოდა ამ შეხვედრას, აუცილებლად დამკორტნიდნენ, განსაკუთრებით კი ჩვენი რევოლუციის შემდეგ ახლადგამომცხვარი ანტიკომუნისტები. პირადად მე ეს დიდად არ მაღელვებდა, მაგრამ ჩვენს ახალგაზრდა და ჯერ კიდევ გამოუცდელ დემოკრატიას მსგავსი კონფლიქტი ნამდვილად არ წაადგებოდა, მით უმეტეს, რომ ამგვარი შეხვედრა მიღებული იქნებოდა, როგორც კიდევ ერთი მტკიცებულება დისიდენტებსა და კომუნისტურ ხელისუფლებას შორის არსებული საიდუმლო შეთქმულებისა, რაც მაშინ საკმაოდ პოპულარულ თეორიას წარმოადგენდა. 2. იმათ, ვინც კომუნისტებს კარგად იცნობდა, დამარწმუნეს, რომ ასეთი შეხვედრა წყლის ნაყვა იქნებოდა, რადგან თითქოს მათგან საინტერესოს ვერაფერს მოვისმენდი, მხოლოდ ტყუილსა და ხმამაღალ ფრაზებს. (...)

(10. 2. 2002)

(...)

2) პუტკასთვის გასაგზავნი წერილის ძალიან ზოგადი მონახაზი: (...) ამავდროულად, მინდა ახლავე გაგიზიაროთ, თუ რაოდენ მოხარული ვიქნებოდი პრაღაში ნატოს ნოემბრის სამიტზე თქვენი მასპინძლობით. სამიტი, ბოლოდროინდელი ტრადიციისამებრ, გაერთიანებული იქნება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს, ნატო-რუსეთის ფედერაციის კომიტეტის და ნატო-უკრაინის კომისიის სხდომებთან. ამ ოფიციალური შეხვედრების პარალელურად, გაიმართება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული მრავალი აქცია, მიძღვნილი მომავალი მსოფლიოს პოლიტიკური მოწყობისა და უსაფრთხოების საკითხებისადმი. მჯერა, რომ შეხვედრაზე „ნატო-რუსეთის ფედერაცია" ოფიციალურად დაფიქსირდება ალიანსსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ხარისხობრივად ახალი ეტაპი. ვეჭვობ, რომ შეუძლებელია მომავალი მსოფლიოს წარმოდგენა კეთილგანწყობილი და მყარი ურთიერთობების გარეშე ამ ორ დიდ და მძლავრ ერთეულს შორის, ამაზე საჯაროდაც ხშირად მილაპარაკია. აღნიშნული შეხვედრა პირველად ჩატარდება ყოფილი რკინის ფარდის აქეთ, რაც, ჩემი აზრით, განსაკუთრებულ შინაარსს ანიჭებს იმ ფაქტს, რომ პრაღაში რუსეთი წარმოდგენილი იყოს პირველი პირის მიერ. თქვენი პირადი დასწრება, მთელი მსოფლიოს მიერ აღქმული იქნება არა მარტო როგორც თქვენი ქვეყნის საბოლოო და მკაფიოდ გამოთქმული თანხმობა მსოფლიოს ბიპოლარული დაყოფის დასრულებასთან დაკავშირებით, არამედ,

პირველ რიგში და რაც მთავარია, როგორც მისი ნების გაცხადება, ეძებოს მსოფლიოს მოწყობის ახალი გზები, დაფუძნებული სახელმწიფო, რეგიონული თუ კონტინენტური დაჯგუფებებისგან შემდგარი მრავალი პოლიტიკური, კულტურული თუ გეოგრაფიული ერთეულის თანამშრომლობაზე. ცხადია, ოფიციალურ მოპატიჟებას მიიღებთ ნატოს გენერალური მდივნისგან. ამიტომ გთხოვთ ჩემი წერილი მიიღოთ, როგორც მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლის პირადი შუამდგომლობა.(...)

(21. 8. 1999)

(...)

6) საკუჭნაოში, სადაც მტვერსასრუტი ინახება, ისევ ის ღამურა ბუდობს. როგორ გავაგდოთ? ნათურა მოვუშვით, ტყუილად რომ არ გააღვიძოს და გააღიზიანოს. (...)

ნატოში შესვლის იდეა ჩვენში საყოველთაო მხარდაჭერით არ სარგებლობდა. სოციალ-დემოკრატებს ამასთან დაკავშირებით რეფერენდუმის მოწყობაც კი სურდათ.

მართალს ბრძანებთ, ამ მხრივ დიდი მხარდაჭერა არ იყო. რეფერენდუმი კი, ალბათ, მაინც წევრობის საწინააღმდეგოდ დასრულდებოდა. ეს ადვილი გასაგებია, რადგან ათწლეულობის განმავლობაში ტვინის იდეოლოგიური მასაჟის შემდეგ, ბევრს დარჩენილი ჰქონდა შეგრძნება, რომ ლაპარაკია იმპერიალისტებისა და კაპიტალისტების ცოტა არ იყოს საეჭვო შინაარსის მქონე ორგანიზაციაზე. თუ ასე არ ფიქრობდნენ, ეგონათ, რომ ნატო საერთაშორისო „თავგადასავლებში“ ჩაგვითრევდა და ჩვენ ველარ მოვახერხებდით საკუთარ თავზე ზრუნვას, რაც ჩვენი უპირველესი ამოცანა უნდა ყოფილიყო. ბევრს უაზროდ მიაჩნდა, „ვარშავის ხელშეკრულების“ დაშლის შემდეგ გათავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თავის ახალ, თუნდაც საპირისპირო ნიშნის მქონე, უღელში, გაყოფა. ის, რომ პირველი დამპყრობელი იყო, ხოლო მეორე – საკუთარი წევრების მსგავსი დამპყრობლისგან თავდაცვის საშუალება, ამას ველარ არჩევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში

რეფერენდუმის ჩატარების შესაძლებლობის მომხრე ვარ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში წინააღმდეგ წავედი. მძლავრი კამპანიის გარეშე შედეგი შეიძლება უარყოფითი ყოფილიყო, რაც ჩვენთვის, ისევე, როგორც მთელი ცენტრალური ევროპისათვის, სავალალო შედეგს გამოიღებდა. წარმომადგენლობით დემოკრატიაში პოლიტიკოსებმა ზოგჯერ არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება და უმცირესობის აზრის მხარდაჭერაც უნდა იტვირთონ ხოლმე. ვთქვათ, სისხლის სამართლის კანონი რეფერენდუმზე რომ გაგვეტანა, დღეს კანონში სიკვდილით დასჯა გვექნებოდა. მიუხედავად ამისა, რეფერენდუმის წინააღმდეგ მე სხვა არგუმენტი გამაჩნდა. სხვადასხვა შეთანხმებებით ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა პოლიტიკოსების ამოცანაა, რომელიც პირდაპირ პრეზიდენტის მანდატიდან გამომდინარეობს და თუკი ამ შეთანხმებებით არ ილახება ქვეყნის სუვერენიტეტი, რაც ჩვენი შემთხვევა ნამდვილად არ იყო, რეფერენდუმის ჩატარება იქნებოდა დემოკრატიულად არჩეული სახელმწიფოს წარმომადგენლის მანდატის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება ან მის მიმართ უნდობლობის გამოხატვა. ეს კი, ცხადია, არა რეფერენდუმის, არამედ ახალი არჩევნების მოწყობის მიზეზი უფროა ანუ ეს არ გახლავთ სადისკუსიო თემა. ვთქვათ ისეთი, როგორც საკითხი იმის შესახებ, თუ სად გაიაროს ამა თუ იმ გზატკეცილმა. საკუთრივ აქ ლაპარაკია პრინციპზე, ანუ სახელმწიფოს უფლებაზე დაიცვას საკუთარი დამოუკიდებლობა იმ ხელშეკრულებების მეშვეობით, რომლებსაც მიიჩნევს საუკეთესოდ.

და პოლიტიკოსებს შორის ბევრი კამათი იყო ნატოში შესვლასთან დაკავშირებით?

დიახ, იყო. ამას, ბუნებრივია, ეწინააღმდეგებოდნენ კომუნისტები და ბევრნი სოციალ-დემოკრატებს შორის, სდპ მომხრე იყო, ვაცლავ კლაუსი, ცხადია, დიდად არა, მაგრამ საბოლოოდ საკუთარი პარტიის წინააღმდეგ წასვლა მაინც ვერ გაბედა.

თითქოს მილოშ ზემანიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

თავიდან. მოგვიანებით დიდსულოვნად დათმო პოზიცია, უარი თქვა რეფერენდუმის იდეაზე და ნატოს დიდ მომხრედ გამოაცხადა თავი, თუმცა ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ ეს მხოლოდ ჩემ მიმართ ჯენტლემენური დამოკიდებულების გამოხატულება იყო – ზემანისათვის დამახასიათებელი „ნახევრადხუმრობა“.

და რუსები? დასავლეთის ორჭოფობის ერთი მართლაც სერიოზული მიზეზი, ცხადია, იყო რუსების შიში.

რასაკვირველია, ამის აღნიშვნა კინაღამ დამავიწყდა. ისევე როგორც ბევრმა სხვამ, მეც კარგად ვიცოდი, რომ ეს შიში უსაფუძვლო იყო. ცხადია, რუსებს ეს არ მოსწონდათ, განსაკუთრებით როდესაც ბალტიისპირეთის ქვეყნების მიღებაზე დადგა ჯერი. ცხადია, ხმამაღლა აპროტესტებდნენ და იმუქრებოდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ორატორობაში ტრადიციული ვარჯიში იყო. თუ რიგიანად დაფიქრდებოდნენ, ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით ნებისმიერ სერიოზულ რეაქციაზე უარს იტყოდნენ. დიდად ესაჭიროებოდათ დასავლეთის ეკონომიკური დახმარება, რუსეთი ხომ ეკონომიკური კოლაფსის ზღვარზე იდგა. ამასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო მოგონება მაქვს. პრაღაში ყოფნისას ელცინს, რომელთანაც საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა მქონდა, ვკითხე, ძალიან ხომ არ აწუხებდა ნატოში ჩვენი შესვლის ამბავი. მიპასუხა, რომ ეს ჩვენი პირადი საქმეა. მე კი ვთხოვე იგივე გაემეორებინა პრესკონფერენციაზე. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეც მოიქცა. მოგვიანებით კი, როდესაც ვბრუნდებოდით პრესკონფერენციიდან, მკითხა მომეწონა თუ არა მისი ნათქვამი და კმაყოფილი თუ ვიყავი. ეს მისთვის დამახასიათებელი ქცევა იყო. თავადური ჟესტები ჰქონდა. თოთხმეტი დღის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დასავლეთის ქვეყნებს დაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც აცხადებდა, რომ გაფართოებას რუსეთი მიიღებს როგორც მტრული დამოკიდებულების გამოხატულებას.

ეს, ასე ვთქვათ, აღმოსავლური ჩვეულებებია, რიტუალური მიზნებით რაღაცას გაჰყვირიან, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე არც კი ფიქრობენ ასე.

თქვენი პრეზიდენტობის ვადის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე პრაღაში გაიმართა ნატოს სამიტი, დიდი და რთული აქცია, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება ხოლმე ჩვენთან. იმის მიღწევა, რომ ეს სამიტი, რომელშიც ორმოცდაათი სახელმწიფოს მეთაური ღებულობს მონაწილეობას, პერიოდულად პრაღაში ჩატარებულიყო, თქვენი იდეა იყო? განა არ გახლდათ ეს გადაწყვეტილება დიდ რისკთან დაკავშირებული, არ ღირდა ძალიან ძვირი და არ გამოიწვია ჩეხეთის საზოგადოების პროტესტი?

სრულებით შემთხვევით, ზუსტად მახსოვს თუ სად და როდის დაიბადა ეს იდეა. ეს მოხდა ერთი წლით ადრე თვითმფრინავში, სტამბულის გაეროს სამიტიდან რომ ვბრუნდებოდი. ვისი იდეა იყო აღარ მახსოვს, თუმცა ერთი კი ვიცი, რომ მყისვე ამიტაცა, იქვე გადმოვიბირე საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც ჩვენთან ერთად მოფრინავდა და დავიწყე მიზანდასახული მუშაობა ხსენებული იდეის ხორცშესხმისათვის. მოგვიანებით კი არჩევანი ზუსტად პრაღაზე შეჩერდა. ეს იყო ნატოს პირველი სამიტი ახლად გაწევრიანებული ქვეყნის ტერიტორიაზე და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც ზუსტად მაშინ მოხდა ნატოს რიგებში აღმოსავლეთ ევროპის ახალი ქვეყნების მიღება, ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის ჩათვლით. მომავალი მსოფლიოს პოლიტიკური სტრუქტურის თვალსაზრისით, სავარაუდოა, რომ ეს უკანასკნელი ნაბიჯი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე თავის დროზე ვიშეგრადის სამი ქვეყნის გაწევრიანება. ამჯერად ეს აღარ იყო პატარა კომპრომისი, არამედ თვალნათლივ მიგვითითებდა იმაზე, რომ რკინის ფარდით დადგენილი ინტერესების სფეროთა გადანაწილება სრულდება. თუკი ელცინს ჩვენი გაწევრიანების დიდსულოვნად მიღება შეეძლო, პუტინისათვის ეს მართლაც ძნელი გადასაყლაპი იყო. საბოლოოდ, მიუხედავად ამისა,

პრაღის სამიტს მაინც დაესწრო. ეს 1991 წელს გორბაჩოვის პრაღაში ჩამოუსვლელობას შინაგანად უკავშირდებოდა: ერთი უნდა შეგუებოდა „მათი“ პაქტის დასრულებას, მეორე კი – „იმ მეორის“ მათ საზღვრებამდე გაფართოებას. ცოტა ვინმემ თუ შეამჩნია, რომ ორივე ეს მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა პრაღაში მოხდა, ქალაქში, სადაც, როგორც არაერთხელ მითქვამს, ტრადიციულად იხლართება და იხსნება ისტორიული კვანძები. სამიტის მომზადებას დიდი ძალ-ღონე შევალიე. მინდოდა ყველასთვის დამენახვებინა ის, რაზეც ახლახან ვლაპარაკობდი ანუ რომ ნატო არ არის, არ შეიძლება და არც სურს იყოს მოგზაურობით გართული პოლიტიკოსებისა და გენერლების კავშირი, არამედ არის, აუცილებლად უნდა და სწადია კიდეც, იყოს, მთელს ევროატლანტიკურ ცივილიზებულ სივრცეში ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებების ერთ-ერთი გარანტი. აგრეთვე მინდოდა, ზუსტად ეს სამიტი არ შერწყმოდა დამსწრეთა მოგონებებში სხვა დანარჩენ სამიტებს, პირიქით, განსაკუთრებული რეჟისურისა და ატმოსფეროს გამო, როგორც ნამდვილი ისტორიული თავყრილობა, კარგად დამახსოვრებოდათ. ვფიქრობ, მიზანს მივაღწიე. ყოველთვის, როდესაც ვხვდები რომელიმე პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა მინისტრს ან იმ მოვლენების მონაწილე სხვა უმაღლეს პირს, ხსენებულ სამიტს, როგორც განსაკუთრებულ მოვლენას, ისე იგონებენ ხოლმე. სამიტის დაგვირგვინებად კი მოგვევლინა პრაღის ჰრადის გოთიკურ ვლადისლავის დარბაზში, რამდენიმე ასეული ადამიანისთვის გამართული ვახშამი. ორგანიზებაში დაგვეხმარნენ მეგობარი ხელოვანები. ბორის შიპეკმა, ჩემმა ჰრადის არქიტექტორმა, მოფიქრა დარბაზის ორიგინალური განათება და მშვენივრად მორთო, მიხალ პავლიჩეკმა კი ჩვენი შეკვეთით სპეციალურად ამ დღისთვის უზადო ნაწარმოები დაწერა, სახელწოდებით „თავისუფლების ზეიმი“ და წარმოადგენდა შილერის ოდის „სიხარულისათვის“, „მარსელიეზის“, ამერიკული სპირიჩუელსის „თავისუფლების“, ლენონის საკმაოდ ანტიისტებლიშმენტური სიმღერის Power to the people და სმეტანას „ვლტავას“ არაჩვეუ-

ლებრივ მონტაჟს. ნაწარმოებს ასრულებდნენ სიმფონიური ორკესტრი და როკერები, გვერდიგვერდ მღეროდნენ ოპერის სოლისტები და როკის მომღერლები. ნაწარმოები შესრულდა ვახშმის ბოლოს, სულ რაღაც ნახევარსაათიანი იყო და ყველა დამსწრე, გამონაკლისის გარეშე, აღაფრთოვანა, ბუშითა და შირაკით დაწყებული, ჩემი მეგობრების, ადამ მიხნიკისა და ბრონისლავ გერემკას ჩათვლით. პრაღამ, ჩეხეთის საზოგადოებამ და სახელმწიფო ხაზინამ ეს ყველაფერი გართულებების გარეშე გადაიტანეს. შემდეგ კი ნატოს ყველა ქვეყნის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სიგელი გადმომეცა, რომელიც აფასებდა ჩემს დამსახურებას. არ ვიცოდი მათი ამ ჩანაფიქრის შესახებ და ცხადია, საოცრად ამიჩუყდა გული. იმედია, ჩემი სახლის მიწისქვეშა „ტრიუმფალურ გალერეაში" კიდია, იქ, სადაც ვინახავ ყველა მსგავს სიგელს.

(ჰრადეჩეკი 30. 11. 2005)

ათ თვეში სამოცდაათი წელი შემისრულდება. მოუთმენლად ველი ამ დღეს. კარგი იქნებოდა, რომ ამ თარიღით წერტილი ან იქნებ წერტილ-მძიმე მაინც დასმოდა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ეტაპს. მესაჭიროება ზუსტი ვადები, ასე ვთქვათ, ჰორიზონტები, რომლებიც ორიენტირებაში მეხმარებიან, ამის გარეშე ვიძირები დროის უსასრულო ნისლში. მინდა არაუგვიანეს ამ თარიღისა მოვრჩე იმის წერას, რასაც ახლა ვწერ და თუ მოვახერხე, ერთი პიესაც მივაყოლო. ჩემს დაბადების დღეზე, ტრადიციისამებრ, ჩვენი ფონდის „ვიზე 97-ის" დაჯილდოება ჩატარდება, წელს ჯილდოს მიიღებს პოლონელ-ინგლისელი ღრმა მოაზროვნე ზიგმუნდ ბაუმანი, შემდეგ გველოდება „ფორუმ 2000-ის" ათი წლისთავი ანუ საიუბილეო თარიღი და კონფერენცია თანამედროვე მსოფლიოს შესახებ, რომელიც ოდესღაც ჩემით მოვიგონე და ახლა ყოველწლიურად იმართება პრაღაში. შემდეგ მე და დაშას გვინდა ხანგრძლივი ვიზიტით, კიდევ ერთხელ, ვესტუმროთ შტატებს. პირადად მე არანაირი საქმეები აღარ მელოდება, თავს დავიძვრენდი ჩემი მოვალეობების უმეტესობათაგან და შევეცდებოდი სრულ შინაგან სიწყნარეში დავმტკბარიყავი სამყაროს ცქერით. როდესაც უკანასკნელად შევხვდი იან პოტოჩკას, დიდ ჩეხ ფილოსოფოსს (ეს რუზინეს ციხის რომელიღაც მოსაცდელში მოხდა, სადაც ორივენი

„ქარტია 77-ის" გამო დაკითხვაზე ვიმყოფებოდით და სადაც დამ-ტოვეს კიდეც იმ დღეს), მან ასე მითხრა: „არ დამიჯერებთ, მაგრამ ცხოვრება საშინლად გრძელია". მაშინ მართლაც გამაკვირვა ამ სიტყვებმა, მაგრამ ახლა, როდესაც ვუახლოვდები პოტოჩკას მაშინდელ ასაკს, მეც იგივე შეგრძნება მეუფლება – საბოლოო ჯამში, წარმოუდგენლად ბევრი რამ გადამხდა თავს ცხოვრებაში. გუშინ ჩემს ნაწერებში სრულიად უცაბედად წავაწყდი ყრმობის-დროინდელ ერთ ლექსს, ჩავეფალი იმ ლექსის კითხვაში და უცებ ორმოცდაათიან წლებში, ჩემი ლიტერატურული მცდელობების სათავეებთან აღმოვჩნდი. თვალწინ გამიელვეს მაშინდელი უახ-ლოესი მეგობრების სახეებმა, განსაკუთრებით კი პოეტ ირჟი კუბენასი. იმ ეპოქაში გადავეშვი, ვსუნთქავდი იმ ჰაერით, შევეხე იმდროინდელ რეალობას, მის ავსა და კარგს. ვეძებდი არა მხოლოდ იმ ეპოქას, არამედ საკუთარ თავსაც, საკუთარ თავს, მაშინდელსა და დღევანდელს. ამ ყველაფერმა ლამის ჭკუიდან შემშალა. წარ-მოიდგინეთ, ორმოცდაათი წლით უმცროსი ვიყავი! თვალის დახ-ამხამებაში აღმიდგა დიდი ხნის დავიწყებული ათასობით მოვლენა, უეცრად ხელახლა გადავიტანე დრო-სივრცის საიდუმლოებასთან დაკავშირებული მაშინდელი ჩემი განცდები, რომელსაც მაშინ არაერთი ლექსი მივუძღვენი. ყველაფერი მართლაც რომ წარმოუდ-გენელ კავშირშია ერთმანეთთან, ის პიესაც, რომელზეც გამუდ-მებით ვფიქრობ, ძველი განცდების და დღევანდელი ფიქრების რეტროსპექტივა, ჩემს ყრმობისდროინდელ ლექსებში ქექვა, შეგ-რძნება, რომ ვერაფერს ვასწრებ, რადგანაც დრო შემომელია და რასაკვირველია, შემზარავი სია იმ ყველაფრისა, რისი გაკეთებაც შემეძლო უკეთ და სხვაგვარად, ან შემეძლო გაკეთება და არ გავა-კეთე. ამავე დროს, საპირისპირო შეგრძნებებიც მიჩნდება ხოლმე, რომ მეტის მოსწრება შეუძლებელი იყო, რომ ესეც ბევრია, რომ ყველაფერი, რაც გავაკეთე, კარგად ესადაგება ერთმანეთს და ერთ ასხმად იკინძება, რომ თითქოს აღარაფერია დასამატებელი, რომ არაფერი მაქვს საწუწუნო, რომ ყოველი დაჩივლება მხოლოდ ზიზ-ღის გამომწვევი პატივმოყვარეობის გამოვლენაა. ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, რას მეკითხებოდა პან ჰვიუძალა? ჰო, ევროკავ-შირის შესახებ.

გადავერთოთ ევროკავშირზე. ცნობილი ხართ როგორც ამ ინსტიტუტის დიდი მეგობარი და პროპაგანდისტი, შეიძ-

ლება ევროკავშირის იდეით შეპყრობილიც კი გიწოდოთ ადამიანმა. არ გეჩვენებათ, რომ ევროპა ღრმა კრიზისშია და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვერ შეთანხმდა კონსტიტუციაზე? ან რომ ლაპარაკია დიდ ისტორიულ შეცდომაზე, რომელიც ემყარება ილუზიას, თითქოს შესაძლებელია გაუერთიანებლის გაერთიანება?

ორტეგა ი გასეტი ერთ წიგნში დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ევროპა პოლიტიკურად ყოველთვის იყო და არის ერთი მთლიანი, თუმცა, შესაძლებელია, რთულად სტრუქტურირებული. მაგრამ ვინ აყალიბებდა მის შინაგან პოლიტიკურ წესრიგს? ცხადია, ძალაუფლების მქონე ყველაზე დიდი და მძლავრი ქვეყნები და ეს წესრიგიც ყოველთვის ძალის გამოყენებით მყარდებოდა, უმეტესად პირდაპირ ბრძოლის ველზე, ზოგჯერ კი მუქარისა და შანტაჟის საშუალებით. ომის შემდგომი რამდენიმე ათწლეული, რომლის შემდეგაც ევროპა ცდილობს თავისი შინაგანი პოლიტიკური წყობა ააგოს სამართლიანობისა და დემოკრატიის, თანასწორუფლებიანობის, კეთილგანწყობისა და ყველას მიმართ პატივისცემის პრინციპებზე, დისკუსიისა და არა ძალადობის გზით, შეგვიძლია, ისტორიული თვალსაზრისით, აბსოლუტურად უნიკალურ მომენტად მივიჩნიოთ. ცხადია, მსგავსი მცდელობა არა მარტო ევროპისთვისაა შეუფასებლად მნიშვნელოვანი, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც. ევროპას მოუხდა ისტორიისთვის ცნობილი ომებიდან, ორი ყველაზე საზარელი ომის გადატანა და ამ კონფლიქტში მთელი მსოფლიოს ჩათრევა, რათა, ბოლოს და ბოლოს, გაეცნობიერებინა, რომ ეს არის გზა ჯოჯოხეთისაკენ. ევროპის გაერთიანების პროცესის სათავეებთან მდგომ დიდ ადამიანებს კარგად ესმოდათ, რომ ამ ერთიანი და ამავდრულად, ძალიან მრავალფეროვნად დანაწევრებული პოლიტიკური ერთეულის შინაგან სტრუქტურას გადახალისება ესაჭიროება, რაც, გარდა სხვა ყველაფრისა, ითვალისწინებდა ამ პროცესის ირგვლივ კამათის ბრძოლის ველიდან საკონგრესო დარბაზებში გადატანას. შესაძლოა, ეს ადამიანები ხშირად უმცირესობაში იყვნენ და არ მიჰყვებოდნენ უმრავლესობის ნებას, მაგრამ მაშინ გასდიოდათ ეს,

რადგანაც დღევანდელი პოლიტიკოსებივით ყოვლისშემძლე მედიისა და ყოველდღიური საზოგადოებრივი გამოკითხვების ტყვეობაში არ იმყოფებოდნენ. არავითარი ევროპული უნიის იდეით არ ვარ შეპყრობილი, როგორც ეს თქვენ ახსენეთ. უბრალოდ, ვაცნობიერებ ევროპაში მიმდინარე ამ გრძელვადიანი პროცესის გრანდიოზულ ისტორიულ მნიშვნელობას. ამიტომაც, დღეს იქნება მიღებული ევროკავშირის კონსტიტუცია თუ ხვალ (ადრე თუ გვიან რომ მიიღებენ, ცხადია) და რა სახე ექნება, უგულებელსაყოფ წვრილმანად მესახება ამ ისტორიული მოვლენების მიმართ დიდი პატივისცემის ფონზე. ბოლოს და ბოლოს, ეს კონსტიტუცია მეც სხვაგვარი წარმომედგინა. სრულებით განსხვავებული იმისაგან, რაც ახლა დგას ჩავარდნის პირას. ვფიქრობ, რომ უნდა იყოს ათჯერ მაინც უფრო მოკლე, არა ბიუროკრატიული, არამედ ადამიანური და ყველასთვის გასაგები ენით დაწერილი, ისეთი, რომ ბავშვებს შეეძლოთ სკოლაში სწავლა. ამ მხრივ ამერიკა კარგი მაგალითია. ცხადია, უმნიშვნელოვანესია, რომ უთვალავი შეთანხმება, რომელიც დღეს ქმნის ამ კავშირს, დაყვანილ იქნას ერთ დოკუმენტზე, შესაძლოა, ძნელად გასარკვევზე, მაგრამ მაინც ერთზე. მიუხედავად ამისა, ეს საბუთი შეძლებდა ყოფილიყო კონსტიტუციის ერთგვარი დამატება ან დანართი, რომელიც დაიმოწმებდა ხოლმე კონსტიტუციას, თუმცა მსგავსი დოკუმენტი ველარ იქნებოდა ხალხის საკუთრება. ევროპის უნიის (ინსტიტუციონური) სტრუქტურაც არსებულისგან ოდნავ განსხვავებულად მესახება. სხვადასხვა გამოსვლაში ამაზე მაქვს ნათქვამი, რასაც საკმაოდ წარმატებული გამოხმაურებაც მოჰყვა როგორც ევროპის, ისე საფრანგეთისა და იტალიის პარლამენტებში. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიარო, რომ ჯერჯერობით ჩემი შეხედულებები საკმარისად უტოპიურად გამოიყურება. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სდპ-ს „ჩრდილოვანმა“ საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელიც ყოველთვის აკრიტიკებდა ჩემს შეხედულებებს, ახლახანს განაცხადა, რომ სავსებით მეთანხმება.

—

მაშ, შემიძლია დავასკვნა, რომ ევროკავშირის მუშაობისა და გეზის მიმართ არავითარი შენიშვნა არ გაქვთ?

არავითარ შემთხვევაში. პირიქით, პრინციპული ხასიათის შენიშვნები მაქვს, ოღონდ სრულებით განსხვავებული ევროსკეპტიკოსებისგან.

და რა შენიშვნებია ეს?

თან მდევს შეგრძნება, რომ ევროკავშირი თანამედროვე გლობალური ცივილიზაციის გეზს არ ეწინააღმდეგება, რაც იმაში აისახებება, რომ მის მთავარ იდეას წარმოადგენს ყველაფრის ზრდა, ზრდა თვით ზრდისთვის, მოგების ძიება, მოგება მოგებისათვის და ნებისმიერ ფასად, აყვავება და კეთილდღეობა, თუმცა აბსოლუტურად ერთგანზომილებიანი. დღეს ხომ ევროპის მთავარ მიზანს წარმოადგენს დაეწიოს და გაასწროს ამერიკას. როგორც მიზანი, ეს ძალიან უბადრუკად გამოიყურება. დღევანდელ ტექნიკასა და მომხმარებლურ ცივილიზაციას ფესვები ხომ ევროპაში აქვს, ფასეულობების ეს ახალი სისტემა თავის დროზე ევროპამ საკმაოდ აგრესიული ხერხებით მოახვია თავს მთელს პლანეტას, ამდენად, იდგა იმ ორაზროვანი მოძრაობის სათავეებთან, რომელსაც დღეს გლობალიზაციას ვუწოდებთ. არა მგონია, ევროპის მიზანს პლანეტისთვის კიდევ რაიმე ახლის დაძალება უნდა წარმოადგენდეს. სხვა რომ არაფერი, არც შესწევს საამისო ძალა. ვფიქრობ, ევროპას ძალუძს რაღაც ბევრად უფრო მეტი, ვიდრე, უბრალოდ, ნაბიჯის შეწყობა და აქა-იქ ვინმეს „დაწევა-გადასწრება“ იმაში, რაც დღეს-დღეობით ყველასათვის მეტ-ნაკლებად საერთოა. ევროპას შეუძლია შთამაგონებელ მაგალითად გადაქცევა, შეუძლია მთელს მსოფლიოს უჩვენოს ხარისხზე და არა რაოდენობაზე ზრუნვის მცდელობის მაგალითი. არ იფიქროს მხოლოდ მყისიერ და სწრაფ გამორჩენაზე, არამედ ხარისხზეც, არაპირდაპირ და გრძელვადიან მოგებაზე. გაიხსენოს თავისი ტრადიციული პასუხისმგებლობა მსოფლიოს წინაშე, რაშიც თავის დროზე მას ეხმარებოდა მისივე კულტურა. ერთი სიტყვით, დღევანდელი ევროკავშირი უკიდურესად ტექნოკრატი-

ულად და მატერიალისტურად მეჩვენება. ცხადია, ევროპის უნიაში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, სამოქალაქო კულტურას, ადამიანის უფლებებს, ეკონომიკურ სამართლიანობას, ენერგიის განახლებად წყაროებს თუ ზოგადად საარსებო გარემოს, მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ჩვენში. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ძალიან შორსაა იმისგან, რასაც მისგან უნდა ველოდოთ. წარმოუდგენელია, მისი ქმედებების შინაარსს შეადგენდეს მსოფლიოს გლობალური ეკონომიკური წარმატებების დაწევის მცდელობა, ან კიდევ უარესი, კუდში ჩანჩალი. ვფიქრობ, მას ბევრად მეტი აკისრია და არა მხოლოდ მთელი ერთი კონტინენტის ფარგლებში. შეუძლია მსოფლიოსთვის იყოს მშვიდობიანი და სამართლიანი პოლიტიკური წყობის, საკუთარი ტრადიციების, კულტურის, მიწისა და ბუნებრივი რესურსების მიმართ ბრძნული და ფრთხილი დამოკიდებულების მაგალითი. ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თითქოს ტრივიალური პრობლემების მოძალების პირობებში (მაგალითისთვის, თუ სად როგორი უნდა იყოს გადასახადები და ტარიფები) კარგავს სულიერ განზომილებას, თითქოს აკლია მართლაც სერიოზული დაფიქრება დღევანდელი მსოფლიოს გეზზე, არსებული გეზის ხიფათზე და იმ როლზე, რომელიც პლანეტარულ მასშტაბებში შეუძლია შეასრულოს სახელმწიფოების ამ ორიგინალურ ერთიანობას.

და უნიფიცირებულ ევროპულ გარემოში ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის არ გეშინიათ?

არ წარმომიდგენია, რომ ევროპის დაბებმა, ქალაქებმა და რეგიონებმა დაკარგონ თავისი სახე, დაიკარგოს წეს-ჩვეულებები. პორტუგალია ყოველთვის განსხვავებული იქნება შვედეთისაგან და რაც მთავარია, ევროკავშირი და მისი სხვადასხვა დაწესებულებები ნამდვილად არ ებრძვიან განსაკუთრებულობასა და გამორჩეულობას, პირიქით, თავისი ნორმების საშუალებით იცავენ თვითმყოფადობის ყოველგვარ გამოვლინებას. და თუკი რაიმე ემუქრება ორიგინალობის გამოვლინებას, ეს გახლავთ, ზოგადად, თანამედროვე ცივილიზაცია. დღეს ხომ

უკვე ძნელი გასარჩევია ტოკიოს აეროპორტში, ლოს-ანჯელესის სასტუმროს ჰოლში იმყოფებით თუ პრაღის გარეუბნის ჰიპერმარკეტში. ცივილიზაციის უსულო და ყველაფრის გამაიგივებელი წნეხი დღეს უკვე ყველგან იგრძნობა, მრავალფეროვნების ილუზიის გამომწვევი თვალთმაქცური ბაირაღით. აი ყოველგვარი თვითმყოფადობის წინააღმდეგ მიმართული ნამდვილი მუქარა. ვერც კი ვაცნობიერებთ, თუ როგორ ვემსგავსებით ყველანი ერთმანეთს და რა საშინლად ვართ ერთმანეთზე მიტმასნილები თანამედროვე ტექნიკური (სამგზავრო და საინფორმაციო) საშუალებებით. ამას, შესაძლოა, გარკვეული თვითმყოფადი ერთეულების აჯანყებებიც კი მოჰყვეს შედეგად, რომლებიც შეუდგებიან ერთმანეთთან ანგარიშსწორებას რეგიონულ ან ადგილობრივ კონფლიქტებში ან სულაც, ტერორისტული აქტების მეშვეობით. მოდით, მიზეზებს თავისი სახელები ვუწოდოთ. არ შეიძლება ყოველგარი კრიტიკის გარეშე, კმაყოფილებით კვერი ვუკრათ ამ მომხმარებლურ ცივილიზაციას, მის საყოველთაო დიქტატს და პარალელურად თვითმყოფადობის დაკარგვა ევროპის უნიას ვაბრალოთ. მას შეიძლება ვუსაყვედუროთ მხოლოდ ის, რაც ყველა დანარჩენს: ემორჩილება ცივილიზაციის დიქტატს, რომლის ყველაზე გამორჩეული წარმომადგენლებიც არიან ზეეროვნული კორპორაციები.

თქვენი აზრით, შეეფერებიან ევროპას თურქეთი ან თუნდაც უკრაინა?

წარსულში რუსეთმა ბევრ ერს და შემდგომ კი მთელ მსოფლიოს დიდი გასაჭირი დაატეხა თავს, გარდა სხვა ყველაფრისა იმიტომაც, რომ არასოდეს იცოდა ზუსტად თუ სად იწყება და სად მთავრდება. ვფიქრობ, ევროკავშირმა ეს რუსული შეცდომა არ უნდა გაიმეოროს და დროულად უნდა განსაზღვროს სადამდე სურს ან შეუძლია, რომ იყოს გადაჭიმული. აქ, გარდა ფასეულობებისა, გეოგრაფიის გათვალისწინებაც არის საჭირო. ვფიქრობ, კარი ღია უნდა იყოს დასავლეთ ევროპის დანარჩენი ქვეყნებისთვის, უკრაინის, ბელორუსიისა და ბალკანეთის ყველა ქვეყნისათვის. ამით ეს

პროცესი უნდა დასრულდეს, თუ არ სურს კიდევ ერთ გაეროდ გადაქცევა. ცხადია, სხვა საკითხია, თვით ამ ქვეყნებს თუ ენდომებათ და როდის დააკმაყოფილებენ საჭირო პირობებს, თუკი საერთოდ მოხდება ეს. თუმცა მეჩვენება, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, რომლებიც უკვე არიან წევრები, კარგად მოჩანს ხაზი, რომელიც ბელორუსეთ-რუსეთისა და უკრაინა-რუსეთის საზღვრებს მიჰყვება. ცხადია, რუსეთი დამოუკიდებელი ერთეულია, უზარმაზარი ევრაზიული იმპერია, თითქმის ორი ევროპისხელა ტერიტორიაზე გადაჭიმული. რუსეთს, ცხადია, ევროკავშირთან საუკეთესო ურთიერთობები და პარტნიორობა უნდა აკავშირებდეს, მაგრამ მის წევრობაზე ლაპარაკი სრული უაზრობაა. ეს მთელს უნიას მოარყევდა და შემდეგ დაანგრევდა. სხვათა შორის, არ იყო ამ ორგანიზაციის წევრი ან თუნდაც ნატოს წევრი, სირცხვილი არაა. არც ახალი ზელანდია ეკუთვნის კავშირს და სრულებით არ აწუხებს ეს. თუმცა თავისი ფასეულობებით ევროკავშირთან საგრძნობლად უფრო ახლოს დგას, ვიდრე ბევრი ახლადმიღებული წევრი ან წევრობის კანდიდატი. ვერაფერს გახდები: ფასეულობების გვერდით უნდა გავითვალისწინოთ ყველას მიერ აღიარებული გეოგრაფიული ფაქტორებიც, სხვაგვარად უბედურებას დავიწევთ.

და თურქეთი?

ძალიან არ მომწონს, გამუდმებით რომ აწვალებენ. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში დასავლეთს თურქეთი სჭირდებოდა, როგორც მისი უსაფრთხოების მცველი (არ იყო მისთვის უსაფრთხო საკუთარ ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირისათვის დამიზნებული ბირთვული რაკეტების განლაგება). ათწლეულების მანძილზე, როგორც ნატოს წევრი, ითვისებდა დასავლურ ფასეულობებს და ახლა, როდესაც მუქარამ ჩაიარა, აღარ მოგვწონს. დამიჯერეთ, იმას, რომ თურქეთი მუსულმანური ქვეყანაა, ჩემს მსჯელობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ევროკავშირი არ გახლავთ რელიგიური გაერთიანება, მით უმეტეს, რომ ისლამი ევროპის კულტურული ტრადიციების თანაავტორი იყო თავის

დროზე. ჩემი აზრით, სამომავლოდ ეს მხოლოდ ტექნიკური საკითხი უნდა იყოს. დააკმაყოფილებს თუ არა თურქეთი ყველა მოთხოვნას, გაწევრიანდება კიდეც.

ევროკავშირის ძველი წევრები დიდ ხარჯებს იღებენ ახალი წევრების, ხანგრძლივი კომუნისტური მმართველობის შედეგად, ყოველმხრივ ნაკლებგანვითარებული ქვეყნების დასახმარებლად. ფიქრობთ, რომ მოვახერხებთ დავუბრუნოთ ვალები? როგორ პასუხობთ, როდესაც ახალი წევრებისთვის განეულ გამუდმებულ ხარჯებს გახსენებენ?

ვფიქრობ, რომ უკვე დღეს გვაქვს შანსი გარკვეული ხერხით ვაზღვიოთ. მეტიც, იქმნება ხოლმე სიტუაციები, როდესაც მსგავს შანსებს ვიყენებთ კიდეც. ვლაპარაკობ ჩვენს პოლიტიკურ ხმაზე. ევროპის უნიას შეუტევს ხოლმე ერთი ძველისძველი ევროპული დაავადება, ეს დაავადება გახლავთ მიდრეკილება ბოროტებასთან კომპრომისებისაკენ, თვალის დახუჭვა დიქტატურაზე, ტოტალიტარულ სისტემებთან ემფისმენტის ან სულაც მეგობრული პოლიტიკის წარმოება საკუთარი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. ბევრ ისეთ პოლიტიკოსს, რომელსაც საკუთარ თავზე არ გამოუცდია ნაციზმი ან კომუნიზმი, ამას ვერ გააგებინებ. ვფიქრობ, რომ უნიის ახალი წევრები, რომელთა მოგონებებიც ტოტალიტარიზმთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ახალია, შეძლებენ, მეტიც, ეს მათი ვალია, ყველამ ერთად – თუკი ამის საჭიროება არსებობს – დაიკავონ უფრო პრინციპული პოზიცია და ამ მიმართულებით დაიცვან ან თუ გინდა, აღზარდონ კიდეც ევროკავშირი. ეს ყველას ინტერესებშია. ბოროტებაზე თვალის დახუჭვას ჯერ არასოდეს მოჰყოლია ბოროტების მხრიდან დათმობა ან მისი გაადამიანურება, პირიქით, ბოროტებას ეს ყოველთვის უმარტივებდა ცხოვრებას და როდესაც უშუალო კონფრონტაციაზე მიდგებოდა ხოლმე ჯერი, ასეთი პოლიტიკის საფასური ყოველთვის უსასრულოდ აჭარბებდა იმ მყარი პოზიციის წარმოსახვით საფასურს, რომელიც დროულად არ იქნა გამოჩენილი.

(5. 4. 1998)

1) ორი დღის განმავლობაში პატიოსნად ვსწავლობდი ნარკოტიკების კანონთან დაკავშირებული კორესპონდენციის გროვას. ადგილ-ადგილ ძალიან საინტერესო საკითხავი იყო, ზოგჯერ – მოსაწყენი და სტერეოტიპული. ამ ყველაფრის წაუკითხავად ბევრად უფრო ადვილად მივიღებდი გადაწყვეტილებას, ვიდრე წაკითხვის შემდეგ. მიუხედავად ამისა, არჩევანი მაინც ჩემს თავდაპირველ შეხედულებაზე შევაჩერე ანუ კანონის საწინააღმდეგოდ. ცხადია, ახლა არ შევუდგები ყველა არგუმენტის ჩამოთვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში მომიწევდა ამ კილოგრამობით ქაღალდისთვის კიდევ ერთი კილოგრამის მიმატება. ერთი საინტერესო, თუმცა შესაძლოა ნაკლებად მნიშვნელოვანი დაკვირვება, მრავალი იმ წერილიდან (...) (თუ არა ყოველიდან), რომელიც ცდილობს ჩემს კანონის საწინააღმდეგოდ დარწმუნებას, გამოსჭვიოდა სიამოვნების მომგვრელი ტოლერანტული სულისკვეთება, თვით მოვლენის შესახებ ინტერესი, ახალგაზრდობაზე ზრუნვა, უმცირესობების ან არატრადიციული ცხოვრების სტილის მიმართ ლოიალობა, სხვისი შეხედულების წვდომის სურვილი, ადამიანის უფლებების და თავმოყვარეობის ღრმა პატივისცემა და ა.შ. კანონის მომხრეთა წერილებიდან (ასეთების რაოდენობა კი უგულებელსაყოფად პატარაა და ძირითადად, აღმასრულებელ ხელისუფლებას ან პოლიციას ეკუთვნის) კი სრულიად საწინააღმდეგო სულისკვეთება იფრქვეოდა – ღვარძლი, ზიზღი, აგრესია. მაგალითი: მაშინ, როდესაც პირველნი თავს არავის ესხმოდნენ, მეორენი გაუთავებლად საუბრობდნენ „ფსევდო სპეციალისტებზე, რომლებიც შეეკრნენ ნარკომაფიას" და „წამოიწყეს კამპანია". მათი ენა იყო საძაგელი, ბიუროკრატული ან კომუნისტურ-ჟურნალისტურ-ზიზღნარევი და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ვილაც-ვილაცები ერთმანეთს შეეკრნენ, პირველ რიგში, ალბათ, კლერიკალური რეაქციონერები, პოპულისტები და პოლიცია, რომლებსაც სურთ გაიმარტივონ ცხოვრება. ეტყობა უნდათ, რომ სკოლების ირგვლივ, დისკოთეკებზე და მინისქვეშა გასასვლელებში მოეწყოს გაუთავებელი ჩხრეკა, ვილაცას რალაცას აღმოუჩენენ, რაც სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ჩაეთვლებათ ნარკოტიკების წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლაში. რეალურად კი მსგავსი მეთოდები ქმედითუნარიანი არ იქნება, ახალგაზრდობის მესამედს ეს შეაზიზღებს სახელმწიფოს და მაცდურ და მიმზიდველ მინისქვეშა კატაკომბებში შეყუჟავს, ხოლო ამ ყველაფრის შედეგი ადვილი წარმოსადგენია – ერთ-ორ

წელიწადში მომავალი თაობის პატრიოტიზმი ისტორიულ მინიმუმამდე დაეცემა. გადამყიდველები კი უბრალოდ, ენას გამოგვიყოფენ, უზრუნველად ანევენ ფასებს და მხიარულად გააგრძელებენ პოლიციის მოქრთამვას. ახლა მხოლოდ ისღაა საფიქრალი, თუ რა ფორმით დავუბრუნოთ დეპუტატთა პალატას კანონი და რა სახით ვაცნობოთ ეს პრესას. რაც შეეხება პირველ პრობლემას, საკმარისი იქნებოდა დამეწერა, თითქოს კანონის დამატების ყველა ასპექტის საფუძვლიანი აწონ-დაწონის შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ კანონის ცხოვრებაში გატარების თანმხლებმა ხიფათმა, ადვილი შესაძლებელია, დაჩრდილოს მისი დადებითი მხარეები და რომ გამოიწვიოს სანქციები მსხვერპლის და არა დამნაშავის მიმართ და რომ აგრეთვე, სამართლებრივი წუნიც გააჩნია (აი მაგალითი: იარაღსა და რადიოაქტიურ ნივთიერებებს შეპარვით წაემატა კიდევ ერთი ნივთიერება, რომლის მხოლოდ ფლობაც კი ისჯება კანონით; ეს საკმარისად დიდი გარღვევაა ადამიანის თავისუფლებებისა და უფლებების სისტემაში, მთლიანად კანონმდებლობაში, იმისთვის, რომ ასე შეფარულად და ზერელედ იქნას მიღებული). რაც შეეხება ცნობას პრესისთვის: ცნობა გაიცეს მხოლოდ კანონის პარლამენტისთვის დაბრუნების შემდეგ და ალბათ, ოდნავ ვრცელი უნდა იყოს. ვთქვათ ასეთი: მას შემდეგ, რაც საფუძვლიანად შეისწავლა შესაბამისი ექსპერტიზების შედეგები, ოფიციალური დადგენილებები, პარლამენტის ორივე პალატაში ჩატარებული დისკუსიების ჩანაწერები და კორესპონდენცია, რომელიც მიიღო, პპ-მ გადაწყვიტა კანონის დამატება დაუბრუნოს ქპ[112]-ს. მისი აზრით კანონის დამატება მეტი ზიანის მომტანია, ვიდრე სარგებლის, არ ეთანხმება ჩეხეთის ანტინარკოტიკული პოლიტიკის კონცეფციას, რომ წარმოადგენს მოქალაქის თავისუფლებებისა და უფლებების სისტემაში უხეშ ჩარევას, სდევნის მომხმარებლებს ან დამოკიდებულ პირებს მაშინ, როდესაც ნამდვილ დამნაშავეთა დასჯაზე სათანადოდ არ ზრუნავს და დაულაგებლად არის დაწერილი. პპ მომხრეა ამ საკითხთან დაკავშირებული კანონის განახლების, მეტიც, ემხრობა ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის, შესაბამისად გადამყიდველობისათვის, შემოტანისთვის, გატანისთვის და ა.შ. სასჯელის სერიოზულ გამკაცრებას. ოღონდ, ამავე დროს, თვლის, რომ ეს უნდა გაკეთდეს გაა ზრებულად. (...)

112 ქპ – ქვედა პალატა.

(11. 4. 1999)

(...)

8) მოსარწყავად, ალბათ, უფრო გრძელი შლანგია საჭირო. (...)

(10. 7. 1996)

წინასწარი მოსაზრებები: (...)

3) ჩარჩო პროგრამა: ოთხშაბათი: სტუმრების ჩამოსვლა, მათი დაბინავება. ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი: დღეგამოშვებით მოლაპარაკებები, კონფერენცია, გვიან ნაშუადღევს და საღამოს კულტურული პროგრამა: მიღების ადგილი (ვლადისლავის დარბაზი), პოლიკულტურული(220) კონცერტი (ვლადისლავის დარბაზი ან ობეცნი დუმი), ჰრადის დათვალიერება, პრაღაში გასეირნება და მისთ. კვირა შუადღემდე: სხავადასხვა რელიგიის მიმდევართა საერთო „მესა" კათედრალში, ნაშუადღევს გამგ ზავრება.

4) მონაწილეები: ა) 50-დან 100-მდე ძირითადი სტუმარი მთელი მსოფლიოდან. ბ) გარკვეული რაოდენობა მათი თანხლებისა (ცოლები, ასისტენტები და მისთ.) გ) 50 ჩეხი მონაწილე, პოლიტოლოგები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები და მისთ. (უფრო როგორც დამკვირვებლები) დ) გაურკვეველი რაოდენობა ჟურნალისტების და მედიის წარმომადგენლებისა მთელი მსოფლიოდან და ჩვენგან. მგ ზავრობისა და ცხოვრების საფასური მხოლოდ ძირითად სტუმრებს და მათ თანამგ ზავრებს აუნაზღაურდებათ.

5) დასახელება: „ფორუმი 2000" (სკალნიკს სასწრაფოდ უნდა შევუკვეთოთ ლოგო!).

6) ადგილი: ყველაფერი კონცენტრირებული იქნება ჰრადზე. ჩემი წარმოდგენით: კონფერენცია ჩატარდება (ბორეკ შიპეკის მიერ) შესაბამისად მოწყობილ ესპანურ დარბაზში. შუაში განლაგდება პირველი წრე ან იქნებ მართკუთხედი (მაგიდების, სკამების, მიკროფონების). იქ განთავსდებიან მხოლოდ მთავარი სტუმრები. ამ წრის ირგვლივ განლაგდება მეორე წრე (შემაღლებული, პოდიუმზე) თანმხლები პირებისა და ჩეხი დამკვირვებლებისთვის. მეორე წრის გარეთ იქნება კიდევ უფრო შემაღლებული მესამე, სადაც მედია განთავსდება (კონფერენციის მთელი მსვლელობის განმავლობაში). რუდოლფის გალერეა გადაკეთდება რესტორნად (ბევრი პატარა მრგვალი მაგიდა), სასადილოდ, კულუარული საუბრებისთვის და ა. შ. (...)

10) თემები, შესაბამისად საკითხები, რომლებსაც მიეძღვნება კონფერენცია: ა) პლანეტა და კაცობრიობა ეკოლოგიური მუქარის წინაშე. ბ) პოპულაციის ექსპლოზია. გ) სოციალური წინააღმდეგო-

ბები მსოფლიოში. დ) შეიარაღების ზრდა. ე) „ცივილი ზაციების და კულტურების კონფლიქტები", რელიგიური და ნაციონალური კონ-ფლიქტები. ვ) ამ საკითხებზე მსჯელობა იმართება ხოლმე ისედაც უსაშველოდ გადატვირთულ გაეროს სამიტებზე და ასობით მსგავს კონფერენციაზე. მაგრამ რა აქვთ საერთო ამ პრობლემებს? რა კავ-შირში არიან ერთმანეთთან? შეიძლება კი საერთოდ ამ პრობლემე-ბზე ცალ-ცალკე საუბარი? ზ) მართალია, რომ ამ მუქარებისგან თავის დასაცავად ყველაზე უფრო სიღრმისეული გასაღები, სულის, ცნობიერებისა და გლობალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების სიბრტყეში ძევს? თ) მართალია, რომ ყოველ ცივილი ზაციურ, კულ-ტურულ და რელიგიურ არეალს საფუძველში რაღაც საერთო აქვს და რომ ამ საერთოზე დაყრდნობით შესაძლებელია გლობალური პასუხისმგებლობის სულისკვეთების აღმოცენება? მართალია, რომ ყველაზე უფრო ღრმა ფესვი ასეთი პასუხისმგებლობისა მეტაფიზი-კურია? ი) ადამიანის უფლებები. რამდენად უნივერსალურია და რამ-დენად მართებული, ყველასგან მოვითხოვოთ ამ უფლებების პატი-ვისცემა? კ) მსოფლიო წესრიგი, როგორც „ტექნიკური" გამოხატ-ულება გლობალური პასუხისმგებლობის ამ ახალი სულისკვეთებისა: რეგიონული სტრუქტურების მნიშვნელობა. კერძოდ კი ისეთების, როგორც ეკ, დსთ, ნატო, სააეა[113], აწეკ[114] და სხვ. გაეროს რეფორმა. სხვა მსოფლიო ორგანიზაციების მნიშვნელობა. ლ) რა უნდა მოვი-მოქმედოთ, რომ ხალხში (პოლიტიკოსებში, მთავრობებში, ერებში) გაიღვიძოს უფრო პასუხისმგებლობიანმა დამოკიდებულებამ ჩვენი პლანეტის, როგორც ერთი მთლიანის მიმართ? (...)

12) დასკვნა: მთელი ეს კონფერენცია შეიძლებოდა შემდგომ წიგ-ნად გამოგვეცა. თუ წარმატებით ჩაიარა, შეგვიძლია შევთანხმდეთ და რეგულარული სახე მივცეთ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჩავატაროთ ხოლმე. შეგვიძლია საიდუმლოდ რაიმე მანიფესტი ან დეკლარაცია მოვამზადოთ, ოღონდ, მართლა საიდუმლოდ. ერთადერთი, თუ სიტუაცია საამისოდ მომწიფდა და მონაწილეთა უმეტესობამ დახურვასთან დაკავშირებული მოწოდების მიღების სურვილი გამოთქვა, აი მაშინ გამოვაძვრენდით და ვიწრო ნრეში მის დახვეწაზე წავიმუშავებდით.

---

113 სააეა – სამხრეთ აღმოსავლეთი აზიის ეროვნული ასოციაცია (ASEAN – Association of Southeast Asian Nations).

114 აწეკ – აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური კოოპერაცია (APEC – Asia-Pacific Economic Cooperation).

ყოველთვის ძალიან მშვიდობისმოყვარე და ტოლერანტული ადამიანის, თითქმის რომ პაციფისტის სახელით სარგებლობდით. როგორც ესეების ავტორი, დისიდენტი, ხავერდოვანი რევოლუციის წინამძღოლი თუ პრეზიდენტი. მაგრამ ჩვენს საუბარში რამდენჯერმე სააშკარაოზე გამოიტანეთ, რომ ცალსახად ემხრობოდით ნატოს შეჭრას მილოშევიჩის იუგოსლავიაში და საერთაშორისო ძალების ცოტა ხნისწინანდელ თავდასხმას ერაყზე. როგორ ეთავსება ერთმანეთს ეს ყველაფერი?

მართალს ბრძანებთ, მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში, როგორც პრინციპულ საკითხებში, ისე ყოველდღიურ წვრილმანებში, უპირატესობას ვანიჭებ მშვიდობიან გადაწყვეტილებებს, მოლაპარაკებებს და კომპრომისებსაც კი. თავის დროზე ოლგა ჩემს ამ მიდრეკილებას მშიშრობად მითვლიდა და მსაყვედურობდა, ახლა დაშაც იმავეს მეუბნება და საერთოდ, ამას ბევრი მიყენებს ბრალად. ადვილი დასაშვებია, რომ არ ცდებიან და მართლაც, ცოტა არ იყოს ავადმყოფურად, ვუფრთხი კონფლიქტებს. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ამ ტოლერანტობასაც აქვს თავისი საზღვარი, რომლის გადაულახავობა, შესაძლოა, ნიშნავდეს საკუთარი თავის, პრინციპების და მეგობრების ღალატს. უბრალოდ, არსებობს მომენტები, როდესაც საკუთარ თავს უნდა შესძახო „მაშ კმარა“! და საჭიროების შემთხვევაში ბოროტებას ძალაც დაუპირისპირო. სულელურად ჟღერს, მაგრამ სანამ ადამიანები მხოლოდ ადამიანებად რჩებიან, ძალა საჭირო იქნება. მახსოვს, რომ საერთაშორისო საზოგადოების აპათიას იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენების მიმართ დიდხანს ვაკრიტიკებდი. ვგრძნობდი, ძალისმიერი ჩარევის გარეშე არა გაეწყობა რა და რომ რაც უფრო ადრე მოხდება ეს ჩარევა, მით ნაკლები იქნება მსხვერპლი. ვგმობ ეფისმენტის პოლიტიკას, მეოცე საუკუნის შუაში ჩეხოსლოვაკია და შემდეგ მთელი მსოფლიოც დარწმუნდა, რომ ასეთი პოლიტიკა თვითმკვლელობის ტოლფასია. ჰიტლერისთვის დროულ, კარგად კოორდინირებულ და ენერგიულ დარტყმას, შეეძლო მილი-

ონობით ადამიანის სიცოცხლე გადაერჩინა. ვიცი რაოდენ რთული საკითხია გადასაწყვეტად იომო თუ არა. უმეტესად შენი გადაწყვეტილებით ტანჯვის, ტკივილის და სიკვდილის რისკის წინაშე ხომ სხვებს აყენებ და არა საკუთარ თავს. მიუხედავად ამისა, ვისაც ეშინია, არ უნდა იაროს ტყეში. არ დამავიწყდება დიდი ხნის წინანდელი ვიზიტი კოსოვოში: ათობით ათასი ლტოლვილი ოჯახი, დატვირთული ურმებით, ბავშვებით და შინაური ცხოველებით მთიანი გზების გადავლით უბრუნდებოდა საკუთარ კერას. მათი მადლიერება აქციის განმხორციელებლების მიმართ უსაზღვრო იყო. სად მომხდარა, რომ ნახევარ მილიონამდე ადამიანი, რომლებიც გამოყარეს საკუთარი სახლებიდან, ნახევარი წლის შემდეგ ერთდროულად დაბრუნებია საკუთარ სახლებს? ბოსნია-ჰერცოგოვინის საკითხთან ისევე, როგორც სხვა დანარჩენ იუგოსლავურ კონფლიქტებთან დაკავშირებით, უმეტესად ვემხრობოდი დროულ ძალისმიერ ჩარევას. ვილაცას მილიტარისტადაც შეიძლებოდა მოვჩვენებოდი, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ განუზომლად მეტი უბედურების თავიდან ასაცილებლად ერთადერთი საშუალება თავდასხმაა. გარკვეული სახის ჩარევა, არ არის მხოლოდ ჩვენი პლანეტის ჩაგრულ თანამოძმეთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვა, არამედ თავდაცვის აქტსაც წარმოადგენს. ვერასდროს ვიწინასწარმეტყველებთ თუ რა მასშტაბებს მიიღებს და შემდგომ ვის ჩაითრევს ესა თუ ის შეიარაღებული კონფლიქტი. გავიხსენოთ, პირველი მსოფლიო ომი დაიწყო სარაევოში.

თქვენს გამოსვლებში, პირველ რიგში, საერთაშორისო სარბიელზე, ხშირად საუბრობდით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ეგრეთ წოდებული ცივილიზაციათა შეჯახება, თანაცხოვრება დღევანდელ მსოფლიოში, მულტიკულტურიზმი. შეგიძლიათ ყოველივე ამასთან დაკავშირებით მარტივად და შეკუმშულად გვითხრათ რაიმე, რასაც შეიძლება დაერქვას მსოფლიოსადმი თქვენი მოწოდება?

ეს საკითხები ყოველთვის მაფიქრებდა და ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვკითხულობდი მათ შესახებ. ცხადია,

ბოლო თექვსმეტი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით ჩემი ინტერესები საგრძნობლად გაიზარდა. ეს გამოიწვია იმავე მიზეზებმა, რა მიზეზებითაც მივიღე ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ფუნქცია. გავაცნობიერე, რომ რკინის ფარდის დაცემითა და ბიპოლარული მსოფლიოს დასასრულით საქმე არ დასრულებულა. პირიქით, ზუსტად ამ მოვლენებს მოჰყვა ყველაზე მნიშვნელოვანი: ისეთი ახალი მსოფლიო წყობის ძიება და შენება, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის რეალიებს შეესაბამება, სხვა სიტყვებით: „ვინც თქვა „ა" უნდა თქვას „ბ". ეს იყო მიზეზი ამ თემაზე ჩემი დაუსრულებელი ფიქრისა.

ეს გასაგებია. მაგრამ რაში მდგომარეობს თქვენი აზრების არსი?

ვფიქრობ (უთვალავმა სახელმწიფო ვიზიტმა მსოფლიოს ყველა კუთხეში, კიდევ უფრო გაამყარა ჩემი ეს შეხედულებები), დასრულდა ან ყოველ შემთხვევაში უნდა დასრულდეს ევროამერიკული ცივილიზაციური სივრცის ქედმაღლური დამოკიდებულება სხვების მიმართ. არც ამერიკას, არც ევროპას და არც ორივეს ერთად არ შესწევთ ძალა, იყონ მსოფლიოს ბატონი და ერთადერთი ავტორი წეს-წყობისა ჩვენს პლანეტაზე. მართალია, ამ სივრცის საფუძველზე და ძირითადად, მისი ტრადიციებიდან აღმოცენდა თანამედროვე პლანეტალური ცივილიზაცია, ვგულისხობ იმ „გარეკანს", მთელ მსოფლიოს რომ ეკვრის, მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს ბატონობის უფლება. ვფიქრობ, რომ თანამედროვე მსოფლიო რამდენიმე დიდი ცივილიზაციური თუ კულტურული, ამავე დროს გეოგრაფიული არეალისაგან შედგება, რომლებიც ამ „გარეკანს" ერთი მხრივ, ყველას წინსვლისა და განვითარების იარაღს და მეორეს მხრივ, წყაროსა და პირველმიზეზს მრავალთა დიდი უბედურებისა, იზიარებენ. ასეა თუ ისე, თუკი კაცობრიობას არ სურს გიგანტური ცივილიზაციური კატასტროფების მსხვერპლად იქცეს, უნდა, გარდა სხვა ყველაფრისა, მიიღოს და გაითავისოს ყოველი ამ კულტურული და ცივილიზაციური არე-

ალის, ანუ „ცივილიზაციის", როგორც ჰენტინქტონი უწოდებდა მათ, სრული თანასწობის პრინციპი. გარდა იმისა, რომ საჯარო გამოსვლებისას გამუდმებით ვუტრიალებდი ამ საკითხებს, ვცდილობდი ჩემი შეხედულებების შესახებ სხვა, უფრო სიმბოლური საშუალებებითაც მიმენიშნებინა. ვთქვათ იმითი, რომ შორეულ ქვეყანაში ვიზიტებისას ვცდილობდი, იქაური მთავრობის ევროპიზებულ ან ამერიკანიზებულ რეზიდენციებზე ადრე მომენახულებინა ამ ქვეყნების ძლივს შემორჩენილი ძირძველი მოსახლება, ვთქვათ აბორიგენები ავსტრალიაში, მაორები ახალ ზელანდიაში, ინდიელები ბრაზილიაში, აღდგომის კუნძულების მცხოვრებლები ჩილეში. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში, სახელმწიფო ვიზიტებისას ვარღვევდი ხოლმე ჩვეულ განრიგს, რათა მენახა ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ან წმინდა ადგილები, ვთქვათ ისეთები, როგორც ბენარესი ინდოეთში. ჩემი აზრით, მხოლოდ ამ „ცივილიზაციების" ურთიერთპატივისცემის და აბსოლუტური თანასწორუფლებიანობის აღიარების შემთხვევაში შეიძლება ჩვენს პლანეტაზე მათი შინაარსიანი და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ჩამოყალიბება, თანაარსებობის როგორც მოქალაქეების, მათი ინსტიტუტების, სახელმწიფოებისა და ზესახელმწიფოებრივი რეგიონული დაჯგუფებების. ასეთი პრინციპები, როგორც ვვარაუდობდი, შესაძლებელია შეიქმნას მხოლოდ „საყოველთაო ზნეობრივი მინიმუმის" სივრცეში ანუ იმ ზნეობრივი პრინციპების სივრცეში, რომლებიც ყველა კულტურისა და რელიგიური ტრადიციისათვის საერთოა და ასეთი პრინციპები საკმარისადაა. მოპარვა და მოკვლა ყველგან ცუდია და ზნეობრივი კანონი, ასე თუ ისე, ყოველთვის კავშირშია მუდმივთან. სხვათა შორის, ამ კავშირის გარეშე, ნებისმიერი ზნეობრივი კანონი ყოველთვის განწირულია. ეს სავსებით კანონზომიერია და საყოველთაოდ არის ცნობილი.

თუ გიცდიათ როდისმე ეს საბაზო იდეები, რომლებსაც უეჭველად ბევრი სხვაც იზიარებდა თქვენთან ერთად, შეგე-

ტანათ რომელიმე პოლიტიკურ დოკუმენტში, რომელიც უფრო მეტია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე უბრალოდ წარმოთქმული სიტყვა? ყურმოკრული მაქვს, თითქოს გაეროში გქონდათ წარუმატებელი მცდელობები.

უშუალოდ მე არაფერი მიცდია. მიუხედავად ამისა, 1995 წელს, როდესაც ახლოვდებოდა გაეროს ქვეყნების მეთაურთა საიუბილეო სხდომა გაეროს ჩამოყალიბების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, მადლენ ოლბრაიტმა (დღეს ალბათ უკვე შემიძლია ამაზე ლაპარაკი) არაოფიციალურად მომმართა და მთხოვა დამეწერა აღმაფრენით აღსავსე მანიფესტი, რომლის მიღებასაც შეძლებდა გაერო და რომელიც გამოხატავდა ზოგად შეხედულებებს დედამიწაზე ჩვენი მომავალი თანაარსებობის შესახებ. ვცადე ჩემი აზრების მოკლე ტექსტში ჩატევა, რომელიც, თუ არ მეშლება, გაეროსთვის განკუთვნილ რამდენიმე კონკრეტულ მონახაზსაც მოიცავდა ბოლოში. მადლენს ძალიან მოეწონა, მითხრა, რომ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებსაც წააკითხა არაოფიციალურად და მათაც მოეწონათ, თუმცა ყველას ერთი აზრი გასჩენია, რომ ამ დოკუმენტის მიღების არანაირი იმედი არ არსებობს, რადგანაც გაეროს თითქმის ორასი წევრიდან თითოეულს, უმეტესად მხოლოდ პრესტიჟისათვის, მოუნდება საკუთარი შესწორებების შეტანა და რომ საბოლოოდ შეგვრჩებოდა ამორფული მასით სავსე დიდი ქოთანი, რომლის გამოც შეწუხებაც კი არ ღირს. ვფიქრობ, ეს მაგალითი, გვიქმნის წარმოდგენას გაეროსა და სხვა მსგავს საერთაშორისო ორგანიზაციებში დამკვიდრებული რთული სიტუაციის შესახებ. მხოლოდ წესისა და რიგისთვის: გთხოვთ არ აურიოთ ერთმანეთში ეს გულწრფელი და წარუმატებელი ინიციატივა და ჩემი გამოსვლა გაეროს იმავე პლენარულ სხდომაზე, რომელშიც გამოვედი ძალიან თამამი და ამჯერად ძალიან კონკრეტული ინიციატივებით გაეროს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

(ჰრადეჩეკი 2. 12. 2005)

ვწერ, ვწერ. ვცდილობ ვუპასუხო შეკითხვებს. შეკითხვებს ჩემს გემოზე ვცვლი, ვფიქრობ თუ როგორ გამოვთქვა რთული აზრი მარტივად, ვფიქრობ თუ რამდენჯერ გავიმეორე ერთი და იგივე და რამდენად ზუსტად მოვახერხე აზრის გადმოცემა. ვწერ, ვწერ, ვფიქრობ და ამავე დროს ყველაზე მეტად ფიქრებით დაშენკასკენ მივიწევ, რომელიც პრალაშია და ავად არის. ფარისებრი ჯირკვლის პრობლემები აწუხებს, გადაღლილია. ამავდროულად, შრომისმოყვარეობის შემოტევები აქვს და შემოტევები ჩემი აუტანლობის, რაც ზოგჯერ სავსებით გასაგებიცაა და სამართლიანიც. საოცარია, ყველა იმ ადამიანს შორის, ვისაც ახლოს ვიცნობ ან როდესმე ვიცნობდი, დაშას ყველაზე დიდი გული აქვს. რომ დამჭირვებოდა, ჩემთვის არა მარტო თირკმელს, ღვიძლს, ფილტვს, არამედ ალბათ, თავის ფეხსაც გაიმეტებდა. მისი მზრუნველობა ჩემზე, ნინაზე, დედაზე და ყველა დანარჩენ ახლობელზე და არც თუ ისე ახლობელზე, უსაზღვროა. და რაც უფრო დიდია ეს მზრუნველობა, მით უფრო უმადურად გამოვიყურები მის გვერდით. მერე და რა ვქნა? დაშა არა მარტო იმით არის ჩემი გადამრჩენი, რომ დაუღალავად მაგლეჯს სასიკვდილო სარეცელს, არამედ იმითაც, რომ თავისი არსებობით და ნათებით მაიძულებს ვიმოქმედო. დაშა რომ არ მყოლოდა, ვშიშობ, ახლა ჭერს მიშტერებული, ლოგინზე ვეგდებოდი.

(16. 11. 2002)

(...)

ზ) ჩეხეთის რესპუბლიკის სახელით დიდი სიხარულით ვაცხადებ, რომ სავსებით და უპირობოდ ვეთანხმები იმას, რომ შემდეგ შვიდ ქვეყანას დღეს შევთავაზოთ ალიანსის წევრობა: ბულგარეთს, ესტონეთს, ლატვიას, ლიტვას, რუმინეთს, სლოვაკეთს, სლოვენიას.

გაფართოების საკითხს მივიჩნევთ ძალიან მნიშვნელოვნად არა მარტო იმიტომ, რომ რამდენიმე საშუალო ან მცირე ევროპულ ქვეყანას მიეცემა თავდაცვისა თუ უსაფრთხოების ახალი გარანტიები და არც მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ქვეყნები იტვირთებენ საკუთარ ნილ პასუხისმგებლობას უზარმაზარ ევროატლანტიკურ ცივილიზაციურ სივრცეში თავისუფლებასა და მშვიდობაზე. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია თვით ამ გაფართოების არსი. ეს მოვლენა გახლავთ ცხადი მითითება არა მარტო ყველა ევროპელისთვის,

არამედ მთელი მსოფლიოსთვის, რომ საბოლოოდ დასრულდა ხანა ტერიტორიების გავლენათა სფეროებად ძალმომრეობის გზით დაყოფისა და სუსტი ქვეყნების ძლიერების მიერ დამორჩილებისა. შვიდი ახალი წევრით გაფართოება წარმოადგენს რწმენის აქტს, რწმენისა, რომ ყველა ერს გააჩნია უფლება თავისუფლად გადაწყვიტოს მსოფლიოს რომელ ნაწილს უნდა რომ ეკუთვნოდეს და რა კავშირების დამყარება-გაძლიერება სურს.(...)

თ) წილად მხვდა დიდი პატივი და სიხარული, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სახელით გაუწყოთ, რომ თქვენი ქვეყნები მოწვეულ იქნენ ამ თავდაცვით ალიანსში. მეგობრებო, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს და მოგესალმებით ჩვენს რიგებში! ახლა ისეთივე სიხარულს განვიცდი, როგორსაც სამი წლის წინ მადრიდში, როდესაც ალიანსმა მიიწვია ჩვენი ქვეყნები. (...)

(4. 10. 1993)

(...)

9) ლანიდან მორთმეული ქარიყლაპია კი პანიმ.-მ ან ე.-მ გემრიელად მოამზადონ, ისე შეკმაზონ, რომ საპარლამენტო ხუთეულს ეს დიდხანს არ დაავიწყდეს. (...)

შეგიძლიათ რამენაირად გაგვიზიაროთ თქვენი ძირითადი გამოცდილება, რომელიც უმაღლეს პოსტზე ამ ცამეტი წლის განმავლობაში შეიძინეთ?

ისევე როგორც უმეტესობას, მეც მახასიათებს ერთგვარი ირაციონალური მოწიწება მაღალ თანამდებობაზე მყოფი ადამიანების მიმართ. თითქოსდა თვით თანამდებობა ანიჭებდეს მათ განსაკუთრებულ აურასა და მაგიურ ნათებას. იმ ყველაზე უბადრუკი კომუნისტური ფუნქციონერის მიმართაც კი, მხოლოდ სისულელეებს რომ ლაპარაკობდა, სადღაც სიღრმეში გარკვეულ პატივისცემას ვგრძნობდი. მეგონა, რაკი ვინმეს ასეთი მაღალი თანამდებობა აქვს, ეს თავისთავად ვერ მოხდებოდა, რომ იმ ბრიყვული ლაპარაკის უკან რაღაც უნდა იმალებოდეს, სხვაგვარად ასეთ სიმაღლეს ვერ მიაღწევდა და რომ, ალბათ, დიდი ცოდნა აქვს, ოღონდ გარედან შეუმჩნეველი. ხანდახან ეს ისე შორს მიდიოდა, რომ როდესაც ჩემით, პირველ ხანებში კი ეს ზუსტად

ასე ხდებოდა, საკუთარი გადაწყვეტილების ხარჯზე, ჩემს რომელიმე მეგობარს ან უბრალოდ, ნაცნობს მინისტრად დავასახელებდი, დანიშვნისთანავე ვეპყრობოდი უფრო ზდილობიანად და მეტი პატივისცემით. ავტორიტეტის მიმართ პატივისცემა, თუკი ამას გადაჭარბებული სახე არ ეძლევა, ცხადია, სასარგებლოა. განსაკუთრებით კი დღეს, ეპოქაში, რომელშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს მედია, რომელსაც შეუძლია გააცამტვეროს ნებისმიერი ადამიანი, ისიც კი, რომელიც ამას არ იმსახურებს. ალბათ, ზუსტად ამ მოწინების ხარჯზე თუ არსებობს დღესდღეობით ზოგიერთი ქვეყანა. და აი რატომ ვამბობ ამას: როდესაც ჩემს თანამდებობაზე აღმოვჩნდი, ერთ-ერთი პირველი, რამაც საშინლად გამაოცა, იყო, რომ ჩემი პარტნიორები, სულ ერთია საშინაო თუ მსოფლიო პოლიტიკიდან, ზუსტად ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ყველა დანარჩენი, არაფრით გამოირჩევიან, ზოგჯერ უფრო გულუბრყვილოები, ნაკლებად განათლებულები და ნაკლებად ზრდილებიც კი გახლავთ, ვიდრე თანამდებობის არმქონე მათივე თანამოქალაქეები. პოლიტიკოსები უამრავ რამეს ვერ ხედავენ. ძირითადად, საუბრობენ იმის შესახებ, რაც ეს ესაა საბუთებიდან შეიტყვეს. ერთმანეთზე ეჭვიანობენ. სულ იმას უყურებენ სად დგას ფოტოგრაფი და ვითომ უცაბედად, კადრში ეჩრებიან. იქ, სადაც ბევრნი არიან, ვთქვათ სხვადასხვა სამიტზე, ნაკლებად ცნობილი და ნაკლები ძალაუფლების მქონე პოლიტიკოსები ექლესებიან უფრო ცნობილებსა და დიდი ძალაუფლების მქონეებს, რათა შინაურებმა მათთან საუბრის პროცესში დაინახონ. მახსოვს, თუ როგორი ხალხმრავლობა იყო ერთხელ ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების ირგვლივ, მაშინ, როდესაც ზოგიერთები მარტოობაში იმყოფებოდნენ. ალბათ, მათ არავინ იცნობდა ან პირიქით, თვითონ არავის იცნობდნენ ან ენა არ იცოდნენ, თუმცა, შესაძლოა, რომელიღაცას, უბრალოდ, სიწყნარეში მარტო ყოფნა სურდა. ამას უკავშირდება ჩემი შემდეგი დაკვირვება: არა მხოლოდ ის, რომ აბსოლუტურად ჩვეულებრივი ხალხია, არამედ ისიც, რომ უზარმაზარ როლს ასრულებს, იმაზე მნიშვნელოვანს, მართებული რომ არის,

მათი პირადი ურთიერთობები. ვინმეს ვინმე თვალში თუ მოუვიდა, თუკი საერთო ლამაზი მოსაგონარი აქვთ, ვთქვათ საღამო რესტორანში, თუკი არსებობს ენა, რომელსაც ორივე იმდენად ფლობს, რომ შეუძლიათ თარჯიმნის გარეშე საუბარი და თუკი არსებობს ვინმე მესამე, რომელიც ერთდროულად ორივეს უშლის ნერვებს და შეუძლიათ მისი გალანძღვა, ეს საუკეთესო ვითარებაა მათ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. ეს შუასაუკუნეებს მაგონებდა ხოლმე, სადაც ბატონებს შორის მეგობრობა და ნათესაური კავშირები, მათი სამფლობელოების მშვიდობიანი თანაარსებობის, თანამშრომლობის ან სულაც შერწყმის საფუძველიც კი შეიძლებოდა გამხდარიყო მაშინ, როდესაც ანტიპატია, ეჭვიანობა ან უსიამოვნო მოგონება პირად წყენაზე, ადვილად შეიძლებოდა გადაზრდილიყო სამხედრო დაპირისპირებაში. ამ ყველაფრით, ცხადია, არ მინდა იმის თქმა, რომ უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში არ შემხვედრია უამრავი ღირსეული, ბრძენი, ვაჟკაცური, განათლებული, დიდსულოვანი და მხიარული ადამიანი. უბრალოდ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ასეთი ადამიანები პოლიტიკაში იმავე სიხშირით გვხვდებიან, როგორს ნებისმიერ სხვა სფეროში.

საერთაშორისო პოლიტიკურ სცენაზე თუ გყავთ ნამდვილი პირადი მეგობრები?

ვფიქრობ, ზოგიერთი მათგანი დანამდვილებით შემიძლია ჩავთვალო ჩემს მეგობრად. რევოლუციის შემდგომი პერიოდიდან ვიცნობთ ერთმანეთს, ბევრი უკვე აღარ იმყოფება თავის ძველ თანამდებობაზე. ბილ და ჰილარი კლინტონები, უმცროსი ჯორჯ ბუში, აწ გარდაცვლილი მიტერანი, დედოფალი ბეატრისა, მეფე ხუან კარლოსი, არპად გიონცი, მარია სუარესი და ბევრი კიდევ სხვა, მაგრამ, პირველ რიგში, ალბათ, რიხარდ ვაიცზეკერი უნდა დამესახელებინა. პირველ ხანებში დიდად მეხმარებოდა, შეიძლება ითქვას, ჩემს პრეზიდენტობის მასწავლებლად ვლებულობდი. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: ეგრეთ წოდებული ფაქიზი თემების

მრავალწლიანი ტაბუირებისა და იმ ყველაფერის შემდეგ, რაც გერმანელებსა და ჩეხებს შორის მოხდა, ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს სასარგებლო იქნებოდა ყველას კარგად დაენახა, რომ ჩვენს ურთიერთობებში იწყება ახალი ხანა. ამ მიზნით, 1990 წლის თებერვალში გადავწყვიტე, რომ კარგი იქნებოდა თუ გერმანიის მიერ ჩვენი ოკუპაციის და ჰიტლერის პრაღის ჰრადზე მოსვლის დღეს, 15 მარტს, პრაღაში ერთი დღით გვწვეოდა პრეზიდენტი ვაიცეკერი. მინდოდა, ვლადისლავის დარბაზში მომეწყო დიდი მიღება, რომელზეც გამოვაცხადებდი, რომ იქ, სადაც ორმოცდათერთმეტი წლის წინ ღებულობდნენ ომის დესპანს, დღეს ვესალმებით მშვიდობის დესპანს. დავურეკე (ვაიცზეკერს) და გავუზიარე ჩემი ჩანაფიქრი. ისიც მყისვე მიხვდა ამ ჩანაფიქრის სიმბოლურ მნიშვნელობას და სასწრაფოდ დამეთანხმა ვიზიტზე, ისე რომ არც მრჩეველებს გადაულაპარაკა და არც კალენდარში იქექა. შესაძლოა, პოლიტიკურად ეს არც თუ ისე ადვილი იყო მისთვის, რადგანაც მეხსიერებაში ამოტივტივდებოდა მოსაგონრად ფრიად არასასიამოვნო მოვლენები და მიუხედავად ამისა, წამიც არ უყოყმანია, თუმცა ნორმალურ ქვეყნებში პრეზიდენტის პროგრამას არ ადგენენ ხოლმე ბოლო წამებში. კარგად მახსოვს ეს სატელეფონო საუბარი, სააბაზანოდან ველაპარაკებოდი, რადგანაც ჰუსაკის კაბინეტი, გაუგებარი მიზეზების გამო, გარშემორტყმული იყო რამდენიმე სააბაზანოთი, რომლებშიც, შესაბამისი გადაკეთების შემდეგ განლაგდა ჩემი კანცელარია და სასაუბროდ კი შეგვაერთეს ერთ-ერთი ამ ოთახიდან. ვფიქრობ ვიზიტი წარმატებული იყო, პრაღის ქუჩებში გასეირნებისა და იმ შეხვედრის ჩათვლით, რომელზეც ყველას შეეძლო მოსვლა. პრაღელებისთვის კი, რომლებიც მიჩვეულები იყვნენ, რომ სახელმწიფოს სტუმრები დაჯავშნული მანქანებით, პოლიციის თანხლებით აეროპორტიდან ჰრადისკენ და შემდეგ ისევ აეროპორტისაკენ წუილით ჩაიქროლ-ჩამოიქროლებენ ხოლმე, ეს პატარა სენსაცია იყო.

თუ გააცნობიერეთ, რომ პოლიტიკაში საჭიროა რაღაც

ისეთი, რასაც აქამდე არ ანიჭებდით დიდ მნიშვნელობას? ან სხვა სიტყვებით, საგარეო ან საშინაო პოლიტიკურ სარბიელზე შეძენილი გამოცდილებიდან, რა მიგაჩნიათ ყველაზე საინტერესოდ?

სულ უფრო ვრწმუნდებოდი, თუ რა აუცილებელია, ადამიანს გაგაჩნდეს ერთი სავსებით ჩვეულებრივი რამ – გემოვნება. რადგანაც, პირველ რიგში, გემოვნება განსაზღვრავს, თუ რამდენს ილაპარაკებ; რამდენად ღირს რაღაცის თქმა ან შეკითხვის დასმა; სად იხუმრო და სად ილაპარაკო სერიოზულად; როდის ილაპარაკო ქარაგმებით და როდის პირდაპირ; როგორ გააკეთო ეს ყველაფერი ისე, რომ საუბარი არ გაიყინოს და პარტნიორს სასიამოვნო შთაბეჭდილება დარჩეს საბოლოოდ. არ არის ეს მარტივი. ზოგჯერ ადამიანს ცუდი განწყობა აქვს, დეპრესია ან სულაც ნაბახუსევია და რაღაცას უცაბედსა და ერთმანეთთან დაუკავშირებელს ბუტბუტებს და საწყლად ელოდება როდის ჩაივლის ამ შეხვედრისთვის განკუთვნილი დრო. განსაკუთრებით მძიმეა, თუ თქვენი პარტნიორი ენაძუნწია და გიხდებათ ილაპარაკოთ მხოლოდ იმიტომ, რომ სიჩუმეში არ იჯდეთ, ან თუკი აბსოლუტურად ფორმალური შეხვედრაა ანუ ვიღაცას მხოლოდ იმიტომ ხვდებით, რომ ეს პროტოკოლითაა გათვალისწინებული და არა იმიტომ, რომ სალაპარაკო გაქვთ. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს, გულისგამაწვრილებელ შეხვედრებზეც კი, რომლებიც მხოლოდ დროს გართმევენ, გაკვირვებით აღმოაჩენ ხოლმე, რომ პროტოკოლურმა მოვალეობამ შეგახვედრა წარმოუდგენლად საინტერესო ადამიანს, რომელსაც სხვაგვარად ვერასდროს შეხვდებოდი. ვერც კაზუსებს აცდებით, როდესაც მიყოლებით ბევრი შეხვედრა გაქვთ და ყოველი მათგანის წინ ვერ ასწრებთ შესაბამის დოკუმენტაციაზე კონცენტრირებას და მეხსიერებაში განახლებას. ერთმანეთში გერევათ ეს შეხვედრები, აღარ გახსოვთ შეხვედრის გეგმა, გემართებათ faux pas, ვთქვათ ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ესალმებით, როგორც პორტუგალიის პრეზიდენტს ან კამბოჯის ელჩს, როგორც ტაილანდის მეფეს. ევროპის ერთ-ერთ, არც

თუ ისე შორეულ ქვეყანაში სტუმრობისას, საპირისპირო სიტუაციაში აღმოვჩნდი, ჩემმა მოსაუბრემ ერთსაათიანი შეხვედრის ორმოცდათხუთმეტი წუთი, შესავალი სიტყვით შეავსო. საუბრის შეწყვეტინება არ შეიძლებოდა. გასაგებია, ჩემთვის ეს უკეთესი იყო, შემეძლო დაუძაბავად და წყნარად ჯდომა, თუმცა ბუნებრივია, რომ მსგავსი რამ სავსებით დაუშვებელია. მთელი ეს ისტორია ნათლად მეტყველებს, ჩემი თანამოსაუბრის გემოვნების დეფიციტზე. ვლაპარაკობ რა ამაზე, ცხადია, ვგულისხმობ გემოვნებას ყველაზე ფართო გაგებით და არა მხოლოდ ჰალსტუხის შესარჩევად საჭირო გემოვნებას.

(დაუთარიღებელი 1999)

რაც შეეხება ჩემი ნაწერების მომზადებას:

(...)

4)(...) რევოლუციისდროინდელ გამოსვლებთან დაკავშირებით: გამომცემლის შენიშვნაში უნდა ითქვას, რომ ბევრი კოლექტიური მიმართვა მაქვს დაწერილი (ჩვენს შორის დარჩეს: ქარტიის განცხადება, ქარტიის რამდენიმე დოკუმენტი, უდდს[115]-ს განცხადების შესავალი, დემოკრატია ყველასთვის, მსთ[116]-ის განცხადების შესავალი სიტყვა, რამდენიმე წინადადება და სხვ.), რომლებსაც პრინციპული მოსაზრებებით არ ვთვლიდი ჩემს შემოქმედებად. სახალხო ფორუმის შემთხვევაში ეს სხვაგვარადაა: ვერ გაავლებ მკაფიო ზღვარს ჩემსა და კოლექტიურ ნამუშევარს შორის, მოსალაპარაკებელი დრო არ გვქონდა, გამაჩნდა ერთგვარი „ბიანცო ნდობა“, არაოფიციალური სპიკერი ვიყავი და მისთ. ამდენად, ძნელი გასარჩევია, სად არის სახალხო ფორუმის ოფიციალური დოკუმენტი და სად – ჩემი პირადი წვლილი. ისტორიული ლოგიკის და სიცხადის შესანარჩუნებლად იქ ეს ყველაფერი მონიშნულია. ვფიქრობ, რომ ეს შენიშვნა უნდა დავურთოთ, წინაალმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა მისაყვედურონ,

115 უდდს – უსამართლოდ დევნილთა დაცვის საბჭო (VONS – Výbor na Obranu Nespravedlivě Stíhaných) 1978 წელს ჩეხეთში დაარსებული ორგანიზაცია, რომლის მიზანიც იყო პოლიციური დევნის, სასამართლო სისტემის მიკერძოებულობის და ადამიანთა უფლებების სხვა დარღვევების მოკვლევა, ფართო მასებისთვის უნყება და თვით დევნილ პირთა დახმარება. უდდს-ს საქმიანობა და ნევრები დაუნდობლად იდევნებოდნენ კომუნისტურ ეპოქაში.

116 მსთ – მოძრაობა სამოქალაქო თავისუფლებისთვის (HOS – Hnutí za Občanskou Svobodu) 1988 წელს, ქარტია 77-ის მიერ დაარსებული ორგანიზაცია.

რომ საკუთარ ნაწერებს მივათვალე. 68 წლის მიმართვასთან დაკავშირებით ამისთვის ხაზის გასმა არ არის საჭირო, რადგანაც სადღაც, მათ შორის წიგნში „დაკითხვა შორიდან", ვაღიარე, რომ ეს ჩემი ნაწერი იყო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ამბავი ყველამ იცოდა და ისედაც ღებულობდა როგორც ჩემსას. (...)

5) ყველაზე რთულად მესამე ნაწილი მეჩვენება. გული მიმდის, როდესაც აღმოვაჩენ ხოლმე, რომ თურმე ახალგაზრდობაში ვიყენებდი ისეთ ცნებებს, როგორიცაა სოციალისტური ხელოვნება, სოციალიზმი, კაპიტალიზმი, და ა. შ., რომ ეუთითებდი მწერალთა კავშირის და პარტიის ყრილობებს და მისთ. დღეს ეს უკვე აბსურდულად გამოიყურება. ალბათ, შეიძლება საგამომცემლო შენიშვნებში ამის თქმა. ეს მხოლოდ იმ ტექსტებში ხდება, რომლების გამოქვეყნებაც მინდოდა (ზოგი გამოქვეყნდა, ზოგიც ვერა). საუბრის და არგუმენტირების ეს მეთოდი, კი ცხადია, აუცილებელი პირობა იყო გამოსაქვეყნებლად, პრინციპში, საჯაროდ სხვა ენით ლაპარაკი არც კი გამოდიოდა. ტერმინით სოციალისტური ხელოვნება, სხვა არაფერს ვგულისხმობდი თუ არა ხელოვნებას, წარმოშობილს კომუნისტური ქვეყნის ტერიტორიაზე. მაგრამ იმით, რომ საუბარია ცნებათა აღრევაზე, მაშინ თავს არავინ იტეხდა. ეს მაშინ ჩვეულებრივი თამაში იყო თუ რაღაც მსგავსი. დღეს ამის კარგად აღარ მესმის, თუმცა წაკითხვისას შოკირებული კი ვიყავი და პირველი რეაქცია მქონდა, რომ ეს ამოსაგდებია საერთოდ. მაგრამ ეს არ იყო მართებული რეაქცია. იყოს როგორც ეპოქის შესახებ მეტყველი დოკუმენტი. გარდა ამისა, ის, რა ზეც ახლა ვსაუბრობ, მხოლოდ ორმოცდაათიანი წლების ბოლოს დაწერილ ტექსტებში გვხვდება და შეესაბამება კიდეც იმ ხანას. არც მანამდე, ბნელეთის ხანაში, და არც შემდგომ, სამოციანი წლების დასაწყისში, არავის გვიგრძვნია ამ ოფიციალური სიტყვების გამოყენების საჭიროება. ეს დამახასიათებელი იყო სტალინის პიროვნების კულტის გასამართლების შემდგომი ხანის განსაკუთრებული სიტუაციისათვის, რაც იმდენად წარმოუდგენელი რამ იყო, რომ ეტყობა ყველას თავგზა აგვიბნია. (...)

(7. 6. 1994)

(...)

5) პან რეხტაჩეკს ვთხოვდი, შეაკეთოს ჩემი სანთებელა, დატენოს და უკან გამომიგზავნოს. (...)

ერთხელ უკვე შევეხეთ ეგრეთ წოდებულ არაპოლიტიკურ პოლიტიკას. რამდენადაც ვიცი, ეს ტერმინი თავის დროზე პირველად გამოიყენა პრეზიდენტმა მასარიკმა და გულისხმობდა სხადასხვა სახის საზოგადოებრივ და საჯარო წვრილ მოღვაწეობას მოყვასის სასარგებლოდ. რა კონტექსტში და როდის მოიშველიეთ ეს ტერმინი, მრავალჯერ განგიმარტავთ. მიუხედავად ამისა, განუწყვეტლივ გსაყვედურობენ თქვენს „არაპოლიტიკურ პოლიტიკას". საფიქრალია, რომ გულისხმობენ პრაქტიკულობას მოკლებულ მეოცნებეობას, სიახლისკენ სწრაფვას, პოლიტიკური პარტიების და სტანდარტული გზების მიმართ რწმენის ნაკლებობას, მორალისტობას და ღმერთმა იცის კიდევ რას. გსურთ, რომ ჩვენი საუბრის ბოლოს მიუბრუნდეთ ამ საკითხებს? შეგიძლიათ რამდენიმე წინადადებით ჩამოაყალიბოთ თქვენი პოლიტიკური კრედო?

საკითხავი ის არის, თუ რას გულისხმობენ ამ თავისი საყვარელი სტანდარტულობის ქვეშ. არასასიამოვნო შეგრძნება მაქვს, რომ საბოლოო ჯამში საუბარია საშუალოობის, მიწიერებისა და ბანალურობის იდეოლოგიზაციაზე. თითქოს სტანდარტულად წესიერი ქცევის იდეალი უნდა იყოს.იმასთან შეგუება, რაც უკვე არსებობს, როგორიც არ უნდა იყოს ეს არსებული, რადგან ფაქტი, რომ მის წინაშე ქედს იხრის უმრავლესობა, თავისთავად აქცევს მას სიკეთედ. პარალელურად აქ ლაპარაკია დამოუკიდებელი აზროვნების ნებისმიერი გამოვლინების და მით უმეტეს იდეალებისთვის რაიმეს შეწირვის ან უმნიშვნელო რისკისთვის მზადყოფნის მიმართ ზიზღზე. უმეტესობის ნორმალური ქცევა ანუ ყალბი თანხმობა ყველაფერთან, რათა უკეთ იზრუნონ თავიანთ პატარა, პირად, მეშჩანურ ბედნიერებაზე, აჰყავთ იდეალის რანგში, რომლის სადიდებლადაც დაცინვის ღირსი ხდება ყველაფერი, რაც ოდნავ მაინც გამორჩეულია. აქ იღებს სათავეს დისიდენტების მიმართ ზიზღიც. ისინი ხომ არ იქცეოდნენ უმრავლესობასავით, ერჩიათ პირად წარმატებაზე ზრუნვის მაგიერ, ხმამაღლა ეთქვათ სიმართლე და ამით თავისუფალი აზროვნების უწყვეტობა დაეცვათ, გაერისკათ

და მსხვერპლი გაეღოთ. ასეთ არასტანდარტულობას კი არ პატიებენ. მეკითხებით ჩემი პოლიტიკური კრედოს შესახებ. ყოველგვარი ფანატიზმის წინააღმდეგი ვარ, რადგანაც ერთ-ერთ ყველაზე უფრო სახიფათო საზოგადოებრივ მოვლენად მივიჩნევ. ამდენად, საბაზრო ფუნდამენტალიზმისა და დოგ-მატიზმის მოწინააღმდეგეც ვარ, რის გამოც „მჟავეები" მემარცხენეობას მაბრალებენ. მოგების კანონი დამოუკიდე-ბლად, კეთილგონივრულს მართლა არაფერს გვიქადის. ახლა იმიტომ ვლაპარაკობ ამაზე, რომ საბაზრო დოგმატიზმი ნახ-სენები სტანდარტულობის იდეალის შემადგენელია. მაგრამ მე მართლა არ მესმის, ზევიდან წამოსული ბრძანებების საფუძველზე რატომ უნდა ავირჩიო სტანდარტული ცოლი, სტანდარტული ბინა, სტანდარტულად ვაგროვო ფული ან ნივთები და სტანდარტულად ვიფიქრო. და არც ის ვიცი, თუ როგორც პოლიტიკოსი რატომ ვიყავი მოვალე ჩავბღაუჭე-ბოდი სტანდარტულობის დროშას. ან მოვახერხებ და ჩემი არაპოპულარული შეხედულებების კეთილგონივრულობაში დავარწმუნებ საზოგადოებას და მოვიპოვებ მათ ნდობას ან ჩემს გზას გავუდგები და ნაწყენიც არ დავრჩები. შემიძლია კიდევ სხვა სახით ჩამოვაყალობო ჩემი „კრედო": ჩემი აზრით, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კანონებზე მაღლა ზნეობრივი კანონი დგას და ამიტომ ეს კანონები უნდა იყოს ამოსავალი და არ უნდა ეძებდნენ შემოვლით გზებს ზნეობრივი იმპერატივებისთვის გვერდის ასავლელად და რომ ამ ზნეობრივი კანონების მეტაფიზიკური ფესვები ეკუთვნის მუდმივსა და უსასრულოს.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გკით-ხოთ თუ როგორ უყურებთ დღევანდელ პოლიტიკურ სიტუა-ციას ჩეხეთის რესპუბლიკაში.

იმპერიის მიერ შთანერგილმა და ყველგან პატივით მიღე-ბულმა კომუნისტური პარტიის წამყვანმა როლმა, საზოგა-დოების ცნობიერებაში ღრმა იარა დატოვა და ბევრნი გაუც-ნობიერებლად ისევ მეტ-ნაკლები პატივისცემით უყურებენ ამ პრინციპს ანუ ისევ იმ პოლიტიკური ძალის ძებნაში არიან,

რომელიც გაუმარტივებთ წარმატებისკენ გზას. დღევანდელი სიტუაცია, ცხადია, რადიკალურად განსხვავებულია, ძლიერი და გავლენიანი პარტიების რიცხვი გაიზარდა, არსებობს არჩევანი და ამა თუ იმ პარტიის წევრობა პირდაპირ და უშუალოდ არსად მოგეთხოვებათ. მიუხედავად ამისა, წარსულის აჩრდილები, განაგრძობენ არსებობას როგორც სისტემაში, ისე ხალხში: ჯერ სადმე უნდა გაწევრიანდე, შემდეგ იქ ვინმეს დაუახლოვდე და აი შემდეგ ირგვლივ მიმოიხედო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ გაკვალულ გზას საუკეთესოდ მოერგო სდპ. ყოველ წამს მომდის ხმები, თუ ყოფილი კომუნისტი ბიუროკრატები რა მოხერხებულად დაეპატრონენ სდპ-ს რომელიღაც ადგილობრივ ორგანიზაციას და ნორმალიზაციის ეპოქის რამდენი კარიერისტი აგრძელებს თავის კარიერას ახალი აბრის ქვეშ. სდპ-ს ძლიერება და სიდიდე, გარდა სხვა ყველაფრისა, იმან განაპირობა, რომ მისმა ჩამომყალიბებლებმა, გამოიცნეს თუ საკვანძო მომენტში სად უნდა დამდგარიყვნენ და რა უნდა შეეთავაზებინათ საზოგადოებისათვის. ცხადია, ამით სრულებითაც არ მსურს დავამცირო სდპ-ს ასობით წარმომადგენლის მრავალი დამსახურება, ვინ იცის, თუ რამდენად უფრო ცუდად განვითარდებოდა სიტუაცია, რომ არა სდპ. მან შესთავაზა ჩვენს ქვეყანას ყოველგვარ სენტიმენტალობას მოკლებული კაპიტალიზმი, რაც გარკვეულ მომენტში ალბათ კარგიც იყო. ოღონდ ახლა სხვა მდგომარეობაა. გვეზრდება ახალი თაობა, რომლისთვისაც ჩვენი ოფიციალური პოლიტიკის ენა უკვე საკმაოდ უცხოა. და არა მარტო მათთვის. ბევრისთვის უკვე დამღლელია ერთი და იმავე პარტიებისა და ერთი და იმავე სახეების ყურება, იგივე კამათები და იგივე შეთანხმებები, აღარ მიემართებიან არჩევნებზე, კარგავენ პოლიტიკისადმი ინტერესს. ვინმეს, რომ მოეხერხებინა ხალხისთვის შთამაგონებელი და დამაჯერებელი ალტერნატივის შეთავაზება, ჩემი შეფასებების მიხედვით, მომავალ არჩევნებში ოცამდე პროცენტს მოიპოვებდა. მაგრამ, ალბათ, მსგავსი რამ არ მოხდება. ხალხი, რომელსაც შეუძლია ამ გზით სიარული, რომელიც დაეყრდნობოდა არასაპარლამენტო მცირე პარ-

ტიებს, სულერთია ლიბერალურს თუ მწვანეებს, და სამოქალაქო ინიციატივების მდიდარ სპექტრს, ვერ ახერხებს ერთმანეთთან მოლაპარაკებას. სამწუხაროა, პოსტკომუნიზმის წინააღმდეგ გალაშქრება ყოვნდება.

ბევრს საუბრობთ პოსტკომუნიზმის შესახებ. თქვენს წიგნში „ძლიერნი ძალაუფლების გარეშე", დაახლოებით ოცდაათი წლის წინ, გამოიყენეთ ტერმინი „პოსტდემოკრატია". რას გულისხმობდით?

„არაპოლიტიკური პოლიტიკის" არ იყოს: ერთხელ, ბრჭყალებში, გარკვეულ კონკრეტულ კონტექსტში, მეტაფორულად გამოვიყენე ეს ტერმინი, რომელიც უპირისპირდებოდა სხვა მსგავს გამოთქმას, რომელიც მაშინ მოვიშველიე, პოსტტოტალიტარიზმს. პოსტდემოკრატიის ქვეშ ვგულისხმობდი დემოკრატიას, რომელიც, ხელახლა იკრეფს თავის სახალხო შინაარსს. სხვა არაფერს და არც ერთი გრამით მეტს, ანუ დემოკრატიას, რომელიც არ არის მხოლოდ ფორმალური, მხოლოდ ინსტიტუციონური, მხოლოდ ელეგანტური მექანიზმი, რომელიც ხელისუფლებაში ერთი და იმავე ადამიანების დარჩენას ემსახურება, ოლონდ ისე, რომ მოქალაქეებს შეგრძნება ექმნებათ, თითქოს ყოველთვის თვითონ ირჩევენ. შესაძლოა, ცოტა გულუბრყვილოდ, მაგრამ ვცდილობდი განმემარტა მხოლოდ ის, რასაც დღემდე ვფიქრობ და თანაც დღეს კიდევ უფრო აკვიატებით: თუკი არ გვინდა, რომ ჩვენი საქმე ცუდად წარიმართოს, საჭიროა „გულებისა და თავების რევოლუცია", როგორც მასარიკი უწოდებდა ამას, ადამიანთა გამორკვევა ფართო გაგებით. ყურადღების გადატანა უკვე საკმარისად მოძველებული და უკიდურესად ტექნოკრატიული პოლიტიკური პარტიების ალტერნატივის ძიებაზე, ყოველ შემთხვევაში, მოწოდება მათი შინაგანი განახლებისაკენ; მცდელობა ჩამოვაშოროთ მათ შეფარული და შეუმჩნევლი ყველგანშემღწევი ძალაუფლება, რომელიც ეწინააღმდეგება თვით წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპებს; მეტი მზრუნველობა ღია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე და სხვადასხვა საზოგადოებრივი

დაჯგუფებების რეკონსტრუქციაზე, როგორც საზოგადოების სოლიდარობისა და თვითკონტროლის ხელსაწყოზე; ყურადღების აქცენტირება გრძელვადიან ინტერესებზე, პოლიტიკის სულიერ და ზნეობრივ განზომილებაზე. ეს ყველაფერი ძირითადი იდეალის სხვადასხვა ასპექტს წარმოადგენს. ეს იდეალი არც თუ ისეთი რთულია. მას შეიძლება ვუწოდოთ კაცობრიობის გამოსვლა თვითგამანადგურებელი ცივილიზაციური ვარდნიდან.

7.

(ჰრადეჩეკი 5. 12. 2005)

გავურბივარ. სულ უფრო გავურბივარ. სხვადასხვა მიზეზს ვიგონებ, რათა გავექცე ჩემს კაბინეტს, ჩავდივარ ქვევით, სამზარეულოში, ვალაგებ იქაურობას, ვუსმენ რადიოს, ვრეცხავ ჭურჭელს, ვიმზადებ საჭმელს, ვფიქრობ ხოლმე რაღაცაზე ან ისე, უბრალოდ, ვჯდები ჩემს ძველ ადგილას და ფანჯარაში ვიყურები. რეალურად კი წერას გავურბივარ. თუმცა არა მხოლოდ. გავურბივარ საჯაროობას, გავურბივარ პოლიტიკას, გავურბივარ ადამიანებს, ჩემს გადამრჩენსაც კი გავურბივარ და რაც მთავარია – საკუთარ თავს. ბოლოს და ბოლოს, რისი მეშინია? ძნელი სათქმელია. და აი, რა არის საინტერესო: მიუხედავად იმისა, რომ აქ ახლა მარტო ვარ და მარტო ვიქნები, არავის ველი და არავინ აპირებს ჩემთან სტუმრობას, სახლი ყოველთვის მილაგებული მაქვს, ყოველი ნივთი თავის მკაცრად განსაზღვრულ ადგილზე მიდევს, ყველაფერი ერთმანეთთან მორგებული უნდა იყოს, საგნების კიდეები ერთმანეთს არ უნდა სცდებოდეს და არაფერი არ უნდა იდოს ირიბად. ამავდროულად, მაცივარი ყოველთვის გამოვსებული უნდა იყოს მრავალფეროვანი სანოვაგით, რისი მომრევიც მე ჩემით არ ვარ, და ლარნაკებში ახალ-ახალი ყვავილები უნდა ეწყოს, თითქოს განუწყვეტლივ ვიღაცას ველოდები. მაგრამ ვის? უცნობ და დაუპატიჟებელ სტუმარს? უცნობ მზეთუნახავს ან თაყვანისმცემელს? ჩემს მშველელს, რომელსაც შეუტყობინებლად უყვარს ხოლმე გამოცხადება? ძველ მეგობრებს? როგორ გავიგო ის, რომ არავის ნახვა არ მინდა და თან გამუდმებით ვიღაცას ველოდები? ვიღაცას, რომელიც სათანადოდ შემიფასებს იმას, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დევს და ლამაზად მისწორ-მოსწორებულია. მხოლოდ ერთი ახსნა მაქვს: განუწყვეტლივ ვცდილობ მომზადებული ვიყო განკითხვის დღისთვის. დღეს, რომლის წინაშეც ვერაფერი დაიმალება, როდესაც ყველაფერი, რაც დასაფასებელია დაფასდება, რაც ცუდად დევს და წესრიგს არღვევს, თავისთავად

ცხადია, შემჩნეული იქნება. ბუნებრივია, ამ დროს ვუშვებ, რომ უმაღლესი მოსამართლე ჩემსავით პედანტია. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რატომ არის ჩემთვის შემაჯამებელი შეფასება ასე მნიშვნელოვანი? ხომ შეიძლებოდა ეს ჩემთვის სულ ერთი ყოფილიყო? მაგრამ არ არის, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემმა არსებობამ (ისევე როგორც სხვა ყველაფერმა, რაც კი მომხდარა დასაბამიდან) შეარხია ყოფიერების ზედაპირი, რომელიც ამ ჩემი ტალღის შემდეგ, რაგინდ უმნიშვნელო, ამაო და წარმავალიც არ უნდა იყოს, აღარ არის და აღარც იქნება ისეთი, როგორიც მანამდე იყო. უბრალოდ, მთელი ცხოვრებაა მჯერა, რომ იმას, რაც ერთხელ მოხდა, უკან ველარ გამოიძახებ და ყველაფერი, რაც ოდესმე მომხდარა, მომხდარა სამუდამოდ ანუ ყოფიერებას გააჩნია მეხსიერება. ამდენად, ჩემი პატარა ამბავიც (ბურჟუა ზიული ოჯახის შვილი, ლაბორანტი, ჯარისკაცი, პიესების ავტორი, დისიდენტი, პატიმარი, პრეზიდენტი, პენსიონერი, საზოგადოებრივი ფენომენი და მეუდაბნოვე, ვითომ გმირი და სინამდვილეში კი შენილბული მშიშარა) ყოველთვის აქ იქნება. ცხადია აქ არა, მაგრამ სადღაც. ოღონდ სხვაგან არა. სადღაც აქ.

და მაინც ვერ გავერკვიე, ნანობთ თუ არა, რომ თექვსმეტი წლის წინ, იტვირთეთ სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობა.

არ ვიცი. როდის როგორ. ზოგჯერ წარმოვიდგენ იმ ყველაფერს, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო რომ არა თანამდებობა. შემეძლო წამეკითხა, ამ დროის განმავლობაში ჩვენში გამოცემული, ათობით თუ არა ასობით საინტერესო წიგნი, შემეძლო ბევრი მემოგზაურა და ბევრი მენახა, წარმოუდგენლად მეტ თეატრალურ და ლიტერატურულ ღონისძიებას დავსწრებოდი, დამეწერა ახალი პიესები, უკეთ და მეტად შემერგო ეს ცხოვრება, უფრო თავისუფლად გამომეთქვა ხოლმე ჩემი აზრი, თანამდებობის თანმდევი ოცდაოთხსაათიანი უდიდესი პასუხისმგებლობის შეგრძნებით არ ვყოფილიყავი დამძიმებული, არ მექნებოდა ყველასთვის კარგად ნაცნობი სახე, რაც მაიძულებს განუწყვეტლივ ვაკონტროლო საკუთარი თავი და ვიფიქრო იმაზე თუ ჩემი უმნიშვნელო საქციელის შესახებ ვინ რას იტყვის და ვინ რას დაწერს. შესაძლოა, დღეს უფრო

ჯანმრთელიც ვყოფილიყავი და ა.შ. მაგრამ ასე ვფიქრობ, ცუდ ხასიათზე ყოფნის წუთებში. სხვა დროს, როდესაც უკეთ ვგრძნობ თავს, ისევ და ისევ ვახსენებ საკუთარ თავს, რომ მთელი ეს ჩემი დაუჯერებელი ისტორია იყო უზარმაზარი საჩუქარი. რამდენი საინტერესო ადამიანის ახლოს გაცნობის საშუალება მომეცა, პოლიტიკოსებით, რომლებიც ისტორიას ქმნიან და ჰოლივუდის გამოჩენილი ვარსკვლავებით დაწყებული, კოსმონავტებით დასრულებული, ისტორიული მნიშვნელობის რამდენ მოვლენაში შევძელი მონაწილეობა და შესაბამისად, გავლენის მოხდენა მათ მსვლელობაზე, რამდენად დაუმსახურებელი იყო ეს ყველაფერი.

1989 წლის ოქტომბერში, რომ გცოდნოდათ, რომ პრეზიდენტის თანამდებობაზე ამდენ ხანს დაჰყოფთ და ის ყველაფერი რაც ამ თანამდებობაზე ყოფნისას დაგატყდათ თავს, მაინც იყრიდით კენჭს?

ცხადია, ამ ყველაფერზე მხოლოდ გამეცინებოდა.

კარგია რომ ეს ყველაფერი არ იცოდით?

კარგი იყო თუ არა ეს ჩვენი ქვეყნისთვის ან მსოფლიოსათვის, ცხადია, სხვამ უნდა განსაჯოს. ამ თანამდებობამ უსაზღვროდ საინტერესო გამოცდილება შემძინა, თუმცა დაკავშირებული იმდენ მძიმე სატანჯველთან, რომ აღწერაც კი მიჭირს. ბოლოს და ბოლოს, ეს არც არის მნიშვნელოვანი.

(ჰრადეჩეკი 8. 12. 2005)

გუშინწინ გულის ფიბრილაცია დამეწყო. საკმაოდ ძლიერი, დიდხანს გრძელდებოდა და ძალიან უსიამოვნო იყო. პულსი 160-მდე ამივიდა. გუშინ კი უძილობა მქონდა, პრინციპში წუთიც არ მძინებია და ამავე დროს არც წერა შემეძლო და არც კითხვა. ერთი სიტყვით, მთელი ღამე ვშფოთავდი და ვწვალობდი. ამას ემატება პირქუში ამინდი, არაფერი აქვს საერთო იმ ლამაზ ზამთართან, ზღაპრებში რომ უყვართ აღწერა. ყველაზე მძიმე კი მაინც ის არის, რომ დაშა ჩემზე უარესად ავადმყოფობს პრაღაში, გული აწუხებს და ლოგინიდან ადგომაც კი ეკრძალება, რისი შემსრულებელიც

ნამდვილად არ არის. ხვალ უკვე მივემგზავრები. მაგრამ, რატომ აღვწერ აქ ჩემს მდგომარეობას? ალბათ, იმიტომ, რომ ყოველ წამს ვფიქრობ იმაზე, თუ რა აბსურდულია, რომ ჩემნაირი ნანგრევების გროვა მსოფლიოს არა ერთი ქვეყნის ათობით უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი და ასევე, მრავალი საუკეთესო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია. გასაოცარია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, თავისი ლოგიკა ამასაც აქვს. გიჟები ხომ არ არიან?

(დაუთარიღებელი 2001)

1) გაარკვიეთ, მიიღო თუ არა კრაუსმა – არ შეგვხმიანებია.

2) ახლებს ძველი მოსაწვევები გაუგზავნეთ

3) ძველ მოპატიჟებულებს, კრაუსის გარდა, გაეგზავნოთ ახალი მოსაწვევები.

4) როდესაც შეგვეხმიანებიან ახლადმოწვეულები, გავუგზავნოთ ძველი მოსაწვევები.

5) უკეთესი სია.

ცოტა ხნის წინ დაიწყო სპეკულაციები იმასთან დაკავშირებით, რომ ორი წლის შემდეგ ისევ შეგიძლიათ კენჭი იყაროთ პრეზიდენტის თანამდებობაზე. რას ფიქრობთ ამაზე?

ცხადია, მსიამოვნებს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც შერჩათ ჩემი რწმენა და გაუხარდებოდათ ჭრადზე ჩემი დაბრუნება. ამას ვუყურებ არა როგორც ჩემი პიროვნებით განსაკუთრებულ გატაცებას, არამედ როგორც სწრაფვას იმ იდეალებისაკენ, რომლის განსახიერებაც ვარ ბევრისთვის ანუ პოლიტიკისა და მსოფლიოზე დღეს დამკვიდრებული შეხედულებებისგან სრულებით განსხვავებული ხედვა. თეორიულად შემიძლია კენჭი ვიყარო. კონსტიტუციის მიხედვით მხოლოდ ორჯერ ზედიზედ შეიძლება თანამდებობაზე დარჩენა, მაგრამ პაუზის შემდეგ დაბრუნება, ცხადია, არ იკრძალება. ვიცი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ასეც მომხდარა. რეალურად კი ამაზე არც კი ვფიქრობ. სრულიად აბსურდული მოვლენა იქნებოდა, რომ მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე კენჭი ვიყარე ამდენი ეჭვიანი თუ დიდი ზეწოლის ფონზე და ბოლოს ხმამაღლა გამოვაცხადე, რომ ერთხელ და სამუდამოდ

(ამჯერად მართლა) მოვრჩი, ისევ დამეწყო ამ იდეით თავის დანაგვიანება. მხოლოდ სასაცილო ვიქნებოდი. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი ან მთავარი მიზეზი. დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყანაში დღეს დამყაყებული პოლიტიკური ვითარებაა და ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭიროა გზა გავუთავისუფლოთ ახლებს, ახალგაზრდა და ძალ-ღონით სავსე ხალხს, რომლებიც ჯერ არაფერში გახვეულან, ფართოდ გავაღოთ პოლიტიკის კარი სისხლის გასაახლებლად, ახალი ქარისთვის და ახალი აზრებისათვის. კლაუსების, ზემანების, ჰაველების ადგილი, როგორც კომუნიზმის ეპოქით, ასე თუ ისე, დეფორმირებული და რაც მთავარია, როგორც ჩეხოსლოვაკური პოსტკომუნიზმის ძირითადი ფიგურებისა, დამსახურებულ პენსიაზეა. რაღაც უნდა შეიცვალოს. გაზეთებსა და ტელევიზიაში რამდენჯერმე ვისაუბრე ამაზე და როგორც მაგალითები პიროვნებებისა, რომლებიც შეძლებდნენ პრეზიდენტობას, დავასახელე რუტ კოლინსკა და შიმონ პანეკი. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც უკვე მრავალი წელია გამორჩენის გარეშე მუშაობენ არასამთავრობო სექტორში, უხმაუროდ აკეთებენ თავიანთ საქმეს, ეხმარებიან ახლობლებს შინ და მთელს პლანეტაზე და ცხადია, გააჩნიათ შესაბამისი აღჭურვილობა ანუ ფართო თვალსაწიერი, ენების ცოდნა, კარგი აღზრდა და ა.შ. პირველად ამ იდეამ მხოლოდ დაცინვა გამოიწვია, როგორც უტოპიურმა ან შეიძლება პროვოკაციულმაც კი: ჩვენთან ხომ არა მარტო პრეზიდენტი, არამედ ყოველი სხვა პოლიტიკური ფუნქციონერიც, აუცილებლად რომელიმე პარტიის წიაღიდან უნდა ამოიზარდოს! – მიუხედავათ ამისა დრო ყველაფერს ცვლის, ყოველ შემთხვევაში ამ იდეაზე დღეს ისე აღარ ეცინებათ. ამავე დროს ჩემი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრებით გადაღლილობის და სხვა მრავალი ვითარების გაუთვალისწინებლადაც კი ნაკლებ გიჟურად გამოიყურება, ვიდრე ჩემი პრეზიდენტობის იდეა. მით უმეტეს არ ვსაუბრობ იმაზე თუ რაოდენ მცირეა შანსი, რომ დღევანდელმა ან მსგავსი შემადგენლობის მქონე მომავალმა პარლამენტმა ამირჩიოს მე.

და მაინც, ჩემამდე არ დადის, როგორ შეიძლება, რომ საკუთარ თავში ასე დაეჭვებულმა ადამიანმა, რომელსაც აკლია საკუთარი თავის რწმენა და საშინლად თვითკრიტიკულია, მოახერხა ცხოვრებაში შედარებით ბევრის გაკეთება და რომ საყოველთაოდ მიჩნეულია მებრძოლ, აქტიურ, წარმატებულ და აშკარად გამოკვეთილ პიროვნებად.

„ხანდახან საკუთარ თავს ვეუბნები, თითქოს ის, რომ თავიდანვე არ დავიწყე წერა და საერთოდ, რამეში ჩაღრმავება, პრინციპში, მხოლოდ იმის ბრალია, რომ ვცდილობდი რაიმე გზით გადამელახა შეუსაბამობის, უხერხულობის, გარიყულობის და სრული აბსურდულობის შეგრძნებები, შესაბამისად მესწავლა ამ ტვირთით ცხოვრება...“ ეს გახლავთ, როგორც ალბათ ხვდებით, ციტატა წიგნიდან „დაკითხვა შორიდან“. აღნიშნულ საკითხს არა მარტო ამ წიგნში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჩემს მიერ ციხიდან მოწერილ წერილებში ვამუშავებდი საფუძვლიანად. ვყვებოდი იმის შესახებ, თუ როგორ მივჩანჩალებდი ყველას უკან ჩემი შინაგანი მოუქნელობის გამო, რა მძაფრად განვიცდიდი სოციალურ ბარიერებს ჩემსა და ჩემს გარემოს შორის, როდესაც პატარა ბიჭი ვიყავი და რომ მთავარი იმპულსი თუ მამოძრავებელი ძალა ჩემი ქმედებებისა იყო გარემოცვასთან რამდენადმე მორგების, მათთან გატოლების, საკუთარ განსხვავებულობასთან შეგუების სურვილი. როგორც ხედავთ, თქვენ მიერ წამოჭრილ შეკითხვას უკვე წლებია, რაც საკუთარ თავს ვუსვამ. ერთის მხრივ იმიტომ, რომ მომიწევდა უკვე ნათქვამის სხვა სიტყვებით გამეორება და ამჯერად უეჭველად უარესად გადმოვცემდი ჩემს აზრებს და მეორეს მხრივ, რათა ხაზი გამესვა იმაზე, რომ მე ისევ ვფიქრობ ამ პრობლემაზე. თქვენის ნებართვით, ერთხელაც მოვიშველიებდი „დაკითხვას შორიდან“. „(...) მეჩვენება, რომ ჩემი ცხოვრება, ჩემი სამუშაო, ჩემი მდგომარეობა და საქმიანობა, საეჭვო რაოდენობის პარადოქსებისგანაა მოქსოვილი. ჯერ მარტო ის, რომ ცხვირს ვყოფ ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, მაშინ, როდესაც არაფერში არ ვარ სპეციალისტი. ცხოვრებამ ერთგვარი პოლიტიკური მოღვაწის როლში აღმომაჩინა,

მაშინ, როდესაც არასდროს ვყოფილვარ პოლიტიკოსი, არც არასდროს მდომებია და არც საამისოდ საჭირო მონაცემები მქონია. მომხრეები და მოწინააღმდეგეები მღებულობენ პოლიტიკურ მოვლენად, მაშინ, როდესაც არც ერთ ჩემს ნაბიჯს არ შეიძლება ეწოდოს ნამდვილი პოლიტიკა. ყოველ წამს ვფილოსოფოსობ და ამავე დროს აბა რომელი ფილოსოფოსი მე ვარ? ჩემი ფილოსოფიური განათლება, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობიდან მოყოლებული სიამოვნებით ვკითხულობ ფილოსოფიურ ნაწარმოებებს, ხომ ღატაკზე ღატაკია და არასისტემური.

(30. 10. 2000)

(...)

2) გვირაბში, ლიფტის წინ რომ საზარელი ხალიჩაა, გაწმინდეთ. პრინცმა, დაინახა თუ არა, არწყია.

„დროგამოშვებით ლიტერატურის შესახებ ვწერ და თუკი რამე არ ვარ, პირველ რიგში, არ ვარ ლიტერატურული კრიტიკოსი. (...) იმაშიც კი, რასაც ჩემს უპირველეს და ძირითად საქმიანობად მივიჩნევ, თეატრი მაქვს მხედველობაში, არანაირი სპეციალისტი არ გახლავართ. (...) და ნებისმიერ თეატრში დრამატურგობას, მხოლოდ იმიტომ, რომ შესაბამისი განათლება მაქვს ოდესღაც მიღებული, მირჩევნია ისევ ლუდსახარშში დაბრუნება[117]*. გარდა ამისა, როგორც დრამატული ავტორიც კი ოდნავ საეჭვოდ გამოვიყურები: მხოლოდ რაღაც გარკვეული სტილით შემიძლია წერა, მხოლოდ ჩემეული პოეტიკის ვიწრო ფარგლებში და ამ ფარგლებს წვეთით გაცილება რომ მომიხდეს, ალბათ, საბრალო კრახით დასრულდება ყველაფერი. ერთი სიტყვით, მიუხედავათ იმისა, რომ მრავალი საქმის მონაწილე ვარ, არაფერს ვეკუთვნი ბოლომდე და დანამდვილებით, არც სამსახურებრივად, არც როგორც სპეციალისტი, არც სწავლა-განათლებით, არც მონაცემებით ან ჩვევებით და არც ბედის განგებით. (...) თუმცა, ჩემი პირადი პარადოქსების ნუსხა ამით არ სრულდება, პირიქით აქ იწყება. აი ზოგადი მონახაზი: ჩემით ავირჩიე თავგადასავლებით აღსავსე გზა და ყველგან მღელ-*

117 1974 წელს, ცხრა თვის მანძილზე, ვ. ჰაველი მუშაობდა უბრალო მუშად ქალაქ ტრუტნოვის ლუდსახარშ ქარხანაში.

ვარება შემაქვს – ამ დროს ქვეყნად არაფერი მწყურია ისე, როგორც სიმშვიდე. გაგიჟებით მიყვარს ჰარმონია, შინაგანი კომფორტი, სიწყნარე, საყოველთაო თანხმობა, მშვიდობა და მეგობრული ურთიერთგაგება ყველასი ყველასთან; (...) დაძაბულობას, კონფლიქტებს, გაუგებრობებს, ბუნდოვანებასა და არეულობას მძიმედ ვეგუები, მაშინ როდესაც, ჩემი პოზიცია მსოფლიოში ყოველთვის იყო და დღემდე რჩება ღრმად წინააღმდეგობრივად. გამუდმებულ კონფრონტაციაში ვარ ძალაუფლებასთან (...), დამიმკვიდრდა მუდმივი მეამბოხის სახელი, რომლისთვისაც არაფერია ქვეყნად წმინდა. ჩემი პიესებიც, ყველაფერს გვიხატავენ გარდა სიმშვიდისა და სიწყნარისა. საშინლად მაკლია თავდაჯერებულობა, ცოტაც და ნეეროტული ვარ, პანიკიორი, სულ რაღაცის მეშინია, ზოგჯერ ტელეფონი რომ რეკავს, ისიც კი მაფრთხობს, ყოველ ნამს ეჭვებით ვუყურებ საკუთარ თავს, რაღაცისთვის თითქმის მაზოხისტურად ვადანაშაულებ თავს და ვეწევი თვითგვემას და ამ დროს ბევრი აღმიქვამს, (...) როგორც საკუთარ თავში და საკუთარ ქმედებებში დარწმუნებულ, შესაშურად გაწონასწორებულ, წყნარ, თავისუფალ, დაჟინებულ, მიმწოლ, საქმიან და საკუთარ პოზიციებზე მყარად მდგომ ადამიანს. ყველაფერში სისტემურობის და რაციონალობის მოყვარული ვარ, მოყვარული წესისა და რიგის, დისციპლინებული და სანდო, ხშირად ბიუროკრატიულად, პედანტურიც კი და ამავე დროს, ვარ ზედმეტად მგრძნობიარე, თითქმის სენტიმენტალური. ადამიანი, რომელსაც დასაბამიდან იზიდავს ყველაფერი იდუმალი, მაგიური, ირაციონალური, აუხსნელი, გროტესკული და აბსურდული, ყველაფერი ის, რაც ამოვარდნაა წეს-ჩვეულებიდან და ეწინააღმდეგება მას.

(30. 10. 2000)

(...)

2) გვირაბში, ლიფტის წინ რომ საზარელი ხალიჩაა, გაწმინდეთ. პრინცმა, დაინახა თუ არა, არწყია.

„ძალიან მიყვარს საზოგადოება, სულ ხალხში ვტრიალებ, სულ რაღაცის ორგანიზებაში ვარ, ვცდილობ ხალხი გავაერთიანო, ერთი ყოჩაღი ბიჭი ვარ, ხშირად – საზოგადოების მორთულობა და საუბრით გამრთობი, მოგრიალე, რომელმაც კარგად იცის გართობისა და ყოველივე აკრძალულის გემო და ამავე დროს, მარტოობაში საუკეთესოდ გრძნობს თავს. მთელი ჩემი ცხოვრება დაუსრულე-

ბელი ლტოლვაა მარტოობისა და თვითჩაღრმავებისკენ. (...) ვწერ უმოწყალოდ სკეპტიკურ, თითქმის დაუნდობელ პიესებს მაშინ, როდესაც სინამდვილეში დონ კიხოტივით და მუდმივ მეოცნებესავით ვიქცევი, განუწყვეტლივ ვიბრძვი რაღაც იდეალებისთვის. გულის სიღრმეში კი მშიშარა და მორიდებული ვარ და ამავე დროს არა ერთ თავყრილობაზე მეამბოხის სახელი გავითქვი, მეამბოხის, რომელიც ყველაზე უფრო მწარე სიმართლესაც კი უყოყმანოდ პირში ეუბნება სხვებს.

(ჰრადეჩეკი 9. 12. 2003)

ვიხსენებ ჩემს მეგობარს, დიდ და ამავე დროს, ნაკლებად ცნობილ ჩეხ ფილოსოფოსს იოზეფ შაფარიკს, რომელიც თავის უკანასკნელ წიგნს – „უკანასკნელ გზაზე" დაახლოებით ოცი წელი წერდა. ვიტყოდი, რომ საკუთარი სისხლით წერდა, განუწყვეტლივ ანახლებდა და ველარ დაასრულა. ჩვენ, მისი მეგობრები, ვცდილობდით გადაგვერწმუნებინა და აგვეხსნა, რომ ჯობია შეეშვას ამას, რომ მთავარია ეს წიგნი არსებობდეს და ხელიდან ხელში გადადიოდეს, მას კი ჩვენი გაგონებაც კი არ სურდა. ამ დროის განმავლობაში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, წიგნის გამოცემა უკვე ღიად შეიძლებოდა. ის კი ზუსტად იმ დღეს გარდაიცვალა, გამომცემლობიდან პირველი ეგზემპლარი რომ მიუტანეს. ადვილი დასაშვებია, მისმა სიცოცხლემ, რომელიც ნაწარმოების დასრულების ჟინით საზრდოობდა, დაკარგა აზრი. შესაძლოა, წიგნის დასრულებას იმიტომაც აჭიანურებდა, რომ ცხოვრებას შინაარსი ჰქონოდა, ანუ რათა ეცხოვრა.

(14. 11. 1993)

(...)

5) ჩემი კანცელარიის კარის აბრაზე, დღემდე ლენკა შ.-ს მაგიერ, წერია იმ მდივნის სახელი, რომელიც უკვე თვეებია აქ აღარ მუშაობს. გთხოვთ, სასწრაფოდ გამოცვალოთ! ყველაზე უფრო გამოსაჩენ ადგილას, რომლის გავლითაც მოდიან ჩემთან სახელმწიფო მეთაურები და სხვადასხვა დელეგაციები, ანუ დაცვის მაგიდაზე კორიდორში, პლეჩნიკთან შესასვლელში, დევს სამი (რატომ სამი?) მახინჯი და ძველმოდური ტელეფონი (თანაც სამივე განსხვავებული), პლუს ასევე მახინჯი მაგიდის ლამპა. გთხოვთ, ეს ყველაფერი სასწრაფოდ მოაშოროთ იქაურობას. არ მესმის, მაშინ, როდესაც

მთელ ჰრადზე ასობით ახალი და ლამაზი ტელეფონი დაიდგა (არავინ რომ შედის ისეთ ოთახებშიც კი), მხოლოდ ერთ ადგილზე, ერთ და მხოლოდ ერთ ადგილას, რომელსაც მართლა ყველა ხედავს, დღემდე რატომ შემორჩა ეს წარღვნამდელი მონსტრები. ამ სამი საფრთხობელას ნაცვლად, სასწრაფოდ დაიდგას ერთი და ლამაზი ტელეფონი. ე.-მ დააყენოს იქ პლეჩნიკოვსკის ლამაზი ნათურა. ხომ დაუშვებელია, რომ ეს ადგილი გამოიყურებოდეს, როგორც 1971 წლის დროინდელი ეუკ[118]-ის რაიონული სამსახურის მოსაცდელი! (...)

(19. 10. 1996)

(...)

10)(...) ბ) ბარიშნიკოვზე პრემიერმა მითხრა, რომ მომავალ კვირას აუცილებლად უნდა ჩემთან შევხვდეთ და რომ არ არის აუცილებელი სადილის ან ვახშმის მოწყობა (სიმარტივისათვის). ჩემი პროგრამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის თითქოს მთავრობის თავმჯდომარისთვის წამიც არ მაქვს. ეს ჩემი პროგრამის უაზრობის გამომააშკარავებელი მშვენიერი მაგალითია. რაც გნებავთ ის მოიფიქრეთ, მაგრამ 1 ოქტომბრიდან მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. კვირაში ერთი ან ორი ნაშუადღევი თავისუფალი უნდა მქონდეს ისეთი პოლიტიკური შეხვედრებისათვის, რომელთა დაგეგმვაც, როგორც წესი, წინასწარ არ ხერხდება და რომლებიც ხშირად ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემი პროგრამის დანარჩენი პუნქტების უმეტესობა. მაგალითად, ზიელენიეცს უნდა ხოლმე დრო და დრო პირადად შემხვდეს, ხშირად ვიბორნისთან მაქვს საქმე და ა.შ. ხანდახან მთავრობის სხდომებსაც უნდა დავესწრო, უკვე ერთი თვეა ახალი მთავრობა გვყავს, მე კი ერთხელაც არ ვყოფილვარ მათთან. გ)ზოგჯერ ოცწუთიანი შეხვედრა მჭირდება ხოლმე ჰლადომორნაში[119] (...), ჰლადომორნის რემონტის დეტალებზე სასაუბროდ. (...)

ან კიდევ, (...): მრავლისთვის და მრავლისთვის ვარ იმედის დაუშრეტელი წყარო. თავად კი ამ დროს ყოველ წამს დეპრესიაში ვვარდები, მეწყება ეჭვები, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა

118 ეუკ – ეროვნული უშიშროების კომიტეტი, კომუნისტური ეპოქის დროინდელი ორგანიზაცია. (SNB – Sbor Národní Bezpečnosti).

119 ჰლადომორნა – (დილეგი ჩეხურად: hladomorna) ეწოდება პრაღის ჰრადის იმ ნაწილს, სადაც განთავსებულია ციხესიმაგრის ძველი დილეგი.

მეუფლება და მჭირდება შინაგანი რწმენის განუწყვეტელი და დამღლელი ძიება, გაცოცხლება და მოპოვება. ამდენად, არა მგონია, რომ სხვებისთვის გასაზიარებლად საკმარისი მქონდეს ანუ იმედის დისტრიბუტორის და ჩემს ირგვლივ მყოფი საზოგადოების შემაგულიანებლის როლში ნამდვილად ვერ გამოვდგები, მე ხომ ჩემით ვსაჭიროებ ყოველ წამს შეგულიანებას. ვითვლები ძლიერ, ვაუკაცი თუ არა, საერთოდ შეუდრეკელ ადამიანად, რომელმაც მერყეობის გარეშე არჩია პატიმრობა შეთავაზებულ უკიდურესად მაცდურ ალტერნატივებს, რაზეც მწარედ მეცინება. მე ხომ გამუდმებით რაღაცის მეშინია და ჩემი ეს ვითომ სითამამე და გამძლეობაც ხომ შიშში იკრეფენ სათავეს. შიშში საკუთარი სინდისისა, რომელსაც ასე სიამოვნებს რეალური თუ მოჩვენებითი შეცდომებისთვის ჩემი ტანჯვა. სინამდვილეში, ჩემი საგმირო პატიმრობაც ხომ სიფრთხილისაგან, შიშისაგან და თავზარდაცემულობისგან შედგენილ ერთ უწყვეტ ჯაჭვს წარმოადგენდა. პატიმრობას ვიტანდი როგორც შეშინებული, თვალებგაფართოებული, პატარა ბავშვი, ამქვეყნიური მოვლენების თავგზა აბნეული მონაწილე, რომელსაც ეშინია ცხოვრების და გამუდმებით დაეჭვებულია მოვლენათა საერთო წყობაში საკუთარი ადგილის მართებულებით. ალბათ, პატიმრობას ბევრად უარესად ვიტანდი, ვიდრე ისინი აიტანდნენ, ჩემი მისამართით აღფრთოვანებას რომ გამოთქვამენ.

საკმარისი იყო გამეგო კარგად ნაცნობი ძახილი „ჰაველ!" და პანიკაში ვვარდებოდი, ერთხელ ისე შევხტი, რომ თავი გავიტეხე ფანჯარაზე. მიუხედავად ამისა და ამ ყველაფრის ჯინზე, ვიცი, საჭირო რომ ყოფილიყო, ისევ ჩავჯდებოდი და ისევ გავძლებდი. (...) როგორ გავაერთიანოთ ეს ყველაფერი? რა კავშირში არიან ერთმანეთთან? რატომ არის, რომ იმის მაგიერ, ამ თვისებებმა ერთმანეთი გააბათილონ და გაანეიტრალონ, პირიქით, თანაარსებობენ და მეტიც, თანამშრომლობენ? რა შემიძლია ამ ყველაფრის შესახებ ვიფიქრო? რას უნდა ნიშნავდეს ეს? როგორ ხდება, რომ ურთიერთგამომრიცხავი კურიოზული თვისებების ეს ჩახლართული გორგალი ახერხებს ფონს გასვლას და როგორც ამბობენ, საკმაოდ წარმატებულადაც!" აქ სრულდება ეს ციტატა. რა შემიძლია თითქმის ოცი წლის შემდეგ დავუმატო ამ აზრებს? ალბათ მხოლოდ ეს: გამოვტყდე, რომ გამიკვირდა, რომ დღემდე მეტ-ნაკლებად ვეთანხმები ამ აზრებს და შემიძლია მორიდების გარეშე მათი ციტირება. გამოვტყდე, რომ გამიკვირდა თუ რა წარმოუდგენელი ტემპით განვითარდა

ჩემი ცხოვრება, რა დაუჯერებელი თავგადასავლები გადამხდა და როგორ გაღრმავდა პარადოქსები, რომლებზეც ეს-ეს არის ვსაუბრობდი. მართლაც, დღესდღეობით ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს წინააღმდეგობრივობა, ერთი მხრივ, ჩემს ხასიათს, ნერვულ თუ სულიერ მდგომარეობასა და მეორე მხრივ, იმ როლს შორის, რომელსაც ამდენი ხალხისათვის ვასრულებ, პირდაპირ ორად მხლეჩს. მოტყუების მცდელობას ხომ არ წააგავს ყოველივე ეს? ალბათ მაინც არა. ალბათ, თავისდაუნებურად ერთი მეორეს ეხმარებიან: ქმედებებს მოჰყვება ეჭვები, ეჭვებს – ქმედებები.

(პრადეჩეკი 9. 12. 2005)

ჩემს სიმარტოვეში შემოიჭრა მადლენის წიგნი, ორიგინალი. მე კი მხოლოდ პირს ვაღებ გაკვირვებით. არაფრით არ მესმის, როგორ შეუძლია მოასწროს საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ასწავლოს უნივერსიტეტში, იმოგზაუროს მსოფლიოში და ამავდროულად, დაწეროს ორი საინტერესო და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სქელტანიანი წიგნი, ციტატებით, დაწვრილებითი მოგონებებითა და სხვა წიგნებზე მითითებებით სავსე. ცხადია, ჰყავს დამხმარეები. დამხმარეების ყოლას მეც შევძლებდი, მაგრამ ეჭვი მეპარება, რაიმე მსგავსი მომეხერხებინა. სხვა ქვეყანა, სხვა კულტურა, სხვა ტრადიცია, განსხვავებული განათლება. ბევრჯერ მიფიქრია, რაოდენ სამწუხაროა, რომ რევოლუციის პირველივე დღეებიდან დაწყებული, ყოველ საღამოს წუთით მაინც არ ვიცლიდი ხოლმე და არ ვიწერდი მაგნიტოფონზე თუ რა გადამხდა თავს და რას ვფიქრობდი ამის შესახებ. აღარაფერი მახსოვს, ამიტომაც ყველა იმ პოლიტიკური მოვლენის აღწერასა და გაანალიზებას, რომლის მონაწილეც გავხდი, ვთავაზობ ისტორიკოსებს. მაგრამ აი ის, რაც ყველაზე უფრო მაკვირვებს და ამავე დროს მომწონს: აზრებს, რომლებიც დღეს მომდის თავში, გაკვირვებით ვპოულობ ხოლმე ჩემს ორმოცდაათი წლის წინანდელ ნაწერებში. ცხადია, ახალგაზრდობასთან ერთად უფრო თავხედიც ვიყავი. ალბათ, ამ მხრივ, პოლიტიკური სარბიელის მზის გულზე მუდმივი დაკვირვების ქვეშ გატარებულმა ხანგრძლივმა წლებმაც იქონია თავისი უარყოფითი ზეგავლენა: ამ ხნის განმავლობაში შებოჭილი ვიყავი დიპლომატიური ეტიკეტით და იმ ადამიანთა ჯარით, რომლებიც ყოველთვის მზად იყვნენ ყოველი ჩემი სიტყვა, სამართლიანად თუ უსამართლოდ, მყისვე გაეკრიტიკებინათ. თუ ადამიანს ბევრი წერა უხდება, მაგრამ არ

აქვს საშუალება ეს თავის გემოზე აკეთოს, ძალაუნებურად ემორჩილება ცდუნებას, რომელიც ეუბნება, რომ თუ აზრი ნეიტრალურად და უფერულად გამოითქვა, მაშინ ყველაფერი და ყოველთვის უფრო წყნარად ჩაივლის, ვიდრე საპირისპირო შემთხვევაში, რაც სავსებით კანონზომიერია. ადამიანისათვის, რომელსაც შემოქმედებითი ამბიციები აქვს, ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია. მხოლოდ საახალწლო გამოსვლებზე რამდენი მინვალია. უამრავი მოლოდინი და მოთხოვნა ამ გამოსვლებთან დაკავშირებით (განსაკუთრებით რაც შეეხება კრიტიკისა და ქების გაწონასწორებულობას, საზოგადოების საქმიანობის სხვადასხვა სფეროზე საუბარს) პირდაპირ მაგიჟებდა. ყველაფერი რომ შემესრულებინა, რასაც ჩემგან მოელოდნენ, გამოსვლა ორსაათიანი და თანაც გაუსაძლისად მოსაწყენი გამოვიდოდა. სასიამოვნოა, ჩემი ძველი ნაწერების კითხვა მაბრუნებს წარსულში, მასწრებს ჩვენი ქვეყნისა და საკუთარი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს, მაშინდელ ატმოსფეროს. უცებ, მრავალი წლის თუ ათწლეულის გადასახედიდან ვაცნობიერებ, რაოდენ ღრმად განსხვავდებოდა ვითარება, უამრავი ძნელად აღსაქმელი ნიუანსის ჩათვლით, ტემპით, ტონებით, ნახევარტონებით, ილუზიებით, ცოდნა-განათლებით, მისწრაფებებით და დამახასიათებელი ემოციური შეფერილობებით, ვთქვათ ორმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში და მეორეში, სამოციანების დასაწყისში და ბოლოში და რასაკვირველია, საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ, ნორმალიზაციის ეპოქაში. არასდროს მომწონდა და არც ახლა მიტაცებს ეპოქის აღწერა, ეს ყველაფერი ამ ძველ ტექსტებში იდუმალებით მოცული გზით და თავისთავად, ჩემი მცდელობის გარეშე აღიბეჭდა. ეს საინტერესო ფაქტია. ვკითხულობ და თან ვაცნობიერებ, თუ რამდენმა ადამიანმა შეასრულა მნიშვნელოვანი როლი ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და რა საჭირო გაკვეთილები მივიღე მათგან შემოქმედებითი დამოუკიდებლობისა და საზოგადოებრივი მორალის თემებზე, მიუხედავად იმისა, თუ რა გზას გაუყვნენ ისინი მოგვიანებით. ერთი კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ არც ერთ მათგანს არ გადაუხვევია ღალატის, ნამდვილი ღალატის გზაზე.

ჩვენს საუბარში მძაფრად აკრიტიკებდით პოლიტიკურ სიტუაციას ქვეყანაში და რაიმე დასაიმედებელს თუ ხედავთ?

რასაკვირველია. ახალგაზრდა თაობაში ვხედავ. ცხადია, არ ვფიქრობ, რომ დღეს წარსულზე უკეთესი ადამი-

ანები იბადება. ახალგაზრდებს შორისაც ხასიათში, ზნეობაში, მიზანსწრაფვებში და თუნდაც განათლებაში იგივე განსხვავებებს შევხვდებით, რაც მათ მშობლებს, დიდ მშობლებს და საერთოდ ყველა სხვას ახასიათებს. მაგრამ ერთი ვითარება ძლიერ ანსხვავებს მათ ერთმანეთისაგან: არ არიან უშუალოდ დეფორმირებულები კომუნიზმით. არ იზრდებოდნენ ვითარებაში, რომელიც მათგან მოითხოვდა სიყალბესა და მორჩილებას, აძლიერებდა ეგოიზმს, სხვების მიმართ გულგრილობასა და ქსენოფობიას, არ მოუწიათ იმ რეჟიმთან თანაარსებობა, რომელიც განუწყვეტლივ რაღაცას ლაპარაკობდა ქვეყნის მმართველი მუშათა კლასის შესახებ, მაგრამ რეალურად კი საზოგადოებაში მხოლოდ მეშჩანობას ნერგავდა. ყველანი ჩვენ, ვინც კომუნისტურ ეპოქაში გავიზარდეთ, იმათი ჩათვლით ვინც რეჟიმს ღიად ებრძოდა, მეტ-ნაკლებად დაღდასმულები ვართ, არაჯანსაღმა ზნეობრივმა ატმოსფერომ მეტად დაგვასახიჩრა, ვიდრე გვეგონა. ახალგაზრდები თავისუფლებაში გაიზარდნენ, მეტ დამოუკიდებლობას მიეჩვივნენ, თუკი სურთ, შეუძლიათ უცხოეთში ისწავლონ, არაფრით გამოირჩევიან ახალგაზრდა ბელგიელებისა და ამერიკელებისაგან, რომ არაფერი ვთქვათ მათ მიმართ კომპლექსების ქონაზე, შიშზე და შურზე. დროის მსვლელობასთან ერთად საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ამ თაობის ზეგავლენის ზრდა მაძლევს იმის იმედს, რომ ვითარება გაუმჯობესდება. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დღეს ვითარებაზე ყველაზე დიდ გავლენას ყველაზე დეფორმირებული თაობა ახდენს ანუ ის თაობა, რომელიც გაიზარდა ეგრეთ წოდებული ნორმალიზაციის ეპოქაში. მაშინ უკვე ყველას მივიწყებული ჰქონდა ყოველგვარი იდეალები და ცინიზმით გამორჩეულები ყველაზე წარმატებულებიც იყვნენ ამავე დროს.

(19. 10. 1996)

(...)

6) სად არის მილიონი, რომელიც თითქოს ვიღაც ქალმა ჩემოდნით მომიტანა? ეს ფული ჩემს პირად საჩუქრად რომ დაგვეტოვე-

ბინა, უაზროდ დიდი ჩუქების გადასახადის გადახდა მომიწევდა. გთხოვთ, მოელაპარაკოთ აღნიშნულ ქალბატონს, რომ გააფორმოს ეს ფული როგორც საჩუქარი ჩემი ფონდის სახელზე (ისედაც გადავრიცხავდი, ოღონდ ასე მეტი გადაირიცხება). (...)

7) რა ხდება წმინდა ვაცლავის წმინდა ნაწილებთან დაკავშირებით? გთხოვთ გადაწყვიტოთ, ჯობია ჩემთან დარჩეს (პირად სეიფში), როგორც ზოგიერთები მირჩევენ, თუ უკეთესი იქნება დანარჩენ წმინდა ნაწილებთან დავაწყოთ წმინდა ვაცლავის კაპელაში. თუ შეიძლება, ამასთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვან ე.-მ და დანარჩენმა კომპეტენტურმა პირებმა. ამავე დროს, გთხოვთ, მოამზადოთ ლამაზი წერილი მჩუქებლისთვის, რომელსაც შემდეგ გადავხედავ და ხელს მოვაწერ. წერილში უნდა ეწეროს თუ როგორ მოვექცევი წმინდა საჩუქარს. თუკი დარჩა ჩემს კუთვნილებაში, მიაწერეთ, რომ ანდერძით სახელმწიფოს დავუტოვებ. (...)

(22. 1. 2003)

(...)

ახლა იმას ვფიქრობ, ხომ არ ღირს, თანამდებობის დატოვებამდე რაიმე გამეკეთებინა ძმები მაშინებისათვის[120]? მაგრამ რა? შეწყალება შეიძლება? ალბათ არა, და ტექნიკურად რომც შეიძლებოდეს, ისინი დემონსტრატიულად უარს განაცხადებდნენ, მე კი თანამდებობის დატოვების წინ ოდნავ დამცირებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. ან კიდევ, იქნებ საჯაროდ მომეწვია ჩეხეთში და მიმეცა ხელშეუხებლობის პირადი გარანტია? მაგრამ ესეც უაზრობაა. ეს რა სამართლებრივი ქვეყანაა, თუკი ყოფილი პრეზიდენტი წყვეტს იმას ვინ იქნება სრულ უსაფრთხოებაში და ვინ არა. თუ შეიძლება დაფიქრდით, შესაძლებელია რამის მოხერხება თუ არა. არ ვსაუბრობ თვით აქტზე, არამედ მის არსზე, რომელიც შეძლებდა წამოეწყო კვალიფიციური საზოგადოებრივი დებატები თემაზე, მისაღები იყო თუ არა ჩვენს ვითარებაში, კომუნისტურ რეჟიმთან ბრძოლა იმავე მეთოდებით, რა მეთოდებითაც ვებრძოდით

120 ძმები ცტირად და იოზეფ მაშინები (Mašín) – მეორე მსოფლიო ომში გამოჩენილი გმირობისთვის, ე. ბენეშის მიერ მიენიჭათ მაღალი ჯილდოები. 1948 წელს მათ განაგრძეს შეიარაღებული ბრძოლა, ოღონდ ამჯერად კომუნისტების წინააღმდეგ. მოგვიანებით დასავლეთ გერმანიაში გაიქცნენ. გაქცევის მზადების და თვით გაქცევის განხორციელებისას მოკლეს ძალოვანი სტრუქტურების ექვსი თანამშრომელი. ჩეხეთის საზოგადოება დღემდე გაყოფილია ორად, ერთნი მათ კომუნიზმის წინააღმდეგ სავსებით ლეგიტიმური ბრძოლის ეროვნულ გმირებად მიიჩნევენ, მეორენი, ჩვეულებრივ მკვლელებად.

ფაშიზმს. მე ცხადია, წარმოდგენა მაქვს ამ საკითხზე, მაგრამ უფრო ვემხრობი იმ აზრს, რომ ახალი ეპოქა ახალ მეთოდებს მოითხოვდა. ეს, ალბათ, ახალი წიგნის თემაა. ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო ჯილდოს არ მივანიჭებდი. ეს უკვე საზოგადოებრივი დებატების დასაწყისი კი არა, დასასრული იქნებოდა. ან უფრო ზუსტად: დებატების გადაქცევა საყოველთაო ხელჩართულ ბრძოლად.

(21. 8. 1999)

(...)

6) საკუჭნაოში, სადაც მტვერსასრუტი ინახება, ისევ ის ღამურა ბუდობს. როგორ გავაგდოთ? ნათურა მოვუშვით ტყუილად, რომ არ გააღვიძოს და გააღიზიანოს. (...)

თუ გაქვთ ურთიერთობის გამოცდილება იმ უმცროს თაობასთან, რომელზეც საუბრობთ? ხვდებით ხოლმე? იცნობთ? ფიქრობთ, რომ თქვენი ესმით?

ცხადია, არ მგონია, რომ ვიცნობ მთელ თაობას და მით უმეტეს, რომ კარგად ვიცნობ.

მიუხედავად ამისა, აქა-იქ დავიარები დებატებზე სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში და სკოლებში, უმცროს თაობას ვხვდები ხოლმე ღონისძიებებზე, ვთქვათ ფესტივალებზე და კონცერტებზე და ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ეს ადამიანები პატივს მცემენ, ესმით და აინტერესებთ ჩემი შეხედულებები, მეტიც, რომ ხშირად იზიარებენ კიდეც ჩემს აზრებს. მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი. გადამწყვეტი ის არის, რომ საკუთარი თავით იფიქრონ. ყოველთვის გაკვირვებული ვრჩები, როდესაც ვკითხულობ ყოველკვირეულ ან ყოველთვიურ გამოცემებს, რამდენი ახალი სახელი მხვდება, უმეტესად სტუდენტები ქვეყნდებიან, რა საინტერესოდ და რამხელა ცოდნით წერენ ეს ახალი თუ მომავალი ჟურნალისტები, ლიტერატორები და მეცნიერები. ეს არის ჩემი იმედების მთავარი წყარო.

(ჰრადეჩეკი 10. 12. 2005)

მოვიყვანე რამდენიმე ციტატა ჩემი წიგნიდან „დაკითხვა შორი-

დან". კარგად მახსენდება ის დრო, როდესაც ოცი წლის წინ ამ წიგნს ვწერდი. ზუსტად აქ, ჰრადეჩეკზე ვმუშაობდი. მაშინ ჯერ არ მქონდა კომპიუტერი, საბეჭდი მანქანით ვწერდი. ჩემს პედანტობასაც თუ გათვალისწინებთ, გასაგები გახდება, რომ ყოველი გამორჩენილი ასოსა და ჩასწორების გამო, მთელ გვერდს თავიდან ვბეჭდავდი. მაკოპირებელი ქაღალდის საშუალებით ხუთ ასლად ვბეჭდავდი ხოლმე. ერთხელ, ისევე როგორც დღეს, ღამე ვმუშაობდი და ზუსტად მაშინ, როდესაც აღვწერდი რეჟიმის მიერ დევნილი მწერლის დაშინებულ მდგომარეობას ანუ მის შიშს, რომ თავს დაადგებიან და ჩხრეკის შედეგად ნაპოვნ ხელნაწერებს აართმევენ, კაბინეტში შემოვიდა ოლგა და შემატყობინა, რომ სახლის ირგვლივ საეჭვოდ ფუსფუსებს სახელმწიფო პოლიცია, რომ ადვილი მოსალოდნელია დილის ჩხრეკისთვის ემზადებოდნენ. შევშინდი, ხელნაწერი თავის ასლებიანად სასწრაფოდ შევფუთე, ცოცვა-ცოცვით ბნელ ტყეში შევედი და იქ მივმალე. სახლი არ გაგვიჩხრიკეს და მეც მეორე დღეს ის შეკვრა უკან წამოვიღე. ამას მხოლოდ იმიტომ არ ვყვები, რომ მაშინ, ვწერდი რა ხელნაწერის დაკარგვის შიშზე, აღმოჩნდა, რომ მეც მსგავსი საშიშროების წინაშე ვიდექი. არა, უბრალოდ, ვაცნობიერებ, რომ ახლაც, ვწერ და თან მსდევს რაღაცის შიში. ცხადია, ეს ჩხრეკის შიში აღარაა, უბრალოდ მეშინია, ვაი თუ დროის უკმარისობის, სხვა სამუშაოს, ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური და ან სხვა მიზეზების გამო ვერ მოვახერხო ამ წიგნის დასრულება. ვთქვათ, დავკარგო ხელნაწერი ან უბრალოდ, მივაგდო ეს საქმე. ვფიქრობ, ნებისმიერი მწერლისთვის, რომელიც უბრალო ხელოსანი არაა, ეს შიში ნაცნობია. ზოგჯერ ამას, შესაძლოა, პოლიციის შიშის სახე ჰქონდეს, სხვა დროს ცეცხლის ან საკუთარი არასრულფასოვნების, ზოგჯერ კი ეს არის ფარული ან სულაც გაცნობიერებული შიში იმისა, რომ რაღაცის დაწერას ვერ მოასწრებ. მთლიანობაში ეს ცოტა სასაცილოც კი არის, რადგანაც შეფარულად მოიცავს დაშვებას, რომ სამყარო ამ კონკრეტული ნაწარმოების გარეშე ვერ იარსებებს, რომ დაინგრევა თუკი ვერ იხილა იგი. კი, სასაცილოა, მაგრამ თავისებურად სამართლიანიც არის. ალბათ, ყველაფერი ისე სერიოზულად უნდა ვაკეთოთ, თითქოს საუბარია სამყაროს მომავალზე. საბოლოო ჯამში კი, ალბათ, ეს მართლაც ასეა. ამ წიგნით (არა აქვს მნიშვნელობა თუ როგორი იქნება) სამყარო სამუდამოდ შეიცვლება. მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ ვიცით, შესაძლოა სამყარო სულაც იმიტომ შეიქმნა, რათა ესა თუ ის წიგნი დაწერილიყო ან ბოლომდე მიყვანილი ყოფილიყო. ვის შეუძლია დაამტკიცოს

რომ ეს ასე არ არის? ჰო, რომ არ დამავიწყდეს: დღეს ადამიანთა უფლებების დღეა და მე მახსენდება სხვადასხვა მოვლენა, რომლებიც ამ თარიღს უკავშირდება.

(7. 2. 1996)

(...) შემდგომ, გთხოვთ, მზადების პროცესში მყოფი შეხვედრისთვის კარგად მოიფიქროთ დაწესებულებებსა და დაინტერესებულ პირთა შორის მიმართებები და კომპეტენციები (სამდივნო, მმართველობა, ჭრადის პოლიცია, რკ, კვალის წამშლელი მეგობრები, პროდუქტების მყიდველი მეგობრები და ა.შ.) გული მიჩუყდება იმის გაფიქრებაზე, თუ რამდენი ადამიანი ზრუნავს ჩემზე და დაშაზე. მიუხედავად მათი სიმრავლისა, აღარ ვიცი ვის რა ვთხოვო და საერთოდ, თუ მაქვს უფლება ვინმეს რამე მოვთხოვო. მივესალმები, თუ ამ ყველაფერს გაარკვევთ და განახორციელებთ, როგორც დღეს ამბობენ ხოლმე, გამჭვირვალედ.

(11. 4. 1999)

(...)

8) მოსარწყავად ალბათ უფრო გრძელი შლანგია საჭირო. (...)

არ შემიძლია არ დაგისვათ შეკითხვა, რომლითაც ერთხელ უკვე მოგმართეთ 1986 წელს როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი? როგორ ფიქრობთ, რა გელოდებათ? რისი იმედი გაქვთ და რას ელოდებით?

მეც სხვა არა დამრჩენია რა, გარდა იმისა, რომ გავიმეორო მაშინდელი პასუხი: „პარადოქსებს ისევ უნდა ელოდეთ. როგორც ყოველთვის, ისევ მივუჯდები ზიზღით ცარიელ ქაღალდს, ყველა ხერხის გამოყენებით შევეცდები მოვერიდო წერას, მექნება ამ ქაღალდზე დასაწერი პირველი სიტყვების პერმანენტული შიში, გაჭირვებით მოვიხმობ წერისათვის საჭირო სითამამეს და შეგრძნება, რომ არაფერი გამომდის სასოწარკვეთაში ჩამაგდებს ხოლმე. თუმცა საბოლოოდ, ყოველთვის მოვახერხებ ახალი პიესის დაწერას: „იდუმალი ეშმაკები ჩემში", რომლებიც ამ წამებას მისჯიან, ალბათ, აღარასდროს მომასვენებენ და ბოლოს და ბოლოს, ყოველთვის

მიაღწევენ ხოლმე თავისას. ისევე, როგორც ყოველთვის აქამდე, გამაღიზიანებს ყველაფერი ის, რასაც ჩემგან მოელიან: ხშირად შეუსაბამოს, ზოგჯერ კი უბრალოდ უაზროს და რაც ასე საშინლად მამძიმებს, ყველა ის ფუნქცია რომელიც მაბარია, დაწყებული წარმომადგენლობითით და დასრულებული სამარიტელურით. როგორც ყოველთვის, გავიფიცები და ვილაპარაკებ ჩემს უფლებაზე ვიცხოვრო სიმშვიდეში და როგორც ყოველთვის, მოვერევი ჩემზე დაკისრებულ ყველა მოვალეობას დაბოლოს, მთელი გულით გავიხარებ. ისევე, როგორც ყოველთვის აქამდე, ვიწვალებ, მექნება შიში და ძრწოლა, ჩავვარდები პანიკაში, დავიდანაშაულებ თავს და თავბედს დავიწყევლი ხოლმე და მაინც, ისევე, როგორც ყოველთვის აქამდე, შეგეძლებათ იქონიოთ ჩემი იმედი და მიხილოთ იქ, სადაც არის ჩემი ადგილი.

(16. 1. 1997)

(...) გ) დღეს უკვე ნაკლებად მაინტერესებს წარსულში არა ერთი ჩემი კვდომა, ისევე, როგორც დიდი ხნის წინანდელი ავტოავარიები, რომლებსაც ბეწვზე გადავურჩი, თან ისე, რომ ნაკაწრიც კი არ მქონია, ან ჩემი ცოცხლად ხარშვა საუნაში, როდესაც კარი ჩაიკეტა და ბოლოს იმ არაადამიანური ძალის მეშვეობით, რომელიც მომანიჭა ყველა ღმერთმა ალაჰის ჩათვლით, მოვახერხე კარის ქვეშ თხრილის გაკეთება და თავის გადარჩენა (რამდენიმე წლის წინ მოხდა ლანში). არავის ვადანაშაულებ, არავისზე ვბრაზობ, მთელი ეს ამბავი, როგორც პაციენტს ან ამ ისტორიების ფიზიკურ ობიექტს, აღარ მაინტერესებს. (...)

(4. 10. 1993)

(...)

9) ლანიდან მორთმეული ქარიყლაპია კი პანი მ.-მ ან ე.-მ გემრიელად მოამზადონ, ისე შეკმაზონ, რომ საპარლამენტო ხუთეულს ეს დიდხანს არ დაავიწყდეს. (...)

(ჰრადეჩეკი 11. 12. 2005)

ენის მშვენიერება ზუსტად ისაა, რომ სრულად ვერასდროს გად-

მოსცემს იმას რაც გწადიათ. რადგანაც ხისტია, წყვეტილია, ასე ვთქვათ, დიგიტალურია. უკვე მხოლოდ ეს, მაგრამ არა მხოლოდ ეს, საკმარისია, რომ სრულად ვერ მოვიცვათ ისეთი მთლიანი რამ, როგორიც არის რეალობა, განცდები ან ჩვენი სული. რაც გზას უხსნის, აზრის გამოხატვისა და თვითგამოხატვის არაჩვეულებრივ შეჯიბრებას, რომელიც მოუყვება კაცობრიობის მთელ ისტორიას, რომელსაც არ აქვს დასასრული და რომლის მეოხებითაც ყოველთვის ახლიდან და ყოველ ჯერზე ოდნავ სხვაგვარად აიხსნება და ზუსტდება ყოველივე ადამიანური. მეტიც, მხოლოდ ეს შეჯიბრება აქცევს ადამიანს ადამიანად, როგორც პიროვნებას და როგორც სახეობას. უბრალოდ, ცდილობს სიტყვებით, წარმოდგენებით ან ქცევით, უკეთ ჩაწვდეს სამყაროს და საკუთარ თავს და რაც უფრო კარგად გამოსდის ეს, მით უკეთ აცნობიერებს, რომ სრულად ვერასდროს ჩაწვდება ვერც სამყაროს, ვერც საკუთარ თავს და ვერც სამყაროს უმცირეს ნაწილს. ამიტომ და მითუმეტეს, ადამიანმა უნდა გააგრძელოს ცდა და ამით უკეთესად განსაზღვროს საკუთარი თავი. ეს სიზიფეს შრომაა. ვერაფერს გახდები, სრულ სიმართლეს საკუთარი თავის შესახებ ადამიანი საფლავში ჩაიტანს. მაგრამ ეს სიმართლე ვინმეს აუცილებლად ეცოდინება: ყოფიერების მეხსიერებას თუ არა, მაღალ ღმერთს.

(7. 6. 1994)

(...)

5) პან რეხტაჩეკს ვთხოვდი, შეაკეთოს ჩემი სანთებელა, დატენოს და უკან გამომიგ ზავნოს. (...)

(21. 8. 1999)

(...)

6) საკუჭნაოში, სადაც მტვერსასრუტი ინახება ისევ ის ღამურა ბუდობს. როგორ გავაგდოთ? ნათურა მოვუშვით, ტყუილად რომ არ გააღვიძოს და გააღიზიანოს. (...)

„ყველაფრისთვის, რასაც ვაკეთებ, დავისჯები ხოლმე, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გავუმკლავდები ამას, დაბოლოს, ყველაფერს და ყოველთვის, რაც ამას საჭიროებს, მოვიყვან მოძრაობაში. სხვა არა დამრჩენია რა, გარდა იმისა, რომ ეს წინასწარმეტყველება და ეს ჩვენი საუბარი დავასრულო მცდელობით,

გამოვთქვა ჩემი ცხოვრების ბოლო და ყველაზე პარადოქსული პარადოქსი: ეჭვი მაქვს, რომ სადღაც იქ, ძალიან ღრმად მთელი ეს პარადოქსული ცხოვრება უსაზღვროდ მართობს". ახლა კი, სხვა არა დამრჩენია რა, გარდა იმისა, რომ ამ დიდი ხნის წინანდელი წინასწარმეტყველებით და დიდი ხნის წინანდელი ეჭვით დავასრულო დღევანდელი საუბარი, რადგან არ ვიცი რა შემიძლია დავუმატო ყოველივე ამას, ალბათ, მხოლოდ ის, რომ დღეს უფრო მხცოვანი ვარ და ამდენად, ვიმედოვნებ, უფრო მორიდებულიც.

ბატონო პრეზიდენტო, დიდი მადლობა...

(პრაღა 5. 1. 2006)

არც ეს წელი დაწყებულა წარმატებულად. ყოველ შემთხვევაში ჩვენი ოჯახისათვის. დაშა ავადმყოფობს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც თერთმეტწლიანი შესვენების შემდეგ უბრუნდება თეატრს; მე მერევა საშინელი მოთენთილობა და განუწყვეტლივ მეძინება; და რაც ყველაზე მძიმეა, გუშინ მოგვიკვდა ჩვენი ერთგული ბოქსიორი შუგრი. თოთხმეტი წლის წინ, როდესაც დაშამ სანაგვეში იპოვა, ორი დღის ლეკვი იყო. დაშამ გადაარჩინა და მას შემდეგ განუყრელი მეგობრები იყვნენ, რომლებმაც ცხოვრებაში, მართლაც, ბევრი რამ განვლეს ერთად. რომელ ჩეხ ბოქსიორს შეუძლია დაიკვეხნოს, რომ ამერიკაში იყო? მისმა ხანგრძლივმა ავადმყოფობამ დაბოლოს სიკვდილმა გაგვთანგა. ახლა ჯოგის წამყვანი მადლენკაა, რომლის ზედაპირულობაზეც თავის დროზე გარკვეული ეჭვები მქონდა. მაგრამ უნდა შევიცვალო ჩემი შეხედულება და ამ ოდინდელი შეცდომისათვის ბოდიში მოვუხადო. რაც შეეხება მსოფლიოს? მართალია, ახალ ცუნამის არ წაულეკავს მიწა, მაგრამ კაცობრიობას მრავალი მიწისძვრა და ტაიფუნი დაატყდა თავს, რაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ამინდი, ცოტა არ იყოს, გაგიჟდა. თოვლი, როგორიც არავის ახსოვს, ყინვა, დნობა, წვიმა, ქარი... ერთი სიტყვით, ბუნება ჩემი კომპიუტერივით იქცევა – ირაციონალურად. მიხარია, რომ ვასრულებ ამ წიგნს. მართალია, სულ რამდენიმე დღე ვწერდი, მაგრამ ეს დღეები გაბნეული იყო თითქმის მთელ ერთ წელიწადში. შუგრი მოკვდა არა მარტო ჩემი და დაშას ქორწინების მეცხრე წლისთავზე, არამედ იმ წამს, როდესაც დარწმუნებული იყო, რომ მე მზად ვარ წარვდგე ამ ჩემი აღსარებით. საყვარელო დაშა, მადლობა, რომ იმ წლების სიმძიმე, რომლებსაც ეს წიგნი

ეხება, ერთგულად ატარე ჩემთან ერთად. მაგრამ, ნუთუ ეს მხოლოდ ტვირთი იყო? განა არ იყო ეს ამაღელვებელი, აღმგზნები, აღმაფრენის მომტანი და ზოგჯერ მხიარულიც?

(11. 4. 1999)

(...)

8) მოსარწყავად ალბათ უფრო გრძელი შლანგია საჭირო. (...)